780/3
2004

# სპეცკვეთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5–6

2004

# საუნჯე

(126)

სექტემბერი, დეკემბერი

მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელოგბითი ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა კავშირი და ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია

2004, № 5-6


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

### პროზა და პოეზია


**გაბრიელ გარსია მარკესი.** პატრიარქის შემოდგომა. რომანი. დასასრული. ესპანურიდან თარგმნა **ელზა ახვლედიანმა** . . . . . 3

**იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ჰაინრიხ ჰაინე.** ლექსები. გერმანულიდან თარგმნა **მანანა ებანოიძემ** . . . . . 77

**პაულო კოელიო.** ალქიმიკოსი. რომანი. დასასრული. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა** . . . . . 79

**ჯონ ლენონი, პოლ მაკკარტნი.** ლექსები. თარგმნა **ოთარ ურუშაძემ** . 147

**აკუტაგავა რიუნოსკე.** ტყის ქათამი. მოთხრობა. თარგმნა **ლევან აბულაძემ** 150

**კორნეი ჩუკოვსკი.** აიბოლიტი. ლექსი. („წაუკითხეთ პატარებს“). თარგმნა **მურმან ჯგუბურიამ** . . . . . 158

**ჰილდა ენდრიუს რუსიკა.** ჩემი ჯანჯაფილის ლუდის გოთლის ჯინი. ინგლისურიდან თარგმნა **რუსუდან ჭილაშვილმა** . . . . . 162

**ლუიჯი პირანდელო, გრაციია დელედა.** მოთხრობები. იტალიურიდან თარგმნა **ნინო მურადაშვილმა** . . . . . 173

**დონალდ გართელმი.** ძვიშის კაცი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა **ეკა ჭიალაშვილმა** . . . . . 183

**იმანტ ზიედონისი, მარის ჩამლაისი, იმანტ აუზინი.** ლატვიური პოეზია. ლატვიურიდან თარგმნა **ნინო ლარცულიანმა** . . . . 190

**ანდრეი კივინოვი.** ცეკვა ყინულზე. მოთხრობა. თარგმნა **მურმან ცეცხლაძემ** 193

**ვოლფ ვონდრაჩეკი, ვილანდ ჰერცფელდი, თეოდორ ვაისენგორნი.** მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა **ნონა ფუხაშვილმა** . . . . . 252


### წერილები


**დიმიტრი ლიხაჩოვი.** ხელოვნებასთან ანტიკუროგბის მიმართების სპეციფიკუროგბის შესახებ. თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ** . . . . 262

**ლუ ალგერტ-ლაზარდი.** გზები რილკესთან ერთად. დასასრული. გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა** . . . . . 278

**ფლორა რეინალი (ჟურნალისტი).** ჟორჟ სანდი — მგზნებარე სულისა და მტკიცე მრწამსის მწერალი ქალი. ფრანგულიდან თარგმნა **როენა ყენიამ** . . . . . 318

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

**ნანა დარჩია-გოლქვაძე**

სარედაქციო საბჭო:

**ელზა ახვლედიანი**
**ნანა ახოგაძე**
**მანანა ამისულაშვილი**
**ჯემალ აჯიაშვილი**
**ნანა გართაია**
**გურამ გოგიაშვილი**
**ნანა გოგოლაშვილი**
**თამარ ერისთავი**
**რუსუდან ქეგულაძე**
**დალი ფანჯიკიძე**
**ეთერ ყურაშვილი**
**გივი შაკნაზარი**
**ვაჟა ჩორდელი**
პ/მგ მდივანი

ჟურნალი დაისტამბა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

---

**გარეკანის მე-4 გვერდზე — „სოლომონ დოდაშვილი“.**
**პლაკატის ავტორი მოქანდაკე სიკო გირკელიძე.**

---

**ჩვენი მისამართია:** თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4, ტელ.: 99-73-41.

---

გადაეცა წარმოებას 17. 09. 2004 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 12. 2004 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, სააღრიცხვო თაბახი 15,5, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 421.

---

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
- თბილისი, მ. კოსტავას 14.

# გაბრიელ გარსია მარკესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატრიარქის შემოდგომა

**რომანი**

**ესპანურიდან**

**თარგმნა ელზა ახვლედიანმა**

ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია და მისი სარედაქციო საბჭო დაგადეგის დღეს ულოცავს ცნობილ მთარგმნელსა და ლიტერატორს, ჟურნალის ამაგდარ თანამშრომელს ძალგატონ **ელზა ახვლედიანს.**

23403

აქოთებული ძროხები დაღამებამდე გამოვზიდეთ სასახლიდან. იქაურობა მივალაგ-მოვალაგეთ, მითიურ ქაოსს როგორღაც ბოლო მოვუღეთ, მაგრამ ყოველგვარი ცდა იმისა, რომ მიცვალებული ოდნავ მაინც მიგვემსგავსებინა თავისი ლეგენდისათვის, ამაო გამოდგა. თევზის საწმენდი დანით ავაფხიკეთ მთელ ტანზე სქლად დადებული შლამი, ზუსტად ისეთი, ჩაძირულ ხომალდებს რომ ედებათ ხოლმე ზღვის ფსკერზე. კუარის საცხი წავუსვით, ქვამარილის ხსნარში განვბანეთ, ჩამპალი ადგილები დავუფარეთ, ორბების მიერ ამოკორტნილი ღრმულები გახამებული ქერელის ძენძითა და პარაფინის პატარ-პატარა ნატეხებით ამოვუვსეთ, შუშის თვალები ჩავუსვით, ფერადი სალბუნებით ლოყებს სიცოცხლის ფერი დავუბრუნეთ, ტუჩებიც პომადით წავუთხიპნეთ, მაგრამ მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა ვერა და ვერ შევძინეთ მის სახეს ხელისუფალის მბრძანებლური იერი, ურომლისოდაც აზრიც და ფასიც ეკარგებოდა მიცვალებულის საქვეყნოდ გამოდგმას. ამ დროს კი სხდომათა დარბაზში დიდი გამოცოცხლება სუფევდა, ისმოდა მოწოდებები საყოველთაო გაერთიანებისა და დესპოტიზმის ყოველგვარი გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არც ის ავიწყდებოდათ, პრეზიდენტის ჯერ კიდევ გუშინდელი კუთვნილი ქონება რომ უნდა გაეყოთ ერთმანეთში. თუმცა მის სიკვდილს არ ახმაურებდნენ, მაინც სასწაულებრივად სწრაფად მოედო იგი მთელ ქვეყანას. მაშინვე დაბრუნდნენ სამშობლოში ლიბერალებიც და კონსერვატორებიც. ხანგრძლივი განშორების შემდეგ შეხვედრის კოცონთან გულგამთბარებს სრულიად დავიწყნოდათ სამსახურებრივი ამბიციები და ურთიერთწყენა. დაბრუნდნენ ოდესღაც უფროსობას ჩვეული და ამჟამად გადაჩვეული გენერლები, დაბრუნდა სამი მინისტრი და — არქიეპისკოპოსიც. ამ

---

**დასასრული. დასაწყისი ის. „საუნჯე“ № 1-2, 3-4, 2004 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანებს პრეზიდენტი არ ენდობოდა, იშვიათად იწვევდა კაკლის ხის გრძელ მაგიდასთან სათათბიროდ. ახლა კი მოუწვევლად შემოსხდომოდნენ სწორედ ამ მაგიდას და ძალამოცემულები დიდხანს ბჭობდნენ, როგორ გამოეცხადებინათ პრეზიდენტის სიკვდილი ისე, რომ თავიდან აეცილებინათ ხალხის მღელვარება და ქუჩებში [illegible] გამოსვლები. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს გამ[illegible] ორი ბიულეტენი, ნომერი ერთი და ნომერი ორი. ნომერი ერთი ბიულეტენი იუწყებოდა, რომ პრეზიდენტი შეუძლოდ იყო და მონაწილეობას ვერ მიიღებდა რიგ ოფიციალურ ცერემონიასა თუ წინასწარ შეთანხმებულ შეხვედრაში. ნომერი ორი ბიულეტენი კი ხალხს ამცნობდა, მისი აღმატებულება თავის პრივატულ სახლიდან ვერ გამოდის ასაკობრივი უძლურების გამოო. აგვისტოს ერთ სამშაბათ დღეს კი, როცა ალისფერი განთიადი შემოდიოდა, სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი გამოცხადების გარეშე ტაძრის ზარებმა ხალხს ამცნო დიდი კაცის სიკვდილი, თუმცა დარწმუნებით მაინც ვერავინ ამბობდა, მართლა ის მოკვდა თუ სხვა. ამ სუნდაკრულმა მიცვალებულმა საგონებელში ჩაგვაგდო. არ ვიცოდით, სად გვეძებნა მისი შემცვლელი. ის ხომ ერთადერთი იყო ამქვეყნად. ბებრული ეგოიზმით შეპყრობილს სულაც არ ანაღვლებდა ვინ მოვიდოდა მის მერე ქვეყნის სათავეში, გაგონებაც არ სურდა ამისა, ყოველნაირად გაურბოდა მომავალზე საუბარს. როცა მთავრობა შუშის ახალ, მზიან შენობებში გადაბარგდა, იგი მარტო დარჩა თავისი ძალაუფლების უკაცრიელ სამყოფელში. მთვარეულივით დაბორიალობდა მკვდარ ძროხებს შორის, მხოლოდ ბრმები, კეთროვნები და ხეიბრები შემორჩენოდა საუფროსოდ. ვარდის ბუჩქებში მიწოლილები უფრო სიბერისგან ღაფავდნენ სულს, ვიდრე სნეულებისგან. და მაინც, როცა ვეუბნებოდით, დროა თქვენს შემცვლელზე იფიქროთ-თქო, სიტყვას ჯიუტად გვიგდებდა ბანზე და ბრძნულად გვპასუხობდა, თქვენ მარტო შემცვლელზე ფიქრობთ, ქვეყნის ბედი არ გაღელვებთ, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, ყველაფერი გარკვეულია სიკვდილივით, ბოლოს და ბოლოს როცა მოვკვდები, პოლიტიკოსები არ დააყოვნებენ და მაშინვე დაბრუნდებიან, რათა გაწეწონ, ერთმანეთში დაინაწილონ ეს ბინძური ქვეყანა, როგორც გოდოების განდევნის შემდეგ მოხდა. აი, ნახავთ, დაბრუნდებიან მღვდლები, გრინგოები, მდიდრები, ყველაფერს დაიტაცებენ, ღარიბებს კი ჩემი ფეხები დარჩებათ, ისეთ ვარსკვლავზე არიან დაბადებული, მძღ...ს რომ ფასი დაედოს, უტრ...კოდ მოევლინებიან ამ ქვეყანას. ზოგჯერ აქილიკებდა კიდეც საკუთარ თავს, რომ მოვკვდები, კი ნუ გადაირევით, მაშინვე კი ნუ გამაქანებთ იერუსალიმში მაცხოვრის გვერდით დასასვენებლად, სამი დღე ვიქნები მკვდარი, მეტი კი არა, და საერთოდ, დრო გვიჩვენებს, რა დავიჯეროთ და რა არ დავიჯეროთ. მე უკვდავი ვარ. და მართლაც, არც არავინ დაეჭვებულა მის სახელთან დაკავშირებული ამბების ნამდვილობაში. არც არაფრის მტკიცება შეგვეძლო და არც არაფრის უარყოფა. ჩვენ ხომ ისიც არ ვიცოდით, მართლა ის იყო მკვდარი თუ სხვა. ჩვენ არ ვიცოდით ჩვენივე ქვეყნის არანაირი სხვა ისტორია, გარდა იმ ისტორიისა, რომელიც მისი ისტორია იყო, არ ვიცოდით სხვა სამშობლო გარდა იმ სამშობლოსი, რომელიც მან შექმნა საკუთრივ

თავისთვის, ქვეყნის სივრცობრივ განზომილებებს საკუთარი ნებასურვილით ცვლიდა და თვით დროსაც კი აიძულებდა მის ტუშტურზე ედინა. სამშობლოს ხატი მხოლოდ მაშინ ამოუტივტივდებოდა გაცრეცილ მოგონებებში, როცა უაზროდ დაბორიალობდა ხოლმე ვერაგობითა და ფლიდობით პირთამდე სავსე სასახლეში, სადაც არავის [illegible] ჰქონია თუნდაც ერთი ბედნიერი ღამე. შორეულზე შორეული [illegible] მაშინ იხსენებდა, როცა ჰამაკში ჩაწოლილი ქათმებს სიმინდს უყრიდა, ან მოახლეს ქანცს აცლიდა ჭირვეულობით, ყინულიანი ლიმონათი მომიტანეო, თუმცა ერთი წუთის წინ მორთმეული ყინულიანი ლიმონათით სავსე ჭიქა პირდაუკარებელი ედგა მაგიდაზე. ეს სკამი აქ რატომ დგას, იქით გადადგით, სულ რაღაც ერთი წუთის წინ, იქ რატომ დგას, აქეთ გადმოდგითო, ყვიროდა. ასე ცდილობდა ის თავისი მინავლებული პატივმოყვარეობის ცეცხლის გაღვივებას ფუყე-ფუყე ბრძანებებით. თვლემაში ჩაძირული დარაჯობდა საკუთარი შორეული ბავშვობის ეფემერულ ლანდებს, მაგრამ როგორც კი რომელიმე ლანდი ხორცს ისხამდა და ხილული ნაწილი ხდებოდა იმ უზარმაზარი თავსატეხი სათამაშოსი, როგორიც სამშობლო იყო მის მოსვლამდე, ის ძილის ბურანს თავს აღწევდა და კვლავ შორეულ წარსულს სწვდებოდა ფიქრებში. ეს იყო ტროპიკული მცენარეების, გაუვალი ჭაობების, უძირო უფსკრულების უკიდეგანო ქიმერული ქვეყნის წარსული, ქვეყნისა, სადაც კაცები ოდესღაც კაიმანებს შიშველი ხელებით იჭერდნენ, მხოლოდ ერთი უბრალო სარი იყო მათი იარაღი, ისე ჩასჩრიდნენ ხახაში, რომ კაიმანი პირის დახურვას ვერ ახერხებდა. აი, ასე, აბა მიყურეთ. საჩვენებელ თითს პირში იყოფდა და სასაზე იბჯენდა. ერთ ვნების პარასკევსო, გვიამბო ერთხელ, ქარის უცნაური ხმაური მომესმა, სუნიც კი ვიგრძენი მისი, რაღაცნაირი ფუფხის სუნიო, მაგრამ უცებ სახტად დავრჩი, ეს ქარი კი არა, სარანჩების ღრუბელი იყო, შუადღის მზე ხომ გადაეყლაპათ, გზადაგზაც ისე ნთქავდნენ ყველაფერს, რომ პირველყოფილ სამყაროს დაამსგავსეს პირწმინდად გადატიტვლებული მიწაც და შუქდაძენძილი ცაც. ეს ამბავი მართლა კარგად ახსოვდა ბერიკაცს, მაგრამ ახსოვდა სოფლური სახლების წინ ჩარდახებქვეშ გამოკიდული თავწაჭრილი მამლებიც, ახსოვდა როგორ წვეთავდა სისხლი მიწაზე. ერთხელ დედამისმა მეზობელ სოფელში წაიყვანა ერთი ქალის დაკრძალვაზე. ფეხშიშველი ბიჭი დედაზე ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა საკაცეს, რომელზეც ძონძებში გახვეული მიცვალებული ესვენა. სარანჩა კი ქარივით დაქროდა და მიცვალებულს მირიად ფუფხს აყრიდა. აი, ასეთი იყო მაშინ ჩვენი ქვეყანა. მიცვალებულს უკუბოვოდ დებდნენ მიწაში. მაშინ კუბო კი არა, ლუკმა-პურიც არ ჰქონდა ხალხს, გლახაკი და უქონელი იყო. ერთხელაც შესწრებია, ერთი კაცი როგორ იხრჩობდა თავს სხვის ჩამონახრჩობ თოკზე, რომელიც მოედანზე, ხეზე შერჩენილიყო. როგორც კი ყულფში გაჰყო თავი და ჩამოეკიდა, დამპალი თოკი მაშინვე გაწყდა. ამ დროს სოფლის ქალები ეკლესიაში მიდიოდნენ, მათ თვალწინ მოხდა ეს ამბავი, მიწაზე საცოდავად აფართხალებულ კაცს მისცვივდნენ და ჯოხების ცემით წამოაგდეს. არც უკითხავთ, ვინ იყო ან რატომ იხრჩობდა თავს. მთავარია, ის კაცი უცხო იყო, უცხოებად კი აქაურ მრევლს მიაჩნდა ყველა, ვისაც არ იცნობდა. ჰოდა,

ჯოხების ცემით წამოაგდეს, ფეხებზე ჩინური ხუნდები დააცეს და გაუშვეს მცხუნვარე მზესა და ქარში სხვა მასავით უბედურებთან ერთად. აი, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში გოდოების დროს. მაშინ ღმერთს მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ხელისუფლებას. მაგრამ როცა ის მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ბრძანა, სოფლის მოედნებზე გადაეჭრათ ხეები, კვირაობით ხალხი არ დააფრთხონ თავის ჩამოხლეჩილი მსურველებმაო. აკრძალა ჩინური ხუნდები, აკრძალა უკუბოვოდ დასაფლავება, ერთი სიტყვით, აკრძალა ყველაფერი, რაც კი მის გამეფებამდე იყო. მთებში რკინიგზა გაიყვანა, რათა სულელი ჯორების გამო კიდევ არ მომხდარიყო ისეთი უბედური შემთხვევა, ერთხელ რომ მოხდა. ოცდაათი როიალით ზურგდამძიმებულ ოცდაათ ჯორს მთები უნდა გადაევლო, რათა როიალები ჩაეტანა ყავის პლანტატორებისთვის, რომლებსაც მეჯლისის მოწყობა ჰქონდათ განზრახული. ამ შემთხვევაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ კიდეც საზღვარგარეთის გაზეთებში. წერით კი წერდნენ, მაგრამ ცოდნით მხოლოდ მან ერთმა იცოდა ზუსტად, როგორ მოხდა ეს ამბავი. სრულიად შემთხვევით სწორედ იმ წამს გაიხედა ფანჯარაში, როდესაც ბოლოში მიმავალ ჯორს ფეხი დაუცურდა ყინულზე, ხრამისკენ გადაეშვა და დანარჩენებიც თან გაიყოლია. მხოლოდ მან დაინახა ეს საშინელება, მხოლოდ მან გაიგონა ჰაერში ბზრიალასავით დატრიალებული ჯორების საზარელი ყროყინი და როიალების უსასრულოდ გაწელილი ჟღრიალი, რომელიც მიაცილებდა ჰაერში მფრინავ ქარავანს და იკარგებოდა სადღაც უძირო სიცარიელეში, ამ ქვეყნის ქვესკნელში. ეს ქვეყანა კი ისეთი უკიდეგანო და, როგორც ყველაფერი მის მოსვლამდე, ისეთი ამოუცნობი და იდუმალი იყო, რომ ძნელად თუ გაარკვევდა ვინმე, დღე იყო თუ ღამე ახლა იქ, ქვესკნელში, სადაც თეთრ ნისლში ჩახერგილიყვნენ ლოდები და ნაფოტებად ქცეული ავსტრიული როიალები. მხოლოდ მან იგრძნო ეს საშინელი კატასტროფა. სხვაც ბევრი ჰქონია ხილვა, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ამბობდა, რა იყო ეს, თავისი მოგონებები თუ ციებ-ცხელების შემოტევისას ნაბოდვარი, იქნებ სულაც პოლიტიკიდან მოცალეობისას მოგზაურობებზე დაწერილ წიგნებში გრავიურებს საათობით რომ ათვალიერებდა, მაშინ ნახა ეს ყველაფერი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ხილვებია ეს თუ სინამდვილე, ბოლოს მაინც სინამდვილე ხდებოდა. იგი თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ მისი ბავშვობა სულაც არ იყო იქ, შორს, მოგონებათა ჭაობში, ძროხის ორთქლადენილ ფუნის დანახვაზე რომ წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ და მერე სამუდამოდ ეკარგებოდა. ნამდვილი ბავშვობა მან აქ განიცადა, თავისი ერთადერთი და კანონიერი ცოლის ლეტისია ნასარენოს გვერდით. ყოველდღე, ორიდან ოთხ საათამდე დასვამდა ხოლმე ქმარს საკლასო მერხთან ხვართქლებში და წერა-კითხვას ასწავლიდა. ეს იყო ნამდვილი გმირობა ქალის მხრიდან, მონასტრის მორჩილი დის შესაშური სიჯიუტით ამეცადინებდა ქმარს, ისიც გასაოცარი ბებრული მოთმინებითა და სასწაულებრივი ნებისყოფით, მთელი არსებით მისცემოდა სწავლა-განათლებას, კითხულობდა წამღერებით, დამარცვლით, ქოთანში ჭატოა, ჭუდი ქარმა ააფრიალა. კითხულობდა მონდომებით, მაგრამ აწ გარდაცვლილი დედის ჩიტების ჟივჟივსა და გნიასში არც თვითონ ესმოდა სა-

კუთარი ხმა, არც სხვას. ინდიელმა მალამო ქილაში ჩადო. სესილია ყიდის სოკოს, სტაფილოს, სიმინდს, საზამთროს. სესილია ყიდის ყველაფერს, იცინოდა ის და გატაცებით იმეორებდა ლეტისია ნასარენოს მიერ წამღერებით, მეტრონომის დახმარებით წაკითხულ სავარჯიშოებს. კითხვისას ქალის ხმა ავსებდა ირგვლივ მთელ სივრცეს [illegible] სინორჩითა და სიკასკასით და არ იყო ამ უსამანო მოქრუშულ-ყვავილაში სხვა ჭეშმარიტება, გარდა ანბანურისა, იყო მხოლოდ ცაზე მთვარე, ბატკანი და ბანანი, დონ ხუანის ხარი და ოტილიას ლამაზი მანტილია. ბერიკაცი სავარჯიშოებს ლამის ყველგან და ლამის მთელი დღე კითხულობდა ხმამაღლა. სასახლეში ყოველ ნაბიჯზე მიკიდულ-მოკიდულ მის სურათებს ახლა მისი ხმაც მიემატა. ერთხელ ჰოლანდიის ფინანსთა მინისტრსაც კი შეაწყვეტინა საქმიანი საუბარი. მბრძანებლურად ზეაღმართული აბრეშუმის ხელთათმნიანი ხელით ანიშნა, აჰყოლოდა სიმღერაში. ქალი ქადას ჭამს, კუნძულზე ექვსი დღე ვიძუნძულე. ყოველ მარცვალზე მეტრონომივით აქანქარებდა თითს, მონდომებით იზუთხავდა მომავალი სამშაბათისთვის მიცემულ სავარჯიშოებს. უნდა ითქვას, საქვეყნო საქმეც მოაგვარა. ბატონო მინისტრო, საქმეზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. სხვა დრო აღარ დამდგარა, ჰოლანდიამ ულაპარაკოდ გადაუვადა ვექსილები. ბრმები, ხეიბრები და კეთროვნები ხომ სულ მთლად გააგიჟა. ვარდის ბუჩქებში შეყუჟულები დილაუთენია გამოაღვიძა პირქუში ბერიკაცის მოქადაგე ღვთისმსახურივით გაბმულმა სიმღერამ, მე ვარ მეფე, კანონია ჩემი სეფე. ნათელმხილველს ხილვები აქვს წყალში. შუქურა არის მაღალი კოშკი, რომელიც გემებს გზას უნათებს ღამით. ასე მღეროდა იგი თავისი დაგვიანებული ბედნიერებით — ლეტისია ნასარენოს ნაჩუქარი ბედნიერებით მთვრალი. მისთვის თავად დროს ერქვა ლეტისია ნასარენო, ჩემი ცხოვრების ლეტისია ნასარენო, ასე მოიხსენიებდა ცოლს ხშირად. კრევეტის სუნით ჩასქელებულ-გაჯერებულ და იმავდროულად გზნებით აღსავსე სიესტის დროს მხოლოდ ერთი სურვილი იპყრობდა ბერიკაცს, ოფლით გაჟღენთილ ჭილოფზე შიშველი წოლილიყო შიშველი ლეტისია ნასარენოს გვერდით, ღამურას ფრთებივით გაშლილ ელექტროვენტილატორის ქვეშ. არ არსებობს სხვა შუქი შენი დუნდულების შუქის გარდა, არ არსებობს არაფერი შენი ტოტემური ძუძუების, ბრტყელი ტერფების, სამკურნალო ბალახის სუნისა და შორეულ კუნძულ ანტიგუას იანვრის ხორშაკის გარდა, იმ კუნძულისა, სადაც ოდესღაც მოევლინე ამ ქვეყანას მარტოობის ერთ ადრიან დილას და შეისუნთქე ჩამყაყებული ჭაობის სულისშემხუთველი ჰაერი. ორივენი საგულდაგულოდ იკეტებოდნენ საპატივცემულო სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელში. ვერავინ ბედავდა ხელი შეეშალა მათთვის, კართან მიახლოვებისაც ეშინოდათ. არ მცალია, კითხვას ვსწავლობ. ქვეყანას რომ ყვითელი ციება დაერია, იმის თქმაც ვერ გაუბედეს მაშინ, რადგან ის კითხულობდა და მისი გულის ძგერა წინ უსწრებდა მეტრონომის დარტყმებს. შენი სუნი, ტყის ნადირის სუნი, სისხლს მიჩქროლებს, ლეტისია. და კვლავ განაგრძობდა წამღერებით კითხვას, ჯუჯა ცალი ფეხით ცეკვავს, ჯორი წისქვილისკენ მიჩაქჩაქებს, ოტილია ქოთანს რეცხავს, ძროხა და ძერა იწერება ძ-თი. ლეტისია კი ამ დროს ჩამოსიებულ თიაქარზე განავალს

წმენდდა, სიყვარულობანას დროს რომ ეპარებოდა ბერიკაცს. მერე
თბილ წყალში ბანდა სურნელოვანი საპნითა და ღრუბელით. სამკურ-
ნალო ბალახების ნახარშით განზავებულ წყალსაც ავლებდა ტანზე,
თან მასთან ერთად უკვე მერამდენედ იმეორებდა, ქალი, ქოთანი, ქა-
თამი იწერება ქ-თი. ჩაყანგულ ფეხებს, სახსრებს, ბანდაჟის ხმარებისგან
გაღიზიანებულ კანს კაკაოს ზეთით უზელდა, მიმჭანარ უკანალში
თალკს აყრიდა, თან დედაშვილურად უტყაპუნებდა ხელს, აი, შენ, აი,
ესეც შენ ჰოლანდიელ მინისტრთან გამოჩენილი დაუდევრობისთვის,
აი, შენ, აი, შენ. მერე ვითომ სასხვათაშორისოდ, თხოვნასაც მოაყო-
ლებდა, თუ გინდა დანაშაული გამოისყიდო, გასაცოდავებული სამონა-
ზვნო ორდენი დააბრუნე ქვეყანაში, უპატრონოდ მიგდებულ უპატრო-
ნოთა თავშესაფრებს, საავადმყოფოებს და სხვა საქველმოქმედო დაწე-
სებულებებსაც ისინი მიხედავენ. მაგრამ გულღრძო მოხუცი არა და
არაო, ჯიუტად იმეორებდა, და მართლაც, ამქვეყნად არ იყო ძალა,
ერთხელ და ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება შეეცვლევი-
ნებინა მისთვის. მაგრამ არც ქალი ეშვებოდა, დღის ორ სათზე ასთმური
შეტევის ფონზე სიყვარულობანას დროსაც კი ემუდარებოდა, ამის
მეტს აღარაფერს გთხოვ, ჩემო სიცოცხლევ, მიეცი უფლება, დაბრუნ-
დნენ ის საცოდავი მისიონერები, ისინი ხომ ქვეყანას არაფერს უშავებ-
ენ, თავიანთვის საქმიანობენ. სულსწრაფი, ვნებიანი ქმრის როლში
შეჭრილი ბერიკაცი მძიმედ ქშინავდა, არა-მეთქი, ჩემო სიყვარულო,
მიჯობს მოვკვდე, ვიდრე ის ქვედაკაბიანები დავაბრუნო, ჯორების ნაც-
ვლად ინდიელებზე სხედან და შუშის ჭყეტელა მძივებს ოქროს საცხ-
ვირე რგოლებსა და საყურეებზე ცვლიან. არა-მეთქი, ვთქვი და მორ-
ჩა. მაშინ ლეტისია ფეხებს ერთმანეთზე ატყუპებდა და ქმარს საწადე-
ლის ასრულების საშუალებას არ აძლევდა. თხოვნით კი კვლავ თხოვდა,
დაუბრუნე ეკლესიებს წართმეული სკოლები, მოხსენი ყადაღა საეკლე-
სიო ქონებას, დაუბრუნე შაქრის ქარხანა და ყაზარმებად ქცეული ტა-
ძრები. მაგრამ ქვაკაცი კედლისკენ ბრუნდებოდა და ჯიუტად იმეორე-
ბდა, მირჩევნია უარი ვთქვა შენს ტკბილ-მწარე სიყვარულზე, ვიდრე
დავაბრუნო ის სულწაწყმედილი ყაჩაღები, საუკუნეების მანძილზე სამ-
შობლოს რომ უკორტნიდნენ ღვიძლს. მაგრამ ისინი დაბრუნდნენ, ჩე-
მო გენერალო, თქვენი კონფიდენციალური განკარგულების თანახმად
პატარ-პატარა ჯგუფებად, ვიწრო, უჩინარი ხვრელებით დაბრუნდნენ,
უხმაუროდ გადმოსხდნენ ნაპირზე ზღვის უბეში. ზარალი ერთი-ორად
აუნაზღაურდა ყველას, ეკლესიებს ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდათ,
გაუქმდა კანონი სამოქალაქო ქორწინებისა და განქორწინების შესახე-
ბაც, გაუქმდა ის კანონიც, რომლის თანახმადაც სკოლა გამოყოფილი
იყო ეკლესიისაგან და ის კანონიც, რომელიც დედამისის ბენდისიონ
ალვარადოს გაწმინდანებაზე უარის თქმისას მიიღეს ჯიბრზე. ღმერთმა
ნათელში ამყოფოს მისი სული. ლეტისია ნასარენოს კიდევ ჰქონდა ერ-
თი სათხოვარი. აბა, ყური დამადე მუცელზე, ხომ გესმის სიმღერა, აი,
აქ, მუცელში რომ იზრდება, ის ბავშვი მღერის. ქალს თვითონაც გვა-
რიანად შეშინებია, შუალამისას დაძინებულს თავისივე მუცლიდან
რომ შემოსმია უცნაური ხმა. იქ, დალოცვილ ნაყოფსაფარ წყლების
წიაღში, ღვთიურ სამოთხეში, ახალი ხორცი ფაჩუნობდა. შენი ხორცია,

უთხრა ლეტისიამ და მანაც ქალს მუცელზე ნაკლებად მოზუზუნე ყური დაადო. გაურკვეველი თუხთუხი მოესმა. ეს ჩვენი ცოდვიანი სიყვარულის ნაყოფია, მე მას ღვთიურ სახელს ემანუელს დავარქმევ, დედისაგან სულის სიმტკიცეს მიიღებს მემკვიდრეობად, მამისაგან დიდებულებას, ყოველთა სულიერთა უჩინარი წარმმართველი [illegible] მამასავით, მაგრამ ამავ დროს უკანონოდ შობილის სახელ[illegible]ული ავლის ამქვეყნად მანამ, სანამ მამამისი საკურთხეველთან წერტილს არ დაუსვამს იმას, რასაც გარყვნილება, წლების მანძილზე ცოდვილიანი თანაცხოვრება და ღვთისგმობა ჰქვია. მაშინ იგი საწოლიდან წამოხტა, მოსკიტებისაგან დამცავი მაქმანიანი ფარდა გადასწია და გასვლისას ფარდის ფოჩებში გაბლანდულმა სადღაც სიღრმიდან ამოუშვა რისხვიანი ხავილი, ცოლის თხოვას სიკვდილი მირჩევნია, და გავარდა. უზარმაზარ ტერფებს მიაფლაშუნებდა მისთვის გაუცხოებულ დარბაზებში, რომელთა წარსული დიდებულება კვლავ ამობრწყინდა ბენდისიონ ალვარადოს უსაშველოდ გაგრძელებული სამგლოვიარო დღეების გასვლის შემდეგ. ფანჯრებიდან ჩამოხსნეს თალხი ფარდები და ოთახებსაც ზღვის შუქი მოეფინა, აივნებზე ყვავილებმა გაღვიძება იწყეს, აგრიალდა მუსიკაც და ეს ყველაფერი იმ ბრძანების თანახმად შესრულდა, რომელიც მას არ გაუცია, მაგრამ ნამდვილად მისას ჰგავდა. ჩემო გენერალო, აბა, სხვას ვის ექნებოდა ასეთი მტკიცე, აუღელვებელი და მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი ღირსებით აღსავსე მბრძანებლური კილო. რას იზამდა. თანახმა ვარ, არც მეორე ბრძანება გაუცია, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. თანახმა ვარ ჰოდა, გაიღო აქამდე დაგმანული ტაძრებიც, ყოფილ კონგრეგაციებს მონასტრები და საძვალეები დაუბრუნდათ, აღსდგა რელიგიური დღესასწაულები, დიდმარხვა. თუ წინათ მხოლოდ მის სადიდებელს მღეროდნენ, ახლა მცხუნვარე მზის ქვეშ მუხლმოყრილი იგივე ხალხი საზეიმო ჰიმნებით ხვდებოდა უფლის გამოსახულებას, რომელიც გემით ჩამოასვენეს ქალაქში. ვიცი, შენი ბრძანებით ჩამოასვენეს, ლეტისია. მართლაც, ეს ერთი იმ ბრძანებათაგანი იყო, საწოლში რომ იქმნებოდა, ხოლო შემდეგ ლეტისია თავის ნებაზე, სხვებთან შეუთანხმებლად როგორღაც ფარულად ახერხებდა გავრცელებას, კაცი კი, აქაოდა, ხალხის თვალში ავტორიტეტი არ დამეკარგოსო, თავი ისე ეჭირა, თითქოს პირადად მისი გაცემული ბრძანება ყოფილიყოს. ლეტისია გახლდათ იმ მორწმუნეთა უჩინარი წარმმართველი ძალაც, უწყვეტ ნაკადად რომ მოასკდნენ სამშობლოს საზღვრებს. კაცი კი თავისი საძინებლის ფანჯრიდან შესცქეროდა მათ და გაკვირვებას ვერ მალავდა, ახლა მეტი ხალხია, ვიდრე დედაჩემის, ბენდისიონ ალვარადოს დაკრძალვაზე იყო. ვიღას ახსოვდა ბენდისიონ ალვარადო, გაქრა მისი ხსენება, ქარს გაატანეს მისი საქორწინო კაბის ნაკუწები და ძვლების მტვერიც, საფლავის ქვაც კი შეაბრუნეს და კედელში წარწერიანი მხრიდან ჩაამაგრეს, რათა სამარადისო დავიწყებას მისცემოდა თავისივე გაფერადებული ჩიტებით მოვაჭრე ქალი. ესეც შენი ბრძანებით აღასრულეს, ლეტისია, შენ არ ისურვე სხვა ქალის მოგონების ჩრდილქვეშ ყოფნა, ჩემი უბედურების ლეტისია ნასარენო, შე ბოზის შვილო, გინდა რომ მხოლოდ შენ ცოცხლობდე ჩემს მოგონებებში. ლეტისიამ შეუძლებელი შეძლო, იმ ასაკში შეცვალა კაცი, როცა

მხოლოდ სიკვდილს ძალუძს ადამიანის შეცვლა. ლოგინის კანონებით მიაღწია იმას, რომ ბოლოს და ბოლოს მოდრიკა ქმრის სიჯიუტე. აიძულა ახალი ბანდაჟი ჩაეცვა, მიჩამიჩებული ისე გიქანცარებს, როგორც უკუნეთში გზააბნეულ ცხვარს ზანზალაკიო. ძალით ჩააცვა ის ლაკის ჩექმები, რითაც სილამაზის დედოფალთან პარადიზეულ ცეკვისას იწონებდა თავს, მარცხენა ჩექმაზე ადმირალის ნაჩუქარი ოქროს დეზებიც მიაკრა და პირობა დააღებინა, რომ სიკვდილამდე ატარებდა როგორც უმაღლესი ხელისუფლების სიმბოლოს. ძალით ჩააცვა ოქრომკედით ნაქარგი, ეპოლეტებიანი, ქანდაკებასავით მძიმე მუნდირი, რომელიც აღარც ახსოვს, ბოლოს როდის ეცვა, მგონი, სულაც მაშინ, დიდზე დიდი ხნის წინათ, როცა ამ ქვეყანას ევლინებოდა ბატონ-პატრონად, როცა პრეზიდენტის კარეტის ფარდებს მიღმა წამით გაიელვებდა ხოლმე მისი პროფილი, ფიქრიანი თვალები, აბრეშუმის ხელთათმნიანი მელანქოლიური ხელი. ხმალი ძალით მიაჩეჩა ხელში, მამაკაცების სუნამო დააპკურა და მკერდიც დაუმშვენა მედლებითა და წმ. მღვდელმთავრის ორდენის კავალრის ბაფთით, რომელიც რომის პაპმა უბოძა ეკლესიებისთვის წართმეული ქონების დაბრუნებისთვის. ცირკის მასხარასავით მორთულ-მოკაზმული დილაადრიან მიმათრიე პირქუშ სხდომათა დარბაზში. სანთლებს, ფანჯრებზე დაკიდულ შემჭკნარ ფორთოხლის ტოტებსა და კედლებზე გაკრულ სამშობლოს სიმბოლოებს სამარის სუნი ასდიოდათ. არც მღვდელი ახლდათ, არც მეჯვარე. მორჩილი პატარძალი ორმაგ ქვედა კაბაში მალავდა წამოზრდილ მუცელს. შიგნითა კაბა თაბაშირივით მაგარი ტილოსი იყო, ზემოთა — შრიალა აბრეშუმისა. ქალი მეშვიდე თვეში გადამდგარიყო და საგულდაგულოდ ცდილობდა დაემალა ცოდვილი სიყვარულის ნაყოფი, დაემალა თავისი შერცხვენა. ორივენი ოფლში იწურებოდნენ, უხილავი ხალხის ტალღა შემოჯაროდა სხდომათა დარბაზს, სასახლესთან ყველა მისასვლელი ჩაეკეტათ, ფანჯრებზე სახელმწიფოს ღერბიანი ფარდები ჩამოეფარებინათ. ამ ჯვრისწერის ამბავი კაციშვილს არ უნდა გაეგო. ვიდრე ლეტისიას სიცხისგან სული ეხუთებოდა და პირმშოც ბნელით მოცულ მეჩეჩებში ცურვისას გვარიან მუჯლუგუნებს სთავაზობდა დედას, მამა თავისთვის ფიქრობდა, ნამდვილად ბიჭი გაჩნდებაო. ასეც იყო. სწორედ ეს ბიჭი მღეროდა სადღაც დედის მიწისქვეშეთში. მღეროდა ისეთივე იდუმალ ხმაზე, როგორც საზეიმოდ გამოწყობილი არქიეპისკოპოსი მღეროდა ღვთის სადიდებელს იდუმალ და ამავდროულად დაგუდულ ხმაზე, რათა მთვლემარე გუშაგის ყურს არ მისწვდენოდა ოდნავი ჩქამიც კი. დედის წიაღში მობორიალე ბავშვის შიში, გზააბნეული მყვინთავის შიში, ისეთივე უკუნი იყო, როგორც არქიეპისკოპოსისა, რომელმაც კინაღამ სული მიაბარა უფალს, როცა ამ ჯოჯოხეთის მაშხალა ბერიკაცს ჰკითხა, თანახმა ხართ, ცოლად მოიყვანოთ ლეტისია მერსედეს მარია ნასარენოო. აქამდე არავის გაუბედავს ასეთი შეკითხვით მიემართა მისთვის. თანახმა თუ ხართო. არასოდეს, სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს. პასუხად კი თვალებმოჭუტულმა წყნარად წარმოთქვა, თანახმა ვარ. ამ სიტყვებზე მის მკერდზე ასხმული რეგალიები სუსტად აწკარუნდნენ, ეტყობა, მათ პატრონს გული შეუქანდა. ამასობაში კი იმ საშინელმა ბავშვმა დრო იხელთა, სანაყოფო წყლებში გზა გაიკვლია

და სინათლისაკენ გაუტია. ლეტისია ტკივილისაგან დაიკრუნჩხა, აქ-
ლოშინდა. უფალო, გადმოჰფინე სიკეთე მხევალსა შენსა, რამეთუ ხორ-
ციელი ტკბობა ამჯობინა შენს წმინდა მცნებებს, უფალო, ლეტისია ვარ
შენი რისხვისა. საკუთარი მენჯის ძვლების ჭახაჭუხი რომ დაეფარა,
ხმაურით შემოიფხრიწა მაქმანის არშიები, სწრაფად ჩაცურდა ქვე-
დაკაბების ნაოჭებიდან უცბად თავისი უდღეური ნაშობი [illegible]
ნა ნაადრევად შობილ ხბოსავით გასლექილი და გალეული. ქალმა ორი-
ვე ხელით ზეასწია ახალშობილი და სახელდახელოდ გამართული სა-
კურთხევლის მქრქალ შუქზე შეათვალიერა. ჩემო გენერალო, ბიჭია,
თქვენ ხომ ბიჭი გინდოდათ. ეს იყო ძვალტყავა ნამცეცა ბიჭი, რომელ-
საც დაუმსახურებლად უნდა ეტარებინა ღვთიური სახელი ემანუელი.
მამამ ბავშვი სამსხვერპლო ქვაზე დააწვინა, ჭიპლარი ხმლით გადაუჭ-
რა, დივიზიის გენერლის მაღალი წოდება მიანიჭა და ამ წუთიდან აღ-
იარა იგი როგორც ერთადერთი და კანონიერი მემკვიდრე. მამაო, მო-
მინათლეთ ბავშვი. ეს უპრეცედენტო შემთხვევა ახალი ეპოქის პრელუ-
დიას წარმოადგენდა და მძიმე, ძრწოლით აღსავსე ხანის დაწყებას მოას-
წავებდა. ჯარისკაცები დილაუთენია კეტავდნენ ქუჩებს, მოსახლეობას
აიძულებდნენ საგულდაგულოდ ჩაერაზათ აივნები, კარ-ფანჯრები, ბა-
ზრის ხალხს კონდახის ცემით ფანტავდნენ აქეთ-იქით, ეს ყველაფერი
კი ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვალი არავის მოეკრა სწრაფად
ჩავლილი კრიალა დაჯავშნული მანქანისათვის, მაგრამ მიუხედავად
გამკაცრებული ზომებისა ზოგიერთი მაინც ახერხებდა სახურავზე ამ-
ძვრალს თვალი მოეკრა პრეზიდენტის მანქანაში მჯდომი ადამიანისათ-
ვის. აბრეშუმის ხელთათმნიან ხელზე ნიკაპდაყრდნობილ და ჩაფიქრე-
ულ ათასწლოვან სამხედრო კაცის ნაცვლად ეროვნული დროშის ფე-
რებად გადაღებილ მანქანაში ამჟამად ყოფილი მონაზონი იჯდა. ფე-
ტრის ჭრელაჭრელა ყვავილებით მორთული ჭილის ქუდი ეხურა, ყე-
ლზე კი, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, ცისფერი მელიის კუდები
შემოეხვია. ოთხშაბათობით დადიოდა ბაზარში. ხშირად გვინახავს, დი-
დის ამბით გადმოდიოდა მანქანიდან, რამდენიმე მცველის თანხლებით
შედიოდა ბაზარში, თან მიაჩანჩალებდა ცეროდენა დივიზიის გენერალს,
სამი წლის ნაზ ბიჭს, რომელიც ოქრომკედით ნაქარგ საზეიმო სამხედ-
რო მუნდირში გამოწყობილ გოგოს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბიჭს. მუნ-
დირი ისე კოხტად ადგა ტანზე, თითქოს ამ მუნდირში დაიბადაო. და-
ახლოებით ასეც იყო. კბილი ჯერ ამოჭრილიც არ ჰქონდა, რომ დედა-
მისი მუნდირს აცმევდა. ოფიცერთა შეკრებაზე მამამისის მაგივრად
ჯერ კიდევ საბავშვო ეტლით რომ უწევდა მისვლა, მაშინაც ეცვა. დე-
დის ხელში ატატებული თავისი ჯარების აღლუმს რომ ესწრებოდა,
მაშინაც ეცვა. სტადიონზე დედა თავის პატარას მაღლა რომ სწევდა,
რათა აღრიანცელებულ ხალხს ოვაცია გაემართა მისთვის, მაშინაც ეც-
ვა და ეცვა მაშინაც, როცა რომელიმე ეროვნული დღესასწაულის აღ-
სანიშნავ პარადზე ღია მანქანაში წოვდა ძუძუს. ლეტისია აინუნშიაც
არ აგდებდა წარჩინებულთა ქირქილს, ერთი ნახეთ, ეს ჩვენი კუსპარა
გენერალი რა ხბოსავით მიჰკვრია დედამისის დატიკნულ ძუძუსო. რო-
გორც კი ფეხი აიდგა და სხვის დაუხმარებლად შეძლო სიარული, იმ
დღიდანვე მარტო მუნდირჩაცმული კი არა, საბრძოლო ჩინ-მედლებით

მკერდდამშვენებულიც ცხადდებოდა დიპლომატიურ მიღებებზე. ამ მედლებსაც საკუთარი გემოვნებითა და შეხედულებით არჩევდა სათამაშოდ ნაჩუქარ მამამისის რეგალიებიდან. დინჯი და უცნაური ბავშვი იყო, ექვსი წლისას თავი შესანიშნავად ეჭირა ხალხში, უფროსებს თანატოლივით ესაუბრებოდა, ზრდილობით, თავაზიანობით გამოირჩეოდა, მორიდებულად წრუპავდა ხილის წვენს შამპანურის ნაცვლად. მაგრამ ისეც მომხდარა, საზოგადოებაში ყოფნისას [illegible] საზეიმო ცერემონიალზე დარბაზს თითქოს ღრუბელმა გადაუარაო, უმაღლესი ძალაუფლებით მოსილი რულმორეული დოფინი მთქნარებას იწყებდა და ბოლოს იძინებდა კიდეც. თითქოს დრო შეჩერდაო, სტუმრები საუბარს წყვეტდნენ, ერთმანეთს ანიშნებდნენ, ჩუმად, პატარა გენერალს სძინავს. ადიუტანტებს იგი ხელში ატატებული გაჰყავდათ დარბაზიდან, თან მიაცილებდათ საზეიმოდ გამოწკეპილი, დაქირავებული მკვლელებისა და უგრძნობელი ქალების მზერა. ქალები ფრინველთა ფრთების მარაოებს მიღმა მალავდნენ დამცინავ ღიმილს, თან გაუბედავად ჩურჩულებდნენ ერთმანეთში, რა საშინელებაა, ეს რომ გენერალმა იცოდეს. გენერალმა მამამ კი რატომღაც თვითონ ჩაიჭედა თავში, რომ არაფერი იცის და სურდა სხვასაც ასე ეფიქრა. თითქოს მისთვის სულერთი იყო უბრალო, ყოფითი ამბები, მის დიდებულებას არ ეკადრება ან სულაც სად აქვს იმის დრო, ყურადღება მიაქციოს იმ ბიჭუკელას გამოხდომებს, რომელიც მან თავისსავე მიერ ჩასახულ უამრავ ბავშთაგან გამოარჩია და აღიარა ერთადერთ შვილად. არ მეკადრება ყურადღება მივაქციო ჩემი ერთადერთი კანონიერი ცოლის ლეტისია ნასარენოს გაუთავებელ პოხონდრიებსაც. ჰოდა, სწორედ ეს ლეტისია ნასარენო ჩვეულებისამებრ ოთხშაბათ დღეს დილაუთენია სტუმრობდა ქალაქის ბაზარს თავის სათამაშო გენერალთან, რამდენიმე მოახლე ქალთან და დენშჩიკებივით ჩაცმულ თავზეხელაღებულ კაცებთან ერთად. ისინი მოჩვენებებს ჰგავდნენ ადრიანი დილის უცნაურ ნათელში. ეს ის წამი იყო, როცა ამომავალი მზის სხივები ჯერ არ დაჰფენოდა კარიბის ზღვას. ისინი ამყრალებულ ყურეში შედიოდნენ, წელამდე წყალში მიტოპავდნენ პატარა, მოოქროვილ იალქნიან ხომალდისკენ, რათა პირწმინდად გაეძარცვათ. ნავსადგურში, სადაც ოდესღაც მონებით ვაჭრობდნენ, გემებით ჩამოეტანათ მარტინიკული ყვავილები და პარამარიბული ზარდანჩო. ლეტისიას მცველები ჩვეულებას არ ღალატობდნენ, რამდენიმე გემს იღებდნენ მიზანში და მათკენ მიეშურებოდნენ. გზადაგზა ყველაფერს იტაცებდნენ, მეთევზეებს ერთ თევზსაც არ უტოვებდნენ, უვარგისსაც კი, გასაყიდად მოდენილ ღორებისთვის საჭმელად რომ გამოდგებოდა მხოლოდ. კონდახის ცემით მიჰყავდათ ღორები ძველთაძველ, მაგრამ აქამომდე ვარგის სასწორთან, რომელზეც უხსოვარ დროში, სხვა ეპოქაში და სხვა ოთხშაბათ დღეს, ე. ი. ქვეყანაში მის მოსვლამდე, მორცხვად იდგა ულამაზესი სენეგალელი მონა ქალი, რომელიც აუქციონზე გაიყიდა მის წონა ოქროდ, შესაძლოა უფრო მეტადაც. ყველაფერი წაიღეს, ჩემო გენერალო, სარანჩაზე უარესები არიან, ციკლონზე უარესებიც. მაგრამ გენერალს ეს ამბავი დიდად არ მიუტანია გულთან, მოახლოებული უბედურების წინათგრძნობას არ შეუწუხებია არც ამ ოთხშაბათს და არც იმ ოთხშაბათს, როცა გათამამებული ლეტისია

ფრინველითა და ბოსტნეულით მოვაჭრეებში გაერია ქუჩის ძაღლებით გარშემორტყმული. ძაღლები გაავებული უყეფდნენ ქალის ყელზე შემოხვეულ შუშისთვალებიან მელიებს. ლეტისია ყურადღებას არ აქცევდა ძაღლების ყეფას, ამაყად დააბიჯებდა სავაჭრო ცენტრის [illegible]ბარ თალებქვეშ, რკინის სვეტებზე გადებულ რკინის ტოტებით მორთულ ყვითელი შუშის საფარქვეშ. ტოტებზე ვარდისფერი შუშის ვაშლები და მცენარეული სამყაროს ზღაპრული, ცისფერი შუშის ნობათი ეკიდა. ლეტისია არჩევდა სალსა და მწიფე ხილს, ქორფა ბოსტნეულს, მაგრამ ხელის მიკარებისთანავე ხილიც და ბოსტნეულიც უმალვე ჭკნებოდნენ და ლპებოდნენ. თვითონ ლეტისიამაც არ უწყოდა, რატომ ჰქონდა ასეთი ხელები, რასაც შეეხებოდა, აფუჭებდა, ახალგამომცხვარ პურს ობი ეკვროდა, ალიარებითაც არ სურდა ელიარებინა საკუთარი ნაკლი და მოვაჭრე ქალებს ლანძღვა-გინებით იკლებდა, კარგსა და ახალს მალავთ, დამპალი და ძველი გინდათ შემომასაღოთ, თქვე გათახსირებულებო, ეს მანგო ღორებს აჭამეთ, უდღეურებო, თქვენა გგონიათ არ მესმის, ეს აიუამა[1] როგორ ბუყბუყებს მუსიკოსის გოგრა თავივით. ამ მძღ...ს თქვენ ხორცს ეძახით, ბოზის შვილებო, სინდისი სულ დაკარგეთ, ამას ხომ სულელიც მიხვდება, ძროხისა კი არა, მკვდარი ვირის ფერდები რომ არის. სანამ ლეტისია ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა, მოახლეები და დენშჩიკები კალათებს ხილითა და სანოვაგით ავსებდნენ, დახლებიდან ერთიანად ხვეტდნენ ყველაფერს, ლეტისიას ხმა ძაღლების ყეფას ფარავდა. ისინი კვლავ იწევდნენ ყელზე შემოხვეულ მელიებისკენ, რომლებსაც ჯერაც ასდიოდათ პრინც ედვარდის კუნძულზე მელიების სოროებზე დაფენილი ფოთლების სუნი. სწორედ ამ კუნძულიდან გამოიწერა ქალმა ცოცხალი მელიები. ის იქედნური რეპლიკები კი, პატრონები დიდი სიამოვნებით რომ მიახლიდნენ სახეში ამ ბატრაკვეცას და თავიანთ თუთიყუშებს ასწავლეს, რა მოსატანი იყო ლეტისიას უწმაწურ, ქუჩურ გინებასთან. თუთიყუშები ზედ გუმბათქვეშ რკინის ტოტებსა და დამტვერილი შუშის ფოთლებზე შემომსხდარი ხმამაღლა ჩხაოდნენ, ლეტისია ქურდო, ბოზო მონაზონო. ისე მაღლა ისხდნენ, ვერაფრით რომ ვერ მისწვდებოდათ ბუკანეროული სამბაპალოს[2] ყოვლისწამლეკავი გრიგალიც კი, რომელსაც ყოველ ოთხშაბათ დილას ცეკვავდნენ ცეროდენა გენერლის ბობოქარი ბავშვობის საპატივცემულოდ. რაც უფრო ცდილობდა ბავშვი, მოზრდილ კაცს დამსგავსებოდა, მით უფრო ნაზი და ალერსიანი უხდებოდა ხმა, ხოლო ქცევა — დახვეწილი. ეს მუყაოს გენერალი წკარუნით მიითრევდა მიწაზე ბანქოს მეფის ხმალს და მეტისმეტად აუღელვებელი ჩანდა ამ ბაზრულ ჯგლეთაში. ძარცვა-გლეჯის შემყურეს თავი მშვიდად, ქედმაღლურად და ღირსეულად ეჭირა. ასე ჩაუნერგა დედამ, ასე სურდა დედას, მისი შვილი დაბადებიდანვე ელიარებინა ყველას კეთილშობილ პიროვნებად, თვითონ კი ამ დროს მართლაც რომ ბაზრის დედაკაცივით დააბოტებდა ტალახში და უწმაწური ლანძღვა-გინებით იკლებდა ჭრელა-

---

1 ტროპიკული ხილი.

2 ძველებური ცეკვა-გროტესკი. ბუკანეროები — დაუსახლებელი ესპ. მიწები ამერიკაში.

ჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილ ზანგ დედაბრებს, რომლებიც აინუ-ნშიც არ აგდებდნენ მის გინებას, გულგრილად შესცქეროდნენ უსირ-ცხვილო ძარცვა-გლეჯას. სამუდამო განმარტოებისთვის განწირულ კე-რპებივით ისხდნენ, თვალს არ ახამხამებდნენ თითქოს არც სუნთქავდ-ნენ, მხოლოდ ეს იყო, მარაოებით ინიავებდნენ სახეს და ამ უსინდისო ყაჩაღობის შემყურეთ სიმშვიდე რომ არ დაეკარგა[illegible]ა და კო-კას[1] ღეჭავდნენ, ამასობაში კი თავისი ხროვით [illegible]ული და გაა-ვებული ძაღლებაკიდებული ლეტისია ნასარენო ბაზრის გასასვლელის-კენ მიემართებოდა თავის ვაიგენერალუკასთან ერთად და გაკაპასე-ბული ყვიროდა, ანგარიში მთავრობას გადაუგზავნეთო. დედაბრები ჩუმად ვიშვიშებდნენ, ღმერთო მაღალო, ეს რომ გენერალმა იცოდეს, ნუთუ არავინაა ამბის მიმტანი. სულელი დედაბრები დარწმუნებული იყვნენ, გენერალმა არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა იმას, რაც მისდა დიდად სამარცხვინოდ მთელმა ქვეყანამ იცოდა, მისი ერთადერთი და კანონიერი ცოლი ლეტისია ნასარენო ყაჩაღობაზე რომ იყო გადა-სული. ინდუსთა ფარდულებიდან შუშის უგვანო გედები, ნიჟარებიან ჩარჩოში ჩასმული სარკეები, მარჯნის საფერფლეები გამოჰქონდა. სი-რიელების ფარდულებიდან სამგლოვიარო თავთის ქსოვილებს ზიდავდა, იუველირებს ხომ პირდაპირ ყუთიდან ტაცებდა მუჭით ოქროს თევზების ყელსაბამებსა და მუშტის ფორმის ავგაროზებს. ოქრომჭედლები აღარ ერიდებოდნენ ამ ყაჩაღ ქალბატონს, შენ უფრო ხარ მელა, ვიდრე შენს ყელზე შემოხვეული ეგ ცისფერი ლეტისიებიო. იტაცებდა ყველაფერს, რასაც კი მისი ხარბი თვალი სწვდებოდა. მორჩილობის დროიდან შე-მორჩენოდა მდარე გემოვნება და მათხოვრობისაკენ სწრაფვა, მაგრამ თუ ადრე ჟასმინის სურნელებით გაჟღენთილ სამეფო უბანში მათხოვ-რობით გაჰქონდა თავი, ახლა უკვე სამხედროების ფურგონიც არ ჰყო-ფნიდა, ხაძარცვით პირთამდე ავსებდა და თან ქედმაღლურად ბრძანებ-და, ანგარიში მთავრობას წარუდგინეთო. ეს იგივე იყო, რომ ეთქვა, ან-გარიში მამაზეციერს წარუდგინეთო, რადგან არავინ უწყოდა, საერ-თოდ, ეთქმოდა კი მთავრობა არსებულ აჩრდილს. დე არმას მოედნის მახლობლად, ბორცვზე, ჩვენ ვხედავდით ციხე-სიმაგრის კედლებს, ვხე-დავდით პრეზიდენტის სასახლესა და მის ისტორიულ აივანს, საიდანაც ოდესღაც ისტორიულ სიტყვებს ისმენდა ხალხი. ვხედავდით მაქმანის ფარდებიან ფანჯრებს და რაფაზე შემომდგარ ლარნაკებს. ღამით სასა-ხლე გემს ჰგავდა, ოღონდ ცაზე მცურავს და მარტო ქალაქის ყველა მხრიდან კი არა, შუა ზღვიდანაც კარგად ჩანდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცნობილი პოეტის რუბენ დარიოს ჩამოსვლასთან დაკავ-შირებით თეთრად შეღებეს და მრგვალი ლამპიონებითაც გააჩახჩახეს, მაგრამ ჩვენ მაინც ვეჭვობდით, არ გვჯეროდა, რომ პრეზიდენტი სა-სახლეში ცხოვრობდა, პირიქით, ყველანაირი საფუძველი გვქონდა გვე-ფიქრა, რომ ის სასახლეში არ ცხოვრობდა და ეს ყველაფერი — გაჩახ-ჩახებული ლამპიონები, თეთრად შეღებილი სასახლე და სხვაც ბევრი რამ — სამხედროების მოგონილი იყო მოსაჩვენებლად და ჩვენს დასარ-წმუნებლად, ვითომდა ამ კედლებს მიღმა ცხოვრება ჩვეულებრივად

---

1 მცენარე, რომლისგანაც კოკაინს ამზადებენ.

მიედინებოდა, ბებერი გენერალი მისტიციზმში იყო ჩაძირული, ამქვეყნიურ სიკეთესა და პატივზე უარი თქვა და საკუთარ თავს თავადვე მიუსაჯა სული თვისი ეტანჯა და ხორცი თვისი ეგვემა ოკეანის საგნებით. იმასაც ამბობდნენ, პატარა ნატეხი შავი პურითა და ერთი ჭიქა წყლით უდგას სულიო, საწოლადაც იატაკი ირჩია ბისაკელეულა მონასტრის ერთ განმარტოებულ სენაკში და ვიდრე არ [illegible] ქალის მიმართ ჩადენილ უმძიმეს ცოდვას, იქიდან არ გამოვაო. ერთი ღვთისმოსავი მონაზონი შეუცდენია და დაუორსულებიაო, — ლაპარაკია ამ ღვთისგან წყეულ დედაკაცზე, რომელსაც, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ არ მიულია ყველა უმაღლესი ორდენი. მაგრამ ხმები ხმებად რჩებოდა, ცხოვრება კი ძველებურად მიედინებოდა ამ მოხუცის ნაღვლიან, უკიდეგანო სამფლობელოში, მისი ძალაუფლების გასაღები ლეტისია ნასარენოს ეპყრა ხელთ და როცა ის ბრძანებდა, ანგარიში მთავრობას წარუდგინეთო, თან იქვე უმატებდა, ასეთია პრეზიდენტის ნებაო. ეს ძველთაძველი ფორმულა პირველ ხანებში თითქოს დიდად საგანგაშოს არ წარმოადგენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ კრედიტორებმა იფიქრეს, თუ ამ საქმეს დროზე არ მივხედეთ, შეიძლება ფული სულ დავკარგოთო. გამბედაობა მოიკრიბეს და კიდეც მიადგნენ სასახლეს გაუნაღდებელი ქვითრებით დატვირთული ჩემოდნებით ხელში. ჩემოდნები სასახლის საყარაულოში დავტოვეთ. ყველაზე მეტად აქ იმან გაგვაოცა, რომ გარკვეული პასუხი ვერავინ გაგვცა, არც ჰო გვითხრეს, არც არა. მორიგე მოსაცდელი ოთახისაკენ წაგვიძღვა. იქ მეტისმეტად ზრდილი და მეტისმეტად ახალგაზრდა ოფიცერი დაგვხვდა, სტუმართმოყვრულად შემოგვთავაზა ფინჯანი ყავა. პრეზიდენტის პლანტაციებიდანაა, გვითხრა ღიმილით, მერე დაგვათვალიერებინა თეთრი, შესანიშნავად განათებული კაბინეტები ცხაურაკრული ფანჯრებითა და ჭერზე დაკიდული ვენტილატორებით. ირგვლივ ისეთი სისუფთავე, ისეთი სისადავე და სინათლე მეფობდა, ყველაფერი ისე იყო გაჯერებული ჰუმანურობით, რომ გაკვირვებას ნამდვილად ვერ ვფარავდით. აკი ხელისუფლება სულს ღაფავსო, სასახლეში სუნამომოპკურებული სიმყრალე დგასო, სიძუნწე, სელმოჭერილობა იგრძნობაო. რაზე ეტყობათ ან სიძუნწე ან სიმყრალე ამ აბრეშუმის პერანგებში გამოწყობილ ჩინოვნიკებს. ყმაწვილი ოფიცერი მომცრო პატიოში შეგვიძღვა. იქ ლეტისია ნასარენოს ვარდის ბუჩქები ლამაზად შეეკრიჭ-შემოეკრიჭა, დილის ჰაერი და ცვარ-ნამი კეთილშობილებისა, ბრმებისა და ხეიბრების სიმყრალისაგან გაუწმენდავს, ღვთისგან დავიწყებულ უპატრონო დავრდომილთა თავშესაფრებში გაუმწესებია ყველა. ოფიცერმა გვიჩვენა დაფახფახებული ბარაკიც, სადაც პრეზიდენტის სარჭები ცხოვრობდნენ ოდესღაც, გვიჩვენა დაჟანგული საკერავი მანქანები, ყაზარმული საწოლები, რომლებზეც ჰარამხანის ქალები სამ-სამიც კი იწვნენ. ამ სირცხვილის ბარაკს თავის საკნებიანად მალე დავანგრევთ და მის ადგილზე სამლოცველოს ავაშენებთო, გვამცნო ოფიცერმა და წაგვიძღვა სასახლის ყველაზე წმინდათაწმინდა ადგილისაკენ, სადაც ნაშუადღევის მზეზე ოქროსფრად აელვარებულ ყავილებისა და მწვანე მოაჯირს მილმა იდგა მაგიდა, პრეზიდენტმა სულ ახლახან ისადილა აქ ლეტისია ნასარენოსა და შვილთან ერთადო. მერე

ლეგენდარული სეიბის ხეც გვიჩვენა, რომლის ჩრდილში გაკიდულ ერ-ოვნულ დროშასავით ორფერი ქსოვილის ჰამაკში უყვარდა ხოლმე ბერიკაცს მცხუნვარე სიესტის დროს განცხრომით წოლა. ეხსნეთ ფერმაც და ფუტკრის სკებიც, მერე კი როცა იმ გზით ვბრუნდებოდით უკან, რა გზითაც პრეზიდენტი ყოველ დილით დადიოდა ფერმაში, რათა ძროხების წველისთვის ედევნებინა თვალი, ყმანვილი ოფიცერი უცებ შედგა და გახარებულმა გვანიშნა ტალახში ჩექმის ნაკვალევზე. ნახეთ, ეს მისი კვალია. ჩვენც მონუსხულებივით დავაჩერდით უზარმაზარ ნაფეხურს, რომლისგანაც მოედინებოდა დიდებულება, ძლიერება, სიმშვიდე და მარტოობას შეჩვეულ იაგუარის სუნი. ამ ნაფეხურის ცქერისას ჩვენ უფრო მეტად შევიგრძენით ძალაუფლების იდუმალება, ვიდრე ერთ-ერთმა ჩვენგანმა, ვისაც ნება დართეს პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრისა. შეახვედრეს კი მაღალჩინოსანმა სამხედროებმა, რომლებსაც ყელში ამოსვლოდათ ამ მატრაკვეცა დიაცის თავნებობა. ლეტისია ნასარენოს მეტი ძალაუფლება ეპყრა ხელთ, ვიდრე მთელ მთავრობასა და უმაღლეს მთავარსარდლობას, ვიდრე თვით პრეზიდენტს. ამ დედაკაცმა ისე შორს შეტოპა, რომ თავი დედოფლად წარმოიდგინა, გაიფუყა და გაიბერა. გენერალურ შტაბსაც მოთმინების ფიალა აევსო, აბუნტდა, ველარ მოვითმენთ მის თავხედობასო და გვთხოვეს, პრეზიდენტთან შეხვედრაში ჩვენ დაგეხმარებით, მხოლოდ ერთ საშვს დავაშვებინებთ პრეზიდენტთან მილებაზეო, ოღონდ იქნებ სიტყვა გადაუკრათ მოხუცს, ჩემო გენერალო, რომ იცოდეთ, რა ხდება თქვენს ზურგს უკან-თქო. ჰოდა, მოხდა ისე, რომ მე მომიწია პრეზიდენტთან შესვლა. მარტო იყო თავის ქათქათა კაბინეტში, კედლებზე ინგლისური ჯიშის ცხენების სურათები ეკიდა. სავარძელში იჯდა ოდნავ უკან გადაწეული, უზარმაზარი ვენტილიატორის ქვეშ. ლითონის ღილებიანი თეთრი, უბრალო, დაკუჭული, უნიშნო მუნდირი ეცვა. ხელთათმნიანი მარჯვენა ხელი მაგიდაზე დაესვენებია. მაგიდაზე სამი ოქროსჩარჩოიანი სათვალე იდო, სხვა არაფერი. მის ზურგს უკან თაროებზე ჩარიგებული ტომეულები კაცის ტყავში ჩასმულ საბუღალტრო დავთრებს ჰგავდნენ. მარჯვნივ რკინის გისოსიან ღია ფანჯარაში მთელი ქალაქი და კრიალა, ჰორიზონტამდე გადაჭიმულ ზღვის გალმა ნაპირს შეერთებული უჩიტო ზეცა მოჩანდა. გულზე მომეშვა, პრეზიდენტი ძალზე უბრალო მომეჩვენა თავის გარშემომყოფებთან შედარებით, შინაურული და სრულიად სხვა, ვიდრე სურათებზე იყო. შემეცოდა, ძალიან ბებერი იყო, ყველაფერი ბებრული ჰქონდა, თითქოს უკურნებელმა სენმა გამოფიტა და დაასუსტაო, იმის ძალაც არ შესწევდა, ჩემთვის ეთქვა, დაჯექითო, მხოლოდ აბრეშუმის ხელთათმნიანი ხელით მანიშნა სკამზე. ისე მისმენდა, არ მიყურებდა, მძიმედ, სტვენასტვენით სუნთქავდა და კაბინეტიც ამიაკის სუნით იყლინთებოდა. ანგარიშები რომ წარვუდგინე, გამოფხიზლდა. რაკიღა მისთვის აბსტრაქტული კატეგორიები მიუწვდომელი იყო, მე შეძლებისდაგვარად უბრალოდ და გასაგებად, თითქოს სკოლის მოსწავლე ყოფილიყოს, ავუხსენი ყველაფერი, რაც იქ ეწერა. აქედან სანტა მარია დე ალტარამდე რომ მანძილია, იმაზე ორჯერ მეტი სიგრძის თავთის ქსოვილი აქვს ფარდულიდან გატანილი ლეტისია ნასარენოს-მეთქი, ე. ი. ასოთხმოცდაათი

მილი-მეთქი. აჰა, თითქოს საკუთარ თავს უთხრა მან. დასასრულს ერთხელ კიდევ ავუხსენი, მთელი ვალი, თუ მხედველობაში მივიღებთ თქვენი უდიდებულესობისათვის დაწესებულ საგანგებო შეღავათს, უტოლდება ათი წლის მანძილზე ლატარიაში ექვსჯერ მოგებულ თანხას-მეთქი. მან ერთხელაც უთხრა საკუთარ თავს აჰა [illegible] ახლაღა შემომხედა სახეში, უსათვალოდ. შევამჩნიე, [illegible] ებული და მოწყალე ჰქონდა, ხოლო როცა ალაპარაკდა, ხმაც უცნაური აღმოაჩნდა, თითქოს მკერდში დანჯღრეული ფისგარმონია ედგა. მჯერა, რაც მომახსენეთ, ყველაფერი მართალია, რაც შეეხება დანახარჯის ანგარიშებს, იგი მთავრობას უნდა წარუდგინოთ. დიახ, სწორედ ასეთი იყო იგი მაშინ, როცა ლეტისია ნასარენო ცდილობდა დაეხსნა ქმარი დედამისის, ლამის ქვის ხანის ველური ქალის ბენდისიონ ალვარადოს ალმზრდელობით ჩარჩოებიდან. ლეტისიამ გადააჩვია იგი ზეზეულად, სიარულის დროს ჭამას, ახლა უკვე სამივენი ერთად უსხდნენ მაგიდას პლაჟზე, სამფერა იებით მორთულ ჩარდახქვეშ. კაცი ბიჭის პირდაპირ იჯდა, ლეტისია მაგიდის თავში და ორივეს ასწავლიდა მაგიდასთან ქცევის წესებს. ჭამისას პირი არ აწკლაპუნოთ, მხრებში გაიმართეთ, სკამის საზურგეს უნდა ეხებოდეთ, ჩანგალი მარცხენა ხელში დაიკავეთ, დანა მარჯვენაში, ლუკმა კარგად დაღეჭეთ, ყბის ერთ მხარეს თხუთმეტჯერ, მეორე მხარეს თხუთმეტჯერ, თანაც პირმოკუმულმა და თავაწეულმა. ქალი ყურადღებას არ აქცევდა ქმრის ბუზღუნს, ყაზარმაში ხომ არ ვართო. მიაჩვია გაზეთის კითხვას ნასადილევს. სამთავრობო გაზეთში წერდნენ, რომ ის იყო ამ გაზეთის პატრონი და საპატიო რედაქტორი. როგორც კი გიგანტურ სეიბას ჩრდილქვეშ გაკიდულ ჰამაკისკენ გასწევდა თვალის მოსატყუებლად, ლეტისია პირდაპირ ხელებში სჩრიდა გაზეთს, სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია იცოდეს რა ხდება მსოფლიოში. ცხვირზე ოქროსჩარჩოიან სათვალეს დააკოფსებდა და ისიც დაცურავდა და დაცურავდა საკუთრივ მასზე შეკოწიწებულ წყალწყალა ამბებში. ამ დროს კი ლეტისია სპორტში ავარჯიშებდა შვილს, ბურთის თამაშს ასწავლიდა, მონასტერში მორჩილი დები თამაშობდნენ ხოლმე, კაუჩუკის ბურთს ერთმანეთს ესროდნენ და უბრუნებდნენ. ამ დროს კი ისიც გაზეთებში დიდი ხნის წინათ გადაღებულ საკუთარ სურათებს ნახულობდა. უმეტესობაზე მის მაგივრად მისი ორეული იყო გამოსახული, რომელიც დიდი ხნის წინათ მოკვდა ასევე მის მაგივრად, ისე დიდი ხნის წინათ, რომ აღარც ახსოვს ამ კაცის სახელი. ერთ სურათზე იგი გასულ სამშაბათს მინისტრთა საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა, არადა, კომეტის ჩავლის მერე ის არავითარ სხდომას არ დასწრებია. კითხულობდა ისტორიულ გამონათქვამებს, რომლებსაც მას მიაწერდნენ ქვეყნის განათლებული მინისტრები. კითხულობდა და თან ეყვინთებოდა. აგვისტოს საღამოხანის ჩამოხუთული ჰაერით მოთენთილი ნელ-ნელა იძირებოდა სიესტის ჭაობში და თან ბუტბუტებდა, გაზეთი კი არა, მძღ...ია, ვერ გამიგია, რატომ უნდა კითხულობდნენ ამ სისულელეებს. მაგრამ რაღაც სარგებელი მაინც მოჰქონდა გაზეთების კითხვას, ხანმოკლე ძილისგან თავდაღწეულს ახალ-ახალი აზრები ებადებოდა და ლეტისია ნასარენოს პირით თავის მინისტრებს სხვადასხვა დავალებებს აძლევდა, ისინიც ვიდრე ლეტისიას პირითვე შე-

23903

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

უთვლიდნენ პასუხს, ცდილობდნენ პრეზიდენტის სურვილი და განზრახვა ამოეცნოთ ლეტისიას ქცევისა და ლაპარაკის მიხედვით. შენ იყავი ჩემი ხმა, ჩემი ტვინი და ჩემი ძლიერება, შენ იყავი ჩემი ერთგული ყური, უშეცდომოდ ისრუტავდი და შემდეგ მაწვდიდი ყველაფერს, რაც სჭირდებოდა ჩემს მარად მოგუგუნე და ლავასავით ცეცხლოვან სამყაროს. ასე ამბობდა ის, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე სარწმუნო საინფორმაციო წყარო, რომლის მიხედვითაც წარმართავდა ხოლმე ის თავის საქმიანობას, გახლდათ სასახლის საერთო ფეხსალაგების კედლებზე გაკეთებული ანონიმური წარწერები. სწორედ ამ წარწერებით იგებდა ის სიმართლეს, რის პირში თქმასაც ვერავინ გაუბედავდა, ლეტისიაც კი. დილაუთენია ძროხების მოწველის შემდეგ, ვიდრე ჯარისკაცები წაშლიდნენ წარწერებს, ჩამოივლიდა ფეხსალაგებს, წაიკითხავდა და მერე ჯარისკაცებს ავალებდა შეეთეთრებინათ კედლები, რათა გულის მოფხანის და სუფთა კედელზე თავისი ბოღმის გადმონთხევის საშუალება მისცემოდა ყველას, ვინც კი ამას მოისურვებდა. ამ ანონიმური წარწერების მეშვეობით გაიგო მან საკუთარი ოფიცრების ჭირ-ვარამი, გაიგო იმ ადამიანთა ფიქრებიც, ვინც მისი სიკეთით ბევრს სარგებლობდა, მაგრამ სულის სიღრმეში სძულდათ იგი. ვითარების სრულ ბატონ-პატრონად მაშინ გრძნობდა თავს, როცა ადამიანის გულის იდუმალ სიღრმეებში ახერხებდა შეჭრას, როცა თითქოს სარკეში ხედავდა იმას, რაც ფეხსალაგის კედლებზე წაეწერა ათას ძაღლსა და მამაძაღლს. გრძნობებმოჭარბებულს კვლავ ეძალებოდა სიმღერის სურვილი. რამდენი ხანია, მსგავსი რამ არ განუცდია. შესცქეროდა მოსკიტების თხელი ფარდის მიღმა მეჩეჩხე გამორიყულ ვეშაპს, თავის ერთადერთ და კანონიერ მეუღლეს, მძინარე ლეტისია ნასარენოს და მღეროდა, გაიღვიძე, ლეტისია, ჩემს გულში უკვე რიჟრაჟია, ზღვაც აქ არის, ცხოვრება გრძელდება, ლეტისია, და მართლაც გრძელდებოდა ლეტისიას საოცარი ცხოვრება. მრავალთა შორის ის იყო ერთადერთი ქალი, ვინც პრეზიდენტს თავის დაკრულზე აცეკვებდა, ვინც თითქმის ყველაფერი მიიღო ქმრისგან ერთი სულ უბრალო რამის გარდა, ვერა და ვერ მიაღწია იმას, რომ დილით გაღვიძებულს ქმარი ეხილა თავის გვერდით ლოგინში. ყოველ ტკბილ-მწარე სიყვარულობანას შემდეგ კაცი მიდიოდა თავის საძინებელში — მარტოხელა მოხუცის საძინებელში, კართან ანთებულ ლამპას ჰკიდებდა, იქნებ გაქცევამ მოუწიოს. სამ გასაღებზე, სამ ურდულზე და სამ ჯაჭვზე იკეტებოდა, გაუხდელი პირქვე წვებოდა იატაკზე. ასე იყო შენამდე და ასე იქნება შენს მერეც, ლეტისია. მაგრამ დილით კვლავ ბრუნდებოდა ლეტისიას საძინებელში, სადაც რომელიღაც ღამის ნადირის სუნი იდგა, ბრუნდებოდა, რათა ცოლის სურვილი შეესრულებინა, ცოლის სიხარბე დაეცხრო. დედაშენზე, ბენდისიონ ალვარადოზე მდიდარი მინდა ვიყოო. და მართლაც, ზღაპრულად მდიდარი იყო, თანაც მარტო ლეტისია კი არა, მთელი მისი მრავალრიცხოვანი ნათესაობა. ღამის მთელი ჯარი ჩამოდიოდა ანტილის კუნძულების მივარდნილი კუთხეებიდან, არაფერი ებადათ საკუთარი ტყავის გარდა, არც არავითარი ტიტული გააჩნდათ გარდა იმისა, რომ ნასარენოების, ხეპრე კაცების და ხარბი დედაკაცების გვარისანი იყვნენ. მათ იერიშით აიღეს მარილის, თამბაქოს, სასმელი

წყლის სავაჭროები, უკითხავად დაეპატრონენ სამხედროებისთვის კარგა ხნის წინათ შესასყიდად გადაცემულ მიწებს, რათა მათი ამბიციები დაეცხროთ. ნასარენოები იტაცებდნენ ყველაფერს, ისაკუთრებდნენ სხვის უფლებებს, ვითომდა პრეზიდენტის სურვილით, სინამდვილეში სურვილს ლეტისია გამოთქვამდა, პრეზიდენტი კი ეთანხმებოდა. ერთ სანაგში ლეტისიას დაჟინებული თხოვნით მან გააუქმა ბარბაროსული წესი დასჯისა, როცა კაცს ცხენის კუდზე გამოაბამდნენ და ნაფლეთებად აქცევდნენ. სამაგიეროდ ცხენი უცხო დესანტის მეთაურის მიერ ნაჩუქარი ელექტრული სკამით შეცვალა. აბა, როგორ, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ცხოვრებას, ჩვენც ხომ უნდა შევითვისოთ თუნდაც მკვლელობის ცივილიზებული მეთოდი. მან მოინახულა პორტის ციხე-სიმაგრე, საშინელებათა ლაბორატორია, სადაც საგანგებოდ შერჩეულ გამხდარ-გამოფიტულ პოლიტპატიმრებზე ცდიდნენ სიკვდილის ტახტს, სწავლობდნენ მის მართვას. ჩვენ ვიცოდით სიკვდილმისჯილებზე ცდების ჩატარების ზუსტი დრო. ამ დროს მთელ ქალაქში ქრებოდა შუქი, სიკვდილის ტახტი უზომო ელექტროენერგიას ნთქავდა, საშინელებისგან სუნთქვაშეკრულნი ვისხედით ჩაბნელებულ საროსკიპოებში, წუთიერი დუმილით მივაგებდით პატივს წამებულთა ხსოვნას, მერე ერთ ჭიქა არაყსაც ვხუხავდით ტანჯულთა სულის მოსახსენიებლად, თანაც ერთხელ დასჯილისას კი არა, რამდენჯერმე დასჯილისას. ვიცოდით, ზოგიერთები მაშინვე არ კვდებოდნენ, ცოცხალ-მკვდარნი ეკიდნენ ღვედებზე, კვამლი ისე ასდიოდათ, როგორც მაყალზე მწვადს. ჯოჯოხეთური ტკივილებისგან მანამდე ხრიალებდნენ, სანამ ჯალათი კიდევ ორ-სამჯერ დენზე უშედეგო ჩართვის შემდეგ ტყვიით არ მოუსწრაფებდა გატანჯულ სიცოცხლეს. ეს ყველაფერი შენთვის კეთდებოდა, ლეტისია, შენ გამო დაცარიელდა ციხის საკნები, შენ გამო შევუნდე საკუთარ მტრებს და სამშობლოში დავაბრუნე. აღდგომის წინადღეს გამოაქვეყნა ბრძანება, რის თანახმადაც ამიერიდან აღარავინ დაისჯებოდა განსხვავებული აზრისათვის, გამოაცხადა სინდისის თავისუფლება, თავის შუაგულ შემოდგომის ხანს მან ირწმუნა, რომ მის ყველაზე თავგადაკლულ მტერსაც ჰქონდა უფლება დამტკბარიყო ისეთივე ბედნიერი წუთებით, როგორითაც თავად ტკბებოდა იანვრის საუცხოო ღამეებში ლეტისია ნასარენოსთან ერთად, ამქვეყნად ერთადერთ ქალთან ერთად, ვისაც წილად ხვდა უდიდესი პატივი, საკუთარი თვალით ეხილა ტერასაზე მჯდარი ნიფხვისამარა პრეზიდენტი, ეხილა მთვარის შუქზე ოქროსფრად შეფერადებული მისი უზარმაზარი თიაქარი. ლეტისიასთან ერთად ტკბებოდა ბაბილონელ მმართველთა მიერ საშობაოდ გამოგზავნილ და წვიმების ბაღში დარგული იდუმალი ვერცხლისფერი ტირიფების სილამაზით. შესცქეროდა მზის სხივებში გადატეხილ ბროლივით გამჭვირვალე შხაპუნა წვიმას, ხის ტოტებში გახლართულ პოლარულ ვარსკვლავს, ლეტისიასთან ერთად ჯდებოდა მთელი მსოფლიოს დამტევ, მეგაჰერცებით, ხაზებითა და ციფრებით აჭრელებულ რადიომიმღებთან და რადიოტალღების გამაყრუებელ დამცინავ სტვენა-ხრიალში, პლანეტები რომ გზავნიდნენ თავ-თავიანთ ორბიტებიდან, უსმენდა რადიო-პიესას, რომელსაც ყოველდღე გადმოსცემდნენ გაგრძელებებით სანტიაგო დე კუბადან. ყოველი გადაცემის შემდეგ გულაჩქროლებული

ფიქრობდა, ნეტავ ხვალამდე არ მოვკვდებოდე, სული მიმდის გავიგო, ბოლოს და ბოლოს რით დამთავრდება მთელი ეს ამბავიო. ძილის წინ რამდენიმე წუთს შვილთან ატარებდა, უყვებოდა საბრძოლო იარაღებზე, როდის, სად, როგორ გამოიყენებოდნენ ისინი. მან ხომ ეს საქმე ზედმიწევნით კარგად იცოდა. ერთადერთი რჩევა, რაც მან შვილს მისცა, შეეხებოდა ბრძანების გაცემის ცოდნას, არასოდეს გასცე ბრძანება, თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ შეასრულებენ. იმდენჯერ გაამეორებინა ეს სიტყვები, ვიდრე თავში არ ჩაუჭედა, როცა სახელმწიფოს მეთაური ყოყმანობს ბრძანების გაცემისას, ვაითუ არ შეასრულონო, ეს არის მისი ყველაზე დიდი და უპატიებელი შეცდომა. ეს რჩევა ცხელი რძით პირდათუთქული მოხუცი ბაბუის რჩევას უფრო ჰგავდა, ვიდრე გამოცდილებით დაბრძენებული მამისას. ბიჭს დიდხანს რომ ეცოცხლა, ალბათ ეს რჩევა მართლაც დაამახსოვრდებოდა მთელი ცხოვრება, რადგან სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მამამ თავის ექვსი წლის ბიჭს ეს რჩევა მისცა, ჰაუბიციდანაც გაასროლინა პირველად. ჰაუბიცის გამაყრუებელი ქუხილი და მამის რჩევაც ძალაუნებურად ერთად შემორჩებოდა მის მეხსიერებას. ჩვენ კი ჰაუბიციდან გასროლა იმ კატაკლიზმის წინამორბედად მივიჩნიეთ, შემდეგ რომ მოხდა. ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ელვა წამდაუწუმ კვეთდა ცას, თითქოს სადაცაა ვულკანი ამოხეთქავსო, ირგვლივ ყოველივე გუგუნებდა, მიწა ზანზარებდა, კომოდორო რივადავიას მხრიდან მოვარდნილმა ქარმა, რომ იტყვიან, მთელი გულ-ღვიძლი ამოუტრიალა ზღვას, გადაევლო პორტის მოედანს, სადაც ოდესღაც მონებით ვაჭრობდნენ და სადაც ახლა ცირკი იყო დაბანაკებული. მერე ბადეებით გამოგვყავდა ნაპირზე სპილოები და დამსრჩვალი ჯამბაზები. ქარის პირველსავე დარტყმამ ჟირაფები ტრაპეციაზე შეაგდო და შემდეგ ზღვაში გადაისროლა. ჩაძირვას ბეწვზე გადაურჩა ბანანის სატვირთო გემი, რომელზეც იმყოფებოდა ფელიქს რუბენ გარსია სარმიენტო, შემდგომში რუბენ დარიოს გვარ-სახელით ცნობილი პოეტი. ქარიშხალი ჩაწყნარდა თუ არა, სულ რაღაც ერთ საათში ეს გემიც შემოვიდა პორტში. ნაავდრალზე ქინქლა აბორიალდა გაკანკალებულ ჰაერში. ზღვა მშვიდად ფშვინავდა. ბერიკაცმა საძინებლის ფანჯრიდან დაინახა ქარიშხლის მიერ გვარიანად გადაფერდებული პატარა გემი, რომელიც ნელიად მიცურავდა ოქროსფრად მოლივლივე ზღვის უბეში. ბოგირზე კაპიტანი იდგა და პირადად ხელმძღვანელობდა გემის სვლას ნავსადგომისკენ. კაპიტნის გვერდით შავი მაუდის ქურთუკსა და ჟილეტში გამოწყობილი მგზავრი იდგა. პრეზიდენტს არაფერი სმენია და არც არაფერი იცოდა ამ კაცის შესახებ მომავალ კვირა დღემდე. კვირას კი ლეტისიამ საოცარი რამ სთხოვა, ძალიან მინდა დღეს პოეზიის სალამოს დავესწროთ ეროვნულ თეატრშიო. ისიც უყოყმანოდ დაეთანხმა. მთელი სამი საათი ვუცადეთ პრეზიდენტს, დახუთულ დარბაზში ოფლად ვიღვრებოდით. გაგვაფრთხილეს, კარგად ჩაიცვითო და ჩვენც სათეატროდ გამოწყობილები სულს ძლივს ვითქვამდით. როგორც იქნა, გაისმა ეროვნული ჰიმნი და ჩვენც ტაშისცემით მივბრუნდით მთავრობის ლოჟისაკენ. ლოჟაში ჩასუქებული ყოფილი მონაზონი გამოჩნდა, თავზე ბუმბულებით გაწყობილი ქუდი ეხურა. თავთის კაბა ეცვა, ყელზე მელიის კუდები შემოეხვია. მისალმე-

ბაზე არც უპასუხნია, მუნდირში საზეიმოდ გამოწყობილი ბიჭის გვერ-
დით მოკალათდა. ბიჭმა აბრეშუმის ხელთათმანი გაიძრო და ხალხს მი-
სალმების ნიშნად დაუქნია. ოდესღაც ასე ესალმებოდნენ ხალხს მე-
ფისწულები, უთხრა ერთხელ დედამ. ლოჟაში სხვა არავინ ჩანდა, მა-
გრამ დარწმუნებული ვიყავით, ის იქ იყო. მთელი ორ[illegible] [illegible]ც თე-
ატრში დავყავით, ვგრძნობდით მის უსილავ ყოფნას, ვგრძნობდით,
როგორ დარაჯობდა ის ჩვენს სულიერ სიმშვიდეს, რათა ბობოქარი პო-
ეზიის ტალღებს არ ჩავეყლაპეთ. ჩვენს გრძნობებს, ჩვენს სიყვარულს
და ჩვენს სიკვდილსაც ხომ ის განაგებდა. ჩაბნელებული ლოჟის კუთ-
ხეში მიყუჟულს ვერავინ ხედავდა და ისიც ვერავის ხედავდა, ესმოდა
მხოლოდ ზღვასავით მშფოთვარე ხმა, რომელმაც იგი მოსწყვიტა ად-
გილსა და მიწიერ დრო-ჟამს, ასწია მაღლა და მისი ნების საწინა-
აღმდეგოდ ფრენა-ფრენით წაიყვანა იქით, სადაც ოქროს საყვირების
კრიალა ხმებში ამოიზიდებოდნენ მარსისა და მინერვას ტრიუმფული
თაღები, მათი სადიდებელი თაღები და არა თქვენი, ჩემო გენერალო.
მან დაინახა გმირი გოლიათი მედროშეები, ერთმანეთს სამკვდრო-
სასიცოცხლოდ ჩაფრენილი შავი ძაღლები, რკინის ჩლიქებიანი დიდი
საომარი ცხენები, დაშნები, შუბები, დაინახა, რკინის პლუმაჟ-მუზა-
რადიანმა რაინდებმა როგორ დაითრიეს უცხოთა დროშა თავიანთი ია-
რაღის და არა თქვენი იარაღის სადიდებლად, ჩემო გენერალო. დაი-
ნახა ჭაბუკი მეომრები, რომლებიც სამშობლოს სამარადისო დიდებისა
და უკვდავების სახელით არ ეპუებოდნენ წითელი ზაფხულის მზეებს,
მსუსხავი ზამთრის ქარებს, ღამის უკუნს, ყინვას, სიძულვილს და სიკ-
ვდილს, არ ეპუებოდნენ იმ ქვეყნის სახელით, რომელიც უფრო დიდე-
ბული და ღირსეული იყო, ვიდრე ის ქვეყანა, რომელიც მას — სამო-
ქალაქო ომის ფეხშიშველ ჯარისკაცს წარმოედგინა სიცხიან ბოდვებში.
და მან უცბად იგრძნო საკუთარი არარაობა, ხოლო როცა ქუხილივით
მოვარდა ტაში, ისიც შეუერთდა ხალხის აღტაცებას. აი, ეს არის ნამ-
დვილი ტრიუმფი, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, აი, ეს არის ნაღ-
დი შეხვედრა და არა ის მძღ... შეხვედრები, მე რომ მიწყობენ. დამ-
ცირებულს და მარტოსულს ჰაერი არ ჰყოფნიდა ჩამოხუთულ დარბაზ-
ში, გულს უწვრილებდა აბეზარი კოლოები, მოოქროვილი სვეტები და
მთავრობის ლოჟის ფერგადასული ფარდა. ეშმაკმა დალახვროს, ნუთუ
შესაძლებელია, ასეთი მშვენიერი რამ კაცმა იმ ხელით დაწეროს, რო-
მელი ხელითაც ტრ...კს იწმენდს, ყოჩაღ, ინდიელო. აქამდე მისთვის
უცნობმა პოეტურმა ენამ სულით ხორცამდე შეძრა, აგზნებული დაა-
ბოტებდა შებორკილი სპილოსავით და ცდილობდა ფეხი აეყოლებინა
დიდებული, ამაღლებული სტრიქონების რიტმისათვის, ხოლო როცა
პატიოში, საკუთარ ტრიუმფულ თაღქვეშ — უზარმაზარ სეიბას ტო-
ტებქვეშ — ლეტისია უკითხავდა ლექსებს, ქორალის ზარზეიმურ,
მგზნებარე რიტმით მონუსხულს ძილი ერეოდა. რამდენჯერ ააჭრელა
ფეხსალაგების კედლები სულისამაფორიაქებელი ლექსებით. ერთხელაც
ახლად დატყეპილი ფუნით გამთბარ თავის ოლიმპზე — ფერმაში ყო-
ფნისას — ის იყო ზეპირად უნდა ეთქვა მთელი პოემა, რომ უეცრად
ძლიერმა აფეთქებამ მიწა შეაზანზარა. პრეზიდენტის მანქანის საბარ-

გულში ჩადებული ნალმი ნაადრევად აფეთქდა. ძლიერმა ცეცხლოვანმა ტალღამ ჯავშნიანი მანქანის ნაწილები ისე მიფანტ-მოფანტა, რომ მერე კარგა ხანს ქალაქის ლამის ყველა უბანში ვპოულობდით. ლეტისია ნასარენო ოთხშაბათ დღეს სწორედ ამ მანქანით უნდა წასულიყო ბაზრის გასაფცქვნელად შვილთან ერთად. ჩემო გენერალო, პირადად მისი მოკვლა ჰქონდათ განზრახული, სხვა არავისი. გენერალმა მუბლში შემოირტყა ხელი, ნამდვილად ასეა, აქამდე როგორ ვერ მიხვდა, სად გაქრა მისი ლეგენდარული მიხვედრილობა. ამ ბოლო ხანებში ფეხსალაგების კედლებზე ახალი წარწერები რომ გაჩნდა, როგორ არ მიაქცია ყურადღება. თუ აქამდე კედლებზე პირადად მასზე და მის სამოქალაქო მინისტრებზე წერდნენ აუგს, ახლა ლაფს ასხამდნენ სამხედროთა შეღავათიან პრივილეგიებზე კბილდასობილ, გათავხედებულ ნასარენოებს და ხელისუფლების მიერ გალალებულ ამბიციურ ეკლესიის მამებს. მისი აზრით, მართალია, დიდად სასიამოვნო არ იყო შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენა, როგორც ოდესღაც დედამისის, ბენდისიონ ალვარადოს გაწმინდანებისას სეტყვასავით წამოსული დიატრიბები გახლდათ, მაგრამ სიტყვა მაინც სიტყვაა და დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს, დროთა განმავლობაში თუთიყუშის უაზროდ დაზეპირებულ სიტყვად იქცევა, მით უმეტეს ის სიტყვა, განაწყენებული კაცი ფეხსალაგის სითბოში კედელზე რომ წაჩხაპნის რაღაცას. მაგრამ ეს განაწყენება ზოგჯერ ფეხსალაგიდან ქუჩაშიც გამოდიოდა, რაშიც თავად ხელისუფალსაც მიუძღოდა ბრალი — მუქარითა და ყვირილით ასშობდა არეულობას, მაგრამ ისე გაბოროტდე და გაავდე, რომ ამოდენა დინამიტი ააფეთქო, თანაც სად, ზედ მთავრობის სახლთან, ღმერთმანი, მეტისმეტია. კი მაგრამ, როგორ მოხდა, როგორ მიენდო პოეზიის საყვირებს ისე, რომ მგრძნობიარე ყნოსვამ, კაციჭამია ვეფხვის ყნოსვამ ულალატა, როგორ ვერ ამოიცნო ნაცნობი სუნი მოახლოებული საფრთხისა, რა ჯანდაბა დაემართა ასეთი. სასწრაფოდ მოიწვია უმაღლესი სამხედრო პირები, თოთხმეტი აკანკალებული ოფიცერი. წლების მანძილზე ისინი ერთი კაცის ნების შემსრულებლებად მსახურობდნენ და მის დავალებებსაც შუაკაცის მეშვეობით იღებდნენ. ახლა კი, როგორც იქნა, პირისპირ შევხვდით მას, ამ მიუწვდომელ ბერიკაცს, რომელიც სინამდვილეში ძალზე მისაწვდომი და ჩვეულებრივი აღმოჩნდა იმ იდუმალებით მოცულ ამბების ფონზე, რაც კი ოდესმე გვსმენია მასზე. საუდიენციო დარბაზში მიგვიღო, იჯდა თავის ტახტ-სავარძელში, ჯარისკაცის ფორმა ეცვა და სკუნსივით შარდის სუნად ჰყარდა. უწვრილესი ოქროს ჩარჩოიანი სათვალე დაედო ცხვირზე. სულ ახლახან გამოქვეყნებულ სურათზე უსათვალოდ გადაეღოთ. წარმოუდგენლად ბებერი და წარმოუდგენლად შორს იყო ჩვენგან. აბრეშუმის ხელთათმანი რომ გაიძრო, შევამჩნიეთ, ხელები სულაც არ უგავდა მეომრისას, პირიქით, გულმოწყალე ყმაწვილი კაცის ხელები ჰქონდა, სხვა დანარჩენი კი უხეში და ავად შესახედი. რაც უფრო ვაკვირდებოდით, მით უფრო ცხადად ვხედავდით, მის ხრწნად სხეულს მალე სულიც მიატოვებდა, მაგრამ ეს სული იყო დაუმორჩილებელი კაცის, ძალაუფლების მოყვარული კაცის სული, სული მხოლოდ საკუთარი, არავისთან გაზიარებულ-გაყოფილი ძალაუფლებისა. თვითონაც უჭირდა მისი მოთოკვა. ერთი სიტ-

ყვაც არ დასცდენია, თავიც არ დაუქნევია ჩვენს მსედრულ მისალმებაზე. როცა ყველანი მის წინ ნახევარ წრედ ჩარიგებულ სავარძლებში მოვკალათდით, მან სათვალე მოიხსნა და სათითაოდ შეგვათვალიერა თავისი მბურღავი თვალებით. ის შესანიშნავად გრძნობდა ჩვენს ქვენა ხრახვებს, რომლებიც სინდიოფალას სიფრთხილით მასუნსულებდნენ ბნელ-ბნელ კუნჭულებისკენ, მაგრამ ბერიკაცს მაინც ვერ უსხლტებოდნენ ხელიდან. თითოეულ ჩვენგანზე იგი იმდენ დროს სარჯავდა, რამდენიც საჭირო იყო ჩვენი ავკარგიანობის გასარკვევად, ვინ როგორ და რამდენად შევიცვალეთ დავიწყების ბურუსში მიკარგულ იმ საღამოს მერე, როცა მან უბრალოდ, თითის მოშვერით ჩამოგვირიგა უმაღლესი ჩინები. თავის მხრივ, რაც უფრო მეტად აკვირდებოდა ოფიცრებს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ თავდასხმის მოთავე სწორედ ამათში ერია, მაგრამ მათ წინაშე რატომღაც უსუსურობას გრძნობდა. ბოლოს თავი ასწია, თვალები იგუანასავით დაახამხამა და ოფიცრებს მიმართა, ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება ერთიანობა, ერთმანეთის მხარში დგომა, საქმე ეხება სამშობლოს ბედსა და არმიის ღირსებას, მოუხმეთ გონიერებას, პირნათლად შეასრულეთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა, იპოვეთ თავდასხმის მოთავეები და გადაეცით სამხედრო ტრიბუნალს. ამის სათქმელად გიხმეთ, სენიორებო, დაასრულა მან სხდომა. დარწმუნებით იცოდა, თავდასხმის მოთავე თუ ყველა არა, ერთ-ერთი ამათგანი მაინც იყო. შიგ გულში დაჭრილი იმასაც ხვდებოდა, ლეტისია ნასარენოს სიცოცხლე ღმერთის კი არა, მის ხელში იყო, მის გონიერებაზე იყო დამოკიდებული. როგორმე უნდა ააცილოს ცოლს საფრთხე, თუმცა წინათგრძნობაც ჰქონდა, ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. წყეულიმც იყვნენ ყველანი. ლეტისიას აუკრძალა საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობა, მისი ხარბი ნათესავები აიძულა დროზე გასცლოდნენ აქაურობას, ეს კი სამხედროებისთვის შელავათიანი დახმარებების აღდგენას ნიშნავდა. ნათესავებიდან ვინც ცოტა საზრიანობით გამოირჩეოდა, კონსულებად გაამწესა. ყველაზე თავგასულები და სინდისგარეცხილები ბაზრობის ტერიტორიაზე ველურ ბუჩქებში გაჭრილ არხებში ტივტივებდნენ. დიდი ხნის არყოფნის შემდეგ იგი მოულოდნელად გამოცხადდა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე და თავისი აქამდე ცარიელი სავარძელი დაიკავა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სასულიერო პირებს ცხვირი არ ჩაეყოთ სახელმწიფო საქმეებში. ამას შენთვის ვაკეთებ, ლეტისია, მტრებისგან მინდა გიხსნა. მერე კვლავ შეკრიბა ოფიცრები, კვლავ ჩაუტარა ზონდირება და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამათგან შვიდი ოფიცერი მის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი, რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს, ის ძველი მეგობარია და სიავეს არ ჩაიდენს. საეჭვო რჩებოდა ექვსი სამხედრო მეთაური, უსასრულო ღამეების ექვსი გამოცანა. კოშმარული წინათგრძნობით შეპყრობილი ცხადად ხედავდა, ლეტისიას სიკვდილის ბეჭედი ეჯდა. ეჩვენებოდა, მიუხედავად სიფრთხილისა, ვითომ თვალწინ უკლავდნენ. მის საჭმელს პირველად სხვას ასინჯვინებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პურში თევზის ფხა ნახეს. ყოველდღე ამოწმებდნენ ჰაერს ლეტისიას ოთახში, მწერების საწინააღმდეგო აეროზოლს სხვა

სასიკვდილო შხამიც ხომ არ აქვს შერეულიო. ბებერი ქმარი შიშით იზ-აფრებოდა, სადილობისას ცოლს ფერმკრთალს რომ ხედავდა, შიშით იზაფრებოდა, როცა სასიყვარულო სარეცელზე ლეტისიას ხმა უწყდებოდა. როცა წყალს სვამდა, მაშინაც სულ იმის ფიქრში იყო, ვაითუ ყვითელი ციებ-ცხელების მიკრობებია შერეულიო, ან, ვაითუ, თვალის წვეთებში ნამალევად აჯასპია დამატებულიო. ასეთი: [illegible] ფიქრებით თავგასიებულს დღეცა და ღამეც გამწარებული ჰქონდა. ღამით რამდენჯერ წამოუგდია ფეხზე კოშმარულ მოჩვენებებს, აგერ სულ ახლა ინდიელი ჯადოქრების მიერ გათვალული ლეტისია სისხლისაგან იცლებოდა. კაცი ლამის ჭკუაზე შეშალა ამდენმა წარმოსახვითმა თუ რეალურმა საფრთხემ, რომელიც ლეტისიას ემუქრებოდა. სასახლიდან ფეხი არ გაადგა გარეთ და თუ გაადგამ, ღონიერი, მხეცი გვარდიელები იახლეო, უჩიჩინებდა ცოლს. გვარდიელებს უფლება მისცა, გაუფრთხილებლად ესროლათ ყველასათვის, ვინც კი ოდნავ მაინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ. ქალბატონი მაინც გადიოდა, ჩემო გენერალო. ბერიკაცი კი ამ დროს იდგა ფანჯარასთან და ხედავდა, როგორ ჯდებოდა მისი ცოლ-შვილი ახალ ჯავშნიან მანქანაში. ყველანაირად ცდილობდა განეგდო აკვიატებული წინათგრძნობა, ემშვიდობებოდა მათ ხელის უცნაური მოძრაობით, ბუტბუტებდა, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, შენ უშველე მათ, შენ ააშორე ტყვია მის მკერდს, შენ დაიცავი იგი საწამლავისაგან. აფორიაქებული ელოდა ბაზრიდან ცოლშვილის დაბრუნებას. მხოლოდ მაშინ მშვიდდებოდა, როცა დე არმას მოედნიდან მის ყურთასმენას სწვდებოდა ლეტისიას ესკორტის გაბმული სირენები. ვიდრე ლეტისია და ბავშვი არ გამოჩნდებოდნენ პატიოში შუქურის შუქით განათებულნი, აღელვებული სცემდა ბოლთას. ლეტისია ბრუნდებოდა ბედნიერი და აგზნებული, ხმაზეც ეტყობოდა კმაყოფილება, დროგამოშვებით ეხმიანებოდა ჯარისკაცებს, რომლებსაც ინდაურები, ენვიგადოური ორქიდეები და საშობაო ფერადი ნათურები გადმოჰქონდათ მანქანებიდან. ქუჩები უკვე მოერთოთ ტრანსპარანტებითა და ფერადი ნათურებით. ბებერმა პრეზიდენტმა ბრძანა, ადრე დაეწყოთ ქალაქის საშობაოდ მორთვა. ამ გზით ცდილობდა სულში ჩაბუდებული ფორიაქის შენიღბვას. ლეტისიას კიბეზე ხვდებოდა, უხაროდა, ცოცხალს რომ ხედავდა. უხაროდა, ნაფტალინიდან ახლად ამოღებული მელიის კუდების სუნს, ცოლის ოფლის მჟავე სუნსა და მისი გათხელებული თმის სუნს რომ ისუნთქავდა. ხელს აშველებდა, საძინებელში შეჰქონდა მორიგი ნადავლი, მაგრამ აკვიატებული შავბნელი ფიქრი ერთი წამითაც არ ტოვებდა, გრძნობდა, მის ბედნიერებას დიდი დღე არ ეწერა, გრძნობდა, განწირული იყო. ნეტავ სულაც არ ეგემნა ბედნიერება. რაც უფრო ცდილობდა უბედურების აცილებას, მით უფრო ძლიერ იპყრობდა სასოწარკვეთილება, ღვითი დღე ემატებოდა იმის რწმენა, რომ ამაო იყო მისი ლოცვები, ყოველი დღე აახლოვებდა იმ საბედისწერო ოთხშაბათ დღესთან, როცა ლეტისიას გამო ამდენი შიშისა და ძრწოლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაეუფლებოდა უცნაური სიმშვიდე. ჯანდაბას, მოხდეს რაც მოსახდენია, რაც უფრო ჩქარა მოხდება, მით უკეთესია. ვერც მოასწრო სრულად გაეცნობიერებინა ამ სიტყვების მნიშვნელობა, რომ იგი მაშინვე აუხდა. თითქოს

ებრძანებინოს, კაბინეტში ორი ადიუტანტი შევარდა. ლეტისია ნასარენო და ბიჭი გაავებულმა ძაღლებმა დაგლიჯეს ბაზარში, ცოცხლად შეჭამეს, ჩემო გენერალო, უბრალო ქუჩის ძაღლები არ გეგონოთ, ცვითელთვალება, მგელიჭამია, დაბალბეწვიანი ძაღლები იყვნენ. ვიღაცამ მიუსია ლეტისიას მელიის საყელოზე. სამოცი ძაღლი მარტო იყვნენ, ჩემო გენერალო, ყველა ერთნაირი, აზრზე მოსვლა ვერც კი მოუსწარით, ისე გადმოახტნენ ბოსტნეულის დახლებს და ეცნენ დედა-შვილს. სროლა ვერ მოვახერხეთ, ჩემო გენერალო, გვეშინოდა ქალსა და ბავშვს არ მოხვედროდა. საშინელი სანახავი იყო ეს სისხლიანი შეტაკება, ძაღლების გორგალში წამით გაიელვებდა ხოლმე ხან ლეტისიას, ხანაც ბიჭის მავედრებელი ხელი. სულ მალე კი ხორცის ნაფლეთებად ქცეულებს, ხარბად სანსლავდნენ ძაღლები. ეს საზარელი სურათი აუარება ხალხის თვალწინ მოხდა. ზოგი სახეს ხელებში მალავდა საშინელების დანახვაზე, ზოგი სიხარულს ვერ მალავდა, ვიღაც ღვთისნიერი ტიროდა, ხოლო როცა ყველაფერი დამთავრდა, დავინახეთ ლეტისია ნასარენოს ფეტრის იებით მორთული ქუდი. სისხლით მოთხვრილი მემწვანილეები კერპებივით გაქვავებულები ისხდნენ და უხმოდ ბუტბუტებდნენ, ღმერთო მაღალო, ეს არ მოხდებოდა, გენერალს რომ არ ნდომოდა ან სულაც, რომ არ სცოდნოდათ. სირცხვილი პრეზიდენტის გვარდიას, ძვლების გადარჩენა შეძლო მხოლოდ. ჩემო გენერალო, აი, კიდევ ეს ვნახეთ, ბიჭის მედლები, უფროჩებო ხმალიც. ლეტისია ნასარენოს ცალი ფეხსაცმელი კაცმა არ იცის, როგორ აღმოჩნდა ბაზრიდან მთელი მილის დაშორებით, ზღვის უბეში ტივტივებდა. ვიპოვეთ ფერადი შუშის მძივები და მაქმანიანი ქისა. ეს ყველაფერი მოგიტანეთ, ჩემო გენერალო, აი, კიდევ სამი გასაღები, გაშავებული ოქროს საქორწილო ბეჭედი და ორმოცდაათი სენტავოც, თუ არ შეწუხდებით, დაითვალეთ, სხვა არაფერი დარჩენილა მათგან, ჩემო გენერალო. მისთვის მართლაც სულერთი იქნებოდა, რა დარჩებოდა მათგან, წინასწარ რომ სცოდნოდა, რომ სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში სრულიად გადაივიწყებდა ამ საბედისწერო ოთხშაბათ დღეს მომხდარ საზარელ ამბავს, მაგრამ ახლა რისხვისაგან ტიროდა, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ეზოში ჯაჭვებზე დაბმული კაციჭამია ძაღლების ყეფა არ აძინებდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ დაესაჯა ისინი. რომ დახოცოს, ეს უკვე ლეტისიას და ბიჭის მეორე სიკვდილი იქნებოდა, რადგან ისინი ამ ძაღლების მუცელში განისვენებდნენ ჯერაც. ბრძანა, ბაზარი სხვაგან გადაეტანათ და მის ადგილას მაგნოლიების ბაღი გაეშენებიათ, შუაგულში შუქურაზე მაღალი და შუქურაზე უფრო მანათობელი მარმარილოს ჯვარი აღემართათ, რათა მომავალ თაობებსაც სცოდნოდათ, ვინ იყო ეს ისტორიული ქალი, მაგრამ ეს ისტორიული ქალი მან უფრო ადრე დაივიწყა, ვიდრე ძეგლს დაანგრევდნენ. ღამით ააფეთქეს და გულთან არც არავის მიუტანია ეს ამბავი. მაგნოლიები ღორებმა გადაჭამეს, ბაღის ადგილას მყრალი გუბე გაჩნდა. მას აღარასოდეს უნახავს ეს ადგილი არა იმიტომ რომ პირად მძღოლს მუდამ ახსენებდა, ძველ ბაზარს გვერდი აუარე, თუნდაც დედამიწის შემოვლა დაგჭირდესო, არამედ იმიტომაც, რომ ქალაქში აღარ გამოჩენილა მას შემდეგ, რაც მთელი სამინისტროები მზიანი მინის შენობაში გადააბარგა. თვი-

თონ სასახლეში დარჩა ორიოდ მოახლესთან ერთად, სასახლე სასახლეს აღარ ჰგავდა, მისი ბრძანებით ყველაფერი გაანადგურეს, თუკი სადმე იყო დარჩენილი ლეტისია ნასარენოს დედოფლური მოთხოვნილებების სულ მცირე ნაკვალევიც კი. უაზროდ დაბორიალობდა მარტოობაში, ცარიელ დერეფნებსა და ოთახებში. დროდადრო უმნიშვნელო დავალებებს აძლევდა სამხედრო ჩინოსნებს, დროდადრო მინისტრთა საბჭოს სხდომებსაც ესწრებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა და პრეზიდენტის აზრს დიდი უპირატესობა ენიჭებოდა. დროდადრო მასპინძლობაც უწევდა არასასურველი სტუმრისა, ელჩ უილსონისა. მოკალათდებოდა ეს უცხოელი ელჩი სეიბას ჩრდილში სავარძელში და ფეხს არ იცვლიდა გვიანობამდე, ბალტიმორული კანფეტებით უქონავდა თავს, შიშველი ქალების სურათებიან ჟურნალებს სჩრიდა ხელში. თან ცდილობდა დაეყოლიებინა, საგარეო ვალების შემცირების სანაცვლოდ დაეთმო ტერიტორიული წყლები. ბებერი მასპინძელი ლაპარაკში არ ერეოდა, მოსმენითაც მხოლოდ იმას ისმენდა, რაც სარფიანი იყო მისთვის. როცა ელჩი მეტისმეტად გაუტევდა, საერთოდ ტოვებდა ყურს მიღმა მის რატრატს და სამაგიეროდ სიამოვნებით უსმენდა გოგონების სიმღერას მწვანე ლიმონზე შემომჯდარ ფერად სამოთხის ჩიტუნიაზე, რომელიც მახლობელი ქალთა სკოლიდან აღწევდა მის ყურთასმენამდე. კარგა მოსაღამოვებულზე ელჩი როგორლაც მოიფიქრებდა ხოლმე წასვლას, ისიც ალაყაფამდე აცილებდა და როგორც ყოველ სტუმრობაზე, ახლაც არწმუნებდა, პატივცემულო ელჩო, რაც გინდათ მთხოვეთ, ოღონდ ზღვას თავი დაანებეთ. თქვენ რომ ზღვა მოგცეთ, მერე მე რა ვქნა, ფანჯრიდან რაღას ვუყურო, ამოდენა სახლში რა ვაკეთო. ხომ გავგიჟდი ხვალ რომ ვერ ვიხილო ჩამავალ მზის შუქზე ალმოდებულ ჭაობივით ზღვა. როგორ ვიცხოვრო დამსხვრეულ ფანჯრებში ღმუილით შემოჭრილ დეკემბრის ქარების გარეშე, შუქურას მწვანე ციალის გარეშე, მე ხომ ჩემი ნისლიანი ზეგანი იმიტომ დავტოვე და ციებაშეყრილი და სიცხიანი იმიტომ გადავეშვი სამოქალაქო ომის ცეცხლში, რომ ზღვა მენახა. ტყუილებს წერენ ჩემი ბიოგრაფები, პატრიოტული გრძნობები ჰქონდა მოჭარბებულადო, არც ავანტურის გამო ვიბრძოდი, როგორც ირწმუნებიან ზოგ-ზოგნი და მით უმეტეს, არც ფედერაციის იდეები მაწუხებდა, ნათელი დაადგეთ დაღუპულებს იქ, სადაც არიან — ზღვა მინდოდა მენახა, მორჩა და გათავდა, სხვა ყველაფერი ფეხებზე მკიდია, ასე რომ, ჩემო ძვირფასო უილსონ, სჯობს სხვა რამე მთხოვოთ. სტუმრის წასვლის შემდეგ კარგა ხანს დაბორიალობდა თავის საბრძანებელში, შუქს ანთებდა გამოცარიელებულ ოდინდელ კაბინეტებში. ერთხელაც გზააბნეულ ძროხას წააწყდა დერეფანში, კიბისკენ უბიძგა, ძროხასაც ფეხები გაებლანდა დაძონძილ ფარდაგში და მთელი სიმძიმით დაასკდა ქვემო სართულის იატაკს. თავგაჩეხილი პირუტყვის დანახვაზე დამშეული კეთროვნები აუწერელი სიხარულის ყიჟინით წამოცვივდნენ, ეძგერნენ, დაუწყეს ძიძგნა და თქვლეფა. ლეტისია ნასარენოს იმქვეყნად წაბრძანების შემდეგ სასახლეში კვლავ დაბრუნდნენ კეთროვნები, უსინათლოები, ხეიბრები, კვლავ გაველურებულ ვარდის ბუჩქებში დასახლდნენ, კვლავ მისი ხელით ნაწყალობევი მარილით მკურ-

ნალობდნენ. ვარსკვლავიან ღამეებში მათთან ერთად მღეროდა ძველ, კეთილმოსაგონარ დროინდელ სიმღერას, სუსანა, მოდი ჩემთან, სუსანა. საღამოს ხუთ საათზე ბელლის სარკმელთან მოკალათებული შეესქროდა სკოლიდან დაბრუნებულ თეთრ წინსაფრებსა და ლურჯ გოლფებში გამოწყობილ ნაწნავიან გოგონებს. ავხორცულად ეფსალმუნებოდა თავისთან. გისოსიდან ხელთათმანს გვიქნევდა, გვეძახდა, გოგონი, გოგონი, მოდი აქ, ხელი შეგახო, ვნახო, რა გაქვს. გოგონები შეშინებული გარბოდნენ, ის კი გულდაწყვეტილი ფიქრობდა, ო, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, რომ იცოდე, რა ნორჩები არიან ახლანდელი გოგონები. საკუთარ თავს დასცინოდა, ნეტავ რისი მაქნისი შენა ხარო, მაგრამ როცა პირადმა ექიმმა, ჯანდაცვის მინისტრმა — ვისაც თითქმის ყოველდღე იწვევდა სადილზე — გადაწყვიტა, მხოლოდ თვალების ბადურაში ჩახედვასა და პულსის დათვლას აღარ დასჯერებოდა და მოხუცისათვის გულმავიწყობის საწინააღმდეგო დასალევი წამალი გამოეწერა. გინდათ მეხსიერების სადინარები ამომიქოლოთ, ვერ მოგართვით, ექიმო, ხომ არ გინდათ, იქით გიკრათ თავი, საიდანაც გამოძვერით. ვის უნახავს მე და კოვზით დასალევი წამალი, ცხოვრებაში ერთხელ გავხდი ავად ციებით და ისიც ომის დროს. ამ შემთხვევის მერე მარტო სადილობდა ხოლმე ქვეყნიერებისგან განდგომილი და ზურგშექცეული. დიდად განათლებულმა ელჩმა მეირილენდმა ერთხელ შეჰბედა მისთვის მიენიშნებინა, როგორ სადილობდნენ მაროკოელი მეფეები და ისიც მათსავით ცდილობდა თავაწეული და მხრებში გამართული მჯდარიყო სუფრასთან და დანა-ჩანგლით მიერთმია სადილი. ნასადილევს გადამალული თაფლის ძებნას იწყებდა. ერთ-ორ სამალავს რომ იპოვიდა, მალე ავიწყდებოდა და ისევ ეძებდა. თაფლის ძებნაში კედლის ხვრელებში შეჩურთულ სიგარეტივით დახვეულ ქაღალდებს პოულობდა. ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, სხვა ეპოქაში, საკანცელარიო დავთრის ფურცლებს ზოლებად აჭრიდა კიდეებს და წერდა იმას, რის გახსენებაც დღეს, ამდენი უსასრულო წლის მერე, უსათუოდ გაუჭირდებოდა. ხვალ სამშაბათია, ეწერა ერთ ქაღალდზე. შენს თეთრ ცხვირსახოცზე წითელი ძაფით არის ამოქარგული ინიციალი, მაგრამ ის შენი არ არის, ჩემო მბრძანებელო, ამოიკითხა მეორეზე. ვერც ეს ჩანაწერები ახსენებდა რამეს, გაკვირვებული კითხულობდა სხვა ჩანაწერებს. ჩემი სულის ლეტისია ნასარენო, ნეტავ განახა უშენოდ რა დღეში ვარ. ეს სახელი თითქმის ყველა წერილში ხვდებოდა, მაგრამ ვერაფრით გაეხსენებია ვინ უნდა ყოფილიყო ის უბედური კაცი, ამდენი დაწერილი ნაღველი რომ დაეტოვებინა ქაღალდზე. კი მაგრამ, ეს ხომ ჩემს ნაწერსა ჰგავს, ეშმაკმა დალახვროს, ნამდვილად ჩემი დაწერილია, ცაცია კაცის ხელწერაა, იმ შორეულ ხანაში საკუთარი თავის დასამშვიდებლად საკუთარივე წარწერებით რომ ამშვენებდა ფეხსალაგის კედლებს. გაუმარჯოს გენერალს. აღარაფრად მიაჩნდა, რომ გამოყეყეჩდა, რომ სახმელეთო, საზღვაო თუ საავიაციო ჯარების უჩინო სამხედრო პირებიც კი მასხრად იგდებდნენ, რომ ცრემლად იღვრებოდა ვიღაც მონაზვნის გამო, ვისიც მხოლოდ ფანქრით ნაწერი სახელი დარჩა ქაღალდის ზოლზე. აღარ ახსოვდა, რა იყო იმ საბედისწერო ოთხშაბათამდე და შემდეგაც, როცა ადიუტანტებმა მაგიდაზე დაულაგეს ლეტისიასა და

ბიჭის ნივთები. ხელი არაფრისთვის უხლია, ცდილობდა თვალი აერიდებინა მაგიდაზე დაყრილ ნივთებისათვის. ეს ფეხსაცმელი წაიღეთ, ეს მედლებიც, არაფერი დატოვოთ, მომაშორეთ ყველაფერი, რაც მიცვალებულებს მომაგონებს. მაშინვე გააქანეს ლეტისიას საძინებელში, სადაც ოდესღაც ჭკუისშემშლელი ვნებიანი სიესტები მეფობდა. დაგმანეთ ყველა კარი და ფანჯარა, ფეხი არავინ შედგას იქ ჩემი ბრძანებითაც კი. ამის მერე კარგა ხანს ითმენდა ეზოში ჯაჭვებით დაბმული ქოფაკების ყეფას. ლამის კრუნჩხვა ემართებოდა, მაგრამ წამებით მაინც ვერ აწამა თავისი გამაუბედურებლები, ჩემს მიცვალებულებს უფრო მეტ ტკივილს მივაყენებო. ჰამაკში პოულობდა სიმშვიდეს, ცდილობდა ჩაეხშო რისხვა, იცოდა, ის ძალლები მისი სისხლისა და ხორცის პირდაპირი მკვლელები იყვნენ, მაგრამ მოთმინებით იტანდა მათ ყოფნას ეზოში. ბოლმა ახრჩობდა, შეურაცხყოფილად და დამცირებულად გრძნობდა თავს, ძველებური ძალაუფლება აღარ ეპყრა ხელთ, კისერი მოეგრიხა თავისი დამაქცევრებისთვის. დაკრძალვის ცერემონიალი არ მოუწყვია, სამძიმარზე მისვლა ყველას აუკრძალა, საყოველთაო გლოვის დღე არ გამოუცხადებია, იწვა ჰამაკში უზარმაზარი სეიბას ჩრდილში და ელოდა რაღაცას, ელოდა თავის საათს. სწორედ სეიბას ჩრდილში მოინახულა იგი ერთადერთმა შემორჩენილმა მეგობარმა და გადასცა სამხედრო ჩინოსანთა დანაბარები, ჩვენმა ხალხმა ღირსეულად გადაიტანა ეს ტრაგედია, ვამაყობთ მათი თავდაჭერილობით, ქვეყანაში სიმშვიდე და წესრიგიაო. ბერიკაცმა ჩაიღიმა, სისულელეს ლაპარაკობ, მეგობარო, ხალხი ოდნავადაც არ აუღელვებია ამ საშინელებას, გულთან არავის მიუტანია ეს ამბავი, სწორედ ამიტომაც არის წესრიგი და სიმშვიდე. გაზეთებს ჩაკირკიტებით კითხულობდა მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქითაც, იქნებ მთავრობის პრესცენტრის ოფიციალური განცხადებების გარდა რაღაც უფრო მნიშვნელოვანს წავაწყდეო. ბრძანა, რადიომიმღები ახლოს დამიდგით, არაფერი გამომრჩესო და მართლაც, როგორც იქნა, დადგა მისი საათიც. ყველა რადიოსადგური ვერაკრუსიდან მოყოლებული ვიდრე რიობამბამდე გადასცემდნენ უახლეს ცნობებს, ეროვნული უშიშროების სამსახურებმა ლეტისია ნასარენოზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზატორების კვალს მიაგნესო. აბა, რა გეგონათ, ტარანტულას ნაშიერებო, ბუტბუტებდა ძალამოცემული მოხუცი. რადიოში ქაქანებდნენ, ეს ორგანიზატორები გარეუბანში ერთერთ საროსკიპოში ამოხოცეს ნალმმტყორცნებითო. აი, ასე, ამოიხვნეშა მან. საბრალო ხალხი. და მაინც ჰამაკში იწვა სრულიად უგრძნობელი, ძნელი ამოსაცნობი იყო, რა ჰქონდა ჩაფიქრებული. დედაჩემი ბენდისიონ ალვარადო, მაცოცხლე კიდევ ცოტა ხანს, რათა შური ვიძიო, შემომაშველე ხელი, დედა, მომეცი ძალა. ისე იყო დარწმუნებული, რომ დედამისმა გაიგონა, შეისმინა მისი მუდარა, რომ როდესაც საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უშიშროების ოფიცრები ეახლნენ და მოახსენეს, თავდასხმის სამი მოთავე მოკლულია შეტაკების დროს, ორიც შევიპყარით და სან ხერონიმოს ციხეში არიანო, ყველამ დაინახა, რა ღირსეული თავდაჭერილობით შეხვდა იგი ამ ამბავს, როგორ ცდილობდა თავისი ტკივილი დაეფარა, თავისი უბედურებით

არავინ შეეწუხებინა, მხოლოდ აჰა თქვა, ჰამაკიდან წამოდგა, იქვე მდგარ სურას დასწვდა და მარჯვე მშვილდოსნის ხელით ჭიქებში ჩამოგვისხა ხილის წვენი. ასეთი ბრძენი, ასეთი გულთბილი და ყურადღებიანი ის არასოდეს ყოფილა. თითქოს ჩემს გულში იკვლა, სიგარეტის მოწევის უფლება მომცა. წარმოუდგენელი ამბავი [illegible] ბრივი მოვალეობის შესრულების დროს სიგარეტის [illegible] ებლა ჯერ არავისთვის მიუცია. ამ ხის ძირში ყველანი ერთნი ვართო, თქვა მან და გასაოცარი სიმშვიდით მოისმინა ყველაფერი ბაზარში მომხდარი საზარელი დანაშაულის თაობაზე. შოტლანდიიდან ჩამოუყვანიათ ოთხმოცდაორი მონადირე ძაღლი, ოცდაორი დახოცილა, დანარჩენი სამოცი საგანგებოდ გაუწვრთნია ასევე საგანგებოდ ჩამოყვანილ შოტლანდიელ მწვრთნელს, მარტო ლეტისიას მელიის საყელოზე კი არ დაუგეშავს, ლეტისიაზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემო გენერალო, ბიჭზეც. ძაღლებს აყნოსვინებდა სასახლის სამრეცხაოდან მოპარულ ლეტისიას საცვლებს, აი, ამ კორსეტს, ცხვირსახოცს, წინდებს, აგერ კიდევ ბიჭის მუნდირს. პრეზიდენტს წინ დავულაგეთ ეს ნივთები ამოსაცნობად. მან არც კი დახედა, თქვა აჰა და კვლავ სმენად იქცა. ჩვენც გავუტიეთ, ეს ძაღლები ისე იყვნენ გაწვრთნილები, უდროო დროსა და უადგილო ადგილას ერთს არ დაყეფდნენ. მიაჩვიეს ადამიანის ხორცის ჭამას, ჩაკეტილი ჰყავდათ სიბნელეში, ერთი-ორი წელი დაჰყავდათ ქალაქგარეთ მიგდებულ ჩინურ ფერმაში, სადაც ლეტისია ნასარეცხსა და ბიჭის ფიტულები ჰქონიათ მათივე ტანსაცმლით მოსილი. ასწავლიდნენ, როგორ ეცნოთ დედა-შვილი სახეზე. პირდაპირ ცხვირ-პირში სჩრიდნენ მათ ფოტოებსა და საგაზეთო სურათებს. პრეზიდენტს საგანგებოდ შედგენილი ალბომი გადავუშალეთ, რათა თავად დარწმუნებულიყო და შეეფასებინა კიდეც ჩვენი მონდომებული მუშაობა და იმ ნაძირალების გველაძუობაც. ჩემო გენერალო, ყველა თავის საქმეს აკეთებს. პრეზიდენტს ალბომისთვის არც შეუხედავს, მხოლოდ აჰა თქვა. ჩვენ ისევ გავუტიეთ. შეთქმულები, რასაკვირველია, დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ, ისინი საიდუმლო ორგანიზაციის აგენტები აღმოჩნდნენ, მათი ცენტრი საზღვარგარეთაა, აი, მათი ემბლემა, ბატის ფრთა და ხანჯალი. პრეზიდენტმა კვლავ აჰა თქვა. ჩვენ ვუთხარით, ეჭვი არ არის, შეთქმულები დიდი ხანია ემალებიან მართლმსაჯულებას, მათ ადრეც აქვთ ჩადენილი არა ერთი ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული. ამის დასტურად წინ დავუდეთ პოლიციიდან წამოღებული ალბომი, რომელშიც ყელზე ნომერჩამოკიდებული სამი მოკლული კაცის სურათი იყო ჩაკრული. აი, ეს ორი კი ცოცხლად შევიპყარით და საკნებში ელოდებიან ჩემი გენერლის საბოლოო სიტყვას. ესენი არიან ძმები მაურისიო და გუმარო პონსე დე ლეონები, ოცდარვა და ოცდასამი წლის ახალგაზრდები. პირველი დეზერტირია, ჯარი მიუტოვებია, უსაქმურია და უსახლკარო. მეორე ძმა კერამიკის საქმეს ასწავლიდა ხელოვნების სკოლაში. ამ კაცს ძაღლები მუდამ კუდის ქიცინით ებლანდებოდნენ ფეხებში, თითქოს ეუბნებოდნენ, შენი ერთგული ვარო. ეს კი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მამხილებელ საბუთს წარმოადგენს. გენერალმა ისევ აჰა თქვა, მაგრამ შემდეგ ქებით მოიხსენია ის სამი ოფიცერი, ვინც ამ საქმეს იძიებდა და სამშობლოს წინაშე მხედრული მოვალეობის პი-

რნათლად შესრულებისთვის მედლებითაც დააჯილდოვა. საკუთრივ გადასცა მათ ეს ჯილდო და დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალზეე მოაწყო სამხედრო-საველე სასამართლო, რომელმაც ძმებს მაურისიო და გუმარო პონსო დე ლეონებს სასიკვდილო განაჩენი, დახვრეტა გამოუტანა. განაჩენი მოყვანილი უნდა იქნეს სისრულეში. გამოცხადებიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი უდიდებულესობა არ შეიწყალებს სიკვდილმისჯილებს. მხელი ეს ორმოცდარვა საათი სრულიად მარტომ გაატარა თავის ჰამაკში. და თუმცა ქვეყნის ყველა კუთხიდან თხოვდნენ ძმების შეწყალებას, მას არაფრის გაგონება არ სურდა. რადიოში უსმენდა უაზრო ლაყბობას ერთიანობაზე, უსმენდა მეზობელ ქვეყნებში როგორ ლანძღავდნენ და აგინებდნენ მას, ზოგან კი მხარს უჭერდნენ. ყურადღებით მოუსმინა იმ მინისტრებს, რომლებიც დიდი მოკრძალებით თხოვდნენ დამნაშავეთა შეწყალებას და იმათაც, ვინც ხმამაღლა მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას დამნაშავეობის აღსაკვეთად. მან პაპის ნუნცს უარი უთხრა მიღებაზე. ნუნცს პაპის წერილი უნდა გადაეცა მისთვის. წერილში მისი უწმინდესობა შეშფოთებას გამოთქვამდა ორი გზაარეული ცხვრის ბედისა გამო. პრეზიდენტმა მდუმარედ მოისმინა ცნობა იმის თაობაზე, რომ მთელი ქვეყანა გაოგნებული და აღელვებულია მისი დუმილით. ასევე მდუმარედ უსმენდა იგი შორეულ სროლებს, ხმა არც მაშინ ამოულია, როცა აფეთქების ტალღამ მიწა შეაზანზარა. გაურკვეველ ვითარებაში აფეთქდა პორტში რეიდზე მდგარი სამხედრო გემი. ჩემო გენერალო, თერთმეტი კაცია დაღუპული, ოთხმოცდაორიც დაშავებული. გემიც აღარ არის. გასაგებია, თქვა მან და საძინებლის ფანჯრიდან გახედა ზღვის უბეში აგიზგიზებულ ღამეულ კოცონს. სან ხერონიმოს ბაზაზე უკანასკნელად ღამდებოდა განაჩენის აღსრულების მომლოდინე ორი სიკვდილმისჯილი ძმისთვის. პრეზიდენტს ძმების სურათი აჩვენეს. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით წარბებით. ზუსტად ასეთნი წარმოუდგნენ თვალწინ. წარმოიდგინა სიკვდილმისჯილთა განათებული საკანი, შეშინებული, მარტოსული, განწირული ძმები მკერდზე დაკიდული ნომრიანი დაფებით. გრძნობდა, მათი იმედიანი ფიქრები მისკენ იყო მიმართული, შესთხოვდნენ პატიებას, მაგრამ არავინ იცოდა, თავად პრეზიდენტი რას გადაწყვეტდა. სამუშაო დღე ჩვეულებრივად ჩაათავა, გამოემშვიდობა ოფიცერს, რომელიც მისი საძინებლის კართან ყოველი შემთხვევისთვის მორიგეობდა, ხომ შეიძლება პრეზიდენტმა რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს, ვილაცამ ხომ უნდა შეატყობინოს სადაც ჯერ არს თუნდაც მამლის ყივილამდე. ღამე მშვიდობისა, კაპიტანო. კედელზე განუყრელი ლამპა დაკიდა, კარი სამ გასაღებზე, სამ ჯაჭვზე, სამ ურდულზე ჩაკეტა და იატაკზე პირქვე დაეგდო. ძილ-ღვიძილის გაცრეცილ ფარდის მიღმა სადღაც შორიდან ესმოდა აფორიაქებული ძაღლების ყეფა, სანიტარული მანქანების სირენები და რომელიღაც საეჭვო დღესასწაულზე პეტარდების ტკაცატკუცში არეული მუსიკის ხმები. სქელ ნისლში ჩაძირული ქალაქი კი მკაცრი განაჩენის აღსრულების მოლოდინში შეძრწუნებული გაყუჩულიყო. შუალამისას ზარების რეკვამ გამოაღვიძა. ერთ საათში ისევ გამოეღვიძა. ღამის სამ საათზეც ფანჯრის

მინებსა და ცხაურებზე უცნაურმა ფხაჭუნმა ისევ გამოაღვიძა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა, იატაკიდან მძიმედ წამოდგა ხარივით, ზუსტად ისე, დრუნჩზე დორბლდაკიდული ჯერ გავას რომ აწიდაცა ალა, მერე წინა ფეხებს დაეყრდნობა და ზლაზვნით წამოიმართება. მორიგე ოფიცერს უბრძანა, ეს ძაღლები მოამორეთ აქაურობა, [illegible] გინდათ წაიყვანეთ, ოღონდ მათი ყეფა აღარ გავიგონოთ [illegible] ითავრობის ხარჯზე ამყოფეთ მანამდე, სანამ თავიანთი სიკვდილით არ მოკვდებიან. ეს ერთი. ახლა მეორე. გაანთავისუფლეთ ის გვარდიელები, ლეტისიასა და ბიჭს რომ ახლდნენ ბაზარში იმ საბედისწერო დღეს. და ბოლოს, ძმები მაურისიო და გუმარო პონსე დე ლეონები ჩემი უმაღლესი გადაწყვეტილებითა და შეუვალობით ახლავე დაისაჯონ, მაგრამ არა დახვრეტით, როგორც აქამდე იყო განაჩენი გამოტანილი, არამედ გამოაბით ოთხ ცხენს და ტყავის გაძრობამდე ათრიეთ. და მართლაც, ცხენებმა ძმები ნაკუწებად აქციეს, მერე ეს ნაკუწები გამოფინეს ამ უკიდეგანო ნაღვლიანი სამეფოს ყველა კუთხეში საყოველთაო დაშინების მიზნით. საბრალო ბიჭები, ბუტბუტებდა ის და დაჭრილი სპილოსავით დაათრევდა უზარმაზარ ფეხებს. დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, მომეშველე, მაპოვნინე კაცი, ვინც მომეხმარება შური ვიძიო უდანაშაულო სისხლის დაღვრისათვის. სხვა საფიქრალი აღარაფერი ჰქონდა, დილიდან დილამდე ფიქრობდა ისეთ კაცზე, ვისაც ადამიანთა ამოცნობის ზებუნებრივი უნარი ექნებოდა. შურისძიებით შეპყრობილი მალულად ეძებდა ასეთ პიროვნებას, ცდილობდა ამოეცნო იგი, თვალებში დაჟინებით აშტერდებოდა მოსაუბრეს, ხმის ელვარადობას აყურადებდა, გულის კარნახსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეძებდა, ეძებდა და ის იყო მისი პოვნის ყოველგვარი იმედი გადაეწურა, რომ მოულოდნელად თავად გამოეცხადა ეს კაცი. რაღაც საოცარი ხიბლი ჰქონდა მოსულს. დედა, ასეთი დახვეწილი პიროვნება ჯერ არ უხილავთ ჩემს თვალებს. გოდოები რომ იცვამდნენ ძველად, ისე ეცვა. ჰენრი პულის დროინდელ ფრაკის ღილკილოში გარდენია ჰქონდა ჩამაგრებული, ვერცხლისფრად მოლივლივე ფარჩის ჟილეტი ეცვა. ევროპის გამორჩეულ არისტოკრატიულ სალონებში სტუმრობდა თურმე თავიხბოსტოლა, ბრაზიან დობერმანთან ერთად, რომელსაც ადამიანის თვალები ჰქონდა. ჰოდა, სწორედ ეს კაცი გამოეცხადა პრეზიდენტს. თქვენი მონა-მორჩილი ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ. ის იყო უკანასკნელი შთამომავალი ჩვენი არისტოკრატიისა, რომელიც მშობლიურ მიწას მოსწყვიტა ფედერალისტ კაუდილიოების[1] მიერ დატრიალებულმა ქარბორბალამ თავის ამბიციურ დიდებულებიანად, მელანქოლიურ მამულებიანად და ფრანგულ აქცენტიანად. ის იყო თავისი რასის დიდებული წარმომადგენელი, რომელსაც არაფერი ებადა საკუთარი ასაკის — ოცდათორმეტი წლისა გახლდათ — შვიდი ენის ცოდნისა და სროლაში შეჯიბრისას დოვილში მიღებული ოთხი პრიზისა. საშუალო სიმაღლის კარგი აღნაგობის ყმაწვილკაცს ფოლადისფერი კანი და მეტისის შუაზე გადაყოფილი შავი თქმა ჰქონდა. თმაზე ლამაზად აჩნდა ფერფლისფრად შელებილი ვიწრო ზოლი.

---

1 **კაუდილიო — მეთაური, მთავარსარდალი.**

ტუჩ-პირზე მტკიცე ნებისყოფა ეხატა, თვალები გამჭოლი ჰქონდა, უყვარდა ფერადი ფოტოსურათის გადაღება, ფოტოაპარატის წინ პოზირება სალონურ გობელენებზე ალბეჭდილ გაზაფხულის პეიზაჟის იდილიურ ფონზე. განსაკუთრებით თავისი ალუბლის ხის ხელჯოხით უყვარდა პოზირება, თითქოს კრიკეტს თამაშობსო. პრეზიდენტმა შვებით ამოისუნთქა, ეს არის, სწორედ ამას ვეძებდი. ადვოკატმა თავისი პირობები მოახსენა, გადმომირიცხავთ რვაას ორმოცდაათ პესოს, მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის განკარგულებაში ვიქნები და შესაბამისად, ვალდებულებას ვიღებ, მხოლოდ თქვენ ჩაგაბაროთ ანგარიში. პირობას გაძლევთ, ორ წელიწადში მოგართმევთ ლეტისია ნასარენოსა და თქვენი შვილის მკვლელთა თავებს. თანახმა ვარ. ამ კაცს რომ ნამდვილად გააჩნდა უყოყმანო, სწრაფი მოქმედების უნარი, ბებერი გენერალი არაერთხელ დარწმუნდა, გამოსაცდელად რაღაც-რაღაცებს ავალებდა, სურდა მისი სულის ლაბირინთებში შეელწია, ბოლომდე დარწმუნებულიყო მისი ნების, ხასიათის სიმტკიცეში. ბოლო გამოცდა დომინოს სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშისას ჩაუტარა. მისდა გასაოცრად, ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარამ წინასწარ შეუთანხმებლად მოუგო რამდენიმე პარტია. ასეთი გულადი კაცი ჯერ არ შემხვედრია, დედა, საოცარი ვინმეა, მომთმენი, ბევრი რამ ეხერხება, ყავის მოდულების სამოცდათორმეტი წესი იცის, ნოტებისა და უსინათლოთა ანბანის კითხვაც იცის, მოლუსკებს სქესით ცნობს, შეუძლია დიდხანს გაგისწოროს თვალი და სიტყვა არ დაცდეს. ასეთ დროს არ ვიცი ხოლმე სად წავიდე, როგორ ავარიდო თავი მის აუღელვებელ მზერას. ისეთი ნატიფი მოძრაობით სმარობს თავის ხელჯოხს, ვიბნევი. ნეკზე ნამდვილი ალმასი უბრწყინავს, ვიბნევი მაშინაც, როცა პატრონის ფერხთით გაწოლილ უზარმაზარ ავ ქოფაკს ვხედავ. ეს ცოცხალი ხავერდის საბურველი დროდადრო თრთის და ხტის. ამ საოცრად ლამაზ და იმავდროულად მაღალი სულის კაცის წინაშე უხერხულად ვგრძნობ თავს. ათასნაირი ნელსაცხებლის სურნელი ასდის, მისი სხეული არც ალერსს უფრთხის და არც სიკვდილს. ერთხელ მან კრძალვით შემომბედა, სულ არ ჰგავხართ სამხედრო პირს, უმაღლესმა იდეალებმა გიკარნახეს თქვენ ეს პროფესია. რა გესაქმებათ სამხედროებთან, ისინი ძალზე მარტივნი და ამბიციურნი არიან, მათთვის მთავარია მბრძანებლობა და არა ძალაუფლება, გენერალო, ისინი ემსახურებიან არა რაღაცას, არამედ ვიღაცას, ამიტომაც იმართებიან ადვილად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთმანეთს მიუსევთ. გამეღიმა, გუნებაში კი გავივლე, ალბათ გამიძნელდება, ამ თვალისმომჭრელ ახალგაზრდა კაცს — ვისაც იმდენი უფლება მივანიჭე, რამდენიც არავისთვის მიმინიჭებია მთელი ჩემი მმართველობის მანძილზე, თუ არ ჩავთვლით ჩემს ძვირფას მეგობარს როდრიგო დე აგილარს, ღმერთმა გაანათლოს მისი სული — დავუმალო საკუთარი აზრები. და ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარაც გახდა ბატონ-პატრონი საიდუმლო იმპერიისა მის იმპერიაში. ეს იყო რეპრესიებისა და განადგურების უხილავი სამსახური, არც ოფიციალური სახელწოდება გააჩნდა და არც განსაზღვრული ადგილმდებარეობა, ის იყო ყველგან და არსად, ის ჰგავდა რაღაც ირეალურს, მის ნამოქმედარზე არავინ აგებდა პასუხს, მაგრამ არსებობით ნამდვილად არსებობდა,

ჯოჯოხეთური ქიმერა რეალობას წარმოადგენდა, ტერორით მანამდე დაიმორჩილა ქვეყნის სხვა სარეპრესიო ორგანოები, სანამ უმაღლესი სამხედრო ჩინოსნები ყურებს გამოიფხეკდნენ, იგრძნობოდა მისი გავლენა და უხილავი ყველგანყოფნა. ჩემო გენერალო, ვერც თქვენ განჭვრიტეთ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ყოველივე ამას, თავს დაგვატყდა საშინელებათა მანქანა. მართლაც, ეჭვადაც არ გამივლია, რა განსაცდელშიც ვიგდებდი თავს, როცა ამ უფლისწულივით გამოპრანჭული კაციჭამიას გარეგნულ ხიბლს ვენდე და უყოყმანოდ დავეთანხმე მის მიერ შემოთავაზებულ ყველა პირობას. ერთხელაც ამ კოსტაპრუწამ სასახლეში მოათრია რალაცით სავსე ჯვალოს ტომარა, ქოქოსია და სადმე მოფარებულში მიაგდეთ, ვინმე არ წამოედოს, თუნდაც იმ კედლის კარადაში შეინახეთ, სადაც მოძველებული გამოუსადეგარი არქივი ინახებაო. ტომარა კარადაში შეჩურთეს და არც აღარავის გახსენებია. სამი-ოთხი დღის მერე ისეთი სუნი დადგა, სუნთქვა გაძნელდა, გახრწნილი გვამის სიმყრალით გაიჟღინთა კედლები, სარკეებზეც კი დაილექა. დავიწყეთ ძებნა, საიდან მოდიოდა ეს სუნი, სამზარეულოშიც შევედით, პირუტყვის საგომშიც, კაბინეტებში კვამლიც კი ავახრჩოლეთ, სუნი კი გვიბიძგებდა სხდომათა დარბაზისკენ. ირგვლივ ყველაფერს ჩაჰკირვოდა დამპალი სუნი, ისეთ ხვრელებშიც შემძვრალიყო, აქამდე არავითარი სუნი რომ არ მიჰკარებია საერთოდ. სუნი კი არა, ქოლერის წლებში პატარა ნიავიც კი არ შეპარულა. სუნი საარქივო კარადიდან გამოდიოდა. ყარდა ჯვალოს ტომარა, რომელიც ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას თქმით, თითქოს ქოქოსით იყო სავსე, სინამდვილეში ეს იყო პრეზიდენტთან დადებული შეთანხმების პირველი შესრულებული პირობა, ექვსი მოკვეთილი თავი. თითოეულ თავზე მიემაგრებინა საბუთი მისი სულ ახლანდელი მფლობელის სიკვდილის მიზეზის თაობაზე. ტომარაში იდო ლამის ქვის ხანის თვალდაშრეტილი პატრიციუსის, დიდი ომის უკანასკნელი ვეტერანისა და რადიკალების პარტიის დამაარსებლის ოთხმოცდათოთხმეტი წლის დონ ნეპომუსენო ესტრადას თავი. როგორც საბუთში იყო აღნიშნული, იგი გარდაცვლილა თოთხმეტ მაისს გულის უკმარისობით. აქვე იდო მისი შვილის ორმოცდაჩვიდმეტი წლის ექიმ-ჰომეოპატის ნეპომუსენო ესტრადა დე ლა ფუენტეს თავი. თუ საბუთს დავუჯერებთ, გულის შეტევით გარდაცვლილა იმ დღეს, რა დღესაც მამამისი. ოცდაერთი წლის სტუდენტი — ფიზიოლოგი ელიესერ კასტორი გარდაიცვალა წვეტიანი საგნით თავში მიყენებული ჭრილობით სიმთვრალეში ჩხუბისას. ოცდათორმეტი წლის აქტიური იატაკქვეშელი ქალი ლიდისე სანტიაგო გარდაცვლილა კრიმინალური აბორტის შედეგად. საჰაერო ფერადი ბუშტების მწარმოებელი ოცდათვრამეტი წლის როკე პინსონი, იგივე სასინტო-უჩინმაჩინი, გარდაიცვალა ალკოჰოლური მოწამვლის შედეგად იმ დღეს, რა დღესაც ზემოთ ჩამოთვლილები. ოცდაათი წლის არალეგალური მოძრაობის — ჩვიდმეტი ოქტომბრის — ლიდერი, უილბლო სიყვარულის გამო მოიკლა თავი, პირში დაიხალა ტყვია. სულ ექვსი თავია, თქვენო უდიდებულესობავ, ხელი მომიწერეთ ამ ქვითარზე. მანაც სიმყრალისა და საშინელების ხილვისაგან გულღვიძლამოტრიალებულმა

სასწრაფოდ დაამოწმა საბუთი. ო, დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი დახვეწილი გარეგნობისა და ღილკილოში ყვავილგაჩრილი კაცი ნამდვილი მხეცი იქნებოდა. ხმამაღლა კი წარმოთქვა, ნაჩო,[1] მეტს ნულარ მოიტანთ ტასახოს,[2] შემდეგში შეგიძლიათ მხოლოდ სიტყვიერად მომახსენოთ. მაგრამ საენს დე ლა ბარამ ფიცხლად იუარა, მე და თქვენ, გენერალო, კაცური პირობა მივეცით ერთმანეთს, თუკი თქვენ არ გყოფნით გულადობა, სიმართლეს შეხედოთ თვალებში, მაშინ დაიბრუნეთ თქვენი ოქრო და, რაზეა ლაპარაკი, მეგობრულად დავშორდეთ ერთმანეთს. რა საშინელებაა, ამ კაცს შეუძლია საკუთარი დედაც მოკლას. ბებერმა გენერალმა ენას კბილი დააჭირა, მხოლოდ ეს უთხრა, კარგით, ნაჩო, ნუ ცხარობთ, აღასრულეთ თქვენი მოვალეობა. აღასრულეთო და, იმრავლა ქოქოსის კაკლით, ანუ მოკვეთილი თავებით სავსე ჯვალოს ტომრებმაც. გულლვიძლამოტრიალებული პრეზიდენტიც სიკვდილის გამომწვევ მიზეზებზე შედგენილ საბუთებს ხელს აწერდა და მაშინვე ბრძანებასაც მიაყოლებდა ხოლმე, გაიტანეთ, მოაშორეთ ეს თავები აქაურობასო. ასე მოაწერა მან ხელი ცხრაას თვრამეტი მოკვეთილი თავის მიღება-ჩაბარების საბუთს. აბა, რა ეგონათ მის დაუძინებელ მტრებს. და სწორედ იმ ღამეს, როცა მოკვეთილი თავების რაოდენობამ ზემოხსენებულ რიცხვს მიაღწია, სიზმარი ნახა, ვითომ რომელიღაც ერთთითიანი საზარელი ცხოველი იყო და ცერა თითის ნაკვალევის კარგა გრძელ ხაზს ტოვებდა ახლად ცემენტმოსხმულ ვაკე ადგილზე, აფორიაქებულს გამოელვიძა, პირში ნაღველას მწარე გემოს გრძნობდა. იმ დღიდან ალიონის დადგომას შიშით დაზაფრული ხვდებოდა ფერმაში, თავისი მინავლებული მოგონებების ნეხვით ამოვსებულ ორმოს პირას გულგასიებული ითვლიდა მოჭრილ თავებს, ბებრული განცდებით შეპყრობილი ველარ არჩევდა, ყურებში აბეზარი ციცინათელა ფაჩუნობდა თუ დამპალ ბალახში ჭიანჭველების ფუთფუთი ესმოდა. დედაჩემო ბენდისიონ ალვარადო, რამდენი მტერი მყოლია, არადა, ნამდვილ დამნაშავეებს ჯერაც არ მივწვდომივარ. ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარამ ბებერ გენერალს წვრილად აუხსნა, რატომაც ჰყავდა ამდენი მტერი. ყოველი ექვსი მოჭრილი თავი სამოც მტერს გძენთ, სამოცი თავი ექვსასს, ექვსი ათასს, ექვს მილიონს. კი მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ეს ხომ მთელი ქვეყანაა, ასე ხომ ვერასოდეს დავამთავრებთ. დამშვიდდით, გენერალო, დავამთავრებთ, როცა ისინი დამთავრდებიან. ღმერთო ჩემო, ნამდვილი ბარბაროსია. ყოყმანი არ ჩვევია, ერთი მისხლითაც არ დაიხევს უკან, რასაც იტყვის, კიდეც შეასრულებს, ალტერნატივისთვის პატარა ხვრელსაც არ ტოვებს, თვითონაც, თავის დობერმანთან ერთად, რაღაც მთლიანსა და შეკრულს ჰგავს. ძაღლი თავის პატრონს მუდამ თან ახლავს და მეტ თავდაჯერებულობასაც ჰმატებს. მიუხედავად ბეხრეკი გენერლის სასტიკი წინააღმდეგობისა, ძაღლი ერთადერთი მოწმე იყო მათი საუბრებისა. ხოსე იგნასიო პირველად რომ გამოეცხადა კაბინეტში, რა თქმა უნდა, ძაღლიც თან ახლდა. ბეწვქვეშ ვერცხლისწყალივით უთრთოდა

---

1 ნაჩო — იგნასიოს კნინობითი ფორმა.

2 ტასახო — აპოხტი, გამოყვანილი ხორცი.

ყოველი ნერვი და კუნთი. გენერალმა უცხო სტუმარს ანიშნა, ძაღლი გარეთ დატოვეთო, მაგრამ საენს დე ლა ბარამ უპასუხა, არა, ბენერალო, ეს შეუძლებელია. ამქვეყნად ჯერ არ მეგულება ისეთი ადგილი, მე შევიდე, ლორდი კიოხელი კი არა. და შეიყვანა კიდეც ძაღლი. ამის მერეც ძაღლი მუდამ თან ახლდა კაბინეტში შესვლისას და ეიდრე ისინი მოკვეთილ თავებს ითვლიდნენ, ძაღლი მშვიდად თვლემდა სატრონის ფერხთით, მაგრამ საკმარისი იყო გენერალს ოდნავ აემაღლებინა ხმა, რომ მაშინვე წამოიმართებოდა მთელი სხეულით ზამბარასავით დაჭიმული. ძაღლს საოცრად ქალური თვალები ჰქონდა, ადამიანივით სუნთქავდა. მის გვერდით ფიქრის უნარს ვკარგავდი, ადგილს ვერ ვპოულობდი. ერთხელ, როცა ტომარაში ჩემი ერთი ძველი ადიუტანტის თავს წავაწყდი, აღშფოთებულმა მუშტი დავკარი მაგიდაზე, ძაღლი დაიძაგრა, პირიდან ორთქლი გამოუშვა, საზარლად დაკრიჭა კბილები და ჯარისკაცურ კარდალასავით ათუხთუხდა. ეს ადიუტანტი მისი ძველი და გამობრძმედილი პარტნიორი, შეიძლება ითქვას, მეგობარი იყო დომინოს თამაშისას და განა შეეძლო არ განრისხებულიყო. კმარა, ეშმაკმა დალახვროს, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, მაგრამ საენს დე ლა ბარამ როგორც ყოველთვის ახლაც მოთოკა მისი რისხვა მაგალითების მოშველიებით კი არა, უფრო ველური ძაღლების მომთვინიერებლის ტკბილ-ტკბილი სიტყვებით. ძილი აღარ ჰქონდა და მოსვენება, ლამის გულზე გამსკდარიყო. ნეტა რას ავიკიდე ეს საენს დე ლა ბარაა თუ ვილაც ოხერია, როგორ დამიმორჩილა. ამქვეყნად ერთადერთი მოკვდავია, ვინც ბედავს და ხელისუფალს ვასალივით ექცევა. საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ბებერი გენერალი ამ კაცის საიდუმლო იმპერიას აუჯანყდა, როგორმე უნდა განთავისუფლდეს მონური მორჩილებისაგან, თორემ მერე გვიან იქნება, თავის ავტორიტეტიანად ჩაუვარდება ხელში ამ ალქაჯს. ბენდისიონ ალვარადომ იმიტომ კი არ გამაჩინა ამქვეყნად, რომ მე მეუფროსებოდეს ვინმე, არამედ იმიტომ, რომ მე ვუფროსობდე. მაგრამ საკმარისი იყო ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა კაბინეტში ხლებოდა ძაღლებთან ერთად, რომ საცოდავი ბერიკაცის ღამინდელი გაწიწმატებაც და გულადობაც მაშინვე უკვალოდ გამქრალიყო. კვლავ მისი ნადავლი ხდებოდა, კვლავ ხიბლავდა მისი დახვეწილი ქცევა, ღილკილოში გარჭობილი ცოცხალი ყვავილი, მჟღერი ხმა, ლოსიონების სურნელი, გახამებული პერანგები, ზურმუხტის სამაჯურები და შთამბეჭდავი ხელჯოხი. ასეთი საჭირო, მაგრამ ამავ დროს ასეთი საზიზღარი, კუშტი სილამაზის კაცი ჯერ არ შემხვედრია, გაიფიქრა მან, თქმით კი ხმამაღლა თქვა, კარგით, ნაჩო, განაგრძეთ თქვენი მოვალეობის შესრულება, და კვლავ მოჰქონდათ მოჭრილი თავებით სავსე ტომრები, კვლავაც ხელისმოწერით უდასტურებდა მილება-ჩაბარების საბუთს. გრძნობდა, როგორ ითრევდა თავისკენ ძალაუფლების ქვიშა, როგორ ჩხვლეტდა იგი. უფსკრულში გადაჩეხილივით გრძნობდა სიცარიელეს ფეხქვეშ. დილაობით ზღვისკენ გაჭრილ ყოველ ფანჯარასთან დგებოდა და ერთსა და იგივეს ეკითხებოდა საკუთარ თავს, ნეტავ რა ხდება, უკვე თერთმეტი საათია და ამ ჩამკვდარებულ სახლში კაცის ჭაჭანება არ არის. არავინ ხართ მანდ, ყვიროდა იგი, მაგრამ ამაოდ, მარტო იყო, სულ მარტო, სად ვარ, ვერ გამი-

გია, ის ფეხშიშველი დენშჩიკები მაინც რა იქნენ, დერეფნებში ბოსტნეულით, ქათმებითა და ხილით დატვირთულ კალათებს რომ ხსნიდნენ ვირებს ზურგიდან. სად არიან ჩემი ენაჭარტალა ქალები, ყოველ დილით რომ ცვლიდნენ ყვავილებს ლარნაკებში, ჩიტების გალიებს რომ ასუფთავებდნენ, აივნებზე ხალიჩებს ბერტყავდნენ [illegible] ბერტყის რიტმს აყოლილნი მღეროდნენ, სუსანა, მოდი ჩემთან, სუსანა, შენი სიყვარული მწყურიაო. სად არიან ჩემი უდღეური ნაშიერები, ლამის ყველა კარს უკან რომ ითავისუფლებდნენ კუჭს ან პირდაპირ სხდომათა დარბაზში შედიოდნენ მოსაშარდავად, მოიმარჯვებდნენ თავიანთ შლანგებს და შარდით კუზიან აქლემებს ხატავდნენ კედლებზე. სად გადაცვივდნენ ჩემი მყვირალა მოხელეები, საწერი მაგიდის უჯრებიდან კვერცხისმდებელ კრუხებს რომ უქშევდნენ წარამარა. ფეხსალაგებიდან რატომ აღარ ისმის ჩემი კახპებისა და ჯარისკაცების ხორხოცი, სად გაქრნენ ჩემი უჯიშო ძაღლები, ყეფა-ღრენით რომ ხვდებოდნენ დიპლომატებს, კიბიდან ვინ დააგორა ჩემი ისედაც დაფეხვილი ხეიბრები, ვარდის ბუჩქებიდან ვინ აჰყარა ჩემი კეთროვნები, ვინ გამიგდო გარეთ ერთგული მლიქვნელები. ძველი სამხედრო ჩინოსნებიდან აქამდე შემორჩენილ ერთ-ორ ოფიცერს ძლივს ცნობდა ყრუ კედელივით შემორტყმულ თავისი ახლა უკვე ახალი დაცვის გვარდიელების მიღმა. ათასში ერთხელ მოწყალებასავით გადმოუგდებდნენ სიტყვით გამოსვლის უფლებას ახალ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომლის დანიშვნა-დამტკიცება მისთვის არავის უკითხავს. ექვსივე მინისტრი მეცნიერებათა დოქტორი იყო. სამგლოვიარო სერთუკები და ქათქათა, გახამებული პერანგები ეცვათ. აზრის გამოთქმას არ აცლიდნენ, სახელმწიფოს მართვას შენი რჩევა-დარიგების გარეშეც მოვახერხებთო. ბოლოს და ბოლოს, მთავრობა მე ვარო, სცადა ათუხთუხება, მაგრამ საენს დე ლა ბარამ შეაჩერა, მშვიდად აუხსნა, გენერალო, მთავრობა კი არა, ხელისუფალი ხართო. საღამოობით დომინოს თამაშიც მოსწყინდა, რა ძლიერი მოწინააღმდეგეც არ უნდა ჰყოლოდა, სულერთია, მაინც არ ეწერა თუნდაც ერთი პარტიის წაგება, სადილსაც საათობით ელოდებოდა, ვიდრე მის საჭმელს სხვა არ გასინჯავდა და არ შეამოწმებდა, სუფრას ვერ მიუჯდებოდა. მისი სამალავებიდან ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა თაფლიანი ქილები. საენს დე ლა ბარას შესჩიოდა, რა ხელისუფალი მე ვარ, შევარცხვინე ასეთი ხელისუფალიო. ის კი პასუხობდა, როცა სხვა არ არის, გენერალო, მაშინ რაც არის, ის არისო. ცხოვრება იმ სასახლეში, რომელიც ოდესღაც საკვირაო ბაზარივით აყაყანებულ სამოთხეს ჰგავდა, რა ხანია ლეთარგიულ ძილს მისცემოდა და რაც მთავარია, თავად მას, ბებერ გენერალს, აქ აღარაფერი ესაქმებოდა, მხოლოდ ეს იყო, მოუთმენლად ელოდებოდა ოთხშაბათ დღეს, რათა მოკალათებულიყო. რადიომიმღებთან და უილბლო სიყვარულზე დაწერილი რადიოპიესის გაგრძელება მოესმინა. იწვა ჰამაკში, ხელში ჩაებღუჯა ჯერაც პირდაუკარებელი ხილის წვენით სავსე ჭიქა და სმენადქცეულსა და თვალცრემლიანს მხოლოდ ერთი ფიქრი აწვალებდა, კვდება თუ არ კვდება პიესის მთავარი გმირი ყმაწვილი ქალიო. ხოსე იგნასიომ გაიკითხ-გამოიკითხა პიესის შინაარსის თაობაზე და ამბავი მოუტანა, კვდებაო. არ მოკვდესო, ბრძანა მან, იცო-

ცხლის, გათხოვდეს, შვილები გააჩინოს, სიბერემდე მიაღწიოსო. ხოსე იგნასიომაც ბრძანა, გადაეკეთებინათ პიესა, რათა გენერალი საკუთარი ძალაუფლების ილუზიით დამტკბარიყო. ამის მერე არცერთი რადიოგმირი არ მომკვდარა მისი ნებართვის გარეშე. ქალ-ვაჟები, რომელთაც არ უყვარდათ ერთმანეთი, მისი ნება-სურვილით ქორწილდებოდნენ. პიესის წინა თავებში გარდაცვლილები მომდევნო თავებში ცოცხლდებოდნენ, უარყოფითი გმირები დროულად ისჯებოდნენ, დადებითი გმირები კი ბერიკაცის განკარგულებით ბედნიერები იყვნენ სიკვდილამდე. ერთი სიტყვით, მისი აზრით, საქმეს აკეთებდა ვითომ, ცხოვრებას რაღაცით ივსებდა, კარგა ხანი იყო, საქმე აღარაფერი ჰქონდა. საღამოობით, საათის ფოლადივით ზარი რვაჯერ რომ ჩამოჰკრავდა და ისიც ანთებული ლამპით ხელში თავის სამფლობელოს შემოივლიდა, მისდა გასაოცრად, ძროხები დაბინავებული ხვდებოდა და გვარდიელთა ოთახიც ჩაბნელებული. მოახლეებს ეძინათ, სამზარეულო წკრიალებდა, იატაკი მორეცხილი იყო, ხორცის დასაჭრელი მაგიდაც ისე საგულდაგულოდ გაეწმინდათ, სისხლის კვალი არსად აჩნდა. ვიღაცამ, ეტყობა, კარგად იცოდა მისი ხასიათი, დარაბებიც მოეხურა და კაბინეტებიც ჩაეკეტა, თუმცა როგორ და რა გზით, საკვირველია, გასაღებები ხომ მას ჰქონდა, მხოლოდ მას და სხვას არავის. ახლაც ვესტიბიულიდან საძინებელ ოთახისკენ მიმავალმა ხელის გაწვდენა ვერ მოასწრო ჩამრთველისკენ, რომ შუქი მანამდე ჩაქრა. მონარქის მძიმე ფეხებით მიფლატუნობდა სიბნელეში, თავის ორეულს ველარ ხედავდა ჩალუსკუმებულ სარკეებში. უკან მიითრევდა შავხავერდგადაკრულ ოქროს დეზებს, რათა არავის შეემჩნია მისი ვარსკვლავური ბრჭყვიალა კვალი. ფანჯრებთან გავლისას ოცდასამჯერ შეავლო თვალი კარიბის ზღვას და ოცდასამჯერვე ზღვა იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო იანვარში — გადამწვანებული ჭაობი. თავის საძინებლამდე გზად ბენდისიონ ალვარადოს ოთახშიც შეიხედა ჩვეულებისამებრ. მკვდარი ჩიტების გალიებს თვლა არ ჰქონდა. ოთახის ერთ კუთხეში ისევ იდგა ქოთნის მარამბო, ისევ იდგა ტკივილიანი საწოლი, რომელზეც სამშობლოს დედა ცოცხლად ლპებოდა და რომელზეც დალია კიდეც სული. ღამე მშვიდობისა, დედა, წაიჩურჩულა მან, მაგრამ უკვე რამდენი წელია აღარავინ პასუხობს, ღამე მშვიდობისა, შვილო, ღმერთი ფარავდეს შენს ძილს. თავის საძინებლისკენ გასწია, დერეფანში გზას იმ ლამპით ინათებდა, კართან რომ კიდებდა ხოლმე ყოველი შემთხვევისთვის. უცებ მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, სიბნელეში ნაკვერჩხლებივით გიზგიზებდნენ ლორდ კიოხელის თვალები, მამაკაცის სუნამოს კეთილსურნელებაც ეცა ცხვირში, დამთრგუნველი ძლიერებაც იგრძნო იმ კაცისა, ამასთან, სიძულვილიც. ვინ არის აქ, იკითხა მან, თუმცა მშვენივრად იცოდა ვინც იყო. საზეიმოდ გამოწყობილი ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა სასახლეში მობრძანებულიყო, რათა ბებერი პრეზიდენტისთვის შეეხსენებინა უბრწყინვალესი ისტორიული თარიღი — თორმეტი აგვისტოს ღამე. ჩემო გენერალო, ზუსტად ასი წელი შესრულდა, რაც თქვენ მობრძანდით ქვეყნის სათავეში. თითქმის ყველა კუთხიდან გვეწვივნენ სტუმრები, დიდებული დღესასწაული გველოდება, მთელი ქვეყანა ზეიმობს

ამ თარიღს, თქვენ რაღას უცდით. მაგრამ ბებერმა გენერალმა ცივი წყალი გადაასხა ხოსე იგნასიოს, სულაც არ მიზიდავს, ეს ლირსშესანიშნავი ღამე ტაშის გრიალსა და ჩემიანების მგზნებარე სიყვარულით გარემოცულმა გავატაროო. ჩვეულებრივზე ადრე ჩაიკეტა სამ გასაღებზე, სამ ურდულზე და სამ ჯაჭვზე მისთვის განკუთვნილ საკანივით ოთახში. ტანგაუხდელად დაეგდო ქვის იატაკზე. ტოლოს უნიშნო უნიფორმა ეცვა, მარცხენა ფეხზე, ქუსლთან, ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. ხელისგულები ბალიშივით დაიდო, შიგ სახე ჩარგო და გაიყინა კიდეც ამ თავის მარადიულ პოზაში. სწორედ ასე წავაწყდით მაშინ ორბების მიერ დაკორტნილსა და მწერებითა და ზღვის მცენარეებით დაფარულს. თვალებზე აკრულ უძილობის ბინდს მიღმა ესმოდა სადღესასწაულო სალუტის შორეული ქუხილი, მხიარული მუსიკა, ზარების გუგუნი, ესმოდა უსასრულო ნაკადად მომსკდარ ადამიანთა ნაბიჯების ხმა, ესმოდა ლამის ცამდე აწვდილი სადიდებელი სიმღერა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ეს ყველაფერი ესმოდა და არაფერს ნალვლობდა, უფრო უკვირდა, დედაჩემო, ჩემი ცხოვრების ბენდისიონ ალვარადო, ასი წელიწადი გასულა მას შემდეგ. ეშმაკმა დალახვროს, რა სწრაფად გადის დრო.

●

ამგვარად, ის იქ იყო, ნამდვილად ის იყო და არა მისი ორეული. იწვა სასტუმრო დარბაზში, საბანკეტო მაგიდაზე, გარდაცვლილ პაპივით მორთულ-მოკაზმული და დიდებული. დანახვა რომ შეძლებოდა, ალბათ თვითონაც ვერ იცნობდა ყვავილებში ჩაფლულ საკუთარ თავს, ე. ი. იმას, ერთხელ რომ მოკვდა უკვე და ისიც ამ მაგიდაზე რომ ესვენა. მკვდარი უფრო მრისხანე ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში იყო. ხელზე ბამბით გამოტენილი აბრეშუმის ხელთათმანი წამოეცვათ, მკერდზე შოკოლადის ომებში ვითომდა გამარჯვებისთვის მიღებული — ასე ეუბნებოდნენ მას თავისი უსირცხვილო ლაქიები — უამრავი ჩინ-მედალი დაეხვავებინათ. ჭყეტელა მუნდირი და პრიალა კრაგები ეცვა, ცალ ფეხზე ოქროს დეზი ჰქონდა მიმაგრებული. სამყაროს გენერლის სამხრეებზე მწუხარებას დაებინდა ათი მზე. ეს სახელი სასწრაფოდ მიანიჭეს უკანასკნელ წამს, რათა თვით სიკვდილიც კი ვერ მიწვდენოდა მის სიმაღლეს. არადა, მიცვალებული რომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო, ამას ყველა ხედავდა და დაჯერებითაც ყველამ დაიჯერა უკვე, რომ ის სინამდვილეში არსებობდა, თუმცა სანთლის შუქზე ლოყებშევარდისფერებული ეს ქვეყნის დასანახად გამოდგმული მიცვალებული ნაკლებად ჰგავდა ხალხის წარმოსახვაში არსებულ ხელისუფალს. ამასობაში მთავრობის სხდომაზე გაუთავებლად ვკამათობდით ოფიციალურად გამოსაცხადებელი ბიულეტენების თაობაზე, ჩავკირკიტებდით, ვწონიდით თითოეულ სიტყვას, რა გვეთქვა, როგორ გვეთქვა ის, რაც თვითონაც არ გვჯეროდა. ვიდრე მთავრობა ასეთ დღეში იყო, ქალაქი სამხედრო მანქანების გუგუნმა გამოაღვიძა. მანქანები იარაღით იყო სავსე, ყვებოდა ერთი ქალი, ჯარისკაცებ-

მა სამთავრობო დაწესებულებები დილაადრიანვე მოაქციეს ალყაში. ავტომატმომარჯვებულები ზოგი სავაჭრო ქუჩის თალქვეშ აეკრა კედელს, ზოგიც მიწაზე გაწვა. ჩემი თვალით დავინახე ვიცე-მეფეთა კვარტალის შენობების სახურავებზე დადგმული ქვემეხები. აივნის კარი გამოვაღე, მინდოდა ჩემს პატიოში ახლად დაკრეფილი, ჯერ კიდევ ნამიანი მიხაკები სადმე დამეწყო, რომ გარკვევით მომესმა შეძახილები და ჩექმების ბრაგაბრუგი. პატრული ლეიტენანტის მეთაურობით ხან ერთ სახლს მიადგებოდა და კარზე აკაკუნებდა, ხან მეორე სახლს, მაღაზიის მეპატრონეებსაც აფრთხილებდნენ, დღეს ეროვნული დღესასწაულია და მაღაზიებს ნუ გააღებთ, ბრძანება გვაქვს ზემოდან მიღებულიო. ლეიტენანტს მიხაკი გადავუგდე და ვკითხე, რა ხდება, ამდენი ჯარისკაცი და ასეთი ხმაური რატომაა-მეთქი ქუჩებში. ლეიტენანტმა ყვავილი ჰაერშივე დაიჭირა და მხრები აიჩეჩა, ჩვენც არ ვიცით, ქალიშვილო. მერე თვალი ჩამიკრა და გაიცინა, იქნებ სულაც მიცვალებული აღსდგა მკვდრეთით. ჩვენთვის ამ სიტყვებში არც არაფერი იყო გასაკვირი, პირიქით, გასაკვირი ის იქნებოდა, რომ გამოეცხადებინათ, მისი მიწიერი ცხოვრება დამთავრდაო. ჩვენ ხომ გულუბრყვილოდ გვჯეროდა მისი უკვდავობა, ჩვენ ხომ არაერთხელ დავიჯერეთ მისი მკვდრეთით აღდგომა. ჰოდა, ახლაც დავიჯერეთ, რომ საქვეყნო საქმეებისგან ამდენი წლის განდგომის შემდეგ მან კვლავ აიღო ხელში სახელმწიფოს მართვის სადავეები. ამბობდნენ, წინანდელზე მეტად გამოცოცხლებული ჩანს და ყოჩაღადაც დადის თავისი უზარმაზარი ცრუ მონარქის ფეხებითო. სასახლეში კვლავინდებურად ანათებდნენ ნაცნობი მრგვალი ბურთები. ჩვენი ვარაუდით, თუ არა მას, მაშ, ვის უნდა გამოედენა სასახლიდან ის ძროხები, ახლა რომ დე არმას მოედანზე ზანტად წიწკნიდნენ ფილებშორის ამოწვერილ ბალახს, თუნდაც აი, აგერ, მოედანზევე, მომაკვდავი პალმის ჩრდილში მოკალათებული უსინათლო კაცი რატომ წაიკითხავდა ლექსს სიკვდილის დამმარცხებელ რაინდზე, რომელიც შორეთიდან დაბრუნებულიყო შინ. საცოდავ ბრმა კაცს პირუტყვის ფლოქვების ხათქახუთქი ჯარისკაცების ჩექმებისა ეგონა და ძროხებისკენ ხელგაშვერილი მთელ ხმაზე გაჰყვიროდა ლექსს, ძროხები კი ამ დროს არხეინად მიირთმევდნენ ბალზამინის ფოთლებს, გირლანდებად რომ შემოხვეოდნენ სასახლის ფლიგელს — დამსხვრეულ, ქვაში ნაკვეთ მუზების საუფლოს. საჭმლის ძებნაში სასახლის კიბეზე ასვლა-ჩასვლას მიჩვეულ ძროხებს, ეტყობა, მოეწონათ აქაურობა და დაიდეს კიდეც სადგომი კამელიების გვირგვინით თავშემკობილ ქვის მუზებისა და მაიმუნებჩამოკონწიალებული ქვის ლირების გვერდით, ოდესღაც ასე რიგად რომ ამშვენებდნენ აწ დანგრეულ ეროვნული თეატრის შენობას. წყურვილისგან ხახაგამშრალი პირუტყვი ვიცე-მეფეთა კვარტალის სახლებში თავხედურად შედიოდნენ, სადარბაზოების გრილი სიბნელიდან პატიოში გადიოდნენ და ხარბად ეწაფებოდნენ გუბეებს. ეზოდან მათი გამგდები არავინ იყო. ვინ გაბედავდა. პრეზიდენტის დამლა ძროხებს გავაზე ედოთ, ხარებს — ქედზე. ვაგლახად ხელს ვერავინ დააკარებდა მათ, ჯარისკაცებიც კი ერიდებოდნენ და გზას უთმობდნენ არცთუ ისე ვიწრო სავაჭრო ქუჩაზე, რომელმაც კარგა ხანია დაკარგა თავისი ოდინდელი ზეიმურობა და დროთა განმავლობაში გადაიქცა გატეხილი მა-

ლებივით გამოშვერილ რანჰოუტების, ქანდარებისა და ანძების გროვად. სწორედ აქ, სადაც ოდესღაც ჯერ კიდევ გვქონდა ზღვა და ნავებიც ისე ახლოს მიდიოდნენ ნაპირთან, რომ ლამის ბოხტნეულით დახვავებულ დახლებს შორის მიიკვლევდნენ გზას, ახლა მყრალი გუბეღა დარჩენილიყო. ყარდა ცარიელი ფარდულებიც, სადაც [illegible] პრეზიდენტობის ადრეულ ხანაში ინდუსთა სახელგანთქმული [illegible] ყუთფუთებდა. მაგრამ ინდუსები წავიდნენ და წავიდნენ ისე, მადლობაც კი არ უთქვამთ თქვენთვის, ჩემო გენერალო. მანაც ბებრული სიფიცხით დაადევნა მიმავლებს, ჯანდაბაში წასულხართ, ოხრებო, მიდით, შეუძვერით ინგლისელებს, გამოწმინდეთ ტრ...ი. მაგრამ ამაოდ დაშვრა, ინდუსებს ეს სიტყვები არ გაუგონიათ. მათ ნაცვლად ბაზარში გამოჩნდნენ ინდიელთა ნახელავით მოვაჭრეები. ყიდდნენ თილისმებს, გველის ნაკბენზე წასასმელ მალამოს. აზიმზიმებული დუქნების თხელი ტიხრებით ერთმანეთისგან გამოყოფილ პატარ-პატარა ოთახებში ხრინწიანი პატეფონის თანხლებით დილიდან დილამდე ჭრიალებდნენ საწოლები. როგორც კი ტაძრის ზარებმა ქვეყანას ამცნეს გლოვის დაწყება, ჯარისკაცებმა მაშინვე თოფის კონდახებით დალეწეს იქაურობა. უნდა ითქვას, ეს იყო ნამდვილი გლოვა, მისმა სიკვდილმა, ასე დიდხანს დ. მოუთმენლად რომ ველოდით, ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავი დაგვანახა. იმდენჯერ დაირხა ხმა, მოკვდაო, იმდენჯერ ვიყავით ჩასაფრებული, ან ახლა ამოხდის სულს თავისი რომელიმე სნება ან ახლა-თქო, იმდენჯერ გადავიტანეთ მისი სიკვდილი, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოვაჩინეთ, რომ ამ უიმედოდ გაწელილ მოლოდინში თავად დავიღალეთ. ახლაც არ დაგვიჯერებია მისი სიკვდილი, იმიტომ კი არა, რომ უკვდავი გვეგონა, არამედ იმიტომ, რომ ისე შევეჩვიეთ ამ ყოფას, აღარც გვინდოდა მომკვდარიყო, ვერც წარმოგვედგინა, როგორ ვიქნებოდით უმისოდ. პირადად მე ცხოვრება ვერ წარმომედგინა იმ კაცის გარეშე, ვინც თორმეტი წლის გოგოს ისეთი ბედნიერება მომანიჭა, არცერთ მამაკაცს რომ არ მოუნიჭებია მერე და მერე. იგი მე ჯერ კიდევ იმ შორეულ წლებიდან მახსოვს, როცა ფერმის სარკმლიდან ხარბად გვიცქეროდა სკოლიდან ზუსტად ხუთ საათზე გამოსულ, მეზღვაურულ ცისფერ კაბებში გამოწყობილ ნაწნავიან გოგონებს და ჩურჩულებდა, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, ნეტავ განახა, რა ლამაზები არიან ეს უშობლებიო, თან თავისთან გვიხმობდა. ჩვენც ვხედავდით მის მშიერ თვალებს და დახეული ხელთათმანიდან გამოჩრილ თითებში მოქცეულ ლამაზ კოლოფს, რომელიც ელჩმა ბელდრიჩმა მიუტანა საჩუქრად და რომელსაც ახლა დროგამოშვებით ანჯღრევდა, შაქარყინულს აჩხაკუნებდა ჩვენ გასაგონად და მისაზიდად. ჩვენ კი შეშინებული გავრბოდით, მაგრამ ერთხელ, როცა ყველანი გაიქცნენ და მარტო დავრჩი ქუჩაში, როცა დავრწმუნდი არავინ მიცქერდა, სარკმელს მივუახლოვდი და ის იყო ხელი გავიშვირე ჭყეტელა კოლოფისკენ, — ვერ დავმალავ, შაქარყინულის მაცდუნებელი ჩხაკუნი ჯერაც ყურში მედგა, — რომ მან თავისი ვეფხვივით ტორი ღონივრად და იმავდროულად ნაზად ჩამავლო ხელში და ფრთხილად, ისე რომ არაფერი დამშავებოდა, მსუბუქად ამწია მაღლა და სარკმელში ისე გადამაძვრინა, ჩემი ფორმის კაბა არც დაკუჭულა. შარდის სუნად აქოთი-

ბულ თივაზე დამაწვინა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისე ცახცახებდა, ენას ვერ ძრავდა, გული ისე უცემდა, პერანგი აუდ-ჩაუდიოდა მკერდზე. შეშინებულსა და ფერდაკარგულს თვალებში ცრემლი ედგა. ასეთი ცრემლი არცერთი ჩემი მამაკაცის თვალებზე არ მიხახავს, არც არავინ შემხებია ასე ნაზად, აუჩქარებლად, მდუმარედ. [illegible] მის ცახცახებულ თითებში მოქცეული ძუძუს კერტები [illegible] ნდა, კოკრებივით მეფურჩქნებოდა. ხელს ნიფხვის ქვეშ ნაზად მიყოფდა, თითებს ყნოსავდა, მეც მაყნოსვინებდა, ეს შენი სუნიაო, მეუბნებოდა. მერე და მერე ელჩ ბელდრიჩის კანფეტები აღარ დასჭირვებია ჩემს მისატყუებლად. უკანფეტოდაც კარგად გავრბოდი ფერმისაკენ, პატარა სარკმელში თვითონ ვძვრებოდი, რათა კვლავ განმეცადა მომწიფებული ქალობის ბედნიერი წუთები ამ კეთილ, ღონიერ, ნაღვლიან კაცთან. იგი თივაში მელოდებოდა ნაირ-ნაირი ნუგბარით სავსე თოფრაკით ხელში. სიგიჟემდე უყვარდა ჩემი სხეულის სუნი, საჭმელს იქ მტენიდა, მერე ჭამდა და მეც მაჭმევდა. გემრიელი ხარ, პორტის სუნი აგდის, ნეტავ შენი თირკმლები მაჭამა თავის ამონიაკიანად მოხარშული, შენივე თბილი შარდითა და იღლიების მარილიანი ოფლით შეზავებულიო. თავით ფეხამდე ანაწილებდა ჩემს სხეულს, მკმაზავდა მარილით, წიწაკითა და დაფნის ფოთლით და მხარშავდა ვნების ნელ ცეცხლზე ყოველ საღამოს ჩვენი ეფემერული უმომავლო სიყვარულობანას თამაშისას. თავით ფეხამდე მჭამდა ბერიკაცის მადიანობითა და სიხარბით. არ მახსოვს ჩემი სიყვარულის მაძიებელი რომელიმე მამაკაცი ასე მომქცეოდა. ყველანი სულსწრაფები და უგრძნობელები იყვნენ. ცოტა ხნით სულს რომ მოითქვამდა, ბერიკაცი ან საკუთარ თავზე მიამბობდა, ან აბეზარ ძროხებს ვიგერიებდით, ხაოიანი ენით გვლოკავდნენ ხოლმე. მეუბნებოდა, თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარო, ყელში მაქვს ამოსული ჩემო გენერალო, ჩემო გენერალოო, ლაპარაკობდა მშვიდად, არ წუწუნებდა, არც თავს მაცოდებდა, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდა სადღაც შიგნით ჩაბუდებულ მდუმარებაში. ერთი განწირული ყვირილი და ეს მდუმარება დაირღვეოდა, მაგრამ ხმა კვლავ გაუბზარავი ჰქონდა, თავშეკავებული ჩანდა. ჯერ არ შემხვედრია ასეთი ალერსიანი, ჭკვიანი და დატანჯული კაცი. სწორედ მაშინ, როცა იგი ჩემი ოცნების მამაკაცი, თოთხმეტი წლის გოგოს ოცნების მამაკაცი გახდა, ოჯახში ორი სამხედრო მალალჩინოსანი გვესტუმრა ოქროს დუბლონებით გაძეძგილი ჩემოდნით ხელში. შუაღამისას მთელი ოჯახი დაგვსხეს უცხოურ გემზე და გაგვამგზავრეს უკან დაუბრუნებლად. ასე იყო ნაბრძანები ზემოდან. რამდენიმე წელიწადი გავატარე უცხოეთში. ვიდრე მისი სიკვდილის ამბავმა არ მოაღწია ჩემამდე, ფეხი არ დამიდგამს მშობლიურ მიწაზე. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერც კი გაიგო რა ულიმღამო ცხოვრებით ვცხოვრობდი უმისოდ, როგორ ვიტანჯებოდი უმისოდ, მის ალერსს დანატრებული როგორ ვუწვებოდი პირველსავე შემხვედრ მამაკაცს, რათა შემედარებია მისთვის და ვრწმუნდებოდი კიდეც, რომ იგი უკეთესი იყო უკეთესთა შორის. ამიტომ ყველას ზურგს ვაქცევდი, მასთან შედარებით ყველანი საცოდავები მეჩვენებოდნენ. დაბერებული და ბევრი მშობიარობისგან ჯანგატეხილი დავბრუნდი სამშობლოში. შვილი ბევრი მყავს, სხვადასხვა კაცებისგან. თავს ვიტყუებდი, მისი შვილები არიან-მეთქი.

სინამდვილეში კი, რაც შეეხება ბერიკაცს, მან ეს გოგო, რაკი ფერმის სარკმელში აღარ შემძვრალა, მეორე დღესვე დაივიწყა. ახლა სხვა გოგოს დაადგა თვალი. და საერთოდაც, ყოველ საღამოს ახალ-ახალი გოგონები სტუმრობდნენ მასთან. იმ ხანებში მისთვის უკვე სულერთი იყო ყველა, ისედაც, ერთნაირ სასკოლო ფორმებში გამოწყობილ გოგონებს ხომ სულ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან. ენას უყოფდნენ და ბებერ ჩერჩეტს ეძახდნენ, როცა იგი ელჩ რიმპელმაიერის კანფეტებით ცდილობდა მათ მიტყუებას. სარკმლიდან რომ გადააძვრენდა, არც ეკითხებოდა, გუშინ შენ იყავი თუ სხვაო, მისთვის ყველა ერთი იყო. ჰამაკში ჩაწოლილს საამო მოთენთილობას ჰგვრიდა მოსწავლე გოგონების გახსენება. ფირფიტაზე ჩაწერილ ელჩ შტრიმბერგის გაუთავებელ ლაქლაქს კი ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა. ეს უზარმაზარი ელექტრული ხმის გამაძლიერებელი თავის ფირფიტიანად ელჩმა აჩუქა, რათა სურდა თუ არ სურდა, გენერლისთვის ყოველ წამს შეეხსენებინა თავისი მთავრობის დაჟინებული მოთხოვნა, გადაუხდელი ვალების სანაცვლოდ დაეთმო ტერიტორიული წყლები. ისიც ჯიუტად პასუხობდა, მაგას ვერ ეღირსებით, ძვირფასო სტივენსონ, ყველაფერს მოგცემთ ზღვას კი მოეშვით, ტყუილად მთხოვთ. და სასწრაფოდ თიშავდა გამაძლიერებელს. ყურები ატკინა ამ უსიამო რკინასავით მჟღერმა მონოტონურმა ხმამ, რომელიც მომაბეზრებელი სიჯიუტით ცდილობდა აეხსნა ბებერი გენერლისთვის ის, რაც მას კარგა ხნის წინ ძალზე გასაგებად და მიუკიბ-მოუკიბავად მოახსენეს საკუთარმა ექსპერტებმა. ჩემო გენერალო, ყველა რესურსი ამოწურულია. მან იცოდა, ხაზინა რომ ცარიელი იყო. იცოდა, ქვეყანა რომ ვალებით ცხოვრობდა. კარგად ახსოვს, პირველი პროცენტიანი სესხი დამოუკიდებლობისათვის ომების დროინდელი ვალის გასასტუმრებლად რომ აიღო. პროცენტს პროცენტი დაემატა და რაკი ფული არ ჰქონდა, რალაცით მაინც ხომ უნდა გადაეხადა ვალი, როგორმე ხომ უნდა ჩაეჩუმებინა მოძალებული კრედიტორები. ჩემო გენერალო, ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ ვალების სანაცვლოდ. კაუჩუკისა და კაკაოს მონოპოლია ჰოლანდიელებს მივართვით, ზეგანელებისთვის რკინიგზის მშენებლობისა და საწყლოსნო გზების ექსპლუატაციის კონცესია გერმანელებს გადავაბარეთ, ყველაფერი უცხოელებს, გრინგოებს, ჩავუგდეთ ხელში, და თანაც ისე ფარულად, რომ კარგა ხანს მანაც არაფერი იცოდა ამის თაობაზე. მხოლოდ ხმაურიანი სკანდალისა და ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას საჯაროდ დასჯის შემდეგ გაიგო ყველაფერი. ჯოჯოხეთის ცეცხლი და გენია ამ არაკაცს. სხვა გზა არ გვაქვს, გენერალო, უჩიჩინებდა მას თითქმის ყველა ფინანსთა მინისტრი, დაწყებული იმ უმძიმესი წლებიდან, როცა სულთამხუთავ ჰამბურგელ ბანკირებს კომპრომისული მორატორიუმი წარუდგინა ვალის გადავადების თაობაზე, დამთავრებული დღევანდელ მინისტრამდე. გერმანელთა ესკადრონმაც არ დაახანა და ალყაში მოაქცია პორტი და, რაც მთავარია, ინგლისელთა ჯავშნოსანიც გამოჩნდა მოულოდნელად და გამაფრთხილებელი გასროლით ტაძრის გუმბათი დააზიანა. მაგრამ ბებერი გენერალი სულაც არ შეუშინებია ინგლისელების ქვემეხებს. თავზე არ დ...ჯვი ინგლისის მეფეს, სიკვდილი მირჩევნია ვილაცის მორჩილებას. სიკვდილი კაიზერს, დაიღრიალა მან და

ბოლო წუთში, როცა თითქოს დაღუპული იყო ქვეყნის საქმე, დახმარების ხელი გამოგვიწოდა მასავით დომინოს დიდმა მოყვარულმა, ელჩმა ჩარლზ უ. თრეიქსლერმა. ჩემი მთავრობაო, მიმართა მან ჩვენს გენერალს, თქვენს მიერ აღებულ ევროპული ვალდებულებების გარანტად დადგება, თუ ამის სანაცვლოდ მისცემთ თქვენი წიალისწულიდან უვადო სარგებლობის უფლებასო. მათხოვრები გავხდით, ჩემო გენერალო, ნიფხავ-პერანგიც კი მაგათი გვაცვია. მაგრამ ამ სიტყვებს სულაც არ აუღელვებია ბერიკაცი. კიბემდე გააცილა ერთ-ერთი იმ ელჩთაგანი, ღილის ხუთი საათიდან ლამის შუადღემდე სასახლის დერეფნებშიც კი ჯიუტად რომ არ ეშვებოდა. გამომშვიდობებისას მხარზე ხელი მოუთათუნა, არც გაიფიქრო, ჩემო ძვირფასო ბაქსტერ, სიკვდილი მიჯობს უზღვობას. ბერიკაცს ყველაზე მეტად თრგუნავდა სასახლეში გამეფებული სამარისებური დუმილი, თითქოს წყალქვეშ ცხოვრობსო, კაცი არ ჭაჭანებდა ირგვლივ. ეს კი ოდესღაც მისი რჩეულის წყეული ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას ბრალი იყო, ყველას წააჭრა თავი გარდა იმ გარეწრებისა — ვისთვისაც მართლა უნდა წაეჭრა — ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა ლეტისია ნასარენოსა და მის შვილს. ჩიტებიც აღარ მღეროდნენ, თუმცა ბალახეულის ნაყენს ასხამდა ნისკარტში, სკოლიდანაც აღარ ისმოდა გოგონების სიმღერა მწვანე ლიმონზე შემომჯდარ ჩიტუნაზე. ცხოვრება მდორედ მიიზლაზნება, ჩემო გოგონი, თივაში გელი, შენს წვეტიან ძუძუებს ველი და შენს ნიჟარას. ბერიკაცი სის ჩრდილქვეშ განმარტოებული მიირთმევდა საჭმელს, სიესტის პაპანაქებაშიც განმარტოებული დაცურავდა, ტკბილი თვლემიდან დროდადრო ამოყვინთავდა, რათა კვლავ მიედევნა თვალი სატელევიზიო ფილმისთვის, სადაც ყველაფერი მისი მითითებითა და სურვილით ხდებოდა და არაფერი ჰქონდა საერთო ცხოვრებისეულ სინამდვილესთან. მას სჯეროდა, რომ რეალურ ცხოვრებას უყურებდა ან სულაც ისეთს, როგორიც წარმოედგინა. ეგონა, ყველაფერი იცოდა, სინამდვილეში კი არ იცოდა, რომ ჯერ კიდევ ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას დროიდან ჭოყოლებული დავიწყეთ საგანგებო გადაცემების მომზადება პირადად მისი რადიომიმღებისთვის, მერე და მერე დახურული სატელევიზიო არხიც გამოვიყენეთ, რათა მხოლოდ მისი ტელევიზორის ეკრანზე მხოლოდ მისი მოსაწონი ან მასთან შეთანხმებით გადაკეთებულ-გადმოკეთებული ის ფილმები ეჩვენებინათ, სადაც მხოლოდ არამზადები კვდებიან, სადაც სიყვარული ამარცხებს სიკვდილს, სადაც ცხოვრება ზღვიდან მონაბერი ნიავივით საამოა. ჩვენ ვცრუობდით, ვთვალთმაქცობდით. რათა ის ყოფილიყო ბედნიერი და მართლაც იქნებოდა ბედნიერი თავისი უსასრულო სიბერის მიმწუხრს სასკოლო მატროსულ ფორმიან გოგონებთან ერთად, რომ ერთხელ, სრულიად შემთხვევით არ ეკითხა ერთ-ერთი გოგონასთვის, სკოლაში რას გასწავლიანო. მეც ავდექი და სიმართლე ვუთხარი, არაფერსაც არ გვასწავლიან-მეთქი, მე ხომ პორტის კახპა ვარ-მეთქი. რამდენჯერმე გამამეორებინა ეს სიტყვები, ეტყობა, ვერ გაიგო, რა ვუთხარი. მეც დამარცვლით გავუმეორე, მოსწავლე კი არა, პორტის კახპა ვარ-მეთქი. მართალს ამბობდა. ჯანდაცვის მუშაკებს ეს გოგო სურნელოვანი საპნით კარგად დაუბანიათ, მატროსული ცისფერი კაბა და — ვითომ ერთი ვინმე წარჩინებული ოჯახის

შვილი ყოფილიყოს — გოლფები ჩაუცმევიათ და უბრძანებიათ, ყოველ საღამოს ხუთ საათზე ფერმის წინ გაერბინა ქუჩაში. მარტო მე როდი დავრბოდი მის ფანჯარასთან, ჩემთან ერთად სხვა ჩემი ტოლი კახპებიც იყვნენ, ისინიც სანიტარული პოლიციის მიერ დაბანილ-დავარცხნილები. ყველას ერთნაირი მატროსული კაბა და ერთნაირი ბიჭური ფეხსაცმელი გვეცვა. ცხენის კუდისგან ნაწნავები გაგვიკეთეს, ნაბეღი, აქამდე შემომრჩა, ჩვეულებრივი სარჭით მაგრდება. გვითხრეს, არ შეგეშინდეთ, საწყალი, სულელი მოხუცია, არაფერი შეუძლია, მხოლოდ სამედიცინო დაკვირვებას ჩაგიტარებთ თითით, შეიძლება ძუძუც მოგწოვოთ, პირშიც ჩაგჩაროთ რამე. გასაგებია, ვთქვი მე, თქვენც ხომ ასე მიკეთებთ-მეთქი. თქვენ მხოლოდ ის გევალებათ, ვნებიანად იჩურჩულოთ, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიყვარულო, ვითომ აღფრთოვანებული ხართ მისი მამაკაცური ძლიერებით. ვიდრე იმ ბეხრეკთან გაგვიშვებდნენ, თვითონ გამოგვცადეს რამდენჯერმე. გროშებს გვიხდიდნენ ბეხრეკის გართობაში. ეს სანიტარული სამსახურის გადასახადი, ეს სერჟანტის საკომისიო, ჩვენ კი გასაცოდავებული ოთხი პესოლა გვრჩებოდა ბოლოს. უსამართლობა იყო აბა რა იყო, როგორია, წინაც და უკანაც ამდენ საჭმელს რომ გტენიან. სწორედ ასეც მივახალე პირში იმ ბეხრეკ ყეყეჩს, თვალდაუხამხამებლად რომ მომშტერებოდა. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, რატომ ვისჯები ასე მწარედ. თუმცა ამ დროს არც სიმწარე ეხატა სახეზე და არც სასოწარკვეთილება. საქმე გაიჩინა, სხვა გზებითა და არხებით დაიწყო იმის გამოძიება და დაზუსტება, რაც „გოგონამ" უთხრა. ყველაფერი ძალიან მალე გაიგო. ჩემო გენერალო, სასახლესთან ახლოს ქალთა სასწავლებელი რომ იყო, დიდი ხნის წინათ დახურეს. ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით, განათლების მინისტრისა და მდიდარი ოჯახების ძალისხმევით ახალი სამსართულიანი სკოლა ააშენეს ზღვის ნაპირას. ბღენძია მშობლებმა თავიანთი ქალიშვილები პირქუში ბერიკაცის ხარბ თვალებს მოაშორეს. ეს მოხუცი კი, რომელსაც მტაცებლის გრძელი ხელები ჰქონდა, ახლა ჩვენ წინ იწვა საბანკეტო მაგიდაზე ნიგვზის წვენში ჩადებულ თევზივით და ზედ დაჰნათოდა დამჭკნარი ბალბისა და უდაბნოს მთვარის კრატერების მკვდარი შუქი, მის გარეშე შემობრძანებული ჩვენი პირველი ალიონის შუქი. თეთრ ყვავილებში ჩაფლულმა ბერიკაცმა როგორც იქნა დაიხსნა თავი თავისივე ერთპიროვნული ძალაუფლების ტყვეობიდან, თუმცა ვინ ვისი ტყვე იყო ამ სახელისუფლო სახლში, ცოცხალი პრეზიდენტების ამ სულისშემხუთველ სამარეში, ჯერ კიდევ გასარკვევი იყო. ოდესღაც, როცა ამ სასახლისა თუ აკლდამის გადაკეთებას მოჰკიდეს ხელი, როდესაც შიგნიდანაც და გარედანაც ჩამკვდარ მოთეთრო ფერად ღებავდნენ, თავად მას არავინ არაფერს ეკითხებოდა, ვერცა სცნობდნენ ოთახებსა და დერეფნებში მობორიალეს, უყვიროდნენ, ნეტავ რას დადიხართ აქეთ-იქით, შეთეთრებული კედლები არ გაგვიჭუჭყიანოო. ისიც სწრაფად შორდებოდა იქაურობას, თან ცდილობდა მართლა არ გაკარებოდა ახლად შეფეთქილ კედლებს. მანდ იყავით, სენიორ, არ ჩამოხვიდეთ, ფიცარი არ დაგეცეთ თავზე. ისიც არ იცვლიდა ფეხს. მაგრამ ქვისმთლელების ჩაქუჩების კაკუნსა და შეძახილებზე ლამის ყურთასმენა-

დაკარგულს იქიდანაც აგდებდნენ, ბებერო ჩერჩეტო, ხელს გვიშლიო. უბოდიშოდ ელაპარაკებოდნენ, არ წაგვიბილწო საღებავიო. ისიც რიგითი ჯარისკაცივით ემორჩილებოდა ამ ბრძანებას, მოთმინებით იტანდა ამ სულელურ რეკონსტრუქციას, ზღვის ქარების სანაპიროდ ასლად გაჭრილ ფანჯრებს. ასეთი მარტოსული არასოდეს ყოფილა ყოველ წამს გრძნობდა თავისი მცველების ფხიზელ თვალყურებს მასზე და დაჟინებით შესცქეროდნენ, თითქოს დაცვა კი არა, მოგზავნილები ყოფილიყვნენ. შესცქეროდნენ და თან საჭმელს თქვლეფდნენ, თაფლიანი ქილებიც აღარ ხვდებოდა სამალავში. ოქროს დეზებზე ნაჭერი შემოახვიეს, გული გაგვიწვრილა მაგის წკრიალმაო, ან ნეტავ კი რაში გჭირდება, მოჩხუბარი მამალი ხომ არ ხარო. ჯანდაბას მაგათი თავი, იხუმრონ რამდენიც უნდათ. მათ მწყემსურ ხუმრობებზე ალბათ ბევრს იცინებდა ჩემი ძველი მეგობარი სატურნო სანტოსი. იაპონელი მუშაითებივით, დილიდან დაღამებამდე რომ გადიან-გამოდიან გაჭიმულ თოკზე, ეს თერთმეტი პიჯაკებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილი კაცისმკვლელიც დილიდან დილამდე მას დასდევს და თუკი ორმოცდაათი მეტრის რადიუსში ვინმე გაივლიდა იარაღიანი, მაშინვე მწვანე და წითელნათურებიანი აპარატი აინთებოდა. ყოველთვის თან ახლდა შვიდი ერთნაირი მანქანის კორტეჟი. ისე მიქროდნენ, თითქოს ვიღაც მისდევთო უკან. ისე უსწრაფესად უსწრებდნენ ერთმანეთს, ისე უსწრაფესად უცვლიდნენ ერთმანეთს ადგილს, რომ ზოგჯერ თვითონაც უჭირდა გარკვევა, რომელ მანქანაში იჯდა. არადა, სულაც არ იყო საჭირო ასეთი სიფრთხილე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გინდა ამ მანქანებისთვის გისროლია და გინდა გაფრენილი ორბებისთვის, და მეორეც, მანქანის სარკმლის ფარდა ოდნავ გადასწია თუ არა და ამდენი ხნის კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ გაიხედა გარეთ — რა დიდი მიხვედრა ამას ჭირდებოდა — ქუჩაში კაციშვილი არ აქცევდა ყურადღებას სამგლოვიარო ლიმუზინების კორტეჟის ეშმაკურ მანევრებს. სამაგიეროდ მან მიაქცია ყურადღება შუშის კლდეებივით აღმართულ სამინისტროთა შენობებს, რომლებიც ტაძრების გუმბათებსაც აღემატებოდნენ სიმაღლეში და პორტისპირა ბორცვებზე შეფენილ ზანგების ჭრელაჭრელა ქოხმახებსაც ფარავდნენ. დაინახა, ჯარისკაცთა პატრული რა ეულმოდგინედ შლიდა კედელზე გადღაბნილ წარწერას. როცა იკითხა, კედელზე რა ეწერაო, უპასუხეს, დიდება ახალ სამშობლოს შემომქმედსო. მან თავი დააქნია, თუმცა მიხვდა, ტყუილი უთხრეს. თუ ეს ეწერა, მაშინ რატომღა წაშალეს. მან დაინახა ფართოზე ფართო ბულვარი, რომელიც მიემართებოდა ზღვის სანაპირომდე, სადაც ოდესღაც ჭაობი ბუყბუყებდა, ახლა კი პალმებითა და უმშვენიერესი ყვავილებით მოეხატათ იქაურობა. დაინახა ახალი გარეუბანი ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებული ანტიკურჭიშკრებიანი ქალაქგარეთა სახლებით, ხოლო იქ, სადაც ოდესღაც ნაგავსაყრელი ყარდა, ახლა ლამაზ-ლამაზი სასტუმროები ჩაფლულიყვნენ თვალწარმტაცი ბალების ამაზონურ სიმწვანეში. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დაინახა კუსავით მბობღავი მანქანების უსასრულო რიგი. ქუჩის მზიან მხარეს დაინახა შუადღის სიცხით გათანგული ადამიანები, მოპირდაპირე ჩრდილიან მხარეს კი — რაკილა ფასიანი იყო — მხოლოდ საგადასახადო სამსახურის ჩინოვნი-

კები ჩანდნენ. ქუჩის მეორე მხარეს ამიტომაც ისრუკებოდა ამდენი ხალხი. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ არავინ დაფეთებულა პრეზიდენტის ლიმუზინების დანახვაზე. ამ კონდიცირებულ კუბოდან თითქოს ტალღებივით მოიწევდა ძალაუფლება, მაგრამ მაინც ვერავინ იცნო მისი ჩამქრალი თვალები, გაოცებისა და შიშისაგან დამანჭული ტუჩები, ყურადღება არავის მიუქცევია მისი ცნობილი ხელფეხვის, რომელსაც უქნევდა მოფუთფუთე დაბრმავებულ ბრბოს. ესმოდა გაზეთებისა და თილისმების გამყიდველთა გამყივანი ხმები, ნაყინის ურიკების ჭრიალი და ლატარიის სამფერი ბილეთების გამსაღებელთა სუსტი შეძახილები. ამ სამყაროს საერთო არაფერი ჰქონდა ბეხრეკ პრეზიდენტთან, ამ სამყაროს ფეხებზე ეკიდა ვილაც მარტოსული, ნოსტალგიაში გადავარდნილი სამხედრო კაცის პირადი ტრაგედია. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, რა დაემართა ჩემს ქალაქს, სად გაქრა ის პატარა ქუჩა უკაცო ქალებისა, საღამოობით, ვიდრე მათი ტანსაცმელი აივნებზე შრებოდა, შიშვლები რომ გამოდიოდნენ ერთი-ორი ნაჭერი თევზის საყიდლად და მემწვანილე ქალებთან სალაყბოდ. სად წავიდნენ ინდუსები, თავიანთ დუქნებთან ჩაცუცქულები რომ იცარიელებდნენ კუჭს, სად არიან მათი ფერგამკრთალი ცოლები, ნაღვლიანი სიმღერებით რომ იგერიებდნენ სიკვდილს. სად არის ის ყმაწვილი ქალი, მორიელად რომ იქცა მშობლებთან ურჩობის გამო. სად არის დაქირავებული ჯარისკაცებით ავსებული და შარდის სუნად ამჟავებულ-ამყაყებული ღვინის სარდაფები. მანქანამ რომელიღაც ქუჩაზე შეუხვია და ცხვირში ვარხვების ნაცნობი სუნიც ეცა. ჰო, მართლა, სად არის პორტი, აქ ხომ პორტი იყო, კონტრაბანდისტთა ხომალდებიც აღარსად ჩანან, ქვეითთა მიერ მიტოვებული ჯავშნოსანი ვილამ გააქრო, ან სულაც მშობლიური მძღ...ის სუნი სად დაიკარგა, დედა. არა, ნამდვილად რაღაც ხდება ქვეყანაში, თორემ რატომ ვერავინ იცნო ამჯერად ვაგონის ფანჯრიდან გამოშვერილი მისი ხელი, რომელსაც იქნევდა დამშვიდობების ნიშნად, თუმცა არავინ ჩანდა დასამშვიდობებელი. მატარებელი მიქროდა სურნელოვან მინდვრებში, სადაც ოდესღაც ჭაობი იყო, მიქროდა ბრინჯის ყანების გასწვრივ, აქაც ოდესღაც ჭაობის ფრინველები ყრანტალით იკლებდნენ იქაურობას. მიჰქროდა და აფრთხობდა პრეზიდენტის დამღიან ძროხებს, მიქროდა საოცარი ფერებით აჭრელებულ წარმტაც ხეობაში. ის კი კუპეში მიყუჟულიყო სამგლოვიარო ხავერდგადაკრულ სავარძელში, რომელიც საკუთარ მწარე ხვედრს უფრო აგონებდა, ვიდრე მოგზაურობისას საჭირო მოხერხებულ ადგილს. ეშმაკმა დალახვროს, სად არის ჩემი ძველი ოთხფეხა მატარებელი, სად არიან ტოტებში ჩახლართული ჩემი ანაკონდები და შხამიანი ყვავილები, რატომ აღარ ისმის მაიმუნების ჩვეული ყვირილი, სამოთხის ჩიტების ჟივილ-ხივილი, სად არის-მეთქი, დედა, ჩემი საშშობლო თავისი დრაკონით, სად წავიდა, სად გაქრა ეს ყველაფერი, დედაჩემო. მხოლოდ პატარა სადგურებიღა შემორჩენილა და ინგლისურშლაპიანი ინდიელი ქალებიც, რომლებიც შაქრის ჩასქელებული სიროფისგან გაკეთებულ ნაირ-ნაირი ცხოველების ფიგურებს ყიდდნენ. ყიდდნენ შემწვარ კარტოფილსა და ქათმის ტაბაკასაც. ყვავილებით გამოეყვანათ გამორჩეული კაცის სადიდებელი სიტყვები

მართალია, ცოდნით არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა იგი ამჟამად, მაგრამ ის კვლავინდებურად უძლეველი იყო და შიშის ზარს სცემდა ყველას, რადგან თუკი რამ ხდებოდა ქვეყანაში, მისი სახელით ხდებოდა. თავად მას კი მუდამ რაღაცის ეშინოდა და დევნილად მიიჩნევდა თავს. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობსო, ჩიოდა. [illegible] მაგრამ პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო, არა, ჩემო გენერალო, [illegible] ქვეყანაში სიმშვიდეაო. ბოლოს ისიც იძულებული ხდებოდა დანებებულიყო, კარგი, კარგი. ერთადერთი, ვისაც ვერაფერს უხერხებდა, წყეული ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარა იყო. მისი შემპარავი, ლამაზი სიტყვები ძალას ართმევდა. გრძნობდა, უმისოდ სრული სიმარტოვე ელოდა და ამიტომაც ბოლო-ბოლო ყველაფერში ეთანხმებოდა ფიქრებსა და უძილო ღამეებში ათასგზის შეგინებულ, ჩამოქვეითებულ, მაგრამ დღისით კვლავ აღზევებულ, ყოვლის შემძლე და საჭირო ამ არამზადას. საკმარისი იყო დილის მზის შუქში გახვეული, მომღიმარი ხოსე იგნასიო გამოჩენილიყო თავის განუყრელ მხლებელთან ლორდ კიოხელთან ერთად — რომელსაც თვალებიც და სახელიც ადამიანისა ჰქონდა და თავის პატრონს ფეხსალაგშიც კი დაჰყვებოდა — რომ ბებერ გენერალს მაშინვე უნელდებოდა გაბრაზება და აბრეშუმივით დარბილებული ყველაფერზე ეთანხმებოდა ამ არაკაცს. ისიც ისე სწრაფად და გულმოდგინედ ასრულებდა ხელიდან ძალით გამოგლეჯილ ბრძანებას, რომ სადღაც გულის სიღრმეში ბებერი პრეზიდენტი ბრაზობდა კიდეც საკუთარ თავზე, მაგრამ ეს გაბრაზება ხანმოკლე იყო. ნუ ღელავთ, ნაჩო, ამშვიდებდა აბეზარ თანაშემწეს, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. ისიც პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი და ყოვლის შემძლე კვლავ განაგრძობდა საშინელ საქმიანობას თავის საწამებელ ფაბრიკაში, კოლონიის დროინდელ ჰოლანდიელების საგიჟეთის აგურის შენობაში, პრეზიდენტის სასახლიდან სულ რაღაც ხუთას მეტრში. თქვენი სასახლესავით დიდია, ჩემო გენერალო, ნუშის ხეებშია ჩაფლული, შენობის წინ მოლი მწვანედ ხასხასებს. პირველი სართული სამძებრო სამსახურსა და მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროს აქვს დასაკუთრებული, შემდეგ სართულებზე ოთახებში ადამიანის გონებისთვის იმდენად მიუწვდომელი ბარბაროსული საწამებელი იარაღი ეწყო, რომ მან არ ისურვა ამ საშინელებათა ხილვა, მხოლოდ ეს უთხრა საენს დე ლა ბარას, კვლავაც ისე მოიქეცით, როგორც სამშობლოს სჭირდება, ოღონდ დაიმახსოვრეთ, ნაჩო, პირადად მე არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს, არასოდეს ვყოფილვარ აქ. საენს დე ლა ბარამაც პატიოსანი სიტყვა მისცა, მიგულეთ თქვენს სამსახურში, გენერალო. მართლაც არავისთან არაფერი დასცდენია, უსიტყვოდ შეასრულა ბებერი გენერლის ერთი განსაკუთრებული ბრძანებაც, ხუთ წლამდე ბავშვები არ ეწამებინათ სასქესო ორგანოებში ელექტროდენის გატარებით. მშობლების მღელვარებისა ეშინოდა მის უდიდებულესობას, ლატარიასთან დაკავშირებული ძველისძველი ამბავიც ახსენდებოდა და მტანჯველ უძილო ღამეებს ნამდვილად ვეღარ გაუძლებდა. მართალია, მისი ეს ბრძანება შესრულდა, მაგრამ ძილი მაინც დამფრთხალი ჰქონდა. ჯერ ერთი, საშინელებათა ფაბრიკა მისი სასახლიდან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო და მეორეც, მატარებლების

დაგადუგი და უსასრულო ჭექა-ქუხილი არ აძინებდა. ბრუკნერის ფირფიტაზე ჩაწერილ ამ ხმებს ღამღამობით ატრიალებდნენ, რათა წამებულთა კვნესა-გოდება გადაეფარათ. ჯოჯოხეთური ჭექა-ქუხილის შემდეგ განთიადისას ნუშის ხეებზე ფრიალებდა ნაწამებ საპატარძლოთა დანაკუწებული ფატები. ცოდვის კითხვა ტრიალებდა იმ აგურის შენობაში, სადაც ოდესღაც ჰოლანდიელი მთვრალებმა დაბორიალობდნენ. მის უდიდებულესობას ძალიან ეშინოდა უძილობისა, ეშინოდა წამებით სიკვდილისპირას მისულ ადამიანთა ყვირილისა, რომელიც ხანდახან თუ სწვდებოდა მის ყურთასმენას. აოცებდა საენს დე ლა ბარას საქციელი, საქმის შესრულებაში ერთ სენტავოსაც არ ითხოვდა ზედმეტად. ერთი სისუსტე მაინც გააჩნდა ამ გარეწარს, ჩაცმადახურვა უყვარდა გამორჩეულად. თავისი ხელფასით ყიდულობდა გულზე მონოგრამაამოქარგულ აბრეშუმის პერანგებს, თხის ტყავის ფეხსაცმელს, ლამაზ კოლოფებში ჩალაგებულ საღილკილოვე ყვავილებს, ფრანგულ ლოსიონებს, რომელთა ეტიკეტებზე საგვარეულო ღერბები იყო გამოსახული. მაგრამ რა საოცარიც არ უნდა იყოს, არ ჰყავდა ქალი, არც კაცი, არ ჰყავდა მეგობარი, არც სახლი ჰქონდა საკუთარი და, საერთოდ, არც არაფერი გააჩნდა. ჩემო გენერალო. წმინდანივით ცხოვრობდა. თავის წამების ფაბრიკაში მანამდე მუშაობდა, სანამ ძალაგამოცლილი არ დაეცემოდა დივანზე თავისსავე სამუშაოთახში. ღამით არასოდეს ეძინა, დღისით სამი საათი ან ცოტა მეტი ეძინა. კართან ყარაული არ ედგა, არც იარაღი ჰქონდა. ეძინა თავისი ერთგული, ფხიზელი ლორდი კიოხელის იმედით, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, საკუთარი ტყავიდანაც კი შეეძლო გამომსტარიყო, თუ დროზე არ მიართმევდნენ მის საყვარელ საჭმელს — სულ ახლახან თავმოკვეთილი კაცის ჯერ კიდევ თბილ, მოთიმთიმე ნაწლავებს. ქვაბში რომ წყალი ათუხთუხდება, ასე ათუხთუხებული აღვიძებდა თავის პატრონს, როგორც კი კედელს მიღმა დაინახავდა ვინმეს კაბინეტისკენ მომავალს. სულერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩემო გენერალო. ეს კაცი სარკეში თავის ორეულსაც არ ენდობოდა, ერთპიროვნულად მოქმედებდა, არავის არაფერს უთანხმებდა, მხოლოდ აგენტების მოტანილი ამბებით ხელმძღვანელობდა. სულ პატარა რაღაცაც რომ მომხდარიყო ქვეყანაში, სულ პატარა ოხვრაც რომ დასცდენოდა რომელიმე განდევნილს დედამიწის ნებისმიერ წერტილში, საენს დე ლა ბარასთვის მაშინვე ხდებოდა ცნობილი იმ უხილავი აბლაბუდის წყალობით, რაშიც მანტაჟითა და ქრთამით გახვეული და მოსყიდული ჰყავდა ლამის მთელი დედამიწა. ამ შემთხვევაში გულუხვი ნამდვილად იყო, მაგრამ არა სახელმწიფოს ხარჯზე. ისეთი ერთგულებით ეკიდებოდა თავის საქმეს, რომ ძალიან ხშირად მსტოვრებს საკუთარი ჯიბიდან აძლევდა ფულს, მაგრამ მარტო ის როდი იყო თავისი საქმის ერთგული, ჩემო გენერალო. მხოლოდ უძველო ენის პატრონი ადამიანები ავრცელებდნენ ჭორს, ხალხი ჰყავს დაქირავებული, დიდძალ ფულს აძლევს და ამიტომაც შეუძლიათ ყველაფერზე მოაწერონ ხელი. არ დაიჯეროთ, ჩემო გენერალო, პირიქით, ფულს არ ითხოვდნენ, ოღონდ კი თავიანთი შეფისთვის დაემტკიცებინათ, რომ ჯალათებიც იყვნენ და მაძებრებიც და საკუთარ დედასაც კი

დაკლავდნენ, გაატყავებდნენ და ღორებს მიუგდებდნენ საჯიჯგნად. სარეკომენდაციო წერილებისა და სანიმუშო ყოფაქცევის დამადასტურებელ საბუთების ნაცვლად თავიანთი ჩადენილი ავი საქმეების ჩამონათვალი მიჰქონდათ მხოლოდ, რათა სამსახურში დროებით მაინც მოწყობილიყვნენ უკიდურესი შეუბრალებლობით გამორჩეულ ფრანგ მუშვალებელ-რაციონალისტებთან. სწორედ ამ თვისების წყალობით ძიალწიეს მათ პროგრესს წესრიგის დამყარებაში, სწორედ ისინი ააშკარავებდნენ ყოველგვარ შეთქმულებას მანამდე, სანამ ეს შეთქმულება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ფიქრებშიც კი. სწორედ ისინი დადიოდნენ სანაყინეებში, წისქვილის ფრთებივით გამართულ საგრილობლებით ითქვამდნენ სულს, ჩინურ რესტორნებში კითხულობდნენ გაზეთებს, კინოთეატრებში თვლემდნენ, საქალაქო ტრანსპორტში ფეხმძიმე ქალებს ადგილს უთმობდნენ, ელექტრიკოსობა და სანტექნიკოსობა შეისწავლეს და ლამის ნახევარი ცხოვრება ღამის ქურდებისა და პროვინციელი ყაჩაღების გვერდით გაატარეს. სწორედ ისინი იყვნენ გემებზე და უცხოელთა ბარებში მომუშავე კახპა მოახლეების ვითომ შემთხვევითი საქმროები. სწორედ ისინი იყვნენ მაიამის ტურისტული სააგენტოების ვითომ თანამშრომლები, რომლებიც ექსკურსიებს აწყობდნენ კარიბის სამოთხეში. ერთი იმათგანი ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის პირადი მდივანი იყო. იყო კიდევ მოსკოვის სასტუმრო ინტერნაციონალის მეოთხე სართულის პირქუში დერეფნის თვალი და ყური — ადმინისტრატორი და ვინ იცის კიდევ რომელ კუთხე-კუნჭულს არ სწვდებოდა მათი მსახვრალი ხელი. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ, ჩემო გენერალო. ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები ამბობენ, რომ თქვენ არაფერი იცით, რომ ეს ყველაფერი თქვენთან შეუთანხმებლად ხდება. ჩემო გენერალო, თქვენ რომ ეს გცოდნოდათ, საენს დე ლა ბარას საფლავი კარგა ხნის წინ უნდა ყოფილიყო ბალახით დაფარული პორტის ციხესიმაგრის მოღალატეთა სასაფლაოზე. ყოველთვის, როცა კი პატრიოტები ამ ჯალათის მორიგ ბარბაროსობაზე ამბის მისატანად მიდიოდნენ სასახლეში, ჩუმად ოხრავდნენ, ეს რომ გენერალმა იცოდეს, იქნებ გვეთქვა გენერლისთვის ყველაფერი, ეს რომ გენერალს საკუთარი თვალით ეხილა. ბოლოს ველარ მოითმინა და ერთ მოენეს დაუცაცხანა, დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ, მე არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს და არც არაფერი მსმენია. ასე ცდილობდა თავის დამშვიდებას, მაგრამ მოჭრილი თავებით სავსე ტომრები რომ დახვავდა, ეჭვი გაუჩნდა, ხოსე იგნასიოს იმდენი ადამიანის სისხლში აქვს ხელები გასვრილი, ნამდვილად რაღაც პირადულთან არის დაკავშირებულიო. იგი ერთმა გარემოებამაც დააეჭვა, სამივე სახეობის ჯარების მეთაურები რატომღაც მეტისმეტად იოლად შეეგუენ თავიანთ დამამცირებელ ყოფას. ხელფასის მომატების თხოვნაც კი არ უცდიათ. საერთოდ, არაფერი უთხოვიათ. გადაწყვიტა სამხედროებში ზონდირების დახმარებით გაეგო მათი უცნაური მორჩილების ნამდვილი მიზეზი. რა ხდება, რატომ არ მიწყობენ ბუნტს, რატომ არ მთხოვენ უსაზღვრო ძალაუფლებამინიჭებულ ამ სამოქალაქო პირის მოსპობას. ერთხელ ჰკითხა კიდეც ერთ-ორ ოფიცერს, როგორ ფიქრობთ, ხომ არ დადგა დრო, ამ სისხლისმსმელ

მამლაყინწას, ვინც ქვეყნის შეიარაღებული ძალების ღირსება ფეხქვეშ გათელა, თავი წავაცალოთო, მაგრამ მისდა გასაოცრად ასეთი პასუხი მიიღო, რას ბრძანებთ, გენერალო, მთლად მასეც არ არის საქმეო. დაიბნა გენერალი, აღარ იცოდა, ვისთვის დაეჯერებინა, ვინ ვის მხარეზე იყო ამ ვითომდა პროგრესული წესრიგის დამყარების საქმეში, რომელსაც გვამების სუნი ასდიოდა და რომელიც [illegible] სახსენებელ ლატარიას და საბრალო ბავშვებს აგონებდა. ხოსე იგნასიო ძაღლების მომთვინიერებლის მოთმინებითა და დათაფლული ენით ცდილობდა ჩაექრო თავისი პატრონის აალებული შიში. მშვიდად იძინეთ, გენერალო, ქვეყანა თქვენია, არც ისე რთულადაა საქმეო. ისიც ბორიალს იწყებდა საფლავივით ჩაწყვდიადებულ ამ არავის სახლში და სასოწარკვეთილი ხმამაღლა ეკითხებოდა საკუთარ თავს, ეშმაკმა დალახვროს, მითხარი, ვინ ვარ მე, ჩვეულებრივი ადამიანი თუ მისი ორეული სარკეში, სად ვარ მე. დილის თერთმეტი საათია და ერთი ქათამი რა არის, ერთი ქათამიც კი არ კრიახობს ამ უდაბურ სასახლეში. ხმას აუწია, ის დრო გაიხსენა, კეთროვნები და ხეიბრები დილიდანვე ყურისწამღები ლანძღვა-გინებით ძაღლებს რომ გლეჯდნენ საჭმელს პირიდან. გახსოვთ კიბეზე დატყეპილი საქონლის ფუნა, გახსოვთ, მუხლებზე ჩოქვით რომ დაგდევდნენ პატრიოტები, ხან რას გთხოვდნენ და ხან რას, ჩემო გენერალო, ეს მკურნავი მარილიო, ის ბავშვი მომინათლეთო, ფალარათი მაწუხებს, ბალახეულზე მეტად თქვენ შეგიძლიათ ყაბზობა მოგვირჩინოთო. გენერალო, ხელი დამადეთ მკერდზე, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ შეაჩეროთ ჩემს გულში ატორტმანებული მიწისძვრა. ზღვას შეხედეთ, გენერალო, მხოლოდ თქვენ ძალგიძთ ჩაცხროთ გრიგალი. ახედეთ ცას, მხოლოდ თქვენ ხელგეწიფებათ მუდამ მოწმენდილი იყოს იგი. დახედეთ მიწას, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აგვაშოროთ ქოლერა. ერთი სიტყვით, რაღას არ მეუბნებოდნენ. მეც მათ ვაძლევდი იმას, რასაც მთხოვდნენ, ვყიდულობდი იმას, რასაც მთავაზობდნენ, და ამას ვაკეთებდი არა იმიტომ რომ, როგორც დედაჩემი ბენდისიონ ალვარადო ამბობდა, გულკეთილი ვიყავი, არამედ იმიტომ რომ რკინის ღვიძლი უნდა გქონდეს კაცს, პატარა სიხარული არ აჩუქო იმას, ვისაც ასე სჯერა შენი, ვინც სადიდებელ ჰიმნებს გიმღერის, ახლა კი რა ხდება, მარტო ვარ, თხოვნითაც აღარავინ არაფერს მთხოვს, თხოვნა კი არა, მომსალმებელიც არავინაა. დილა მშვიდობისა, ჩემო გენერალო, ხომ კარგად გეძინათ წუხელ. ის ნუგეშიც მოესპო, წინათ ღამის აფეთქებებს რომ მოჰქონდა მისთვის.. ლამის თავზე ემსხვრეოდა ფანჯრის მინები, მთელი სასახლე ზანზარებდა, ჯარსაც პანიკა იპყრობდა, მაგრამ ეს აფეთქებები სხვა თუ არაფერი, იმედს მაინც უნერგავდა, ამხნევებდა, ახსენებდა, ჯერ კიდევ ცოცხალი ხარო. ის ხმაური სჯობდა ამ სიჩუმეს. სიჩუმე თავს მტკენს, არ მაძინებს. რას წარმოვადგენ, რა ვარ ახლა მე, რა ვარ და, ამ საშინელი სახლის კედლებზე დახატული საკუთარი ჩრდილი ვარ მხოლოდ. ამ სახლში პირის გაღებას ვერ ასწრებდა ბრძანების გასაცემად, რომ ბრძანება უკვე შესრულებული იყო. ყველაზე ინტიმური სურვილები და ფიქრები ჯერ კიდევ თავში უტრიალებდა, რომ ვილაცის ნებით ელვის უსწრაფესად სრულდებოდა, მეტიც, სამთავრობო გაზეთებიც კი უკვე იუწყებოდნენ

ამის თაობაზე. გაზეთს სიესტის საათებში კითხულობდა ჰამაკში ჩაწოლილი. თითქმის ყველა გვერდზე მსხვილი შრიფტით იყო გაცხადებული ყველა მისი ნაბიჯი, სურვილი, საქმიანობა, სუნთქვაც კი. სურათებსაც მრავლად აქვეყნებდნენ. ერთ სურათზე რომ ხიდი იყო ალბეჭდილი, რომლის აშენებასაც აპირებდა, მაგრამ ბრძანების [illegible] დავიწყნოდა, მეორეზე ის სკოლა იყო გადაღებული, სადაც [illegible] ქუჩების ხვეტას ასწავლიდნენ ბავშვებს, მესამეზე თვითონ იყო გამოსახული იმ მომენტში, როცა ლენტს ჭრიდა რაღაცის საზეიმო გახსნაზე, თუმცა ვერაფრით გაიხსენა, როდის იყო ეს. სული აფორიაქებული ჰქონდა, ბებერი სპილოს ფეხებით დააბოტებდა თავის მარტოობის სახლში და ეძებდა იმას, რაც არ დაუკარგავს. ხედავდა, ვილაცას დაესწრო მისთვის და ჩიტების გალიებზე შავი ნაჭერი გადაეფარებინა. ფანჯრებთანაც ჩერდებოდა, ზღვა რომ დაენახა. ფერმაშიც მიდიოდა ძროხების დასათვლელად. ფერმაც დალაგებულ-დასუფთავებული ხვდებოდა ამ ბოლო დროს. ერთხელ ანთებული ჩირაღდნით ხელში საძინებელში რომ ბრუნდებოდა, სასახლის საყარაულოს მოღებული ფანჯრიდან საკუთარი ხმა შემოესმა. ჩუმად შეიხედა ოთახში, სადაც ტელეეკრანის ნაღვლიან შუქზე ოფიცრები თვლემდნენ. ეკრანზე საკუთარი თავი დაინახა, ოღონდ უფრო გამხდარი და ყოჩაღი. ნამდვილად მე ვიყავი, დედა. იმ კაბინეტში იჯდა, სადაც სიკვდილი ესტუმრა. კაბინეტის სიღრმეში სახელმწიფო ღერბი მოჩანდა. მაგიდაზე სამი ოქროსჩარჩოიანი სათვალე იდო. იგი სახელმწიფო საქმეებზე საუბრობდა, ისეთ ბრძნულ სიტყვებს აფრქვევდა, რომელთაც, ეშმაკმა დალახვროს, ალბათ ვერც ვერასოდეს გაიმეორებდა. ტელეეკრანზე საკუთარი თავის დანახვამ უფრო ალაშფოთა, ვიდრე ოდესღაც ყვავილებში ჩაფლული საკუთარი ნეშტის დანახვამ. ეს მართლა მე ვიყავი, დედა, მე თვითონ ვლაპარაკობდი. ხომ გახსოვს, დედა, აივანზე ხალხის წინაშე არამცთუ სიტყვით გამოსვლა, უბრალო გამოჩენაც კი მეშინოდა. ჰოდა, ეს მე ვიყავი, ისეთი ნამდვილი, ისეთი ჩვეულებრივი მოკვდავი, რომ დაბნეული და გაშტერებული ფეხს ვერ ვიცვლიდი ადგილიდან. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, ნუთუ შესაძლებელია ასეთი მისტიკა. ამ ტელეგადაცემამ გუნება მოუშხამა, ასე არასოდეს განრისხებულა, მაგრამ ხოსე იგნასიო საენს დელა ბარამ მშვიდად, ენადათაფლულმა აუხსნა, ისეთი არაფერი მომხდარა, გენერალო, სხვა გზა არ გვქონდა, წესრიგის პროგრესის გემი გვეძირებოდა, მართალია, უკანონობა ჩავიდინეთ, მაგრამ სამაგიეროდ წმიდათაწმიდა საქმე გავაკეთეთ, ურწმუნოები დავარწმუნეთ, რომ ხელისუფლება არსებობს. აქამდე ხომ ეს არავის სჯეროდა. ჩვენ მთელ ქვეყანას დავანახეთ, რომ ხელისუფალი გვყავს, რომ მას სისხლიც აქვს და ხორციც. ისიც გამოვაცხადეთ, რომ ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათ ღღეს რადიოსა და ტელევიზიაში გადაიცემოდა მთავრობის საქმიანობის სრული ანგარიში. მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე, გენერალო, ეს ექვსი მიკროფონი, მზესუმზირებს რომ ჰგვანან, მე ჩავაწყვე ლარნაკში, მე ვიწერდი თქვენს ყველა ხმამაღლა გამოთქმულ ფიქრს, ვიწერდი ყველა თქვენს პასუხს ჩემს შეკითხვებზე პარასკევობით ჩვენი შეხვედრისას. თქვენ ეჭვადაც არ გაგივლიათ, რომ თქვენი უშუალო, გულახდილი პასუხები გამოყენებული იქნებოდა ერისადმი მიმართვისას, რომელიც

თვეში ერთხელ გადიოდა ეთერში. უნდა მოგახსენოთ, რომ არასოდეს გამოგვიყენებია სხვისი გამოსახულებიანი კადრები, არც სხვისი ხმა. შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ, გენერალო. საენს დე ლა ბარამ მაგიდაზე დაალაგა კინოლენტებიც და ფირფიტებიც, აგრეთვე ქალალდზე ჩამოწერილი თავის მიერ ჩატარებული საქმიანობის [illegible] ქალალდს თქვენი თანდასწრებით ვაწერ ხელს, გენერალო, [illegible] ჩემი ბედი თქვენი სურვილისამებრ გადაწყვიტოთ. გენერალი გაკვირვებული შეაცქერდა საენს დე ლა ბარას და უცებ იაზრა, მიცვალებულივით სასეგადატეტკილი ხოსე იგნასიო მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად ეახლა უძალლოდ და უიარაღოდ. დამშვიდდით, ნაჩო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. დალლილი კაცივით გადაწვა სავარძელში, უფრო ბებერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. კედლებზე დაკიდულ სურათებს შეხედა, თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს მოლალატურ თვალებში ჩააცქერდა. თავად მას არასოდეს ჰქონია ასეთი ნაღვლიანი და ამავდროულად კუშტი გამოხედვა. სახეზე იმდაგვარი გამომეტყველება შეჰყინვოდა, მყისიერად მიღებული გადაწყვეტილების დროს რომ სჩვეოდა. ეტყობოდა, რალაც ჩაიფიქრა, რალაცას დაუსვა საბოლოო წერტილი. ამ ორიოდე კვირის წინ ხოსე იგნასიომ ზუსტად ასეთივე გაქვავებული გამომეტყველება დაიჭირა პრეზიდენტის სახეზე. კაბინეტში გაუფრთხილებლად ეახლა მაშინ, თან თავისი დობერმანი მოათრია საბელშებმული. სასწრაფო, გადაუდებელმა საქმემ მომიყვანა თქვენთან, გენერალო. შეიარალებული ამბოხება მზადდება. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აგვაცილოთ იგი თავიდან. გენერალმა ბზარი შეამჩნია მოსულის ხმაში. ამ ბზარს წლების მანძილზე ელოდა იგი ხოსე იგნასიოს კლდესავით შეუვალ, ბედისწერასავით ამოუცნობ სულში. ჩემი შურისძიების დედაჯ, ბენდისიონ ალვარადო, ამას რას მოვესწარი, ამ ბეჩავმა ლამის ჩაისვაროს შიშით. მაგრამ გენერალს არაფერი დასტყობია, ნაკვთიც არ შერხევია სახეზე, მამაშვილურად, ტკბილად მიმართა, ნუ აზვიადებთ, ნაჩო, დამშვიდდით, დრო საკმარისი გვაქვს და სიმართლეს უსათუოდ დავადგენთ, უსათუოდ ამოვატივტივებთ ჭორების ჭაობიდან. საენს დე ლა ბარამ თავის ჯიბის საათს დახედა. მალე შვიდი შესრულდება, გენერალო. სამი სახეობის ჯარების მეთაურები ოჯახთან ერთად მაგიდას უსხედან და სადაცაა ვახშამს დაამთავრებენ. ოჯახის წევრებმა რომ არაფერი იეჭვონ, სახლებიდან გამოსვლისას სამოქალაქო ტანსაცმელი ეცმევათ, დაცვა არ ეყოლებათ, სამარქაფო კართან სამსახურის მანქანა დაელოდებათ, ჩვენი მოთვალთვალეების კვალის ასარევად ტელეფონით გამოიძახეს. მაგ უტვინოებმა არ იციან, ჩვენი მოთვალთვალეები მათივე მძღოლები რომ არიან. აბა, თქვა გენერალმა ღიმილით, დამშვიდდით, ნაჩო, მითხარით, თუ შეიძლება, აქამდე როგორ შეინარჩუნეთ ტყავი. თუ მოკვეთილი თავების სიმრავლით ვიმსჯელებთ, მტერი მეტი გვყოლია, ვიდრე ჯარისკაცი. მაგრამ დე ლა ბარას მთელი ყურადღება ჯიბის საათის სუსტი წიკწიკისკენ იყო მიპყრობილი, რადგან ამ წიკწიკზე ეკიდა მისი სიცოცხლე. სამ საათზე ნაკლები დრო დარჩა, გენერალო, სახმელეთო ჯარების მეთაური ამ წუთებში კონდეს ყაზარმისკენ მიემართება, საზღვაო ძალებისა — პორტისაკენ, საჰაერო ძალებისა კი სან ხერონიმოს ბაზისაკენ. ჯერ კი-

დევ შეიძლება მათი დაპატიმრება, ბოსტნეულით დატვირთული უშიშროების სამსახურის ფურგონი უკვე მზად არის, შორიახლოს გამომყვება. მაგრამ გენერალს აღელვებისა არაფერი ეტყობოდა, ხოსე იგნასიოს მოძალებული მშფოთვარება და შიში ხომ მის თავისუფლებას ნიშნავდა, თავის დახსნას ნიშნავდა იმ კაცის სამსახურ[illegible]ელიც ათასჯერ უფრო ულმობელი და სისხლიანი იყო, ვიდრე ბენეზი ბრეზიდენტის სიყვარული სრული ძალაუფლებისადმი. დამშვიდდით, ნაჩო, და თუ შეიძლება ამიხსენით, რატომ არ გაქვთ სახლი, თქვენ ხომ შეგეძლოთ გეყიდათ ორთქლის გემივით დიდი სახლი, რატომ მუშაობთ ვირივით, თუ ფული არ გიზიდავთ. რატომ ცხოვრობთ ყაზარმაში ახალწვეულივით, მაშინ როცა თქვენს დანახვაზე უკეთილშობილეს ქალებსაც კი ლამის ნიფხვები ჩაძვრეთ თქვენთან ლოგინში ჩაგორების სურვილით შეპყრობილებს. დავიჯერო, ბერიკით უცოდველი ხართ, ნაჩო. მაგრამ ხოსე იგნასიოს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, ისრჩობოდა, ცივი ოფლით ეცვარებოდა მოგონილი სიმშვიდის ნიღაბი. საკრემაციო ღუმელივით გახურებულ კაბინეტში სუნთქვა ჭირდა. თერთმეტი საათია, თქვა მან, დავაგვიანეთ. აჯანყების დაწყების ნიშანს უკვე ტელეგრაფით გადასცემენ ქვეყნის ყველა გარნიზონს. ამბოხებული გენერლები ორდენებით დახუნძლულ საპარადო მუნდირებში ეწყობოდნენ, ახალი სახელისუფლო ხუნტის ოფიციალური ჯგუფური სურათის გადასაღებად ემზადებოდნენ, თან თავ-თავიანთ ადიუტანტებისკენ ჰქონდათ ცალი ყური, ისინი თავ-თავიანთ გენერლებს გადასცემდნენ ახალ-ახალ ბრძანებებს ბრძოლის წარსამართავად, ოღონდ გაურკვეველი იყო, ვის წინააღმდეგ აპირებდნენ ბრძოლას, რადგან ეს იყო ბრძოლა მოწინააღმდეგის გარეშე. ერთი სიტყვით, საომარი მოქმედების შედეგად სამხედროებმა სრულად დაიკავეს სამთავრობო შენობები და რადიოკავშირის ცენტრი. იქ კი კაბინეტში ბებერი გენერალი არც შეტოკებულა. ავი წინათგრძნობით დაძაგრული ხავერდოვანი ლორდი კიოხელი კუნთებათრთოლებული წამოიზლაზნა იატაკიდან, მოფლაშული პირიდან გადმოკიდებული დორბლი თათებისკენ გაიწელა და უსასრულო ცრემლს დაემსგავსა. დამშვიდდით, ნაჩო, იქნებ ამიხსნათ, ასე რატომ გეშინიათ სიკვდილისა. ხოსე იგნასიომ ოფლით დაცვარული ცელულოიდის საყელო მოიგლიჯა, სახე მომღერალ-ბარიტონივით გაუქვავდა. ეს ბუნებრივიცაა, თქვა მან, სიკვდილის შიში ცხოვრებისეული ბედნიერების ნაღვერდალია. ამას თქვენ ვერ გაიგებთ, გენერალო, ვერც იგრძნობთ. ამასობაში ტაძრის ზარი აგუგუნდა, საენს დე ლა ბარამ ჩვეულებისაებრ დაითვალა და წამოდგა. თორმეტია, ყველაფერი დამთავრდა, არც ერთი სულიერი აღარ დაგრჩათ გვერდში მდგომი, მე ბოლო ვარ, გენერალო. მაგრამ ბერიკაცი არც ახლა შეტოკებულა თავის სავარძელში, ხოლო როცა ტანკების გრუხუნმა მოკირწყლული დე არმას მოედანი შეაზანზარა, ღიმილით თქვა, ცდებით, ნაჩო, მე ხალხი დამრჩა. მართლაც ასე იყო. ტელეეკრანზე ბერიკაცის გამოჩენა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ხალხი გათენებამდე გამოცვივდა ქუჩებში. მან მღელვარედ მიმართა თავის ერს, ყველა პატრიოტს განურჩევლად შეხედულებებისა, მიმართა სამი სახეობის ჯარების მეთაურებს. რეჟიმის წმიდათაწმიდა იდეალების დამცველები როგორც ყოველთვის ახლაც გა-

მოხატავენ ხალხის ნებას, ისინი მზად არიან ამ ისტორიულ ღამეს წერტილი დაუსვან სისხლისმსმელი სამოქალაქო პირის ტერორისტულ სამსახურს. ამ კაცს თავად ხალხი გამოუტანს განაჩენს. ხრეკ იგნასიო საენს დე ლა ბარა ფეხებით ჩამოკიდეს დე არმას მოედნის ერთ-ერთ ლამპიონზე, პირში თავისივე საოხრე ჩასჩარეს. ჩემო გენერალო, თქვენი ბრძანებისამებრ ის ქუჩები გადავკეტეთ, სადაც ეცხოვრებოდა საელჩოებია განლაგებული. იმ ჯალათს საელჩოებში ვერ უნდა შეელწია პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად. ვიდრე ჩამოვკიდებდით, ქვებით ჩავქოლეთ, მანამდე კი მისი გამსეცებული ძაღლი, რომელმაც ოთხ მოქალაქეს წელები გადმოაყრევინა, შვიდი ჯარისკაცი კი საშინლად დაკბინა, ტყვიებით დავცხრილეთ. ხალხმა კაციჭამიას სამყოფელი იერიშით აიღო, ფანჯრებიდან ქუჩაში ერთი მეორის მიყოლებით გადმოყარეს ორასზე მეტი ახალთახალი ჟილეტი, ჯერაც ჩაუცმელი სამი ათასი წყვილი იტალიური ფეხსაცმელი. ჩემო გენერალო, აი თურმე რაში ხარჯავდა სახელმწიფო ფულს, ასევე გარდენიების კოლოფები, მას ხომ მუდამ ცოცხალი გარდენია ჰქონდა გარჭობილი ღილ-კილოში, საკუთარი ხელით დაწერილი შესაბამისი სამოქმედო პარტიტურა. სარდაფებიდან პატიმრები გამოყარეს და ცეცხლს მისცეს ჰოლანდიელთა ყოფილი საგიჟეთის წამების საკნები, თან ყვიროდნენ, გაუმარჯოს გენერალს, გაუმარჯოს მაჩოს, მან აგვიხილა თვალი, მან გვითხრა სიმართლე. აქამდე ყველა ირწმუნებოდა, ჩემო გენერალო, რომ თქვენ არაფერი იცოდით, რომ თქვენი მიმნდობი ხასიათით უშიშროების სამსახურის ბევრმა მუშაკმა ისარგებლა. მაგრამ ხალხის რისხვას ვერსად გაექცნენ. თქვენი ბრძანების თანახმად მწვალებლებს მოეხსნათ ყოველგვარი დაცვა, რათა ხალხს მისცემოდა საშუალება ვირთხებივით დაეჭირათ და ამდენი სისხლისა და ტერორისთვის ჯავრი ეყარა მათზე. გენერალსაც ეს უნდოდა. ძალზე ააღელვა ზარების საზეიმო გუგუნმა, ააღელვა სიმღერებმა თავისუფლებაზე და დე არმას მოედანზე შეკრებილი მადლიერი ხალხის სიხარულით აღსავსე შეძახილებმა — ღმერთი ფარავდეს უდიდესს უდიდესთა შორის, მან გვიხსნა ტერორის საშინელებისგან. ეს შეძახილები და ტრანსპარანტები გადაღძუებულმა გენერალმა წარსული დიდების ეფემერულ გამოძახილად აღიქვა, სასწრაფოდ შეკრიბა ის ოფიცრები, რომლებიც დაეხმარნენ, კატოროელის ბორკილებიდან გამოეხსნა თავისი უფლებები და მკერდზე თითის დადებით ჩამოურიგა ყველას მაღალი წოდებები. სამხედროების სათავეში მისი მოფამფალებული რეჟიმისთვის ახალი და ალბათ უკანასკნელი მთავარსარდლები მოიყვანა. მათ შეცვალეს ლეტისია ნასარენოსა და მისი შვილის მკვლელი სამხედრო ჩინოსნები, რომლებიც ის იყო საცვლების ამარა აპირებდნენ ერთ-ერთ საელჩოში შეღწევას პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად, რომ ზედ ჭიშკართან შეიპყრეს ყველანი. ბებერმა ვერც ერთი ვერ იცნო, ვერც გვარ-სახელები გაიხსენა მათი, რაც მთავარია, საკუთარ გულში ვერ მოიძია მათ მიმართ თუნდაც იოტისოდენა ღვარძლი და სიძულვილი. არადა, ეგონა, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა ეს გრძნობა. ერთადერთი, რაც შემორჩენოდა, ეს იყო ფერფლწაყრილი შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობა, რომლის გაღვივება აღარც ღირდა. ამიტომაც ბრძანა, აქედან წაეთრიონ. ისინი

პირველსავე გემზე დასვეს და გაუშვეს მოუსავლეთსა და დავიწყებაში. ახალი მთავრობის პირველ სხდომას რომ ატარებდა, გრძნობდა, ახალი საუკუნის ახალი თაობის ეს ვითომდა შერჩეული ეგზემპლარები იგივე ძველი დროის სამოქალაქო მინისტრები იყვნენ, მტვრიან სერთუგებში მათსავით ჰქონდათ ჩამალული დამპალი შიგნეული. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლები უფრო პატივმოყვარენი, უფრო მორჩილნი, უფრო მხდალნი და უმაქნისნი იყვნენ, ვიდრე მათი წინაპრები. ყელამდე საგარეო ვალებში ჩაფლულ ქვეყანას მართლაც რომ ვალი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ერთად აღებული ეს მწუხარების სამეფო იყო თავის უძრავ-მოძრავ, გასაყიდ თუ გაუყიდავ ქონებიანად. ჩემო გენერალო, ერთადერთი მატარებელი ზეგანზე რკინიგზის ლიანდაგს აცდა და ბუჩქებით ამოვსებულ ხრამში ჩაიჩეხა. მის რბილ სავარძლებზე იაგუარები თვლემენ, ჩემო გენერალო. ძველთაძველ ბორბლებიან გემის ნამსხვრევებს დაჭაობებულ ბრინჯის ყანებში აქა-იქ ამოუშვერია თავი, ხოლო წერილები, ამ გემს რომ მოჰქონდა, ფოსტის ტომრებში ჩამპალან. პრეზიდენტის კაიუტის მთვარის სარკეებში ორი ზღვის ძროხა[1] ამაოდ ჯახირობდა მშვენიერი სირინოზის ჩასასახავად. თქვენს გარდა ყველამ ყველაფერი ვიცოდით, ჩემო გენერალო. რა თქმა უნდა, თქვენ დაიჯერეთ ე. წ. პროგრესი წესრიგის დამყარების საქმეში, მაგრამ რა თქვენი ბრალია, თუ რეალურ სამყაროსთან მხოლოდ ერთი სამთავრობო გაზეთი გაკავშირებდათ. ის გაზეთი პირადად თქვენთვის იბეჭდებოდა ერთ ეგზემპლარად, იბეჭდებოდა თქვენთვის სასიამოვნო ამბები, ფოტოები და მაცდუნებელი სარეკლამო განცხადებები, რომელთა მეშვეობითაც თავს აღწევდით ყოველდღიურ მოსაწყენ, მომთენთავ სიესტებს. რა ვქნა, მჯეროდა, ნამდვილად მჯეროდა მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი თვალით არ ვიხილე ის, რაც ვიხილე. მრავალსართულიან შუშის სამინისტროებს ბორცვებზე შეფენილი ზანგთა უბადრუკი ჭყეტელა ქოხმახები მიემალა. ლამის ზღვამდე გაჭიმულ პალმების ხეივანსა და რომანული სტილის სახლებს უკან ჩვენში გავრცელებული ერთ-ერთი გრიგალის მიერ იავარქმნილი კვარტალები მიკუჭულიყვნენ. რკინიგზის ლიანდაგის გაყოლებაზე ქოთნებიანი ყვავილები ჩაემწკრივებინათ, რათა ვაგონის ფანჯრიდან პრეზიდენტს თავისი ქვეყანა აკვარელით დახატული და თვალწარმტაცი მოჩვენებოდა. უხსოვარ დროში დედამისი, ბენდისიონ ალვარადოც ხომ აკვარელის საღებავით აფერადებდა უსახურ ჩიტებს. მხოლოდ მისი გულის მოსაგებად როდი ატყუებდნენ ბერიკაცს, როგორც ოდესღაც კეთილი გენერალი როდრიგო დე აგილარი ატყუებდა, არც ზედმეტი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ატყუებდნენ მას ლეტისია ნასარენოსავით, ვისაც უფრო სიბრალული ამოძრავებდა, ვიდრე სიყვარული. ატყუებდნენ, რათა საკუთარი ძალაუფლების მარადიული ტყვე გამხდარიყო. და მართლაც ასე მოხდა, ბებრულ მარაზმში ღრმად ჩაფლული თავის ეზოში სეიბას ჩრდილქვეშ ჰამაკში ატარებდა მთელ დროს. ირგვლივ მხოლოდ სიცრუე და ილუზია მეფობდა. სიცრუე იყო მოსწავლე გოგონა-

---

1 გასულ საუკუნეში გადაშენებული ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი.

თა სიმღერა ლიმონის მწვანე ხეზე შემომჯდარ ჩიტუნაზე. ეშმაკმა დალახვროს, ირგვლივ ყველაფერი არარეალური ყოფილა თურმე. იგი შეეცადა აღარაფერზე ეფიქრა, შეგუებოდა სინამდვილეს. სასწრაფოდ გასცა ბრძანება ქინაქინისა და სხვა წამლების სამამულო წარმოების აღდგენის შესახებ, მაგრამ სწორედ რომ სინამდვილეს [illegible] აღარ ელოდა, ასე თუ შეიცვლებოდა ქვეყანა, თანაც [illegible]. გენერალო, სადღაა ქინაქინის ხეები, სადღაა კაკაო, სადღაა ინდიგო, არსად აღარაფერია, მხოლოდ თქვენი ქონება, აურაცხელი სიმდიდრეა შემორჩენილი და იმასაც უმაქნისობა ელოდება. ის არ დაბნეულა, მაშინვე შეუთვალა ბებერ ელჩს რაუქსბერის, მობრძანდით ჩემთან, იქნებ დომინოს თამაშის დროს გამოვძებნოთ ქვეყნის გადარჩენის გზაო, მაგრამ მობრძანებულმა ელჩმა მისივე სტილში უპასუხა, არაფერი გამოგივათ, თქვენო კეთილშობილებავ, თქვენი ქვეყანა გახვრეტილ გროშადაც არ ღირს, რა თქმა უნდა, ზღვის გამოკლებით. თქვენი ზღვა ისეთი სუფთა და მადისაღმძვრელია, შეგიძლია ცეცხლი შეუნთო და თავისივე კრატერში მოხარშო ზღვის ნიჟარების უგემრიელესი წვნიანი, რომელიც მთელს დედამიწას ეყოფა. ასე რომ, დაფიქრდით, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ მზად ვართ ზღვა მივიღოთ იმ ვალის სანაცვლოდ, რის გადახდასაც ვერ შესძლებს, თუნდაც თქვენნაირ საქმიან ადამიანთა ასი თაობაც კი. მაგრამ გენერალს ელჩის სიტყვები ვითომც არ გაეგონოს, თავაზიანად მიაცილა კიბემდე. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, ნეტავ იცოდე, რა ველურები არიან ეს გრინგოები, ლამის გადაყლაპონ მთელი ზღვა, სხვა არაფრის გაგონება არ სურთ. გამომშვიდობებისას ჩვეულებისამებრ მხარზე დაუტყაპუნა ხელი და კვლავ მარტო დარჩა საკუთარ თავთან, კვლავ გზააბნეული აფარფატდა ზეგანის ილუზორიულ ღრუბლებში. დე არმას მოედანი დაცარიელებულიყო, ხალხი აღარსად ჩანდა, თან წაეღოთ სამთავრობო ჩინოვნიკების მიერ შეჩერებული სამომავლოდ და საერთოდ, ყოველთვის გამოსადეგი პლაკატები და ლოზუნგები. როგორც კი ჯარისკაცებმა ოვაციიდან ოვაციამდე უფასო საჭმელ-სასმელის დარიგება შეწყვიტეს, ხალხი მაშინვე დაიშალა. დაცარიელდა მოედანიც და სასახლეც, თუმცა მან ბრძანა, ალაყაფის კარი არ ჩაეკეტათ, რათა ყველა მსურველს წინანდელივით შეძლებოდა იქ შესვლა. წინათ კი ეს სახლი მართლაც რომ ცოცხლებისა იყო და არა მკვდრების, მაგრამ მთლად მარტოსულიც არ ეთქმოდა ახლა გენერალს. დაბრუნდნენ მისი კეთროვნები, ხეიბრები, უსინათლონი, რომლებიც წლობით ცხოვრობდნენ სასახლის კედლებთან და რომლებსაც იერუსალიმის კარიბჭესთან მზეს მიფიცხებული დემეტრო ალდოუსი ცხადად ხედავდა, როგორ ბრუნდებოდნენ ისინი გატანჯულები, მაგრამ გადარჩენილები და იმედით აღსავსენი, რომ ადრე თუ გვიან კვლავ მოვიდოდნენ აქ, კვლავ მიიღებდნენ მკურნავ მარილს იმ კაცის ხელიდან, ვინც ბევრი გაჭირვება ნახა ცხოვრებაში, ვინც უთვალავჯერ აიცდინა ვერაგულად დაგებული დავიწყების მახე, ვინც სულით გაუტეხელი დარჩა, რადგან უკვდავი იყო. მან კვლავ ერთად იხილა მთელი ეს საძმო. ის იყო ჩვეულებისამებრ დაესწრო დილის წველას და სასახლეში დაბრუნდა, რომ ეზო გადაჭედილი დახვდა სნეული ადამიანებით, აქა-იქ ცეცხლიც გაეჩაღებინათ აგურებშემოწყობილ

სახელდახელოდ გამართულ კერიაზე და თუნუქის კოლოფებში საჭმლის ნარჩენებს ხარშავდნენ. ზოგიც სურნელოვანი ვარდის ძირას გულზე ხელებგადაჯვარედინებული მიწოლილიყო თავისივე წყლულებისა შხამიანი სიბინძურით ალაგ-ალაგ ამოჭმულ ჭილოფზე. ბრძანა, ნამდვილი კერია გაემართათ მათთვის, ჭილოფებიც ეყიდათ და პატიოს ანანაძირას დაედგათ პალმის ტოტებისგან შეკრული ქოხები, რათა სასახლეში-ალარ შეედგათ ფეხი, მაგრამ დღე არ იყო, სასტუმრო დარბაზში სპარსულ ნოხზე დაგდებული ერთი-ორი კეთროვანი არ ენახათ, ან რომელიმე უსინათლო არ შებორიალებულიყო მეფურ საძინებელში, ან რომელიმე ხეიბარი არ დაგორებულიყო სასახლის კიბეზე. ბრძანა, ყველა კარი საგულდაგულოდ ჩაეკეტათ, რათა სასახლის დარბაზებში შემოპარულ კეთროვნებს კედლებზე არ დაეტოვებინათ თავიანთი ჩირქიანი კვალი. კარბიტის სუნმა ხომ დაასრჩო, სანიტარული სამსახურის თანამშრომლები ლამის ყოველდღე აფრქვევდნენ მთელს სასახლეში. ისინი მაინც ახერხებდნენ შენობაში შეპარვას, რადგან სულში ჰქონდათ გამჯდარი უძველესი ველური რწმენა ყოვლისმკურნავი სასწაულმოქმედი ძალისა, რომელსაც ეს ბერიკაცი ფლობდა. თავად ბერიკაცი კი მთვარეულივით დაბორიალობდა საკუთარი მეხსიერების ჩასქელებულ ბურუსში, ხელის ცეცებით ეძებდა კედლის ხვრელებში ჩაჩურთულ ჩანაწერებს. ჰამაკი არასოდეს ავიწყდებოდა, ჩაწვებოდა თუ არა, მაშინვე ახალ ელჩ ფიშერზე აეკვიატებოდა ფიქრი, ნამდვილად გულს მიწყალებს, როგორმე უნდა მოვიშორო, ჩამციებია, გინდა თუ არა გამოაცხადე, ვითომ ქვეყანაში ყვითელი ციებ-ცხელების ეპიდემიაა მოსალოდნელი. სინამდვილეში მაგას საკუთარი სადარდებელი აწუხებს, თავისი საზღვაო ქვეითების გადმოსხმა სურს ჩვენს მიწაზე ვითომდა ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პირობისამებრ, თანაც განუსაზღვრელი ვადით, იმ ვადით, რამდენიც დასჭირდება ჩვენი სულთმობრძავი ქვეყნის წელში გამართვას. ბერიკაცი თავს იტეხდა ფიქრით, რით ვუშველო საქმესო და გაახსენდა თავისი რეჟიმის ის პირველი წლები, როცა ვითომ ეპიდემია ემუქრებოდა ქვეყანას. მაშინ მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, საგანგებო უფლებებით აღიჭურვა და სინამდვილეში სასალხო მღელვარების სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ქვეყანაში სამხედრო წესები შემოიღო, ოღონდ ციებ-ცხელების ეპიდემიის ნაცვლად ჭირის ეპიდემია გამოაცხადა. შუქურაზე ყვითელი ალამი ალმართეს, პორტი ჩაკეტეს, კვირა დღეები გააუქმეს, მიცვალებულთა საჯარო პანაშვიდები და სამგლოვიარო მარშები აკრძალეს. შეიარაღებულ ძალებს პრეზიდენტისგან მინიჭებული ჰქონდათ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ მოქცეოდნენ ავადმყოფებს. სანიტრის სამკლაურიანი ჯარისკაცები საჯაროდ სჯიდნენ სხვადასხვა მდგომარეობის ხალხს, წითელ წრეს იმ სახლის კარს ახატავდნენ, რომლის პატრონიც შემჩნეული იყო როგორც რეჟიმის მიმართ უკმაყოფილო პირი. წვრილწვრილ დამნაშავეებს, ლესბიანელ ქალებსა და ნარკომანებს შუბლზე ნიშანს ადებდნენ პირუტყვივით. ელჩი მიტჩელი თავის სანიტარულ სამსახურთან ერთად სასწრაფოდ შეუდგა სასახლის ბინადართა ჭირის საწინააღმდეგო გამოკვლევა-მკურნალობას. მისიის წევრები უდღეურების განავალს იღებდნენ იატაკიდან და ლუპით ჩაკირკიტებდნენ, თავი-

ანთი ჭკუით ანალიზს აკეთებდნენ, წყლიან ჭურჭელში სადეზინფექციო აბებს ყრიდნენ, სამეცნიერო ლაბორატორიის ცხოველებს რაღაც საშინელ სალაფავს აჭმევდნენ, ბებერი გენერალი კი ამ დროს სიცილით კვდებოდა და თარჯიმნის დახმარებით მიმართავდა მათ, მისტერებო, თავს ნუ ისულელებთ, თქვენს გარდა აქ სხვა ჭირი ნამდვილად არ არის. ისინი კი პასუხობდნენ, ზემოდან გვაქვს ნაბრძანები, რომ ერეს და თუ არ არის, უნდა იყოსო. რაღაც თაფლისმაგვარი მალამო მოამზადეს, სქელი და მწვანე. თავით ფეხამდე თითხნიდნენ ამ სისაძაგლით სასახლის ყველა ბინადარს. ვინც არ უნდა ყოფილიყო, სახეზე არც უყურებდნენ, მდაბიო იქნებოდა თუ დიდებული, პრეზიდენტთან მიღებისას განსაზღვრული მანძილის დაცვა ევალებოდა. ის იჯდა დარბაზის შორეულ კუთხეში, სადაც მოსულის მხოლოდ ხმა აღწევდა და არამცდაარამც სუნთქვა, ამიტომაც ლამის ხმის ჩახლეჩამდე იხილავდა საქმეებს ტიტლიკანა უმაღლეს ჩინოსნებთან, რომლებიც ზღურბლთან იდგნენ და ერთ ხელს რომ მისკენ იწვდიდნენ, თქვენო უდიდებულესობავ, მეორეთი ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი უსასოოდ დაკიდული, საძაგელი მალამოთი გათხიპნილი მტრედები. აი, ასე ფრთხილობდნენ, ჭირი არ შეჰყროდა იმ ადამიანს, ვინც უძილობის ჟამს მოიგონა ეს ავადმყოფობა. მოიგონა და გათვალა კიდეც ძირისძირობამდე, რა უნდა მოჰყოლოდა ამ მოგონილს. ისეთი ხმები დაყარა, რომ ხალხმა დაიჯერა აპოკალიფსური წინასწარმეტყველება. მან მშვენივრად იცოდა, რაც უფრო უვიცი და ბნელია ხალხი, მით უფრო მშიშარაა. წარბი არ შეურხევია, როცა ერთ-ერთმა ადიუტანტმა მოახსენა, ჩემო გენერალო, ჭირისგან გამოწვეული სიკვდილიანობა მოქალაქეებში ძალზე დიდიაო. კარეტის დაბინდული შუშიდან დაინახა უკაცრიელ ქუჩებში მისი ბრძანებით შეჩერებული დრო, უსიცოცხლოდ გაკიდული ყვითელი ალმები, დაინახა იმ სახლების დაგმანული კარებიც, წითელი წრეებით რომ არ იყო აღნიშნული. დაინახა აივნებზე მობობღიალე გამაძღარი ორბები და უთვალავზე უთვალავი დახოცილი ადამიანი. ისინი მორებივით ეყარნენ ბინძურ გუბეებში, მზით გაჩახჩახებულ ტერასებზე, ბოსტნეულთან ერთად ლპებოდნენ ბაზრის დახლებზე. არავინ იცის, რამდენი იყო, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტი, ვიდრე მას სურდა ენახა თავისი მტრების ურდოში. ძაღლებივით ყრიდნენ სანაგვეებში. ქუჩებში ცხადად იგრძნო ჭლექისა და მართლა შავი ჭირის მძაფრი სუნი, მაგრამ არც შეტოკებულა, არავისი მუდარა არ შეუსმენია, შეეჩერებინა ეს უბედურება მანამ, სანამ ქვეყანაში გამეფებული ვითარებისა და ძალაუფლების სრულ ბატონ-პატრონად არ იგრძნო თავი. და სწორედ მაშინ, როცა თითქოს ადამიანი კი არა, მამაზეციერიც ველარ შეაჩერებდა ამ დაუსრულებელ სიკვდილიანობას, ქუჩებში უცხო კარეტა შევამჩნიეთ. ვერავინ იგრძნო ამ ხავერდგამოკრულ კარეტიდან წამოსული უმაღლესი ძალაუფლების სუსხი. პატარა სარკმელს მიღმა დავინახეთ უსიცოცხლო თვალები, გაცრეცილი ტუჩები და თეთრხელთათმნიანი ხელი, რომელიც გზადაგზა მარილს აპნევდა. ეროვნული დროშის ფერებად გადაღებილი მატარებელი გზას მიიკვლევდა გარდენიების ბუჩქებში, ლეოპარდებს აფრთხობდა და თითქოს კლანჭებით ჩაჭიდებიაო, გაჭირვებით მიბობღავდა ზეგანის მიკარგული პროვინციების ლავგარდნებზე.

აქაც, ერთადერთ ვაგონის ფანჯარაში დავინახეთ უსიცოცხლო თვალები, ტანჯული სახე და იგივე ხელი, რომელიც მარილს აპნევდა თავისი ბავშვობის უსიცოცხლო უდაბნოში. ხისბორბლიანი ორთქლის გემი ქიმერულ პიანოლაზე აჟღერებული მაზურკის რიტმზე მოხერხებულად მიიკვლევდა გზას რიფებში, ქვიშიან მეჩეჩებსა და ტროპიკულ ტყეშიც, სადაც გაზაფხულის წყალმოვარდნის დრაკონს ულმობლად მიელეწა ხეები. კაიუტის ილუმინატორში დავინახეთ დაისივით მიმქრალი თვალები, უფერული ტუჩები და ხელი, რომელიც მარილს აპნევდა გვალვისგან გადამხმარ სოფლებში. ვინც ამ მარილს იგემებდა ან ალოკავდა მარილმოპნეულ მიწას, წამსვე იკურნებოდა ყოველგვარი სნეებისგან და თავისუფლდებოდა ავი თვალისგანაც. ახლა, როცა იგი უკვე თავისი ცხოვრების შემოდგომისაკენ მიეპანეზოდა, არც გაპკვირვებია, პოლიტიკური ციებ-ცხელების ძველი ნაცადი საბაბით ახალი ოკუპაციის წამოწყებას რომ ურჩევდნენ ზოგიერთები. საზღვაო ქვეითები დავაბრუნოთ, გენერალო, მოგვაშველონ პესტიციდების მფრქვევი მანქანები, მოვიდნენ და მოგვიტანონ თეთრი საავადმყოფოები ახასხასებული მოლითა და მბრუნავი შადრევნებით. დაე ამ საავადმყოფოებში უმკურნალონ, გამოაჯანმრთელონ და ას წლამდე გაუხანგრძლივონ სიცოცხლე ადამიანებს, სამაგიეროდ წაიღონ რაც მოესურვებათ, უჩიჩინებდნენ უტვინო მინისტრები, ის კი მანამდე იდგა უარზე და მანამდე ურახუნებდა მუშტს მაგიდაზე, სანამ ელჩმა მაკ-კუინმა პირდაპირ არ მიახალა პირში, ნეტავ რა თავს იფასებთ, თქვენო უდიდებულესობავ, მორჩა, რეჟიმს საყრდენს უმაგრებს არა დაპირებები, არა კონფორმიზმი და, მით უმეტეს, არა ტერორი, არამედ ძველი ინერცია. გადით ქუჩაში და შეხედეთ სიმართლეს თვალებში, სხვა გზა არ გაქვთ, ან თქვენ დააბრუნებთ საზღვაო ქვეითებს ან ჩვენ წავიღებთ ზღვას. სხვა გზა არ გაქვთო, დედა, აპრილში წაგვგლიჯეს კარიბის ზღვა, ელჩ ევინგის ინჟინრებმა ზღვა ნაწილებად დაჰყვეს და თითოეული ნაწილი დანომრეს, რათა ჩვენი გრიგალებიდან შორს, არიზონას ცის ქვეშ არ გასჭირვებოდათ მისი აწყობა. წაიღეს ზღვა, ჩემო გენერალო, წაიღეს თავის სიმდიდრიანად, ჩვენი ქალაქების ანარეკლებიანად, ჩვენი შერეკილი წყალდიდობებიანად და დამხვრჩვლებიანად. ამ გაუგონარი ძარცვის წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად თავისი დახვეწილი ეშმაკობის უმდიდრესი რეგისტრის რომელ კლავიშზეც არ უნდა დააჭიროს ახლა ხელი, სულერთია, ჩვენ უკვე ისე ვისწავლეთ ჭკუა, რომ, მორჩა, აღარასოდეს ავყვებით ხელისუფლების ხუშტურს, მორიგი მანევრის ჩატარების კიდევ ერთ მცდელობას. მაპატიეთ, ჩემო გენერალო, თქვენი არც მუქარისა შეშინებია ვინმეს, არც ძალისა, ქუჩაში არავინ გამოსულა. მოხდეს რაც მოსახდენია, წაიღონ ეს ოხერი ზღვა, ჯანდაბას მაგათი თავი, წაიღონ ეს სამშობლოც თავის სამფეროვან დროშიან-დრაკონიანად, ბოლოს და ბოლოს ასე გადავწყვიტეთ ჩვენ. როგორ არ გვიჩიჩინებდნენ სამსედროები, რას არ გვპირდებოდნენ, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები სახლებში გვაკითხავდნენ, ლამის გვემუქრებოდნენ, სამშობლოს სახელით გამოდით ქუჩაში, იყვირეთ, ძირს გრინგოო, იქნებ ბოლო მოელოს დღისით-მზისით ჩვენი ქვეყნის ძარცვასო, მაგრამ ჩვენ ვითომ არაფერი გვესმოდა. დაავიწყდათ, რომ მოგვიწო-

დებდნენ, უცხოელთა სახლები და მაღაზიები დაარბიეთ, ცეცხლს მიეცითო, ფულსაც გვაჩეჩებდნენ, ნუ გეშინიათ, ჯარი თქვენს მხარეზეა, საპროტესტო აქცია მოაწყვეთ თავხედური აგრესიის წინააღმდეგო, მაგრამ არავინ გამოვიდა, ჩემო გენერალო, რადგან ყველაფერ კარგად ახსოვს, სამხედროების ვითომ პატიოსან სიტყვას მერე რა მოსდევს. ბრბოში მიმოფანტული პროვოკატორები სროლას იწყებდნენ, სამხედროებს იღებდნენ მიზანში, დასჯით კი უდანაშაულო ხალხი ისჯებოდა. ასე რომ, ჩემო გენერალო, ამჯერად ხალხის იმედი ნულარ გექნებათ. ამის მერე რა უნდა მექნა, დედა, მე მარტოს დამედო ტვირთად ამ საქმის გადაწყვეტა, მეც ავდექი და ხელი მოვაწერე ზღვის გაყიდვის ხელშეკრულებას. ო, დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, შენზე უკეთ ვინ იცის, რომ სჯობს უზღვოდ დარჩე, ვიდრე დესანტის გადმოსხმას დაეთანხმო. ეგ ოხრები ათასნაირ უაზრო ბრძანებებს იგონებდნენ, მაიძულებდნენ ხელი მომეწერა ამ ბრძანებებზე. მათ გააპედერასტეს მსაჯიობები, მოგვიტანეს ბიბლია და სიფილისი. ხალხს თავგზას უბნევდნენ, დედა, ცხოვრება იოლიაო, ფულს ყველაფერი შეუძლიაო, ზანგებს მყრალი სუნი ასდითო, ჩვენს ჯარისკაცებსაც ტვინს უხვრეტდნენ, სამშობლო იქ არის, სადაც ფული გაქვსო, ჯარისკაცის ღირსება ხელისუფლების მოგონილია, ფულის მოცემა არ უნდათ თქვენთვის და იმიტომო. ჰოდა, ეს ყველაფერი კვლავ რომ აღარ განმეორებულიყო, უცხოელებს მე დავრთე ნება საკუთარი სურვილისამებრ ესარგებლათ ჩვენი ტერიტორიული წყლებით კაცობრიობის საკეთილდღეოდ და ხალხთა შორის მშვიდობისათვის. მან ჰაიჰარად გაასხვისა არა მარტო ფიზიკური წყალი, რომელიც მისი საძინებლის ფანჯრიდან ჰორიზონტამდე იყო გადაჭიმული, არამედ მისი ფლორაც და ფაუნაც, მისი ქარების განრიგიც, ცვალებადი ამინდიც და მთელი ატმოსფერო უკანასკნელ მილიბარამდე. მაგრამ ამას თუ გააკეთებდნენ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი. უზარმაზარი დგუშებით ამოხაპეს რაბებით წინასწარ დატიხრული და ჭადრაკის დაფასავით დაყოფილ-დანომრილი ჩემი ბებერი ზღვა, გააშიშვლეს ფსკერზე მიმოფანტული ჩამჭრალი ვულკანები, გამოაჩინეს ერთ-ერთის კრატერში ჩაძირული უძველესი ქალაქის სანტა მარია დელ დარიენის ნანგრევები და ყველა ზღვისა და ოკეანის უდიდესი ადმირალის საფლაგმანო ხომალდიც, ზუსტად ისეთი, ჩემი ფანჯრიდან რომ ვხედავდი მარჯნებში გახლართულს, დედა. ჭურვებმა მარჯნები მანამდე ამოყარეს ძირფესვიანად, სანამ ისტორიული ჩაძირვისათვის სათანადო პატივის მიგების ბრძანება გაიცემოდა. წაიღეს ყველაფერი, რაც მისი ომების აზრსა და მისივე ძალაუფლების საფუძველს წარმოადგენდა, დატოვეს მხოლოდ მტვრიანი უდაბნო, რომელიც მთვარის ზედაპირს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზღვის ფსკერს. რამდენჯერ შეუვლია თვალი მისთვის ფანჯრებთან ჩავლისას, რამდენჯერ ამოუკვნესია გულდამძიმებულს დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, მომეხმარე, გამინათე გონება შენი სიბრძნის შუქით. რამდენჯერ გაღვიძებია შიშით დაზაფრულს, სამშობლოსათვის დაღუპული მებრძოლები საფლავებიდან წამოდგებიან და პასუხს მომთხოვენ გაყიდული ზღვისთვის. ცხადად ესმოდა, როგორ მოცოცავდნენ სამარის კედლებზე, მათი დაგუდული ხმებიც ესმოდა. ეჩვენებოდა, გასაღების ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ, გაო-

ცებულები აყოლებდნენ თვალს მის უზარმაზარ ფეხებს, პირქუში სასასლის ჭაობში რომ ეფლობოდნენ. ოთახში ბოლთას სცემდა და თან დასდევდა ქარის მანქანიდან მონაბერი პასატები და მისტრალები. ეს მანქანა ელჩმა ებერჰარტმა აჩუქა გამქრალი ზღვის ქარების სანაცვლოდ, იგი ხედავდა კლდის თავზე გადმოფენილ ობოლ [illegible] ელიც დამხობილ დიქტატორთა თავშესაფრიდან გამოდიოდა. [illegible] ლორებივით დასკდნენ და დაიძინეს, მე ვიკითხო, რომ ვიტანჯები აქ. რატომღაც დედამისი, ბენდისიონ ალვარადო გაახსენდა, მომაკვდავიც კი ჯანმრთელი ადამიანივით ხვრინავდა, გაახსენდა, რა მშვიდად ეძინა საბრალო ჩიტების გამყიდველს განათებულ ოთახში სიკვდილის წინაც კი. რა ბედნიერი იყო მძინარე დედა, რომელსაც არასოდეს შეშინებია ჭირისა, არ შეშინებია სიყვარულისა, არ შეშინებია სიკვდილისა. სამაგიეროდ მისი შვილი ისე იყო ძალაგამოცლილი და დაზაფრული, რომ უზღვო შუქურას ციმციმმა გონება აუმღვრია, მოეჩვენა, მიცვალებულები მოიწევდნენ საფლავებიდან. შუქურას მოძრავ შუქზე ხედავდა ფანტასტიკურ ციცინათელებს — მოციმციმე მტვერს, ეგონა, მიცვალებულთა ძვლების მანათობელ მტვერს ვხედავო და შიშით ატანილმა იღრიალა, შუქურა გამორთეთო. შუქურაც წამსვე ჩაქრა. ბრძანა, ყველა კარ-ფანჯარა საგულდაგულოდ დაეგმანათ, პატარა ნასვრეტიც კი არ დაეტოვებინათ ამოუქოლავი, რათა სიკვდილით გაჯერებული ღამეული ჰაერის თუნდაც პაწაწკინტელა ატომსაც კი არ შეეღწია შენობაში. იჯდა წყვდიადში მარტო, სული ეხუთებოდა უჰაერობით, ცდილობდა სარკეებისკენ არ გაეხედა, მართალია, მათ ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, ოთახში მარტო არ იყო. შეშინებული აბორიალდა ოთახში, ზღვის კრატერზე ფლოქვების თქარათქური მოესმა. ეს — მთვარე ამოდიოდა ცაზე გაცრეცილი და საშინელი. მოაშორეთ აქაურობას, დაიყვირა მან, ვარსკვლავებიც ჩააქრეთ, ეშმაკმა წაგიღოთ, ღმერთის სახელით გიბრძანებთ, მაგრამ მის ძახილს არავინ გამოპასუხებია, არც არავის გაუგონია გარდა ძველ კაბინეტებში მძინარე ხეიბრებისა, კიბეებზე მთვლემარე უსინათლოებისა და ცვარ-ნამში დასველებულ კეთროვნებისა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ თავიანთ პატრონს პირდაპირ ფეხებში უვარდებოდნენ, შენი ხელშენავლები მარილი გვიწყალობეო. ეი, თქვენ, ურწმუნონო, მძღ...ო კერპთაყვანისმცემლებო, იყო დრო, ის რომ თავსა და წყლულებზე შეგვახებდა თავის გონიერსა და ყოვლისშემძლე ხელს, მაშინვე ვიკურნებოდით სულითაც და სორციოთაც, სიცოცხლის წყურვილი გვემატებოდა. რამდენ უსინათლოს აუხილა თვალი, მართალია, ისევ დაბრმავებულან, მაგრამ ამჯერად ვარდების შუქით. რამდენ ხეიბარს ააღგმევინა ფეხი, თუნდაც აი, ჩემი კანი ნახეთ, ჩვილის კანივით სუფთაა და გლუვი, სულ ცოტა ხნის წინ კი წყლულებით იყო დაფარული. ნახეთ, დილის ლილიების სურნელი ასდის. მთელი ქვეყნის ბაზრები მოვიარე, მინდოდა ყველასათვის მეჩვენებინა ჩემი კანი, მინდოდა, ურწმუნოებს ენა ჩავარდნოდათ, გარყვნილები გაფრთხილებულიყვნენ. აი ასე დადიოდნენ ეს ადამიანები ქალაქიდან სოფელში, სოფლიდან ქალაქში, ღღესასწაულებზე თუ სამგლოვიარო პროცესიებზე, რათა ყველასათვის ემცნოთ ეს სასწაული, და არა მარტო ემცნოთ, ერწმუნათ და შიშიც ჰქონოდათ მისი. მაგრამ აღარავის სჯეროდა ამ ადამიანებისა.

ვფიქრობდით, ალბათ ეს ის ხალხია, წინათ სასახლის ბრძანებებს სოფელ-ქალაქებში რომ ავრცელებდნენ-თქო. ახლაც წელებზე ფეხებს იდგამდნენ ჩვენს გასაცურებლად, იქნებ ამ ერთხელაც დავჯეროთ ეს რეგვენი ხალხი ჩვენი ბებერი გენერლის ყოვლისშემძლეობაში, ის ხომ კეთროვნებს ჰკურნავს, ბრმებს თვალის ჩინს უბრუნებს, ხელებს ფეხს ადგმევინებს და საერთოდ, ის რომ რეალურად [illegible] მისი პირადი ბრძანებით სამთავრობო დაცვა შეიცვალა ახალწვეულთა პატრულით, თუმცა სახელმწიფო საბჭოს წევრები სხვა აზრისა გახლდნენ. პირიქით, გენერალო, დაცვა უსათუოდ უნდა გავაძლიეროთ სულ ცოტა ერთი მსროლელთა რაზმით მაინც. ის კი ჯიუტად გაიძახოდა, ნეტავ ვის რაში სჭირდება ჩემი მოკვლა, ალბათ ისევ თქვენ, ჩემო უმაქნისო მინისტრებო, და კიდევ თქვენ, ჩემო უსაქმურო მეთაურებო, მაგრამ სწორედ თქვენ ვერ გაბედავთ ჩემს მოკვლას, ძალიან კარგად იცით, მერე ერთმანეთს დაერევით, ერთმანეთს ამოხოცავთ. ერთი სიტყვით, მან თავისი გაიტანა და მხოლოდ ახალწვეულთა პატრული დაიტოვა ჩაწყვდიადებულ სახლში, სადაც ძროხები უბოდიშოდ მიდი-მოდიოდნენ ვესტიბიულიდან სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზამდე. ჩემო გენერალო, ყვავილნარიანი გობელენი და არქივი შემოეჭამათ. მაგრამ გენერალს არაფერი ესმოდა. ოქტომბრის ერთ საღამოს კოკისპირულად წვიმდა და ძროხამაც სასახლეს შეაფარა თავი, სწორედ მაშინ ნახა პირველად სასახლეში შემობოტებული ძროხა და ჯიკავ-ჯიკავით ცდილობდა მის გაგდებას გარეთ, თან გულმოდგინედ იმეორებდა, ძროხა იწერება ძ-თი, იწერება ძ-თი. მეორეჯერაც წააწყდა ამ ძროხას, მაგიდის ლამპის ნაჭრის თალფაქს გემრიელად ღეჭავდა. არადა, ოდესღაც, იმ კეთილმოსაგონარ დღეებში ამ ლამპის შუქი ლამაზად ეფინა აქაურობას. მან ხელი ჩაიქნია, ძროხის გამო არ ღირს ამდენი ჩასვლა-ამოსვლაო, და როცა დარბაზში ერთდროულად ორი ძროხა დაინახა, რომლებსაც ზურგზე ქათმები შესკუპებოდნენ და გულმოდგინედ აცლიდნენ ტკიპებს, ყურადღება არც მიუქცევია. იმ ხანებში ღამღამობით დროდადრო გემის ილუმინატორივით ფანჯრებში შუქი კრთებოდა და სასახლის კედელს მიღმა გვესმოდა რომელიღაც დიდი ცხოველის მძიმე ნაბიჯების ხმა. ეს ბებერი გენერალი დააბოტებდა გემის ფარნით ხელში, რათა ძროხებისთვის ღამის სათევი ადგილი მიეჩინა. ამასობაში საზოგადოებრივი ცხოვრება უმისოდ მიედინებოდა. რეჟიმის გაზეთებში თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა სხვადასხვა საზეიმო მიღებებზე გადაღებული მისი ცრუ სურათები. მიღებების დონისა და მნიშვნელობის შესაბამისად მასაც სხვადასხვა დონისა და მნიშვნელობის მუნდირი ეცვა. რადიოში დაუსრულებლად გადმოსცემდნენ მის გამოსვლებს, რომლებსაც ეროვნულ დღესასწაულებზე წლების განმავლობაში ვისმენდით ხოლმე. ის კვლავ ჩვენ გვერდით იყო, სასახლიდან გამოდიოდა, ეკლესიაში შედიოდა, ეძინა, სვამდა, ჭამდა, ყოველ შემთხვევაში ასე გვარწმუნებდნენ ფოტოსურათები, თუმცა მშვენივრად ვიცოდით, რომ იგი გვარიანად იყო მოფამფალებული, ძლივს დაათრევდა თავის უცვეთელ ჩექმებიან ფეხებს ასევე გვარიანად მოფამფალებულ სასახლეში. მსახურებად სამი-ოთხი დენშჩიკიღა შემორჩენოდა. ისინი აჭმევდნენ და თაფლით ამარაგებდნენ. დენშჩიკებმა ძროხები ძალისძალობით გაყარეს

სასახლიდან. პირუტყვმა თავდაყირა დააყენა გენერალური შტაბი, ფაიფურის მარშლები ნამსხვრევებად აქციეს იმ იდუმალ კაბინეტში, სადაც ნათელმხილველმა უწინასწარმეტყველა სიკვდილი, თუმცა რომელმა, მას ალარ ახსოვდა. დენშჩიკები კართან ატუზულიყვნენ, ძილის წინ იქნებ რამე მოისურვოს ბატონმაო, თან მოუთმენლად ელოდებოდნენ ამ წამს, როცა ბერიკაცი ბოლოს და ბოლოს ფარანს დაკიდებდა [illegible] კართან, გააჩხაკუნებდა სამ გასალებს, სამ ჯაჭვს და სამ ურდულს და უზღვო-უპაერო ოთახის იატაკზე მოადენდა ზღართანს დასაძინებლად. დენშჩიკები მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდნენ სამორიგეო ოთახში პირველ სართულზე, დარწმუნებული იყვნენ ბებერი გენერალი დილამდე იძინებდა, მაგრამ ის მალე იღვიძებდა და საკუთარ უძილობას თავად დარაჯობდა, უზარმაზარი ფეხებით დაალაჯებდა პირქუშ სასახლეში არც ძროხების ცოხნა ესმოდა და არც ვიცე-მეფეთა ტანსაცმლის საკიდებზე შემომსხდარი ქათმების ქოთქოთი, ესმოდა მხოლოდ ღამეული ქარების სისინი წყვდიადში, გრძნობდა დროის სრბოლას წყვდიადში და ხედავდა დედას, ბენდისიონ ალვარადოს, კონად შეკრულ მწვანე ტოტებით წყვდიადში მტვერს როგორ აცლიდა კორნელიუს ნეპოტის კიდეებშერუჯულ ხელნაწერებს, ლივიუს ანდრონიკუსისა და სესილიო ესტატოს რიტორიკულ თხზულებებს, რომლებიც კინალამ ნაგავს გადააყოლეს ერთ იმ სისხლიან ღამეს, როცა ის შებრძანდა სახელისუფლო სახლში. ქუჩებში მაშინ ჯერ კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას ცნობილი ლათინისტის გენერალ ლაუტარო მუნიოსის, ღმერთმა აცხონოს, თავზეხელაღებულთა შეთხელებულ ბარიკადებზე. დედა-შვილმა პატიოში ხანძრების შუქზე გაიკვლია გზა. ციებისგან აძაგძაგებულმა შვილმა და ილლიაში ცოცხამოჩრილმა ქალმა, ვისაც მწვანე ტოტებისგან შეკრულ ამ ცოცხის გარდა სხვა იარაღი არ გააჩნდა, განსწავლული პრეზიდენტის ლაუტარო მუნიოსის პირადი დაცვის გვარდიელთა გვამებს გადააბიჯა და რის ვაივაგლახით შეაღწია სასახლეში. სიბნელეში აუყვნენ კიბეს, რომელიც ვესტიბიულიდან სხდომათა დარბაზამდე მკვდარი ცხენებით იყო მოფენილი. პრეზიდენტის საჯინიბოს რჩეული ცხენები ვიღაცას ულმობლად დაეხოცა. ირგვლივ დენთისა და ცხენების სისხლის ჩასქელებული სუნი იდგა. ჩვენ ვნახეთ შიშველი ფეხის სისხლიანი კვალი იატაკზე. კედლებიც ცხენების სისხლით იყო მოთხვრილი. ოდნავ მოშორებით სხდომათა დარბაზში ვნახეთ, სისხლისგან როგორ იცლებოდა გულში ხმალგარჭობილი ფლორენციელი მზეთუნახავი. ეს იყო პრეზიდენტ მუნიოსის მეუღლე. იქვე ვნახეთ ტყვიით შუბლგანგმირული, მოსამართ თოჯინასავით გოგონა. ეს იყო პრეზიდენტ მუნიოსის ცხრა წლის შვილი. ვნახეთ გარიბალდელი კეისრის, თავად პრეზიდენტ ლაუტარო მუნიოსის გვამიც. ის იყო ყველაზე მოხერხებული და გონიერი იმ თოთხმეტ ფედერალისტ გენერალს შორის, მთელი თერთმეტი წელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ ებრძოდნენ ერთმანეთს ხელისუფლებისათვის. ის იყო ერთადერთი გენერალი, ვინც გაბედა და ინგლისელ კონსულს საკუთარ ენაზე უთხრა არა. სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი თვითმკვლელობისა, ფეხშიშველი და თავგასისხლიანებული ეგდო იატაკზე, ხოლო სანამ თვითონ დაისლიდა პირში ტყვიას, მანამდე ცოლს ხმლით მოუსწრაფა სიცოცხლე, შვილს კი ტყვია

ესროლა შუბლში. შემდეგ ერთი მეორის მიყოლებით დახოცა ორმოცდაორი ანდალუზური ცხენი, რათა ბრიტანელ ჯალათებს ცოცხალი არც ისინი ჩავარდნოდათ ხელში. მაშინ ინგლისელმა მარალჩინოსანმა მუნიოსის გვამზე მანიშნა, ხედავ, გენერალო, რა ელოდება მას, ვინც ხელს აღმართავს თავის მამაზე. კარგად დაიმახსოვრე და გაიხსენე მაშინ, როცა ქვეყნის მმართველი გახდები. მაგრამ სანამ გაბედებოდი, ბევრი უძილო ღამე გადავიტანე, ლოდინით დავილიე, დედა. შერე როგორც იქნა, გამომაცხადეს სამი სახეობის ჯარის მთავარსარდლად და რესპუბლიკის პრეზიდენტად, თანაც იმდენი ხნით, რამდენიც დასჭირდებოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენასა და ეკონომიკის აღორძინებას. ერთი სიტყვით, სენატისა და დეპუტატთა პალატის თანხმობით აქა-იქ შემორჩენილმა ფედერალისტმა კაუდილიოებმა ინგლისელთა ესკადრონთან ერთად იმსჯელეს ამ საკითხზე, მოისმინეს, მიიღეს და დომინოს ქვებითაც დაამოწმეს, სწორედ იმ ქვებით, საღამოობით კარგა ხანი რომ ერკინებოდა გენერალი კონსულ მაკ-დონეილს. პირველ ხანებში არც მე და არც არავის არ გვქონდა წარმატების იმედი. მართლაც, ვინ დაიჯერებდა, განსაკუთრებით იმ საშინელ ღამეს, რომ ის ქვეყანას გაუძღვებოდა. სხვა კი არა, დედამისი, ბენდისიონ ალვარადოც ისე მოკვდა, არც დაუჯერებია, მის შვილს თუ რაიმე სასიკეთოს გაკეთება შეეძლო, თანაც ამ ქაოსში სრულად ვერც გარკვეულიყო საიდან დაეწყო საქმის კეთება ანუ ქვეყნის მართვა. დედა-შვილი ამაოდ ეძებდა ციების სამკურნალო ბალახის ერთ ღეროს მაინც ამ უავეჯო, გამოცარიელებულ სახლში. ფასეული აქ აღარაფერი დარჩენილიყო, კედლებზე მხოლოდ ბუზებისგან გაოხრებული ვიცე-მეფეთა და აწ უკვე წარსულის მკვიდრ ესპანელ დამპყრობთა დროინდელ არქიეპისკოპოსთა პორტრეტები დაეტოვებინათ, სხვა დანარჩენი ნელ-ნელა გაეზიდათ წინამორბედ პრეზიდენტებს. ის ადგილები, ოდესღაც გმირული ბრძოლების ამსახველი სურათებამოჭარგული ხალიჩები რომ ეკიდა, კარგა ხანია მთელი კედელივით გამოხუნებულიყო. საძინებლები ყაზარმებივით აევსო ნაგავს. ყველაფერს ეტყობოდა მივიწყებული ისტორიული სასტიკი ბრძოლის კვალი და ერთი ღამის ილუზორული პრეზიდენტების მიერ სისხლიანი თითებით გაკეთებული წარწერები კედლებზე. ჭილოფის პატარა ნაგლეჯი რა არის, ისიც კი ვერსად ვიპოვეთ, რომ დავწოლილიყავი და ოფლი მომედინა. დედაჩემმა, ბენდისიონ ალვარადომ, ფანჯარას მტვრიანი ფარდა ჩამოგლიჯა, შიგ კარგად გამახვია და მთავარ კიბესთან კუთხეში მიმაწვინა, თვითონ კი მწვანე ტოტებისგან შეკრული ცოცხით იმ ოთახების დაგვას მოჰყვა, პრეზიდენტისთვის რომ იყო განკუთვნილი და ინგლისელებისთვის აღარაფერი დარჩენილიყო საკბილო. ოთახებს ჰგვიდა და თან ცოცხით იგერიებდა აბეზარ კაცებს, რომლებიც მის გაუპატიურებას ლამობდნენ ლამის ყოველ კარს უკან. ალიონამდე ალაგებდა იქაურობას, ალიონზე კი სულის მოსათქმელად ჩამოჯდა კიბეზე ხავერდის ფარდაში გახვეულ, ოფლში გაწუწულ შვილის გვერდით. ციებ-ცხელების შემოტევა ოდნავ მაინც რომ შეემსუბუქებინა, შვილს მშვიდად ებაასებოდა, ამ უწესრიგობას ყურადღებას ნუ მიაქცევ, იაფფასიანი ტყავგადაკრული სკამები ვიყიდოთ, ზედ ყვავილები და

ცხოველები დავახატოთ, მე თვითონ დავხატავ, სტუმრებისთვის ჰამაკები შევიძინოთ. ასეთ სახლებში დიდი სტუმრობაა ყოველთვის. ვიყიდოთ დიდი სასადილო მაგიდა, რკინის დანა-ჩანგალი, ალუმინის მათლაფები, ჯარისკაცებს მეტი არც უნდათ, ვიყიდოთ ლამაზი სურა წყლისთვის, ნახშირის ღუმელი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ხარჯზე, დაამშვიდა ბოლოს შვილი, რომელიც არც უსმენდა. [illegible] განთიადის თეთრ-წითელი ბალბა, თეთრი სხეული და წითელი სისხლი, რომელიც ამ სხეულს სულ ახლახან სდიოდა და ამ ორფეროვნებაში ცხადდებოდა სიმართლის იდუმალი არსი, იგი ერთი საცოდავი უსიყვარულო ბერიკაცია და მეტი არაფერი, კიბეზე მიწოლილა და აძაგძაგებულს ათასი ფიქრი უტრიალებს თავში. დედაჩემო, ბენდისიონ ალვარადო, ნუთუ ეს არის ძალაუფლება, ჩაძირული გემივით სახლი, დამწვარი ცხენის ხორცის სუნი, სულიერი სიცარიელე, ეს განთიადი, მსგავსი თორმეტი აგვისტოს განთიადებისა, სახელისუფლო თარიღისა. ეს სად ოხრობაში ამოვყავით თავი, დედა. ეს იყო ატავური შიში იმ წყვდიადის წინაშე, მის დაუკითხავად რომ უახლოვდებოდა ქვეყნიერებას. მაგრამ მამლები კვლავინდებურად ხალისიანი ყივილით ხვდებოდნენ განთიადს ზღვასთან, ინგლისელებიც ინგლისურად მღეროდნენ მხიარულ სიმღერებს, თუმცა გვამებს ერთ ადგილას აგროვებდნენ პატიოში. ამასობაში კი დედამიწამ, ბენდისიონ ალვარადომ, საყიდლების ჩამოთვლის შემდეგ მშვიდად უთხრა, არაფერი ისე არ მადარდებს, შვილო, არც საყიდლები და არც სამსახური, როგორც ეს აუარება ზეწარი. რა გარეცხავს ამდენ ზეწარს. უიმედობის ფსკერზე დაშვებულმა კაცმა თითქოს ფეხქვეშ მყარი მიწა იგრძნოო, იქით დაუწყო დამშვიდება, ეგ ნუ გაფიქრებს, დედა, მშვიდად იძინე, ამ ქვეყანაში პრეზიდენტობა არავის უწერია დიდხანს, აგერ ნახავ, ორ კვირაში მეც მისვრიან აქედან. მარტო მაშინ როდი ფიქრობდა ასე, მთელი თავისი უხანგრძლივესი დესპოტური ცხოვრების მანძილზე თან სდევდა ეს შფოთიანი ფიქრი და რაც მეტს ფიქრობდა, მით მეტად რწმუნდებოდა, რომ ხელისუფალთ ორი დღეც კი არ ჰქონდათ ერთნაირი. ოთხშაბათობით სამუშაო ანგარიშით წარმსდგარი პრემიერ-მინისტრი თავის რუტინულ მოხსენებაში, ალაგ-ალაგ რომ გამოურევდა სიმართლეს, პრეზიდენტს ეჭვის ჭია ულრღნიდა გულს, რალაც მზაკვრული აქვს ჩაფიქრებული ჩემს ხელქვეითსო და ოდნავ გაღიმებული აწყვეტინებდა რატრატს, სიმართლეს ნუ მეუბნებით, ლიცენციატო, რისკსა სწევთ, ხომ შეიძლება დაგიჯეროთ. ამ ერთი ფრაზით იგი ცდილობდა გაეცამტვერებინა სახელმწიფო საბჭოს სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა პრეზიდენტის თანხმობა და ხელმოწერა მიეღო უკლებლივ ყველაფერზე ყოველგვარი კითხვებისა და ჩაძიების გარეშე. არასოდეს მომჩვენებია იგი ასეთი გონიერი. ტყუილად ამბობდნენ, ოფიციალურ მიღებებზე უნებლიედ იფსამსო. ჩემი აზრით, რაც უფრო ექცეოდა სიბერის კლანჭებში, მით უფრო სასტიკი ხდებოდა იგი. ფლოსტებში ფეხებწაყოფილს, ცალ ყურზე ძაფმიმაგრებულ სათვალიანს, თითქოს ძალაც მომატებოდა, ალღოც გამძაფრებოდა და სწორედ ამიტომაც შეეძლო ქალალდების დასტიდან უშეცდომოდ ამოეღო ხელმოსაწერად საჭირო საბუთი. არც კითხულობდა, ჯანდაბას თქვენი თავი, ღიმილით ამბობდა ის, მაინც არაფრად აგდებთ ჩემს სი-

ტყვას, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ იმის ბრძანება მაინც გასცა, ხის დიდი ურდულით ჩაეკეტათ ვესტიბიულის კარი, რათა ძროხებს არ ებოდიალათ კიბეებზე. ერთხელაც ერთმა ძროხამ — ძროხა, ძროხა, — მისი კაბინეტის ფანჯარაში შეჰყო თავი და საწერი მაგიდიდან, სამშობლოს ამ წმინდა საკურთხეველიდან, ქალალდის ყვავილები დაითრია. ხომ გეუბნებოდით, ლიცენციატო, თქვა მან ღიმილით, ამ ქვეყანაში ამდენი უბედურება იმიტომ ხდება, რომ მე არავინ მიჯერებს, ჩემს სიტყვას ფასი აღარ აქვს-მეთქი. საოცარია პირდაპირ, ამ ხნის კაცს როგორ შემორჩა ასეთი ნათელი გონება. ელჩი კიპლინგი კი თავის აკრძალულ მემუარებში ირწმუნებოდა, საკუთარი თვალით ვნახე მთლად გაბავშვებული გენერალი, დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებდა, წყალში დამხვრჩვალივით კანის ფორებიდან მარილიანი სითხე უჟონავდა და ისე ნელა მოძრაობდა, თითქოს მართლა ტალღები ანანავებენო. ერთი-ორჯერ ხალათი აიწია და მიჩვენა ხმელეთზე გამორიყული დამხვრჩვალი კაცის მანათობელი, წყლით გაჟიჟინებული სხეული, რომლის მოჩვარულ ნაოჭებში ზღვის პარაზიტები დაბუდებულიყვნენ. თვითონ ირწმუნებოდა, ნახეთ, ზურგზე რემორები[1] მაქვს მიკრული, ხოლო იღლიებში პოლიპები და ნამცეცა კიბორჩხალებიო. ეს კი მისი აზრით ზღვის სპონტანური დაბრუნების უტყუარ ნიშანს წარმოადგენდა, იმ ზღვისა, ჩემო ძვირფასო ჯონსონ, თქვენ რომ წაგვართვით, მაგრამ, იცოდეთ, ზღვა კატასავითაა, ყოველთვის ბრუნდება უკან. გენერალს სჯეროდა, მის სტომაქში მოქცეული კიბორჩხალების ქარავანი იმ ბედნიერი განთიადის დადგომას მოასწავებდა, როცა თავისი საძინებლის ფანჯარას გამოაღებდა და დაინახავდა ზღვებისა და ოკეანეების ადმირალის სამ კარაველას. რა ხანია ადმირალს ეძებს ლამის მთელს დედამიწაზე და ლამის მთელი სიცოცხლე, რა ხანია სურვილი ჰკლავს დარწმუნდეს, მართალია თუ არა რასაც ეუბნებიან, ადმირალისა და სხვა ცნობილ ისტორიულ პიროვნებებივით თქვენც უხაზო ხელის გული გაქვთო. ზღვაოსნებმა ისიც უთხრეს, მახლობელ ზღვებში მიმოფანტული კუნძულების აღწერისას და სახელების გადარქმევისას — კონკისტადორების გვარ-სახელების ნაცვლად მეფეებისას და წმინდანებისას არქმევდნენ — შემთხვევით გადავაწყდით ადმირალს, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა მეცნიერულ წყაროებში მისთვის საჭირო და სასურველ სიქაჩლის საწინააღმდეგო წამალს ეძებდაო. გენერალმა მაშინვე ბრძანა, გინდათ ძალით, გინდათ ნებით, ადმირალი აქ მომგვარეთო. ის იყო ადმირალის კვლავ ნახვის იმედი დავკარგეთ, რომ თავად პრეზიდენტმა მოჰკრა მას თვალი ლიმუზინიდან. თუმცა ბერივით წელზე თოკშემოჭერილ ყავისფერ ანაფორაში იყო გადაცმული და ჭრიალათი ხელში დადიოდა საკვირაო ბაზრობაზე მომწყდარ მილეთის ხალხში, ბებერმა გენერალმა იგი მაინც იცნო. ნუთუ ეს უბადრუკი ბერი ის კაცია, ვინც სააუდიენციო დარბაზში გვინახავს ოქროსფერ სამხრეებიან წითელ ხიფთანში გამოწყობილი, გვინახავს მხნედ მოსიარულე სანაპიროზე, მაგრამ როგორც კი ბრძანება გაიცა, ბერი ლიმუზინში ჩასვითო, ჩემო გენერალო, ისე გაქრა, ვერც გავიგეთ, მიწამ უყო პირი თუ

1 ნავის ძირსა და კედელზე მიკრული თევზი.

ცამ. რაღას არ ამბობდნენ მასზე, მაჰმადიანობა მიიღოო, პელაგრამ მოკლა სენეგალშიო, ერთდროულად სამ ქალაქში, სამ საფლავშია დამარხულიო. ზოგი იმასაც ირწმუნებოდა, მკვდარია, მაგრამ არ დაუსაფლავებიათ, არც ერთმა საფლავმა არ მიიღო და მეორედ მოსვლამდე საფლავიდან საფლავამდე მოუწევს ხეტიალიო. ასე დასავლეთმა თავისი მრუდე საქმეების გამო. გაიძვერა და ოქროზე ეტლად მაცდური იყო, ჩემო გენერალო. მაგრამ გენერალი ასე როდი ფიქრობდა, მის დაბრუნებას ელოდებოდა, ამ მოლოდინით სულდგმულობდა ღრმა სიბერეშიც. ჯანდაცვის მინისტრი კანში ჩამჯდარ ტკიპებს პინცეტით რომ აშორებდა, ბებერი გენერალი მერამდენედ ეუბნებოდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ეს ტკიპები ზღვის დაბრუნების ნიშანიაო. თან ისე ჭკვიანურად და დალაგებულად უსაბუთებდა, რომ მინისტრი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, არც ისე ყრუა, როგორადაც თავს აჩვენებს ხალხშიო და არც ისე გულუბრყვილო, როგორც ჩინოსანთა მიღებებზე ჩანსო. მაგრამ ერთადერთი რეალობა, რასაც მართლა არ გაუვიდოდა წყალი, მისი დაუმთავრებელი, უსასრულო სიბერე იყო. საექიმო გამოკვლევებით დადასტურდა, რომ მას შუშის არტერიები ჰქონდა, ორივე თირკმელიც ისე ამოვსებოდა ქვიშით, თითქოს პლაჟზე ყოფნისას ეყლაპოს. გულიც უსიყვარულობისგან დაბზარვოდა. ბებერმა ექიმმა, მისმა უახლოესმა თანამდგომმა ადამიანმა მოკრძალებულად შეჰბედა, ჩემო გენერალო, იქნებ გეფიქრათ თქვენს შემცვლელზე, დროა გადაწყვიტოთ, ვის ხელში გვტოვებთ, ბედის ანაბარა ხომ არ უნდა დაგვყაროთ. გენერალმა გაიკვირვა, კი მაგრამ, ვინ გითხრათ რომ ვკვდები, ჩემო ძველო ექიმო, სჯობს სხვები ესტუმრნონ საიქიოს, მერე ხუმრობით დაუმატა, ერთი-ორი წლის წინათ ტელევიზორში ვნახე საკუთარი თავი, მშვენივრად გამოვიყურებოდი, ნამდვილად კორიდის ხარივითო, და გადაიხარხარა. გაახსენდა, იმ საღამოს როგორ იჯდა ხმაჩაწეულ ტელევიზორთან თავწაკრული და თავაკანტურებული, როგორ უდნებოდა ხელში მარტოობის უკანასკნელი საღამოები. შესცქეროდა საკუთარ თავს ტელევიზორის ეკრანზე და უკვირდა თავისი სიმხნევე. მართლაც რომ კორიდის ხარია. უკვირდა თავისი მანერები ფრანგი ქალბატონი ელჩის წინაშე, ან სულაც შესაძლოა თურქის, ან შვედისა. ჯანდაბას მაგათი თავი, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ძნელად გაარჩევდა კაცი, თანაც იმდენი დრო გავიდა ამ კადრების გადაღებიდან, რომ აღარც ახსოვდა, სინამდვილეში თვითონ იყო თუ სხვა ამ მშვენიერი ფრანგი — იქნებ თურქი ან სულაც შვედი — ქალბატონის გვერდით. ნეტავ ის საზეიმო მუნდირში გამოწყობილი კაცი, შამპანურით სავსე ჭიქა რომ უჭირავს ხელში თორმეტი აგვისტოს რომელიღაც წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე, მართლა თვითონ იყო თუ სხვა. იქნებ თოთხმეტი იანვრისა იყო. გამარჯვების დღის ზეიმი, ან იქნებ სულაც ცამეტი მარტისა მისი დაბადების დღე. კაცი კი არა, ეშმაკიც ვერაფერს გაიგებდა, მისი რეჟიმის დროს იმდენ თარიღს ზეიმობდნენ. წესიერად მაშინ ვერ ერკვეოდა და ახლა ხომ სულ აებნა თავგზა. დახმარებითაც არავინ ეხმარებოდა ამ მოზღვავებული ისტორიული თარიღების გარკვევაში. დროთა განმავლობაში ის დახვეულ-დაგრაგნილი ქაღალდებიც დაავიწყდა, ხვრელებში რომ ჩაურთავდა იმ იმედით, როდისმე გამომადგება

წარსულის გასახსენებლადო. ერთი-ორჯერ შემთხვევით წააწყდა, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გაიხსენა. ერთხელაც თაფლის სამალავში აღმოაჩინა ქალალდის ნაგლეჯი და დამარცვლით ამოიკითხა ნაწერი. შვიდ აპრილს დოქტორ მარკოს დე ლეონის დაბადების დღეა, სრულად ვეფხვი უნდა გავუგზავნო. ნაწერი ნამდვილად მისი იყო, მაგრამ ეს დოქტორი მარკოსი ვინ იყო, ვერაფრით გაიხსენა. როცა [illegible] ხეული გიმუხთლებს და გაგწირავს, ამაზე უფრო დამამცირებელი და იმავდროულად სამართლიანი არავითარი სხვა სასჯელი არ არსებობს ადამიანისთვის. ეს მან ჯერ კიდევ მაშინ გაიგო, კარგა ხნით ადრე, ვიდრე ხოსე იგნასიო საენს დე ლა ბარას დაუვიწყარი ხანა დადგებოდა, როცა ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე უცებ აღმოჩნდა, რომ თითქმის არავის იცნობს, არადა, იყო დრო, თავისი მწუხარების სამეფოს სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეს არათუ სახელითა და გვარით, სახეზეც სცნობდა. ახლა კი რა დღეში ჩავარდა. კარეტიდან ჭაბუკს მოპკრა თვალი ქუჩაში, ეცნო, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა ვინ იყო. პირად მცველებს უბრძანა, შეიპყარით და ციხეში მანამდე ამყოფეთ, სანამ არ გამახსენდება, საიდან მეცნობაო. საცოდავმა სოფლელმა ბიჭმა ოცდაორი წელიწადი გაატარა ციხეში და მთელი ეს ხანი იმ სიტყვებს იმეორებდა, რაც შეპყრობის დღესვე მოახსენა სასამართლოს და რაც სრულად ესადაგებოდა ჭეშმარიტებას. ჩემი გვარი და სახელია ბრაულიო ლინარეს მოსკოტე. მამაჩემი მარკოს ლინარესი სამდინარო გემის მეზღვაურია, დედაჩემი დელფინა მოსკოტე ვეფხვებზე დაგეშილი ძაღლების მომშენებელია. როსალ დელ ვირეიში ცხოვრობენ. დედაჩემმა გამომგზავნა დედაქალაქში მარტის სახალხო ზეიმზე ორი ლეკვის გასაყიდად. ნაქირავები ვირით ჩამოვედი. რაც მაცვია, სხვა ტანსაცმელი არცა მქონია და არცა მაქვს. ოთხშაბათ დღეს ბაზრის სასაუზმეში იაფფასიან ყავას ვსვამდი და თან ყველას ვეკითხებოდი, ვეფხვებზე დაგეშილი ლეკვები ხომ არ გინდათ-მეთქი, სწორედ ამ დროს ატყდა ერთი ამბავი, დოლების ბრაგუნი, საყვირების ჭყვიტინი, ცაში ფერად-ფერადი შუშხუნები გაუშვეს, აჩოჩქოლებული ხალხი აყვირდა, მოდის, კაცი მოდისო. მე ვიკითხე, ვინ კაცი მოდის-მეთქი, ვინაო და, ხელისუფალიო, მიპასუხეს. ბიჭმა ლეკვები მუყაოს ყუთში ჩასვა და ქალებს სთხოვა, ჩემ მოსვლამდე მიმიხედეთო. ვიღაცის ფანჯარაზე აძვრა, იქიდან კარგად ჩანდა კარეტაც და მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ცხენოსანთა ესკორტიც. კარეტის კარზე დრაკონი ეხატა, ფანჯრიდან გამოყოფილი ხელთათმნიანი ხელი ხალხს ესალმებოდა. ბიჭმა უფერული, ულიმილო, ბებრული ტუჩ-პირიც დაინახა და ნალვლიანი თვალებიც, რომლებმაც ბიჭი წამში გამოარჩიეს ამ ბრბოში. თითქოს თივაში ნემსი დაინახა და სწრაფად დასწვდა ასაღებადო, კარეტის ფანჯრიდან გამოყოფილი ხელის თითი მიაშვირა ბიჭისკენ. აი, ის ბიჭი, ფანჯარაზე რომ ამძვრალა, დაიჭირეთ და ციხეში ამყოფეთ მანამდე, სანამ არ გავიხსენებ, საიდან მეცნობაო. ერთი სიტყვით, ასე დამიჭირეს, დამიწყეს წამება, ხმლით მაძრობდნენ ტყავს, ნაკვერცხლებით მწვავდნენ, გამოტყდი ვინ ხარ, ჩვენს ხელისუფალს საიდან ეცნობიო. მაგრამ პორტის ციხე-სიმაგრის კოშმარულ საკანშიც ვერ გატეხეს ბიჭი, ვერ ათქმევინეს ტყუილი. ისეთი სიცხარით, ისეთი სიჯიუტით, ისეთი გამბედაობით იმეორებდა ერთი და იგი-

ვეს; ანუ სიმართლეს, რომ უმაღლესი ხელისუფალი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ელიარებინა შეცდომა, ელიარებინა, რომ საერთოდ არასოდეს ენახა ბრაულიო ლინარეს მოსკოტე, მაგრამ უკვე გვიან იყო. სხვა გზა არ არის, დატოვეთ საკანში, ის უკვე ჩვენი მტერია. მეხსიერებადაკარგული გენერალი აჩრდილთა საუფლოში დაბორიალობდა. ჩემი საუკეთესო წლების დედავ, ბენდისიონ ალვარადო, ისმინე მარტოსული კაცის ყვირილი, მიშველე რამე, კვლავ გადამაფარე შენი კალთა. ნეტავ რაში მჭირდებოდა ამდენი გამარჯვება, ამდენი საზეიმო თარიღი, ამდენი დიდება, თუ ვერ გავიხსენებდი თუნდაც ერთს მაინც გულის გასახარად და საამებლად, თუ ვერ მომგვრიდა სიმშვიდეს, თუ ვერ მომცემდა ძალას სიბერის ჭაობში ჩაფლულს. მისი ზეობისადროინდელი ცხოვრების ყველაზე უმწარესი თუ უბედნიერესი წუთები დავიწყების ჩაწყვდიადებულ ხვრელებში ჩანთქმულიყო, თუმცა ოდესღაც გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ დაგრაგნილი ქაღალდები შემოუნახავდა მას ამ წუთებს. განაჩენივით ჰქონდა გამოტანილი სამუდამოდ დავიწყებოდა, მაგალითად, ვინ იყო ფრანსისკა ლინერო, რომელიც ოთხმოცდათექვსმეტი წლისა მეფურად დაკრძალეს მისი ბრძანებით ერთ-ერთ ხვრელში შემთხვევით ნაპოვნ საკუთარი ხელით დაწერილ ქაღალდის თანახმად. მას თვალის ჩინი აკლდებოდა და იძულებული იყო ბრმად ემართა ქვეყანა. თერთმეტი წყვილი სათვალე ოდნავადაც ვერ შველოდა, მაგრამ მოსაჩვენებლად მაინც ხმარობდა. უჯრიდან ამოიღებდა რომელიმეს, ცხვირზე დაიდებდა და თანამოსაუბრესთან ისე ეჭირა თავი, თითქოს კარგად ხედავდა, სინამდვილეში ყველა მოსაუბრე მისთვის ლაქა იყო, ხმა ხომ არ ესმოდა და არ ესმოდა, კარგადაც ვერ ხედავდა და მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, ვინ იდგა მის წინ. დაუძლურებულსა და დაჩაჩანაკებულს სული სადაცაა ამოუვიდოდა. ერთხელ თავდაცვის მინისტრი ეახლა საქმეზე და მის დამნახავს კინაღამ გული გაუსკდა შიშით. არადა, ისეთი არაფერი მომხდარა. მხოლოდ დააცემინა და მინისტრმაც სიცოცხლე, ჩემო გენერალო, უთხრა. კიდევ დააცემინა, მინისტრმაც სიცოცხლეო, კიდევ უთხრა. მეცხრეჯერ რომ დააცემინა, ისე შემაშინა მისმა გამოთაყვანებულმა სახემ, გადმოკარკლულმა, აცრემლებულმა თვალებმა, რომლებიც შეუბრალებლად შემომცქეროდნენ აგონიის გაღმა ნაპირიდან, რომ აღარ ვუთხარი სიცოცხლე-მეთქი. დავინახე, როგორ გადმოაგდო ენა გადაღეღუებული ნადირივით. მაშინვე გამიელვა თავში, დროზე თუ არ გავასწარი აქედან, შეიძლება ხელში ჩამაკვდეს, მარტო ვარ, მოწმე არავინა მყავს და ვინ დამიჯერებს რომ უდანაშაულო ვარ ამ საქმეში-მეთქი. ის იყო შურდულივით უნდა გავვარდნილიყავი ოთახიდან, რომ უცებ, ვიდრე კიდევ დააცემინებდა, დაიყვირა, ნუ გეშინიათ, ბრიგადის გენერალო როსენდო საკრისტან, დამშვიდდით, ეშმაკმა წაგიღოთ, არც ისეთი ბრიყვი ვარ, თქვენი თანდასწრებით მოვკვდე. თავდაცვის მინისტრი გაშეშდა. მან კი იმდენი აცემინა ამის მერეც, რომ ცოტაც და მართლა გააფრთხობდა სულს. ნაპერწკლები შუადღის ციცინათელებივით უხტოდნენ თვალწინ. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, გაუძლო. დედამისმა, ბენდისიონ ალვარადომ გააძლებინა, დედა ნებას არ დართავდა შვილს, სამარცხვინოდ მომკვდარიყო ცემინებისაგან, თანაც ხელქვეითის თანდასწრებით. ეგღა აკლია.

ასეთ სირცხვილს სიკვდილი ურჩევნია. სწორედ ამ შემთხვევის მერე განაცხადა, მიჯობს ძროხებში ვიცხოვრო, ვინემ ისეთ ხალხში, ვისაც დიდ უბედურებად სულაც არ მიაჩნია ულირსი სიკვდილი. შეწყვიტა პაპის ნუნცის მიპატიჟება სასახლეში და მასთან დაუსრულებელი კამათი ღმერთზე. ასეთი შეხვედრებისას იძულებული იყო ცხელი შოკოლადი კოვზით დაელია ბავშვივით, ეს კი ნუნცის თვალს ნამდვილად არ ეამოეპარებოდა. აღარც დომინოს თამაშობდა, არ მინდა სიბრალულის გამო გამამარჯვებინოს ვინმემო, აღარც არავის ნახვა სურდა, აქაოდა, არავის დაენახა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, როგორ დაათრევდა თავის ბრტყელტერფა ფეხებს. თუმცა ასე დადიოდა იგი მთელი ცხოვრება და დასამალიც არაფერი ჰქონდა. აი, წლებს კი ვერაფერს უხერხებდა, რცხვენოდა ამ ხნისა რომ იყო. გრძნობდა, ყოფილი დიქტატორების დარად ადრე თუ გვიან მასაც არ ასცდებოდა უფსკრულივით პირდაღებული გარდუვალობა—თავშესაფარი კლდეზე. გასაცოდავებული დიქტატორები კლდის თავზე გამომწყვდეულ ტყვეებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე იმ ადამიანებს, ვისაც პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს. კლდეზეც იმიტომ გამოამწყვდიეს, ქვეყანას არ მოსდებოდა ულირსობის ჭირი. საკუთარი უძლურების ეს ამაზრზენი შეგრძნება მას იმ ავად მოსაგონარ დილას დაეუფლა, როცა მარტოდ დარჩენილს ჩაეძინა სამკურნალო წყლით სავსე აუზში. შენ დამესიზმრე, დედა, ვითომ შენ ჩაუდგი სული იმ ჭრიჭინობელებს, ზედ თავზე რომ დამჭრიჭინებდნენ აყვავებული ნუშის ტოტებიდან. ვითომ შენი ფუნჯით შეაფერადე მოლაღურების ჭიკჭიკიც, მაგრამ უცებ უძლური რისხვით შეპყრობილი გამომაღვიძა საკუთარი ნაწლავებიდან გადმომსკდარმა სიბინძურემ ჩემი სირცხვილისა და თავისმოჭრის წყალში, რომლის ზედაპირზეც ტივტივებდნენ ლოტოსისა და ბალბის სურნელოვანი ფურცლები და ფორთოხლის ხიდან ჩამოცვენილი ნორჩი კვირტები. ეტყობა, რაღაც უჩვეულო იგრძნეს, რამდენიმე ზღვის კუ ცოცხლად გაცურდა გენერლის ოქროსფერი კურკლებისაკენ. რა საშინელებაა, დედა. მაგრამ მას ეყო ძალა, გადაეტანა თავისი სხეულის არა მარტო ეს სამარცხვინო გამოხდომა, არამედ სხვაც ბევრი უსიამო წუთი. ბეხრეკი კაცის შერცხვენას ზედმეტი მოწმე რომ არ ჰყოლოდა, მსახურები შეამცირა. ამიერიდან ველარავინ დაინახავს მას სველი პირსახოცით თავწაკრულსა და უაზროდ მობორიალეს. ველარავინ დაინახავს ლამის ყველა კედელთან სასოწარკვეთისგან აკვნესებულს, ძროხის კრაზანების შემოსევით გულგაწყალებულს, აუტანელი თავის ტკივილისგან ლამის გაგიჟებამდე მისულს. თავის გასაჭირზე ერთხელაც არ დაუჩივლია ექიმთან, რადგან მშვენივრად იცოდა, ყველა უსიამოვნება სიბერისგან სჭირდა. ნამდვილ ატკივებამდე ჯერ ტკივილის წინათგრძობა იპყრობდა. საავდრო ღრუბლის გამოჩენამდე ცას რომ ჭექა-ქუხილი გადაუვლის კიდით-კიდემდე, ელვაც გაკვესავს და მხოლოდ ამის მერე გავარდება მეხი, ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობით უახლოვდებოდა მას ტკივილი უზარმაზარი ქვების გრუხუნით და მაშინ ისღა რჩებოდა, ბრძანება გაეცა, არავინ შემაწუხოსო. ტკივილი საფეთქლებს უტევდა და ისიც ყვირილს იწყებდა, სასახლეში არავინ შემოუშვათ, ვინც არ უნდა იყოს, რაც არ უნდა მოხდესო, ხოლო როცა თავში რკინის ტურ-

ნიკეტი იწყებდა ტრიალს, ყვირილით იკლებდა იქაურობას, მამაზეციერიც რომ ჩამოვიდეს თავის ფეხით, ისიც არ შემოუშვათ, რომც მოვკვდე, არავინ შემოუშვათო. ტკივილი ულმობლად უტევდა, წამითაც არ აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას, ძალა აღარ შესწევდა საკუთარ უსაზღვრო სასოწარკვეთილებას შებრძოლებოდა. [illegible] კი დალოცვილი წვიმა წამოვიდოდა, ტკივილი მაშინვე [illegible] და ჩვენც თავისთან გვეძახდა. საოცრად გარდაქმნილი გვხვდებოდა, თითქოს ხელმეორედ დაიბადაო. იჯდა ხოლმე ხმაჩაწეული ტელევიზორის წინ პატარა მაგიდასთან და ფილმს უყურებდა. ჩვენც მიგვქონდა შემწვარი ხორცი ლობიოთი, გახეხილი ქოქოსი, შემწვარი ბანანი. მეტისმეტად შეუფერებელი იყო ამ ასაკის კაცისთვის ასეთი ვახშამი, მაგრამ მერე და მერე გაირკვა, ვახშამს თურმე პირს არ აკარებდა. ერთ ლამის წარღვნამდელ ფილმს უჩვენებდნენ ტელევიზორში, თანაც ხელახლა და თანაც საგანგებოდ მისთვის გამოყოფილ არხზე. ჰოდა, ეტყობა, სიჩქარეში ფირი ვერ დაახვიეს წესიერად თუ რა იყო, თავდაყირა დატრიალდა, ამით კი თითქოს ვილაცამ საგანგებოდ მიანიშნა, სახელმწიფოში ყველაფერი რიგზე ვერ არისო. მთავრობა აშკარად უმალავდა რაღაცას. ნეტავ რა ოხრობა ჭირთ, ბუტბუტებდა ის და მაშინვე თვითონ იმშვიდებდა თავს, არაფერსაც არ მიმალავენ, ცუდ ამბავს მალე შევიტყობდიო. საათმა რვაჯერ რომ ჩამოკრა, ადგა და როგორც ყოველთვის ახლაც ჩაუშვა უნიტაზში გაქონილი საჭმელი. კაციშვილმა არ უნდა იცოდეს, თავისმოსაჭრელად კუჭი რომ უკან უბრუნებს საჭმელს. დაე ხალხს ისეთი ვახსოვდე, იმ ბედნიერ დღეთა ლეგენდებში რომ მხატავდნენ და მადიდებდნენო. მხოლოდ ეს ფიქრებიღა უმსუბუქებდა ცხოვრებას, ეხმარებოდა განეგდო ზიზღი საკუთარი თავის მიმართ. ყოველთვის, როცა კი მისი მოჩვარული შიგნეული კვლავ, და კვლავ ანთხევდა სიბინძურეს, იგი ვერ ეგუებოდა იმ მტანჯველ აზრს, რომ დაძაბუნდა და არაფრის თავი აღარ ჰქონდა. მისდა სამარცხვინოდ, ფეხსალაგის კედლებზე თვითონ ჩხაპნიდა, გაუმარჯოს გენერალს, გაუმარჯოს მაჩოს. ექიმბაშის წამალი მალულად რომ დალია, ერთბაშად სამ ქალთან, თითოეულთან სამ-სამჯერ მოუნდა სიყვარულობანა, მაგრამ მწარედ ინანა, ამ ხნის კაცი რამ ამაცუნდრუკა, ექიმბაშს როგორ დავუჯერეო. რა გულუბრყვილოა, თავი მოეჭრა, იჯდა ფეხსალაგში წყლის ჩამრეცხის ზონარს ჩაჭიდებული და ტიროდა, ჩემო დედიკო, ბენდისიონ ალვარადო, ზიზღის ღირსი ვარ, განმბანე შენს ცეცხლოვან წყალში. მხოლოდ ბერიკაცმა იცოდა, რატომ დაშვრა ამდენჯერ ამაოდ, რატომ ვერ მიიყვანა ბოლომდე საქმე, რატომ შეირცხვინა ქალებთან თავი. მშვენივრად იცოდა, რომ ასეთ წუთებში, ლოგინში, მამაკაცური ძლიერება კი არა, სიყვარული აკლდა მუდამ. მაინც სად პოულობდა მისი მეგობარი პრემიერ-მინისტრი ასეთ უგრძნობელ, ცივ ქალებს. ძალით მაჩეჩებდა, ხომ არ უნდა დაივიწყოთ ეს სასიამოვნო საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ ქალთა სასწავლებელი დახურესო. აი, ეს ხორციანი, უძვლო დიაცები თქვენთვის შევარჩიეთ, ჩემო გენერალო, თვითმფრინავით ჩამოვიყვანეთ პირდაპირ ამსტერდამულ ვიტრინებიდან, ბუდაპეშტის კინოფესტივალიდან, იტალიის ზღვისპირეთიდან. ნახეთ, ჩემო გენერალო, თქვენ მხოლოდ ნახეთ, რა საოც-

რები არიან, რა ლამაზები. ჰოდა, ეს ლამაზი ქალებიც მორცხვი სიმ-
ღერის მასწავლებლებივით ხვდებოდნენ ნახევრად ჩაბნელებულ კაბი-
ნეტში, მსახიობებივით შიშვლდებოდნენ, ტანზე აჩნდათ საბანაო კოს-
ტუმების ხაზები, ასდიოდათ მენთოლის კბილის პასტისა და ყვავილო-
ვანი ლოსიონების სუნი. ხავერდგადაკრულ დივანზე გვერდით უწვებო-
დნენ რკინა-ბეტონის უზარმაზარ ხარს, რომელსაც არა და არ სურდა
სამხედრო ტანსაცმლის გაძრობა. რა არ ვიღონე, რა არ ვეცადე, მაგ-
რამ ვერაფრით ვერ ავამოძრავე, ჩიოდა ერთი ქალი. ამ ლამაზმა, მაგ-
რამ თევზივით უსისხლო ქალმა გული გამიწყალა, ვუთხარი, წადი,
შვილო, თავი დამანებე, შენი ადგილი მონასტერშია-მეთქი. ბერიკაცს
ტანჯავდა თავისი უმაქნისობა, მაგრამ ერთ საღამოს, საათმა რვაჯერ
რომ ჩამოჰკრა, სამრეცხაოში სრულიად შემთხვევით გადააწყდა ჯარის-
კაცების საცვლების მრეცხავ ქალს და თათის ერთი დაკვრით დასცა
კიდეც ვარცლზე. ქალი გაუძალიანდა, კაცის ხელებიდან დასხლტომას
ლამობდა, დღეს არ შემიძლია, გენერალო, ვამპირი მყავს სტუმრადო,
მაგრამ მან აინუნშიც არ ჩააგდო ქალის სიტყვები. წაკუზა, სარეცხ
დაფაზე დაამხო პირქვე და უკნიდან ისეთი ბიბლიური ძალით ატაკა,
რომ საბრალო ქალმა სული კინაღამ გააცხო, ცხადად იგრძნო სიკვდი-
ლმა როგორ აუტკაცუნა ძვლები. ნამდვილი მხეცი ხართ, გენერალო,
ეტყობა, ვირთან გაქვთ ნასწავლი ეს საქმე, ძლივს ამოიკვნესა მან.
ბერიკაცის გულს ეს კვნესა უფრო მოეფონა, ვიდრე თავისი გაიძვერა
მლიქვნელების დითირამბები. მადლიერებით აღსავსე ბერიკაცმა მრეცხავ ქალს სამუდამო პენსია დაუნიშნა შვილების აღსაზრდელად. რა ხანია არ უმღერია, კვლავ აუმღერდა გული. ძროხებს თივას უყრიდა ბაგაში და მღეროდა, იანვრის საავსე მთვარევ. სიკვდილზე არ ფიქრობდა. დარწმუნებით იცოდა, სიცოცხლის უკანასკნელ ღამესაც კი არ მისცემდა თავს უფლებას შეშინებულს მაინცდამაინც ცუდზე ეფიქრა. ძროხები ორჯერ გადათვალა სიმღერა-სიმღერით, უკუნეთში ბილიკს მინათებ, შენ ვარსკვლავი ხარ ჩემი. ოთხი ძროხა აკლდა. სასახლისკენ გასწია. ახლა იქ გადათვალა ვიცე-მეფეთა ტანსაცმლის საკიდებზე მთვლემარე ქათმები, გადათვალა გალიები, შავი ნაჭერი გადააფარა ორმოცდარვავე გალიას და დერეფნიდან მოყოლებული სააუდიენციო დარბაზამდე ცეცხლი წაუკიდა იატაკზე ახლად დატყეპილსა თუ უკვე გამხმარ ნაკელს. დამწვრის სუნმა და კვამლმა კვლავ ბავშვობა გაახსენა, გაახსენა პატარა ბიჭი. ზეგანის ყინულივით ქარი ძვალსა და რბილში ატანდა, ბიჭი ძაგძაგებდა. დედამისმა ბენდისიონ ალვარადომ საბანაგვეზე სვავებს პირდაპირ ნისკარტიდან აართვა ცხვრის შიგნეული და მშიერსა და გაყინულ შვილს მიურბენინა. საათმა თერთმეტჯერ რომ ჩამოჰკრა, ოთახები ჩამოიარა და შუქი ყველგან ჩააქრო. კიდევ ერთხელ შემოიარა ოთახები ახლა უკვე ანთებული ლამპით ხელში. სასტუმრო დარბაზის თოთხმეტ დაბურულ სარკეში გათოთხმეტებული ერთი გენერალი დაინახა ანთებული ფარნით ხელში, სამაგიეროდ, საკონცერტო დარბაზის დიდი სარკის სილრმეში იატაკზე დაგდებულ ძროხას აეშვირა ფეხები და დაუძახა, ძროხა, ძროხა, ძროხა. ძროხა მკვდარი იყო. ჯანდაბას მაგისი თავი. დაცვის ბიჭების სამორიგეოსკენ გაფლატუნდა, გავაფრთხილებ, სარკეში მკვდარი ძროხა დავინახე და დილამდე

თუ არ გაათრევთ აქედან, იცოდეთ, სვავები დაგვესევიან-თქო. გასცა კიდეც ეს ბრძანება და ლამპით ხელში პირველ სართულზე ჩავიდა დანარჩენი სამი ძროხის საძებნელად. ეძებდა ყველგან, ფეხსაცმელებში, მაგიდების ქვეშ, სარკეების უკან, მეორე სართულის ოთახებშიც, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ ერთ კრუხს წააწყდა, არხეინად იჯდა [illegible] ფერი მაქმანით გაწყობილ ბალდახინის ქვეშ, უსსოვარი [illegible] ყოფილი მონაზონი ქალის საწოლზე. სახელი აღარ ახსოვს ამ ქალისა. ძილის წინ ერთი კოვზი თაფლი გადაყლაპა და როცა ქილას კვლავ სამალავში დგამდა, მაშინლა წააწყდა დაგრაგნილ ქაღალდს. ჩანაწერი იუწყებოდა სახელგანთქმული პოეტის რუბენ დარიოს — ვისაც ღმერთმა გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა სასუფეველსა თვისსა შინა—რომელიღაც წლისთავის თაობაზე. ბერიკაცმა ვერაფერი გაუგო ნაწერს, ქაღალდი დაგრაგნა და კვლავ თავის ადგილზე შეჩურთა. მერე ლოცვა წამოიწყო, სასწაულმოქმედო მეუფეო ცისა, შენ, ვისაც ხელგეწიფება შეაჩერო ცაში აეროპლანები, ზღვაში ხომალდები... და ასე ლოცვა-ლოცვით გააბოტა გზააბნეული, უძილობით გატანჯული სპილოს ვეება ფეხებით. დროდადრო მოძრავი შუქურას მწვანე სხივი ეცემოდა სახეზე, ესმოდა ქარის ტირილი გაყიდულ ზღვაზე, საქორწილო მუსიკის ხმები დაბინდულ შორეთიდან. მგონი, ამ ქორწილზე გადავურჩი სიკვდილს ბეწვზე, ზურგში დანის ჩაცემას მიპირებდნენ. ფიქრებში გართული კვლავ ძროხას გადააწყდა, ძროხა, ძროხა, წადი აქედან. თავის საძინებელი ოთახისკენ გაეშურა, გზად ფანჯრებიდან შემოჭრილმა უზღვო ქალაქის სინათლეებმა მოჭრა თვალი. მის ყნოსვას მისწვდა ქალაქის შიგნეულის იდუმალი ცხელი ოხშივარი, თანაბარი სუნთქვა, ქალაქს ოცდასამჯერ ისე გახედა, ფანჯრებთან არ შეჩერებულა. როგორც ყოველთვის, არც ახლა ჩაუგდია რამედ ამ უკიდეგანო და მისთვის ამოუცნობი ოკეანის, ანუ ხალხის სული, ხალხისა, რომელსაც ალბათ მკერდზე ხელდადებულს ეძინა ახლა, და უცებ მიხვდა, პირველად მიხვდა, როგორ სძულდა იგი ხალხს. არადა, ვითომ უყვარდათ, წმინდანივით უნთებდნენ სანთლებს, მისტიკური რწმენით შეპყრობილნი წარმოთქვამდნენ მის სახელს მშობიარე ქალებიც და მომაკვდავნიც. სამაგიეროდ, წყევლით იხსენიებდნენ დედამისს, ვინც კარგა ხანია მტვრად ქცეულიყო აკლდამაში. წყევლიდნენ თავიანთი გენერლის ნაღვლიანი თვალებისა და ქალურად ნაზი ხელის გამო. ეს ხელი შორეულ წარსულში ბევრჯერ დაუნახავთ სომნამბულური ლიმუზინის ტყვიაგაუმტარ მინის მიღმა. მისი ჩექმის ნაკვალევს ვკოცნიდით ტალახში, თან წყევლა-კრულვასაც მივაყოლებდით. არავის ვუყვარვართ, დედა, ამოიხვნეშა მან, როცა ჩიტების გაფერადებაში დახელოვნებული ქალის, დედამისის, ბენდისიონ ალვარადოს, — ვინც კარგა ხანია მტვრად ქცეულიყო აკლდამაში, — საძინებელ ოთახში შეიხედა. მშვიდ სიკვდილს გისურვებ, დედა, თქვა მან. მშვიდ სიკვდილს გისურვებ, შვილო, აკლდამიდან გამოსძახა დედამ. ზუსტად თორმეტ საათზე, როცა ფარანს ჰკიდებდა კაუჭზე თავის საძინებლის კართან, თიაქარის ტკივილმა ისეთი ძალით შეუტია, რომ თავად თიაქარმა ამოუშვა სასიკვდილო სტვენა. მთელ ქვეყანაზე ალბათ არაფერი იყო ამ ტკივილზე უფრო ყოვლისმომცველი. უკანასკნელად ჩაკეტა კარი სამ გასაღებზე, სამ ურდულზე და სამ

ჯაჭვზე. უკანასკნელად გააწევინა სამსახური პორტატულ უნიტაზს, მერე კი ტანგაუხდელი დაასკდა შიშველ იატაკს. ეს უხეში ქსოვილის შარვალი მას შემდეგ არ გაუხდია, რაც უარი თქვა საზეიმო მიღებებზე. ზოლიანი უსაყელო პერანგი და სამკურნალო ფლოსტები ეცვა, ხელის გულები ბალიშივით მოიმარჯვა, სახე შიგ ჩარგო და მაშინვე ჩაეძინა. სამის ათ წუთზე თავდამძიმებულსა და მთლად ოფლად გაღვრილს გამოეღვიძა, ტანსაცმელი გასაწური ჰქონდა. ასე სჩვეოდა ციკლონის მოვარდნამდე რამდენიმე დღით ადრე. ვინ არის, იკითხა შემკრთალმა, რადგან ძილში აშკარად ჩაესმა, ვიღაც ეძახდა სახელით, რომელიც მისი არ იყო. ნიკანორ, მეორედაც, ნიკანორ. ამ ვიღაცას, ეტყობა, შეუძლია მის ოთახში ისე შევიდეს და გამოვიდეს, საკეტებს ხელი არ ახლოს, პირდაპირ კედლიდან. ბერიკაცმა სიკვდილი დაინახა. ეს თქვენი სიკვდილი იყო, ჩემო გენერალო, მონანიე ცოდვილი კაცის მოსასხამში გახვეული და თავმოკაუჭებული კომბლით ხელში. თავის ქალაზე საფლავის ბალახი შემოვლებოდა, ძვლებს შორის მიწისქვეშა ყვავილებს ამოეყოთ თავი, უძველესი თვალების ფოსოებში გაოცება ჩაბუდებოდა, ცხვირის ადგილას ორი პატარა ხვრელი ჩანდა შავად. როცა გენერალმა თავის წინ მთელი ტანით აღმართული სიკვდილი იხილა, მხოლოდ მაშინღა მიხვდა, რატომ ეძახდა ნიკანორ, ნიკანორო.[1] ამ სახელით ხომ სიკვდილი იმას უხმობს, ვისი სულის წარტაცება აქვს ჩაფიქრებული. მაგრამ ბებერი გენერალი არ გატყდა, ჩემი დრო ჯერ არ დამდგარა, სიკვდილო, მე ძილში მოვკვდები ჩემს ჩამრუმებულ კაბინეტში. ოდესღაც, უხსოვარ დროში, ასე მიწინასწარმეტყველა ერთმა უსინათლო მკითხავმა ქალმა, რომელმაც პირველქმნილ წყალში დაინახა ჩემი სიკვდილი. არა, გენერალო, უპასუხა სიკვდილმა, თქვენ ახლა მოკვდებით, სწორედ აქ მოკვდებით ფეხშიშველი, აი ასე, ბოგანოსავით ჩაცმული, თუმცა ვინც თქვენს გვამს პირველი იპოვის, ის უსათუოდ ეცდება ყველა დაარწმუნოს, რომ სწორედ კაბინეტში გიპოვათ მკვდარი, რომ სამხედრო უნიშნო უნიფორმა გეცვათ, და მარცხენა ჩექმაზე ოქროს დეზი გიბრჭყვიალებდათ. ხალხის ამბავი ხომ იცით, ყველაფერს მოიგონებს, ოღონდ კი ლეგენდა არ გაქრეს, ოღონდ ადამიანებმა წინასწარჭვრეტის მიმართ რწმენა არ დაკარგონ. ის მართლა ისე მოკვდა, როგორც სიკვდილმა მიახალა პირში, მოკვდა მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებად სურდა სიკვდილი, როცა ამდენი წლის უნაყოფო ილუზიებისა და თავის მოტყუების შემდეგ ნელ-ნელა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი კი არ ცხოვრობს, არამედ არსებობს, შეიძლება დიდხანს იცოცხლო, მაგრამ მხოლოდ ბოლოში მიხვდე ცხოვრების არსს და შეიძლება ვერც მიხვდე მიუხედავად წელთა სიმრავლისა. ის მოკვდა მაშინ, როცა მიხვდა თავისი ცხოვრების უნაყოფობის მიზეზს. ოდესღაც, გზის დასაწყისში მან დაიჯერა, რომ სიყვარული არ შეუძლია, აკი უხაზო ხელის გულის ენიგმა და მკითხავის კარტიც ამას ადასტურებდა. მან ხორციელი სიყვარული ძალაუფლების სიყვა-

---

**1 ნიკანორი (ბერძნ.) — გამარჯვების მხილველი. აქ: სიკვდილის გამარჯვება, ყოვლისმძლეობა.**

რულზე გაცვალა. ძალაუფლების სიყვარულის დემონს თავს ევლებოდა, ყველაფერს მას სწირავდა, თავის ნებით გახდა ძალაუფლების მსხვერპლი და მთელი ცხოვრება ნელ ცეცხლზე იწვოდა შეწირულ ზვარაკივით. სისასტიკესა და უზნეობაზე აღმოცენებულმა საკუთარი თავი სიცრუითა და დანაშაულით გამოკვება, მან სძლია თავის ერთგულ სიხარბესა და თანდაყოლილ სიმხდალეს, რათა ქვეყნიერების აღსასრულამდე მუშტად შეკრული ხელიდან არ გავარდნოდა თავისი შუშის ბურთულა. ვერ ხვდებოდა, რომ ძალაუფლების წყურვილი უფრო მეტად ულვიძებდა ძალაუფლების წყურვილს, რომ ძალაუფლებით ბოლომდე ტკბობა შეუძლებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნიერების აღსასრულამდე, არამედ სხვა სამყაროთა აღსასრულამდეც. ერთი რამ კი ნამდვილად იცოდა, სწორედ ისინი ატყუებდნენ, ვისაც მისი გულის მოგება სურდა. იცოდა, კუდის ქიცინში ფულს რომ იღებდნენ ფარისევლები, იცოდა, ხალხს იარაღის მუქარით რომ ერეკებოდნენ ქუჩებში, რათა მას ხარ-ზეიმითა და სასურველი შეძახილებით შეხვედროდნენ. ეს ყველაფერი იცოდა, მაგრამ ვერ შეებრძოლა, არჩია, ამ სიცრუით, ამ ყალბი დიდებით ეცხოვრა. აკი არაერთხელ დარწმუნდა, რომ სიცრუე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ეჭვი, უფრო სახეირო, ვიდრე სიყვარული და უფრო ხანგამძლე, ვიდრე სიმართლე. ამქვეყნად სხვა რა უნდა გაჰკვირებოდა ამაზე მეტად, თავისი ძალაუფლების ფიქციას მოესწრო. ბრძანებებს იძლეოდა, მორჩილებით კი აღარავინ ემორჩილებოდა, ადიდებდნენ, დიდება კი თვალსა და ხელს შუა გაქრობოდა, ერთი-ორიღა ქვეშევრდომი შემორჩენოდა და ისინიც არაფრად აგდებდნენ. ძალიან გვიან, მხოლოდ თავისი შემოდგომის ფოთოლცვენისას მიხვდა, რომ აღარასოდეს იქნებოდა თავისი ძალაუფლების სრული მპყრობელი, და მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ცხოვრება მაინც შეუცნობელი რჩებოდა ბოლომდე, რამეთუ ბედად ეწერა მისთვის მხოლოდ უკულმა პირიდან, ნაკერების მხრიდან ეცქირა, მხოლოდ ილუზორული, მოჩვენებითი რეალობის გობელენის ძაფების დარღვევასა და კვანძების გახსნაზე ეფიქრა. ეჭვადაც არასოდეს გაუვლია და არც სიცოცხლის მიმწუხრს მიმხვდარა, რომ ნამდვილი ცხოვრება ის არის, რომელსაც ყველა ხედავს, ის არის, რომელსაც ჩვენ ვხედავდით სხვა მხრიდან. ეს მხარე თქვენი არ იყო, ჩემო გენერალო, ეს მხარე უპოვართა მხარე იყო. ჩვენ ცხოვრებას ვხედავდით მრავალთა წელთა ტანჯვა-ვაების სიღრმიდან, ვხედავდით თქვენს უსასრულოდ გაგრძელებულ შემოდგომის ფოთოლცვენას, რომლის მიუხედავადაც ჩვენ მაინც ცოცხლები გვეთქმოდა. ჩვენი უბედურება უბედურება იყო, ბედნიერების წამიერი გაელვება კი ბედნიერება. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი სიყვარული სიკვდილის ვირუსით იყო დასნეულებული, მაგრამ სამაგიეროდ ნაღდი იყო, ჩემო გენერალო. ის სინათლეს ჰმატებდა იმ ცხოვრებას, რომელშიც თქვენ ვაგონის მტვრიან ფანჯარაში წამიერად გაელვებულ მოჩვენებას წარმოადგენდით თქვენი საცოდავად მზირალი თვალებით, მოცახცახე უფერული ტუჩებითა და გამომშვიდობების ნიშნად აფარფატებულ აბრეშუმის ხელთათმნიანი ხელით. ამ ხელის გულს ბედის ხაზი არ აჩნდა და ისედაც, ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ, ბოლოს და ბოლოს ვინ იყო იგი სინამდვილეში. იქნებ სულაც ჩვენი წარმოსახვის

ნაყოფი იყო ეს უსულგულო ტირანი, რომელმაც ვერა და ვერ გაიგო, ად იყო წალმა და სად უკულმა პირი იმ ცხოვრებისა, რომელიც ისე ძალიან გვიყვარს, ისე გვეძვირფასება, რომ მას ალბათ გაუჭირდება ამ-ის გაგება. მას სომ ზაფრავდა ის, რაც ჩვენ მშვენივრად ვიცოდით. მართალია, ცხოვრება რთული და ხანმოკლეა, მაგრამ სხვაგვარი არც არსებობს, ჩემო გენერალო. ჩვენ არ გვეშინოდა ამ ერთადერთი ნამდ-ვილი ცხოვრებისა, ჩვენ ვიცოდით, ვინც ვიყავით, მან კი ვერც ის, გაიგო, თავად ვინ იყო და ვერც ის, ჩვენ ვინ ვიყავით. ეს უბადრუკი ბერიკაცი, მთელი ცხოვრება რომ თავის მსტვენავ თიაქარს დაათრევდა, საბედისწერო, დაუპატიჟებელმა სტუმარმა ერთი დარტყმით მოცელა და ძირიან-ფესვიანად გამოგლიჯა ხელიდან სიცოცხლეს. თავისი შემო-დგომის უკანასკნელი დამჭკნარი ფოთლების შრიალით გაემართა იგი მოუსავლეთისკენ, ჩალუსკუმებულ დავიწყებისკენ. შეშინებული ჩაბ-ღაუჭებოდა სიკვდილის ნავის დაძონძილ იალქანს, სიცოცხლის ნიშატი აღარ ეტყობოდა, მის ყურთასმენასაც აღარ სწვდებოდა ქუჩებში გამო-ფენილი ხალხის აუწერელი სიხარულის ჟრიამული, საზეიმო დაფდაფე-ბის ხმა, ფერად-ფერადი ფეიერვერკის ტკაცატკუცი. აღარ ესმოდა ზა-რების ამაღლებული, ზარზეიმური გუგუნი, რომელიც ხალხსა და მთელ ქვეყანას ამცნობდა, რომ, უსასრულო დრო როგორც იქნა, დასრულდა.

# გერმანული პოეზია

**გერმანულიდან**

**თარგმნა მანანა ეგანოიძემ**

## იოჰან ვოლფგანგ გოეთე

### ექსპრომტი

მარტოოდენ წყალი ამუნჯებსო, —
დაგვემოწმება თევზი.
მარტოოდენ ღვინო აგიქებსო, —
შეხეთ ამ ბატონებს თქვენს
გვერდით...

სწორედ ამიტომ ვურევ
ღვინოს წყალს,
არ მსურს გავგიჟდე
და არც დავმუნჯდე!

### მოგზაურის ღამის სიმღერა

ყველა მწვერვალი გარინდებულა,
ხის კენწეროზეც სიჩუმე სუფევს,
ტყეში ჩიტუნაც დადუმებულა,
ამ მყუდროებას აღარც ის არღვევს.
კიდევ ცოტაც... და ეს ნეტარება
მალე შენს გულშიც დაისადგურებს.

### გამონათქვამები

თავისუფლებას დედამიწაზე
სიყვარული თესს,
გარჯა-ნაღვაწით ხდება იგი დიდი
და ვრცელი.

თუ გული გიჩქროლავს
და თავბრუ გეხვევა,
ამაზე კარგი რაღა შეგემთხვევა,
თუ აღარ გიყვარს და აღარც ცდები,
წუთისოფელსაც მალე გასცდები.

დროს რა ამოკლებს?
ღწვა და ქმედება.
გაუსაძლისს ხდის უმოქმედობა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ᲰᲐᲘᲜᲠᲘᲮ ᲰᲐᲘᲜᲔ

* * *

ო, როგორ მინდა, ავიდე მთებზე,
სადაც ნაძვები ცას თავს უხრიან,
ძირს ნაკადული რომ მოჩუხჩუხებს,
მალლა ამაყი ღრუბელნი ქრიან.

და აშოლტილი ნაძვის ტოტებზე
ლაღი ფრინველნი ტკბილად
მღერიან.

## რად ალარა აქვს ვარდს თავის ფერი?

რად ალარა აქვს ვარდს თავის ფერი,
ო, საყვარელო, მითხარი, რად?
ან მოხასხასე მწვანე ბალახში
რად არის ია ასე მკრთალი, რად?

ან თვით მე რად ვარ
მოწყენილი, და სევდიანი,
ო, საყვარელო, მითხარი, რად?
მითხარი, ჩემო სულის მეუფევ,
რად მიმატოვე, რად?

# პაულო კოელიო

## ალქიმიკოსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

●

**ბროლის** ვაჭარი კარგა ხანს უმზერდა, როგორ დგებოდა ახალი დღე და ჩვეულ სევდასა გრძნობდა, რომელი სევდაც დილდილაობით გულს უკუმშავდა ხოლმე. უკვე ოცდაათი წელიწადი იყო, რაც აქ, ციცაბო შესახვევის კუთხეში, შეჰფარებოდა თავის მომცრო ქულბაქს, სადაც იშვიათად თუ შეივლიდა მყიდველი. ბევრიც რომ მოენდომებინა, აწ ველარაფერს შეცვლიდა თავის ცხოვრებაში. ბროლით ვაჭრობის მეტი არცრა იცოდა ქვეყანაზე. ერთ დროს კი თვლა არა ჰქონდა ფულიან მუშტარს, შედიოდნენ და გადიოდნენ არაბი სოვდაგრები, ინგლისელი და ფრანგი გეოლოგები, გერმანელი ჯარისკაცები. იმხანად ბროლით ვაჭრობა ფრიად სარფიანი საქმე იყო, ისიც იდგა და ოცნებობდა, ერთხელაც იქნება, გავმდიდრდები და სიბერეს ლამაზი ცოლები დამიმშვენებენ და გამითბობენო.

მაგრამ დრონი იცვალნენ, და ჟამთა ცვლის თაობაზე ქალაქიც გამოიცვალა. ტანჟერის გვერდით მდებარე სუეტა უფრო სწრაფად შლიდა ფრთებს, და მალე მთელმა ვაჭრობამ იქ გადაინაცვლა. ვინც კი მეზობელი მოვაჭრე იყო, სუყველა წავიდ-წამოვიდა, დამრეც ფერდობს მხოლოდ რამდენიმე ფარდულიღა შემორჩა, და არცვის სურდა ალმართის ავლა, რათა იმ რომელიმე ქულბაქში შეეხედა.

მაგრამ ბროლის ვაჭარს არცრა არჩევანი დარჩენოდა. მთელი ოცდაათი წელიწადი ის მხოლოდ ერთ საქმეს იყო თავგადაკლული, ბროლს ყიდდა და ყიდულობდა, აწ ცხოვრების გამოცვლა უკვე აღარ ეგებოდა.

მთელი დილა იშვიათ გამვლელ-გამომვლელთ ადევნებდა თვალყურს, ამ თვალყურის დევნებაში ისე გაწაფულიყო, სულ ზეპირად იცოდა სუყველას დღის წესრიგი, ვინც კი იქ გამოჩნდებოდა, მაგრამ სადილობამდე რამდენიმე წუთით ადრე ბროლის ქულბაქის ვიტრინასთან ვიღაც უცხოელი ახალგაზრდა შეჩერდა. რიგიანადაც ეცვა და კოხტადაც გამოიყურებოდა, თუმცა მუშტრის ცნობაში თვალგატეხილმა ბროლის ვაჭარმა მაშინვე შეატყო, რომ ქესატი ვინმე იყო. და მაინც დაცდა ამჯობინა, სადილი სად გამექცევა, ვნახო ერთი, რის ყიდვას ეპირებაო.

---

**დასასრული. დასაწყისი იხ. № 3-4, 2004 წელი.**

ქულბაქის კარზე მიკრული აბრა იუწყებოდა, აქ უცხოურ ენებზე ლაპარაკობენო. სანტიაგომ დაინახა, როგორ გამოჩნდა დახლთან ქულბაქის პატრონი.

— გნებავთ, მაგ ჭიქებს სულ დაგიკრიალებთ? — ჰკითხა სანტიაგომ. — ისეთ დღეშია, არცვინ იყიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროლის ვაჭარი კრინტს არა ძრავდა.

— ბევრს არა გთხოვ, მარტო მაჭამე.

ბროლის ვაჭარი კვლავ მდუმარედ მისჩერებოდა. სანტიაგო მიხვდა, რომ რაღაც უნდა ელონა ცქაფად. ტავარჯუხში ქურთუკი ედო, რომელიც უდაბნოში არც დასჭირდებოდა. ახლა კი მისწრება იყო, და ეგრევე დააძრო ქურთუკი, კოხტად მოივარგა და ჭიქებს წმენდა დაუწყო, რაც რამ ვიტრინაში ეწყო, ნახევარ საათში სულ გაბდღვრიალდა, და ზედდატანებაზე ორი მუშტარიც შემოვიდა, რაღაც-რაღაცებს თვალი დაადგეს და იყიდეს კიდეც.

საქმეს რომ მორჩა, სანტიაგომ, მაჭამე რამეო, სთხოვა ბროლის ვაჭარს.

— წამომყევი, — უთხრა მან.

კარზე „წასული ვარ სადილად" აბრა დაჰკიდა და შესახვევის სულ ზემოთ პატარა სახემსე-ბარი რომ იდგა, სანტიაგო იქ გაიყოლა. ორივენი სახემსე-ბარის ერთადერთ მაგიდას მიუსხდნენ.

— არც არაფრის გაწმენდა გინდოდა და არც გაწკრიალება. ყურანი მშიერი კაცის დაპურებას ისედაც გვავალებს.

— მერე, რატომ არ გამაჩერე?

— იმიტომ არ გაგაჩერე, რომ ჭიქები ჭუჭყიანი იყო. არც ჩვენ გვაწყენდა ჩვენი ტვინების ნაგვისგან გაწმენდა.

ჭამას რომ მორჩნენ, მან უთხრა:

— მე მინდა, რომ ჩემს ქულბაქში იმუშაო. სანამ შენ ბროლს აკრიალებდი, ორი მუშტარი შემოვიდა, რაც კარგი ნიშანია.

„ადამიანები იშვიათად როდი ახსენებენ ნიშნებს, — გაიფიქრა სანტიაგომ, — მაგრამ თვითონაც არ ესმით, რაზე ლაპარაკობენ. ის კი არა, მეც არ ვიცოდი, ისე ვებაასებოდი უსიტყვოდ ამდენი წელიწადი ჩემს ცხვრებს".

— ჰა, რას იზამ? — არ ეშვებოდა ბროლის ვაჭარი, — დარჩები ჩემთან სამუშაოდ?

— გათენებამდე სულ დაგიკრიალებ ყველაფერს, — უპასუხა სანტიაგომ, — ოღონდ ეგვიპტემდე მისასვლელი ფული უნდა მომცე.

ვაჭარს კვლავ გაეცინა.

— მთელი ჩემი ბროლეული მთელი წელიწადიც რომ მიწმინდო და მიკრიალო, თანაც კიდევ თითოეულ გაყიდულ ნივთზე კარგა გვარიანი სარგებელიც მოგცე, გზის ფული მაინც სასესხებელი გექნება. ტანჟერიდან სანამ ეგვიპტეში ჩარუყდები, ათასი კილომეტრი უდაბნო უნდა გაიარო.

წამიერად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს მთელ ქალაქს ძილქუში დააწვაო. ციმციმ გაუჩინარდა ბაზარი თავის ფარდულ-ქულბაქებიანად, გაუჩინარდნენ თავიანთი საქონლის მაქებარი ვაჭარ-მოვაჭრენი, მიწამ თუ უყო პირი, გაქრნენ მინარეთებზე ასული კაცებიც, რომე-

ლთა სალოცავად მომწოდებელი ავაჯიანი ხმა წელან არემარეს ეფინებოდა, აღარცრა ტარჭრელ ხმლებს ხედავდა თვალი. სრულიად ძვეყნიერება დადუმდა, ენა ჩაუვარდა, რადგან სული დაუმუნჯდა სანტიაგოს. ის არც ტკივილს გრძნობდა, არც ქენჯნასა და წყენას რასმე, ბარის ღია კარს მისჩერებოდა და მხოლოდ სიკვდილი სურდა, ნეტავ, ყოველივე ამწუთასვე დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდო, ინატრიდა.

ბროლის ვაჭარი წარბებაჭიმული უმზერდა, ვერ მიმხვდარიყო, აგრე ერთბაშად რამ ჩაფერფლა და რამ მოაშავბედა ჯერეთ კიდევ დილას გულმხიარული ყმაწვილკაცი.

— ნუ გადარდებს, სამშობლოში დასაბრუნებელ ფულს როგორმე მოგიხერხებ, შვილო, — უთხრა ბროლის გამყიდველმა.

სანტიაგოს ენა არ დაუძრავს. მერმე წამოდგა, ტანზე ტალავარი გაისწორა და ტავარჯუხს დასწვდა.

— არსადაც არ მივდივარ. დავრჩები და გემუშავები, — უთხრა მან ბროლის ვაჭარს. და ცოტა დუმილის შემდეგ დასძინა:

— ფული იმიტომ მჭირდება, იქნებ ორიოდ ცხვარი მეყიდა.

## ნაწილი მეორე

**თითქმის** მთელი ერთი თვე მუშაობდა სანტიაგო ნოქრად ბროლის ვაჭრის ქულბაქ-სასაქმოში, ზოგი უკუსაჯდომელსაც რომ ეძახის, და არ შეიძლება იმის თქმა, რომ ახალი საქმე მაინცდამაინც ძალიან მოსწონდა. ბროლის ვაჭარი მთელი დღეობით დახლში ტრიალებდა და ებუზღუნებოდა, ფრთხილად მოექეცი, ბროლეული საზუზარიაო, ფრიად გასაფრთხილებელიაო.

თუმცა დათხოვნით მაინც არ დაუთხოვია, რადგან ხანმრავალი ბროლის ვაჭარი ბუზღუნა და ჯუჯღუნა კაცი კი იყო, ოღონდ თავის სიტყვას პატიოსნად ასრულებდა: ყოველი გაყიდული ბროლიდან სანტიაგოს საგასამრჯელო სარგებელს უმეტნაკლებოდ უხდიდა, და იმანაც ცოტცოტაობით მცირეოდენი ფული დააგროვა. მაგრამ ერთხელაც დილით დაჯდა, დაიანგარიშა, გადაიანგარიშა მთელი თავისი სარგო-შემოსავალი და ივარაუდა, თუკი კვლავაც აგრე მოვინაგრე, რასაც ახლა უზღუნებოდა, ფრთხილად მოექეცი, ბროლეული ფრიად გასაფრთხილებელიაო.

— ვიტრინა გარეთ ხომ არ გაგვეტანა და, რაც რამ საქონელი გვაქვს, შიგ ნიმუშები ხომ არ გამოგვეფინა? — უთხრა სანტიაგომ ბროლის ვაჭარს. — პირდაპირ ქულბაქის წინ დავდგათ და, ყურადღების ამბავია, ამვლელიც თვალს შეავლებს, ჩამვლელიც.

— უმაგვიტრინოდაც ვცხოვრობდით აქამდე, — მიუგო ბროლის ვაჭარმა, — რა იცი, ვინმე ოხერი არ დაეჯახოს და ის გამოფენილი ბროლეული სულ არ დამილეწოს.

— მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. მიწიდან ამომძვრალ გველსაც ბევრჯერ შეეძლო იალაღზე გაშლილი ჩემი ცხვრის დაკბენა და გაგორება, მაგრამ ცხვარ-მწყემსის ცხოვრება სხვანაირად არ გამოვა.

ბროლის ვაჭარი ამ დროს ვიღაც მუშტარს ემსახურებოდა, რომელსაც საყიდლად სამი ბროლის კულა შეერჩია. ვაჭრობას აწ საყვედური არ ეთქმოდა, თითქოს კვლავ დაბრუნებულიყო ის დროება, როცა ეს პატარა ქუჩა მთელი ტანჟერის მსახლობელთ[illegible]ზიდავდა.

— საქმე ცუდად არ მიდის, — თქვა ბროლის [illegible]ელმა, მუშტარი რომ გააცილა. — ფულს საკმარისად ვშოულობ და მალე იმდენს მოგცემ, ახალი ფარის ყიდვა არ გაგიჭირდება. სხვა რა გინდა? ცხოვრებისგან მეტისმეტი რატომ უნდა მოითხოვო?

— რატომ და, ნიშნებს უნდა მივყვე, — თავისდა უნებურად წარმოთქვა სანტიაგომ და ენაზე იკბინა: ბროლის ვაჭარს ხომ არცროდის ენახა ის მეფე.

„ამას ხელშემწყობი დასაწყისი ჰქვია, — მოაგონდა ნამწყემსარს ბერიკაცის სიტყვები. — ახალბედას ილბალი სწყალობს. ვინაიდან ცხოვრების წესია, რომ კაცმა თავის ბედსა სდიოს“.

ბროლის ვაჭარი კი ამასობაში სანტიაგოს წელანდელ ნათქვამს ჩაჰკირკიტებდა. დიდი ლარი და ხაზი არ უნდოდა, რომ ამ ესპანელი ყმაწვილკაცის გვერდით ყოლა კეთილ ნიშნად ექცა — სალაროს ფულიანობა დაეტყო, და სულაც არა ნანობდა, რად დავიქირავეო. თუმცა კი სანტიაგო უფრო მეტს ღებულობდა, ვიდრე გამოიმუშავებდა, რადგან ბროლის ვაჭარს იმთავით არც უფიქრია, თუ ვაჭრობა აგრერიგად გაუუმჯობესდებოდა, და დიდი საგასამრჯელო სარგებელი დაუწესა. ბროლის ვაჭარს ეგონა, ცოტაც და წავა, თავის ცხვრის ფარას მიაშურებსო.

— ვითომ რად აგიჩემებია ეგ პირამიდები? — ჰკითხა მან, რათა სიტყვა გადაებრუნებინა.

— რად ამიჩემებია და, ათასი რამ მსმენია, — მიუგო სანტიაგომ.

უნჯ-განძი აწ უკვე მწარე მოგონებად ჰქცეოდა და ცდილობდა, რომ იმაზე აღარ ეფიქრა. ამიტომაც თავისი სიზმარი ბროლის ვაჭრისათვის არ უამბია.

— ცხოვრებაში პირველად ვხედავ ისეთ კაცს, რომელსაც მხოლოდ იმის გულისთვის უნდა უდაბნოს გადავლა, რა არი თვალი შეავლოს პირამიდებს. პირამიდები ქვების გროვაა და მეტი არაფერი. შენც შეგიძლია, დადგე და ეზოში აიშენო.

— გეტყობა, სიზმრებში შორეულ გზებს არ გასდებიხარ, არ გიმოგზაურია, — მიუგო პასუხად სანტიაგომ და ახალი მუშტრის შესახვედრად გაბრუნდა.

ორი დღის შემდეგ ბროლის ვაჭარმა კვლავ ჩამოაგდო სიტყვა ვიტრინაზე.

— ნარუქს, ახალშემოღებულ რასმე ვერ ვეგუები, — თქვა მან, — მე ისე მდიდარი არა ვარ, როგორიც ჰასანია, რომელსაც სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რა შეეშლება და რა არა. თუ შეეშალა, ბევრს არც რას დაკარგავს. მე და შენ კი ერთი უბრალო შეცდომის გულისთვის მთელი ცხოვრება ზღვევა მოგვიწევს.

„სწორს ამბობს“, — გაიფიქრა სანტიაგომ.

— *მითხარი ერთი, ეგ ვიტრინის* გარეთ გატანა რამ გაფიქრებინა? — განაგრძო ბროლის ვაჭარმა.

— რამ მაფიქრებინა და, რაც შეიძლება, მალე მინდა ჩემს ცხვრებთან დაბრუნება. სანამ ილბალი გვიჭრის, უნდა დავეშუროთ და ჩვენც უნდა შევეშველოთ. ამას ხელშემწყობი დასაწყისი ჰქვია. ახალბედას ბედი სწყალობსო, გაგონილი გექნება.

ბროლის გამყიდველი ერთხანს გაჩუმდა და მერმე უპასუხა:

— წინასწარმეტყველმა ყურანი გვიბოძა და ოდენ ხუთი მოვალეობა დაგვაკისრა მთელი ცხოვრების განმავლობაში შესასრულებლად. ყოვლის უმთავრესია — გვახსოვდეს, რომ არ არის ღმერთი, თვინიერ ალაჰისა. დანარჩენი ოთხია — დღეში ხუთგზის ლოცვა. რამადანისთვის დადგომისთანავე მარხვა, უქონელთა მიმართ გულმოწყალება...

ბროლის ვაჭარი კვლავ გაჩუმდა. წინასწარმეტყველი ახსენა თუ არა, თვალები აუწყლიანდა. მართალია, ცოცხალი, მოუთმენელი და ფიცხი კაცი იყო, მაგრამ მთელი ცხოვრება მაინც მუჰამადის სჯულისდა კვალად გაეტარებინა.

— მეხუთე მოვალეობა რაღაა? — დაეკითხა სანტიაგო.

— გუშინწინ შენ მითხარი, გეტყობა, სიზმრებში შორეულ გზებს არ გასდებიხარ, არ გიმოგზაურიაო. ყოველი მართლმორწმუნის მეხუთე მოვალეობა სწორედაც მლოცვარეობაა, წმინდა ადგილების მოვლა. ისლამის აღმსარებელმა სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ მაინც უნდა მოინახულოს ქალაქი მექა. ის კი ბევრად უფრო შორს არის, ვიდრე პირამიდები. ახალგაზრდობაში, როგორც კი ცოტაოდენი ფული დავაგროვე, ამ ქულბაქის ყიდვა ვამჯობინე. როცა გავმდიდრდები, მექაში მაშინ წავალ-მეთქი, ვფიქრობდი. მერმე მართლა კარგაძალი ფული ვიშოვე, მაგრამ ჩემი საქმე ველარავის ვანდე, მეშინოდა, ჩემს საზუზარ საქონელს ჩემსავით პიწკად არავინ მოექცევა-მეთქი. ვიდექი და გავყურებდი ყოველდღე წმინდა ქალაქში სალოცავად მიმავალთ. ვინც მდიდარი იყო, თან მსახურნი ახლდნენ და აქლემების ქარავნები მისდევდნენ, უმეტესობა კი ჩემზე ღარიბი ჩანდა. ბევრი უკან დაბრუნებულიც ვნახე, ყველანი გულსავსენი და ბედნიერნი იყვნენ, აქაოდა მექა მოვიხილეთ და მოვილოცეთო, თავ-თავიანთ კარებწინ სამახსოვროდ ნიშნებს რასმე დგამდნენ. ერთ-ერთმა მექამოვლილმა, ხარაზი კაცი იყო, სხვათა ფეხსაცმლის დაკერებას გადაყოლილი, მიამბო, თითქმის მთელი წელიწადი ვიარე უდაბნოში, მაგრამ არცროდის ისე არ დავღლილვარ, როგორც ტანჟერში ვიღლები, როცა კი მეზობელ უბანში ტყავის წამოსაღებად წავსულვარო.

— რატომ შენც არ უნდა წახვიდე გინდაც ახლავე? — უთხრა სანტიაგომ.

— რატომ და, მე მექაზე ოცნება მაცოცხლებს. სხვანაირად განა გავუძლებდი ამ ერთმანეთისგან განურჩეველ დღეებს, ამ ჩემს დაბროლილ თაროებს, თუნდაც ამ დაფეხვილ ბარში ყოველდღე სადილობასა და ვახშმობას? ვიცი, თუ ოცნება ამიხდა, ჩემს ამქვეყნად ყოფნას აზრი აღარ ექნება.

ჩემგან განსხვავებით, შენ, პირამიდებზე მეოცნებეს, შენი ოცნების ახდენა გწყურია.

მე მხოლოდ ოცნება მწადს მექაზე. ვინ იცის, რამდენჯერ წარმომიდგენია, როგორ გავივლიდი უდაბნოს, როგორ მივიდოდი იმ მოე-

დანზე, სადაც წმინდა ქვა დგას, რომელსაც შვიდჯერ შემოვუვლიდი და მერელა შევახებდი ხელს. წარმოვიდგენ ხოლმე აგრეთვე, რა ზღვა ხალხში მომიწევს გარევა და რარიგ შეერწყმის ჩემი ხმა საერთო ლოცვას. მაგრამ მეშინია, რომ გული გამიტყდება, იმედი გამიცრუვდება, და ამიტომ ისევ მხოლოდ ოცნებას ვარჩევ.

იმ დღეს მან სანტიაგოს ახალი ვიტრინის დაყენებისა ნება მისცა.

●

**გამოხდა** კიდევ ორი თვე — ახალმა, გარეთ გატანილმა ვიტრინამ თავისი ქნა: მუშტარს თვლა არა ჰქონდა. სანტიაგომ იანგარიშა: თუ კვლავაც ასე გაგრძელდებოდა, ექვს თვეში ესპანეთში დაბრუნდებოდა და ცხვარს სამოცს კი არა, ორჯერ სამოც სულს იყიდდა. ერთ წელიწადში ფარას გააფორმებდა და ვაჭრობასაც გააბამდა არაბებთან, რადგან უკვე რიგიანად არაბულებდა. იმ ამბის შემდეგ, რაც ბაზარში შეემთხვა, ურიმად და თუმიმად წოდებული ქვები ტავარჯუხიდან აღარ ამოუღია, ვინაიდან ეგვიპტე ისეთივე აუხდენელ ოცნებად ქცეოდა, როგორც ბროლის ვაჭარს — მექა. სანტიაგო კმაყოფილი იყო თავისი სამუშაოთი და ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა ის დღე, როცა ტარიფას ნავსადგურში გემიდან გამარჯვებული გადმოვიდოდა.

„გახსოვდეს: მუდამ ზუსტად უნდა უწყოდე, რა გინდა", — ეუბნებოდა მელქისედეკი.

სანტიაგომ უწყოდა. და მუხლჩაუხრელად ირჯებოდა თავისი მიზნის მისაღწევად. კაცმა არ იცის, ეგება სულაც შუბლზე ეწერა, რომ უცხო მხარეში უნდა მოხვედრილიყო, იქ ცუხსა და ყალთაბანდს ვისმე უნდა გადაჰყროდა და მერმე სრულიად ფასგაუღებლად გაეორმაგებინა ფარა?!

ყმაწვილკაცს საკუთარი თავი ეამაყებოდა. არადა, მართლაც უკვე ბევრი რამ ესწავლა: ბროლით ვაჭრობაც იცოდა, უსიტყვოდ მეტყველებაც და ნიშნების კითხვაც. ერთხელ ყური მოჰკრა, როგორ ჩიოდა მავანი და მავანი, ამოდენა ციცაბო ამოვიალმართე და ვერსად ჩამომჯდარვარ, წყურვილი ვერ მომიკლავსო. სანტიაგომ ხელად იაზრიკვალა, ამ კაცის ჩივილი ნიშანი რამ უნდა იყოსო, და ბროლის ვაჭარს უთხრა:

— ვინც აღმართს ამოივლის, ვითომ რა, ცუდი იქნება, თუ მცირე ფასად ჩაის შევთავაზებთ?

— კარგი სიახლეა, დავფიქრდები, — მიუგო ბროლის ვაჭარმა.

— სულაც ბროლის ჭიქებით მივართვათ. ხალხი კმაყოფილი დარჩება და ბროლის ყიდვასაც მოინდომებს. დიახაც თვალი ჭამს და თვალი სვამს.

ბროლის ვაჭარი დიდხანს ხმაამოუღებლივ უცქეროდა სანტიაგოს. საღამოხანს კი, ნამაზის შემდეგ დუქანი რომ დაკეტა, იქვე წინ ქვაფენილზე მოირთხა ფეხი და, ნარგილე მოვწიოთო, შესთავაზა თავის ჭაბუკ ნოქარს.

— მითხარი ერთი, თუ კაცი ხარ, მაინც რა გინდა? — ჰკითხა მან.

— მგონი, იცი, რაც მინდა: შინ დაბრუნება და ცხვრის ყიდვა. ამისთვის კი ფული მჭირდება.

ბროლის გამყიდველმა ნარგილეს რამდენიმე ნაკვერცხალი დაუმატა და ნაფაზი დაარტყა.

— ეს ქულბაქი ოცდაათი წელიწადი ჩემია. ვიცი, კარგი ბროლის ცუდისგან გარჩევა, ვაჭრობა არ მეშლება. ჩემი საქმე მე მყოფნის, მეტი არ მინდა. მუშტარს თუ ჩაის ბროლის ჭიქაში დაუსხამ და ისე მიართმევ, ვაჭრობაც უეჭველად იმატებს და ბევრი რამ შესაცვლელი გაგვიხდება.

— მერე რა, ცუდია?

— ცუდი არ არის, მაგრამ როგორც მიჩვეული ვარ, ისევ ისე მინდა ცხოვრება. მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, აკი თქმულა კიდეც. სანამ შენ გამოჩნდებოდი, ხშირად მიფიქრია, ჩემი მეგობრები სულ მიდმორობაში არიან, მთელ ქვეყნიერებას უვლიან, ზოგი თუ კოტრდება, ზოგიც მდიდრდება, მე კი ერთ ადგილას რა კუტად ვზივარ-მეთქი. მართალი გითხრა, ამას გულდანაღვლიანებული ვფიქრობდი ხოლმე. აწღა კარგად მესმის, რომ ჩემი ქულბაქი სწორედ იმხელაა, რამხელაც მე მჭირდება, როგორიც მე მინდა. მე ცვლილებების კაცი არა ვარ, არც ვიცი, რა როგორ უნდა შევცვალო. მე ერთობ შეჩვეული და შეკვეთილი ვარ საკუთარ თავს.

სანტიაგო დაიბნა, ვერცრა უპასუხა. ვაჭარი განაგრძობდა:

— შენი თავი თითქოს ღმერთმა გამომიგზავნა. დღეს კი იმასაც მივხვდი, რომ ღვთის ლოცვა-კურთხევას თუ დაეუარები, წყევლაკრულვად გექცევა. მე ცხოვრებაში აღარცრა მწადს. შენ კი ახალი გზების ძიებას მაძალებ, რომელ გზებსაც მეც კარგად ვხედავ და არც ამდენი შესაძლებლობა მქონია ოდესმე, გულისთქმას ძველებურად აღარ ვემორჩილები, გრძნობას აღარ ავდევ, ვინაიდან აწ უკვე ვიცი, რომ მონაგრებით ბევრის მონაგრება შემიძლია, შოვნილი და მონაგარი კი აღარცრად მიღირს, არა მჭირდება.

„კარგია, რომ არცრა მითქვამს იმ მებატიბუტისთვის", — გაიფიქრა სანტიაგომ.

კიდევ ცოტა ხანს ეწეოდნენ ისინი ნარგილეს. მზე დახდა. ბროლის ვაჭარი და ნოქარი არაბულად ლაპარაკობდნენ — სანტიაგო დიდად კმაყოფილი იყო, რომ ამ ენას ფლობდა. კარგა ხნის წინათ, მწყემსობის ჟამს, ამას ეგონა, ქვეყნად რაც რამეა, ცხვრებს ყველაფრის გაგების უნარი შესწევთო. მაგრამ ახლა დარწმუნებული იყო, რომ ცხვრები არაბულს ვერაფერს გაუგებდნენ.

„ალბათ, კიდევ არის ზოგი რამ, რისი არც სწავლა შეუძლიათ იმათ და არც გაგება, — ფიქრობდა სანტიაგო და მდუმარედ შესცქეროდა ბროლის ვაჭარს. — ვინაიდან მარტო საზრდოსა და წყლის ძებნა იციან. მე შენ გეტყვი, თვითონ ისწავლეს, ესეც მე ვასწავლე".

— **მაქთუბ,** — წარმოთქვა ბოლოს ბროლის ვაჭარმა.

— ეგ რას ნიშნავს?

— რას ნიშნავს და, არაბად თუ არ დაბადებულხარ, მაინც ვერ გა-

იგებ, — მიუგო მან, — თქვენებურად დაახლოებით „რაც გაწერია“ უნდა იყოს.

და ნარგილეში ნაკვერცხლების ქრობა-ქრობით დასძინა, ხვალიდან, ჩემო სანტიაგო, ჩაი ბროლის ჭიქებში დაასხი და ისე გაყიდეო.

წუთისოფელი ასეა. ცხოვრების მდინარის შეჩერება შეუძლებელია.

●

**ხალხი** როგორც კი ამრეცს აიაღმართებდა, პირველი, რაც თვალს ხვდებოდა, ბროლის ვაჭრის ქულბაქი იყო, სადაც მუშტარს ცივ, გამაგრილებელ პიტნის ჩაის სთავაზობდნენ, თანაც ლამაზი ბროლის ჭიქებით. აღმართავლილ კაცს რა გული მოუთმენდა, არ შესულიყო და არ დაელია?!

„ჩემი ცოლი ასეთ რამეს ვერ მოიფიქრებს“, — თქვა ერთხელ მავანმა მუშტარმა, და რამდენიმე ცალი ჭიქა იყიდა: იმ საღამოს თურმე სტუმრებს ელოდებოდა და იმათი გაკვირვება უნდოდა, ჭიქების უნახავს გავხდიო, ამბობდა.

მეორე მუშტარი კი იმის მტკიცებაში იყო, ბროლის ჭიქიდან როცა სვამ, ჩაი ბევრად გემრიელი ჩანსო, ბროლის ჭიქაში თავის სურნელს უკეთესად ინარჩუნებსო. მესამემ ახლა ის გაიხსენა, აღმოსავლეთში ადამპაპის დროიდან ჩაის მუდამ ბროლის ჭურჭელში ასხამენ და ისე სვამენ, ვინაიდან ბროლს გრძნეული რამ ძალა აქვსო.

ძალიან მალე მთელ იმ არემარეს მოედო ახლებურად ჩაის სმის ეს ამბავი, და აღმართზე ხალხმა იმატა, — ყველას ეწადა, რომ თავისი თვალით ენახა, ამისთანა რა სიახლე იყო შემოღებული ისეთ უძველეს საქმეში, როგორიც ჩაის სმაა. უმალ სხვა არა ერთი და ორი დუქან-ქულბაქიც გაჩნდა, სადაც მუშტარს ახლა უკვე ბროლის ჭიქაში უსხამდნენ ჩაის, მაგრამ იქ მისვლას მეტი ბობღვა და ბღოტება უნდოდა, ამიტომ არც მუშტარი ეტანებოდა.

მალე ქულბაქში კიდევ ორი მორბედი აიყვანეს, ახლა აქ არა მარტო ბროლსა ყიდდნენ, არამედ აურაცხელ ჭიქა ჩაისაც ასმევდნენ აურაცხელსავე ცნობისწადილს აყოლილ მუშტარს.

გამოხდა კიდევ ნახევარი წელიწადი.

●

**სანტიაგოს** ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე გამოეღვიძა. მას უკან, რაც აფრიკის მიწა-წყალს დაადგა ფეხი, თერთმეტი თვე და ცხრა დღე იყო გასული.

ტანთ თეთრი ტილოს არაბული ბურნუსი შეიმოსა, საგანგებოდ ამ დღისთვის ნაყიდი, თავსაბურავად იმავე ტილოს ნაჭერი მოიხვია, რომელიც აქლემის ტყავის სალტე-ოდრიქალით დაიმაგრა, ფეხები ქუსლებჩათელილ წუღებში გაუყარა და უჩუმრად ჩავიდა ძირს.

ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. სანტიაგომ მურაბიან პურის ნაჭერს ბროლის ჭიქაში დასხმული ცხელი ჩაი მიაყოლა. მერმე ქულბაქის ზღურბლზე დაჯდა და ნარგილეს წევა დაიწყო.

აგრე სრულიად მარტოდმარტო იჯდა და ეწეოდა, თავში არცრა აზრი უტრიალებდა, თითქოს სიამოვნებდა, როგორ გაბმულად და წყნარად უქიქინებდა ქარი, რომელსაც არცთუ შორეული უდაბნოს სუნი მოჰქონდა. ნარგილეს ბოლებას რომ მორჩა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და მერმე კარგა ხანს უცქირა იმას, რაც ჯიბიდან ხელს ამოაყოლა.

ნამწყემსარს თითებშუა ფულის სქელი დასტა მოექცია, რომელი ფულითაც უკან დასაბრუნებელი ბილეთიც მოუვიდოდა, ის ას ოცი ცხვარიც და ნებართვასაც შეიძენდა, რომ ესპანეთში დაბრუნებულს იმ ქვეყანასთან ევაჭრა, სადაც ახლა იმყოფებოდა.

სანტიაგომ მოთმინებით მოილოდინა, სანამ ბროლის ვაჭარი გაიღვიძებდა და ქულბაქს გააღებდა, მერმე ორივემ ერთად დალია ჩაი.

— დღეს მივდივარ, — უთხრა სანტიაგომ, — მე უკვე მაქვს ცხვრის საყიდელი ფული, შენ კი — მექას წასვლა არ გაგიჭირდება.

ბროლის ვაჭარი დუმდა.

— რახან ხელი გამიმართე, დამლოცე, დამამწყალობნე კიდეც, — დაეჟინა სანტიაგო.

ხანმრავალი ბროლის ვაჭარი კვლავ მდუმარედ აყენებდა ჩაის, და ბოლოს შემოუბრუნდა:

— რჯულსა ვფიცავ, მეამაყები. შენ დასტურ გამიცოცხლე ქულბაქი, მაგრამ იცოდე: მე მექას წამსვლელი არა ვარ, ჰაჯი ვერ გავხდები. ისიც იცოდე, რომ ვერც შენ იყიდი ცხვარს.

— ეგ ვინ გითხრა? — ჰკითხა გაკვირვებულმა სანტიაგომ.

— მ ა ქ თ უ ბ მ ა, — უპასუხა ხანიერმა ბროლის ვაჭარმა.

და ნამწყემსარი ჭაბუკი დაამწყალობნა.

●

**მერმე** სანტიაგო თავის ოთახში ავიდა და რაც რამ ბარგი-ბარხანა ჰქონდა, სამ ჩარჩამად, სამ ტარფად, ანუ სამ ბოხჩად შეკრა. უკვე გამოდიოდა, რომ კუთხეში თავისი ძველი ტავარჯუხი შეამჩნია, რომლისთვისაც დიდი ხანი თვალი არ მოეკრა და თან წასატანად აღარ მოჰგონებია. შიგ ქურთუკ-გვაბანაკი და წიგნი ეწყო. სანტიაგომ ტავარჯუხიდან ქურთუკ-გვაბანაკი ამოიღო, ქუჩაში ბიჭს ვისმე ვაჩუქებო, და უცებ იატაკზე ორი ქვა წაგორდა — ურიმი და თუმიმი.

ქვების დანახვაზე სანტიაგოს მოხუცი მეფე გაახსენდა და თავადვე გაუკვირდა, ამდენი ხანი გულიდან როგორ გადამვარდაო. მთელი წელიწადი ისე იჯაფა, მუხლში ქარი არ ამოუღია ერთადერთი მიზნით — რამენაირად ფული უნდა ეშოვა, რა არი ესპანეთში ხახამშრალი არ დაბრუნებულიყო.

„არცროს დაეუარო შენს ოცნებას, — ეუბნებოდა მელქისედეკი, — ნიშნებს მიჰყევი“.

სანტიაგომ იატაკიდან ქვები წამოკრიფა, და იმწამსვე უცნაურმა რამ გრძნობამ შეიპყრო. ეჩვენებოდა, თითქოს ის ბერიკაცი იქვე გვერდით ედგა. წელიწადს რალა უკლდა, ჭაპანწყვეტაში შემოელია, აწ კი გუდა-ნაბადის აკვრის დროაო, შეაგონებდნენ ნიშნები.

„მე ზუსტად ასეთივე შევიქნები, როგორიც ადრე ვიყავი, — გაიფიქრა მან, — ცხვრები კი არაბულად ლაპარაკს ვერ მასწავლიან“.

ცხვრებმა, თუმცაღა, ზოგი რამ უფრო მნიშვნელოვანიც ასწავლეს: თურმე ამქვეყნად ყოფილა ენა, რომელიც ყველასთვის გასაგებია. და მთელი ეს ერთი წელიწადი, ვაჭრობის აყვავებამ რომ მოანდომა, სანტიაგო სწორედ ამ ყველასთვის გასაგებ ენაზე მეტყველებდა. ეს იყო აღმაფრენის ენა, იმ საქმეთა ენა, რომელთაც სიყვარულითა და ხალისით ვიქმთ, ქმნით კი იმის გულისთვის ვიქმთ, რაც გვწამს ანდა რაც გვენიაზება. ტანჟერი სანტიაგოსთვის უცხო მხარე აღარ იყო, და იმანაც შეიგნო, რომ ახლა უკვე სრულიად ცისქვეშეთი დანებდებოდა და დაემორჩილებოდა, როგორც ეს ქალაქი დანებდა და დაემორჩილა.

„როცა მართლა ძალზე ძლიერად მოგინდება რამე, მთელი ქვეყნიერება ხელს გაგიმართავს, რა არი გულის საწადელი აისრულო“, — ეუბნებოდა მოხუცი მელქისედეკი.

თუმცა ბერიკაცს ენა არ დაუსველებია არც ყაჩაღ-ავაზაკებზე, არც უკიდეგანო უდაბნოებზე და არც იმ ადამიანებზე, რომლებიც ოცნებით კი ოცნებობენ, მაგრამ ამ თავიანთი ოცნებების ახდენა არა სურთ. ბერიკაცს არც ის უთქვამს სანტიაგოსთვის, პირამიდები მხოლოდ და მხოლოდ ქვების გროვაა, და ვისაც უნდა, როცა კი მოეპრიანება, ადგება სულაც თავის ბაღჩა-ბაღში აახუხულავებსო. მოხუც მეფეს დაავიწყდა, არ უთხრა გზას გადებულ მეოცნებე ჭაბუკს, რომ ცხვრის საყიდელ ფულს როგორც კი იშოვიდა, ცხვარი აუცილებლად უნდა ეყიდა.

სანტიაგომ ხელი დაავლო თავის ტავარჯუხს, დანარჩენ სამ ნაჭერ ბარგს მიუმატა და კიბეზე დაეშვა. ბროლის ვაჭარი უცხოქვეყნელ წყვილს ემსახურებოდა, კიდევ ორი მუშტარი კი ქულბაქში მიმოდიოდა, ხელთ ორივეს ჩაიანი ბროლის ჭიქები ეჭირა. ესოდენ ადრიანი დილისთვის მუშტარი უჩვეულოდ ბევრი ჩანდა. სანტიაგომ მხოლოდ ახლაღა შეამჩნია, რომ ქულბაქის პატრონის თმა მელქისედეკის თმას აგონებდა, და გაახსენდა ტანჟერის პირველი დილა, როცა არც სადმე წასასვლელი ჰქონდა და არცრა სამუცლავი, გაახსენდა, როგორ ულიმოდა მე შაქარყინულე, და იმ ღიმილმა მაშინაც მოხუცი მეფე მოაგონა.

„აქ თითქოს ოდესმე მელქისედეკს გაუვლია და ყველგან თავისი ყოფნის კვალი დაუტოვებია, — გაიფიქრა სანტიაგომ, — ეს ადამიანები თავიანთი ცხოვრების რომელიღაც წუთს თითქოს უკვე შეხვედრიან ოქროს სამკერდულიან მეფეს. თუმცა აკი თავადვე ამბობდა, მუდამ იმის გვერდით გავჩნდები, ვინც თავის ბედსა სდევსო“.

ისე წამოვიდა, არ გამოსთხოვებია — სხვათა თანდასწრებით ატირება არ უნდოდა. მაგრამ ესმოდა, რომ მოისაკლისებდა აქაურობას, და მოინატრებდა იმ ყოველივე კარგს, რაც რამ აქ ესწავლა. ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, მან ამ ბროლის ქულბაქში თავისი თავის რწმენა და სოფელ-ქვეყნის დამორჩილების გულისთქმა მოიპოვა.

„მე ხომ ჩემს ნაცნობ იალაღებზე ცხვრის საძოვებლად მივდივარ“, — გაიფიქრა სანტიაგომ, მაგრამ თავისივე განზრახული რატომღაც ჭკუაში არ დაუჯდა. მთელი წელიწადი იმად დაშვრა, იქნებ როგორმე ჩემს ოცნებას ხორცი შევასხა, მურაზს ვეწიოო, ის ოცნება კი ანაზდად

ყოველ წუთს კარგავს თავის მიმზიდველობას. ეგება, ეს სულაც არ არის ოცნება?

მეც ხომ ისეთივე არ გავხდე, როგორიც ბროლის გამყიდველია? მეც მთელი ცხოვრება ხომ არ ვიოცნებო მექაზე, ხოლო იქით მიმავალ გზას არ დავადგე?", — ფიქრობდა იგი, მაგრამ ქვებმა [illegible] რომ ეჭირა, მოხუცი მეფის ძალა და გაბედულება შემატეს [illegible]

უცნაური დამთხვევა იყო თუ ნიშანი რამ? — სანტიაგო სწორედ იმ დუქანში შევიდა, სადაც ტანჟერში ჩამოსვლის პირველ დღეს აღმოჩნდა. ცხადია, ის თაღლითი და ორყაბაზი, ის ცუხი იქ აღარ იყო. მედუქნემ ერთი ჭიქა ჩაი მოუტანა.

„ისევ გამწყემსებას ყოველთვის მოვასწრებ, — ფიქრობდა ჩაის ჭიქაზე თავდახრილი სანტიაგო, — ცხვრის მწყემსვა და პარსვა, ჩემი ხელობაა, არსად გამექცევა. პირამიდებთან მისვლის შესაძლებლობა კი ვაითუ აღარც მომეცეს. ოქროსსამკერდულიანმა ბერიკაცმა მთელი ჩემი ამბავი იცოდა. ის ნამდვილი მეფე იყო, თანაც ბრძენი".

მხოლოდ ორი საათის სავალი გზა აშორებდა სანტიაგოს ანდალუზიამდე, პირამიდებამდის კი უნაპირო უდაბნო გაწოლილიყო. მაგრამ ნამწყემსარი იმასაც უმალ მიხვდა, რომ სხვაგვარადაც შეეძლო ამ ამბისთვის შეხედვა: უნჯ-განძისკენ მიმავალი გზა ორი საათის სავალით იყო შემოკლებული, თუმცა თავად მან ამასთანავე მთელი ერთი წელიწადი დაკარგა.

„რატომაც მინდა ჩემს ცხვარში დაბრუნება, გასაგებია: თითოეულს ვიცნობ და მიყვარან კიდეც, არც ბევრი გადაყოლა მჭირდება. უდაბნოს სიყვარული კი განა შეიძლება? არადა, სწორედ უდაბნო მალავს და ჩქმალავს ჩემს უნჯ-განძს. თუკი ვერ მივაგნებ, ავდგები და წამოვალ. რახან ისე მოხდა, რომ ამხელად ფულიცა მაქვს და დროც, ვითომ რატომ არ უნდა ვცადო ბედი?"

ამ წუთას მან უსაზღვრო სიხარული იგრძნო. მწყემსობას არცროდის არცვინ დაუშლის. და გარდა ამისა, როცა უნდა, ბროლით ვაჭრობას მაშინ მიჰყოფს ხელს. რასაკვირველია, ამქვეყნად ბევრი სხვა უნჯ-განძიც არის დაფარულ-დამალული, მაგრამ ვინმემ სხვამ კი არა, სწორედ მან იძილსშორისა ორჯერ ერთი და იგივე სიზმარი და მოხუცი მეფეც სწორედ მან მოიხილა.

დუქნიდან თავისი თავით კმაყოფილი გამოვიდა. უცაბედად წამოაგონდა, რომ ბროლის ვაჭრისთვის ერთ-ერთ საქონლის მომწოდებელს ბროლი უდაბნოგამოვლილი ქარავნებით მოჰქონდა. სანტიაგოს ერთ ხელში ურიმი ჩაებღუჯა, მეორეში — თუმიმი. — დასტურ ამ ქვების წყალობა იყო, რომ მან კვლავ გადაწყვიტა თავისი უნჯ-განძის საძებნელად წასვლა.

„მე მუდამ იმის გვერდით ვარ, ვინც თავის ბედსა სდევს", — გონებაში წამოუტივტივდა მელქისედეკის ნათქვამი.

რა დიდი გაგება უნდა: მივა ქარვასლაში და ჰკითხავს, როგორც ამბობენ, პირამიდებამდის მართლა ისე შორია თუ არა.

ფიცრული, სადაც ინგლისელი იჯდა, უფრო ბოსელსა ჰგავდა, — ოფლის, მტვრისა და ოთხფეხის სუნად ქოთდა. „ათი წელიწადი თურმე იმისთვის ვისწავლე, რომ ამ სოროში მოვხვედრილიყავი“ — ფიქრობდა ინგლისელი და დაბნეულად რომელიღაც ქიმიის ჟურნალს ფურცლავდა.

უკან დასახევი გზა კი არა ჩანდა, საჭირო იყო ნიშნების მიყოლა, მთელი თავისი ცხოვრება მან იმას მოანდომა, რომ როგორმე ეპოვა ის ენა, რომელ ენაზეც სამყარო მეტყველებდა. ათი წელიწადი ამისთვის სწავლობდა. თავდაპირველად ესპერანტომ გაიტაცა, მერმე მსოფლიოს რელიგიებით და ბოლოს — ალქიმიით დაგულისყურდა. ამიტომაც არის, რომ ახლა სრულიად თავისუფლად ლაპარაკობს ესპერანტოზე, ზედმიწევნით იცის სხვადასხვა სარწმუნოებრივი მოძღვრება, მხოლოდ ალქიმიკოსი ვერ გახდა ჯერ კიდევ. რაღაც-რაღაცა მუღამს, ცხადია, ჩასწვდა, მაგრამ სადღეისოდ, როგორც იტყვიან, ბუბკასავით გაიჭედა ერთსა და იმავე ადგილზე და თავის კვლევა-ძიებაში ერთი ნაბიჯის წინწადგმასაც ვერ ახერხებს. ამაოდ ეცადა, იქნებ ვინმე ალქიმიკოსმა ხელი წამაშველოსო, — ვისაც კი მიადგა, სუყველა კარჩაკეტილი და უცხვირპირო გამოდგა, პასუხი ერთი იყო: ჩემი თავი გამჭირვებია, შენ რა უნდა დაგეხმაროო, მკვდარი მკვდარს ნუ ამეკიდებიო. ეგება, სულაც იმიტომ ამუნათებენ ისინი თავიანთ თავს და გულსაც იმიტომ არ უშლიან, რაკი დღესაქამომდე ვერა და ვერ მიაგნეს ფილოსოფიური ქვის საიდუმლოს?

ინგლისელს თავის უნაყოფო კვლევა-ძიებაზე უკვე შემოეხარჯა კიდეც მამისეული მემკვიდრეობის კარგა დიდი ნაწილი. დედამიწის ზურგზე თუ სადმე საუკეთესო ბიბლიოთეკაა, გადაუქექელი არ დარჩენია, ხოლო ყველაზე იშვიათი და ყველაზე მნიშვნელოვანი ალქიმიური წიგნები უყიდველი. ერთ-ერთ ასეთ წიგნში მან მავანი და მავანი გამოჩენილი არაბი ალქიმიკოსის ამბავი ამოიკითხა, რომელ ალქიმიკოსსაც მრავალი წლის წინათ ევროპა მოენახულებინა; იმ წიგნის მიხედვით, ის სახელოვანი არაბი ორას წელზე მეტი ხნისა იყო, ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ქ ვ ა ც და უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს ე ლ ე ქ ს ი რ ი ც ალმოეჩინა, რაც თავისთავად უჩვეულოდ მომხიბვლელი ჩანდა, მაგრამ ინგლისელისთვის, ალბათ, ლეგენდად დარჩებოდა, ერთხელაც უდაბნოს არქეოლოგიური ექსპედიციიდან დაბრუნებულ მეგობარს რომ არ ეამბა, ელ-ფაიუმის ოაზისში ზებუნებრივად ნიჭცხებული ვინმე არაბია, რომელიც თურმე ორასი წლისაა და რაგინდარა ლითონ-ილეკროს ოფაზ ოქროდ აქცევსო.

ამის გაგონება იყო, და ინგლისელმა იმ საათშივე გადადო სუყველა თავისი საქმე და შეხვედრა, თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან წამოიღო რაც რამ ყველაზე საჭირო უჩანდა, და ახლა უკვე აქ არის, ამ ბოსლისა თუ გომურის მსგავს ფიცრულში, გარეთ კი ბზირზე დგას, ანუ მზად არის წასასვლელად ულამ-ქარავანი, რომელმაც საჰარა უნდა გაიაროს, და გზად ელ-ფაიუმის ოაზისიც შეხვდებათ.

მე „ჩემი თვალით უნდა ვნახო ის შეჩვენებული ალქიმიკოსი“, — გაიფიქრა ინგლისელმა, და ამწუთას აქლემების მყრალი სუნიც კი ისე აუტანელი აღარ ეჩვენა.

აქ ინგლისელს ზურგზე ტავარჯუხმოკიდებული ახალგაზრდა არაბი მიეახლოვა და მიემშვიდობა.

— საით გაგიწევიათ? — ჰკითხა მან.

— უდაბნოში მივდივარ, — მიუგო ინგლისელმა და კვლავ კითხვა განაგრძო.

ლაპარაკისთვის არ ეცალა: რაც კი რამ ათი წლის განმავლობაში ესწავლა, მეხსიერებაში უნდა აღედგინა — ხომ შეიძლება, რომ იმ ალქიმიკოსმა სულაც ცოდნა შეუმოწმოს?

ამასობაში ახალგაზრდა არაბმა იქვე ახლოს ფეხი მოირთხა, ტავარჯუხიდან წიგნი ამოიღო და გადაშალა. ინგლისელმა შეამჩნია, რომ წიგნი ესპანური იყო.

„კარგია“, — გაიფიქრა მან, რადგან ესპანურად უკეთესად ლაპარაკობდა, ვიდრე არაბულად.

ეს ჭაბუკიც თუ ელ-ფაიუმს მიდის, სულ რომ არაფერი, თავისუფალ დროს დამლაპარაკებელი მაინც ეყოლება.

●

**„ღმერთმანი,** სასაცილოა, — ფიქრობდა ამაობაში სანტიაგო და თან კიდევ ერთხელ ჩაიკითხა დაკრძალვის ამბავი, რითაც წიგნი იწყებოდა. — უკვე თითქმის ორი წელიწადი ვკითხულობ და მიჯაჭვულივით იმავე ადგილზე ვარ“.

გვერდით ამჯერად მეფე მელქისედეკი არ ედგა, მაგრამ ნამწყემსარს გულისყური მაინც ვერ მოეკრიბა. თავისი აწინდელი განზრახვაც ჯერ კიდევ აეჭვებდა და ყურადღებას უფანტავდა. თუმცა მთავარი კარგად ესმოდა: *რისამე ქმნის განზრახვა მხოლოდ დასაწყისია.* როცა კაცი არჩევანს მოახდენს და რასმე განიზრახავს, ის თითქოს ნიაღვარს ეძლევა, რომელი ნიაღვარიც უმალ იქ აღმოაჩენს, სადაც მისვლა კაცს ადრე ფიქრადაც არ გაუვლია.

„უნჯ-განძის საძებნელად გზას რომ გავედე, მებროლეს ნოქრად თუ დავუდგებოდი, ვარაუდადაც არ დამიჭერია. ზუსტად აგრევე ეს ულამ-ქარავანიც ეგების ჩემი არჩევანია, ჩემი განზრახვაა, მაგრამ სად და ვისთან მიმიყვანს, ეშმაკმა უწყის“.

გვერდით ევროპელი ეჯდა და ისიც წიგნს კითხულობდა. სანტიაგომ ევროპელი მაინცდამაინც კარგ თვალზე ვერ დაინახა, რადგან ფიცრულში შესვლისთანავე რაღაც გაღიზიანება შეატყო. თუმცა, ამასაც ეშველებოდა და, ალბათ, გაეცნობოდნენ კიდეც ერთმანეთს, ევროპელს ლაპარაკი უცებ რომ არ შეეწყვიტა.

სანტიაგომ წიგნი დახურა, — რახან ეგ კითხულობს, მე არ წავიკითხავო, არ უნდოდა, რომ რამეთი დამსგავსებოდა ამ უცხოელს, — მერმე ჯიბიდან ქვები ამოიღო და აათამაშა.

— ურიმი და თუმიმი! — განცვიფრდა ევროპელი.

სანტიაგომ ჩქარა-ჩქარა დამალა ქვები.

— არა ვყიდი, — უთხრა ევროპელს.

— მე შენ გეტყვი, ძვირად ფასობს ან ერთი, ან მეორე, — მიუგო მან. — ჩვეულებრივი კრისტალებია. დედამიწის ზურგზე ყველგეთი ქვები რამდენიც გინდა, იმდენია. შენ მცნობარი მითხარი, თორემ ურიმისა და თუმიმის გამოცნობას რა უნდა. ოღონდ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუ ამ მხარეშიც შევხვდებოდი.

— მეფის ნაჩუქარია, — მიუგო სანტიაგომ.

უცხოქვეყნელს თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდა, აცახცახებული ხელი ჯიბეში ჩაიყო და ზუსტად ისეთივე ქვები ამოიღო.

— შენ რა, მეფეს ელაპარაკე? — ჰკითხა მან სანტიაგოს.

— შენ, გატყობ, ვერც წარმოგიდგენია, მეფენი თუ მწყემსებს ელაპარაკებიან, — მიუგო სანტიაგომ, რომელსაც ლაპარაკის იშტა დაკარგოდა.

— არც ეგრეა საქმე. მწყემსებმა პირველებმა აღიარეს მეფე, როცა ქვეყნად ის ჯერ კიდევ არცვინ იცოდა. მეფეები რომ მწყემსებს ელაპარაკებიან, უჩვეულო რამ სულაც არ არის. — და თითქოს ეშინია, ვაითუ ვერ გამიგოო, ინგლისელმა ზედვე მოაყოლა: — ეს ბიბლიაშია ჩაწერილი, მე სწორედ იქიდან ამოვიკითხე ურიმისა და თუმიმის ამბავი. ღმერთი მხოლოდ ამ ქვებით მისნობის ნებასა გვრთავს. ქურუმთ ესენი ოქროს სამკერდულებზე ებნიათ.

სანტიაგო ქარვასლაში მოსვლას ახლა უკვე აღარ ნანობდა.

— იქნებ ეს სულაც ნიშანია, — თავისი ნაფიქრი ხმამაღლა დასცდა ინგლისელს.

— შენ ვინ გითხრა ნიშნების ამბავი? — ცნობისწადილი მოეძალა სანტიაგოს.

— ქვეყნად რაც რამეა, სულ ნიშნებია, — მიუგო ინგლისელმა და გვერდზე გადადო თავისი ჟურნალი, — უხსოვარ დროს ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე სწორედ ამ საყოველთაო ენას ვეძებ. ამიტომაც ვარ აქ. რადაც არ უნდა დამიჯდეს, მაინც უნდა ვიპოვო ის კაცი, ის ალქიმიკოსი, რომელიც ამ საყოველთაო ენას ფლობს.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ქარვასლის პატრონიც გამოჩნდა, კარგა გვარიანად ჩაკურატებული არაბი.

— ილბალი გქონიათ, — თქვა არაბმა. — დღეს ნასადილევს — ელ-ფაიუმს ქარავანი მიდის.

— მე ეგვიპტეში მივდივარ, — დაბნეულმა წამოიძახა სანტიაგომ.

— ელ-ფაიუმიც სწორედ ეგვიპტეშია. შენ საიდან ხარ?

საიდან ვარ და ესპანეთიდანო, მიუგო სანტიაგომ. ინგლისელს გაეხარდა: უყურე ერთი, არაბულად აცვია, ევროპელი კი ყოფილაო.

— ნიშნებს ეგ ილბლის ქონას, ბედის წყალობას ეძახის, — თქვა მან, როცა ჩაკურატებული არაბი გავიდა. — მე რომ ავმდგარიყავი და წიგნი დამეწერა „ბედის წყალობასა“ და „დამთხვევაზე“, კარგა სქელი

ენციკლოპედია გამოვიდოდა. სწორედაც ამ სიტყვათაგან შედგება ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა.

და დასძინა, ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდით და შენც აღმოგაჩნდა ურიმ-თუმიმი, ეს უბრალოდ დამთხვევის ამბავი არ არისო. მერმე კი ახლა ის იკითხა, შენც ალქიმიკოსის საძებნელად ხომ [illegible]ოსულიო.

— მე უნჯ-განძს ვეძებ, — მიუგო სანტიაგომ და ენაზე იკბინა, ეს რამ წამომაცდენინაო.

თუმცაღა ინგლისელმა, თითქოს აინუნშიაც არ მოსდის სანტიაგოს ნათქვამიო, ისე ჩაულაპარაკა:

— არც უმაგისობაა.

— მართალი თუ გინდა, მე კარგადაც არ გამეგება, რა არის ალქიმია, — წარმოთქვა სანტიაგომ, და ქარვასლის პატრონის ხმაც გაისმა. გამოდით, თუ გამოდიხართ, რაღას უყურებთო.

●

— **ულამ-ქარავანს** მე გავუძღვები, — ეზოში გამოსულთ უთხრა გრძელწვერიანმა შავთვალწარბა კაცმა, — ვინც გამომყვება, სუყველას სიცოცხლე და სიკვდილი ჩემს ხელშია, რადგან უდაბნო ხუშტურიანი რამ არის და ხშირად ჭკუაზე შლის ზედ მავალთ.

გზაზე გასადებად ორასამდე კაცი იჭერდა თადარიგს, ოთხფეხნი კი — აქლემები, ცხენები, სახედრები — თითქმის ორჯერ მეტნი ჩანდნენ. ინგლისელს წიგნებით გატენილი რამდენიმე ჩემოდანი წამოეღო. ეზოში ჩოჩქოლი გაჰქონდათ ქალებს, ბავშვებსა და ხმალშემორტყმულ, გრძელთოფგადაკიდებულ კაცებს. ირგვლივ ისეთი გნიასი იდგა, წამძღოლ ეტიკს რამდენჯერმე მოუხდა თავისი ნათქვამის გამეორება.

— აქ ათასი ჯურის ხალხია შეკრებილი და ყველა თავის ღმერთს ევედრება. მე კი მხოლოდ და მხოლოდ ალაჰსა ვმსახურებ, და იმის სახელსა ვფიცავ: ყველაფერს ვიზამ და მოვიღონისძიებ, რათა კვლავაც ვძლიო უდაბნოს. აწ სუყველამ თქვენ-თქვენი ღმერთი დაიფიცეთ, რომ არამც და არამც არ გამიწევთ ურჩობას, რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოვჩნდეთ. უდაბნოში რაღა ურჩობა და რაღა დაღუპვა, სულერთია.

ამის თქმა იყო, და ატყდა ერთი ჟღავჟღავი და ბუბუნი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თითოეულმა თავის ღმერთს მიმართა. სანტიაგომ ქრისტეს სახელი დაიფიცა. ინგლისელს კრინტი არ დაუძრავს. ხალხი ბევრად მეტხანს ჟღავჟღავებდა და ბუბუნებდა, ვიდრე დაფიცებისთვის იყო საჭირო. დაგვიცავი და დაგვიფარეო, შესთხოვდნენ ზეცას უდაბნოსთან შესაჭიდებლად მიმავალნი.

მერმე ბუკსა ჰკრეს, საყვირს ჩაჰბერეს და ყველანი ამხედრდნენ. სანტიაგო და ინგლისელი ძლივს აფოფხდნენ თავიანთ ახალნაყიდ აქლემებზე. ნამწყემსარმა თვალი შეავლო თავისი თანამგზავრის აქლემს და შეჰბრალდა, ისე უღმერთოდ დაეზურგა ინგლისელს წიგნებიანი ჩემოდნებით საწყალი პირუტყვი.

— მართალი თუ გინდა, რაღაცა რაღაცას ემთხვევაო, — თითქოს წელანდელი საუბარი განაგრძო ინგლისელმა, — ტყუილია, მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ერთ ჩემს მეგობარ კაცს ყური მოეკრა, აქა და აქ ვინმე არაბია, რომელიცაო...

მაგრამ ინგლისელის ლაპარაკი დაძრული ქარავნის ხმაურში შთაინთქა. თუმცაღა, სანტიაგოს ძალიანაც კარგად ესმოდა, რასაც გულისხმობდა ინგლისელი: ამქვეყნად უთუოდ არის ერთიმეორესთან გადაბმულ მოვლენათა იდუმალი რამ ჯაჭვი. სწორედ მან აძილისშორისებინა ორჯერ ერთი და იგივე სიზმარი, აფრიკის ხანაპიროსთანაც მან მოიყვანა, აქვე, ერთ პატარა ქალაქში, მეფეს შეახვედრა, მერმე ახლა ყალთაბანდის მსხვერპლი გახადა, მალე კი მავან მებროლეს ნოქრად დაუყენა და...

„რაც უფრო შორს გაუყვები შენს საკუთარ გზას, მით უფრო მეტად დაგანახვებს შენსავე ცხოვრებას“, — გაიფიქრა სანტიაგომ.

ნამწყემსარი.— ახლა უდაბნოც მასწავლის. უდაბნო ყოვლის ძველთუძველესი მგონია, რაც კი რამ ადრე მინახავს, ყველაფერზე უფრო ბრძენი ჩანს“.

ქარი კი უბერავდა და უბერავდა, წამითაც არ ჩერდებოდა, და სანტიაგოს გაახსენდა, როგორ იგრძნო ქარის ძალა ტარიფაში კოშკის გალავანზე ასულმა. გაახსენდნენ თავისი ცხვრები, რომელთაც, ალბათ, იგივე ქარი ბურძგნიდა საზრდოსა და წყლის საძებნელად ანდალუზიის საძოვრებს მოდებულთ.

„ახლა ისინი უკვე ჩემები აღარ არიან, — ფიქრობდა იგი და მაინცდამაინც არ ნაღვლიანობდა. აღარც ვეხსომები, ახალ მეცხვარეს შეეჩვეოდნენ კიდეც. რაც არი, არი. ყველა გზა-გზა მოსიარულისა არ იყოს, ცხვრებმაც იციან, რომ გაყრა აუცილებელია“.

აქ მემაუდის ასული წამოაგონდა — რასაკვირველია, ბედს არ დაიძვირებდა, უკვე გათხოვდებოდა. ნეტავი ვისი ცოლი გახდა? იქნება სულაც მებატიბუტე არჩია ყველას? ეგების მწყემსს ვისმე გაჰყვა, რომელმაც კითხვაც იცის და არც დაუჯერებელი ამბების მოყოლა ეშლება. ამქვეყნად რა, მარტო სანტიაგო ხომ არ არის წიგნიერი მწყემსი! თავისი ნაფიქრ-ნააზრევი რატომღაც ჭკუაში დაუჯდა მეოცნებე ჭაბუკს: ვითომ რა გასაკვირია, თუ ისიც დაეუფლა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ას და დედამიწის ზურგზე აწ სუყველას აწმყოც იცის და გარდასულიც? ამ ნიჭს დედამისი „წინათგრძნობას“ ეძახდა. სანტიაგოს ახლა უკვე ესმოდა, რომ ეს სულის უეცარი, მეყსეული დანთქმაა ცხოვრების ამქვეყნიურ მდინარებაში, სადაც სუყოველი ძეხორციელის ბედ-იღბალი ერთმანეთს არის გადაბმული, რადგან ყველაფერი შუბლზე გვაწერია, ყველაფრის ცოდნა ხელგვეწიფების.

●

— **მაქთუბ,** — სანტიაგოს ბროლის ვაჭრის ნათქვამი გაახსენდა.

ქვიშრობს ხან ხირსატი ცვლიდა. თუ კაჭარს, ანუ უწყლო ალაგს რიყის მსგავს ქვალოდს რასმე წააწყდებოდა, ქარავანი გარს უვლიდა თუ ქვავნარი, კრიახი ადგილი ჰქონდა გასავლელი, გვერდს უქცევდა. თუ ქვიშა სილავდებოდა და აქლემებს შიგ ფეხი ეფლობოდათ, სხვა

გზას ეძებდნენ. ხანდახან მლაშობი, აღდაქი და ბიცი ნიადაგიც ხვდებოდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის ადგილი ნატბევარი იყო, და საპალნიანი პირუტყვი საწყალობლად ხვიხვინებდა. მეაქლემეები ქვეითდებოდნენ, აურვებდნენ, ამშვიდებდნენ პირუტყვს, მერმე მთელ ბარგიბარხანას თვითონ იკიდებდნენ ზურგზე და გზის იმ მზაკვრულ ადგილს გაივლიდნენ თუ არა, კვალად ასაპალნებდნენ აქლემებსა და ცხენებს, თუ მავანი და მავანი მეაქლემე გასატკივარდებოდა ანდა მოკვდებოდა. ამხანაგები კენჭსა ყრიდნენ: ვინ გაუძღვებოდა იმის აქლემებს.

ეს ყოველივე ერთადერთი მიზეზით ხდებოდა: რამდენიც არ უნდა ეტრიალა ულამ-ქარავანს, რამდენჯერაც არ უნდა შეეცვალა მიმართულება, მაინც განუხრელად მიიწევდა მიზნისკენ. არცრა დაბრკოლებას არ ეპუებოდა და მუდამ იმ ვარსკვლავს სდევდა, ოაზისის ადგილმდებარეობას რომ მიასწავლიდა. როგორც კი ახლად შემტრედისფერებულ ცაზე თვალს მოჰკრავდნენ მოციმციმე მთიებს, ადამიანებმა იცოდნენ, რომ ცოტაც და, იქ მივიდოდნენ, სადაც უნდა ეპოვათ სიგრილე, წყალი, პალმები, დასაფერხი. მარტოოდენ ინგლისელი იყო, ვინც თითქოს ვერცრას ამჩნევდა კიდევ ერთ ახალ წიგნში თავჩარგული.

უდაბნოსთან შებმის პირველ დღეებში სანტიაგოც ცდილობდა წიგნის კითხვას. მაგრამ მერმე მიხვდა, რომ ბევრად საგულისყურო იყო გარემრგვალად ცქერა და ქარშოშინის გაბმული ქიქინის სმენა. როგორც დედამ — მუნჯ შვილს, სანტიაგომაც მალე ისე გაუგო თავის აქლემს, შეეჩვია და შეეკვეთა კიდეც და წიგნი, როგორც ზედმეტი ბარგი გვერდზე მიაგდო. თუმცაღა, კვლავინდებურად დარწმუნებული იყო, წიგნს როცა კი გადაშლიდა, შიგ საგულისხმიერო რასმე ყოველთვის იპოვიდა.

დღესხვალეობაში სანტიაგო გვერდით მავალ, დამხარდამხარებულ მეაქლემეს შეემოყვასა, დაუყონაღდა, საღამოობით რომ დაიფერხებდნენ და კოცონს გააჩაღებდნენ, ნამწყემსარი ჭაბუკი მეაქლემე ყონაღს თავისი მეცხვარეობის ამბებს უყვებოდა.

ერთხელაც მეაქლემე თავის თავზე ალაპარაკდა:

— მე ელ-ქაირუმის მახლობლად ერთ პატარა სოფელში ვცხოვრობდი. სახლიც მქონდა და ბაღიც, წვრილშვილი კაცი ვიყავი, არცრა მაკლდა, სიკვდილამდე არხეინად ვიცხოვრებდი. ერთჯერ, როცა ნამეტნავად ფარსაგი მოსავალი მოვიდა, იმდენი ფული ვიშოვე, მექაშიც კი წავედი ოჯახიანად, მორწმუნის ვალი მოვიხადე და აწ უკვე სინდისდამშვიდებულს შემეძლო სიკვდილი. ყოველმხრივ გულსავსედ ვგრძნობდი თავს.

მაგრამ ერთხელაც მიწა იძრა, ნილოსი ნაპირებიდან გადმოვიდა. სხვისი ჭირი, ვატყობდი, ჩემი ჭირიც გახდა. მეზობლებს თავიანთი ზეთისხილის ბაღებისა ეშინოდათ, ნიაღვარმა არ წაგვილეკოსო, ჩემს ცოლს ბავშვების ბედი აწუხებდა. მე ვიდექი და გულმოკლული ვადევნებდი თვალყურს, როგორ მეღუპებოდა მთელი მონავარი.

ის წყალდიდობა იყო, და მიწა გაბერწდა, სარჩოს საშოვნელად სხვა გზას დავადექი. ეს სხვა გზა ჩემი მეაქლემეობა იყო. სწორედ იმხანად ჩავხვდი ალაჰის სიტყვების აზრს: კაცს არცრა იდუმალი რამ არ უნდა აშინებდეს, რამეთუ სუყოველს შეუძლია იმის მოპოვება, რაცა სურს და იმის მიღება, რაც ეჭირვება.

ადამიანისშვილნი, უკლებლივ, რაცა გვაქვს, იმის დაკარგვასა ვშიშნეულობთ, ეს გინდ ჩვენი ყანა იყოს, გინდ სიცოცხლე. მაგრამ ეს შიშნეულობა უმალ ქრება, როგორც კი ვხვდებით, რომ ერთი და იგივე ხელი წერს ჩვენს ბედ-იღბალსაც და სოფელ-ქვეყნის მატეანესაც.

ხანჯამიერად ორი ულამ-ქარავანი ხვდებოდა ერთმანეთს, და არცროდის ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმეს ... ქარავანმოსჩენოდა, რაც მეორეს ესაჭიროებოდა. თითქოს ქვეყნად ყველაფერი მართლაც ერთი და იმავე ხელით იყო დაწერილი-დანუსხვილი. მეაქლემეები ერთმანეთს მტვრის ქარბორბალათა ამბებს უყვებოდნენ და მერმე იქვე კოცონის გარშემო ფეხმორთხმეულნი, უდაბნოს ათასგვარ ზნეჩვეულებაზე თავთავიანთ ამა თუ იმ დაკვირვებას აბუქებდნენ.

ცეცხლთან ხან ბედუინებიც მოდიოდნენ, რომელთაც მუდამ ერთგვარი იდუმალება ახლდათ და თავიანთი ხუთი თითივით იცოდნენ ის გზა, ულამ-ქარავანი რომ მიუყვებოდა. ისინი აფრთხილებდნენ მოქარავნეებს, სად იყო ყაჩაღ-ავაზაკთა ანდა ველურ ტომთა თავდასხმა მოსალოდნელი, და მალე ისევე უჩუმრად უჩინარდებოდნენ., როგორც ჩნდებოდნენ ხოლმე, თითქოსდა წყვდიადში ინთქმებოდნენ.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს მიეახლოვა ერთი მეაქლემე კოცონს, რომელთანაც სანტიაგო და ინგლისელი ისხდნენ.

— ხმა მოვიდა, ტომებს შორის ომიანობააო, — აცნობა მეაქლემემ.

წამიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეში სანტიაგომ იგრძნო, დასტურ როგორ მოიცვა ჰაერი განგაშმა, და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მართლაც გაეგებოდა უხმო ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა.

სიჩუმე ინგლისელმა დაარღვია, მაგ ომიანობის ამბავი რამდენად საშიშია ჩვენი ქარავნისთვისო, იკითხა.

— თუ ომიანობას უდაბნოში შეხვდი, უკან სავალი გზა მოჭრილია, — მიუგო მეაქლემემ. — მაშასადამე, მხოლოდ წინ უნდა იარო. დანარჩენს ჩვენ მაგივრად ალაჰი გადაწყვეტს, უბედურებასაც ის აგვაცდენს. მ ა ქ თ უ ბ, — დასძინა მან ბოლოს იდუმალი სიტყვა და გასცილდა იქაურობას.

— ტყუილად არ აქცევ ყურადღებას, რაც ქარავანს მოსდის, — უთხრა სანტიაგომ ინგლისელს, — აბა, დაუკვირდი: რამდენიც არ უნდა მიუხვ-მოუხვიოს და ხლართოს გზა, მაინც მიზნისკენ მიიწევს.

— შენც ტყუილად არ იყურები წიგნში და ტყუილად არ კითხულობ, რა არის სოფელ-ქვეყანა და რა ხდება სოფელ-ქვეყანაში, — მიუგო ინგლისელმა, — წიგნები აზრით ძალიან ჰგვანან ქარავანს.

ადამიანები, ვით ოთხფეხნიც, ახლა უფრო ციმციმ მიუყვებოდნენ გზას. უკეთუ ადრე, მოძრაობისას, მთელი დღეობით დუმდნენ, კოცონთან დაფერხილნი კი მასლაათობდნენ ხოლმე, ახლა უკვე საღამოებიც გაუსიტყვავდნენ. მალე გამძღოლმა კოცონების დანთებაც აკრძალა: ყაჩაღების ყურადღებას მივიქცევთო.

რა არი სიცივისგან თავი დაეცვათ, მოქარავნენი აქლემებსა და ცხენებს წრედ აყენებდნენ, თვითონ კი იმ წრის შიგნით თავფეხშექცევით წვებოდნენ და ეგრე გაცისკრებამდე ჭერეხივით ეყარნენ. გამძღოლი გუშაგებს ნიშნავდა, და ისინიც თოფგადაკიდებულნი მთელი ღამე გარს უვლიდნენ, თვალმოუხუჭავად იცავდნენ ბანაკს.

ერთ ღამეს ინგლისელს რატომღაც ძილი არ გაეკარა. მან სანტიაგო გაიხმო, ორივენი წრიდან გავიდნენ და ბანაკის გარშემო დაიწყეს სეირნობა. არემარეს სავსე მთვარე დაჰქათქათებდა და სანტიაგომ იგრძნო, რომ ინგლისელისთვის მთელი თავისი თავგადასავალი ჩაეწიგნა.

ინგლისელს ნამწყემსარის თავგადასავლის მეტადრე ის ნაწილი მოეწონა, ბროლეულის ქულბაქში რომ წარემატა, როცა სანტიაგო იქ ნოქრად დადგა.

— აი სამყაროს რა ამოძრავებს,—უთხრა ინგლისელმა,—ალქიმიაში ამას ქვეყნიერების სული ჰქვია. როდესაც რასმე მთელი სულითა და გულით იწადინებ, უცილოდ ქვეყნიერების სულის ზიარი ხდები. ის სული კი უზარმაზარ ძალას შეიცავს.

და დასძინა, ეს თვისება მარტო ადამიანებს არ ახასიათებთო, სული ამქვეყნად ყველაფერსა აქვსო, გინდ ქვა იყოს, გინდ მცენარე, პირუტყვი ანდა აზრიც კიო.

— რაც რამ დედამიწაზეა გაჩენილი, მუდმივად იცვლება, ვინაიდან თავად მიწაც ცოცხალი არსებაა და იმასაც უდგას სული. ჩვენ ყველანი ამ სულის ნაწილი ვართ. ამიტომაც არის, რომ ვერ შეგვიგნია, რა სიკეთის მქნელია ის სულმუდამ ჩვენთვის. მაგრამ იმ ქულბაქში, სადაც ნოქრობდი, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ბროლიც კი ხელს უწყობდა შენს წარმატებას.

სანტიაგო გაკრინტული უსმენდა, ხან მთვარეს ასცქეროდა, ხანაც თეთრ ქვიშას აშტერდებოდა.

— მე ვნახე, როგორ მიუყვება ქარავანი უდაბნოს, — თქვა მან დასასრულ, — ორივენი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, ამიტომაც არ ულობავს უდაბნო ქარავანს გზას, თანაც ყოველ ნაბიჯს უმოწმებს, სცდის და მხოლოდ მაშინ მიაყენებს ოაზისს, თუ დარწმუნდა, რომ ქარავანი უზადოდ ეწყობა და ეხმატკბილება. მაგრამ თუ ვინმე ამ ენას ვერა ფლობს და მარტოოდენ თავისი ვაჟკაცობის იმედად არის, ის მგზავრობის პირველსავე დღეს დაიღუპება.

ახლა ორივენი მთვარეს ასცქეროდნენ.

— ნიშნების ჩხიბვაც სწორედ ეგ არის, — დასტური დასცა სანტიაგომ, — მე ვხედავ, როგორ კითხულობენ ჩვენი ეტიკნი, გზის მცოდნენი, უდაბნოს ნიშნებს და მესმის, როგორ ელაპარაკება ქარავნის სული უდაბნოს სულს.

დიდი ხნის დუმილის შემდეგ ინგლისელმაც გამოაგო ენა:

— ჩანს, ქარავანს მეც უნდა მივუგდო ყური.

— მე კი შენს წიგნებს უნდა დავეწაფო, — მიუგო სანტიაგომ.

●

**ფრიად** უცნაური ეთქმოდა იმ წიგნებს. შიგ ლაპარაკი იყო სინდიყსა და მარილზე, მეფეებსა და ურჩხულებზე. სანტიაგო ცდას არ აკლებდა, მაგრამ ვერაფერს იგებდა. ერთ აზრს კი, რომელიც სუყველა წიგნში მეორდებოდა, მაინც ჩასწვდა: ამქვეყნად ყოველივე ერთისა და იმავის ნაირგვარი გამოვლინებაა.

ერთ-ერთი წიგნიდან შეიტყო, რომ ალქიმიის ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი რამდენიმე განაწერა-სტრიქონი ზურმუხტის, იგივე სმარაგდის თუ ზმურის, ზედაპირზეა არეკლილი.

— მაგას „ზურმუხტის ფიქალი" ეწოდება, — უთხრა ინგლისელმა, იმით თავმოწონებულმა, რომ თავისი თანამგზავრისთვის რაღაცის სწავლება შეეძლო.

— მაშ, აბა, ეს ამდენი წიგნი რაღა საჭიროა?

— მაგ რამდენიმე განაწერა-სტრიქონის გასაგებად [illegible] საჭირო, — მიუგო ინგლისელმა არცთუ მაინცდამაინც დარწმუნებულისკენ კილოთი.

ყველაზე მეტად სანტიაგო იმ წიგნმა დააგულისყურა, რომელშიც სახელგანთქმული ალქიმიკოსების ამბები იყო მოთხრობილი. წიგნში ხსენებულთაგან სუყველას მთელი თავისი ცხოვრება ლაბორატორიებში ლითონის დახალისების საქმისთვის შეეძლვნა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მრავალი და მრავალი წლის მანძილზე თუ დაამუშავებდნენ რომელსამე ლითონს, ბოლოსა და ბოლოს ის ლითონი პირწმინდად დაკარგავდა ყველა თავის ნიშანდობლივ თვისებას და სანაცვლოდ ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს  ს უ ლ ს  ჩაიდგამდა. მეცნიერნი მხოლოდღა მაშინ შეიძლებდნენ დედამიწის ზურგზე არსებული რაგინდარა საგნის აზრისა და არსის გაგებას. რამეთუ დასტურ ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს  ს უ ლ ი ა  ის ენა, რომელ ენაზეც ისინი, ის საგნები, ერთმანეთს ელაპარაკებიან. ამ აღმოჩენას ეს მეცნიერნი  დ ი ა დ  ნ ა ქ მ-ქ მ ნ ი ლ ე ბ ა ს, ანუ  ა ღ ნ ა ქ ვ ს ს  უწოდებენ და ორი ელემენტისგან შედგენილად მიიჩნევენ: ერთი ელემენტი მკვრივია, მეორე თხიერი.

— ვითომ რა, ამ ენის ასათვისებლად საკმარისი არ იქნებოდა, თუ უბრალოდ ადამიანებსა და ნიშნებს შევისწავლიდით? — იკითხა სანტიაგომ.

— ყველაფრის გაუბრალოება ნუ გიყვარს! — გაღიზიანებულმა მიუგო ინგლისელმა. — ალქიმია მკაცრი მეცნიერებაა, სახუმარო არ გეგონოს. ის მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ჩვენი სუყოველი ნაბიჯი სრულად შეესაბამებოდეს იმ სწავლას, რასაც ჟამთა მჭვრეტნი, ანუ ბრძენკაცნი გვასწავებენ თუ გვაუწყებენ.

ნამწყემსარმა შეიტყო, რომ  დ ი ა დ ი  ნ ა ქ მ-ქ მ ნ ი ლ ე ბ ი ს  თხიერ ელემენტს  უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს  ე ლ ე ქ ს ი რ ი  ჰქვია, რომელიც ალქიმიკოსის სიცოცხლის გახანგრძლივების გარდა, ყველანაირ ავადობასა კურნავს, ხოლო მკვრივი ელემენტი  ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი  ქ ვ ა ა.

— ეგ ქვა ძნელი საპოვნელია, — წარმოთქვა ინგლისელმა. — ალქიმიკოსები წლობით სხედან თავიანთ ლაბორატორიებში და აკვირდებიან, როგორ ხალასდება ლითონი. ისინი ისე ხშირად და ისე ხანგრძლივ ჩაიცქირებიან ცეცხლში, თანდათან ყოველგვარ ამქვეყნიურ ამაოებას თავს აღწევენ და ერთ მშვენიერ დღეს ამჩნევენ, რომ ლითონის დახალისებასთან ერთად თავადაც განიწმინდნენ.

აქ სანტიაგოს ბროლის ვაჭარი წამოაგონდა, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, ჭიქებს როცა რეცხავ, შენს სულსაც ასუფთავებ ნაგვისგანო. ნამწყემსარი სულ უფრო რწმუნდებოდა რომ ალქიმიის სწავლა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეიძლებოდა.

— გარდა ამისა, — განაგრძობდა ინგლისელი, — ფილოსოფიურ ქვას ერთი მეტად განსაცვიფრებელი რამ თვისება აქვს: ამ ქვისა სულ

პაწაწინა ნაფრცხენიც საკმარისია, რომ რაგინდარა ლითონის რაგინდარა ოდენობა ოქროდ აქციოს.

ამის გაგონება იყო, და სანტიაგო ალქიმიამ კიდევ უფრო დააგულისყურა. მთავარია, რომ მოთმინება მეყოსო, იფიქრა, თორემ არცრის ოქროდ ქცევა არ გამიჭირდებაო. მით უმეტეს, უკვე წაკითხული ჰქონდა, ვისაც ეს მოეხერხებინა: გინდ ჰელვეციუსი თქვი, გინდ ელიასი, ფულკანელი თუ ჰებერი, რომელთა თავგადასავალიც ოცნების ზღვაში დააცურებდა. ჩამოთვლილთაგან თავისი გზასავალი ყველამ უკლებლივ ბოლომდე განვლო. ისინი მთელ ქვეყანას იყვნენ მოდებული, გზადაგზა ბევრ ბრძენ მეცნიერს ხვდებოდნენ და სასწაულთაც ახდენდნენ, რათა ურწმუნონი გაეწბილებინათ. ურწმუნოთა გაწბილებას კი იმით ახერხებდნენ, რომ ბოლოსა და ბოლოს ფილოსოფიური ქვაც ხელთ ეპყრათ და უკვდავების ელექსირიც.

მაგრამ როცა სანტიაგომ წიგნების მიხედვით სცადა გარკვევა, თუ მაინც რა არის დიადი ნაქმ-ქმნილება, ჩიხში, მოექცა: უამრავი უცნაური და თავსატეხი სურათის გარდა, იქ მხოლოდ გაუთავებელი იწილობიწილო და აჭიაბაჭია ამოიკითხა.

●

— **ყველაფერს** აგრერიგად რატომ ხვლანჯავენ და აიკლიკანტურებენ ეს ალქიმიკოსები? — ჰკითხა სანტიაგომ ერთ საღამო ხანს ინგლისელს, რომელსაც უთავისწიგნებოდ აშკარად მოეწყინა.

— რატომ და, ალქიმიკოსთა გაგების უნარი მხოლოდ იმას შესწევს, ვისაც სრულად შეუგნია ის პასუხისმგებლობა, რაც ალქიმიკოსობას უკავშირდება. წარმოიდგინე, რა ამბავი დატრიალდებოდა, ვინც მოიწადინებდა, სუყველას რომ ოქროდ ექცია ბრპენი. დიადი ნაქმ-ქმნილების მუღამი მარტოოდენ შეუპოვართათვის და მცოდნეთათვის ხდება საცნაური. აი, რატომ ვარ ახლა აქ, ამ შუაგულ უდაბნოში. როგორც არ უნდა გამიჭირდეს, მაინც უნდა მოვიძიო ის ნამდვილი ალქიმიკოსი, ვინც საიდუმლო ჩანაწერებს ამომაკითხვინებს.

— მაინც როდის არის ეს წიგნები დანუსხვილი?

— მრავალი საუკუნის წინათ.

— მერედა, მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ იყო სტამბა. გინდა ასე თქვი, გინდა ისე, სულერთია, ალქიმიის დაუფლება ყველას სულაც არ შეუძლია, რატომ არის ეს ყოველივე ასეთი იდუმალი ენით შეთხზული და სურათებიც ასეთი ძნელგასაგები?

ინგლისელს არცრა უპასუხია. მხოლოდ მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა, უკვე რამდენიმე დღე ქარავანს ყურადღებით ვადევნებ თვალყურს, მაგრამ ახალი არა შემიმჩნევია რაო. ერთი მარტო ეგ არის, ტომებს შორის ომიანობაზე ლაპარაკი მოხშირდაო.

●

**რამდენიმე** დღეში სანტიაგომ ინგლისელს ნათხოვარი წიგნები დაუბრუნა.

— ჩასწვდი რასმე? — ნახევრად ირონიულად და ნახევრად იმე-

დიანად ჰკითხა ინგლისელმა: უნდოდა, რომ ერთი ვინმე მაინც ჰყოლოდა გვერდით, ვისაც თავის გულისნადებს გადაუშლიდა, რათა შემაშფოთებელი აზრები მოეშორებინა.

— რაც მთავარია, ჩავწვდი, რომ ცამრგვალს მართლა ჰქონია სული, და ვინც ამ სულს ჩახვდება, ის სუყოველი ღვთის გაჩენილის ენასაც გაიგებს. კიდევ ისიც შევიტყვე, რომ ბევრმა ალქიმიკოსმა იპოვა თავისი გზა-სავალი და მიაგნო ქვეყნიერების სულს, ფილოსოფიურ ქვასა და უკვდავების ელექსირს, — თქვა ნამწყემსარმა და ზედვე მოაყოლა: — თანაც ისე მარტივია და ისე უბრალოდ ხდება ეს ყოველივე, რომ სულ ადვილად დაეტევა ზურმუხტის წახნაგზე.

ინგლისელმა იგრძნო, რომ იმედი გაუცრუვდა. სანტიაგოზე არცრას მოეხდინა შთაბეჭდილება, — არც იმას, რომ მან ესოდენ დიდი ხანი მოანდომა სწავლას, არც ჯადოსნურ სიმბოლოებს, არც ძნელსაცნაურ სიტყვებს, არც სითხის გამოსახდელ ხელსაწყოებსა და სინჯარებს.

„მეტისმეტად ჩამორჩენილი ჩანს, რასაკვირველია, ვერ გაიგებდა“, — გაიფიქრა ინგლისელმა, მერმე მიიტანა თავისი წიგნები და აქლემს რომ ჩემოდანი ეკიდა, იქ ჩატენა.

— მაშ, აბა, მიდი, შენს ქარავანს მიხედე, — უთხრა მან სანტიაგოს, — მაგ ქარავნისგან მე იმდენი ხეირი ვნახე, რამდენიც შენ ჩემი წიგნებისგან იხეირე.

და სანტიაგომ კვლავ მიაყურადა უდაბნოს მდუმარებას, კვლავ გააყოლა თვალი აქლემთა ფეხთაგან აყენებულ ქვიშის კორიანტელს.

„ყველას თავისი ხერხი აქვს სწავლისა, — გაიფიქრა მან, — მაგისას ჩემი არ უდგება, ჩემსას კი — მაგისი. მაგრამ ორივენი ჩვენ-ჩვენს გზას ვეძებთ, და არ იქნება თუნდაც მარტო ამისთვის არ მივაგო პატივი.

●

**ქარავანი** აწ ღამ-ღამ მიუყვებოდა გზას. ჟამისად ბედუინები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, გამძღოლ-ეტიკს რაღაცას ატყობინებდნენ. სანტიაგოს შემოყვასებულმა მეაქლემემ გადაწყვეტილად თქვა, ტომებს შორის ომიანობა მაინც ატეხილაო. ოაზისამდე თუ მივაღწიეთ, დიდი ბიჭობაა.

აქლემებსა და ცხენებს არაქათი ელეოდათ, ადამიანები სულ უფრო მდუმარებდნენ, და ღამის სიჩუმეში ცხენების ხვიხვინი თუ აქლემების ფრუტუნიც კი, რაც ადრე უბრალოდ ხვიხვინი თუ ფრუტუნი იყო, ახლა უკვე ყველას შიშის ზარსა სცემდა, ვაითუ მტერი გვიახლოვდებაო.

თუმცაღა, თავად მეაქლემეს მოახლოებული საფრთხე არ აშინებდა.

— რახან ფეხზე ვდგავარ, ცოცხალი ვარ, — ესიბრძნებოდა მეაქლემე ერთხელ სანტიაგოს, როცა არც მთვარე ანათებდა ცაზე და არც კოცონი ენთო, — რახან ახლა ინდის ხურმას, ანუ დანაკისკუდსა ვჭამ, მაშასადამე, სხვას არცრას ვიქმ. როცა გზაში ვარ და მივდივარ, მაშა-

სადამე, სხვა საქმე არცრა მაქვს. თუ ბრძოლა მომიხდა, ის დღეც ისევე კარგი იქნება სიკვდილისთვის, როგორც სუყველა სხვა დღე. ვინაიდან მე წარსულში კი არა ვცოცხლობ ანდა მომავალში, არამედ ახლა ვარ და მხოლოდ აწინდელი ყოფნა მიტაცებს. თუკი მუდამჟამს აწმყოში ყოფნას შეიძლებ, სიკვდილისშვილთაგან ყველაზე ბედნიერი იქნები. მაშინ მიხვდები, რომ უდაბნო უსიცოცხლო არსება არ არის, რომ ცაზე ვარსკვლავები ანათებენ და მეომარნიც იმიტომ იბრძვიან, რაკი ადამიანთა მოდგმას მიეკუთვნებიან. სიცოცხლე მაშინ მარადიულ და ერთ გაუთავებელ დღესასწაულად გექცეოდა, რადგან სიცოცხლეში სხვა არა იქნებოდა რა, ამჟამინდელი წუთისყოფის გარდა.

ორი დღე-ღამის შემდგომ, როცა მოქარავნენი დასაძინებლად წვებოდნენ, სანტიაგომ ოაზისისკენ მიმავალი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს ახედა. მოეჩვენა, რომ ცის, კინკროს, ანუ თვალსაწიერის ხაზი უფრო დაბლა ჩანდა: უდაბნოს თავზე დამხობილ ცაში უთვალავი ვარსკვლავი კიაფობდა. და ამ ვარსკვლავიანი ცის შემყურეს ერთ-ერთ ინგლისელისეულ ძველ წიგნში ამოკითხული სიტყვა „ჰუბუტი“ გაახსენდა და ყურშიც ჩაესმა თითქოს: ვარსკვლავთ ადგილსა რასმე ეწოდების არაბთა ენითაო.

— ეგ ოაზისია, — უთხრა მეაქლემემ.

— მერე, რატომ არ მივდივართ?

— ჯერ ცოტა უნდა წავუძინოთ.

●

**სანტიაგომ** თვალები მაშინ ჭყიტა, როცა მზე ცის დასალიერიდან ამოიწვერა. იქ კი სადაც ღამით ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ახლა ფინიკის პალმების ხშირ ტევრს დაეპყრო თითქმის მთელი უდაბნო.

— მივედით! — შეჰყვირა ინგლისელმა, რომელსაც აგრეთვე ის იყო გაღვიძებოდა.

სანტიაგოს ხმა არ ამოუღია, გაყუჩდა. აგრერიგად ყუჩილი უდაბნოსგან ესწავლა, და ახლა უბრალოდ ხეების ცქერაც ჰყოფნიდა. პირამიდებამდის ჯერ კიდევ შორს იყო. ოდესმე ეს დილაც მხოლოდღა მოგონებად ექცეოდა. მაგრამ ამჟამად აწინდელი წუთით ცხოვრობდა და შეჰხაროდა კიდეც, როგორც მეაქლემემ ასწავლა, და ცდილობდა, რომ ეს წუთი როგორმე წარსულის მოგონებებთან და მერმისის ოცნებებთან დაეკავშირებინა. ცხადია, ეს პალმის ტევრიც ოდესმე მოგონებად იქცეოდა, მაგრამ ამწუთას იგი სიგრილეს, წყალსა და უხიფათობას ნიშნავდა. და თუ აქლემის ღამეული შფოთვა იქნებ მტრის მოახლოების ნიშანი იყო, პალმის ტევრი გადარჩენის სასწაულს იუწყებოდა.

„ცამრგვალი მრავალ ენაზე მეტყველებს, — გაიფიქრა სანტიაგომ.

●

„**დრო** როცა სწრაფად მიფრინავს, ულამ-ქარავანიც ნაბიჯს აჩქარებს“, — ოაზისის მიჯნას მომდგარ მოქარავნეთა და პირუტყვთა ცქერისას გულში გაივლო ალქიმიკოსმა.

ირგვლივ ადგილობრივთა და ახალმოსულთა ყივილ-ხივილი იდგა, მზეს მტვერ-ბუქი ფარავდა, ბავშვები უცხოთა თვალიერებაში იყვნენ,

ხტოდნენ და იყო ერთი ბასტიბუბუ. ალქიმიკოსი ტომის ბელადებს ადევნებდა თვალყურს. ისინი ულამ-ქარავნის წამძღოლ-ეტიკს მიუახლოვდნენ და საუბარი გაუბეს.

თუმცა ეს ყველაფერი ალქიმიკოსს აინუნშიაც არ მოსდიოდა, მომსვლელ-წამსვლელი აქ მუდამ ბევრი იყო, ოაზისი, ანუ ერთადერთი საშუალო უდაბურისა, და უდაბნო კი არცროდის ნირს ან იცვლიდნენ, რაც იყვნენ, იყვნენ. ამ ქვიშისთვის მეფეებსაც დაუდგამთ ფეხი და მათხოვრებსაც, ქარს ხან ალმა წაუღია და ხან უკულმა, თავის ნებაზე უტრიალებია და უკორიანტელებია, მაგრამ ისიც კვლავ ისეთივე რჩებოდა, როგორც ალქიმიკოსს ბავშვობიდან ახსოვდა. და მაინც ერთბაშად გადაედებოდა ხოლმე ის სიხარული, თითოეული მოგზაურის სულში რომ ჩნდებოდა, რაჟამს ყვიჟილი, ანუ იისფერი ლურჯი ცისა და ყვითელი ქვიშის ნაცვლად თვალი პალმების ქოჩად შეკრულ მწვანე ვარჯ-ქოჩორს დაინახავდა.

„იქნებ ღმერთმა სულაც იმად შექმნა უდაბნო, რათა ადამიანი ხეებს ულიმოდეს“, — გულში ისიტყვა ალქიმიკოსმა.

თან საქმეო, იზრახა შემდეგ. მან უწყოდა, ნიშნებმა უკარნახეს — რომ იმ ულამ-ქარავანს მავანი და მავანი კაცი მოჰყვებოდა, რომლისთვისაც თავისი იდუმალი ცოდნა უნდა გაენდო. მართალია, არც იცოდა, რას წარმოადგენდა ის კაცი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ გამოცდილი თვალით უმალ გამოარჩევდა ბრბოდან, და იმედოვნებდა, თავის წინამორბედზე უარესი არ იქნებაო.

„ვერ გამიგია, რაც რამ ვიცი, საიდუმლოდ რატომ უნდა გავანდო იმას, — ფიქრობდა ალქიმიკოსი, — თუმცა, რა მესაიდუმლოება, როცა ღმერთი სუყოველ სულდგმულს წადიერად უმხელს თავის ხვაშიადს“.

ალქიმიკოსი ამ ამბავს ერთ ახსნას უძებნიდა: რაც რამ სხვას უნდა გავანდოთ, ნაყოფია უზაკველი ცხოვრებისა, რის აღბეჭდვაც სიტყვებში თუ სურათებში ძალზე საძნელოა. მით უმეტეს, ადამიანები სიტყვებითა და სურათებით უფრო მეტად იხიბლებიან და ბოლოს და ბოლოს საყოველთაო ენას ივიწყებენ.

●

**ახალმოსულნი** დაუყოვნებლივ ადგილობრივ ბელადებს მიჰგვარეს. სანტიაგო თვალებს არ უჯერებდა: ოაზისი სულაც არ გამოდგა ორიოდე პალმით გარშემორტყმული ჭა, როგორც ეს ერთ-ერთ ძველ წიგნში ამოეკითხა, ის კი არა, ზოგიერთ ესპანურ სოფელზე გაცილებით დიდიც იყო, ჭას იქ, სულ ცოტას, სამასამდე მაინც დათვლიდა კაცი, პალმა კი ორმოცდაათი ათასი ძირი იდგა, რომელთა შორის აურაცხელი ფერად-ფერადი კარავი გაეშალათ.

„ათას ერთი ღამე“, — წართქვა ინგლისელმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, სანამ ალქიმიკოსს შეხვდებოდა.

მოქარავნეებს უმალ ბავშვები შემოეხვივნენ, ისინი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ ცხენებს, აქლემებსა და ადამიანებს. კაცები ომიანობის ამბებს ეკითხებოდნენ, გზაში სადმე ბრძოლაში ხომ არ მო-

ხვდითო. ქალებს კი იმის გაგება სურდათ, რა ქსოვილები და ფერადი ქვები მოეტანათ ვაჭრებს. უდაბნოს მდუმარება ახლა უკვე შორეულ ზმანებად აღიქმოდა — იყო ერთი გაუთავებელი ყაყანი, სიცილი და ხარხარი, ჟრიამულს მიჰქონდა იქაურობა, და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მოქარავნენი ადრე უხორცო სულნი იყვნენ, ანდა ქაოსავ ხორციც დაებრუნებინათ, ძვალიც და ადამიანებად ქცეულიყვნენ. ყველანი გულსავსენი და ბედნიერნი ჩანდნენ.

როგორც მეაქლემემ აუხსნა სანტიაგოს, სუყველა ოაზისი სულ მუდამ არცვის მიწად იყო მიჩნეული, რადგან იქ უმეტესად ქალები და ბავშვები ცხოვრობდნენ. და რასან არავისად მიაჩნდათ, იქაურნი არც ამათ მხარეს იყვნენ, არც იმათ მხარეს, მეომრები ერთმანეთს უდაბნოში ებრძოდნენ, ხოლო ოაზისებს თავშესაფრად იტოვებდნენ.

წამძღოლ-ეტიკმა მოქარავნენი რის ყოფით შეკრიბა და გამოუცხადა, ქარავანი ოაზისში მანამდე დარჩება, სანამ ტომთა შორის შუღლი არ ჩაქრებაო. ყველანი ადგილობრივი მოსახლეობის კარვებში იცხოვრებთ, სტუმარ-მასპინძლობა აქ უმაღლესი წესიაო. შემდეგ ყველას იარაღის ჩაბარება სთხოვა, გამონაკლისად არც ისინი მიუჩნევია, ვინც ღამ-ღამ ქარავანს სდარაჯობდა.

— ასეთია ომის წესი და რიგი, — აუხსნა მან, — ოაზისს არ ეგების ჯარისკაცისა თუ მეომრის მილება.

სანტიაგო ძალიან გაკვირდა, როცა ინგლისელმა ჯიბიდან მოქრომილი რევოლვერი დააძრო და იარაღის შემგროვებელს ჩააბარა.

— რად გინდა რევოლვერი? — ჰკითხა მან ინგლისელს.

— რად მინდა და, ადამიანების ნდობას მასწავლის, — მიუგო ინგლისელმა, რომელიც ძალიან კმაყოფილი იყო, რაკი მალე ეწეოდა საწადელს, რისთვისაც ამხელა გზა გამოევლო.

სანტიაგო კი ისევ თავის უნჯ-განძზე ფიქრობდა. რაც უფრო ახლოს იყო თავისი ოცნების შესრულებასთან, მით უფრო მეტი და მეტი სიძნელე ხვდებოდა გზაზე. რასაც მოხუცი მეფე მელქისედეკი „ახალგზედათათვის ბედის წყალობას“ ეძახდა, აღარ მოქმედებდა, როგორც თავად ესმოდა და გაეგებოდა, ახლა იმ ადამიანის შეუპოვრობა და შემართება ჭრიდა, რომელი ადამიანიც თავისი ცხოვრების გზა-სავალს ეძებდა. ამიტომ იყო, რომ არ შეეძლო არც აჩქარება, არც მოთმინების დაკარგვა. სხვაგვარად იქნებ ვერც შეემჩნია ის ნიშნები, უფალი გზა-გზა რომ ახვედრებდა.

„უფალი გზა-გზა მახვედრებს“, — გაიმეორა მან თავისთვის და თავადვე გააკვირვა ამ აზრმა. დღესაქამომდე ყოველთვის ეგონა, სუყველა ეს ნიშანი სოფელ-ქვეყნის ნაწილიაო, იგივეა, რაც შიმშილი ან წყურვილია, რაც სიყვარულის ან სამუშაოს ძებნაა. სულაც არა ჰგონებდა, რომ ეს ის ენა იყო, რომელ ენაზედაც უფალი ელაპარაკებოდა და საქმნელს აგებინებდა.

„ნუ იჩქარებ, — შეაგონა მან თავისივე თავს, — როგორც მეაქლემე ამბობდა, ჭამის დროს უნდა ჭამო, ხოლო წასვლის საათი როცა დაჰკრავს, გზას უნდა გაუდგე“.

პირველ დღეს ნამგზავრი მოქარავნენი, ინგლისელის ჩათვლით გამოძინებას მოუნდნენ. სანტიაგოს თავის კბილა სხვა ხუთ ჭაბუკთან ერთად მიუჩინეს კარავში ადგილი. ის ხუთივენი ადგილობრივნი იყვნენ და ძალიან ეწადათ გაგება, დიდ ქალაქებში ხალხი როგორ ცხოვრობდა.

ნამწყემსარმა უკვე მოასწრო თავისი მეცხვარეობის ამბის მოყოლა და ის იყო მებროლესთან მუშაობაზე უნდა გადასულიყო, რომ კარავში ინგლისელი შემოვიდა.

— მთელი დილა შენ დაგეძებ, — უთხრა სანტიაგოს და გარეთ გაიყვანა, — ძალიან მჭირდები, დამეხმარე, ალქიმიკოსი მაპოვნინე.

ისინი ალქიმიკოსს ორი დღე და ღამე ცალ-ცალკე დაეძებდნენ, ვარაუდი ეჭირათ, რომ ის სხვებისგან განსხვავებულად ცხოვრობდა და იმის კარავში უთუოდ სულ მუდამ ენთო ყვერბ-სახმილი. ოაზისის ხან ერთი კიდეგანი მიჩხრიკ-მოჩხრიკეს, ხან მეორე, მანამ იარეს, სანამ არ მიხვდნენ, რომ ის ბევრად დიდი იყო, ვიდრე პირველად ეჩვენათ, — იქ არა ერთი და ორი ასეული კარავი იდგა.

●

— **მთელი** დღე ტყუილად დავკარგეთ, — თქვა ინგლისელმა და ერთ-ერთ ჭასთან დაჯდა.

— ხალხში უნდა გაგვეკითხ-გამოგვეკითხა, — უთხრა სანტიაგომ.

მაგრამ ინგლისელი ყოყმანობდა — თავისი იქ ყოფნის გამჟღავნება არ უნდოდა. ბოლოს მაინც თანახმა გაუხდა და სთხოვა სანტიაგოს, რომელიც არაბულს კარგად ლაპარაკობდა, მიდი და გაიკითხ-გამოიკითხეო. სანტიაგომაც არ დააყოვნა და ჭაზე თულუხის ასავსებად მოსულ მანდილოსანს მიმართა:

— კარგაყოფნა მითქვამს, ქალბატონო, ხომ ვერ გვეტყოდით, სად გვეპოვა ალქიმიკოსი?

მანდილოსანმა, ეგეთი ვინმე არცროდის გამიგონიაო, და წასასვლელად აჩქარდა. თუმცა, სანამ წავიდოდა, სანტიაგოს წაუსაყვედურა, ჩვენს ადათ-წესებს პატივს უნდა სცემდე და ქმრიან ქალებს, ანუ შავოსანებს, არცრა ამბავს არ უნდა ეკითხებოდეო.

ინგლისელის სასოწარკვეთილებას საზღვარი არა ჰქონდა. როგორი საქმეა — ამხელა გზა ტყუილად გამოიარო! სანტიაგოსაც თავ-პირი ჩამოსტიროდა, ინგლისელის გამო წუხდა, ვაითუ მართლა ამაოდ ეძებს თავის გზა-სავალსო. ასეთ შემთხვევაში კი, მელქისედეკის თქმით, ადამიანს მთელი ქვეყნიერება ხელს უმართავს, რათა საწადელსა სწიოს. ნუთუ ხანმრავალი მეფე შეცდა?

— ადრე ალქიმიკოსებზე არცრა მსმენია, თორემ რაღაცს ვიღონებდი, დაგეხმარებოდი, — უთხრა სანტიაგომ.

ინგლისელს თვალებში ცეცხლი გაუკრთა.

— მეტი არ არი ჩემი მტერი! — შეჰყვირა მან, — აქ არცვინ იცის, ის თუ ალქიმიკოსია! კაცი უნდა იკითხო, ჩალმოსანი, ვინც ყველა სნეულებას არჩენს.

ჭას რამდენიმე შავოსანი მანდილოსანი მოუახლოვდა, მაგრამ სანტიაგოს არცრა უკითხავს, თუმცა ინგლისელი ბევრს ეხვეწა, მიდი, ჰკითხეო. ბოლოს ჩალმოსანიც გამოჩნდა.

— ხომ არ იცით, აქ სად უნდა ვეძებოთ კაცი, ვინც ყველა სნეულებას არჩენს? — ჰკითხა სანტიაგომ.

— ყველა სნეულებას მხოლოდ ალაჰი არჩენს, — მიუგო მხუდა, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა შეათვალიერა უცხოქვეყნელნი, — თქვენ რა, ჯადოსნებს ეძებთ?

მან ყურანის რამდენიმე სურა წაიბუტბუტა და გზა განაგრძო.

ცოტა ხანში ახლა მეორე ჩალმოსანი გამოჩნდა, პირველზე ხნიერი ჩანდა, ხელში სათლი ეჭირა. სანტიაგომ იმასაც იგივე ჰკითხა.

— ნეტავი რისთვის დაეძებთ მაგისთანა ხალხს? — გაიოცა მან.

— ჩემმა მეგობარმა დიდი გზა გამოიარა, რათა ეგ კაცი ენახა.

— ჩვენს ოაზისში თუ ეგეთი ვინმეა, უეჭველად ბევრის შემძლე კაცია, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა ხნიერმა ჩალმოსანმა, — იმისი ნახვა თავიანთ ნებაზე ტომის ბელადებსაც კი არ შეუძლიათ. როცა თვითონ იმას სურს, მხოლოდ მაშინ ხვდებიან. აქ მანამ დარჩით, სანამ ომიანობაა, და მერმე წადით. ჩვენი ოაზისის ცხოვრებაში ნუ ჩაერევით, — და უმალ გაეჩქარა.

მაგრამ ინგლისელმა ალლო აართვა და, აქაოდა კვალს მივაგენიო, სიხარულით ცას ეწია.

ჭას ახლა უკვე ქმრიანი შავოსანი კი არა, მხარზე სურაშედგმული ცირა მოადგა. თავზე ქალაღაია მოეხვია, პირშეუბურველი იყო. ბარემ ამასაც ვკითხავ ალქიმიკოსის ამბავსო, იზრახა სანტიაგომ და მიეახლოვა.

და ანაზდად თითქოს დრო გაჩერდა, შედგა და ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი მთელი თავისი ძალმოსილებით დაუდგა თვალწინ. შეხედა თუ არა ქალიშვილის შავ თვალებსა და მარწყვივით ტუჩებს, რომელმა ტუჩებმაც თითქოს არც იცოდნენ, რა უნდა ექნათ: მოკუმულიყვნენ თუ ღიმილად დაღვრილიყვნენ, — სანტიაგომ წამსვე გულისხმაყო იმ ენის ყოვლის უფრო საჩინო, ყოვლის უფრო უჩვეულო რამ ნაწილი, რომელ ენაზეც ქვეყნიერება მეტყველებს და რომელსაც სუყველა ადამიანიშვილს გული აგებინებს და ახვედრებს. ამ ენას სიყვარული ჰქვია და ბევრად უძველესია, ვიდრე ძეხორციელის მოდგმა, ვიდრე თავად ეს უდაბნო. ის თვითნებურად ჩნდება, როცა ერთმანეთს ხვდებიან კაცისა და ქალის თვალები — ასე მოხდა ახლაც, ამ ჭასთან.

ცირას ტუჩებმა საბოლოოდ გაღიმება არჩიეს, და ეს იყო ნიშანი, სწორედ ის ნიშანი, რომელსაც სანტიაგო თავისდა უნებურად ეგზომ დიდხანს ელოდა, რომელსაც დაეძებდა თავის ცხვრებში და წიგნებში, ბროლში და უდაბნოს მდუმარებაში.

ეს იყო წმინდა, მკაფიო ენა და, როგორც უსასრულობაში გზახსნილი სამყარო, არც თარგმნას და არცრა ახსნა-განმარტებას არ საჭიროებდა. სანტიაგო მყისვე მიხვდა, რომ თავისი საბედოს, თავისი წერის წინაშე იდგა, და ისიც უსიტყვოდ უნდა მიხვედრილიყო, ვისაც ულიმოდა. ნამწყემსარს ამწუთას ეს უფრო მეტად სჯეროდა, უფრო მეტად სწა-

მდა მთელი გარდაუვალობით, ვიდრე თავისი დედ-მამის ღვიძლი შვილობა, რომელი დედ-მამაც აუცილებლად ეტყოდა, ქალი ჯერ უნდა შეგიყვარდეს, კარგად უნდა გაიცნო, გარიგებამდე ბლომად ფული უნდა დააგროვო და მხოლოდ მერმე უნდა ითხოვოო.

მაგრამ ამისთანა მრჩეველნი საყოველთაო ენის-გაგებაში არ არიან, ვინაიდან ამ ენას როგორც კი ჩახვდები, ცხადი ხდება, რომ შუაგულ უდაბნოში თუ სადმე დიდ ქალაქში ყოველთვის ვიღაცა ვიღაცას ელოდება და ეძებს. და როცა ამ ორი ადამიანის გზები ერთმანეთს მიადგებიან, ხოლო თვალები ერთურთს შეხვდებიან, ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს წარსულიც. მომავალიც, მხოლოდღა ეს ერთი წუთი სუფევს და კიდევ იმის წარმოუდგენელი რწმენა, რომ ყოველივე ამქვეყნად ერთი და იმავე ხელით არის შექმნილ-დანუსხვილი. ეს ხელი გულში სიყვარულს აღვიძებს და მეორე, ტყუპისცალ გულს პოულობს ყველასთვის, ვინც შრომაშია, ისვენებს ანდა ზინათეულს, განძეულს დაეძებს. სხვაგვარად სულ კნინის კნინი აზრიც არ იქნებოდა იმ ოცნებებში, აგრერიგად რომ აღელვებენ ძეადამიანის მოდგმას.

„მ ა ქ თ უ ბ“, — გაიფიქრა ნამწყემსარმა.

ინგლისელი გიჟივით წამოვარდა, სანტიაგოს მხრებში სწვდა და შეანჯღრია:

— ჰკითხე, თუ ეკითხები!

სანტიაგო ახლოს მივიდა გოგონასთან. მან ღიმილი შემოაგება, და სანტიაგომაც გაუღიმა პასუხად.

— რა გქვია? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— ფატიმა, — თავჩაქინდრულმა მიუგო ცირამ.

— საიდანაც მე ვარ, იქაც ბევრ ქალსა ჰქვია ეგ სახელი.

— აგრე ერქვა ფელთმბრის, ანუ წინასწარმეტყველის ქალიშვილს, — მიუგო ფატიმამ, — ჩვენმა მეომრებმა შორეულ მიწა-წყლებს მოჰფინეს ეს სახელი.

ამ ნაზი და კოხტა გოგონას სიტყვებში სიამაყე ჟღერდა. ინგლისელი წამისწამ აზრახებდა სანტიაგოს, და იმანაც ჰკითხა, სუყველა სნეულებას რომ არჩენს, ასეთ კაცს ვისმე ხომ არ იცნობო.

— ეგ ის კაცია, ვინც მთელი ქვეყნიერების საიდუმლოებანი იცის, — უთხრა მან, — უდაბნოში ჯინებს ელაპარაკება ხოლმე.

ჯინი დემონია. გოგონამ თითი სამხრეთისკენ გააღირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის კაცი, ვისაც ისინი ეძებდნენ, იქით ცხოვრობდა. მერმე სურა წყლით აავსო და წაგოგმანდა.

გეშაღებული ინგლისელი ალქიმიკოსის საძებნელად გაეშურა. სანტიაგო კიდევ დიდხანს იჯდა ჭასთან და ჰგონებდა, რომ ოდესღაც, ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნისას, აგრძნობინა სამხრეთის ქარმა ამ ქალის სურნელი, რომ ჯერ კიდევ უნახავად უყვარდა, რომ არც იცოდა, არსებობდა თუ არა და მაინც შესტრფოდა, და რომ ეს სიყვარული ყველანაირ ამქვეყნიურ განძზე უფრო ძვირფასი იყო.

მეორე დღეს სანტიაგო კვლავ მივიდა ჭასთან და გოგონას ლოდინი დაუწყო. თუმცა თავისდა გასაკვირად, შორიახლო ინგლისელს მოჰკრა თვალი, რომელც გულდაგულ პირველად ათვალიერებდა უდაბნოს.

— მთელი საღამო ველოდე, დაბნელებამდე,—თქვა მან,—პირველი ვარსკვლავები რომ აციმციმდნენ, ის მაშინ გამოჩნდა, ვუამბე, რისთვისაც ვარ მოსული და რასაც ვეძებ. ბრპენის ოქროდ ქცევა თუ მოგიხერხდა როსმეო, მკითხა. შენთან სწორედ მაგის სწავლის სურვილმა მომიყვანა-მეთქი, ვუთხარი. მან კვლავ ცდა და საცადელი მოინახა. „წადი და საცადელი არ დააკლოო", — მითხრა.

სანტიაგო გაიცქნაფა, გატვრინდა, ნუთუ იმის გულისთვის იხეტიალა ინგლისელმა ამდენი, რომ ის გაეგონა, რაც ისედაც იცოდა? და წამოაგონდა, რომ არც თვითონ რგებია სანაცვლოდ მეტი, როცა მელქისედეკს თავისი ცხვრები მიულალა.

— შენც დადექი და ნუ დააკლებ საცადელს, — უთხრა სანტიაგომ.

— არც დავაკლებ. პირდაპირ დღეიდან დავიწყებ.

ინგლისელი წავიდა, და მალე ფატიმა გამოჩნდა თავის სურიანად.

— მხოლოდ ერთი რამის სათქმელად ვარ მოსული, — უთხრა სანტიაგომ, — ცოლობა უნდა გთხოვო. მიყვარხარ.

გოგონას სურა გაუვარდა ხელიდან და წყალი დაიქცა, გალიავდა.

— აქ დაგელოდები ხოლმე. მე უნჯ-განძის საძებნელად ვარ წამოსული. სადღაც პირამიდებთან არისო. მაგრამ გზაში ამ ომმა მოგვისწრო. თავიდან ვწყევლიდი ომის მომგონს, ახლა კი ვლოცავ, რადგან შენთან მომიყვანა.

— ომი როდისმე გათავდება, — უთხრა გოგონამ.

სანტიაგომ ფინიკის პალმებს გახედა. ნამწყემსარის თვალს ოაზისში ცხვრის სიმრავლე არ გამოჰპარვია. მაგრამ ფატიმას შემყურეს აღარც განძი უჩქროლებდა გულს და აღარც ცხვარი. გოგონამ თითქოს გულისნადები გაუგოო, განაგრძო:

— მეომრები განძეულს ეძებენ. უდაბნოს ქალები კი მეომრებით ამაყობენ.

— მერმე სურა გაალიცლიცა და გაესწრაფა.

სანტიაგო ყოველდღე მიდიოდა ჭასთან. მან უკვე უამბო ფატიმას, როგორ მეცხვარეობდა, როგორ შეხვდა მელქისედეკს, როგორ ვაჭრობდა ბროლით. თანდათან შემეგობრდნენ. იმ თხუთმეტი წუთის გარდა, ისინი ერთად რომ ატარებდნენ, დანარჩენი დღე სანტიაგოსთვის ქალაქია დღედ გადაიქცეოდა ხოლმე, თითქოს აღარ ღამდებოდა.

თვის თავზე წამძღოლ-ეტიკმა მოქარავნეებს უხმო.

— ომი როდის გათავდება, არავინ იცის, — თქვა მან, — გზის გაგრძელებაზე ფიქრი ზედმეტია. ერთმანეთში ბრძოლა დიდხანს გასტანს, იქნებ წლობითაც. ყოველ მოშუღლე ტომში სულ თავგადადებული და ძალგულოვანი მეომრები არიან, ყოველი ტომი თავის ღირსებას იცავს და ბრძოლას თავს არ არიდებს. აქ კარგები და ცუდები კი არ ებრძვიან ერთმანეთს, აქ ძალაუფლებისთვის იბრძვიან, ასეთი ომები კი, ერთხელ თუ დაიწყო, მერმე დიდხანს აღარ მთავრდება, რადგან ა ლ ა ჰ ი ერთ მხარესაც სწყალობს და მეორესაც.

მოქარავნენი წავიდ-წამოვიდნენ. სანტიაგო იმ დღესაც შეხვდა ფატიმას და წამძღოლ-ეტიკის სიტყვები წვლილად ჩაუკაკლა.

— უკვე ჩვენი შეხვედრის მეორე დღესვე გამიმეღავნე შენ სიყვარული, — უთხრა ფატიმამ, — მერმე ახლა ისიც გამაგებინე, თუ რა არის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა დ ა ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი. თანდათან შენი ნაწილი გამხადე.

სანტიაგო უსმენდა ფატიმას, და იმისი ხმა ფინიკის ბალმებში მონავარდე ნიავის შრიალზე უფრო საამოდ ჩაესმოდა.

— მე უკვე რა ხანია, რაც ამ ჭასთან გელოდები. აღარც ჩემი წარსული მახსოვს, აღარც ჩვენი ადათ-წესები. ისიც დამავიწყდა. ჩვენი ტომის კაცების აზრით, როგორ უნდა იქცეოდეს გასათხოვარი გოგო. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მჯეროდა, რომ უდაბნო ერთხელაც გაუგონარ არმაღანს რასმე შემძღვნიდა, და აკი მაჩუქა კიდეც შენი თავი.

სანტიაგომ, ხელს ჩავჭიდებო, მაგრამ ფატიმამ ორივე ხელით სურა მიიხუტა მკერდზე.

— მე სულ ზეპირად ვიცი შენი სიზმრების, მოხუცი მელქისედეკ მეფისა და უნჯ-განძის ამბები. ნიშნებზეც ბევრი გიამბია. ამიტომაც აღარცრა მაშინებს, რადგან სწორედ ამ ამბებმა გაგხადეს ჩემი, მე კი შენი ოცნების, შენი ბ ე დ-ი ღ ბ ლ ი ს ნაწილი ვარ.

ამიტომაც მინდა, რომ არ გაჩერდე და რასაც ეძებ, კვლავაც განაგრძო იმისი ძებნა. თუ ომის გათავებამდე აქ დარჩი, ქვეყანა არ დაინგრევა. მაგრამ თუ ადრე წახვედი, წადი და ეძიე შენი ბ ე დ-ი ღ ბ ა ლ ი. ქარი სახეს უცვლის ქვიშის ბარხანებს, უდაბნო კი მაინც იგივე რჩება. იგივე დარჩება ჩვენი სიყვარულიც.

მ ა ქ თ უ ბ.

თუკი მე შენი ბ ე დ-ი ღ ბ ლ ი ს ნაწილი ვარ, ოდესმე აუცილებლად დამიბრუნდები.

●

**სანტიაგოს** გული ატკინა ამ საუბარმა. მიდიოდა და თან ფიქრობდა, რა ძნელი იყო ზოგიერთი თავისი მონამგლე მწყემსისთვის სახლობა-ჯალაბობის დაჯერება, რომ შორეულ იალაღ-საძოვრებზე ცხვრის გაურეკაობას ვერ ასცდებოდა. სიყვარული კი გულის მურაზის სულ გვერდით ყოფნას მოითხოვს.

მეორე დღეს მან ეს თავისი ნაფიქრი ფატიმას უამბო.

— უდაბნოს ძალდაძალ მიჰყავს ჩვენი კაცები და ყოველთვის უკან არ გვიბრუნებს, — მიუგო მან. — ამ ამბავს უკვე შეჩვეულნი ვართ. მართალია, არ გვიბრუნდებიან, მაგრამ მაინც სულ ჩვენთან არიან: რაღა ისინი და რაღა ჩამოუწვიმებელნი ღრუბელნი, ქვებსა და ქვებს შუა მიმალულნი ნადირნი, მიწისგან წყალობასავით ნაბოძვარი წყალი. ისინი ყველაფრისა და ყოველივეს ნაწილნი ხდებიან... ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ს ერთვიან. უთენდებათ, უკლებლივ ყველანი ხარობენ, რადგან შინმოუსვლელთა ცოლებსაც იმედი უჩნდებათ, ჩვენი ქმრებიც ოდესმე დაგვიბრუნდებიანო. ადრე ამ ქალებს შურის თვალით ვუცქეროდი. ახლა მეც მოგილოდინებ.

მე უდაბნოელი ქალი ვარ და მეამაყება. ქმარიც ქვიშის ამკორიან-

ტებელი ქარივით ლაღი მინდა. ისიც ღრუბელთაგან, ნადირთაგან და წყლისგან განუყოფელი მენიაზება.

სანტიაგო ინგლისელის საძებნელად წავიდა. ფატიმას ამბის მოყოლა უნდოდა და სასტად დარჩა, კარვის შორიახლო სინჯარამეშოდგმულ ცეცხლთან მოფუსფუსეს რომ მოჰკრა თვალი. ინგლისელი ყვერბ-სახმილს ჩინჩხვარს უკეთებდა, სანაც სახმელებელს ამგელეზეკეთან სულს უბერავდა, გაღვივდესო, და ხამუშად უდაბნოსკენ გაიყურებოდა. თვალებში უცხო რამ ციაგი გასჩენოდა, უცხო რამ ცინცხალ-ნაპერწკალი, რაც სულაც არ ეტყობოდა ადრე, როცა ხან ერთ წიგნს ჩაპკირკიტებდა, ხან მეორეს.

— ეს სამუშაოს პირველი საფეხურია, — აუხსნა მან სანტიაგოს, — ვიცი, თანდათან ავინაბიჯებ. პირველში შერეული გოგირდი უნდა ჩამოვაცილო. მთავარია, არაფერი გამომივა-მეთქი, შიში არ მომერიოს. სწორედაც შიშის ბრალია, დღევანდლამდის ხელი რომ ვერ მივყე ღ ი ა დ ნ ა ქ მ-ქ მ ნ ი ლ ე ბ ა ს, ანუ ა ღ ნ ა ქ ვ ს ს. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ შემეძლო ამის ქმნა, რასაც ახლა ვიქმ. კიდევ კარგი, ათი წელიწადი დამაგვიანდა და არა ოცი.

და კვლავაც ყვერბ-სახმილში ჩინჩხვრის შეკეთება და უდაბნოსკენ ხამუშად ცქერა განაგრძო. სანტიაგო გვერდიდან მანამ არ მოშორებია, სანამ ღანღალაგამოლეული ჩამავალი მზის შარავანდედმა გათვალუწყდენებული ქვიშის ზღვა სულ ერთიანად არ გაავარდისფრა. ამწუთას ნამწყემსარი ჭაბუკი იქით, უდაბნოში გაჭრის ერთადერთ აუტანელ სურვილს შეეპყრო — წავალ, გამოვცდი, იქნება სულაც უდაბნოს მდუმარებას მოენახოს რამე პასუხი ჩემს არა ერთ და ორ შეკითხვაზეო.

●

**სანტიაგო** დიდხანს მიბორძიკობდა უგზო-უკვლოდ, მხოლოდ ხანდახან თუ გამოხედავდა ფინიკის პალმებს, რათა თვალთაგან არ დაჰკარგოდა ოაზისი. ყურთ ქარის ხმა ჩაესმოდა, ფეხქვეშ ქვებსა გრძნობდა. ეამისად ნიჟარასაც მოჰკრავდა თვალს, რაც იმას მიანიშნებდა, რომ უდაბნოს ადგილას ოდესღაც უხსოვარ დროში ზღვა იყო. მერმე ქვაზე ჩამოჯდა და მონუსხულივით ცისკიდეს მიაჩერდა. ნამწყემსარს სიყვარული ვერ წარმოედგინა ისე, თუ ხელთ არ ეპყრობოდა, არ დაისაკუთრებდა, ფატიმა კი უდაბნოს ასული იყო, და გამიჯნურებული ვაჟისთვის თუ რასმე შეეძლო სიყვარულის ხელთ პყრობა და დასაკუთრება ესწავლებინა, მხოლოდ და მხოლოდ უდაბნოს შეეძლო.

იჯდა აგრე ფიქრმგლოვიარე, სანამ თავზევით რაღაც ქროლა არ იგრძნო. რა არის, რა ქრისო, ცას ახედა და თვალი წყვილ გეზელ-ქორს ჰკიდა.

სანტიაგო კარგა ხანს ასცქეროდა ცაში მობოინე ფრინველთ და მოსწონდა, ლივლივ-ლივში როგორ სახიერად ნახჭავდნენ, როგორ ასურათოვნებდნენ და აბილიხტონებდნენ ტატნობს. ისინი თითქოს სრულიად უაზროდ და უმიზნოდ ნავარდობდნენ, მაგრამ შეყვარებული ჭაბუკი რაღაც მნიშვნელობასა გრძნობდა ცადაჭრილ ფრთოსანთ ფრე-

ნაში, ოღონდ რა მნიშვნელობას თქმით ვერ იტყოდა. თუ მაგათ სუყოველ მოძრაობას თვალს გავადევნებო ფიქრობდა, იქნებ გავუგო კიდეც, თავიანთ ენაზე რას მელაპარაკებიანო. და იქნებ უდაბნოსაც მაშინ გაეგო და აეხსნა, რას ნიშნავს დაუსაკუთრებელი სიყვარული.

ერთბაშად ძილი მოერია, მაგრამ გული არ უშვებდა, თითქოს ეუბნებოდა კიდეც: „ცოტაც და, ჩახვდები საყოველთაოსას, ამ მხარეში ყველაფერი აზრით არის სავსე, თვით ცადაჭრილ გეზელ-ქორთა ფრენაც კი“. სანტიაგო გულში ემადლიერებოდა ბედს სიყვარულისთვის, რომელსაც აგრერიგად აევსო და გაეპირთავებინა.

„როცა შეყვარებული ხარ, ყველაფერი კიდევ უფრო მეტ აზრს იძენს“, — გაიფიქრა მან.

ამის გაფიქრება იყო და, ზევიდან ტყვიასავით წამოსულმა ერთმა გეზელ-ქორმა ავად შეუტია მეორეს, და სანტიაგოს ხილვა რამ დაუდგა თვალწინ: ხმალამოწვდილნი მეომარნი ოაზისში შეცვივდნენ. ხილვა მალევე გაქრა, გულში კი შიში და მღელვარება დაუსადგურა. მირაჟების ამბავი სხვათაგანაც ბევრჯერ სმენოდა და თავადაც არაერთხელ მოეხილა, როგორ სხეულდება ადამიანის ზრახვა და წადილი უდაბნოს ქვიშნარში, მაგრამ არამც და არამც არ უნდოდა, რომ ოაზისში მხედრობა შეჭრილიყო.

ნამწყემსარმა ამ ავი აზრების თავიდან გამობერტყვა და კვალად გავარდისფერებული ქვა-ქვიშის ჭვრეტა სცადა. მაგრამ გულისყური ვერა და ვერ მოეკრიბა, და გულიც ისევ ავს უთხრობდა.

„მუდამ თვალი ადევნე ნიშნებს“, — შეაგონებდა მეფე მელქისედეკი.

მიჯნურს ფიქრში ფატიმამ მოაკითხა. მყისვე ნახულ-განცდილიც წამოაგონდა და იგრძნო, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო.

მერმე ძლივს წამოსწია გაშეშებული ტანი, წამოდგა და უკან, ფინიკის პალმებისკენ გამობრუნდა. ქვეყნიერებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა, მრავალ ენაზე ვმეტყველებო. ახლა უკვე უდაბნო კი არა, საფრთხეს ოაზისი უქადდა.

●

**მეაქლემე** პალმის ხეზე ზურგმიყრდნობილი იჯდა და ისიც დასავლეთისკენ გაიცქირებოდა. ზედდატანებაზედ ბარხანის უკანიდან სანტიაგო გამოჩნდა.

— აქეთ მხედრობა მოდის, — თქვა მან, — ხილვა რამ მეჩვენა.

— უდაბნო კაცებს მაგისთანა ხილვა-ზმანებებით უვსებს გულებს, — უთხრა მეაქლემემ.

არც მთლად ეგრეაო, სანტიაგომ, და წვრილად უამბო, როგორ ადევნა თვალყური ცაში აჭრილ-გეზელ-ქორთა ბოინს და როგორ შთაინთქა უცაბედად ქვეყნიერების სულში.

მეაქლემეს არ გაჰკვირვებია, უმალ მიუხვდა, რაზეც ნამწყემსარი ჭაბუკი ელაპარაკებოდა. მან კარგად უწყოდა, რომ დედამიწის ზედაპი-

რზე მდებარე რაგინდარა საგანს მთელი დედამიწის თავგადასავლის მბობა შეეძლო. და კიდევ: რომელ გვერდზეც არ უნდა გადაშალო წიგნი, რომელი ბანქოც არ უნდა ამოიღო დასტიდან, გინდა გაბეგაფა თქვი, და თუნდაც გეზელ-ქორის ბოინს ადევნო თვალ-ყური. უსათუოდ იპოვი იმასთან კავშირს, რითაც ამწუთას ცხოვრობ. [illegible] ადენად თვითონ რომელსამე საგანს კი არ ეხება, აქ მთავარი [illegible] ამ საგნების ცქერისას თუ ჭვრეტისას ადამიანები ქვეყნიერების სულში წვდომის თავ-თავიანთ ხერხს აგნებენ და პოულობენ.

უდაბნოში ბევრია ისეთი ვინმე, ვისაც ქვეყნიერების სულში წვდომის თავისი უნარი აცხოვრებს. ამ ბევრი ვინმესი ძალიან ეშინიათ ქალებსა და მოხუცებულებს, მოხსენებით კი გულთმისნებად და ნიშანმჭვრეტელებად, ნიშანთმზმნელებად იხსენიებენ. მეომარნი იშვიათად თუ აკითხავენ ნიშანთმჭვრეტელთ, რადგან ძნელია ომში წასვლა, როცა იცი, რომ აუცილებლად მოგკლავენ. მეომართ უცოდნელობა ურჩევნიათ და იმ გრძნობების განცდას ამჯობინებენ, მერმე ბრძოლის ველი რომ განაცდევინებთ. მომავალი ზენაარსის ხელით არის დანუსხვილი. და რაც არ უნდა იყოს აღნიშნული ამ არა ერთ და ორ სჯულის ფიცარზე, რახან ზენაარსის, განგების ხელით არის დანუსხვილქმნილი, მუდამჟამს ადამიანის საკეთილდღეოა.

მეომარნი მარტოოდენ აწმყოთი ცხოვრობენ, ვინაიდან აწმყო სავსეა მოულოდნელობებით. და ამიტომაც ათას რასმე რაღაც-რაღაცას უნდა მიექცეს ყურადღება: თუნდაც იმას, თუ რომელი მხრიდან მოგიქნევს მტერი მახვილს, ან რარიგ ქარფეხაა მტრის ცხენი ანდა როგორ უნდა მოიგერიო დარტყმა, უკეთუ ცოცხლად დარჩენა გინდა.

მაგრამ მეაქლემე მეომარი არ იყო და ამიტომ უკვე მრავალჯერ მოენახულებინა ნიშანთმჭვრეტელნი: ზოგთ სულაც არ უჭირდათ რისამე შეუცდომლად გამოცნობა, ზოგნი ვერ მისნობდნენ, არ გამოსდიოდათ ნიშანთა ჩხრეკა. და ერთხელაც მისანთაგან უხნიერესმა, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ, ჰკითხა, რისთვის გინდა მომავლის ცოდნაო.

— რისთვის და, უნდა ვიცოდე, რა ვქნა, რა ვილონო, რათა იმ უსიამოვნო ამბების მოსალოდნელობა შევცვალო, რომელთათვისაც თავის არიდება მინდა, — მიუგო მეაქლემემ.

— მაშინ ეგ შენ მომავალი აღარ იქნება, — მოუჭრა ნიშანთმჭვრეტელმა.

— ცოტას იმისთვის მაინც შევემზადები, რაც უნდა გადამხდეს.

— თუ კარგი რამ გადაგხდა, სასიამოვნო მოულოდნელობად ჩათვალე. ხოლო თუ რამ ცუდი უნდა გადაგხდეს, დიდი ხნით ადრე იგრძნობ.

— რახან ადამიანი ვარ, გაგება მინდა, რა მომელის, — მიუგო პასუხად მეაქლემემ. — სიკვდილისშვილნი ჩვენს მომავალზე ვართ დამოკიდებულნი.

ნიშანთმჭვრეტელი კარგა დიდხანს დუმდა სამისნოდ პატარა ჩხირებს იყენებდა, დაჰყრიდა ძირს და დახედავდა, რომელი ჩხირი როგორ

ეგდო. იმ დღეს უარზე დადგა, არ იმისნა. ჩხირები ჭრელ ბაღდადში გამოკრა და ის პატარა ნაკრაულა ჯიბეში ჩაიდო.

— მე ლუკმა-პურს იმით ვშოულობ, რომ ადამიანებს გეუბნები, რაც მოელით, — უთხრა მან ბოლოს, — მე ვიცი, როგორ უნდა დავყარო ჩხირები, რომელთა ჩხრეკა-ჩხრეკითაც იმ სივრცეში ვეძებ ხოლმე, სადაც ყველაზე ყველაფერია დანუსხვილი. [illegible] ვდგავარ და ვკითხულობ გარდასულს, ვაცოცხლებ, რაც უკვე დავიწყებულია, და არც კიდევ აწმყოს ნიშნების ამოცნობა მიჭირს.

მყოფადს, ანუ მომავალს კითხვით არა ვკითხულობ, ალბათ ვგებულობ, ვხვდები, რადგან ის ზ ე ნ ა ა რ ს ს ეკუთვნის, ზ ე ნ ა ა რ ს ი კი, გ ა ნ გ ე ბ ა, მხოლოდ საგანგებო რამ ვითარებაში ახდის ხოლმე ფარდას ხვალინდელობას, მერმისს. ვიცი, მკითხავ, როგორ ახერხებს მაგასაო? როგორ ვახერხებ და, აწმყოს ნიშნების მიხედვით. სწორედაც ახლანდელ დროში, აწმყოშია მთელი მუღამი. თუ აწმყოს ყურადღებას არ მოაკლებ, ბევრად გააუმჯობესებ კიდეც. ხოლო დღევანდელ მდგომარეობას თუკი გაიუმჯობესებ, მომავალსაც შენს სასიკეთოდ მოაქცევ. მომავალზე ნუ იზრუნებ, აწმყოთი იცხოვრე, და დიამც შენს სუყოველ დღეს ისე გაევლოს, როგორც მ ც ნ ე ბ ა დ დადებულა ძველთაგან. გწამდეს, რომ ზ ე ნ ა ა რ ს ი ზრუნავს თავის შვილებზე. თითოეულ დღეში მარადიულობის წილი ძევს.

მეაქლემეს ახლა იმის გაგება მოუნდა, იმისთანა რა საგანგებო ვითარების დროს გვაგებინებს ხოლმე უფალი მომავალსო.

— ეგ მხოლოდ იმან იცის, როდის უნდა გამოგვიჩინოს. ისე, ზ ე ნ ა ა რ ს ი მომავალს ძალიან იშვიათად გვიჩენს. მაშინაც ერთი მიზეზი ამოქმედებს: წ ი ნ ა ს წ ა რ დ ა ს ა ხ უ ლ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უ ნ დ ა შ ე ი ც ვ ა ლ ო ს.

„ამ ჭაბუკს ნამდვილად ზ ე ნ ა ა რ ს ი სწყალობს, — ფიქრობდა ამჟამ მეაქლემე. — მერმისიც გაუმხელია და თავის იარაღადაც აურჩევია“.

— ბელადებთან მიდი, — უბრძანასავით მან სანტიაგოს, — უთხარი, მხედრობა გვიახლოვდება-თქო.

— დამცინებენ.

— არ დაგცინებენ. ეგენი უდაბნოს შვილები არიან. ნიშანია თუ მინიშნება, უყურადღებოდ არცრა რჩებათ.

— მაშ, აბა, თავადაც უნდა იცოდნენ ყოველივე.

— მაგათ ეგ არ აღელვებთ, რადგან სწამთ, თუ რამ შესატყობინებელია, ა ლ ა ჰ ი სხვათა პირით შეგვატყობინებსო. ადრეც ბევრჯერ შეუტყობინებია. დღეს ეს **სხვა** შენ იქნები.

სანტიაგომ ფატიმა დაიყენა თვალწინ და ოაზისის მსახლობელ ტომთა ბელადების წინაშე წარდგომა გადაწყვიტა.

●

— **მიმიშვი** ბელადებთან, — უთხრა მან ვეება თეთრი კარვის შესასვლელთან მდგარ გუშაგს, — უდაბნოში ნიშნები რამ მოვიხილე.

ჯარისკაცს ხმა არ ამოუღია, ისე შევიდა კარავში და იქ საკმაოდ დიდხანს დარჩა. მერმე ოქრონემსული თეთრი ბურნუსით მოსილ ახალ-

გაზრდა არაბთან ერთად გამოჩნდა. სანტიაგო ახალგაზრდა არაბს თავისი ხილვის ამბავს მოუყვა. მან დაცდა სთხოვა და ისევ კარავში მიიმალა.

ჩამოღამდა. შედიოდნენ და გამოდიოდნენ არაბები და უცხოქვეყნელი ვაჭრები. მალე კოცონები ჩააქრეს და ოაზისიც მდუმარე უდაბნოს დაემსგავსა. მხოლოდ დიდ კარავში ენთო შუქი. მთელი ამ ხნის განმავლობაში სანტიაგო ფატიმაზე ფიქრობდა, თუმცა საყვარელ არსებასთან ამასწინანდელი საუბრიდან აზრი ვერ გამოეტანა.

ბოლოს კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, სანტიაგო კარავში შეუშვეს.

იქ ნახულმა თავბრუ დაახვია ნამწყემსარ ჭაბუკს. ვერც წარმოიდგენდა, თუ შუაგულ უდაბნოში ასეთ რასმე მოიხილავდა. ფეხი უცხოდმშვენიერ ხალიჩებში ეფლობოდა, კარვის ჭერს რამდენიმე გაბდღვრიალებულსანთლებიანი ოფაზის შანდალი ეკიდა. ტომთა ბელადები ნახევარწრედ ისხდნენ სიღრმეში აბრეშუმის ოქროქსოვილ ბალიშებზე ფეხმორთხმული. მსახურთაგან ზოგთ ვერცხლის სინებით ტკბილეული და ჩაი დაჰქონდათ, ზოგთაც ნარგილეზე ეჭირათ თვალი, რომ არ ჩამქრალიყო, ჰაერში თამბაქოს ნაზი სურნელი იდგა.

სანტიაგოს წინარე რვა კაცი იყო, მაგრამ ის უმალ მიხვდა, რომ მთავარი — ოქრონემსულთეთრბურნუსიანი არაბი — შუაში იჯდა. იქვე გვერდთი მოერთხა ფეხი იმ ახალგაზრდა კაცსაც, წელან კარვიდან რომ გამოაკითხა.

— ვინ არის ის მსხემი, გარმიანელი, ნიშნების ამბავი რომ მოიტანა? — იკითხა ერთ-ერთმა ბელადმა.

— მე ვარ, — მიუგო სანტიაგომ და ეგრევე წააყარა, რაც კი რამ მოეხილა.

— რატომ გაუხსნა უდაბნომ გული უცხო კაცს, მსხემს ვისმე, თუკი იცის, რომ აქ ჯერეთ კიდევ ჩვენი მამა-პაპანი ცხოვრობდნენ? — იკითხა მეორე ბელადმა.

— რატომ და, ჩემი თვალები ჯერ არ შესჩვევიან უდაბნოს და იმას ხედავენ, რასაც აქაურთა თვალები უკვე ვერ ამჩნევენ. — უთხრა სანტიაგომ და გულში დასძინა:

„და კიდევ იმიტომ, რომ მე ქვეყნიერების სული მაგონებს თავის ხმას“.

ეს ხმამაღლა არ წარმოთქვა, რადგან არაბებს ასეთი რამ არ ეჯერებათ.

— ოაზისი, ანუ კორდი საშუალ უდაბურისა, საარავისო მიწა-წყალია. აქ ვერცვინ გაბედავს შემოჭრას, — იქუხა მესამე ბელადმა.

— მე მხოლოდ ის გითხარით, რაც თავად მოვიხილე. თუ არა გჯერათ, თქვენ იცით თქვენი საქმისა.

კარავში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, მერმე კი ბელადებმა ერთმანეთში ცხარე კამათი ატეხეს. ისინი ისეთ ენაკავზე უბნობდნენ, რომელსაც სანტიაგო ვერ იგებდა, და როგორც კი გასასვლელისკენ ფეხი გადადგა, ჩაფარმა შეაჩერა. სანტიაგოს, ცოტა არ იყოს, ზაფრა ეცა. ნიშნები საფრთხეს უთხრობდნენ, და ინანა, რა ძალა მადგა, მეაქლემეს რად ვეგულახდილეო.

მაგრამ შუაგულში მჯდომ ბერიკაცს სახეზე ღიმილმა გადაურბინა, და სანტიაგომ ერთბაშად შვება იგრძნო. აქამდე ბერიკაცს სიტყვა არ დასცდენია, უბრალ იყო და კამათში არ ჩარეულა. მაგრამ ნამწყემსარი ჭაბუკი, რომელსაც ქვეყნიერების ენა ესმოდა, გრძნობდა, როგორ არყევდა ომის მოახლოება კარავს და მიხვდა, რომ აქ მოსვლით სწორად მოიქცა.

ყველანი დადუმდნენ და ბერიკაცს მიაჩერდნენ. ის სანტიაგოსკენ შემობრუნდა, და სანტიაგომ ამჯერად გულჩათხრობილი და უგუნებო კაცის გამომეტყველება შეამჩნია სახეზე ხანდაზმულ არაბს.

— ორი ათასი წლის წინათ, აქედან ძალიან შორს, ჭაში ჩააგდეს, მერმე კი მონად გაყიდეს ერთი კაცი, რომელსაც სიზმრებისა სჯეროდა, — აძრახდა ბერიკაცი, — ჩვენმა ვაჭრებმა ის კაცი ეგვიპტეში ჩაიყვანეს. სუყველამ ვიცით, რომ ვისაც სიზმრებისა სჯერა, სიზმრების წართქმაც, ანუ ახსნაც ემარჯვება.

„თუმცა ცხადად ქცევას ყოველთვის ვერ ახერხებს", — გაიფიქრა სანტიაგომ და ბებერი ბოშა დედაკაცი წამოაგონდა.

— იმ კაცმა ფარაონს შვიდ დამჭლეულებულ და შვიდსავე ხორცსავსე ძროხაზე ნანახის სიზმარი აუხსნა და ეგვიპტე შიმშილისგან იხსნა. იმ კაცს იოსები ერქვა. ისიც შენსავით გარმიანელი იყო, უცხოქვეყნელი, და ხნითაც დაახლოებით შენი ხნისა იქნებოდა.

ბერიკაცი გაჟუჩდა. კვლავინდებურად ცივად გამოიყურებოდა.

— ჩვენ მუდამ ადათ-წესს მივდევთ. ადათ-წესმა იხსნა ეგვიპტე სიმშილისგან. და სხვათა უმეტესად გაამდიდრა ეგვიპტელნი. ადათ-წესი გვასწავლის, როგორ უნდა გადავლახოთ უდაბნო და როგორ უნდა დავათხოვოთ ჩვენი ქალიშვილები. ადათ-წესი გვაუწყებს, რომ ოაზისი, ანუ კორდი საშუალ უდაბურისა, საარავისო მიწაა, ვინაიდან ორსავე მებრძოლ მხარეს ეჭირვება ოაზისი და უიმისოდ დაიღუპებიან.

სუყველა ხმაგაკმენდილი უსმენდა.

— მაგრამ ადათ-წესი გვიკარნახებს, იმასაც ვერწმუნოთ, რასაც უდაბნო გვამცნობს, რაც რამ ვიცით, ყველაფერი უდაბნოსგან გვისწავლია.

ბერიკაცის ნიშანზე არაბნი ეგრევე წამოიშალნენ. ბჭობა გასრულდა. ყველა ნარგილე ჩააქრეს, მცველ-ებგურნი გაიჯგიმნენ. სანტიაგომ ის იყო გასვლა დააპირა, რომ ბერიკაცი კვლავ აძრახდა:

— ხვალ ჩვენ კანონს დავარღვევთ, რომლის თანახმადაც ოაზისში იარაღის ტარების უფლება არცვისა აქვს. მთელი დღე მტრის ლოდინში ვიქნებით, ხოლო როგორც კი მზე დახდება, ჩემი მოსაგრე-ჯარისკაცნი იარაღს ისევ მე ჩამაბარებენ. ყოველი ათი მოკლული მტრის სანაცვლოდ თითო ოქროს მიიღებ. წესია, თუ იარაღს ხელში აიღებ, მტრის სისხლის გემოც უნდა გაასინჯო. იარაღი უდაბნოსავით ჭირვეულია, პირველად მოცდენილს მეორედ იქნებ ვერც გააჭრევინო. უკეთუ ჩვენს იარაღს ხვალ სხვა არცრა საქმე გამოუჩნდა, შენზე აღვმართავთ.

კარვიდან გასულმა სანტიაგომ დაინახა, რომ ოაზისი მხოლოდ ბადრი მთვარის შუქით იყო გაჩახჩახებული. იმ კარვამდე, სადაც ის იდგა, ოციოდე წუთი მაინც უნდა ევლო, და იმანაც იქით აიღო გეზი.

მომხდარ ამბავს ნამწყემსარი ერთობ აეფორიაქებინა. მან ქვეყნიერების სულთან კავშირის გაბმა მოახერხა, რაც იქნებ საკუთარ სიცოცხლედაც დაუჯდეს. სიცოცხლის დაკარგვა ძალიანაც ეძვირება, მაგრამ აკი თავადვე არჩია ამ გზით სიარული, როცა ცხვრის ფარა გაყიდა, რათა თავის ყისმათს ასდევნებოდა. და, როგორც ეტყობა, ეს ბოლო იყოდა, ორჯერ არცვინ კვდება... განა სულერთი არ არის, ხვალ მოკვდება თუ სხვა რომელსაც დღეს? სუყოველი დღე ვარგა იმისთვის, რომ სიცოცხლეს დააღამებინო ანდა უკანასკნელი გამოდგეს. ყველაფერი ერთ სიტყვაზე ჰკიდია — მაქთუბზე.

●

**სანტიაგო** მდუმარედ მიაბიჯებდა. არცრას ინანიებდა და არცრას ნანობდა. თუ ხვალ მზე დაუბნელდა, მაშასადამე, ღმერთს არა სურს, რომ მერმისი შეუცვალოს. სამაგიეროდ უკვე რამდენი რამ მოასწრო — სრუტის დაძლევა ბროლის ქულბაქში ნოქრობა, უდაბნოს ფეხქვეშ გადება, უდაბნოსავე მდუმარებისა და ფატიმას თვალების შეცნობა. რაც სახლიდან წამოვიდა, არც ერთი დღე ფუჭად არ დაჰკარგვია. და თუ ხვალ სამუდამოდ დაეხუჭა თვალები, ამ თვალებს ბევრად მეტი ნანახი შერჩებათ, ვიდრე სხვა მეცხვარეთა თვალებს. სანტიაგოს სიამაყეს ჰგვრიდა ეს ამბავი.

ერთბაშად გრუხუნი მოესმა, და ავად ამოვარდნილმა ქარაშოტმა ძირს დასცა ფიქრმორეული ნამწყემსარი. მტვრის ღრუბელმა შებურა მთვარე. სანტიაგომ ცხადად მოიხილა იქვე, თავის თვალთა წინ, ყალყზე შემდგარი ვეება თეთრი ცხენი, რომელიც ყურთასმენის წამღებად ჭიხვინებდა.

მტვერ-ბუქმა რომ გადაიარა, სანტიაგო მანამდე არცროდის განცდილმა შიშმა აიტანა. თეთრი ცხენის მთლად შავით მოსილ დოლბანდიან მხედარს მარცხენა მხარზე შევარდენი ეჯდა. სახე ისე ჰქონდა შებურვილი, მარტო თვალებიღა უჩანდა. უშვერა ტანისა რომ არ ყოფილიყო, რალა ის და რალა ერთი იმ ბედუინთაგანი, რომლებიც მოქარავნეებს გზად ხვდებოდნენ ხოლმე და უდაბნოს ამბებს უყვებოდნენ.

მთვარის შუქზე უცხოდ ალაპლაპდა მოხრილი ხმალ-დელამფრის პირი, მხედარმა უნაგირს მიკრული ქარქაშიდან რომ ამოიწოდა. კაცს ეგონებოდა, მეხი გავარდაო და ელ-ფაიუმის ოაზისის ორმოცდაათი ათასივე პალმამ მიჰბანაო, ისე იხმამაღლა თეთრცხენოსანმა:

— ვინ გაბედა ქორ-გეზელთა ფრენაში აზრის ხილვა?

— მე გავბედე, — მიუგო სანტიაგომ და წამიერ მოეჩვენა, რომ თეთრონის მხედარი ალი-კვალად ჰგავდა ხატად გამოსახულ წმინდა იაკობს, მავრთა მძლეველს, ფლოქვებით ურჯულოთა მქელავ თეთრონზე ამხედრებულს. პირწავარდნით ისეთივე ჩანდა, ოღონდ აქ ყველაფერი პირიქით იყო.

— მე გავბედე, — გაიმეორა მან და ხმალ-დელამფრის დაქნევის მოლოდინში თავი ჩაღუნა. — ვიცი, ბევრი სიცოცხლე გადარჩება, რადგან შენ ანგარიში არ გაუწიე ქვეყნიერების სულს.

მაგრამ ხმალ-დელამფარი რატომღაც მძიმე-მძიმედ ეშვებოდა, ფხაასხმული პირით როდის-როდის შეეხო ჭაბუკის შუბლს, და უმალ სისხლის წვეთმაც გამოჟონა.

მხედარი არ ინძრეოდა. სანტიაგომაც სული განაბა, გაქცევა და თავის შველა აზრადაც არ მოსდიოდა. ის კი არა, სულის სიღრმეში რაღაც უცნაურ სიხარულსაც გრძნობდა, უხაროდა, რომ თავისი ბედ-იღბლის გულისთვის კვდებოდა, რომ ფატიმასთვის ლევდა სულს. როგორც ჩანს, ნიშნებმა არ უმტყუნეს. წინ მტერი კი უდგას, მაგრამ სიკვდილი სულაც ვერ აშინებს, რადგან ცისქვეშ სუფევს ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი, რომელსაც წამისყოფით უნდა შეეხვეოს. ხვალ კი მტერსაც იგივე ხვედრი ელის.

მხედარი ისევ გაუნძრეველად იდგა. ხმლის დაქნევას თითქოს არც ფიქრობდა.

— რატომ ქენი ეგ, ჭაბუკო?

— მე მხოლოდ ის ვქენი, რომ გავიგონე და გავიგე, იმ ორმა ქორ-გეზელმა რაც მაუწყა. აქ ქორ-გეზელს, მგონი, წერვალოსაც ეძახით, სწრაფ ქორს. ფრინველთ ოაზისის გადარჩენა უნდოდათ. ოაზისის დამცველნი სულ ერთიანად ამოგჟუჟავენ, ისინი ბევრნი არიან.

ხმალ-დელამფრის პირი კი კვლავინდებურად შუბლზე ებჯინა.

— შენ ვითომ ვინა ხარ, ა ლ ა ჰ ი ს განგებულებაში რომ ერევი?

— ა ლ ა ჰ მ ა შექმნა არა მარტო მხედრობა, არამედ ფრინველნიც. სწორედ ა ლ ა ჰ მ ა მამცნო ფრთოსანთა ენა. ყოველივე ამქვეყნად ერთი და იმავე ხელით არის დანუსხვილ-ქმნილი, — მიუგო სანტიაგომ და მეაქლემის ნათქვამი წამოაგონდა.

მხედარმა, როგორც იქნა, ააღო ხმალ-დელამფარი, და ჭაბუკმა სული მოითქვა.

— წინამთქმელობას ცოტა უფრთხილდი, — უთხრა მხედარმა. — უნდა უწყობდე, ვერცვინ წაუვა თავის ეტლსა და წერას.

— მე მარტო მხედრობა მოვიხილე, — უთხრა სანტიაგომ, — ბრძოლის ბოლო ჩემთვის უცნობია.

— აქ რამ მოგიყვანა უცხოგვარი?

— ჩემს გზა-სავალს ვეძებ. ეს რა არის შენ ვერ გაიგებ.

მხედარმა ხმალი ქარქაშს მოარგო. მხედრის მხარზე შესმულმა შევარდენმა გამაყრუებელი ყრიგინი ატეხა. დაძაბულობა თანდათან შეუნელდა სანტიაგოს, და ისიც დაწყნარდა, დანანარდა.

— გულკაჟიანობაში გამოგცადე. ვინც ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ე ნ ა ს ეძებს, იმისთვის გულკაჟიანობა მთავარი რამ არის.

ნამწყემსარი გასახტებული უსმენდა. მხედარი ისეთ რამეებზე ელაპარაკებოდა, ცოტა ვისმე რომ ესმის.

— თანაც კიდევ, ერთი წუთითაც არ უნდა მოდუნდე, მაშინაც კი, როცა დიდგზაგამოვლილი ხარ, — განაგრძობდა მხედარი, — უდაბნოს სიყვარული შეიძლება, მაგრამ სრულად არ უნდა ენდო, რამეთუ უდაბნო კაცისთვის გამოცდაა: პატარა უგულისყურობა, და დაღუპული ხარ.

მხედრის სიტყვებმა სანტიაგოს მოხუცი მელქისედეკი გაახსენეს.

— მხედრობა რომ მოვა, მომძებნე, იმ დროისთვის თავი მხრებზე თუ შეგრჩა, — უთხრა მხედარმა.

იმ ხელში, რომელსაც წელან ხმალ-დელამფრის ვადა ეჭირა, ახლა მათრახი გაჩნდა. ცხენი ადგილს მოსწყდა და კვლავ მტვრის კორიანტელი ააყენა.

— სად გიკითხო? — გაჰყვირა სანტიაგომ.

მხედარმა კიდევ ერთხელ გადაუჭირა თავისი ტარგამლბირგოანი მათრახი სამხრეთისკენ დათთხილ ტაიჭს.

აგრე გაიცნო სანტიაგომ ალქიმიკოსი.

●

**მეორე** დილით ელ-ფაიუმის ოაზისის ფინიკის პალმებქვეშ ორი ათასმა შეთოფიარაღებულმა კაცმა მოიყარა თავი. ჯერ მზე კარგად არც იყო ამომაღლებული, როცა ცის დასალიერზე ხუთასი მეომარი გამოჩნდა. მხედრიონი ოაზისს ჩრდილოეთიდან მოადგა. სამტროდ მოსულთ იარაღი თეთრი ბურნუსების ქვეშ დაემალათ, ვითომ უიარაღონი, მშვიდობიანი სტუმრები ვართო. თოფები და მოხრილი ხმლები მხოლოდ მაშინ გამოაჩინეს, როცა ბელადების დიდ კარავს ზედ მიადგნენ. მაგრამ კარავი ცარიელი დაუხვდათ.

ოაზისის მსახლობელთ ალყაში მოაქციეს უდაბნოს მხედარნი, და სულ ნახევარ საათში ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი გვამი ქვიშაზე ეგდო. ბავშვები პალმების ტევრში გაეხიზნათ, და ისინი ვერცრას ხედავდნენ, როგორც ვერცრას ხედავდნენ ქალებიც, კარვებში რომ შეყუჟულიყვნენ და თავიანთი ქმრების სახელზე ლოცულობდნენ. თუ არა ძირს გართხმული დაღუპულთა გვამები, ოაზისი ისეთადვე დარჩებოდა, როგორიც ადრე იყო.

გადარჩენით მარტო ის გადარჩა, ვინც ელ-ფაიუმში ცხენოსანთ შემოუძღვა. გადარჩენილი მომხდური ტომთა ბელადებს მიჰგვარეს, და იმათ, წეს-ჩვეულება რამ დაგარღვევინათო, ჰკითხეს. ხანგრძელ ბრძოლებს, შიმშილსა და წყურვილს ველარ გავუძელით, ამიტომაც გადავწყვიტეთ ოაზისის დაპყრობა და შემდეგ ისევ ომის თავიდან დაწყებაო, მიუგო უჯაროდ დარჩენილმა მხედართმთავარმა.

მხედრიონს ძალიანაც თანავუგრძნობ, მაგრამ ადათ-წესის დარღვევის უფლება არცვისა აქვსო, წართქვა ბელადმა. ქარი უდაბნოში მხოლოდ ქვიშის ბარხანებს უცვლის სახეს, დანარჩენი ყოველივე უცვლელი რჩებაო.

მხედართმთავარს სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯეს: არც ტყვიის ღირსი გახადეს, არც ხმლის დაკვრისა, ერთ გამხმარ ფინიკის პალმაზე ცოცხლად ჩამოჰკიდეს, და უდაბნოდან დაქროლილი ქარი დიდხანს აქანავებდა აწ უკვე მხედართმთავარყოფილის გვამს.

ბელადმა თავისთან უხმო უცხოქვეყნელ ჭაბუკს და ორმოცდაათი ოქრო გადასცა. მერმე კვლავ ი ო ს ე ბ ზ ე ჩამოუგდო სიტყვა და თავისი მ თ ა ვ ა რ ი ვ ე ზ ი რ ო ბ ა სთხოვა, მ რ ჩ ე ვ ლ ო ბ ა.

●

**მზე** რომ დახდა და ცაზე პირველი ვარსკვლავები მკრთალად აციმციმდნენ (ვინაიდან საკვლემთვარეობა იყო), სანტიაგო სამხრეთის გზას დაადგა. იქ მარტო ერთი კარავი იდგა და, ეგ ადგილი ჯინების საყვა-

რელი სამყოფელიაო, ეუბნებოდნენ გზად შეხვედრილნი, მაგრამ ის მაინც კარვის ახლოს დაჯდა და ლოდინი დაუწყო.

ალქიმიკოსი მალე არ გამოჩენილა — მთვარე უკვე კარგა შემაღლებულიყო. მასპინძელს მხარზე ორი მკვდარი ქორ-გეზელი ჩამოეკონწიალებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე აქა ვარ, — უთხრა სანტიაგომ.

— ტყუილად გარჯილხარ. ჩემკენ რა, შენმა ბედ-იღბალმა წამოგიყვანა?

— ომია. უდაბნოს ვერ შევებმი.

ალქიმიკოსი დაქვეითდა და სანტიაგოს წამუყო, კარავში შევიდეთო. ამ კარავს არცრა განარჩევდა ოაზისის მსახლობელთა კარავთაგან, თუ ბელადთა ზღაპრულად მორთულ-მოკაზმულ სეფეკარავს არ ჩავთვლით. სანტიაგომ ხან აქეთ გაიხედა, ხან იქით, ტიგელებსა და ქურებს, მინის ალქიმიურ სინჯარებს ეძებდა, თუმცა რამდენიმე დაქექილი წიგნის გარდა თვალი ვერაფერს მოატანა. ძირს დაგებულ ძოლო-ორხოვებს უცხოდ ნაოსტატარი ნაჭრელები და ბილნტონი შვენოდა.

— დაბრძანება მითქვამს. ახლავე ჩაის წამოვადულებ, — უთხრა ალქიმიკოსმა, — ეს ორი ქორ-გეზელი კი ვახშმად გვეყოფა.

ჭაბუკმა იფიქრა, უცილოდ ის ფრინველებია, გუშინ ცაში მობოინენი რომ ვნახეო, მაგრამ ხმამაღლა არცრა უთქვამს. ალქიმიკოსმა ყვერბ-სახმილიც დაანთო, და მალე კარავში შემწვარი ნანადირევი ფრინველის სურნელოვნება დატრიალდა, რომელიც ნარგილეს ბოლის სუნზე ბევრად გემრიელი იყო.

— მნახეო, რად მითხარი?

— სულ ნიშნების ამბავია. ქარმა მიამბო, რომ მოხვიდოდი და ჩემი შეწევნა დაგეჭირვებოდა, — უთხრა ალქიმიკოსმა.

— მე არა, შენ ინგლისელი დაგეძებდა.

— სანამ მე მიპოვიდეს, იმას ბევრი სხვა შეხვედრა ელის. თუმცაღა სწორ გზაზეა შემდგარი. ის მარტო წიგნებში აღარ იყურება.

— ჩემზე რაღას იტყვი?

— თუ რამე გწადს, მთელი ქვეყნიერება ხელს გაგიმართავს, რა არი გულის საწადელი აისრულო, — ალქიმიკოსმა მოხუცი მელქისედეკის სიტყვები გაიმეორა, და ჭაბუკი მიხვდა, რომ კიდევ ერთ ისეთ კაცს შეხვდა, რომლის შემწეობითაც თავის ბედ-იღბლის გზას გაჰყვებოდა.

— ალბათ, ბევრს რასმე ახალს მასწავლი?

— არა. რაც საჭიროა, შენ უკვე იცი. მე მხოლოდ იმ ადგილისკენ მიმავალ გზას მიგასწავლი, სადაც შენი უნჯ-განძია.

— მერედა, უდაბნოში რომ ომია, — გაიმეორა სანტიაგომ.

— მე ვიცი, რაც არი უდაბნო.

— მე უკვე ნაპოვნი მაქვს ჩემი უნჯ-განძი. ჩემი აქლემი მყავს, არც ფული მაკლია, კარგა ბლომად ვიშოვე ბროლის ქულბაქში ვაჭრობით, ახლა კიდევ ორმოცდაათი ოქროც დამემატა. წავალ სამშობლოში, შეძლებული კაცი გავხდები.

— რაც ჩამოთვალე, ეგ ვერაფერი ერთი ნაბიჯითაც ვერ გაახლოებს პირამიდებთან, — შეახსენა ალქიმიკოსმა.

— მე ფატიმა მყავს. ვერცრა განძეული იმას ვერ შეედრება.
— პირამიდებამდის იმისგანაც შორია.

ამის თქმა იყო, და გაჩუმდნენ, პური გატეხეს. ალქიმიკოსმა ბოთლი გახსნა და ჭიქაში რაღაც წითელი სითხე დაასხა. ის სითხე ისეთი ღვინო გამოდგა, რომლის მსგავსიც სანტიაგოს სიცოცხლეში არ დაეჭაშნიკებინა. თუმცაღა კანონი კრძალავს ღვინის სმას.

— ბოროტება ის კი არ არის, რაც ადამიანის ბაგეთა შიგ შედის, ბოროტება ის არის, რაც ბაგეთაგან გამოდის, — წართქვა ალქიმიკოსმა.

ღვინომ გაანიშატიანა სანტიაგო, კარგ გუნებაზე დააყენა, მოაქეიფა. მაგრამ მასპინძელი მაინც შიშსა ჰგვრიდა. ისინი კარვის შესასვლელთან გვერდიგვერდ ისხდნენ, ვახშამს შეექცეოდნენ და თან გაჰყურებდნენ, როგორ ცრიალდებოდნენ ბადრი მთვარის შუქზე ვარსკვლავები.

— დალიე კიდევ, გაგახალისებს, — უთხრა ალქიმიკოსმა, რაკი ისედაც უკვე შეატყო ჭაბუკს მოქეიფიანება, — ძალ-ღონე მოიკრიბე, როგორც მეომარს ბრძოლის წინ შეჰფერის, ოღონდ ნუ იგულმავიწყებ, რომ შენი გული იქ არის, სადაც უნჯ-განძი გეგულვის. ის უნჯ-განძი კი უსიკვდილოდ უნდა იპოვო, ვინაიდან იქით მიმავალმა გზამ რასაც მიგახვედრა და რაც გაგრძნობინა, ყველაფერი აზრს მამინ შეიძენს.

ხვალვე გაყიდე ის შენი აქლემი და ცხენი იყიდე. აქლემებს ცუდი ზნე სჭირთ: ჯერ მიდიან, მიდიან, დაღლა არ იციან, მაგრამ მერმე უცებ იჩოქებენ და იხოცებიან. ცხენს კი თანდათან ეცლება არაქათი და ყოველთვის შეიძლება იმის თქმა, კიდევ რამდენის გარბენა შეუძლია და როდის დავარდება.

●

**გამოხდა** ერთი დღე, და საღამო ჟამისკენ სანტიაგომ ალვირამოდებული ბედაური ფეხდაფეხ მიიყვანა ალქიმიკოსის კარავთან. მალე ისიც გამოჩნდა და თავის სინიბს უმალ ზედ მოექცა, შევარდენმა კი თავისი ადგილი დაიჭირა მხედრის მარცხენა მხარზე.

— წამო, უდაბნოს სიცოცხლე მაჩვენე, — უთხრა მან, — განძეულის პოვნა მარტო იმას შეუძლია, ვინც აქ სიცოცხლეს მიაგნებს.

სტუმარ-მასპინძელი მთვარით განათებულ ქვიშნარს გაუყვა. „საეჭვოა, რომ მივაგნო, — ფიქრობდა სანტიაგო, — უდაბნოს გაგებაში არა ვარ და აქ სიცოცხლეს რა მიმაგნებინებს“.

ის იყო ალქიმიკოსისკენ მიტრიალება დააპირა, ბარემ ვეტყვი, რასაც ვფიქრობო, მაგრამ შეეშინდა. იარეს, იარეს და იმ ქვიან ადგილს მიადგნენ, საიდანაც ნამწყემსარი ქორ-გეზელთა ფრენას თვალყურს ადევნებდა.

— არა მგონია, რამე გამომივიდეს, — მაინც გაბედა თქმა სანტიაგომ. — ვიცი, უდაბნოში სიცოცხლეა, მაგრამ მე არ მიმეგნებინება.

— სიცოცხლე სიცოცხლეს იზიდავს, — ნათქვამის პასუხად მიუგო ალქიმიკოსმა.

ჭაბუკმა გაუგო, აღვირი მიუშვა, და ბედაური თავის ნებაზე მიჰყვა ქვიშნარსა და ხირხატს. ალქიმიკოსი კვალდაკვალ მისდევდა. აგრე გავიდა ნახევარი საათი. ფინიკის პალმების ტევრი სადღაც შორს მიფანიერდა, აღარცრა ჩანდა, გარდა კაჭარ-ლოდებისა, ანუ უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვებისა, ვეებერთელა მთვარის შუქზე ბრწყინვალისფრად რომ ირეკლავდნენ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, როგორც იყო, შედგა სანტიაგოს ბედაური — ნამწყემსარი ადრე აქ არასოდეს არ იყო ნამყოფი.

— თავს მოვიკლავ, აქ სადღაც სიცოცხლე თუ არ სუნთქავდეს. — უთხრა მან ალქიმიკოსს. — მართალია, მე უდაბნოს ენა არ ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ ჩემს ბედაურს ესმის სიცოცხლის ენა.

ჩამოქვეითდნენ. ალქიმიკოსი დუმდა. ქვებს დასცქეროდა და ნელა მიიწევდა წინ. უცებ შედგა, ფრთხილად დაიღუნა. ქვებს შუა ხვრელი ჩანდა შავად. ჯერ თითი შეყო, მერმე მთელი მკლავი შეჩარა მხრამდე. შიგ რაღაც აფუთფუთდა, სანტიაგომ ალქიმიკოსის თვალებში — მხოლოდ თვალებსღა ხედავდა — დაძაბული ყურადღება ამოიკითხა: ის თითქოს ვიღაცას ებრძოლებოდა. მერმე ისე უეცრივ გამოყო ხელი იმ სოროდან და ისეთნაირად წამოვარდა, რომ სანტიაგო მოულოდნელობისგან შეხტა. ალქიმიკოსს კუდით გველი ეჭირა.

ელდანაკრავი სანტიაგო განზე გავარდა. გველი ალქიმიკოსის თითებშუა იხლაკნებოდა და უდაბნოს უშფოთველ მდუმარებას სისინ-სიცილით აპობდა. უბრალო გველხოკურა კი არა — კობრა იყო, რომლის ნაკბენიც ადამიანს უსწრაფესად კლავს.

„როგორ არ ეშინია?“ — გაუელვა თავში სანტიაგოს. ალქიმიკოსმა გველის სოროში რომ შეყო ხელი, რასაკვირველია, თავი გადადო, თუმცა მაინც მშვიდად გამოიყურებოდა. „ორასი წლისაა“, — წამოაგონდა სანტიაგოს ინგლისელის სიტყვები. რა თქმა უნდა, ეცოდინება, როგორ უნდა მოექცეს უდაბნოს გველებს.

ვითომც არც არაფერიო, ისე მივიდა თავის სინიბთან, უნაგირს მიკრული ქარქაშიდან გრძელი მოხრილი ხმალი ამოიწვადა, მერმე იმ ხმლით ქვიშაზე წრე შემოხაზა და წამიერად მიყუჩებული უნასი წრის შუაში დააგდო.

— ნუ გეშინია, — უთხრა სანტიაგოს, — მანდედან ეგ ვერ გამოვა. შენ კი უკვე საბუთი ხელთა გაქვს, რომ სიცოცხლე უდაბნოშიც არის. მე სწორედ ეს მინდოდა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— ძალიანაც დიდი. პირამიდებს გარშემო უდაბნო აკრავს.

სანტიაგოს აღარ უნდოდა ისევ პირამიდებზე ლაპარაკის ჩამოგდება — ჯერ კიდევ გუშინდლიდან გულზე თითქოს ლოდი რამ აწვა. უნჯ-განძის საძებნელად წასვლა ფატიმას დაკარგვას ნიშნავდა.

— მე თავად გიეტიკებ და გიყოლაუზებ, — უთხრა ალქიმიკოსმა.

— ოაზისში დარჩენა მირჩევნია, — მიუგო სანტიაგომ, — რასან ფატიმას უკვე შევხვდი, სხვა არცრა განძეულს აღარ ვეძებ.

— ფატიმა უდაბნოს ასულია. კარგად იცის, კაცები თუ მიდიან, იმიტომ მიდიან, რათა მერმე დაბრუნდნენ. შენი პოვნით თავისი განძე-

ული იმანაც იპოვა. ახლა კი იმედოვნებს, რომ იმასაც მიაგნებ, რასაც ეძებ.

— თუ არ წავედი და დავრჩი?

— დარჩები და ბელადის ვეზირი გახდები. იმდენი ოქრო გექნება, ცხვარსაც ბევრს იყიდი და აქლემსაც. ფატიმას ცოლად შეირთავ და პირველ წელიწადს ბედნიერად იცხოვრებთ. უდაბნოს სიყვარულსაც ისწავლი და ორმოცდაათი ათასი ფინიკის პალმიდან ცალ-ცალკე არც ერთის ცნობა არ გაგიჭირდება. გაიგებ, როგორ იყრიან ტახს და ამ თავიანთი ტანის აყრით დაგიბეჯითებენ, რომ ეს ქვეყანა მუდმივად იცვლება. ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო უკეთესად გაერკვევი ნიშნებში, ვინაიდან უდაბნოზე უკეთესი მასწავლებელი არცვინ არის.

მაგრამ გავა წელიწადი და მოგაგონდება შენი უნჯ-განძი. ნიშნები აღარ მოგასვენებენ, სულ იმაზე დაგიწყებენ ჩიჩინს, შენ კი ყურადღებას არც მიაქცევ, ვითომ ვერცა გხედავთ და არც მესმის თქვენიო. მთელ შენს ცოდნასა და უნარს ოაზისისა და ოაზისელთა საკეთილდღეოდ გამოიყენებ. ტომის ბელადები მადლობელი გაგიხდებიან, აქლემები კი უამრავ სიმდიდრეს მოგიზიდავენ და ძალაუფლებასაც გაგიმტკიცებენ.

გაივლის კიდევ ერთი წელიწადი. ნიშნები კვლავინდებურად სულ შენი უნჯ-განძისა და შენი გ ზ ი ს შესსენებაში იქნებიან. ღამღამობით გახვალ და იწრიალებ, იბორიალებ ოაზისში, ფატიმას კი დარდი შეუჭამს გულს, რადგან მიხვდება თავისი უნჯ-განძის ძებნაზე ჩემი გულისთვის აიღო ხელიო. თუმცა შენ ისევ ძველებურად გეყვარება ფატიმა, და ისიც სიყვარულითვე გიპასუხებს. მოგაგონდება, რომ იმას ერთხელაც არ უთხოვნია, ნუ წახვალო, ვინაიდან უდაბნოს ქალებმა იციან თავიანთი წასული კაცების ლოდინი. და ნანდაურს ვერცრაში დაადანაშაულებ, ოღონდ არა ერთსა და ორ ღამეს შეაჯერებ უდაბნოს, არა ერთსა და ორ ღამეს შეაჯერებ ტევრს პალმებისას, და გულს დაგიღრღნის ფიქრი, ფატიმას სიყვარულს თუ უფრო მეტად ვირწმუნებდი, წასვლა არამც არ გამიჭირდებოდაო. რამეთუ უდაბნოში შენ შიში გაჩერებს, იმის შიში, ვაითუ ველარ დავბრუნდეო. ამ ყოყმან-ჭოჭმანში მყოფს ნიშნები პირდაპირ გეტყვიან, რომ უნჯ-განძს ტყუილადღა დაუწყებ ძებნას, სამუდამოდ უნდა დაემშვიდობო.

დადგება მეოთხე წელიწადი, და ნიშნები გაქრებიან, რადგან შენ იმათი შემჩნევა აღარ მოგეპრიანება. როგორც კი მიგიხვდებიან, ბელადები, აშას გიკრავენ შენს სამსახურზე, შენი არცრა გვინდაო, გეტყვიან, თუმცა ამ დროისთვის შენ უკვე მდიდარი სოვდაგარი იქნები, ბეზირგანი, უამრავი ქულბაქი გექნება და აქლემების უამრავივე ჯოგი გეყოლება. და შენი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უდაბნოსა და პალმების ტევრს შუა იყიალებ გულგასენილი იმის გამო რომ თავის დროზე შ ე ნ ს გ ზ ა ს არ დაემწყემსე და გონს გვიან მოეგე.

მოკლედ, ვერცროდის მიხვდები, რომ სიყვარული სულაც არ უშლის ხელს ადამიანს თავისი ბედ-იღბლის მოყოლაში. ხოლო ასეთი რამ როცა ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ სიყვარული ჭეშმარიტი არ არის, საყოველთაო ენაზე რომ მეტყველებს, — დაასრულა თავისი სათქმელი ალქიმიკოსმა.

მერმე ქვიშაზე შემოხაზულ წრეს პატარაზე პირი უჩინა, საიდანაც კობრა გამოსრიალდა და ქვებში მიიმალა. სანტიაგოს ბროლის ვაჭარი

გაახსენდა, მთელი ცხოვრება მექაში წასვლაზე რომ ოცნებობდა, გაახსენდა ალქიმიკოსის მძებნელი ინგლისელიც და ის ქალაც, რომელსაც სჯეროდა, ერთხელაც უდაბნო ჩემს შესაყვარებელ ადამიანს შემახვედრებსო.

ალქიმიკოსიცა და სანტიაგოც ცხენებზე შესხდნენ. ამჯერად წინ ალქიმიკოსი მიდიოდა. ქარს ოაზისელთა ჟრიამული მოეტანა და სანტიაგო იმ ბოჟირ-ჟრიამულში ფატიმას ხმის გამოცნობას ცდილობდა. წინადღეს გულის მურაზს ბრძოლის გამო ჭასთან ვერ შეხვდა.

მაგრამ ახლა, ამ ღამეს კობრასთან მოუწია შეხვედრა, რომელმაც წრის საზღვრის გარღვევა ვერ გაბედა, ბევრი რამ გაიგო მხარზე შევარდენშესმული იდუმალი მხედრისგან, რომელიც სიყვარულსა და განძეულზე, უდაბნოს ქალებსა და ადამიანის ბედ-იღბალზე ელაპარაკებოდა.

— შენთან ერთად ყველგან წამოვალ, — უთხრა სანტიაგომ და იმწუთას იგრძნო, რომ გულში სიმშვიდე დაუსადგურდა.

— ხვალ უთენებლივ გავალთ, — მოკლედ მოუჭრა ალქიმიკოსმა.

●

**ღამით** სანტიაგოს თვალი არ მოუხუჭავს. მზის ამოსვლამდე ორი საათით ადრე იმავე კარავში დაბინავებული ერთ-ერთი ყმაწვილკაცი ვაალვიძა და სთხოვა, ფატიმა რომელ კარავშია, მაჩვენეო. ყმაწვილკაცი მაშინვე ყაბულს გაუხდა, კარვიდან ორივენი ერთად გამოვიდნენ და მადლობის ნიშნად სანტიაგომ ფული აჩუქა, ცხვარი იყიდეო.

მერმე ფატიმას გაღვიძება სთხოვა, უთხარი, გარეთ გელოდებათქო. არაბ ყმაწვილკაცს არც ამ თხოვნაზე უთქვამს უარი და კიდევ ერთი ცხვრის საყიდელი ფული გაირტყა.

— ახლა კი მარტონი დაგვტოვე, — უთხრა სანტიაგომ, და არაბი ყმაწვილკაცი, გაამაყებული, აქაოდა თვით ვეზირს დავეხმარეო, და გახარებული, ცხვრის საყიდელ თანხასაც გამოვკარი ხელიო, თავის კარავში მიბრუნდა და დასაძინებლად დაწვა.

ფატიმაც გამოჩნდა. მიჯნურთ ფინიკის ტევრს მიაშურეს. სანტიაგომ იცოდა, რომ ადათ-წესს არღვევდა. მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

— ჯერ კიდევ უთენია მივდივარ, — უთხრა მან, — მაგრამ უნდა იცოდე, რომ აუცილებლად დავბრუნდები. მე შენ იმიტომ მიყვარხარ...

— ნურაფერს ნუღა იტყვი, — გააწყვეტინა ფატიმამ, — იმიტომ გიყვარვარ, რომ გიყვარვარ. სიყვარულს განმარტება აღარ უნდა.

მაგრამ სანტიაგო განაგრძობდა:

— ... იმიტომ მიყვარხარ, რომ სიზმარი ვნახე, მეფე მელქისედეკს შევხვდი, ბროლის ქულბაქში ვიმუშავე, უდაბნო გადმოვლახე. ოაზისში იმ დროს მოვხვდი, როცა ომი ატყდა, და ჭასთან გკითხე, ალქიმიკოსი სად ვიპოვო-მეთქი. მე შენ იმიტომ მიყვარხარ, რომ მთელი ქვეყნიერება ხელს უწყობდა ჩვენს შეხვედრას.

და ყელი ყელსა გადაეჭდო. ისინი პირველად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— აუცილებლად დავბრუნდები, — გაუმეორა სანტიაგომ.

— ადრე თუ სურვილი მაყურებინებდა უდაბნოს, ახლა იმედით დავუწყებ ცქერას, მამაჩემიც არაერთხელ წასულა უდაბნოში, მაგრამ ყოველთვის ისევ უბრუნდებოდა დედაჩემს.

სხვა არცრა სიტყვა თქმულა. კიდევ ცოტა იარეს პალმებქვეშ, და სანტიაგომ კვლავ იმ კარავთან მიიყვანა ფატიმა, საიდანაც წამოიყვანა.

— როგორც მამაშენი ბრუნდებოდა ხოლმე, მეც ისე დავბრუნდები. ფატიმას თვალზე ცრემლი შეამჩნია.

— რა გატირებს?

— მე უდაბნოს ქალი ვარ, — მიუგო ფატიმამ და სახე მოარიდა, — მაგრამ უწინარესად, მაინც უბრალოდ ქალი ვარ.

ფატიმა კარვის ფარდას მიეფარა. უკვე ირიჟრაჟა კიდეც, ცისპირი იძრა. გათენდება თუ არა, ფატიმა კარვიდან გამოვა და კვლავაც იმ საქმეს მიჰყოფს ხელს, რასაც ამდენხანს იქმოდა, ოღონდ აწ ყველაფერი სხვანაირი გახდება. სანტიაგო ოაზისში აღარ არის, და ოაზისი მიჯნურის თვალში ძველ მნიშვნელობას დაკარგავს. ოაზისი ადრე იყო, თანაც სულ ახლახან, ის ადგილი, სადაც ორმოცდაათი ათასი ფინიკის პალმა ხაროობდა, სადაც სამასი ჭა იყო, საითკენაც სიხარულით მოიჩქაროდნენ გრძელგზაგამოვლილნი დაქანცულნი მგზავრნი. დღეის ამას იქით ოაზისი ფატიმასთვის ცარიელ ადგილად დარჩება.

ამიერიდან ბევრად მეტ მნიშვნელობას შეიძენს უდაბნო. ფატიმა თვალს აღარ მოაშორებს და სულ იმის ცდაში იქნება, ეგება როგორმე გამოიცნოს, რომელ ვარსკვლავს ასდევნებია თავის უნჯ-განძის საძებნელად მიმავალი სანტიაგო. ფიქრმგლოვიარე უდაბნოს ასული ამბორს ქარს გაატანს ხოლმე იმ იმედით, რომ ის სულიერი კოცნა მიჯნურის სახეს შეეხება და უამბობს, შენი სიყვარული ცოცხალია, შენს მოლოდინში ათენებს და აღამებსო. ამიერიდან უდაბნოს ფატიმასთვის მხოლოდ ერთი აზრი ექნება: იქიდან სანტიაგო უნდა დაუბრუნდეს.

●

— **უკან** რაც დარჩა, იმაზე არც იფიქრო, — უთხრა ალქიმიკოსმა, ქვიშნარს რომ გაუყვნენ, — ყოველივე უკვე აღბეჭდილია ქვეყნიერების სულში და იქ იქნება საუკუნოდ.

— ადამიანები უფრო მეტად დაბრუნებაზე ოცნებობენ, ვიდრე წასვლაზე, — მიუგო სანტიაგომ, რომელიც ხელახლა ეჩვეოდა უდაბნოს მდუმარებას.

— რაც გიპოვია, თუ ფარსაგი მასალისგან ქმნილია, ვერცრა წაასდენს. და დაბრუნებაც თამამად შეგიძლია, ხოლო თუ წამიერი გაელვება იყო, ვარსკვლავის დაბადების მსგავსი, მაშინ დაბრუნებულს არცრა დაგხვდება. სამაგიეროდ თვალისმომჭრელი ნათების ხილვაც საქმეა.

ის თითქოს ალქიმიაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სანტიაგოს ესმოდა, რომ თვალქვეშ ფატიმა ჰყავდა.

ძნელი იყო, უკან რაც დარჩა, იმაზე არ ეფიქრა. უდაბნოს ერთფეროვანი ლანდშაფტი სწორედ უკან დარჩენილს აგონებინებდა და თანაც აოცნებებდა. ვერა, თვალიდან ვერ იშორებდა სანტიაგო ვერც ფინიკის პალმებს, ვერც გვიმიან ჭეშსა და ვერც სატრფოს სახეს. თვალცხადლივ ხედავდა ინგლისელსაც თავის კოლბებიანად და ხინჯარებიანად, ხედავდა ბრძენ მეალქიმესაც, რომელმაც სულაც არ უწყოდა თავისი სიბრძნის ამბავი. „ალქიმიკოსს, ალბათ, არცვინ არცროდის ჰყვარებია", — გაიფიქრა სანტიაგომ.

ის კი ოდნავ წინ მიდიოდა, ჩორთით მიჰყავდა სინიბი, მხარზე შევარდენი ესვა, უდაბნოს ენას უებროდ დაუფლებული ბაზი, და, როცა ჩერდებოდნენ, შევარდენი უმალ ჰაერში აიჭრებოდა ხოლმე მოსანადავლებლად. პირველ დღეს ბრჯღალებში კურდღელი მოექცია, ისე მოფრინდა, მეორე დღეს — ორი ფრინველი მოენადავლებინა.

ღამღამობით ძირს საფენს რასმე იფენდნენ, სნატს, ცეცხლს არ ანთებდნენ, თუმცა ღამეები უდაბნოში ცივი იყო, და მთვარის დალევის კვალობაზე სიბნელეც სულ უფრო კუნაპეტდებოდა. ლაპარაკით მთელი პირველი კვირა მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს დარეულ ტომებს როგორ არიდებოდნენ. ომი არ ცხრებოდა, ქარს ხან სისხლის მოტკბო სუნი მოჰქონდა, სადღაც არცთუ შორს სიკვდილს კალო ება და ქარი წამისწამ ახსენებდა გზაზე გადებულ ჭაბუკს, რომ ამქვეყნად არის ნიშნების ენა, რომელ ენასაც ყოველთვის შეუძლია იმის მოყოლა, რასაც თვალები ვერ ხედავენ.

მგზავრობის მერვე დღეს ალქიმიკოსმა დაფერხება ჩვეულებრივზე ადრე გადაწყვიტა. შევარდენი ცაში აიჭრა. ალქიმიკოსმა სანტიაგო წყლით სავსე მათარა მიაწოდა.

— შენი გზა-გზა სიარული დასასრულს უახლოვდება, — უთხრა მან, — გილოცავ. შენი გზისთვის არ გადაგიხვევია.

— შენ კი მთელი გზა დუმდი. მართალი გითხრა, მეგონა, რაც იცი, ყველაფერს მასწავლიდი. მე უკვე მომიხდა უდაბნოში ხეტიალი ერთ კაცთან ერთად, რომელსაც კარგა ბლომად ჰქონდა ალქიმიის წიგნები. მაგრამ იმ წიგნებიდან ვერც ვერაფერი გავიგე.

— ჩაწვდომის მხოლოდ ერთადერთი გზა არის, — უთხრა ალქიმიკოსმა, — მოქმედება. მოგზაურობამ ყველაფერი გასწავლა, რაც საჭიროა. ერთი რამის გაგებაღა დაგრჩა.

სანტიაგომ ჰკითხა, რა არის, რის გაგება დამრჩაო, მაგრამ ალქიმიკოსი ცის ტატანს თვალს არ აშორებდა — იქ თავის შევარდენსა ზვერავდა.

— ვითომ ალქიმიკოსს რატომ გეძახიან?

— იმიტომ რომ ალქიმიკოსი ვარ.

— სხვა ალქიმიკოსებს რა ეშლებოდათ — ბევრსაც რომ ეძებდნენ და ოქროს მაინც ვერ პოულობდნენ?

— იმათი შეცდომა ის არის, რომ მარტო ოქროს ეძებდნენ. გზაზე გადამალული განძეულის ძებნაში იყვნენ, თვითონ გზას კი გვერდს უვლიდნენ.

— რას მეტყვი, მაინც რის გაგება მაკლია? — შეკითხვა გაუმეორა სანტიაგომ.

ალქიმიკოსი წელანდელივით ცაში იყურებოდა. მალე შევარდენი ნადავლითურთ მოფრინდა. ალქიმიკოსმა და სანტიაგომ ქვიშა ამოაღრმავეს და, უცხო თვალისთვის შესამჩნევი რომ არ ყოფილიყო, ცვლილებიც დაანთეს.

— მე იმიტომ ვარ ალქიმიკოსი, რომ ალქიმიკოსი [illegible] წართქვა მან. — ამ მეცნიერების მუღამი პაპაჩემისგან გადმომეცა, პაპაჩემს — თავისი პაპისგან. რაც ქვეყნიერება შექმნილა, სულ აგრე გადმოდიოდა პაპიდან პაპაზე. იმ ადამპაპის ჟამს კი მთელი ეს მეცნიერება ზურმუხტის ერთ წახნაგზე ეტეოდა. მაგრამ ადამიანები უბრალო ამბებს მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ამიტომაც დაიწყეს ფილოსოფიური ტრაქტატების წერა. საით უნდა ვიაროთ, მარტო ჩვენ ვიცითო, სხვა დანარჩენთ არ იციანო, ალაპარაკდნენ.

მაგრამ ზ უ რ მ უ ხ ტ ი ს ფ ი ქ ა ლ ი დღესაც არის.

— ზედ მაინც რა აწერია? — დაგულისყურდა სანტიაგო.

ალქიმიკოსი ხუთიოდე წუთი რაღაცას ხაზავდა ქვიშაზე, სანტიაგო კი ამასობაში მიმოგონებას მისცემოდა, იგონებდა, როგორ გადაეყარა მოედანზე მოხუც მეფეს, და მოეჩვენა, რომ მას უკან მთელმა საუკუნემ განვლო.

— აი, რა აწერია, — უთხრა ალქიმიკოსმა ქვიშაზე სურათის გასრულებისთანავე.

სანტიაგო მიუახლოვდა და წაიკითხა.

— ეს ხომ ქარაგმაა! — სასოწარკვეთილმა წამოიძახა! — რაღა ესა და რაღა ინგლისელის დადუმლული წიგნები!

დადუმლულს სანტიაგო დაქარაგმებულს ეძახდა.

— არა. ეს იგივეა, რაც ცაში ქორ-გეზელთა ნავარდი: გონებით ვერ ჩასწვდები. ზურმუხტის ფიქალი ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი ს უსტარია. ბრძენთკაცთ დიდი ხნის შეგნებული აქვთ, რომ სააქაო შექმნილია სამოთხის ხატად და მსგავსად. სააქაოს თავად არსებობა იმის საწინდარია, რომ არსებობს სხვა, ბევრად უფრო სრულქმნილი ქვეყანაც. ზ ე ნ ა ა რ ს ი ს გ ა ნ იმისთვის ქმნილი, რათა სიკვდილისშვილნი ხილულისა წიაღ სულიერს განიცდიდნენ და თავადვე უკვირდეთ თავიანთი სიბრძნის საოცრებანი. მე სწორედ ამას ვეძახი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს.

— ზ უ რ მ უ ხ ტ ი ს ფ ი ქ ა ლ ი მეც უნდა წავიკითხო?

— ახლა, ამწუთას, სადმე ალქიმიკოსის ლაბორატორიაში თუ იქნებოდი, იმ ფიქლის გაგების საუკეთესო ხერხსაც ისწავლიდი. მაგრამ უდაბნოში ხარ, რაც იმას ნიშნავს, რომ უდაბნოს უნდა ჩასწვდე. უდაბნო ისევე გიმეოხებს ქვეყნიერების გაგებაში, როგორც სხვა ყველაფერი, დედამიწის ზურგზე არსებული. მთელი უდაბნოს გაგება სულაც არ არის საჭირო, ერთი ქვიშის მარცვალიც კმარა იმისთვის, რათა უფლისეული ნ ა მ ო ქ მ ე დ ა რ ი ს სუყოველი საოცრება განიცადო.

— უდაბნოში როგორღა უნდა შთავინთქა?

— შენს გულს მიუყურადე. მაგან ყოველივე უწყის ამქვეყნად, რადგან ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ს ესისხლხორცება და ერთხელაც უკანვე მიაკითხავს.

**კიდევ** ორი დღე და ღამე იარეს მდუმარედ. ალქიმიკოსი თვალყურგაფაციცებული იყო: უკვე იმ ადგილს უახლოვდებოდნენ, სადაც ფიცხელი ბრძოლის ყიჟინა გაისმოდა. სანტიაგო კი თავისი გულის ხმის გაგონებას ცდილობდა.

მაგრამ გული ეჯიუტებოდა: ადრე თუ ამოვარდნაზე ჰქონდა, ახლა ისევ და ისევ საგულისკენ მიუწევდა. ხანისად გული საათობით უყვებოდა გარდასულ ნათელშერეულ სევდიან ამბებს, ხანაც ისე ილხენდა ამომავალი მზის შემყურე, რომ სანტიაგო უჩუმრად სლუკუნებდა ხოლმე. გულის ძგერა მყის უხშირდებოდა უნჯ-განძის გახსენებაზე და წამსვე უყუჩდებოდა, თუ ნამწყემსარი ჭაბუკი თვალგაუწვდენელ უდაბნოს გახედავდა.

— მაინც რატომ უნდა მიუყურადოს კაცმა თავის გულს? — ჰკითხა სანტიაგომ, როცა მცირე ხანს დაფერხდნენ ქარის ამოსაღებად.

— სადაც გულია, უნჯ-განძიც იქ არის.

— გული ჩემი ამღვრეულია, — უთხრა სანტიაგომ, — ინატრის, ღელავს, უდაბნოელ ქალასკენ იწევს. სულ რაღაცას მენუკვის. ფატიმაზე ფიქრში მთელ ღამეს თეთრად მათენებინებს.

— ძალიანაც კარგი. მაშასადამე, შენს გულს სული უდგას, ცოცხალია. განაგრძე, გააკვლადე მიყურადება.

მომდევნო სამ დღეში რამდენიმე მეომარს გადაეყარნენ, დანარჩენთ კი ცისკიდურზე ჰკიდეს თვალი.

სანტიაგოს ახლა შიშზე აუძრახდა გული. სულ იმ ადამიანებზე ეჩიჩინებოდა, უნჯ-განძის საძებნელად რომ წასულიყვნენ და ვერცრა ეპოვათ. ის კი არა, ხან, არც შენა ხარ რისამე მომძიებელიო, აშინებდა; იქნებ სადმე უდაბნოშიც გიწერია სიკვდილიო, თავზარსა სცემდა. ხანაც უბეჯითებდა, ბევრ სიკეთეს ნუ გამოედევნებიო, მეტი რაღა გინდა, სატრფოცა გყავს და ოქროცა გაქვსო.

— გული მღალატობს, — უთხრა მან ალქიმიკოსს, ცხენები შესაქაქანებლად რომ შეაყენეს, — ჩემს კიდევ შორს წასვლას აღარ ნდომულობს.

— ეგ კარგია, — უთხრა ალქიმიკოსმა, — მაშასადამე, სიცოცხლის ძაფი არ გასწყვეტია. ბუნებრივია, შიშნეულობს, რომ ოცნების დევნაში ისიც არ დაკარგო, რაც უკვე ხელთ გიპყრია.

— მაშ, რალატომ უნდა ვიყო მიყურადებული?

— ბევრიც რომ მოინდომო, მაინც ვერ გააჩუმებ. თავი ისეც რომ აჩვენო, ვითომ ყურს არც გიგდებო, მაგ შენს საგულეში ჩამდგარი სულ იმის გამეორებაში იქნება, რასაც წუთისოფელსა და ცამყარზე ფიქრობს.

— ღალატს არ მოიშლის?

— ღალატი მოულოდნელად, ულუმელად დარტყმაა. შენი გულის ასავალ-დასავალი თუ გეცოდინება, ღალატს ვერ მოგიხერხებს. ვინაიდან წინ-წინ გაუგებ, რა უნდა, რის მოსურნეა, და იოლად მოერევი, თავის გულისგან გაქცევა კი ჯერ არცვის მოხერხებია. ამიტომ მიყურადღება გიჯობს. უცაბედად ველარ დაგცხებს.

უდაბნოში გასავლელ გზას ბოლო არ უჩანდა, და სანტიაგო თავის გულს უგდებდა ყურს. მალე მან უკვე სულ ზეპირად იცოდა თავისი გულის ხუმტურ-ხრიკები და როგორ გულობასაც უწევდა, ყაბულს იყო. ნამწყემსარი შიშს აღარ გრძნობდა და აღარც უკან დაბრუნება უნდოდა, გვიანღა იყო, თანაც გული ეუბნებოდა, ყელამდე სავსე ვარო, აღარცრა მინდაო.

„რა ვქნა, მეპატიება, ხანდახან თუ ვწუწუნებ, ადამიანის გული ვარ და აგრე მჩვევია. ადამიანიშვილს ყველას აშინებს თავისი სანუკვარი ოცნების ახდენა, ჟამ-ჟამად იმიტომ, ვაითუ ჩემი ოცნების სულაც ღირსი არა ვარო, ჟამ-ჟამად კი იმიტომ, იქნებ ხორცი ვერც შევასხაო. მეც, ადამიანის გულსაც, შიშისგან სუნთქვა მეკვრის, როცა კი წარმოვიდგენ სამუდამოდ გაყრილ მავან და მავან მიჯნურთ; როცა კი წარმოვიდგენ რომელსამე დროს, ბედნიერ დროდ რომ შეეძლო გადაქცევა, მაგრამ არ გადაიქცა; როცა კი წარმოვიდგენ განძეულობას რასმე, ადამიანის თვალს რომ უნდა მიეგნო, მაგრამ ვერ მიაგნო, და დარჩა სამუდამოდ დამარხული ქვიშნარში. შიშისგან სუნთქვა მეკვრის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, ადამიანებს გაგაგებინოთ, როგორ ვიტანჯები, თუ ეს ყოველივე მართლა ხდება“, — კარგა ხანს ჩაესმოდა სანტიაგოს თავისი გულის ხმა.

— ჩემს გულს ტანჯვისა ეშინია, — უთხრა მან ერთხელ ღამით ალქიმიკოსს უმთვარო, ჩაქუფრული ცის მაცქერალმა.

— შენც ადექი და უთხარი, ტანჯვის შიში თვითონ ტანჯვაზე უარესია-თქო. ნურც იმის თქმას იგულმავიწყებ, რომ არც ერთი გული არ იტანჯება, რაჟამს თავისი ოცნების საძებნელად მიდის, რადგან ამ ძებნა-ძიების სუყოველი წუთი შეხვედრაა ზეციერთან და საუკუნოებასთან.

„სუყოველი წუთი შეხვედრაა, — უთხრა სანტიაგომ თავის გულს, — სანამ ჩემს უნჯ-განძს ვეძებდი, თითოეული დღე ჯადოსნური რამ შუქით იყო გაცისკროვნებული, რადგან ვიცოდი, რომ ყოველი საათი ჩემი ოცნების ახდენას მაახლოებდა. სანამ მე ჩემს უნჯ-განძს ვეძებდი, გზად ისეთ რასმე შევხვედრივარ, რასაც ვერცროდის ვიოცნებებდი, მწყემსისთვის შეუძლებლის ქმნას თუ ვერ გავბედავდი“.

ამის თქმა იყო, და გულს მთელი საღამო აღარ შეუწუხებია ნამწყემსარი, თავი აღარ შეუხსენებია. ღამითაც მშვიდად ეძინა სანტიაგოს, ხოლო გაიღვიძა თუ არა, გულმა ქვეყნიერების სულზე ჩამოუგდო სიტყვა. ბედნიერად ის კაცი მითქვამს, ვისაც თავის თავში ღმერთი ჰყავს დავანებულიო. ბედნიერების პოვნა ჩვეულებრივ ქვიშის მარცვალშიც შეიძლებაო, რომელ ქვიშის მარცვალზეც ალქიმიკოსი უბნობდაო. ვინაიდან ამ ქვიშის მარცვლის შესაქმნელად სამყაროს უთვალავი წელიწადი დაეჭირვაო.

„დედამიწის სუყოველ ბინადარს თავისი განძეული ელოდება, — წარიტყოდა გული, — მაგრამ მეცა და სხვა გულებიც ხმას არ ვიღებთ, რადგან ადამიანებს თავიანთი განძეულობის მონაგრება არ უნდათ. მხოლოდ ბავშვებს თუ ვუმხელთ ჩვენს სათქმელს და მერმე თვალს ვადევნებთ, როგორ წარმართავს ცხოვრება თითოეულს თავისი ბედ-იღბლის შესახვედრად. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი მისდევენ

განკუთვნილ გ ზ ა ს. დანარჩენთ ცამრგვალი შიშს უნერგავს და ისიც მართლა საშიში ხდება.

და მაშინ, რამდენი გულიცა ვართ, ყველანი სულ უფრო და უფრო სმადაბლა წარვიტყვით ჩვენს სათქმელს. დადუმებით არცროდის ვდუმდებით, მაგრამ ვცდილობთ, რომ ჩვენგან თქმულმა ყურებვინ გაიგონოს, რა არი ქვეყნად ერთი კაციც არ იტანჯებოდეს იმის გამო, გულის ხმა ყურად რატომ არ ვიხვენო".

— უკარნახოს, ვითომ რატომ არ უკარნახებს გული ადამიანს, წადი, შენი ოცნების ასახდენად იარეო? — დაეკითხა სანტიაგო.

— რატომ და, მაშინ ტანჯვას ვერ ასცდებოდა, გულს კი ტანჯვა არ უყვარს.

ის დღე იყო, და სანტიაგომ თავის გულს გაუგო. და სთხოვა, დღეის წალმართ როგორც კი ჩემი ოცნებისკენ მიმავალი გზიდან გადავუხვევ, იმწუთას შემეკუმშე და ამტკივდიო, რაც ჩემთვის განგაშის ნიშანი იქნებაო. და დაიფიცა, ამ ნიშნის შეტყობისთანავე უმალ ჩემს **გზას** დავუბრუნდებიო.

იმ ღამეს მან მთელი თავისი თავგადასავალი უამბო ალქიმიკოსს, რომელსაც სულაც არ გასჭირვებია იმის გაგება, რომ სანტიაგოს გულმა **ქვეყნიერების სულს** მიმართა.

— ახლა რა უნდა ვქნა?

— რა და, პირამიდებისკენ გზა უნდა განაგრძო. თანაც არც ერთი ნიშანი არ უნდა გამოგეპაროს. შენს გულს უკვე შეუძლია იმ ადგილის კარნახი, სადაც განძია.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ ადრე ეს არ ვიცოდი?

— არა. გეტყვი, რაც არ იცოდი, — უთხრა ალქიმიკოსმა და პირქარი გაშალა, სათქმელის გუდას პირი მოხსნა:

— ოცნება სანამ აგვიხდებოდეს, ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს სულ ი გვცდის, ვნახო ერთი, ყველა ჩემი გაკვეთილი ათვისებული აქვთ თუ არაო. ამას კი იმიტომ იქმს, რა არი ჩვენს ოცნებასთან ერთად გზადაგზა ცოდნის მონაგრებაც შევიძლოთ. ადამიანების უმრავლესობას დიახაც ამ საქმეში ღალატობს ვაჟკაცობა. უდაბნოს ენაზე ამას ჰქვია „წყურვილისგან სიკვდილი, როცა ოაზისი უკვე თვალსაწიერზეა". ძებნა თუ ძიება მუდამ ხელსაყრელი რამ ამბით იწყება. დამთავრებით კი კაცის გამოცდით მთავრდება.

სანტიაგოს თავის სოფელში გაგონილი ძველი ანდაზა წამოაგონდა, ყველაზე ძალიან გათენების წინ ბნელაო.

●

**მეორე** დღეს პირველად იჩინა თავი უტყუარი საფრთხის ნიშანმა. მგზავრთ სამი მეომარი მიეახლოვა და, აქ რას აკეთებთო, ჰკითხეს.

— შევარდნითურთ ვნადირობ, — მიუგო ალქიმიკოსმა.

— სხვანაირად არ გამოვა, უნდა დაგვარწმუნოთ, რომ უიარაღონი ხართ, — უთხრა სამთაგან ერთ-ერთმა.

ალქიმიკოსი აუჩქარებლივ ჩამოხდა ცხენიდან. სანტიაგოც ჩამოქვეითდა.

— თან ამდენი ფული რატომ მიგაქვს? — ჰკითხა მეომარმა, სანტიაგოს ტავარჯუხს რომ უქექავდა.

— ფული პირამიდებამდის მისასვლელად მინდა.

ჩხრეკისას არაბმა მეომარმა ალქიმიკოსს სითხიანი პატარა ბროლის სინჯარა და ქათმისაზე ოდნავ უფრო მოზრდილი ბუყვითალო მინის კვერცხი უპოვა.

— ეს რა არის? — ჰკითხა მან.

— ფილოსოფიური ქვა და უკვდავების ელექსირია — ალქიმიკოსთა დიადი ნაქმ-ქმნილება, ანუ აღნაქვსი. ვინც ამ ელექსირს დალევს, ავად არცროდის გახდება. ამ ქვის ერთი ნაფრცხენი კი, მცირე რამ ანახეთქი, რაგინდარა ლითონს ოქროდ აქცევს.

მხედართ გულიანი სიცილი აუვარდათ, და ალქიმიკოსიც აჰყვა. ეს რა კარგი რამე გვითხარი, რა გულიანად გაგვაცინეო, კუჭკუჭებდნენ ისინი და წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ, მგზავრთ წასვლის ნება დართეს.

— შენ რა, შეიშალე? — ჰკითხა სანტიაგომ, როცა მეომრები უკვე კარგა შორს დარჩნენ. — ეგ ვითომ რატომ ქენი?

— გითხრა, რატომ? რათა შენთვის მეჩვენებინა ამქვეყნად მოქმედი ერთი სულ მარტივი კანონი, — მიუგო ალქიმიკოსმა, — ჩვენ ვერცროდის ვამჩნევთ, რა განძეული გვიძევს თვალწინ. იცი, რატომ? რატომ და, ადამიანებს საერთოდ არ სჯერათ, ვინმეს თავისი განძის გამომზეურება თუ ხელეყვის.

მიდიოდნენ, მაგრამ დაუბოლოებელ გზას სიარული ვერა ლევდა. სანტიაგოს სულ უფრო და უფრო ესიტყვაძვირებოდა გული: აღარც წარსული ეკითხებოდა, აღარც მომავალი; ისიც ჰკმაროდა, რომ უდაბნოს მზერდა და ნამწყემსარ ჭაბუკთან ერთად ქვეყნიერების სულს დასწაფებოდა. ახლა ორივენი უკვე ისე იყვნენ შემოყვასებულნი, არც ერთს აღარ შეეძლო მეორის ღალატი.

არა ერთი და ორი საფრთხე ჩამოუწიგნა, რომელთაც ბედზე გადარჩენოდა. მოაგონა, როგორ მიეფარა სადღაც თვალს მამისთვის მოპარული თოფი, რომლის ტყვიას დაჭრაც შეეძლო და მოკვლაც. არც ტრიალი მინდვრის ამბავი უგულმავიწყია. გაახსენა, როგორ გახდა სანტიაგო ცუდად ცისა და მიწის შუა ცხვართან ერთად მარტოდ დარჩენილი. პირლებინების შემდეგ ძილქუში დაგაწვაო, ამ დროს კი ვიღაც ორი მაწანწალა მინდვრის ბოლოში დადარაჯებული იყო, რათა მოეკალი და ცხვარი გაერეკათო, მაგრამ რახან არა და არ გამოჩნდი, იფიქრეს, რომ ცხვარი სხვა გზას გაუყენე, და წავიდნენო, უყვებოდა გული სანტიაგოს.

— გული ყოველთვის შველის ადამიანს? — იკითხა ნამწყემსარმა.

— ყველას არა შველის. მხოლოდ იმათ ახმარს ხელს, ვინც თავის ბედ-იღბალს მისდევს. აგრეთვე ბავშვებს, მთვრალებსა და მოხუცებს, — უთხრა ალქიმიკოსმა.

— ვინც ჩამოთვალე, ძარცვის საშიშროება არ ემუქრება?

— როგორ არა, მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ თითოეული იმ ადამიანის გული მთელ თავის ძალ-ღონეს სამეოხოდ ძაბავს.

ერთხელაც უდაბნოს მგზავრნი იმ ადგილს მიადგნენ, სადაც ერთმანეთს წაკიდებული ერთი ტომთაგანის მეომრები იყვნენ დაბანაკებული. ყველგან თეთრბურნუსიანი შეიარაღებული ადამიანები ჩანდნენ. ისინი ნარგილეს ეწეოდნენ და გარდახდილ ბრძოლებზე საუბრობდნენ. არც სანტიაგოსთვის და არც ალქიმიკოსისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ.

— ხიფათი უკან დარჩა, — თქვა სანტიაგომ, ბანაკს რომ გასცდნენ.

— შენს გულს ენდე, მაგრამ ნურცროდის იგულმავიწყებ, რომ უდაბნოში ხარ! როცა ადამიანები ერთმანეთს ებრძვიან, ბრძოლის ხმა ქვეყნიერების სულამდე აღწევს. რაც მზის ქვეშ ხდება, იმის შედეგს ვერცვინ გაექცევა, — ალქიმიკოსის ხმაში გულისწყრომა იგრძნობოდა.

„ყველაფერი ერთი მთლიანია“, — გაიფიქრა სანტიაგომ.

ამის გაფიქრება იყო და, თითქოსდა ალქიმიკოსის სიმართლის დასტურად, უდაბნოში ორკაციანი მდევარი გამოჩნდა.

— წინ ველარ წახვალთ, — უთხრა ერთ-ერთმა მხედარმა, როგორც კი დაუმსარდამხარდა. — აქ ყველგან ომია.

— სულ ახლოს მივდივართ, — მიუგო ალქიმიკოსმა და თვალი თვალში გაუყარა.

მხედრები წამიერად გაისუსნენ და, კარგი, წადით, წადითო, გზა გაუთავაზეს მგზავრებს. სანტიაგო გაშტერებული იდგა.

— შეხედე თუ არა, მონუსხე!

— გამოხედვა სულის ძალის მაჩვენებელია, — მიუგო ალქიმიკოსმა.

„ეგრეა“, — გაიფიქრა სანტიაგომ და ის ბანაკი გაიხსენა. გვერდით რომ ჩამოუარეს, მავანმა მეომარმა ორივეს დიდხანს უცქირა. ის ისე შორს იყო, სახე კარგად არც უჩანდა, და სანტიაგო მაინც გრძნობდა იმის გამოხედვას.

მალე გზად წამომართული მთის ალმართს შეუდგნენ, რომელი მთაც მთელ ცისკიდეს ფარავდა, და ალქიმიკოსმა თქვა, პირამიდებამდის ორი დღის სავალიღა დარჩაო.

— მაშ, თუ გაყრა მალე მოგველის, მასწავლე ალქიმია.

— შენ აღარცრის სწავლა არ გინდა. უკვე იცი, რაც არის ალქიმიად სახელდებული მეცნიერება: ქვეყნიერების სულში უნდა შეაღწიო და იქ შენთვის განკუთვნილ განძს მიაგნო.

— მე სხვა რამეს გეუბნები. როგორ ვაქციო ბრპენი, ანუ ტყვია ოქროდ, ის მასწავლე.

ალქიმიკოსს უდაბნოს მდუმარება აღარ დაურღვევია და პასუხი მაშინღა გასცა, ცხენები შესასვენებლად რომ შეაყენეს და დაქვეითდნენ.

— რაც კი რამ სამყაროშია, ყველაფერი და ყოველივე ვითარდება, ერთი მეორეში გადადის, — მიუგო მან, — და, ბრძენკაცთა აზრით, ოქრო ის ლითონია, გინდა ილეკრო თქვი, რომლის ცვლა-განვითარებაც, სუყველა დანარჩენ ლითონ-ილეკროს თუ შევადრით, უფრო მეტად მოხდა. რატომაო, ნუ მკითხავ, არ ვიცი. ჩემთვის მხოლოდ ის არის

ცნობილი, რომ მთელ დედამიწის ზურგზე სხვაგვარად ცოტა ვინმე თუ ფიქრობს.

მაგრამ ადამიანებმა არასწორად განმარტეს გონებაამხედველებულ ბრძენკაცთა სიტყვები და იმის მაგივრად, რომ ოქრო განვითარების სიმბოლო გამხდარიყო, განხეთქილების ნიშნად იქცა.

— ქვეყნიერება ჩვენ გარშემო მრავალ ენაზე მეტყველებს, — თქვა სანტიაგომ. — ადრე აქლემის ჩაყმუყუნება მხოლოდ ჩაყმუყუნება იყო ჩემთვის და მეტი არაფერი. მერმე კი საფრთხის ნიშნად გადაიქცა. ბოლოს ისევ ჩვეულებრივი ხმა გახდა, — ამის თქმა იყო, და ნამწყემსარმა უცებ ენას კბილი დააჭირა, ნეტავი რას ვესიბრძნები ალქიმიკოსმა ეს ყველაფერი უჩემოდაც კარგად იცისო.

— მე ბევრ ნამდვილ ალქიმიკოსს ვიცნობდი, — თავის წელანდელ აზრს განაგრძობდა ალქიმიკოსი. — ერთნი თავიანთ ლაბორატორიებში იკეტებოდნენ და ოქროს მსგავსად ცდილობდნენ განვითარებას. ფილოსოფიური ქვა სწორედ ამ გზით აღმოჩნდა. ვინაიდან ის ალქიმიკოსნი მიხვდნენ, რომ თუკი ერთი რამ ვითარდება, რაც კი რამ იმ ერთი რამის გარშემოა, ის ყველაფერიც იცვლება.

ზოგ-ზოგთ იბედივ მიაგნეს სანუკვარ ქვას, სრულიად შემთხვევით. ზოგ-ზოგთ, ცხადია, სხვათა უმეტესი ჭკუაც ჰქონდათ და ალღოიანი სულიც. მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია. ჩამოსათვლელადაც არ ღირს.

მესამენი მხოლოდ ოქროს ეძებდნენ. საიდუმლოება კი ვერა და ვერ აღმოაჩინეს. ხელი მოეცარათ. ოქროს ძებნას გადაყოლილთ დაავიწყდათ, რომ ბრაენსაც, სპილენძსაც და რკინასაც თავ-თავისი გზა აქვს. ხოლო ვინც სხვის ბედ-იღბალში ერევა, თავის საკუთარს ვერცროდის ეწევა.

ალქიმიკოსის ეს სიტყვები წყევლა-კრულვასავით გაისმა. მერმე დაიხარა იგი და ძირიდან ნიჟარა აიღო.

— ოდესღაც აქ ზღვა ყოფილა, — თქვა მან.

— მეც მივხვდი, — გაეპასუხა სანტიაგო.

ალქიმიკოსმა, ყურზე მიიდეო, სთხოვა. სანტიაგოს პატარაობისას ბევრჯერ მიედო ნიჟარა ყურზე და ახლაც ისევ შემოესმა ზღვის ხმაური.

— ზღვა კვლავინდებურად მაგ ნიჟარაშია, ვინაიდან თავისი ბედ-იღბლის მადევარია. და არც ამოვა მანდედან, სანამ უდაბნოში კვლავ არ ადგაფუნდებიან ტალღები.

მერმე, წასვლა სჯობს წარმავალისაო, ცხენებს მოასხდნენ და ეგვიპტის პირამიდებისკენ დაგეზეს.

●

**გადაშუადღევეგულზე** მზე დასავლეთისკენ რომ გადაიწვერა, სანტიაგოს გულმა რეჩხი უყო, რაც ავის მომასწავებლად ენიშნა. იმწუთას ისინი ვეება ქვიშის ბარხანებს შუა მიდიოდნენ. სანტიაგომ ალქიმიკოსს შეხედა, მაგრამ ის თითქოს ვერცრას ამჩნევდა, ხუთ წუთში ნამწყემსარმა ორი მხედრის მკაფიოდ გამოხატული ჯერ ერთი და მერმე

მეორე სილუეტი დაინახა. სანამ რამის თქმას მოასწრებდა, ორის მაგივრად ახლა ათი გამოჩნდა, ათი სულ მალე ასად გადაიქცა, და, ბოლოს, ბარხანებს ურიცხვი მხედრიონი შეეფინა.

მხედრები ლურჯად იყვნენ შემოსილნი, თავზე ყველას შავბაფთა-შემოვლებული დოლბანდი ჰქონდა დარქმული, პირისახეს კი თვალებამდე ცისფერი რამ ქსოვილი უფარავდათ.

შორიდანაც კი ჩანდა, რომ ის სულიერი ძალის-გამომხატველი თვალები მგზავრთ სიკვდილს აუწყებდნენ.

●

**სანტიაგო** და ალქიმიკოსი ბანაკში მიიყვანეს, კარავში ხელის კვრით შეყარეს, რომლის მსგავსი კარავიც ნამწყემსარს არცროდის ენახა, და ბელადს წაუყენეს. გარშემო სულ ბელადისავე მხედართმთავრები იდგნენ.

— ესენი მსტოვრები არიან, — მოახსენა ტყვეთა ერთ-ერთმა ახლებელმა.

— არა, ბატონო, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მგზავრები ვართ.

— სამი დღის წინათ თქვენ ჩვენი მტრების ბანაკში გნახეს. რომელიღაც მეომარს ელაპარაკებოდით.

— მე სულ ვიცი უდაბნოს გზები და არც ვარსკვლავებით კითხვა მეშლება, — ნათქვამის პასუხად მიუგო ალქიმიკოსმა, — რაც შეეხება თქვენი მტრის რიცხოვნობასა და მოძრაობას, ჩემთვის არცრა ცნობილი არ არის. მე მხოლოდ ყონაღი მოვაცილე თქვენს ბანაკამდე.

— რა კაცია ეგ შენი ყონაღი? — იკითხა ბელადმა.

— ალქიმიკოსია, — მიუგო ალქიმიკოსმა, — ბუნების მთელი ავანჩავანი იცის და, თუ ისურვებ, ბევრი რამის უნახავს გაგხდის.

სანტიაგო გაკრინტული და შეშინებული უსმენდა.

— რა უნდა ამ სხვაგნებურ კაცს ჩვენს ქვეყანაში? — იკითხა ახლა ერთ-ერთმა მხედართმთავარმა.

— თქვენს ტომს ფული მოუტანა, — უთხრა ალქიმიკოსმა და, სანამ ნამწყემსარი რისამე თქმას მოასწრებდა, თავგზადაკარგულს ქისა გამოართვა და ბელადს გაუწოდა.

მან უსიტყვოდ მიიღო ოქრო, ხელით იგრძნო, კარგა ბლომად იყო, ქვეყნის იარაღი მოუვიდოდათ.

— ალქიმიკოსიაო, ეგ რაღაა? — მხედართმთავართაგან იკითხა ვიღაცამ.

— ეგ ის კაცია, ვინც თავისი ხუთი თითივით იცნობს ბუნებასა და ცამრგვალს. თუ მოინდომა, მარტო ქარის ძალას მიანგრ-მოანგრევინებს თქვენს ბანაკს.

არაბთ გაიცინეს. ისინი ომის ძალას იყვნენ მიჩვეულნი და ქარის მომაკვდინებლობა ვერ წარმოედგინათ. თუმცა, ცოტა არ იყოს, დაიზაფრნენ. უდაბნოში დაბადებულ-გაზრდილთ კუდიანთა შიში ჰქონდათ.

— თუ ახლავე ვნახავ, რის თავიცა აქვს, ურიგო არ იქნება, — თქვა უფროსმა მხედართმთავარმა.

— სამი დღე მოგვეცით. სამ დღეში გადაიქცევა ქარად და გიჩვენებთ თავის ძალას. თუ არადა, ჩვენ თვითონ წაგიშვერთ კისრებს. ხმლის დაკვრა თქვენზე იყოს.

— კისრები რომც არ წამიშვიროთ, თქვენი თავები ისედაც უკვე მე მეკუთვნის, — ყიფად მიუგო უფროსმა მხედართმთავარმა.

სამი დღის დაცდაზე კი თანახმა გაუხდა.

შიშისგან გაშეშებულ სანტიაგოს მთელი ტან-ფეხი უბჟუოდა. ალქიმიკოსმა ხელმოჭიდებული გაიყვანა კარვიდან.

— ნუ შეშინებულხარ. ამათ მშიშრები ეჯავრებათ. თვითონ მამაცი ხალხია.

სანტიაგომ როდის-როდის ძლივს გამოაგო ენა. ბანაკში ორივენი თავისუფლად მოძრაობდნენ, შეუზღუდავად, არაბებმა მხოლოდ ცხენები ჩამოართვეს. და სოფელ-ქვეყანამ კვლავ დაანახვა, რაოდენ მრავალენიანია: უდაბნო, რომელიც ადრე თვალგადაუწვდენელი და თავისუფალი იყო, ახლა საპყრობილედ ქცეულიყო, საიდანაც ვერ გაიქცეოდი.

— მთელი ჩემი ფული რამ მიგაცემინა! — გაცხარდა სანტიაგო, — როდის რასღა ვიშოვი!

— რაღად გინდოდა, თუ მოგკლავდნენ? იმ ფულმა უკვე სამი ზედმეტი დღე გაჩუქა. ჩვეულებრივად ფულს ერთი წამითაც არ შეუძლია სიკვდილის გადაწევა.

მაგრამ სანტიაგო ისე იყო დამფრთხალი და შეშინებული, არავითარი სიბრძნის გაგების თავი არა ჰქონდა. წუხდა, მე ხომ ალქიმიკოსი არა ვარ, ქარად როგორ უნდა გადავიქცეო.

ხანისად გული მხოლოდ იმიტომ შეეხმიანებოდა ხოლმე, რომ რწმენა და სულისკვეთება განემტკიცებინა სანტიაგოსთვის, რომელსაც მდუმარება დროდადრო ასაცოდავებდა და აბეჩავებდა. გულმა პირველად აქ, უდაბნოში, უთხრა, ბევრი რა ჩინებული თვისებაც ჰქონდა: უწინარესად კი გაბედულება მოუწონა, რომელმა გაბედულებამაც მიატოვებინა თავისი ცხვარი, და ის შემართებაც უხსენა, რა შემართებითაც ბროლის ქულბაქში ირჯებოდა.

მერმე ზოგი რამ ისეთიც უთხრა, რაც სანტიაგოს არცროდის შეუმჩნევია:

ალქიმიკოსმა კი მეომარს ჩაი მოატანინა და რამდენიმე წვეთი ჯერ ერთ მაჯაზე დაასხურა სანტიაგოს, მერმე მეორეზე, თან რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბურტყუნებდა და შიშმორეულმა ჭაბუკმა უმალ შვება იგრძნო.

— სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, — უჩვეულოდ ალერსიანი ხმით უთხრა ალქიმიკოსმა. — შენს გულს დაელაპარაკე, ყველაფერს გეტყვის.

— რას მეტყვის, როცა ქარად გადაქცევა არ ვიცი!

— ვინც თავისი ბედ-იღბლის გზას მისდევს, ყველაფერი იცის. ოცნების ახდენას მარტოოდენ ერთი რამ ხდის შეუძლებელს — უიღბლობის შიში.

— უიღბლობა სულაც არ მაშინებს. უბრალოდ არ ვიცი, ქარად როგორ გადავიქცე.

— უნდა ისწავლო, შენი სიცოცხლე მაგაზე ჰკიდია.

— თუ ვერ შევიძელი?

— ვერ შეიძლებ და მოკვდები. ოღონდ საკუთარ ბედ-იღბალს ადევნებულის სიკვდილი ბევრად სჯობს იმ მრავალი ადამიანის სიკვდილს, ვისაც ვერც წარმოუდგენია ბედ-იღბლის არსებობა. ერთი სიტყვით, ნუ დარდობ. სიკვდილი ჩვეულებრივ სიცოცხლის წყურვილს ამძაფრებს და ალღოს ამახვილებს. სული ტკბილია.

●

**გაიარა** პირველმა დღემ, უდაბნოში დიდი შეტაკება მოხდა, ბანაკში დაჭრილები მოიყვანეს. „სიკვდილით არცრა იცვლება", — ფიქრობდა სანტიაგო. მწყობრიდან გასულთა ადგილს სხვები იჭერდნენ, და ცხოვრება გრძელდებოდა.

— შენ გვიანაც შეგეძლო სიკვდილი, ძმაო, — უთხრა ერთ-ერთმა მეომარმა თავის მოკლულ ამხანაგს, — ახლა კი არა, ომის შემდეგ. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, სიკვდილს მაინც ვერ წაუხვიდოდი.

მოსალამოებულზე სანტიაგო ალქიმიკოსის საძებნელად წავიდა.

— ეს ქარად გადაქცევა არ ვიცი და რა ვქნა, — უთხრა მან ალქიმიკოსს.

— გაიხსენე, რასაც გეუბნებოდი: ქვეყნიერება ღვთის ოდენ ხილული ნაწილია, ალქიმია კი სულიერ სრულქმნილებას ანივთებს.

— შენ რასა საქმობ? — ჰკითხა სანტიაგომ.

— ჩემს შევარდენს ვაპურებ.

— რა აზრი აქვს? ქარად თუ ვერ გადავიქეცი, ორივეს მზეს დაგვიბნელებენ.

— ორივეს არა, შენ დაგიბნელებენ, — მიუგო ალქიმიკოსმა. — მე ძალიან კარგადაც ვიცი ქარად გადაქცევა.

●

**მეორე** დღეს ნამწყემსარი იქვე ბანაკთან ამოზურგულ კლდეზე ავიდა. გუშაგ-ებგურთ შეუფერხებლად გაატარეს. უკვე სმენოდათ, ჩვენს მხარეში კუდიანი ვინმე გამოჩნდა, ქარად გადაქცევა არცრად უღირსო, და თავი შორს დაიჭირეს, შარს რასმე არ გადავეყაროთო. თანაც კიდევ სად გაექცეოდათ, უდაბნოს რომელი ციხე აჯობებს.

და მთელი დღე, საღამომდე სანტიაგო უდაბნოს გადაჰყურებდა. თავის გულს იყო მიყურადებული. უდაბნო კი სანტიაგოს შიშს უგდებდა ყურს.

ორივენი ერთ ენაზე მეტყველებდნენ.

●

**მესამე** დღე გათენდა თუ არა, ბელადმა თავისი მხედართმთავრები შეკრიბა.

— ვნახოთ ერთი, როგორ გაქარდება ის ჭაბუკი, — თქვა მან.

— ვნახოთ, — მიუგო ალქიმიკოსმა.

სანტიაგომ ყველანი იმ ადგილას მიიყვანა, სადაც გუშინ მთელი დღე გაატარა. მერმე, დაბრძანდითო, სთხოვა.

— ცოტა მოცდა მოგიწევთ, — უთხრა მან.

— არსად არ გვეჩქარება, — მიუგო ბელადმა, — ჩვენ უდაბნოს ხალხი ვართ.

სანტიაგო ცის დასალიერს გასცქეროდა. წინ მთები, ქვიშის ბარხანები, კლდეები ჩანდნენ, ქვიშნარს ადგილ-ადგილ, სადაც სიცოცხლე შეუძლებელი იყო, ეწრის გვიმრა მოსდებოდა, ადგილ-ადგილ კი მორჩილ ჯაგნარს დაეფარა იქაურობა. თვალი ვერც თავს სწვდებოდა და ვერც ბოლოს უდაბნოსას, რომელსაც უკვე ამდენი ხანი მისდევდა, კბილს უსინჯავდა და მაინც ვერცრა გაუგო. სამაგიეროდ გზად შეახვედრა ინგლისელი, ქარავნები, ტომთა შორის ატეხილი ომიანობა, ოაზისი, სადაც ორმოცდაათი ათასი ძირი პალმა ხარობდა და სამასი ჭა იყო ამოთხრილი, შეახვედრა ფატიმა.

— ჰა, კიდევ რა გინდა? — ეკითხებოდა უდაბნო, — განა გუშინ არ გავძეხით ერთმანეთის ცქერით?

— სადღაც იქ, შენი ქვიშნარის წიაღში, ჩემი გულის მურაზი ცხოვრობს, — ეპასუხებოდა სანტიაგო, — შენ რომ გიყურებ, იმასა ვხედავ. თუ არ დამეხმარე, ჩემს სიყვარულს ველარ დავუბრუნდები. ქარად გადაქცევაში უნდა წამაშველო ხელი.

— სიყვარული რაღაა? — ჰკითხა უდაბნომ.

— სიყვარული ის არის, როცა შენს ქვიშნარს შევარდენი თავს დასტრიალებს. შენ იმისთვის ამწვანებული მდელო ხარ. უნადავლოდ ის არცროდის ბრუნდება. მან სულ ზეპირად იცის შენი კლდეები, შენი ბარხანები, შენი მთები. შენც აკი სულმუდამ ეგულუხვები.

— შევარდნის ნისკარტი გულს მიკორტნის, — წამსვე ეპასუხებოდა უდაბნო, — წლობით ვუზრდი საზრდო-სანადავლოს, წვეთ-წვეთ ვუგროვებ დასალევ წყალს, მევე ვუჩვენებ დასანაყრებელ ადგილთ, ტაშიყი რომ ტაშიყია, ბაზთ საუზმე, იმასაც უხვად ვუძღვნი. ის კი სწორედ მაშინ დამეცემა ხოლმე, როცა ჩემს ქვიშნარში გაჩენილ სიცოცხლის ნიშან-წყალს შევხარი, და აღარცრას მიტოვებს.

— მაინც ხომ იმისთვის გინდა ყველაფერი, შევარდნის სარჩენად. შევარდენი კი ადამიანს არჩენს, ხოლო ადამიანი ოდესმე შენს ქვიშნარს დაანაყრებს, და იქ კვლავ იფეთქებს სიცოცხლე, კვლავ გაჩნდება შევარდნის სანადავლო. ეს ქვეყანა აგრეა მოწყობილი.

— სიყვარული ეგ არის?

— დიახ, ეს არის. ეს არის, ნადავლს შევარდნად რომ აქცევს, შევარდენს — ადამიანად, ადამიანს კი — უდაბნოდ. ეს არის, ბრპენს, ანუ ტყვიას, ოქროდ რომ აქცევს, ოქროს კი ისევ მიწის ქვეშ ინახავს.

— მე ვერ ვიგებ შენი სიტყვების აზრს, — გაისმა უდაბნოს ხმა.

— მაშინ ერთი რამ გამიგე: სადღაც შენი ქვიშნარის წიაღში ქალი მელოდება. ამიტომ ქარად უნდა გადავიქცე.

უდაბნო რამდენიმე ხანს დუმდა.

— მე ქვიშას მოგცემ, რათა ქარს ააკორიანტელებინო, მაგრამ აკორიანტელება ქარს უნდა სთხოვო.

ამის თქმა იყო, და ნიავ-ქარი ამოქროლდა. მხედართმთავრები შორიდან ადევნებდნენ თვალყურს, როგორ ელაპარაკებოდა ჭაბუკი ვიღაცას სრულიად უცნობ ენაზე.

ალქიმიკოსი იღიმოდა.

ქარი მიეახლოვა სანტიაგოს და სახეზე მიელამუნა, ქარს გაეგონა, რასაც ელაპარაკებოდა ნამწყემსარი უდაბნოს, რადგან ქარებმა საერთოდ ყველაფერი იციან. ისინი მთელ ქვეყნიერებას არიან მოღებულნი, არც ის ადგილი აქვთ, სადაც დაიბადნენ, და არც კიდევ ის ადგილი, სადაც დაიხოცებიან.

— მიშველე რამე, — მიმართა სანტიაგომ, — ერთხელ შენს ქროლაში ჩემი სატრფოს ხმა გავიგონე.

— ვინ გასწავლა უდაბნოსა და ქარის ენაზე ლაპარაკი?

— ჩემმა გულმა, — მიუგო სანტიაგომ.

ქარს მრავალი სახელი ერქვა. აქ სიროკოს ეძახდნენ, და არაბნი ჰგონებდნენ, რომ ის იმ ქვეყნიდან მოფრინავდა, სადაც ბევრი წყალია და შავკანიანი ადამიანები ცხოვრობენ. სანტიაგოს სამშობლოში კი ამ ქარს ლევანტურს ეძახდნენ, რადგან ჰგონებდნენ, უდაბნოს ქვიშა და მავრთა საბრძოლო ყიჟინის ხმა მოაქვსო. ხოლო შორეულ ქვეყნებში, სადაც ცხვრის იალაღები არ არის, იქნებ სულაც იმას ფიქრობენ, რომ ეს ქარი ანდალუზიაში ჩნდება. მაგრამ ქარი არც არსად ჩნდება და არც არსად კვდება, ამიტომაც არის უდაბნოზე ბევრად ძლიერი. ადამიანმა თუ მოინდომა, იმდენს იზამს, უდაბნოში დათესავს კიდეც და მოსავალსაც მოიყვანს; ის კი არა, იქ ცხვარსაც მოაშენებს, მაგრამ ქარის დამორჩილების ძალა არამც არ შესწევს.

— შენ ქარი ვერ გახდები, — უთხრა ქარმა, — ჩვენ სხვადასხვა არსისანი ვართ.

— არა ხარ მართალი, — აღმოხდა სანტიაგოს, — სანამ შენთან ერთად ამ ტრიალ ქვეყანაზე დავხეტიალებდი, ალქიმიის ბევრი საიდუმლოება გავიგე. ჩემში ახლა ქარებიც არიან და უდაბნოებიც, ოკეანეებიც, ვარსკვლავებიც, რაც კი რამ სამყაროს შეუქმნია, ყველაფერია ჩემში. მე და შენ ერთი და იმავე ხელის შექმნილები ვართ, და სული ორივეს ერთი გვაქვს. შენი არ იყოს, მეც ქარობა მინდა, რათა სუყველა ჭუჭრუტანაში შევძვრე, რათა გადავუარო ზღვებს, მიწის პირისგან აღვგავო ის ქვიშის გორები, ჩემს უნჯ-განძს რომ ფარავენ, და ჩემი სატრფოს ხმა ყველგან მივიტანო.

— მე ყური დაგიგდეთ ერთხელ, რას ლაპარაკობდით შენ და ალქიმიკოსი, — უთხრა ქარმა, — ყველას თავისი გზა აქვსო, გითხრა, ადამიანს ქარად გადაქცევის ძალა არ შესწევს.

— მასწავლე, როგორ ამოვქროლდე ქარად თუნდაც სულ რამდენიმე წამს. მერმე დავდგეთ და განვსაჯოთ ადამიანისა და ქარის უსაზღვრო შესაძლებლობანი.

ქარი ცნობისწადილმა აიტანა — ამისთანა ჯერ არცვინ შეხვედროდა. ძალიანაც უნდოდა, რომ დამდგარიყვნენ და ყველაფერზე უფრო წვლილად ემსჯელათ, მაგრამ გაგებაში არ იყო, როგორ გადაექცია ადამიანი ქარად. არადა, მართალია, რამდენი რამ შეეძლო! როცა მოინდომებდა, მაშინ გააჩენდა უდაბნოებს, მაშინ ჩაძირავდა გემებს, ძირს

დასცემდა საუკუნოვან ხეებსა და თვით ტყეებსაც კი, წამში თავზე გადაუვლიდა ქალაქებს, სადაც გუგუნებდა მუსიკა და გნიასს მიჰქონდა ყურთასმენა. ქარს ეგონა ჩემი მჯობნელი არცვინ არისო, მაგრამ ამ ჭაბუკმა ნამეტანი მოსთხოვა.

— სიყვარული სწორედ ამასა ჰქვია, — უთხრა სანტიაგომ, როცა შეამჩნია რომ ქარი დაჰყვა. — თუ გამიჯნურდი, რადაც-გინდა, იმად გადაიქცევი. მიჯნურისთვის საჭირო არც არის იმის გაგება, რა ხდება, რადგან ყველაფერი ჩვენს შიგნით ხდება, და ამდენად ადამიანს სულ ადვილად შეუძლია ქარად ქცევა. რასაკვირველია, თუ ქარი დაეხმარა.

ქარი ამაყი იყო, და ამიტომ სანტიაგოს ნათქვამი იწყინა. ნაწყენმა კი უფრო წამოუბერა და უდაბნოში ქვიშის კორიანტელი დააყენა. მაგრამ ბოლოსა და ბოლოს მაინც აღიარა, მართალია, მთელი დუნია შემოქროლილი მაქვს, მაგრამ ადამიანის ქარად ქცევა არ ძალმიძსო, არც კიდევ სიყვარული ვიციო.

— მე ბევრჯერ მინახავს, როგორ ლაპარაკობდნენ ადამიანები სიყვარულზე და თან ცას ასცქეროდნენ, — თქვა ქარმა უკვე გაბრაზებულმა, რაკიღა თავისი უძლურების აღიარება მოუხდა, — იქნებ შენც ზეცისთვის მიგემართა, ჰა?

— ეგ კარგი აზრია, — დაეთანხმა სანტიაგო, — ოღონდ წამეშველე: მტვერ-ბუქი დააყენე, რა არი მზეს თვალი გავუსწორო და ველარ დამაბრმავოს.

ქარმაც დაუბერა და დაუბერა, მთელი ცა ქვიშის ბუქმა შეალეგავა, და მზე ოქროვან ბირთვად გადაიქცა.

ვინც ბანაკიდან ამ სურათს თვალყურს ადევნებდა, თითქმის ველარცრას არჩევდა. უდაბნოელთ უკვე იცოდნენ, რა ქარსაც უჩანდა პირი და, სამუმი, სამუმიო, ჩურჩულებდნენ. უდაბნოელთათვის სამუმი უფრო საშინელი რამ იყო, ვიდრე ზღვაზე ამოვარდნილი ქარბორბალა, — თუმცაღა ზღვა თავის დღეში არც ერთს თვალით არ ენახა. ცხენებმა ჭიხვინი ატეხეს, იარაღზე ქვიშა არაწკარუწკდა.

ერთ-ერთი მხედართმთავარი ბელადს მიუბრუნდა:

— არა კმარა?

სანტიაგოს ისინი ველარც ხედავდნენ. პირისახე თვალებამდის ყველას ბაღდადით დაეფარა, და იმ თვალებში შიშს დაებუდებინა.

— ეყოფა, — თქვა მეორე მხედართმთავარმა.

— დაე, ალაჰმა მთელი თავისი ძლიერება გვიჩვენოს, — მიუგო ბელადმა, — კაცის გაქარების ხილვა მისურვებია.

თანაც მხედართმთავართ შიშიანობა დაუმახსოვრა. და გულში იზრახა, როგორც კი ქარი ჩადგებოდა, ორივეს გადააყენებდა, რადგან უდაბნოელი და შიში ერთმანეთს ვერ უნდა გუობდნენ.

— ქარმა მითხრა შენზე, სიყვარული იცისო, — მიმართა მზეს სანტიაგომ, — თუ ეგრეა, მაშ, ქვეყნიერების სულიც გეცოდინება — სიყვარულის შექმნილი და გაჩენილი.

— მე აქედან ვხედავ, ქვეყნიერების სულს, — ხმა გააგონა მზემ, — ეგ ჩემს სულს ეხმიანება, და ორივენი ერთად აღმოვაცენებთ ბალახს, და ორივენი ერთად ვაძებნინებთ ცხვარს ჩრდილიან ადგილს. მე აქედან ვისწავლე სიყვარული, აქედან ძალზე შორია თქვენს

ქვეყნიერებამდე. ვიცი, სულ ცოტაც თუ მოვუახლოვდი დედამიწას, მანდ ყოველივე ცოცხალი დაიღუპება და ქვეყნიერების სული აღ-არ იარსებებს. ამიტომ არის, რომ შორიდან ვუყურებთ ერთმანეთს და შორიდან გვიყვარს ერთმანეთი. მე სიცოცხლესა და სითბოს ვანიჭებ დედამიწას, ის კი ჩემს არსებობას ააზრიანებს.

— მართლა გცოდნია სიყვარული, — ქარის ნათქვამის დასტურად უთხრა სანტიაგომ.

— ქვეყნიერების სულიც ვიცი, რაც არის, რადგან სა-მყაროს გზებზე დაუსრულებელი ხეტიალისას ბევრს ველაპარაკებით ერ-თმანეთს. ერთხელ თავისი მთავარი გასაჭირი შემომჩივლა: დღესაქამომ-დე თურმე მარტო ქვებსა და მცენარეებს ესმით, რომ ქვეყნად ყოველივე ერთიანია. ამიტომაც არ არის საჭირო, რომ რკინა სპილენძს ემსგავსე-ბოდეს, ხოლო სპილენძს ოქროსგან არცრა განასხვავებდეს. თითოეულ რასმე თავისი ზუსტი დანიშნულება აქვს ამ ერთიან სოფელ-ქვეყანაში, გინდ ცამრგვალი თქვი, და ყოველივე ქვეყნიერების ერთიან სიმფონიად შესმატკბილდებოდა, უკეთუ მეხუთე დღეს გაჩერ-ებოდა ის ხელი, რომლის ნამოქმედარიც არის ეს ყველა-ფერი. მაგრამ იყო მეექვსე დღეც.

— ბრძენთა ბრძენი ყოფილხარ, განგებიანი, — უთხრა ჭაბუკმა, — რამეთუ ყოველივეს შორიდან ხედავ. მაგრამ სიყვარული რა არის, არა გცოდნია. სამყაროს შექმნის მეექვსე დღე თუ არ იქნებოდა, არც ადა-მიანი გაჩნდებოდა. და სპილენძი სპილენძად დარჩებოდა, ბრძენი კი — ბრძენად. მართალია, ყოველივეს თავისი გზა აქვს, მაგრამ ამ გზას ოდესმე სიარული დალევს. ამიტომაც არის საჭირო, რომ რაღაც სხვად იქცე, ახალ გზას დაადგე. ახალი და ახალი გზის ძებნას კი მგონი არ უნდა დაანებო თავი, სანამ ქვეყნიერების სული ერთი მთლიანი რამ არ გახდება.

მზე ჩაფიქრდა და კიდევ უფრო გაბარჩაღდა, მზისა და ჭაბუკის საუბრით გულსავსე ქარმაც კიდევ უფრო იმძაფრა, რათა სანტიაგო თვალისმომჭრელ სხივთაგან დაეცვა.

— ალქიმიაც სწორედ იმიტომ მოგონილა, — განაგრძობდა სანტი-აგო, — რომ ყოველნი ვეძიებდეთ და ვპოულობდეთ ჩვენ-ჩვენ წილ უნჯ-განძს, ხოლო შემდეგ, ჩვენივე სურვილისამებრ, იმაზე უფრო უკ-ეთესნი ვხდებოდეთ, ვიდრე ადრე ვიყავით. სპილენძი მანამ შეასრულებს თავის დანიშნულებას, სანამ ქვეყნიერებას სჭირდება, მერმე კი უკვე ოქროდ უნდა იქცეს. აგრე უბნობენ ალქიმიკოსნი. და ამტკიცებენ კი-დეც, თუკი ვცდილობთ, რომ უფრო უკეთესნი გავხდეთ, ვიდრე ვიყა-ვითო, ჩვენ გარშემოც ყველაფერი უფრო უკეთესი ხდებაო.

— ეგ რამ გაფიქრებინა, თითქოს არ ვიცოდე, რა არის სიყვარუ-ლი? — დაეკითხა მზე.

— რამ მაფიქრებინა და, როცა შეყვარებული ხარ, არც უდაბნო-სავით ერთ ადგილას დგომა ეგების, არც ქარივით მთელ ქვეყანას მო-დება და არც კიდევ შენსავით მარტოოდენ შორიდან ჭვრეტა. სიყვარუ-ლი ის ძალაა, რომელიც განაახლებს და აუკეთესებს ქვეყნიერ-ების სულს. პირველად რომ ჩავწვდი, რა სრულქმნილია-მეთქი, ვი-ფიქრე. მაგრამ მერმე დავინახე, რომ თურმე ყველა ჩვენგანის ანარეკ-ლია, იქაც ათასნაირი ვნებათაღელვაა, ათასნაირი ომი და უბედურება

ტრიალებს. სხვანი კი არა, ჩვენ ვასაზრდოებთ იმას, და დედამიწა, რომლის ბინადარნიც ჩვენა ვართ, უკეთესი თუ უარესი იმისდა მიხედვით გახდება, ჩვენ თვითონ თუ უკეთესნი ან უარესნი შევიქმნებით. სწორედ ამ დროს ერევა საქმეში სიყვარულის ძალა, რადგან, უკეთესი გავხდეო, მხოლოდ მაშინ ისწრაფვი, როცა შეყვარებული ხარ.

— მერედა, ჩემგან რა გინდა?

— ქარად გადაქცევაში დამეხმარე.

— ბუნებამ იცის, რომ ჩემზე ბრძენი არცრაა ქვეყანაზე, — მიუგო მზემ, — მაგრამ მე არ ვიცი, როგორ უნდა გადაიქცე ქარად.

— მაშ, ვის მივმართო?

მზე წამიერ ჩაფიქრდა: ქარს მეტი არ უნდა, რაკი ყური მოჰკრა, არ ვიცი, ქარად როგორ უნდა გადაიქცეო, მთელ დედამიწას მოსდებს, მნათობთა მნათობი არც ისეთი ბრძენი ყოფილაო. თანაც კიდევ, რა თქმა უნდა, უგუნურებად ჩაეთვლება, თუ ზურგი აქცია ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა ზ ე მეტყველ ჭაბუკს.

— ხ ე ლ ს ა ჰკითხე, ხ ე ლ ს. ყოვლის შემქმნელს. — უთხრა მზემ.

ქარს სიხარულის გმინვა აღმოხდა და დაუბერა, მაგრამ რა დაუბერა. რამდენიმე კარავი ეგრევე მოგლიჯა, იქვე მიბმულმა ცხენებმა ალვირები დაწყვიტეს, კლდის თავზე მყოფნი ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, ქარმა არ წაგვიღოსო.

სანტიაგო ხ ე ლ ს მიუბრუნდა, ყოვლის შემქმნელ ხ ე ლ ს, და იმწუთას იგრძნო, როგორ ჩაიძირა ცამრგვალი მდუმარებაში, რომლისთვისაც შეხმიანება ვერა და ვერ შეებედა.

მერმე ძალამ სიყვარულისამ გული ამოუხეთქა, და სანტიაგო ლოცვად დადგა. ის არცრას ითხოვდა თავის ლოცვაში და საერთოდ ენა არც დაუსველებია. არც მადლობა უთქვამს, ცხვრისთვის საძოვარი რომ მაპოვნინეო, არც თხოვნა დასცდენია, მეტი და მეტი ბროლის მუშტარი გამოგზავნეო, ანდა, უდაბნოში, რომ ქალას შევხვდი, სხვაზე ნუ გამცვლის, დამელოდოსო. ერთბაშად ჩამოვარდნილ სიჩუმეში უმალ მიხვდა, რომ უდაბნოც, ქარიც და მზეც იმ ყოვლის შემქმნელი ხელით გამოყვანილ ნიშნებს ეძებდნენ, ისინიც თავიანთი ყისმათის მიყოლასა და ზურმუხტის ერთ-ერთ წახნაგზე დანუსხვილის გაგებას ცდილობდნენ. და კიდევ იმასაც მიხვდა, რომ ეს ნიშნები გაბნეულია მთელ დედამიწის ზურგზე და ზესკნელშიც, და გარეგნულად არცრა ეტყობათ, რა რას მეტყველებს. არც უდაბნოებმა, არც ქარებმა, არც მზეებმა, არც ადამიანებმა არ იციან, რად შექმნილან. მხოლოდ ხ ე ლ ს ჰქონდა საამისო მიზეზი, და მხოლოდ ა მ ხ ე ლ ს ძალუძს სასწაულების მოხდენა: როცა უნდა, მაშინ გადააქცევს ოკეანეებს უდაბნოებად, ადამიანს კი — ქარად. რამეთუ მარტო ა მ ხ ე ლ ს ესმოდა, რომ მავანი რამ განგებულება სამყაროს იქით ეწეოდა, სადაც შესაქმის ექვსი დღე დ ი ა დ ნ ა ქ მ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა დ, დ ი ა დ ა ღ ნ ა ქ ვ ს ა დ უნდა გადაქცეულიყო.

და სანტიაგო ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ შ ი ჩაინთქა, და მოიხილა, რომ ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ი ღ ვ თ ი ს ს უ ლ ი ს მხოლოდ ნაწილია, ხოლო თვითონ ღ ვ თ ი ს ს უ ლ ი უდგას. და სასწაულთა ქმნის ძალა შესწევს.

●

**სამუმი,** რომელსაც სამალსაც უხმობენ, იმ დღეს არნახულად უბერავდა. და თაობიდან თაობას გადაეცემა ნამწყემსარი ჭაბუკის თქმულება, რომელი ჭაბუკიც ქარად გადაიქცა და უდაბნოს ყველაზე უძლიერეს გაბიაბრუებულ მხედართმთავარს კინაღამ თავზე არ დააქცია ბანაკი.

როგორც კი ქარი ჩადგა, სუყველამ იქით გაიხედა, სადაც ჭაბუკი იდგა, მაგრამ ის იქ აღარ იყო. ბანაკის მეორე ბოლოში გადაენაცვლებინა, ნახევრად ქვიშაწყარილი გუშაგის გვერდით.

ჯადოსნობის ძალამ თავისი ქნა, ყველანი თავზარდაცემულნი იყვნენ. მხოლოდ ორნი იღიმოდნენ: თავისი მოწაფით გაამაყებული ალქიმიკოსი და ტომის ბელადი, რომელსაც ესმოდა, რომ ამ მოწაფეს განგების სიძლიერე შეეცნო.

მეორე დღეს ბელადმა ალქიმიკოსსა და სანტიაგოს გზა გაუთავაზა და ერთ-ერთი თავისი მეომარი გამცილებლადაც გააყოლა.

●

**ისინი** მთელი დღე მიუყვებოდნენ გზას, საღამო ხანს კი ალქიმიკოსმა გამცილებლად გამოყოლილი მეომარი უკან გააბრუნა და ცხენიდან ჩამოხდა.

— აქედან უკვე მარტო წახვალ, — უთხრა სანტიაგოს, — პირამიდებამდე სამი საათის გზაა.

— მადლობელი ვარ, — მიუგო სანტიაგომ, — შენ საყოველთაო ენა მასწავლე.

— მე მხოლოდ ის შეგახსენე, რაც უჩემოდაც იცოდი.

ალქიმიკოსმა განმარტოებით მდგარი კოპტური მონასტრის, ანუ უდაბნოს ჭიშკარს მიაკაკუნა. მალე შავოსანმა ბერმა გამოაკითხა, ისინი ერთ-ორ წუთს კოპტურად დაელაპარაკნენ ერთმანეთს, და ალქიმიკოსმა უდაბნოში, ანუ ამ განმარტოებით მდგარ მონასტერში შეიპატიჟა სანტიაგო.

— ხელს წამაშველებს-მვთქი, შენზე ვუთხარი.

მონასტრის სამზარეულოს კერიაში ალქიმიკოსმა ცეცხლი გააჩაღა. ბერმა ბრპენის ნაჭერი მოუტანა, ალქიმიკოსმა ბრპენი რკინის ჭურჭელში ჩააგდო და ზედადგარზე შედგა. ბრპენი დადნა თუ არა, მან ჯიბიდან მინის ყვითელი კვერცხი ამოიღო, ქინძისთავის ხელა რამ ნაფრცხენი მოაციცქნა, ცვილი შესცხო და გამდნარ ბრპენში ჩაუძახა.

სითხე სისხლისფერი გახდა, ალქიმიკოსმა ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგა და გაცივება აცალა, ამასობაში კი ბერს უდაბნოში ატეხილ ომინომაზე ჩამოუგდო სიტყვა.

— ჩანს, დიდხანს გასტანს, — თქვა მან.

ბერი წუხდა: ომიანობის გამო ქარავნები გზაში იდგნენ და ავი დროის გადაკარებას უცდიდნენ. „რას ვიზამთ, ღვთის ნებას ვერსად წაუვალთ“, — დასძინა მან მორჩილად.

— ეგრეა, — კვერი დაუკრა ალქიმიკოსმა.

ქვაბი რომ გაცივდა, სანტიაგომ და ბერმა აღტაცებულებმა შეხე-

დეს ერთმანეთს: ქვაბის მოყვანილობისად დამრგვალებული ბრპენი ოქროდ ქცეულიყო.

— ნუთუ მეც ოდესმე ვისწავლი ამ საქმეს? — დაეკითხა სანტიაგო.

— ეს ჩემი გზა იყო, ჩემი და არა შენი. მე უბრალოდ ჩვენება მინდოდა შენთვის, რომ ეს შესაძლებელია.

ისინი კვლავ სავანის ჭიშკართან მივიდნენ, და ალქიმიკოსმა ოქროს ბირთვი ოთხად გაყო.

— ეს შენ, — უთხრა მან ბერს და ერთი წილი გაუწოდა, — ალალი იყოს, რადგან სალოცავად მავალთ ყოველთვის გულითადად ხვდები.

— მარტო გულითადობისთვის ნამეტანი ბევრია, — შეეპასუხა ბერი.

— ეგრე ნურცროდის იტყვი. ამინმა თუ ჩამოიარა, სასმენარმა, ამინს დაგცემს და მეორედ ცოტას გარგუნებს, — უთხრა ალქიმიკოსმა და სანტიაგოს მიუბრუნდა, — ეს კი შენ, ბელადისთვის მიცემული ფულის სანაცვლოდ.

ნამწყემსარმა დააპირა თქმა, იმაზე ბევრად მეტიაო, მაგრამ ენას კბილი დააჭირა.

— ეს მე, — განაგრძო ალქიმიკოსმა, — შინ წასასვლელი ვარ, გზაში კი ომია.

მეოთხე წილი მან კვლავ ბერს გაუწოდა:

— ესეც სანტიაგოსი იყოს. იქნებ დაეჭირვოს.

— მე ხომ უნჯ-განძის საპოვნელად მივდივარ! — შესძახა ნამწყემსარმა, — უკვე ზედა ვარ მიმდგარი.

— როგორც შენ გიყურებ, ისე ვარ დარწმუნებული, რომ იპოვი, — უთხრა ალქიმიკოსმა.

— მაშ, ეგ ოქრო რაღად მინდა?

— იმიტომ გინდა, რომ უკვე ორჯერ დაკარგე შენი ავლადიდება. პირველად თაღლითმა მოგატყუა, მეორედ ბელადმა გაგძარცვა. მე ძველი ცრუმორწმუნე არაბი ვარ და მჯერა, ერთი ჩვენი ანდაზა რასაც ამბობს:

**„ერთხელ მომხდარი მეორედ იქნებ აღარასოდეს მოხდეს, მაგრამ აუცილებლად გასამდება, რაც ორჯერ მოხდაო“.**

ორივენი ცხენებზე შესხდნენ.

— სიზმრების ამბავს მოგიყვები, ახლოს მოდექი, — უთხრა ალქიმიკოსმა.

სანტიაგო დაუმხარდამხარდა.

**— იყო და არა იყო რა, იყო ძველ რომში, იმპერატორ ტიბერიუსის დროს, ერთი კეთილი კაცი, რომელსაც ორი ვაჟიშვილი ჰყავდა. ერთი მეომარი იყო და იმპერიის ყველაზე შორეულ მხარეში განიმწესა თავი. მეორე ლექსებსა წერდა და მთელი რომი აღტაცებული ჰყავდა.**

**ერთხელაც ხანმრავალ მამას სიზმარში ზეციური მახარობელი გამოეცხადა და ამცნო, ერთ-ერთი შენი შვილის სიტყვებს მთელი მსოფლიო აიტაცებს და ხალხი მრავალი წლის შემდეგაც გაიმეორებსო. ბერიკაცს ბედის გულუხვობითა და წყალობით სვეტკბილს გამოელვიძა და ატირდა, რადგან მგოსანი შვილის უკვდავმა სახელოვნებამ გული აუჩუყა.**

მალე ბერიკაცი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა — ბავშვის გადარჩენა უნდოდა, რომელსაც ჯაგვა, ანუ ფორანი ეჯახებოდა, მაგრამ თვითონ მოექცა ბორბლებქვეშ. ვინაიდან გზამართალს მავალი იყო, ბერიკაცი პირდაპირ ზეცად ამაღლდა, სადაც სიზმრად ნახულ მახარობელს გადაეყარა.

— ვიცი, კარგი და კეთილი კაცი იყავი, — უთხრა მახარობელმა, — მთელი ცხოვრება სიყვარულს შეალიე და ღირსეულად მოკვდი. რასაცა მთხოვ, ყველაფერს შეგისრულებ.

— ცხოვრებაც კეთილად მექცეოდა, — მიუგო ბერიკაცმა. — როგორც კი შენ გიძილისშორისე, ვიგრძენი, რომ ჩემს რუდუნებას ტყუილად არ ჩაუვლია. რადგან ჩემი შვილის ლექსები აწ და მარადის თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩემდათავად არცრის მთხოვნელი არა ვარ, ოღონდ ნდომით ნამდვილად მინდა, რომ ჩემი შვილის სიტყვები შორზე შორ მომავალში გამაგონო, და როგორც ყველა კარგი შვილის გამზრდელ მამას აამაყებდი, მეც მაამაყო.

მახარობელი ბერიკაცს მხარზე შეეხო, და ორივენი წამერთ შორზე შორ მომავალში აღმოჩნდნენ — რომელიღაც უზარმაზარ ქალაქში ზღვა ხალხს შეერივნენ, და ის ხალხი ბერიკაცისთვის უცნობ ენაზე მეტყველებდა.

ბერიკაცი კვლავ სიხარულმა ააცრემლა.

— ვიცოდი, რომ ჩემი შვილის ლექსები საუკუნეებს გაუძლებდნენ, — წართქვა აცრემლებულმა ბერიკაცმა, — მითხარი, გამახარე, მახარობელო, ჩემი შვილის რომელ სტრიქონებს იმეორებს ეს ხალხი.

მახარობელმა იქვე გრძელ სკამზე ჩამოსვა ბერიკაცი და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— შენ რომელ ლექსებზეც ლაპარაკობ, მთელ რომს პირზე ეკერა. მაგრამ ტიბერიუსის ზეობა დამთავრდა თუ არა, ის ლექსებიც დაივიწყეს. ხალხი შენი მეორე შვილის სიტყვებს იმეორებს, მეომრისას.

ბერიკაცი სახტად დარჩა.

— ის იმპერიის შორეულ მხარეში იყო განწესებული, — განაგრძობდა მახარობელი, — და ასისთავი გახდა. ისიც შენებრ გზამართალი და კეთილი იყო. ერთხელ მონა გაუხდა მძიმე ავად, საწყალი სიკვდილს ებრძოდა. შენმა შვილმა ყური მოჰკრა, აქა და აქ მკურნალი ვინმე კაცი გამოჩნდაო, და გაქანდა იმ კაცის საძებნელად. გზად შეიტყო შენ რომ ეძებ, ის მკურნალი კაცი ძეა ღვთისაო. შენმა შვილმა ბევრი ნახა იმისგან განკურნებული, ბევრისგან მოისმინა იმისი მოძღვრება და თუმცა ღა რომელი ასისთავი იყო, მაინც იმისი სარწმუნოება აღიარა. ბოლოს კითხვა-კითხვით თვითონ მკურნალსაც მიაგნო და უთხრა, მონა მიკვდება, უნდა მიშველო რამეო, და მოძღვარიც — აგრე ეძახდნენ იმ კაცს — უმალ გასაყოლად განემზადა. მაგრამ ასისთავი უკვე მოქცეული იყო და როგორც კი მოძღვარს თვალებში ჩახედა, მიხვდა, რომ წინ ძე ღვთისა ედგა. სწორედ მაშინ წარმოთქვა შენმა შვილმა ის სიტყვები, რომელთაც დავიწყება არ უწერიათ. აი, რა თქვა მან:

„უფალო, არა ვარ იმის ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე, მხოლოდ სიტყვა ბრძანე და განიკურნება ჩემი მსახური“.

ალქიმიკოსმა ცხენი დაძრა.

●

— **დედამიწის ბინადარი სუყოველი ადამიანი, რა საქმესაც არ უნდა ეწეოდეს, მთავარ როლს ასრულებს მსოფლიოს ისტორიაში.** და თვითონ კი ჩვეულებრივ აზრზედაც არ არის.

სანტიაგოს გაელიმა, ოდესლაც ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ცხოვრების აზრი მწყემსისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გახდებოდა.

— მშვიდობით, — უთხრა ალქიმიკოსმა.

— მშვიდობით, — მიუგო სანტიაგომ.

●

**ორსაათნახევარი** მიჰყვებოდა ცხენდაცხენ სანტიაგო უდაბნოს და მიყურადებული იყო, რას მეუბნება გულიო. სწორედ გულს უნდა მიესწავლებინა უნჯ-განძის ადგილ-სამალავი.

სადაც უნჯ-განძია, შენი გულიც იქ იქნებაო, აკი უთხრა ალქიმიკოსმა.

მაგრამ გული სულ სხვა რასმე ელაპარაკებოდა. მთელი გზა ამაყად უყვებოდა იმ მწყემსის ამბავს, რომელ მწყემსსაც თავისი ცხვარი დაეყარა, რათა ორჯერ ნახული სიზმარი აეცხადებინა. ახსენებდა, ვის დაეძლია თავისი ბედისგან კუთვნილი ცხოვრების გზა და ვის — ვერა. ხან იმათაც წამოაგონებდა ხოლმე, ვინც ახალი მიწა-წყლის ანდა თავისი მზეთუნახავის საძებნელად წასულიყო და თავის თანამედროვეთა გონიერებასა და ათასგვარ ბრმარწმენას წინ აღდგომოდა. არც კიდევ დიად აღმოჩენებს, დიადსავე ცვლილებებს, წიგნებს ივიწყებდა გული.

და სანტიაგო ბარხანის ფერდობს რომ შეუდგა, მაშინლა წასჩურჩულა:

„ყურადღებით იყავი, სადაც თვალები ცრემლით აგევსება და ატირდები, მეც იქ ვიქნები, იქ იქნება შენი უნჯ-განძიც“.

ბარხანის ფერდობი აღარ თავდებოდა. ვარსკვლავიან ცაზე კვლავ გამოჩნდა ბადრი მთვარე — უკვე თვე გამხდარიყო, რაც ნამწყემსარი უდაბნოს შესჭიდებოდა. მთვარე აბდღვრიალებდა ბარხანს, ჩრდილები ისე უცნაურად ბორიალებდნენ, რომ უდაბნო აღელვებულ ზღვასა ჰგავდა, და სანტიაგოს გაახსენდა, ალქიმიკოსს დამშვიდობებულმა როგორ მიუშვა ცხენს სადავე. მთვარე შუქსა ჰფენდა უდაბნოსა და უკან დარჩენილ გზას, რომელსაც განძის მაძიებელნი სდევენ.

რამდენიმე წუთში თხემს რომ მიაღწია, გულმა ბაგაბუგი დაუწყო. თვალწინ მთვარითა და ქვიშის სითეთრით გაღადღადებული არა ერთი და ორი დიდნაშენი პირამიდა წამოემართა.

სანტიაგო მუხლებზე დაეცა და ატირდა. მან მადლი შესწირა უ ფ ა ლ ს, რაკი საკუთარი ბ ე დ-ი ღ ბ ა ლ ი არწმუნა, რაკი შეახვედრა მელქისედეკს, ბროლის ვაჭარს, ინგლისელს, ალქიმიკოსს და — რაც მთავარია — რაკი შეახვედრა უდაბნოს ასულს, ქალას, რომელმაც არწმუნებინა, რომ სიყვარული არცროდის გაჰყრის თავის კუთვნილ ცხოვრების გზას.

ათასწლეულების სიმაღლიდან დასცქეროდნენ ნამწყემსარ ჭაბუკს პირამიდები. ახლა, თუკი მოინდომებს, ისევ მიაკითხავს ოაზისს, ცოლად შეირთავს ფატიმას და არც მეცხვარეობაზე იტყვის უარს. მერე რა,

თუ უდაბნოში ცხოვრობს ალქიმიკოსი, რომელმაც ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა ც იცის და ბრპენის ოქროდ გადაქცევაც. სანტიაგოს სულაც არ ეფიქრება თავისი ნახელოვნების ვინმესთვის ჩვენება, თავისი ნასიბრძნით ვისიმე გაკვირვება: თ ა ვ ი ს ბ ე დ-ი ღ ბ ა ლს აყოლილმა, მან ყველაფერი ისწავლა, რაც კი რამ სჭირდებოდა, და ყველაფერი განიცადა, რაზეც კი უოცნებია.

მაგრამ თავისი უნჯ-განძი ჯერ ნაპოვნი არა ჰქონდა და მიზანმიულწეველ საქმეს თავდადგმულად ვერ მიითვლიდა. სანტიაგო ბარხანის თხემზე იდგა და ტიროდა, იმდუღრებოდა, და როცა ძირს დაიხედა, დაინახა, რომ იმ ადგილას, სადაც ცრემლებსა ღვრიდა, ჭიაფანდურა, ანუ ნეხვის ჭია დაღოღავდა. უდაბნოში ესოდენ ხანგრძლივი ყოფნისას კი სანტიაგოს გაგონილი ჰქონდა, ჭიაფანდურა ღვთის სიმბოლოაო.

კიდევ ერთი ნიშანი ინიშნა, და ნამწყემსარმა თხრა დაიწყო, მაგრამ წამიერ ბროლის ვაჭარი წამოაგონდა და მიხვდა, რომ ის მართალი არ იყო: თავის ეზოში არცვის გამოუვა პირამიდის აგება, გინდაც მთელი სიცოცხლე ქვა ქვაზე ახუხულაოს და ჩხოროს.

მთელი ღამე თხრიდა ქვიშას ნაგულვებ ადგილას, პოვნით კი ჯერ ვერცრას პოულობდა. პირამიდების წვეროკინებიდან უტყვად გამოსცქეროდნენ ათასწლეულები. ის მაინც თავისას არ იშლიდა — თხრიდა და თხრიდა, თანაც ქარს ებრძოდა, რომელიც ისევ და ისევ ქვიშით უვსებდა რის ვაივაგლახით გათხრილს. სანტიაგოს ილაჯი გაუწყდა, ხელები დაუსისხლიანდა, მაგრამ კვლავ მორჩილად უჯერებდა თავის გულს, რომელიც უთქვამდა, გინდა თუ არა, იქა თხარე, სადაც შენი ცრემლები დაეცემიანო.

და ანაზდეულად, ის იყო ორმოდან ქვები უნდა ამოეყარა, რომ ნაბიჯების ხმა შემოესმა. სანტიაგომ თავი მიაბრუნა და რამდენიმე კაცი დაინახა, ისინი ზურგით სინათლისკენ იდგნენ და არც ერთს პირისახე არ უჩანდა.

— რას აკეთებ აქ? — ჰკითხა ერთმა.

სანტიაგოს ხმა არ გაუცია. შიშმა შეიპყრო, რადგან დასაკარგი ახლა ნამდვილად ჰქონდა.

— ომს გამოვექეცით, — თქვა მეორემ, — ფული გვინდა. რა გაქვს მანდ დამალული?

— არც არაფერი, — მიუგო სანტიაგომ.

მაგრამ ერთ-ერთმა ომს გამოქცეულმა ორმოდან ამოათრია, მეორემ ჯიბეები გაუჩხრიკა და ოქროს ზოდი უპოვა.

— ოქრო! — ილრიალა მან.

ამ დროს მთვარის შუქი სახეზე მიადგა ოქროს პოვნით ზედაფრენაშემდგარს, და მძარცველის თვალებში სანტიაგომ თავისი სიკვდილი დაინახა.

— კიდევ ექნება! — თქვა რომელიღაცამ.

თხარეო, ძალაზე დაადგნენ ისინი, და სანტიაგოსაც სხვა რა გზა ჰქონდა, თავი წაუდო. მაგრამ განძი არა ჩანდა, და მძარცველებმა ახლა ცემა დაუწყეს. მანამ ურტყეს და ქეჟეს, სანამ ცაზე ცისკრის ვარსკვლავის პირველი სხივი არ გაჩნდა . ტალავარი სულ შემოაგლიჯეს, და სანტიაგომ იგრძნო, რომ სიკვდილი ზედ მოსდგომოდა.

და გაახსენდა ალქიმიკოსის სიტყვები: „ფული რიღასთვის გინდა, თუკი უნდა მოკვდე? ფული ერთი წუთითაც ვერ გადაგიწევს სიკვდილს“.

— მე უნჯ-განძს ვეძებ! — შეჰყვირა სანტიაგომ.

გასაცოდავებულმა დასისხლიანებული ტუჩების ცმაცუნით ძლივს გააგებინა მძარცველთ, რომ ორჯერ ნახა სიზმრად ეგვიპტის პირამიდების ძირას გადამალული უნჯ-განძი.

თავკაცი რომელიც ჩანდა, დიდხანს დუმდა, შემდეგ ერთ-ერთ ხელქვეითს მიუბრუნდა:

— გაუშვი. მაგას, ეტყობა, მეტი არცრა აქვს, ეს ზოდიც სადღაც ექნება მოპარული.

სანტიაგო დაეცა. თავკაცს თვალებში უნდოდა ჩახედვა, მაგრამ ნამწყემსარის მზერა პირამიდებს იყო მიპყრობილი.

— წავიდეთ აქედან, — უთხრა თავკაცმა დანარჩენთ, მერმე კი სანტიაგოს მიმართა:

— ცოცხლად იმიტომ გტოვებ, რათა გაიგო, შენისთანა ბრიყვებს რაც მოსდით. მაგ ადგილას, სადაც შენ ახლა დგახარ, ორი წლის წინათ რამდენჯერმე ვიძილისშორისე ერთი და იგივე სიზმარი. სიზმრად კი ვნახე, ვითომც ესპანეთში უნდა წავსულიყავი, იქ ერთი დაქცეულ ნასაყდრალი უნდა მეპოვნა, სადაც მეცხვარეები ღამის გასათევად თავიანთ ფარებიანად ჩერდებიან და სამოსელ-სამკაულის საცავის ადგილას ლეღვსულელის ხეა ამოსული. იმ ლეღვსულელის ფესვებქვეშ კი ვითომ განძეულია დამარხული. მაგრამ მე ისეთი ბრიყვი და რეგვენი არა ვარ, რაკიღა სიზმარი ვნახე, ავდგე და ეს ამოდენა, უდაბნო გადავიარო.

ამის თქმა იყო, და ავაზაკთ გზას გაუტიეს.

სანტიაგო ძლივს-ძლივს წამოდგა, უკანასკნელად გახედა პირამიდებს. ისინი ულიმოდნენ, სანტიაგომაც გაუღიმა პასუხად და იგრძნო, რომ გული უნეტარებდა.

მან თავის უნჯ-განძს მიაგნო.

## ბოლოთქმა

**ჭაბუკს** სანტიაგო ერქვა. უკვე თითქმის ბნელოდა, როცა ის ნახევრად ნაოხარ საყდართან მივიდა. სამოსელ-სამკაულის საცავში ძველებურად იდგა ლეღვსულელის ხე, ხოლო დათვალიანებული ჭერიდან, როგორც ადრე, ვარსკვლავები ჩანდნენ. ჭაბუკს მოაგონდა, რომ ერთხელ აქ თავის ფარასთან ერთად გაეთენებინა ღამე, და სიზმარს თუ არ ჩავთვლით, არცრას შეუშფოთებია.

ის ახლა კვლავ აქ იყო, ოღონდ ამჯერად ცხვარი არ მოუყვანია. ხელთ ბარი ეპყრა.

იდგა და დიდხანს ასცქეროდა ცას, მერმე ტავარჯუხიდან ღვინიანი ბოთლი ამოიღო და მოსვა. ღვინიანი ბოთლის დანახვაზე ალქიმიკოსმა წამოაგონა თავი, რომელთანაც ერთად უდაბნოში ღვინოსა სვამდა ერთ ვარსკვლავიან ღამეს. ეჰეი, უკვე რამდენი გზა დარჩა უკანაო, ფიქრობდა, რა უცნაურად გამომასწავლა უ ფ ა ლ მ ა უნჯ-განძის ასავალ-დასავალიო.

სიზმრებს თუ არ დაუჯერებდა, ცხოვრება თუ არ შეახვედრებდა ბერდიაც ბოშა-აწინკანს, მელქისედეკს, მძარცველ-ავაზაკთ...

„ნუსხა ძალზე გრძელი გამოდის. მაგრამ გზა ნიშნებით იყო დაჭდეული და ვერ ავცდებოდი“, — გაიფიქრა სანტიაგომ.

და უცაბედად ძილმა წაართვა თავი. როცა გამოეღვიძა, მზე უკვე წამომაღლებულიყო. სანტიაგო ცქვიტად წამოდგა და ლოღვნულელის ხეს ძირში დაუწყო თხრა.

„ბებერო კუდიანო, — გაიფიქრა მან ალქიმიკოსზე, — შენ ყველაფერი წინ-წინ იცოდი. ის მეორე ოქროს ზოდიც იმიტომ დატოვე, რომ მე ამ საყდრამდე მოვსულიყავი. ჩამოფლეთილი და ნაცემი რომ დამინახა, კოპტ ბერ-მონაზონს გაეცინა. დავიჯერო, არ შეგეძლო ამ ამბისგან ჩემი დახსნა?“

„არა, — შემოესმა ქარის შრიალში, — რომ გამეფრთხილებინე, პირამიდებს ველარ მოიხილავდი. არადა, რა ლამაზები არიან, არა?“

ეს ალქიმიკოსის ხმა იყო. ნამწყემსარს გაეღიმა და თხრა განაგრძო. ნახევარ საათში ბარი რაღაც მაგარ საგანს მოხვდა, ხოლო კიდევ ერთ საათს არ გაევლო, რომ სანტიაგოს უკვე ხელთ ჰქონდა ძველი ოქროს ფულით სავსე გვადრუცი. შიგვე ეწყო ძვირფასი თვლები, თეთრი და წითელი ფრთებით დამშვენებული ოქროს ნიღბები, ბრილიანტებით მოოჭვილი ქვის კერპები. — ძველისძველ ჯარიანობათა ნაალაფარი, რომელი ჯარიანობა-ლაშქრობანიც აღარავის ახსოვდა, და რომელი ნაალაფარ-ნადავლის ბატონ-პატრონსაც თავისი შვილებისთვის არცრა დაებარებინა.

სანტიაგომ ტავარჯუხიდან ურიმი და თურიმი ამოიღო. ისინი მხოლოდ ერთხელ გამოადგნენ, იმ დილით ბაზარში: ცხოვრება გზაზე ჯიმათოდაც უტყუარ ნიშნებს ასვედრებდა.

ორივენი გვადრუცში ჩაყარა, თავისი უნჯ-განძის ნაწილად მიითვალა: ამიერიდან ისინი დროდადრო მოაგონებენ მოხუც მეფეს, რომელსაც ველარასოდეს შეხვდება.

„ცხოვრება მართლაც გულუხვია იმ ადამიანთა მიმართ, ვინც თავის ბედ-იღბალს მისდევს, — გაიფიქრა მან და მოაგონდა, რომ ტარიფაში უნდა წასულიყო და ბოშა ბერდიაცკოსთვის მეათედი წილი მიეცა. — ბოშები ბრძენები არიან! ბევრს ხეტიალობენ ქვეყნად და, ალბათ, იმიტომაც“.

მან კვლავ იგრძნო ქარის მოსალბუნება. ეს აფრიკიდან მონაბერი ლევანტური იყო, მაგრამ ამჯერად არც უდაბნოს სუნი მოუტანია და არც მავრთა შემოსევის ამბავი. სანტიაგომ ამ მისალბუნებაში დიდი ხნის ნანინანატრი ამბორის სურნელი, დაბგერება და გემო გაარჩია, რომელი ამბორიც ნელინელ უახლოვდებოდა. ბოლოს ტუჩ-პირზე შეეწება, მიესულტკბილა.

სანტიაგოს გაეღიმა: ეს ფატიმას პირველი ამბორი იყო, პირველი კოცნა.

— მოვდივარ, შენთან მოვდივარ, ფატიმა, — თავის გულში მიაწვდინა ხმა სანტიაგომ.

# ჯონ ლენონი, პოლ მაკკარტნი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ოთარ ურუშაძემ

„ბიტლზებს“ ქართული საზოგადოება იცნობს როგორც ბრწყინვალე მუსიკოსებსა და მომღერლებს, ახლა ჩვენ საშუალება გვეძლევა, ქართველ მუსიკის მოყვარულებსა და „ბიტლზების“ თაყვანისმცემლებს გავაცნოთ ამ ჯგუფის ორი შესანიშნავი წარმომადგენლის — ჯონ ლენონისა და პოლ მაკკარტნის პოეზია. სწორედ მათ მიერაა შექმნილი „ბიტლზების“, მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ამ ყველაზე უფრო პოპულარული ანსამბლის, რეპერტუარის საუკეთესო ნაწილი — მათია სიმღერების ტექსტიცა და მუსიკაც. ისინი არა მარტო ბრწყინვალე მუსიკოსები, ბრწყინვალე პოეტებიც არიან.

გთავაზობთ პოეტ ოთარ ურუშაძის მიერ თარგმნილ მათ ლექსებს.

### ელინორ რიგბი

ო, რამდენია ამ ქვეყანაზე
მარტოხელა და მარტოსული.
ელინორ რიგბი
ეკლესიაში ყვავილებს სხვისას
ითვისებს რიდით,
ოცნებით, ფიქრით...
სარკმელთან მჯდარი
მორეულ მზერას
ნაფტალინიანს აყოლებს ღიმილს.
ცხოვრება მიჰქრის...
ჯადოსნურ წრეში რამდენია
მარტოხელა და მარტოსული.
მღვდელი მაკკენზი წერს ქადაგებას.
ისრესს თვალებს და იკემსავს
ნასკებს.

სიმარტოვეში, სევდიან ფიქრით,
მისჩერებია უკუნეთ ღამეს.
არ ეკარება თვალებზედ რული,
მარტოხელაა და მარტოსული...
ელინორ რიგბი — გარდაიცვალა
და აღარ აფრქვევს სარკმლიდან
ღიმილს.
მღვდელი მაკკენზი
უგებს ანდერძს და სახლში მიდის,
ხელების ფშვნეტით სამარის მტვერს
იცილებს რიდით.
ჯადოსნურ წრეში, ო, რამდენია
მარტოხელა და მარტოსული.
ეს არის მათი წილხვედრი ნაღდი,
არავინაა მშველელი მათი.

## ვერ მიყიდი სიყვარულს

ვერ მიყიდი სიყვარულს!
ვერ მიყიდი მას!
ვერ მიყიდი, რადგან
ვერ დააღებ ფასს.
არ მოჭრილა ის ფული,
რომ შესწვდება მას.
მაგრამ გულს ნუ გაიტეხ,
მე გიყიდი სხვას...
მოქცემ რაც მაბადია...
მოქცემ რაც კი მაქვს...
თუ არ მომთხოვ ქონებას,
არ გაყიდი თავს
და სიყვარულს უაზროდ
არ დააღებ ფასს.

ბედნიერი ვიქნები,
განაცვალებ თავს.
ვერ მიყიდი სიყვარულს,
ვერა, ვერა მას...
ვერ იყიდი რადგან,
ვერ დააღებ ფასს.
არ მოჭრილა ის ფული,
რომ შესწვდება მას.
ვიცი ყველგან ასეა,
ვერ აბავენ თავს.
ვერ მიყიდი სიყვარულს,
ვერა, ვერა მას...
ნუ ოცნებობ ამაზე...
ნუ იტყუებ თავს...

## ᲨᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲜᲐᲪᲠᲐᲓ ᲐᲭᲪᲘᲐ ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲒᲐ

ხალხი დამღით ახლა როგორც
— უსახლკარონი —
მისტიროდნენ დაკარგულს
მოთქმით
და აბოლებდნენ
სველ სიგარეტს,
ართმეულს ხანძარს.
მესერზე ლეიბს ნაცრიანი
გასდიოდა წურწურით წყალი.
ხელოსნები კი მისტიროდნენ
თავის იარაღს,
ჩამარხულს, დაფლულს
სადღაც მიწაში,
სასადილოს საფეხურებს სწვდებოდა
წყალი

და იქ ვერავინ მოგართმევდა
ყავას ან ჩაის.
ხრჩოლავდნენ კვლავაც ჩარჩოები
სარკმლის და კარის.
ვის ექნებოდა დრო ხანძარში
რაიმეს ჩაცმის?
იყო ქაოსი, მოძრაობა აჩაჩულ
ხალხის,
სველ ლაბადებში შეყუჟულ დარდით.
ნახანძრალ მორს კი ფორმა ჰქონდა.
გამურულ გვამის.
შემდეგ აღმოჩნდა რომ ის იყო
ნარჩენი კაცის...
რა უცნაური მსგავსებაა,
— მორი და გვამი?..

## ᲚᲔᲓᲘ ᲛᲐᲓᲝᲜᲐ

ლედი მადონა, გეკითხებიან ბავშვები როცა,
— თავს როგორ ვართმევთ ჩვენს მძიმე ყოფას,
გადასახადებს, სადილს თუ ქირას?
გვითხარი ერთი, ეს ყველაფერი
ღმერთის „კრიშიდან“ ხომ არა ცვივა?
კვირები გადის გაწვდილი ხელით,
შაბათისათვის არ გრჩება პენიც.

ლედი მადონა,
პატარას ხომ ძუძუთი კვებავ,
სხვებს კი რას აჭმევ?
მათი ცოდვით გული გიკვდება.
კვირას კი, როცა ჩაგეძინება
ფიქრებით დაღლილს,
გამოგაღვიძებს ღნავილი ბავშვის
და გაგახსენებს პრობლემებს ვახშმის.
ოთხშაბათს ალბათ ვერ გასწვდება
გროშები სადილს.
ხუთშაბათს კი დასაკემსია
„ჩულქი“ და „წინდა“
ლედი მადონა, გეკითხებიან ბავშვები როცა,
— თავს როგორ ვართმევთ ამ მძიმე ყოფას?...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პენი ლეინი

პენი ლეინზე, სადალაქოში, ზის ჩვენი უბნის ცნობილი ფრანტი.
ამვლელ-ჩამვლელნი ესალმებიან მას ყველა რანგის.
ქუჩის კუთხესთან გაუჩერდა მანქანა ბანკირს.
უბნის ბიჭები მის ზურგს უკან იწყებენ შაყირს.
ლაბადას იგი არ ატარებს, რადგან მხოლოდ მანქანით დადის.
ამიტომაც წვიმის წყალი წურწურით გასდის.
ო, პენი ლეინ!
შენთანა ვართ წარსულის განცდით.
მახსოვს მეხანძრე ჩაფხუტით მამლის,
ფორმის ჯიბეში ჩაკერებული
ფოტოთი, ჩვენი დედოფლის სახით,
და გახეხილი მანქანით ხანძრის.
ო, პენი ლეინ! შენთანა ვართ წარსულის განცდით.
გვახსენდება ზაფხულის ხვატში გემრიელი ღვეზელი ბაზრის,
ეოლგის ქვეშ გოგო პეპელას ბაფთით,
რომ გადასდებდა საქონელს ლანგრით
და დაითვლიდა მოგებულს ნაღდით.
სადალაქო კი იჭედებოდა წვიმაში ხალხით.
არ ასვენებდა სადალაქოშიც ავდარი ბანკირს,
მეხანძრე კი ბოლთას სცემდა მანერით მამლის.
წვიმა კი სცრიდა, სცრიდა და სცრიდა...
ო, პენი ლეინ!
ამ უცხო ცის ქვეშ დავდივარ ისევ
შენი სახის ხსოვნით და განცდით.
ო, პენი ლეინ!
ამ ლურჯი ცის ქვეშ მახალისებს შენი ხმა ისევ.
ო, პენი ლეინ! ო, პენი ლეინ!

# აკუტაგავა რიუნოსკე

## ტყის ქათამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ლევან აბულაძემ

ეს ამბავი 1880 წლის მაისში მოხდა. ივანე ტურგენევი გრაფ ლევ ტოლსტოის სტუმრობდა იასნაია პოლიანაში, სადაც ბოლო ათი წელი აღარ იყო ნამყოფი.

ერთ ნაშუადღევს მათ ტყის ქათამზე სანადიროდ წასვლა გადაწყვიტეს. ამ ორ ხანდაზმულ მწერალთან ერთად გზას გაუდგნენ ტოლსტოის ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდა მეუღლე სოფია ანდრეევნა და მათი შვილები, თან ძაღლიც ახლდათ.

სანადირო ადგილი ტყეში, მდინარე ვორონკას გაღმა მდებარეობდა. ვორონკამდე გზა ჭვავის ყანებზე გადიოდა. მიმწუხრზე ამოვარდნილი მსუბუქი ქარი ნაზად არხევდა თავთავებს და ირგვლივ სველი მიწის სურნელს აფრქვევდა. მხარზე თოფგადაკიდებული ტოლსტოი წინ მიდიოდა. დროდადრო უკან მოიხედავდა ხოლმე, რათა გამოლაპარაკებოდა ტურგენევს, მისი ცოლის გვერდით რომ მოაბიჯებდა. და ყოველ ჯერზე „მამების და შვილების“ ავტორი თითქოს გაკვირვებით ააღერებდა თავს და საამო, ოდნავ ჩახრინწული ხმით აძლევდა პასუხს. მოუხეშავ ტოლსტოისთან შედარებით მისი ლაპარაკის მანერა დახვეწილი და ცოტა არ იყოს ქალურიც იყო.

მერე გზა ალმართს შეუყვა. საიდანღაც ორი სოფლელი ბიჭი გამოტყვრა, ალბათ ძმები იყვნენ. ოდნავ შეჩერდნენ მისალმებისთვის და მაშინვე კისრისტეხით გავარდნენ წინ შიშველი ფეხის გულების ტყაპატყუპით. ტოლსტოის ერთ-ერთმა შვილმა მათ რაღაც მიაძახა, მაგრამ ბიჭებს უკან აღარ მოუხედავთ.

— საინტერესონი არიან სოფლის გოგო-ბიჭები! — მიუბრუნდა ტოლსტოი ტურგენევს და სახე ჩამავალ მზეს მიუშვირა. — ხანდახან რომ ვუსმენ, ისეთ მოხდენილ ბუნებრივ გამოთქმებს ვსწავლობ, ჩვენ რომ აზრად არ მოგვივიდოდა.

ტურგენევმა ჩაიღიმა. არა, ის ახლა ისეთი აღარაა, ადრე რომ იყო, როცა ტოლსტოის სიტყვები პატარა ბავშვივით აღელვებდა და უნებურად, დამცინავ კილოს იშველიებდა.

— ჰოდა, ამას წინათ, ამ პატარებს რომ ვასწავლიდი, — განაგრძო ტოლსტოიმ, — ერთმა მათგანმა უცებ კლასიდან გახტომა მოინდომა. რომ ვკითხე, სად მიდიხარ-მეთქი, ასე მიპასუხა — ცარცი უნდა ჩავკბიჩოო, კი არ თქვა, ცარცი უნდა ვჭამო ან ცარცი უნდა მოვკვნიტოო, არამედ სწორედ ჩავკბიჩოო. ასე თქმა მხოლოდ რუს ბავშვებს შეუძლიათ, მართლაც რომ კბეჩენ ცარცს.

— ასეთი რამ მართლაც მხოლოდ რუს ბავშვებს შეუძლიათ. როცა მსგავსი გამოთქმები მესმის, აშკარად ვგრძნობ, რომ რუსეთში დავბრუნდი.

ტურგენევმა აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს პირველად ახლა დაინახა ჭვავის ყანებიო.

— მართლაც ასეა. საფრანგეთში კი ბავშვები ბაბილოსის ზუვასაც არ ერიდებიან.

— ჰო, მართლა. მგონი, ამ ბოლო დროს თქვენ სულ აღარ ეწევით. ხომ ასეა?

სოფია ანდრეევნამ ამ სიტყვებით ოსტატურად იხსნა სტუმარი ქმრის გესლიანი შენიშვნებისაგან.

ამასობაში ვორონკა გადალახეს და სანადირო ადგილსაც მიადგნენ. ეს იყო დაჭაობებული მინდორი მდინარის მახლობლად, რომლის მილმაც ტყე საკმაოდ შეთხელებულიყო.

ტოლსტოიმ ტურგენევს უფრო მარჯვე ადგილი დაუთმო, თვითონ კი ათიოდე ნაბიჯის მოშორებით დადგა. ბავშვები აქეთ-იქით დაიფანტნენ.

ცა ჯერ კიდევ წითლად ელავდა. ხეთა ტოტები ოდნავ შესამჩნევად შებურულიყო, ალბათ ნორჩი ფოთლებისაგან. ტურგენევი თოფმომარჯვებული მზერით მსჭვალავდა შეფოთლილ ტოტებს. ტყის მრუმე სილრმიდან დროდადრო ფოთოლთა ძლივს გასაგონი შრიალი ისმოდა, როცა ვსუბუქი ნიავი დაიქროლებდა.

— გულწითელები და ჭივჭავები სტვენენ, — თითქოს თავისთვისო, ჩაილაპარაკა ტოლსტოის მეუღლემ და თავი გვერდზე გადახარა.

მთელი ნახევარი საათი სიჩუმე იდგა.

ამასობაში ცა თითქოს მდინარის წყალს დაემსგავსა. მხოლოდ აქა-იქ თეთრად ელავდა ამოლტილი არყის ხეები. გულწითელების და ჭივჭავების გალობის ნაცვლად შიგადაშიგ სინაგოკების ჭახჭახი გაისმოდა. ტურგენევი კვლავ ახლად გაშლილ ფოთლებს მიჩერებოდა, თუმცა ტყის სილრმე უკვე საღამოს ბინდში ჩაძირულიყო.

უცებ ტყეში თოფმა იჭექა. მისი ხმა ჯერაც არ მიწყნარებულიყო, რომ შორიახლოს მომლოდინე ტოლსტოის შვილები კისრისტეხით გაიქცნენ ნანადირევის მოსაძებნად.

— თქვენმა ქმარმა დამასწრო, — თქვა ტურგენევმა და ღიმილით გამოხედა ტოლსტოის მეუღლეს.

მალე ტოლსტოის მეორე შვილმა ილიამ მოირბინა და დედას აცნობა, მამამ ტყის ქათამი მოკლაო.

— მერედა ვინ იპოვა? — ჰკითხა ტურგენევმა.

— დორამ (ასე ერქვა ძაღლს). როცა კბილები ჩაავლო, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ბიჭუნას სახე მღელვარებისგან აწითლებოდა. იგი კვლავ დედას მიუბრუნდა და დაწვრილებით დაუწყო მოყოლა, თუ როგორ იპოვა დორამ ტყის ქათამი.

ტურგენევს გონებაში რაღაც სურათმა გაუელვა, თითქოსდა მონადირის ჩანაწერების რომელიღაც თავიდან.

წავიდა ილია და კვლავ სიჩუმე გამეფდა. მახლობელი ტყის დაბურული სიღრმიდან ნორჩი ფოთლებისა და სველი მიწის სურნელი მოდიოდა. შიგადაშიგ შორიდან რომელიღაც ნამძინარევი ფრინველის ძახილი ისმოდა.

— ეს ვინღაა?

— ნიბლია, — მყის უპასუხა ტურგენევმა.

ნიბლია უეცრივ ჩაჩუმდა. საღამოს ბინდბუნდში ერთხანს ჩქამიც აღარ ისმოდა. როცა სიოც მიწყდა, ცამ თანდათანობით ჩაალურჯა უსიცოცხლოდ გატრუნული ტყე და უცებ ტყის თავზე ნაღვლიანი ჭახჭახით მოლაღურმა გადაიფრინა.

ერთი საათის შემდეგ თოფის გასროლის ხმამ კვლავ დაარღვია ტყის მდუმარება.

— როგორც ჩანს, ლევ ნიკოლაევიჩი ტყის ქათამზე ნადირობაშიც მჯობნის, — მხრები აიჩეჩა ტურგენევმა. სახე უცინოდა.

ისმოდა მხოლოდ ბავშვების პაკაპუკი, ხანდახან დორაც აყეფდებოდა. როცა ჟველაფერი ისევ მიწყნარდა, ცაზე აქა-იქ უკვე კიაფობდა ვარსკვლავები. ტყე თვალის საწიერამდე ღამის მდუმარებაში ჩაიძირა. ტოტიც კი არსად იძვროდა. გავიდა ოცი წუთი, ოცდაათი წუთი... დრო მოსაწყენად იწელებოდა, ფეხებთან უკვე მოძვრებოდა გაზაფხულის ცრიაგი ნისლი. ტყის ქათმები კი არა და არ ჩანდნენ.

— რა ხდება დღეს? — ხმადაბლა თანაგრძნობით იკითხა ტოლსტოის მეუღლემ. — ასე იშვიათადაა ხოლმე.

— ჩუმად! ბულბული გალობს.

ტურგენევმა საუბარი სულ სხვა თემაზე გადაიტანა.

ჩაბურული ტყის სიღრმიდან მართლა ისმოდა ბულბულის გალობა. ორივენი დადუმებული უსმენდნენ და თითოეული თავის ფიქრებს მოეცვა.

და უცებ — ისევ ტურგენევის სიტყვები რომ ვიხმაროთ — „და უცებ — თუმცა მხოლოდ მონადირე თუ გაიგებს ამას“ — უცებ შორიახლოს ბალახებიდან ჭახჭახით აიჭრა ჰაერში ტყის ქათამი. ფრთების ქნევით, რომელთა ქვეშ თეთრი ბუმბული უჩანდა, ხის ძირს დაშვებულ ტოტებში გაძვრა და საღამოს ბინდში გაუჩინარებას შეეცადა. ტყეში გასროლის ხმამ დაიგრიალა.

— რა ჰქენით, მოარტყით? — ხმამაღლა იკითხა მოახლოებულმა ტოლსტოიმ.

— მოვარტყი. ქვასავით ჩამოვარდა...

ბავშვები ძაღლიანად უკვე ტურგენევს შემოეხვივნენ გარშემო.

— აბა წადით და მონახეთ! — უბრძანა მათ ტოლსტოიმ.

ბავშვებმა ძაღლი წინ გაიგდეს და ფრინველის საძებნად გაემართნენ. მაგრამ რამდენიც არ ეძებეს, მოკლული ქათამი არსად ჩანდა. დორა თავგადაკლული დაძრწოდა, ხანდახან კი გაჩერდებოდა და უკმაყოფილოდ ყმუოდა.

ბოლოს ბავშვებს ტოლსტოი და ტურგენევიც წამოეშველნენ, მაგრამ ბუმბულის ნასახსაც ვერ მოჰკრეს თვალი, ფრინველის ადგილსამყოფელზე რომ წარმოდგენა შექმნოდათ.

— ეტყობა, არ მოგიკლავთ, — გამოსძახა ტოლსტოიმ ტურგენევს ოციოდე წუთის შემდეგ ჩაბნელებული ხეებიდან.

— როგორ შეიძლება არ მომეკლა? აკი ჩემი თვალით დავინახე, ქვასავით როგორ ჩამოვარდა.

— არა, მოხვედრით კი მოახვედრეთ, მაგრამ იქნებ მხოლოდ ფრთაში. მერე რა რომ ჩამოვარდა, მაინც შეეძლო გაქცეულიყო.

— არა-მეთქი. მოვახვედრე და არა მარტო ფრთაში, ნამდვილად მოვკალი.

შემცბარმა ტოლსტოიმ თავისი სქელი წარბები მოღუშა.

— მაშინ ძაღლს უნდა ეპოვა. მოკლულ ფრინველს დორა ყოველთვის პოულობს ხოლმე.

— რაკი ნამდვილად ვიცი, რომ მოვკალი, სხვას ველარაფერს ვიტყვი, — გაღიზიანებით უპასუხა ტურგენევმა, თოფი ისევ ხელში ეჭირა. — მოკვლასა და დაჭრას შორის განსხვავებას, მგონი, ბავშვიც მიხვდება. მე აშკარად დავინახე.

ტოლსტოიმ დამცინავად შეხედა ტურგენევს.

— მოკლულს რა მოუვიდა?

— არ ვიცი. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც დავინახე. იგი ქვასავით რომ დაეშვა, — უნებურად ხმას აუმაღლა ტურგენევმა, როცა ტოლსტოის თვალებში გამომწვევი ღიმი დალანდა. — ქვასავით ჩამოვარდა-მეთქი, დამიჯერეთ.

— თუ ასეა, დორას არ შეიძლება არ ეპოვა.

საბედნიეროდ, ამ დროს, ვითომც აქ არაფერიო, მწერლების ლაპარაკში ღიმილით ჩაერია ტოლსტოის მეუღლე. — დილით ადრიანად გამოვაგზავნი ბავშვებს, კიდევ ერთხელ რომ მოძებნონ. ახლა კი გვიანაა, ბნელა და უმჯობესია შინ დავბრუნდეთ. — ტურგენევი მაშინვე დეთანხმა.

— მეც ამას გთხოვთ. ხვალ ყველაფერი გაირკვევა.

— დიახ, ხვალ ნამდვილად ყველაფერი გაირკვევა. — ბოროტი ირონიით წამოიძახა ტოლსტოიმ, ზურგი შეაქცია ტურგენევს და ჩქარი ნაბიჯით ტყის პირისაკენ გაემართა.

* * *

იმ საღამოს ტურგენევი მისთვის განკუთვნილ საძინებელში თერთმეტი საათისათვის შევიდა. როგორც კი მარტო აღმოჩნდა, მძიმედ დაეშვა სკამზე და დაბნეულად მიმოიხედა გარშემო.

ამ ოთახს ტოლსტოი ჩვეულებრივ კაბინეტად იყენებდა — მაღალი წიგნის კარადები, წალოში ბიუსტი, სამი-ოთხი პორტრეტი, კედელზე

ჩამოკიდებული ირმის თავი — ყველაფერი ეს მის გარშემო სანთლის შუქზე მეტისმეტად არამყუდრო, მხიარულების ნიშანწყალს მოკლებულ გარემოს ქმნიდა. და მაინც ის ამბავი, რომ ბოლოს და ბოლოს, თუნდაც ამ საღამოს, მარტო დარჩა, ტურგენევს უცნაურ სიხარულს გვრიდა.

... სანამ სტუმარი საძინებელში განმარტოვდებოდა, მეორე ოჯახთან ერთად დრო მანაც ჩაის სუფრასთან გაატარა. რამდენადაც შეეძლო ცდილობდა მხიარულად ელაპარაკა და ეცინა. სამაგიეროდ ტოლსტოი ერთთავად მოღუშული იერით იჯდა და ლაპარაკში თითქმის არ ერეოდა. ტურგენევისთვის ეს უსიამოვნოც იყო და საწყენიც. სწორედ ამიტომაც განზრახ ცდილობდა არ შეემჩნია მასპინძლის უხასიათობა და ჩვეულებრივზე მეტ თავაზს იჩენდა მისი ოჯახის წევრების მიმართ.

ყოველ ჯერზე, როცა ტურგენევი მოსწრებულად გაიხუმრებდა, საერთო სიცილ-ხარხარი ატყდებოდა ხოლმე. ხოლო როცა მან ოსტატურად წარმოუდგინა ბავშვებს, თუ როგორ ყვირის სპილო ჰამბურგის ზოოლოგიურ ბაღში, სიცილმა კიდევ უფრო იმატა. მაგრამ რამდენადაც მატულობდა მხიარულება მაგიდასთან, იმდენად ტურგენევის სულში მეტი სიმძიმე და უხერხულობის გრძნობა ისადგურებდა.

როდესაც საუბარი ფრანგულ ლიტერატურაზე გადავიდა, ტურგენევი, რომელიც დაღალა ამ არაბუნებრივმა თამაშმა, მოულოდნელად მიუბრუნდა ტოლსტოის და ხაზგასმული დაუდევრობით უთხრა:

— იცით თუ არა, რომ საფრანგეთში ახლახან გამოჩნდა დიდი იმედის მომცემი მწერალი? მოპასანი. გი დე მოპასანი. ყოველ შემთხვევაში ამ მწერალს აქვს შეუდარებლად მახვილი თვალი. სწორედ ახლა მიდევს ჩემოდანში მისი მოთხრობების კრებული „La Maison Tellier“.[1] როცა დრო გექნებათ, წაიკითხეთ.

— დე მოპასანი?

ტოლსტოიმ ეჭვის თვალით შეხედა სტუმარს. პასუხი მაინც არ გაუცია, წაიკითხავდა თუ არა მოთხრობებს. ტურგენევს გაახსენდა, თუ როგორ აწვალებდნენ პატარაობისას ბოროტი უფროსი ბიჭები. სწორედ ასეთივე წყენა იგრძნო ახლაც.

— *რაკი ახალ მწერლებზე დავიწყეთ ლაპარაკი, ჩვენთანაც გამოჩნდა ერთი საოცრება.*

როგორც კი სტუმარს გაკვირვება შეატყო, სოფია ანდრეევნამ ამასწინდელი ახირებული სტუმრის ამბავი წამოიწყო. რამდენიმე კვირის წინ საღამოხანს მათთან საკმაოდ ღარიბულად ჩაცმული ახალგაზრდა მოსულა და განუცხადებია, აუცილებელი საქმე მაქვს ტოლსტოისთანო. ჰოდა, როცა სახლში შეიყვანეს, პირველი სიტყვები, რაც მან ტოლსტოის უთხრა, იყო: „გთხოვთ დაუყოვნებლივ მომიტანოთ ჭიქა არაყი და ქაშაყის კუდი“. ჯერ ხომ ამ სიტყვებით გამოიწვია საყოველთაო გაკვირვება, მაგრამ უფრო საკვირველი ის იყო, რომ ეს უცნაური

1. „ტელიეს დაწესებულება“.

ახალგაზრდა იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილი მწერალი აღმოჩნდა.

— ის გარშინი გახლდათ.

ეს სახელი რომ გაიგონა, ტურგენევმა კიდევ ერთხელ მოინდომა ჩაეთრია ტოლსტოი საუბარში. გარდა იმისა, რომ ტოლსტოის გაუცხოება სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა მისთვის, ამბავი საამისოდ მშვენიერი საბაბი გამოჩნდა. თავის დროზე [illegible] მან, ტურგენევმა მიაქცევინა ტოლსტოის ყურადღება გარშინის ნაწარმოებებზე.

— ნუთუ მართლა გარშინი? მგონი, ურიგო მოთხრობები არ უნდა ჰქონდეს. არ ვიცი, შემდგომ მისი რა წაიკითხეთ, მაგრამ...

— ეტყობა, ურიგო არ უნდა იყოს.

ტოლსტოის პასუხი კვლავაც ცივი იყო, ოღონდაც რომ რამე ეპასუხა...

ტურგენევი წამოდგა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა. მაგიდაზე დადგმული სანთლისაგან კედელზე მისი ჩრდილი ხან იზრდებოდა, ხან პატარავდებოდა. იგი უხმაუროდ დადიოდა, ხელები ზურგს უკან შემოეწყო და ნაღვლიან მზერას იატაკის შიშველ ფიცრებს არ აშორებდა.

ტურგენევს მეხსიერებაში ერთიმეორის მიყოლებით ამოუტივტივდა ოცზე მეტი წლის წინანდელი ამბები — იმ დროის ამბები, როცა ის ტოლსტოისთან მეგობრობდა. აი, ტოლსტოი — ოფიცერი, რამდენიმე დღე-ღამის გადაბმული ქეიფის შემდეგ მასთან ღამის გასათევად რომ მიდიოდა პეტერბურგში... ტოლსტოი ნეკრასოვის სასტუმრო ოთახში, გამარჯვებულის იერით რომ უყურებდა მასპინძელს, და თავდავიწყებით აცამტვერებდა ჟორჟ სანდს... ტოლსტოი „ორი ჰუსარის" ხანისა, მასთან ერთად რომ სეირნობდა სპასკის ტყეში და აღფრთოვანებული რჩებოდა ზაფხულის ღრუბლების სილამაზით, სადაც ორივენი, მუშტებშეკრულნი, საშინელ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ესროდნენ ერთმანეთს... რა ამბავიც არ უნდა მოეგონებინა, ჯიუტი ტოლსტოი ყოველთვის იმ კაცად რჩებოდა, ვინც სხვაში არ ცნობდა გულწრფელობას, ვინც ყველაფერში, რასაც სხვები აკეთებდნენ, მუდამ სიყალბეს ეძიებდა, და ეს არა მხოლოდ მაშინ, როცა ის, რასაც სხვები აკეთებდნენ, განსხვავებული იყო იმისაგან, რასაც თვითონ აკეთებდა. ვთქვათ, სხვა ვინმე ისევე მრუშობდა, როგორც იგი. მაგრამ სხვას ამას ისე ვერ პატიობდა, როგორც საკუთარ თავს. იმასაც კი ვერ იჯერებდა, რომ სხვას შეუძლია ისევე შეიგრძნოს ზაფხულის ღრუბელთა სილამაზე, როგორც თავად მას. ჟორჟ სანდიც იმიტომ სძულდა, რომ ეჭვი ეპარებოდა მის გულწრფელობაში. თუმცა მას დღესაც არ სჯეროდა, რომ ტურგენევმა მართლა მოკლა ტყის ქათამი...

ტურგენევმა ამოიოხრა და წალოს წინ გაჩერდა. მოშორებით მდგარი სანთლისგან ოდნავ განათებულ წალოში ბუნდოვან ჩრდილად იხატებოდა მარმარილოს ბიუსტი. ეს ტოლსტოის უფროსი ძმის — ნიკოლაის ბიუსტი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წუთისოფელს გამოეთხოვა როგორც ყველასთვის, ისე მი-

სთვის, ტურგენევისთვის ძვირფასი ადამიანი, სათნოზე სათნო ნიკოლაი. რა იქნებოდა, რომ მის ძმას ნახევრად მაინც შეძლებოდა სხვათა გრძნობებისათვის ანგარიშის გაწევა... ტურგენევი ნაღვლიანი თვალებით უმზერდა ნახევრადჩაბნელებულ ბიუსტს და ვერ ამჩნევდა, თუ როგორ მისდევდა გაზაფხულის ღამეში საათი საათს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მეორე დილით ტურგენევი საკმაოდ ადრე გამოვიდა დარბაზში, რომელიც ამ სახლში სასადილო ოთახის მოვალეობას ასრულებდა. დარბაზის კედლები წინაპართა სურათებით იყო მოფენილი.

ერთ-ერთი მათგანის ქვეშ მაგიდასთან მოკალათებული ტოლსტოი ფოსტას ათვალიერებდა. მათ გარდა დარბაზში არავინ იყო.

სანდაზმული მწერლები ერთმანეთს მიესალმნენ.

ტურგენევი ტოლსტოის სახის გამომეტყველებას დააკვირდა. იგი ახლაც მზად იყო შერიგებოდა მას, თუ კეთილგანწყობის ნატამალს მაინც შეამჩნევდა. მაგრამ ტოლსტოიმ მხოლოდ ორი-სამი სიტყვა წარმოთქვა გაღიზიანებით და კვლავ მდუმარედ განაგრძო ფოსტის თვალიერება. ტურგენევმა მაგიდასთან ახლოს მისწია სკამი, გაზეთი აიღო და ასევე უხმოდ შეუდგა კითხვას. ჩამობნელებულ დარბაზში ერთხანს არაფერი ისმოდა, გარდა სამოვრის თუხთუხისა.

— კარგად გეძინათ ღამით? — მიუბრუნდა ტოლსტოი ტურგენევს, როცა ფოსტის თვალიერება დაამთავრა. თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრებული ჩანდა.

— კარგად.

ტურგენევმა გაზეთი დაუშვა და ელოდა, როდის ეტყოდა ტოლსტოი კიდევ რაღაცას. მაგრამ მასპინძელმა ჩაი დაისხა ვერცხლის ფინჯანში და მეტი აღარაფერი უთქვამს.

ასე გამეორდა ერთხელ თუ ორჯერ. როგორც წინა საღამოს, ტურგენევს ახლაც მეტად ემძიმებოდა ტოლსტოის უკმაყოფილო სახის ცქერა. მეტადრე ამ დილით, როცა მათ სიახლოვეს სხვა არავინ იმყოფებოდა, ეს პირდაპირ გაუსაძლისი ხდებოდა. ტოლსტოის ცოლი მაინც გამოჩენილიყო...

გავიდა ხუთი წუთი, ათი წუთი... თითქოსდა მეტის ატანა აღარ შეეძლო, ტურგენევმა გაზეთი მაგიდაზე დააგდო და შეყოყმანებული ადგა სკამიდან.

ამ დროს კარს იქიდან ხმამაღალი ლაპარაკი და მოახლოებული ნაბიჯების ხმა გაისმა. ვილაცეები დასწრებაზე, ფეხების ბრახუნით ამორბოდნენ კიბეზე. უცებ კარი ჯახანით გაიღო და ოთახში ხუთი თუ ექვსი გოგო და ბიჭი შემოცვივდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს.

— მამა, ვიპოვეთ!

ყველაზე წინ მდგომმა ილიამ დიდი ამბით შეათამაშა ის, რაც ხელში ეჭირა.

— მე პირველმა დავინახე! — შესძახა ტატიანამ, რომელიც ძალზე ჰგავდა დედას. არ უნდოდა პირველობა ძმისთვის დაეთმო.

— ეტყობა, ჩამოვარდნისას წამოედო. ვერხვის ტოტზე იყო ჩამოკიდებული, — თქვა უფროსმა ძმამ სერგეიმ, — თითქმის კენწეროსთან.

ტოლსტოი განცვიფრებული უყურებდა ბავშვებს. შაგრამ, როცა მიხვდა, გუშინდელი ტყის ქათამი იპოვესო, წვერებიანი პირისახე სიხარულის ღიმილმა გაუნათა.

— უყურე შენ! მაშ ტოტებში გაიხლართა? აი, თურმე რატომ ვერ იპოვა ძალლმა.

ტოლსტოი ადგა, ბავშვებით გარშემორტყმულ ტურგენევს მიუახლოვდა და თავისი ღონიერი ხელი გაუწოდა.

— ივან სერგეევიჩ, ახლა მეც შემიძლია მშვიდად ვიყო. მე ის კაცი არ ვარ, ვისაც შეუძლია იცრუოს. ფრინველი რომ ძირს დავარდნილიყო, დორა აუცილებლად იპოვიდა.

ტურგენევმა თითქოს დარცხვენით ჩამოართვა ხელი ტოლსტოის. ვინ იპოვეს ბავშვებმა — ტყის ქათამი თუ „ანა კარენინას“ ავტორი? „მამების და შვილების“ ავტორის სული ისეთ სიხარულს მოეცვა, რომ ამ კითხვის პასუხს ვერ პოულობდა.

— არც მე ვარ ის კაცი, ვისაც შეუძლია იცრუოს! განა მე არ მოვკალი იგი? როგორც კი ვესროლე, მაშინვე ქვასავით იწყო ჩამოვარდნა.

ხანდაზმულმა მწერლებმა ერთმანეთს გადახედეს და შეთქმულებივით გადაიხარხარეს.

1921

# კორნეი ჩუკოვსკი

## აიბოლიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მურმან ჯგუბურიამ

რა კეთილი ექიმია
ჩვენი აიბოლიტი, —
აგერ, ერთი ავადმყოფი,
აგერ, კიდევ მორიგი.

თავს ეხვევა დიდ-პატარა,
ახალგაზრდა, ხნიერი,
რა ტკბილი აქვს გამოხედვა
და რა სათნო იერი.

მოდის ძროხა, მოდის მგელი,
მოდის ხოჭო და ჭია,
მოდის დათვი-დათუნია,
ბაყაყი და ბაჭია.

აგერ, დედა-კურდღელი
გაიძახის: „ვაიმე,
ნუთუ არ ეშველება
ჩემს პატარას რაიმე,

კიდევ კარგი, მანქანამ
ფეხზე გადაუარა,
თორემ ვინ თქვას, ცოცხალი
დამრჩებოდა თუ არა“.

მაგრამ აიბოლიტი
ამბობს: „ნუ გედარდება,
ისეთ წამალს შევურჩევ,
უმალ ფეხზე დადგება.
იაროს და იხტუნოს,
როგორ მოეხათრება“.

ბაჭიას მიუდგა უებრო წამალი,
სკუპ და სკუპ,
სკუპ და სუკპ,
დახტუნავს მალ-მალე;
გახარებულია საბრალო დედიკოც:
„უზომო მადლობა, კეთილო ექიმო!“

უცებ, საიდანღაც, ტურა
შემოვარდა სწრაფი ცხენით
და სასწრაფო ტელეგრამას
აცნობს ექიმს სხარტი ენით:

„მე ვარ ჰიპოპოტამის
ამა ამბის მომტანი:
თუკი ზიხართ, წამოდექით,
თუ ფეხზე ხართ — წამოდით,
გელოდებით დღეის-დღეს,
ანუ ამ საღამოთი.
ციცქნა ბეჰემოტები
ავადა გვყავს ძალიან“...

„ნუთუ თქვენი პატარები
ასე ცუდად არიან?“

„ძლიერ ცუდად! ანგინა სჭირთ,
მალარია, ციება,
ყელი სტკივათ და ახველებთ,
რასაც მუნიც მიება,
ბრმა ნაწლავსაც იტკიებენ,
ვაჰ, რა დღემდე მივედით,
თქვენ კეთილი ექიმი ხართ
და გვაქვს თქვენი იმედი!“

„არც ისე ჰქუხს, როგორც ელავს,
იცის გლეხმაც, ბოგანომ,
სად ცხოვრობთ რომ ალარ ვიცი,
როგორ უნდა მოგაგნოთ?

მთები გაკრავთ თუ ჭაობი,
ულრანი თუ ტრამალი?
დარდი ნუ გაქვთ, გეწამლებათ
უებარი წამალი“.

„ალაგს ჰქვია ზანზიბარი,
კალახარი, საჰარა,
ღმერთმა ისე გაგახაროთ,
როგორც ჩვენ გაგვახარეთ.
მთას გვიქვია ფერნანდო-პო,
სადაც ცხოვრობს ჰიპოპო,
ჩვენი დედულ-მამულია
საყვარელი ლიმპოპო“.

წამოდგა აიბოლიტი,
გავარდა აიბოლიტი,
და ორ საათში დალახა
გზა დასალახი ორი დღის.
ტყე გაიარა ულრანი,
სერი და ულელტეხილი,
და მიღიღინებს მინდორში
ჩვენი კეთილი ექიმი:

„ალაგს გვიქვია ლიმპოპო,
სადაც რომ ცხოვრობს ჰიპოპო,
ლიმპოპო, ლიმპოპო, ლიმპოპო!“

სცემს სახეში ქარი ცხელი,
ცივი თოვლი, სეტყვა მსხვილი:
„თუ უკან არ გაბრუნდები,
აქ მოგიწევს მალე ძილი,
ოღონდ, სამუდამო ძილი!“

დაეცა აიბოლიტი,
წყრომით გასცქერის ცას:
„გათავდა ჩემი ამბავი,
ველარ გავიგნებ გზას!“

უცებ, ხშირი ნაძვნარიდან
გამოვარდა დიდი მგელი:

„მოდი, ზურგზე შემასკუპდი,
ქვეყნის ავადმყოფი გელის!“

წამოხტა აიბოლიტი,
მგელს შემოახტა მარჯვედ,
და დასცხო ძველი სიმღერა,
რასაც მღეროდა ადრე:

„ალაგს გვიქვია ლიმპოპო,
სადაც რომ ცხოვრობს ჰიპოპო,
ლიმპოპო, ლიმპოპო, ლიმპოპო!“

მაგრამ უცებ მის წინ გაჩნდა
ზღვა და ზვირთი ვეება,
რა უშველის კეთილ ექიმს,
ტალღებს როგორ შეებას?

„ვაჰ, თუ აქვე ჩავიმარხო,
საწყლებს რა ეშველებათ?“

აქ გამოჩნდა ვეშაპი,
ვეებერთელა, ცხადია,
სიკეთისათვის სიკეთე
ქვეყნად ვის დაუმალია.

ზურგზე შეისვა ექიმი,
გავარდა, როგორც ისარი,
ამღერდა აიბოლიტი,
მისი სიმღერაც ის არის:

„ალაგს გვიქვია ლიმპოპო,
სადაც რომ ცხოვრობს ჰიპოპო,
ლიმპოპო, ლიმპოპო, ლიმპოპო!“

მაგრამ მთა გადაელობა ,
გადაკეტა გზები,
მთებს ენაცვლება მთები და
მთებს ისევ დიდი მთები.

რა ქნას კეთილმა ექიმმა,
ამ მთებს შეებას როგორ,
ვაი, თუ აქ ჩაიმარხოს,
წყევლის ეშმაკის მომგონს!

აქ გამოჩნდება ფასკუნჯი,
ზღაპრის ფრინველი, ლურჯი,
ამღერდა აიბოლიტი,
როგორც მღეროდა უწინ:

„ალაგს გვიქვია ლიმპოპო,
სადაც რომ ცხოვრობს ჰიპოპო,
ლიმპოპო, ლიმპოპო, ლიმპოპო!“

ძალზე შორია აფრიკა,
შორზე-შორია აფრიკა,
და როგორ გინდა, აქედან
რომ დაინახო ლიმპოპო,
სადაც რომ ცხოვრობს ჰიპოპო.

ზის პალმის ძირას ჰიპოპო
და ცხარე ცრემლით ტირის,
ამოულამდა თვალები,
არ ეკარება ძილი,
აიბოლიტზე ფიქრებმა
გაუფერმკრთალა ნირი.

სწუხან მარტორქები,
სწუხან სპილოები,
არა ჩანს ექიმი,
აღარცა სამხრეთით,
აღარც ჩრდილოეთით,
არც აღმოსავლეთით,
აღარც დასავლეთით
არა ჩანს ექიმი.
ზეცას იკლებენ გოდებით
პატარა ბეჰემოტებიც.

ყველას სტკივა თავი,
ყველას სტკივა ყელი,
ყველა, ყველა, ყველა
აიბოლიტს ელის.

წვანან და აბოდებთ,
ნეტა, აქამომდე,
რით ვერ მოაღწია,
და არის ერთი გაწირმაწია...

ატირდა დედა ზვიგენი,
რით დაამშვიდოს შვილები?
ეს მეთორმეტე დღე არის,
პატარებს სტკივათ კბილები!

ჭრიჭინამ ილრძო მხარი და
თავს ველარა ჰყოფს გარეთა,
ველარ უმღერის ჩვეულად
საყვარელ არე-მარეთა,
„რად არ ჩანს აიბოლიტი,
რატომ გვატირებს მწარედა!“
მაგრამ ასწიეთ თავი და
ცას მიაპყარით თვალი:
„ნეტავი .რა ფრინველია,
ასე ქარივით მალი,
ჩვენი ექიმი რომ მოჰყავს
და ჩვენი ნატვრისთვალი?“

„სალამი აფრიკას,
აფრიკას — სალამი“, —
იძახის სტუმარი,
ძვირფასი, კეთილი.
გახარებულია დიდი და პატარა,
ისმის ყრიამული განუწყვეტელი.
მიწაზე ჩამოსვა ფასკუნჯმა
სტუმარი
და ცაში აფრინდა უმალვე.

გასინჯა ექიმმა ციცქნა ბეჰემოტი
და მოურჩინა მტკივანი მუცელი,
ერთი გავიდა და მეორე შემოდის,
გაყვითლებული ვით ჭადრის
ფურცელი.
მოინახულა ვეფხვი — ზოლიანი,
მოინახულა აქლემი — კუზიანი.

ჰა, ტკბილი გოგლი, ჰა, ტკბილი
მოგლი,
სუყველას უმასპინძლდება,
გოგლი-მოგლი ვის მოსწყინდება!

ტკბილეულს ურიგებს ექიმი
პატარებს
და თერმომეტრით უსინჯავს სიცხეს,
მეათე ღამეა ფეხზე რომ ატარებს,
და მეთერთმეტეზეც ფეხზეა ისევ!

ასე მოარჩინა მან ყველა, ლიმპოპო!
და ალარ გაისმის აწ ხველა,
ლიმპოპო!
და ყველა იცინის, იცინის,
ლიმპოპო!
კვდებიან სიცილით, სიცილით,
ლიმპოპო!

აქ ზვიგენმა დასტაქარს თვალი
ჩაუპაჭუნა,
დაჭყლოპინობს, ხალისობს ზვიგენია
ბანუნა.

თითქოს შეულუტუნებს, სტვიან
თავგამოდებით, —
სიცილს ვერ იკავებენ ციცქნა
ბეჰემოტები.

აგერ, ჰიპო, აგერ ტამი,
აგერ, ჰიპო-პო-პო-ტამი.
მიდის ჰიპოპოტამი, მიდის
ზანზიბარიდან,
სადაც კილიმანჯაროს
დათოვლილი მთებია...
„ვაშა, კეთილ ექიმებს, ვაშა,
აიბოლიტებს,
ქვეყანაზე რაც კი რომ კარგი
ექიმებია!“

# ჰელდა ენდრიუს რუსიკა

## ჩემი ჯანჯაფილის ლუდის ბოთლის ჯინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა რუსუდან ჭიღაშვილმა

„კარგად შენახული ვიქტორიანული თიხის ჯანჯაფილის ლუდის ბოთლი შეიძლება ას ფუნტ სტერლინგამდე ღირდეს“. ამ წინადადებამ მიიპყრო ჩემი და ბობის ყურადღება. ეს იყო გაზეთ „გარდიანში“ დაბეჭდილი სტატიიდან ამოჭრილი წინადადება, სანაგვე არქეოლოგიად ცნობილ საქმიანობას რომ ეხებოდა. საინტერესო ძველებური ბოთლებისა თუ დოქების აღმოსაჩენად მეცხრამეტე საუკუნის ნაგვის საყრელების გათხრა გახლდათ ბოლო ხანების ჰობი კალიფორნიაში, რამაც სულ ახლახან ბრიტანეთში გადმოინაცვლა. მისის ჰოლინბენმა, ჩვენმა ისტორიის მასწავლებელმა გადაწყვიტა ის საზაფხულო სემესტრის პროგრამად გამოეყენებინა და მსურველთა მოსაზიდად გაზეთის ეს ამონაჭერი კედელზე გამოაკრა.

ასარჩევად სხვა პროექტებიც იყო — მანქანის მოვლა-მომსახურებისა თუ წყლის გაბინძურებაზე. მაგრამ სანაგვე არქეოლოგია ბევრად უფრო მიმზიდველი ჩანდა. ჩვენი დროის ინფლაციის პირობებშიც ასი ფუნტი სტერლინგი ხუმრობა საქმე არ იყო. ჩემ წარმოდგენაში უკვე ვტკბებოდი ამ ფულით შეძენილ სუპერ-მოწყობილობით. მე და ბობიმ უყოყმანოდ მოვაწერეთ ჩვენი გვარები საინფორმაციო დაფაზე გამოკრულ სიას. ეს კი ვიცოდი (ყველა სათავგადასავლო ისტორია ამგვარი წინადადებით იწყება)... და ალბათ იწყებოდა ჩემი ცხოვრების ყველაზე მღელვარე თავგადასავალიც.

გათხრები არხის მიმდებარე ნაკვეთზე დავიწყეთ. ნუ გგონიათ, ნაგვის გროვის ქექვა ადვილი იყოს, თვე ჩაივლის, სანამ რაიმე ხეირიანს იპოვი... და ჩვენც დავიწყეთ უამრავი გამოუსადეგარი ნივთის მზის სინათლეზე ამოყრა. ჟანგიანი ქვაბების, მინის ნამსხვრევებისა თუ სხვათა და სხვათა. ჩვენი პირველი რამედ ღირებული ნაპოვნი ბრტყელი თეთრი თიხის დოქი იყო. მის სახურავზე ძველმოდური შავი მინაწერის თანახმად, მასში ერთ დროს ფრიად მოხდენილი ჯენტლმენის ნელსაცხებელი ინახებოდა. მაისის ბოლოსთვის ბოთლებისა და დოქების საკმაოდ კარგი კოლექცია შეგროვდა, თუმცა არც ერთი არ იყო ლურჯი თიხის ჯანჯაფილის ლუდის ბოთლი.

იმ სემესტრში ჩემი ნიშნები, ვგონებ დიდი წარმატებით არ გამოირჩეოდა. ნაცვლად იმისა, რომ თავაუღებლივ მემეცადინა კარს მომდგარი გამოცდების ღირსეულად ჩაბარებისათვის, მთელ დროს მდინარესთან ვატარებდი, კოლექციონერების ჟინმა მთელი არსებით შემიპ

ყრო. ადრე ვდგებოდი და საუზმემდე არხთან მივრბოდი, ყველაზე ადრე რომ დამეწყო გათხრები. ეს ფუნტზე ფიქრი ხომ სულ თან დამდევდა.

ამბის მოყოლა მართლაც ძნელი საქმე ყოფილა. მთელი ფურცელი ავაჭრელე და ჯერ მთავარი არ მითქვამს. შევეცდები მოკლედ მოვჭრა. დღე, საიდანაც ჩემი თავგადასავალი დაიწყო, ზუსტად სამშაბათი, 4 ივნისი გახლდათ. თბილი, მზიანი დილა იდგა. ადრიანად არხისკენ გავეშურე, სანაგვის თავზე მოვექეცი და ნიჩაბი მოვიმარჯვე. იქვე ახლოს უკვე ამოყრილი ჩვენი კოლექციისათვის უვარგისად ჩათვლილი საგნების მეორე გროვა ამართულიყო. შემდეგი ნახევარი საათის განმავლობაში გროვას ვერაფერი შევმატე ძირავარდნილი ჩაიდნისა და ყანგიანი ქოთნის მეტი. ცხრა იყო დაწყებული და სკოლაში წასასვლელად უნდა მეჩქარა, მაგრამ არ მინდოდა იმედგაცრუებულს დამეტოვებინა სამუშაო ადგილი. ცოტაც წავიმუშავე და ძველი ფეხსაცმელი ამოვაძვრინე, როცა ის ნაგვისაყრელზე ვისროლე, დავინახე იქიდან როგორ გადმოვარდა რაღაც ლურჯი საგანი, ძალზე რომ წააგავდა თიხის ბოთლს.

გულმა აჩქარებით დამიწყო ბაგა-ბუგი და ლურჯ საგანს დავწვდი. ნამდვილად ბოთლი იყო, დაახლოებით რვა ინჩის სიმაღლის ლურჯი თიხისაგან ნაკეთები, რომელზეც ვიღაცას დაგდების წინ გულდასმით მოერგო საცობი.

ერთხანს ვყოყმანობდი, მომეხსნა თუ არა საცობი, იქნებ რაღაც მჟავა ან სხვა მომწამლავი ნივთიერება ესხა ბოთლში? მაგრამ არა, ნებისმიერი სითხე აქამდე აორთქლდებოდა. მარჯვედ მოვაძრე საცობი და ბოთლი ცხვირთან მივიტანე. უეცრად სახეზე ცივი ჰაერის ნაკადი ვიგრძენი, რაღაც გრძელი და წვრილი სატრანსპარანტო პლასტიკატის ლენტის მსგავსი ამოდიოდა ბოთლიდან და ჰაერში ფარფატებდა. ხან გორგლად ეხვეოდა და მერე ისევ იშლებოდა. საბოლოოდ კი ბაკენბარდებიანი მხცოვანი ჯენტლმენის სახე მიიღო. მას ზოლიანი შარვალი ეცვა და ცილინდრი ეხურა. მრგვალ მუცელზე გარდიგარდმო ოქროს საათის ჯაჭვი უბრჭყვიალებდა.

გაოგნებული და პირდაღებული ვიდექი. პირველად მეგონა, ჯერ ისევ საკუთარ ლოგინში მძინავს და კოშმარს ვხედავდი. თუმცა სანერვიულო არაფერი იყო, დედა სადაცაა კარს შემოაღებდა და საუზმისათვის დამიძახებდა, მაგრამ დედის მაგივრად უცნაური ბოთლის არსება ექოს მსგავსი გუგუნა ხმით ალაპარაკდა.

„რაკილა მოულოდნელად დამირღვიე ძილი, მითხარი შენი სამი სურვილი". ჰოდა კარგა მოზრდილ გვარიან ღიპზე ხელები დაიკრიფა და მოლოდინით აღსავსე მზერა მომაპყრო... ნამდვილად სიზმარი იყო. თავი სულ ბოთლებითა და დოქებით მაქვს გამოტენილი და აი კიდეც მესიზმრებიან, უფრო სწორად ძილში ჯინები ბოთლებში მევლინებიან, რომლებიც სამ სურვილს მისრულებენ.

რა იქნება თქვენი პირველი სურვილი ახალგაზრდა ბატონო? — მკითხა ჯინმა — აურაცხელი ოქროს დუკატი თუ ოკეანის სილრმიდან ამოღებული ზღაპრული სიდიდის მარგალიტის ზოდი?

როგორც იქნა ხმა დამიბრუნდა, ბოლოს და ბოლოს სიზმარი ფრიად ტკბილი იყო და მისი გაცხადებით არაფერი დაშავდებოდა.

— ასე სასაცილოდ რატომ ლაპარაკობთ? — დავინტერესდი მე — ან დიკენსის გმირივით რატომ გაცვიათ? განა გველეშაპებით მოხატული ჩინური ხალათით არ უნდა იყო შემოსილი? ჯინმა შეკითხვა არ ეპიტნავა.

— ნუთუ ამ კუნძულის სხვა ბინადარივით არ გამოვიყურები და ვმეტყველებ? — გაიკვირვა მან. — მგონი, 1877 წლის შესაფერი იერი მოვიძებნე. ასეთ რამეს დიდი გულისყურით ვეკიდები ხოლმე. — მერე ჯიბიდან პატარა ვერცხლის სარკე ამოიღო და თავი შეათვალიერა.

— ეხლა 1877 წელი კი არა, 1977 წელია. — შევუსწორე მე. ასლი წლით დაგაგვიანდა, ეგ არის და ეგ! რატომ აპირებდი ბოთლის დატოვებას მაინც და მაინც 1877-ში?

— ერთობ ცნობისმოყვარე ყმაწვილი ჩანხარ — შენიშნა ჯინმა და სარკე გადადო. — სურვილის ასრულება არ გეჩქარება? უმრავლესობას სული მისდის პირველი სურვილის ასრულებაზე, მოთმინება არ ჰყოფნით. — ბევრი რამ შეიცვალა ჩემი ბოლო გამოჩენიდან, მართალი გითხრა, ეს სულაც არ მენაღვლება. მადროვე სანამ მყუდროდ მოვეწყობი. საშინლად დამღლელია ბოთლის წვერზე ფარფატი. მან ფეხი ფეხს შემოკრა, იქვე მდგომ ხესთან მიფრინდა და ტოტზე კოხტად ჩამოსკუპდა. სახტად დავრჩი ცალ ხელში ცარიელი ბოთლითა და მეორეში საცობით.

— აბა გავიხსენოთ, როგორ ხდება ხოლმე! ყოველთვის გარკვეული დრო სჭირდება ახალ გარემოსთან შეგუებას.

შევამჩნიე რომ მშვენივრად ფლობდა თანამედროვე ინგლისურს. მან თავი მოიფხანა და ბაკენბარდები ერთი-ორჯერ ჩამოიწიწკნა.

— უკანასკნელად ორასი წლის წინ გამოვჩნდი, — დაასკვნა მან. — 1756 თუ 65-ში, მეფე... ამ... ამ... ის კარზე. უკაცრავად, ცუდად ვიმახსოვრებ თარიღებს და სახელებს.

— ვიცი, მეც ასე მემართება ხოლმე — თანავუგრძნე მე, — ისე კი ორასი წლის წინ იმდენი მეფე იყო, ძალზე ძნელია დაიმახსოვრო. იქნებ დედოფალი ანა გყავს მხედველობაში? იმ ხანად ის იყო ინგლისის დედოფალი.

— მე რომ დედოფალი მეგულისხმა, ასეც ვიტყოდი, — განაწყენდა ჯინი. — როგორმე შემიძლიან კაცი ქალისაგან განვასხვავო. არა, ჩემი მეფე იყო... ააა გამახსენდა: ეფიოპიის მეფე ამპაჯესი. მისმა მეგობარმა მიპოვა, იმ უტვინო ბიჭს თავის სამუშაოს მეტი არაფერი ადარდებდა. მეგონა რაღაც ისეთს მთხოვდა, მან კი მხოლოდ რამდენიმე იშვიათი ყვავილი მოინდომა სამეფო ბაღისათვის. — ჯინმა ამოიოხრა. — რახან გამომიშვა, იძულებული ვიყავი მეშოვნა ჰოლანდიური შავი ტიტა და ტიბეტური მეწამული ფერის ვარდი. უზომოდ დავიქანცე, ალბათ ამიტომ მეძინა ამდენ ხანს... რა თარიღი თქვი?

— 1977 წელი და შენ ინგლისში იმყოფები. თუმცა შენი ვიქტორიანული ინგლისისათვის ასე თუ ისე შესაფერისი ტანსაცმელით თუ ვიმსჯელებთ, ამის შესახებ წინასწარ აქ უნდა ამოსრიალებულიყავი. მე

ვგულისხმობ ამობრძანებულიყავი-მეთქი, სასწრაფოდ შევასწორე ჩემი ნათქვამი. არ მინდოდა უპატივცემულობით გული მეტკინა მისთვის.

— დიახ, მართალია, ვცდილობ გამოვჩნდე ხოლმე ყოველ საუკუნეში და, რასაკვირველია, სხვადასხვა ქვეყანაში. სხვაგვარად გამოცდილებას ვერ მიიღებ.

შევამჩნიე, სანამ ჯინი ტოტზე იჯდა, თითის სიგრძედ იყო ქცეული, მაგრამ ქვევით რომ დაეშვა, უზარმაზარ ბუშტად გაიბერა.

— აბა, თქვი პირველი სურვილი, ვაუბატონო — გამიმეორა მან რას ინებებ? მსახური ბრძანებას ელოდება.

თავისი პროფესიული სამუშაოს შესრულებისას უპირატესობას აშკარად ძველმოდურ ინგლისურს ანიჭებდა... შემდეგ კი ჩვეულებრივი ხმით დაამატა: — ნეტავ რა დამემართა, ამდენი არასოდეს მძინებია.

სიტყვამ „მძინებია“ რეალობას დამაბრუნა — საათს დავხედე 8.40 იყო. ყველაფერი თუ სიზმარი არ გახლდათ, მაშინ სკოლაში კარგად გვარიანად დამაგვიანდა. ხოლო თუ სიზმარი იყო, ცუდი არ იქნებოდა ჯინის ძალა გამომეცადა.

— ძალიან კარგი, — ვთქვი გადაწყვეტით, — ჩემი პირველი სურვილია სკოლაში არ დავიგვიანო.

სახეზე ისევ ვიგრძენი ცივი ჰაერის შეხება, რაღაცამ ამიტაცა და თვალის დახამხამებაში ჩემს მერხზე გავჩნდი. თანაკლასელები ის-ის იყო შემოდიოდნენ. თვალებს ვერ ვუჯერებდი, უთუოდ დამრიგებლის დილის რჩევა-დარიგების დროს ჩამეძინა, მაგრამ არა, საკლასო ოთახში დაბრუნებისას ჩანთა მერხზე ვიპოვე, ხოლო ჯიბეების მოჩხრეკისას ჯინის ბოთლის საცობი აღმოვაჩინე, ე. ი. — სიზმარი სულაც არ ყოფილა. უფრო უარესი — ზღაპრების ყველა ბრიყვი გმირის მსგავსად ჩემი პირველი სურვილი სრულიად უსარგებლო გამოდგა. უკეთესი რამე უნდა მოვიფიქრო, — გადავწყვიტე და პირველი გაკვეთილიც დაიწყო.

იმ დილით რამდენჯერმე მოვხსენი საცობი ბოთლს, მაგრამ ჯინი ან ადგილზე არ იყო, ან მეტისმეტი მგრძნობიარობის გამო, რცხვენოდა მოსწავლეებით სავსე საკლასო ოთახში გამოჩენა. მხოლოდ სკოლის შემდეგ, როდესაც ველოსიპედების ფარდულში მარტო დავრჩით, მაშინ ინება ამობრძანება, ახლა სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, ეცვა ტვიდის მოდური შარვალი, ლურჯი შალის პულოვერი და შავი ტყავის პიჯაკი. მის სახეს კმაყოფილი ღიმილი მოეფინა, როცა თანამედროვე სილუეტი შეავუქე.

— ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს, — თქვა მან მოკრძალებით, იმ უსიამოვნოდ გაფშეკილმა საყელომ, ადრე რომ ვატარებდი, კისერი მატკინა, — ნატკენზე ხელი დაისვა და საგულდაგულოდ გაისწორა ახალი ელეგანტური აბრეშუმის ყელსახვევის ნაკეცები...

— აბა, — დასძინა პაუზის შემდეგ, — მოიფიქრეთ დანარჩენი ორი სურვილი?

— მგონი ადრეა ჯინ. — მივუგე რაც შეიძლება ზრდილობიანად. — თუ წინააღმდეგი არ იქნები, ცოტა კიდევ მოვიცადოთ. მანამდე შეგიძლიან სახლში მესტუმრო. ვეცდები შეძლებისდაგვარად კარგი მა-

სპინძლობა გაგიწიო, თუ რა თქმა უნდა, კიდევ სადმე არ გეჩქარება...

— არა, ეს საუკუნე ურიგო არ ჩანს. ჰავასაც არა უჭირს. მოხარული ვიქნები, თუ გარკვეული დროით შენთან დავრჩები — მან ლოყები გამობერა, ფილტვებიდან ჰაერი ამოუშვა და სათამაშო ჯარისკაცის ტოლა პაწაწინა არსებად იქცა.

— არ მინდა ყურადღება მივიქციო, — წამჩურჩულა მან, — შენს ორბორბლიან ეტლზე წინ დამსვი და ნება მომეცი ახალი გარემოთი დავტკბე.

მთელი გზა შინისაკენ ხმა არ ამოუღია. ეფიქრობ, ტრანსპორტმა დააშინა ცოტა. განსაკუთრებით მძიმე საბარგო მანქანებმა, ქვევით გზატკეცილზე გრუხუნით რომ დაგრიალებენ. ჩემს ოთახს რომ მივაღწიეთ, კარი დავკეტე და დაჯდომა შევთავაზე. ის დათვის მოზრდილი ბელის სიდიდემდე გაიბერა და წიგნების კარადის თავზე მოიკალათა. ეტყობა, სიმაღლეები მოსწონდა. ველოდით, პირველი ვინ დაარღვევდა სიჩუმეს. რაკი მასპინძელი ვიყავი, თავი მოვალედ ჩავთვალე სტუმრისთვის ახალი ადგილსამყოფელი მეჩვენებინა. მუსიკის მოსმენით დავიწყე. მოვძებნე უახლესი ჰიტების ჩანაწერი, მოვათავსე პლიერში და ჩავრთე. საცოდავი, კინაღამ საკუთარი ტყავიდან ამოხტა.

— ჯადოქარი ხარ? — მკითხა აღელვებულმა — შენი მუსიკოსები უხილავები არიან თუ ჰაერიდან ქმნი მუსიკას?

— ო, არა, ჯინ, — თავს ძლივს ვიკავებდი სიცილისაგან — სასწაულებრივი არაფერია, — პლიერი გამოვრთე, კასეტა ამოვიღე და ვაჩვენე — შეხედე, მთელი მუსიკა აშაშია მომწყვდეული. როცა ამ მანქანაში ჩავდებ, როგორც ახლა, ის მაშინვე იწყებს დაკვრას.

— როგორი მუსიკა მოგწონს? რაიმე აღმოსავლური ხომ არ შეგირჩიო?

ჯინი თაროდან ჩამოფრინდა და კასეტა გულდასმით დაათვალიერა.

— კიდევ რა შეუძლია ამ შენს ჯადოსნურ მანქანას? დაინტერესდა ის. — შეგიძლია ერთ-ერთ ბრტყელ ყუთში ჩადო, სთხოვო კერძის მომზადება?

— ღმერთო ჩემო, არა! — გავიკვირვე. — მხოლოდ მუსიკას უკრავს, ან ლაპარაკის ჩანაწერს აღადგენს. საჭმელი რატომ ახსენე? გშია? რამდენადაც ვიცი ჯინები არ მიირთმევენ არაფერს.

— რა თქმა უნდა არა. — გაბრაზებული ჩანდა — ვიფიქრე, ეგ შენი სასწაული ბევრ ხათაბალას ამაცდენდა. იცი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სურვილი იყო „ლხინი მეფისათვის". მე კი ყოველთვის მძულდა საჭმლის კეთება. ვერც კი წარმოიდგენ, რა ძალისხმევა სჭირდება „მერცხლის ბუდეების" გამოცხობას ან გოჭის შებრაწვას. რადგან თავად არ გეახლები, საბედისწერო შეცდომებს ვუშვებ. მახსოვს, ერთხელ შხამიანი სოკოთი კინაღამ საიქიოს გავისტუმრე მეწაღე და მისი ოჯახი. ამიტომაც გკითხე, მეგონა ხანდახან დამეხმარებოდა.

ნათელი იყო, რომ ჯინს მეოცე საუკუნის ტექნოლოგიაზე წარმოდგენა არ ჰქონდა. მოკლე ლექცია ესაჭიროებოდა დასაწყისისთვის ავუხსენი, რომ სხვადასხვა მოვლენებისათვის სხვადასხვა სასწაულებრივი

ყუთები გვაქვს. ზოგი მიწაზე სამოგზაუროდ, ზოგი ცაში ფრენისათვის, ზოგი მუსიკისათვის და ზოგიც კვებისათვის. სამზარეულო დავათვალიერებინე და მაცივარი ვაჩვენე, რომელსაც სახელდახელო წახემსებისათვის ბადალი არა ჰყავს.

ადგილობრივ სუპერმარკეტში დარწმუნებული ანანასი ბოჭი იშოვო, — ვუთხარი, — მაგრამ „მერცხლის ბუდეები" სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში დაკონსერვებული კალიები და დამწნილებული ჭიანჭველები რამდენიც გინდა იმდენია.

ჯინმა თავი გააქნია.

— ყველა ამ სასწაულის ხილვამ ძალიან დამღალა — წარმოსთქვა ჩუმი ხმით, რომელიც სულ არ ჰგავდა მის ადრინდელ ომახიან კილოს. — წინააღმდეგი ხომ არ ხარ, ცოტა ხნით ბოთლში რომ დავბრუნდე მოსასვენებლად. ხვალ ვილაპარაკოთ დანარჩენ ორ სურვილზე. ძილი ნებისა. — პასუხს არ დაელოდა, სწრაფად ჩაიჩუტა, ერთი აიქნია ფეხი და ბოთლში გაუჩინარდა.

იმ საღამოს აღარ გამოჩენილა.

დილით ჩემი სტუმარი გავაღვიძე და ავუხსენი, თუ რას წარმოადგენდა სკოლა. მოწონების ნიშნად თავი დამიქნია.

— სწავლა ძალიან სასარგებლოა, — დასძინა დინჯად — ზედმეტი არასოდეს არ არის. სიბრძნის ტაძრიდან შენს დაბრუნებამდე წავალ და დავისვენებ. შემდეგ კი თქვენი საუკუნის სხვა სასწაულები მაჩვენე.

ასე შემოვიდა ჯინი ჩემს ცხოვრებაში. მასთან ცხოვრება არ იყო ადვილი. ველოსიპედით მისი გასეირნება დიდ დროს მართმევდა. განსაკუთრებით უყვარდა აეროპორტი და ზღვის სანაპიროზე მოწყობილი გასართობი პასაჟები. ერთხელ კინაღამ ჯეგპოტის მოგება ვთხოვე ერთ-ერთ სათამაშო მანქანაზე, მაგრამ საბედნიეროდ თავი დროზე შევიკავე. შინ დედა უკვე ცნობისმოყვარეობით მადევნებდა თვალს. ერთიორჯერ მკითხა კიდეც, თავს ცუდად ხომ არ გრძნობო?

— ადრე არასოდეს ელაპარაკებოდი შენ თავს, — მითხრა და შუბლზე ხელი დამადო — როცა კი შენს ოთახს ჩავუვლი, ყოველთვის შენი ხმა მესმის. სიცხეს ხომ არ გაიზომავ?

დავარწმუნე, რომ ყველაფერი რიგზე მქონდა. ამის მერე ჯინთან საუბრისას მუსიკასაც ვრთავდი. მას უყვარდა მუსიკა. მაგრამ საუკუნის გამოგონებად მაინც ტელევიზორი მიაჩნდა. მისი ყურებით ვერ ძღებოდა. მამა ბრაზობდა, ამდენ დროს რომ ვუთმობდი ტელე ეკრანს, იმის მაგივრად გაკვეთილები დამემზადებინა ან თუნდაც თანატოლებთან ფეხბურთი მეთამაშა. ჯინს სავარძლის ბალიშებში ვმალავდი და ისე ვაყურებინებდი ხოლმე ტელევიზორს, მაგრამ დედა ან მამა შემოდიოდნენ და თიშავდნენ. ბოლოს ისე მოხდა, რომ მთელი ჩემი დანაზოგით პორტატული ტელევიზორი შევიძინე.

ახლა ჯინი სავსებით ბედნიერი იყო, რაკიღა თითქმის მთელ დღეს ჩემს ოთახში ატარებდა და პროგრამებს ერთიმეორეს მიყოლებით უყურებდა.

— ო, ძვირფასო, — ამოიოხრებდა ხოლმე, — რამდენ დავიდარაბებისგან მიხსნიდა ეს ყუთი წარსულში. რამდენჯერ გამჭირვებია ლამაზი მოცეკვავე გოგონების წარმოსახვა, მახსოვს, ერთხელ...

საწოლზე ვიწექი ნებივრად. — მახსოვს ერთხელ... მუდამ ასე იწყებდა ხოლმე ჯინი თავის ამბების მოყოლას. ისინი უმთავრესად იმ უჭკუო ადამიანებზე იყო, ვისაც არ გაუმართლდა სამი სურვილის შესრულების ამბავში. ერთი თუ დაიწყებდა, საუკეთესო სატელევიზიო გადაცემებიც ვერ აჩერებდა.

მაგრამ ბედს არ ვუჩიოდი. ზოგიერთი მისი მონაყოლი მართლაც, რომ საამო მოსასმენი იყო, თუმცა გაჭიანურებული. ორი საუკუნის ძილის შემდეგ საბრალო ვინმესთან დალაპარაკებას დანატრულებული იყო.

დღე დღეს მისდევდა და ჩემი სურვილები თითქმის დავიწყებას მიეცნენ. ჯანჯაფილის ლუდის ბოთლის ჯინს მყუდროდ დაედო ბინა ჩემი წიგნების კარადაზე და პლიერისა თუ ტელევიზორის მეტი არაფერი ახსოვდა. ჩემს სამ სურვილს თუკი შეასრულებდა, მეოცე საუკუნის ცივილიზაციის მთელი ეს კომფორტი უნდა მიეტოვებინა.

გავიდა ერთი თვე. გადავწყვიტე, რომ სერიოზული საუბრის დრო დადგა.

— მომისმინე, — ვუთხარი და გამოვუთიშე მისი საყვარელი სერიალი.

— ჩემს სურვილზე რას იტყვი, ხომ იცი, კიდევ ორი მაქვს დარჩენილი?

— ო, ძვირფასო, — საყვედურით მომმართა ჯინმა. — მე მეგონა დაგავიწყდა. იქნებ ერთი-ორი თვით კიდევ გადავდოთ? წინ ოცი სერიაა საყურებელი — ესეც არ იყოს, საკმაოდ მოისმინე ჩემი ამბები. ნუთუ ვერ მიხვდი, რომ სურვილების ასრულება ყოველთვის ცუდად მთავრდება. ადამიანებმა არ იციან, რა არის მათთვის კარგი. გონჯ გოგოებს სურთ სილამაზე და სარფიანი საქმროების ხელში ჩაგდება. მეტისმეტად პატივმოყვარეები ხდებიან. ღარიბებს წარმოდგენა არა აქვთ, რა მოუხერხონ მოულოდნელ სიმდიდრეს. მახსოვს, ერთხელ ერთი საწყალი მეთევზე...

— ეს ამბავი ათასჯერ მაინც მაქვს მოსმენილი, — სიტყვა გავაწყვეტინე ჯინს. — გოგო არა ვარ რომ სილამაზე ვინატრო და არც ფულს ვისურვებდი. უცბად რომ გავმდიდრდეთ, საგადასახადო ინსპექტორი ელვის სისწრაფით მოგვადგება და გვკითხავს საიდან მოიტანეთ ეს ყველაფერი? ახლა არ დავიწყებ შემოსავალ-გასავლის ახსნა-განმარტებას. ეს დიდ დროს წაგვართმევს. ისე შეგახსენებ, რომ მთელი თვე თვალის ჩინივით გივლიდი, მთელი ჩემი დანაზოგი დაგახარჯე. ახლა კი შენი ჯერია დამეხმარო გონივრული სურვილების შერჩევაში. რატომ არაფერს მთავაზობ?

ჯინი ბაკენბარდების წიწკვნას მოჰყვა და ცოტახანს ჩაფიქრდა.

— კეთილი, ერთი საქვეყნოდ ცნობილი სურვილია, რომელიც ზოგჯერ წარმატებით სრულდება. შეგიძლია მეფის ქალიშვილზე დაქორწინება მთხოვო. დარწმუნებული ვარ, მეფე გყავთ, არა?

— არა, დედოფალი, — მივუგე მე!

— ხო, იგივეა, იმას ჰყავს ქალიშვილი?

— დიახ, ერთი, მაგრამ ის ჩემზე უფროსია და თანაც უკვე დაქორწინებული. ესეც არ იყოს, არა მგონია პრინცესაზე დაქორწინება ჩემი ოცნება იყოს — ნუთუ უკეთესი არაფერი მოგდის თავში?

ჯინმა ისევ მოიქაჩა ბაკენბარდები და თავი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ღრმა ფიქრებს მიეცა.

— მოგზაურობა თუ გიყვარს? — მკითხა, — წავიდოდით და ისეთ ადგილებს დავლაშქრავდით, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს. უმაღლესი მთების მწვერვალებზე, ოკეანის ულრმეს წყლებში, გაუვალ ჯუნგლებში. სადაც გინდა.

— ო, ჯინი, უკვე თვეზე მეტია ტელევიზორს უყურებ და უნდა იცოდე, რომ დღეისათვის ასეთი ადგილი აღარსად დარჩა. არ გახსოვს ფილმი ახლახანს მწვერვალ ევერესტზე ბრიტანული ექსპედიციის ასვლის შესახებ სამხრეთ დასავლეთის მხრიდან, სხვა მხარეებზე კი ასვლა მეტის მეტად ადვილია. მდიდარ ტურისტებისათვის ჰიმალაიზე ასვლაც კი ორგანიზებულია, რაც შეეხება ამაზონის ჯუნგლებს, ის ახლა ბრინჯის მინდვრებისა და ნავთობის ჭაბურღილებისათვის იჩეხება.

— მაშინ, ოკიანეზე რას იტყვი? — მკითხა ჯინმა იმედიანად.

— არც იფიქრო, პროფესორი პიკარდი ჩაეშვა ოცდაათი ათასი ფუტის სიღრმეზე თავის ბატის კაფპით. არა, ჯინ, უკეთესი რამე უნდა მოიფიქრო.

ამასობაში ივლისიც დადგა და გამოცდებიც მოახლოვდა. მხოლოდ ისტორიის ჩაბარების იმედი მქონდა, ისიც იმიტომ, რომ ბოლო ორი ასეული წლის განმავლობაში სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ ბევრის ახსნა დამჭირდა ჯინისათვის. ტექნოლოგიის ისტორია მისი უსაყვარლესი საგანი გახლდათ და მეც ვუყვებოდი თომას ედისონისა და ელექტრო ნათურის შესახებ ან სტეფანსონის რაკეტაზე. მეორე მხრივ ჩემი ნიშნები მათემატიკასა და ფიზიკაში არ გაუმჯობესებულა, მიუხედავად ამ საგნების დიდი სიყვარულისა. ბოლო ხანს მათთვის დრო აღარ მრჩებოდა. სულ ჯინის ბრალი იყო ყველაფერი და ჩემი აზრით ვალდებული ბრძანდებოდა დამხმარებოდა. ალბათ არ ღირდა მეორე სურვილის უბრალოდ დახარჯვა, მაგრამ ფიზიკაში გამოცდის წინა ღამეს გადავწყვიტე.

— მომისმინე, — ვუთხარი, — რასაც ახლა გთხოვ, ნამდვილად არ არის უსვინდისობა. გპირდები, რომ შემდეგ წელს უკეთესად ვისწავლი. მოდი ამჯერად ჩემს მაგივრად ჩააბარე გამოცდა.

ჯინი შეცბა. ჩემგან იცოდა რას წარმოადგენდა გამოცდა. მაგრამ დასარწმუნებლად, კიდევ ერთხელ ავუხსენი.

— შენთვის რთული არ იქნება, — ვარწმუნებდი, — მშვენივრად ვაართმევ თავს, ლევიტაციას ვგულისხმობ და საგნების მატერიალიზაციას. ეს ფიზიკის ნაწილია.

ჯინი ისევ სდუმდა.

— ბებერო თაღლითო, — ავყვირდი, დარწმუნებული ვარ შენი ძალები როგორ მუშაობენ არც იცი, მხოლოდ პრაქტიკა და არანაირი თეორია, აი რა ხარ — აღიარე?

— შენ ხომ არ ეკითხები მზეს, რატომ ბრწყინავს, ან ქარს —

რატომ უბერავს? — ითაკილა ჯინმა და ისე გაიბერა, რომ კინალამ თა-
როდან გადმოვარდა. — მე მარტივი ძალა ვარ, როგორც მზე და ქარი,
გახსოვდეს ეს, ყმაწვილო, ამასთან — დაურთო მან, — სულაც არა ხარ
გამონაკლისი. ბევრ სხვა ადამიანსაც უთხოვია დაუფლებოდა ცოდნასა
თუ სიბრძნის საიდუმლოს, მაგრამ ეს არ შემიძლია. ეს არ არის ჯინის
საქმე. ასეა!

— ისე. რომ შენით მოგიხდება გამოცდის ჩაბარება. შემიძლია
მხოლოდ ღრმა ძილი და ტკბილი სიზმრები გამოგიგზავნო. ჩემი შენდა-
მი სიყვარულის დასადასტურებლად. ამას სურვილად არ ჩაგითვლი.

ამ სიტყვებით სწრაფად ჩაიფუშა და ჩვეულებრივად ხელის დაქ-
ნევის შემდეგ ბოთლში გაუჩინარდა ნიშნად იმისა, რომ გაბრაზებული
და ჩვენ საუბარზე იყო დაფიქრებული.

სხვა რა დამრჩენოდა, თუ არ დასაძინებლად წასვლა, ძილმა იმ-
წუთშივე წამართვა თავი. დილით უჩვეულო ენერგიის შეგრძნებით გა-
მელვიძა. ჯინმა სიტყვას არ ულალატა. მშვენიერი ეგზოტიკური სიზ-
მარი გამომიგზავნა. ინდურ სპილოზე ვიყავი ამხედრებული და შავთვა-
ლა გოგოები ოქროთი გაწყობილ სარეში სირაქლემის მინიავებ-
დნენ. თვითონ ჯინი ბოთლში დარჩა და არც განძრეულა, სკოლისაკენ
მიმავალი რომ დაველოცე.

ალბათ ფიქრობთ, რომ ამ ამბავს ყოველგვარი წვრილმანებით ვა-
ჭიანურებ: ვის რაში სჭირდება ჩემი სიზმრები? თქვენ გაინტერესებთ
რა დაემართა ჯინს და ჩემ ორ დარჩენილ სურვილს, იმედი უნდა გაგიც-
რუოთ: ჯერ არ გამჩენია რაღაც-რაღაცათა სურვილი და ვფიქრობ არც
მექნება. ალბათ არ ელოდით ჩემი ამბის ასეთ მოსაწყენ დასასრულს?
მაგრამ ეს არ არის ნამდვილად დასასრული. პირიქით ეს დასაწყისია!
ჩემი ჯინთან ცხოვრების ყველაზე საინტერესო ნაწილი ახლა იწყება.

ჯინი ბთელი ექვსი თვე იყო გაბუტული, ბოთლში იჯდა და თავის
საყვარელი სერიალების საყურებლადაც აღარ ამოდიოდა. ერთხელ ისევ
წიგნების კარადაზე შემოსკუპებული შევნიშნე. გადავწყვიტე ამიერიდან
ძალიან ფრთხილად შემერჩია სიტყვები. მას ძალზე აღელვებდა თავისი
ჯადოსნური ძალა და გატაცებით უყურებდა სამეცნიერო პროგრა-
მებს.

გამოკრული საგამოცდო ნიშნების თანახმად გამოცდები კარგად
ჩავაბარე. ერთი სული მქონდა ჯინისთვის მეხარებინა ეს კარგი ამბავი.
სამ-სამი საფეხურის გამოტოვებით კიბეზე ავირბინე და ოთახში შევ-
ვარდი. ტელევიზორს უყურებდა და ისე იყო გართული, თავიც არ
შეუტრიალებია.

— ყველა გამოცდა ჩავაბარე, — ვიყვირე მე, — ფიზიკაც კი.
მისტერ ბრაუნინგმა აღნიშნა, რომ თუ უსწავლელად ასეთ წარმატებებს
ვაღწევ, ცოტა მეტი მუშაობით ალბათ კიდევ უფრო მეტს მივაღწევ.
იცი, რა ჯინ? შემიძლია ფიზიკა უნივერსიტეტშიც ჩავაბარო, თუ შემ-
დეგი ეტაპი წარმატებით დავძლიე. რა აზრისა ხარ? ჯინმა ახლა უკვე
ცოტაოდენი ყურადღება გამოამჟღავნა, ეკრანს თვალი მოსწყვიტა და
შემობრუნდა.

— მშვენიერი აზრია, — თქვა მან.

— რა? — ვკითხე მე.

— ფიზიკის შესწავლა, ცხადია, მეც უნდა შემომეთავაზებინა. როცა პროფესორი ან, როგორც თქვენ ეძახით... გახდები, მე ალიარებას მოგაპოვებინებ: ყველაზე თვალსაჩინო თანამშრომლობა მეცნიერების ისტორიაში, არა? — კმაყოფილებით გაიღიმა და ტელევიზორს მიუბრუნდა.

— რას მიედ-მოედები? როგორ შეგიძლიან ცნობილი გამხადო?

— ხელს ნუ მიშლი, — გაღიზიანდა ჯინი, — ხომ ხედავ, რომ ვუყურებ? ცხადია, როცა ჩემ შესახებ „ნატურა"-ში დაიბეჭდება სტატია, ეს იქნება ბევრად უფრო დიდი სენსაცია, ვიდრე ეს ნაგავი — ჩანგლების მოლუნვა თუ საათების გაჩერება. დე, ნახონ რა შემიძლიან.

— ჩანგლების მოლუნვა, საათების გაჩერება? ოჰო, პროგრამა იური გელერის მონაწილეობით. — დავიხარე, ეკრანი რომ დამენახა. ორი წვეროსანი ახალგაზრდა კაცი რქის ჩარჩოებიანი სათვალეებით ცხარედ კამათობდა.

— იური გელერი თაღლითი არ არის, — თქვა მარცხნივ მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც გრძელი წვერი, მაგრამ გამელოტებული თავი ჰქონდა. მან აღშფოთებული მზერა ესროლა, მეორეს, რომელსაც საკმაოდ გაქუცული წვერი, სამაგიეროდ ხშირი თმა ამშვენებდა.

— ჩემი სტატიით „ნატურა"-ში მე დავამტკიცებ...

— ვერაფერსაც ვერ დაამტკიცებ, — სიტყვა გააწყვეტინა მეორემ. წინასწარი ზომები იმ თქვენ მიერ აღწერილ ექსპერიმენტებში ხელს ვერ შეუშლის კომპეტენტურ მეფოკუზეს თაღლითობასა და მაყურებლის გაცუცურაკებაში. ყოვლად მიუღებელია, რომ ისეთმა მსოფლიო რეპუტაციის მქონე სამეცნიერო ჟურნალმა სერიოზულად მიიჩნიოს ეს და არა სააპრილო ხუმრობად.

— შეგიძლია გამორთო, — ნება დამრთო ჯინმა, — ის ჩანგლებით თვალთმაქცობა არ იყო ცუდი, მეფე ამ... ამ...

— ამპაჯესი, — შევაშველე მე.

— მართალია, მეფე ამპაჯესს ჩინებული თვალთმაქცი ჰყავდა, კარზე. მახსოვს ერთხელ...

— ახლა არ დაიწყო, — შევაწყვეტინე მე, სანამ თავის ერთ-ერთ გაუთავებელ ამბავს დაიწყებდა. — რას გულისხმობდი „ნატურა"-ში ჩემ მიერ შენზე დაწერილ სტატიაზე როცა ლაპარაკობდი.

— იდეა ნამდვილად შენ მომაწოდე, — გულგრილად გამიღიმა მან. — აი იმ დღეს თაღლითი რომ მიწოდე და მითხარი, არაფერი იცი საკუთარი ძალების შესახებო, — ჩაფიქრებულმა თავი მოიქექა, — სავსებით მართალი ხარ, ამაზე. არასოდეს დავფიქრებულვარ. ადრე საშინლად უმეცარი ვიყავი, მაგრამ ამას ერთად გამოვასწორებთ. შენ გახდები ვი... ფიზიკოსი, როგორც ის წვეროსანი იყო ტელევიზიაში, და ამცნობ მთელ სამყაროს ჩემი ძალების შესახებ. ეს იქნება გაუგონარი სენსაცია, მოუთმენლად ველი სტატიას.

— დაიცა... ჯინ... — წარმოვთქვი უიმედოდ, — რას უპირებ ჩემს სურვილებს? სულ დაგავიწყდა?

— სურვილები, სურვილები! — ჯინმა ხელი დააქნია „რატომ ვერ ვივიწყებთ სურვილებსა და საგნებს? რა არის განძეულობა ან ლამაზმანები ჩემნაირი სუპერ-პარა-ფსიქოლოგიური მოვლენის ნამდვილ სამეცნიერო ანალიზთან შედარებით, — სიამაყისგან გაბერილი — გახსოვდეს, დაუმატა მან ნაჩქარევად ჩემი სახის გამომეტყველების დანახვისას. შენ ცნობილი და მდიდარი გახდები, როცა ჩემ შესახებ დაწერ და წინააღმდეგი არ ვიქნები, როცა დაქორწინებას დააპირებ.

— დიდი მადლობა, — მივუგე მე, თუმცა არა მგონია ჩემი სარკაზმი შეემჩნია.

— რა თქმა უნდა, შენს მეუღლეს პირველი მე უნდა შევხედო, — დაუმატა მან სასწრაფოდ, — არ მსურს ფეთხუმი ვიღაც გერგოს, აი ერთ-ერთი იმათგანი, ყოველთვის რომ მტვერშია ამოგანგლული და ყველაფერს ამსხვრევს. როგორც უკვე ვიწინასწარმეტყველე, შენ ფიზიკას შეისწავლი, შემდეგ კი ჩემი მუშაობის მექანიზმს გაარკვევ.

ასე მოხდა. ჯინმა მთელი ეს დრო ვირივით მამუშავა, მაიძულა მთელი მათემატიკა და ფიზიკა მესწავლა;

დედას ისე ეგონა, რომ ავად გავხდი, და ყველა ჩემმა თანატოლმა მიმატოვა. გავიარე ეს ეტაპი და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ხარისხის უფლება მოვიპოვე. ოქტომბერში ვაპირებ ჩაბარებას. უპრიანი იქნებოდა მეთქვა ვაპირებთ-მეთქი, ვინაიდან ჯინსაც უეჭველად თან წავიყვან, ის ამჟამად ძალიან დაკავებულია სამეცნიერო კარიერის შესაფერის გარეგნობისა და ტანსაცმელის შერჩევაში. ამასობაში დავიწყე კვლევა და „ნიუ სიენტისტ“-ში მოკლე წერილი გავაგზავნე. ჯინის დაჟინებული მოთხოვნით. მას ძალიან სერიოზული სათაური აქვს: „ზოგიერთი წინასწარი გამოკვლევები გარკვეული პარა — ფსიქოლოგიურ მოვლენებში“. ის სულ მალე გამოქვეყნდება. არ დაგავიწყდეთ მისი წაკითხვა.

# იტალიური პროზა



თარგმნა ნინო მურადაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლუიჯი პირანდელო

### ახალი სამოსი

სამოსი, რომელსაც საბრალო კრისპუჩი უხსოვარი დროიდან ატარებდა, ყველას მისი სხეულის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა და ველარავინ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა გამოცვლილიყო. კრისპუჩი ყველას ქეციან და გაქუცულ უპატრონო ძაღლს მოაგონებდა. ვექილ ბოკანერას კი, მის უფროსს, არასოდეს უფიქრია, თავისი ნაქონი ტანსაცმლიდან, რამე ეჩუქებინა მისთვის; კრისპუჩი ისედაც ბრწყინვალედ ემსახურებოდა — გადამწერად და ხელზე მოსამსახურედ თვეში 120 ლირად.

იმ დღეს, სინიორმა ბოკანერამ ალერსიანი და ხანგრძლივი საუბარი გაუბა. ჩვეულებრივ, საკმარისი იყო ეთქვა: ჰო, კრისპუჩი? — და ისიც ყველაფერს ხვდებოდა. მაგრამ იმ წუთს, საწერი მაგიდის წინ მოკაკულს, გრძელი, ჩამოკიდებული, მაიმუნის მსგავსი მკლავებით, თითქოს აღარაფერი ესმოდა.

დროდადრო პირს აღებდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ რამე ეთქვა. ლოყები ეკუმშებოდა და ნაოჭებით დაღარული, მოყვითალო სახე ისე დაემანჭებოდა, რომ კაცს ან დამცინავ გამომეტყველებად შეიძლებოდა მოსჩვენებოდა ან მძაფრი ტკივილის გამოხატულებად. კი მხოლოდ ყურადღების ნიშანი იყო.

— ამგვარად, ძვირფასო კრისპუჩი, ყველაფერი გათვალისწინებულია, გირჩევთ გაემგზავროთ. ჩემთვის სერიოზული დანაკარგი იქნება, მაგრამ წადით. თხუთმეტი დღე მოვითმენ უთქვენობას, ჰო, თხუთმეტი დღე დაგჭირდებათ საქმისთვის, ფორმალობების მოსაგვარებლად. იმასაც ვითვალისწინებ, რომ ყველაფერი უნდა გაიყიდოს.

ცისფერი თვალებით სიცარიელეს მიშტერებულმა კრისპუჩიმ ხელები გაშალა.

— დიახ, თქვენთვის ასე აჯობებს. სამკაულის, ტანსაცმლის, ავეჯის; რაც მთავარია სამკაულის. ინვენტარული აღწერიდან ჩანს, რომ 150-დან 200 ათას ლირამდე იქნება, შესაძლოა მეტიც; მარგალიტის ყელსაბამიცაა; იმ ტანსაცმელს კი (თავადაც გესმით) თქვენი ქალიშვილი ვერ ჩაიცმევს, თანაც ვინ იცის, რა ტანსაცმელია! თქვენ ცოტა რამ დაგრჩენიათ, თავს ნუ მოიტყუებთ. ტანსაცმელი იაფად გაიყიდება, თუნდაც ძვირფასი იყოს. ქურქებიდან თუ კარგად ეცდებით ალბათ უფრო გამორჩებით რამეს (მგონი მთელი კოლექციაა), ჰო მართლა, სამკაულთან დაკავშირებით: კარგი იქნება, თუ გაარკვევთ, ვისგანაა ნაყიდი:

ამას, ალბათ, შეფუთვით მიხვდებით. გაითვალისწინეთ, რომ ბრილიანტი ძალიან გაძვირდა. ამ სიაში ბლომადაა აღნიშნული: ინგლისური ქინძისთავი... კიდევ ინგლისური ქინძისთავი... ბეჭედი... ბეჭედი... სამაჯური... კიდევ ბეჭედი... ინგლისური ქინძისთავი... სამაჯური... სამაჯური.... როგორც ხედავთ, საკმარისადაა.

აქ კრისპუჩიმ ხელი აღმართა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ რაღაცის თქმა უნდოდა. იშვიათი იყო ასეთი შემთხვევები! სახე დაემანჭებოდა ხოლმე, თითქოს საშინელი ძალდატანებისა და ტანჯვის ფასად ცდილობდა ხმა ამოექაჩა იმ სიჩუმის უფსკრულიდან, რომელშიც მისი სული მრავალი წლის განმავლობაში ჩავარდნილიყო.

— შე... შეიძლება... გავბედო და... ამ ბეჭედთაგან ერთი... თქვენს ქალბატონს?

— არა, რას ამბობთ, ძვირფასო კრისპუჩი? — იფეთქა სინიორმა — ჩემი ქალბატონისთვის, თქვენ ფიქრობთ? იმ ბეჭდებიდან?!

კრისპუჩიმ ხელი დაუშვა და თანხმობის ნიშნად თავი რამდენჯერმე დააქნია.

— მომიტევეთ.

— არა, რას ამბობთ! პირიქით მადლობელი ვარ. ტირით? არ გინდათ, კმარა, კმარა ძვირფასო კრისპუჩი! თქვენი განაწყენება არ მინდოდა! ვიცი, მესმის, თქვენთვის ძალიან მტკივნეულია, მაგრამ დაფიქრდით, უარს ხომ არ იტყვით ამხელა მემკვიდრეობაზე. მარტო არ ხართ, შვილიც გყავთ, რომლისთვისაც ადვილი არ იქნება უმზითვოდ გათხოვება, რაც ახლა... დიახ, ვიცი! ძვირად ჯდება! მაგრამ ფული ფულია, ძვირფასო კრისპუჩი და ბევრ რამეზე თვალს გვახუჭინებს, დედაც გყავთ, ჯანმრთელობაც მოგისუსტებთ, და...

კრისპუჩი, ვექილის ყველა შენიშვნაზე თავს რომ აკანტურებდა თანხმობის ნიშნად, ჯანმრთელობის ხსენებაზე თვალები დაჭყიტა და სახეზე წინააღმდეგობა აღებეჭდა, მერე თავი დაუკრა და წასვლა დააპირა.

— საბუთებს არ აიღებთ? — ჰკითხა ვექილმა და საბუთები გაუწოდა. კრისპუჩი მობრუნდა, ჭუჭყიანი ცხვირსახოცით თვალები შეიმშრალა და საბუთები აიღო.

— ესე იგი, ხვალ მიემგზავრებით?

— ბატონო ვექილო — უპასუხა კრისპუჩიმ და ისე შეხედა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, ნიკაპი აუკანკალდა, ცოტა ხანს თავს ებრძოდა, რომ არაფერი ეთქვა და ისევ სიჩუმის სამყაროში დაბრუნებულიყო; მხრები აიჩეჩა, ხელები გაშალა და ოთახიდან გავიდა.

უნდოდა ეთქვა: „წავალ, თუ თქვენი მოწყალება ჩემი მემკვიდრეობიდან ერთ ბეჭედს მიიღებს თავისი ქალბატონისთვის“.

კარსიქით, თანამშრომლებს, სამი დღის მანძილზე მისი ტანჯვით რომ ერთობოდნენ და დაუნდობლად დასცინოდნენ, ზოგს აბრეშუმის კაბას დაჰპირდა ცალყბად. ზოგს — ბუმბულებიან თავსაბურავს ქალიშვილისთვის, ზოგს — მუფთას საცოლისთვის.

— რატომაც არა!

— და შენი დისთვის? რამე ნაზი, გულამოჭრილი, დაქარგული პერანგი...

— კარგი იქნებოდა!

უნდოდა, რომ ამ მემკვიდრეობით მასთან ერთად ყველას ჩირქი მოსცხებოდა.

ინვენტარში უმდიდრესი გარდერობი იყო აღწერილი. გარდაცვლილის ტანსაცმლით გატენილი კარადებისა და სკივრების ჩამონათვალი რომ წაიკითხა, მიიჩნია, თითქოსდა მთელი ქალაქის ქალების შემოსვას შესძლებდა.

გონიერების ნატამალს რომ არ შეეჩერებინა, ალბათ გამვლელებსაც გააჩერებდა ქუჩაში და ეტყოდა: „ჩემი ცოლი ასეთი და ასეთი იყო: ახლახანს ნეაპოლში ჩაძაღლდა. მე ესა და ეს დამიტოვა. გნებავთ თქვენი ცოლისთვის, დისთვის, ქალიშვილებისთვის აბრეშუმის წინდები? გრძელი, ასე, ბარძაყამდე?“

ერთი დაზაფრულსახიანი ქოსა ყმაწვილი, რომელსაც საკუთარი თავი ელეგანტურად მიაჩნდა, გულ-მუცელი უგვრემდა ამ საუბრების მოსმენაზე; ერთი კვირა არ იქნებოდა გასული, რაც სამსახურში მიეღოთ და გადამწერის გარდა უკვე ხელზე მოსამსახურედაც იყენებდნენ. მაგრამ საკუთარი ღირსების შენარჩუნებას ცდილობდა. თითქმის არ ლაპარაკობდა, თუნდაც იმიტომ, რომ ხმას არავინ სცემდა. სხვათა საუბრებს ძლივს შესამჩნევი, ზიზღნარევი ღიმილით ისმენდა, თან გაუთავებლად და მცოდნე იერით, პერანგის დამოკლებული სახელოების შეყვითლებულ მანჟეტებს იწევდა ზევით-ქვევით.

იმ დღეს, როგორც კი კრისპუჩი ვექილის ოთახიდან გამოვიდა, ყმაწვილმა საკიდიდან ქუდი და ხელჯოხი აიღო, რათა გზაში დადევნებოდა. ამასობაში სხვა გადამწერები კიბიდან სიცილით გადმოსძახოდნენ:

— კრისპუჩი, არ დაგავიწყდეს! პერანგი ჩემი დისთვის!

— აბრეშუმის კაბა ჩემი ცოლისთვის!

— მუფთა ჩემი საცოლისთვის!

— სირაქლემას ფრთა ჩემი გოგოსთვის!

ქოსა მას გზაზე გადაეღობა. ბოღმისაგან სულმთლად გაფითრებულიყო.

— კი მაგრამ, რატომ ჩადიხართ ამდენ სისულელეს! რატომ ფანტავთ ასე ქონებას? ზედ ხომ არ აწერია წარმომავლობა? ასე გაგიმართლათ და არ იცით, როგორ ისარგებლოთ ამით. თქვენ რა, გაგიჟდით?

კრისპუჩი წუთით შეჩერდა და ცერად გახედა.

— ჰო, გაგიმართლათ! — გაიმეორა მან — ადრეც და ახლაც! ადრე, მრავალი წლის წინ გათავისუფლდით მისგან, სახლიდან რომ გაგეყვანათ.

— ცნობები შეკრიბე?

— შევკრიბე. მერე რა? მეტი რა უსიამოვნება, რა საზრუნავი, რა სირთულე შეგხვედრიათ მისგან? ახლა მკვდარია; და არ გეჩვენებათ, რომ ესეც იღბალია? ღმერთმა დასწყევლოს! მარტო იმიტომ კი არა, რომ მოკვდა, იმიტომაც, რომ თქვენი მდგომარეობა შეიცვლება!

კრისპუჩი გაჩერდა და ისევ დააკვირდა.

— შენ ალბათ გითხრეს, რომ შვილი მყავს გასათხოვარი?

— ამიტომაც გელაპარაკებით ასე!

— ოჰ! რა გულწრფელი ხარ.

— უგულწრფელესი.

— და მემკვიდრეობა გინდა ჩაიგდო ხელში?

— გიჟი ვიქნები, ეს რომ არ გავაკეთო! ორასი ათასი ლირა!

— და ორასი ათასი ლირით რა, გინდა შვილი შენ მოგათხოვო?

— რატომაც არა?

— იმიტომ, რომ, ორასიათასი ლირით ბოლოს და ბოლოს შენზე ნაკლებ ბინძური სირცხვილის ყიდვაც შეიძლება.

— ოჰ, მამცირებთ!

— არა, გაფასებ. შენ მე მაფასებ, მე კი შენ. შენნაირ სამარცხვინოში სამი ათას ლირაზე მეტს არ მივცემდი.

— სამს?

— კარგი, ხუთი იყოს! — და ცოტა თეთრეული. შენც და გყავს ხომ? აბრეშუმის სამ პერანგს მოგცემ მისთვისაც, თუ გინდა!

და იქვე მიატოვა, შუა ქუჩაში.

სახლში არაფერი უთქვამს ამაზე, არც შვილისთვის და არც დედისთვის; თანაც, უბედურების დღიდან მოყოლებული, თექვსმეტი წლის მანძილზე, მხოლოდ წუთიერ საჭიროებებზე ლაპარაკის ნებას აძლევდა ოჯახის წევრებს და, თუ რომელიმე მათგანი შეეცდებოდა სხვა რამეზე საუბრის წამოწყებას, მიუტრიალდებოდა და ისეთი თვალებით შეხედავდა, რომ სიტყვა პირზე აშრებოდათ.

მეორე დღეს ნეაპოლში ისე გაემგზავრა, რომ ისინი არა მარტო მტანჯველ გაურკვევლობაში დატოვა, არამედ იმ აზრით დათრგუნულებიც, რომ — ღმერთი არ გაწყრომოდა და რაიმე დიდი სიგიჟე არ ჩაედინა.

მეზობელი ქალები კიდევ უფრო ძაბავდნენ მდგომარეობას, სათითაოდ იხსენებდნენ და განიხილავდნენ ყველა უცნაურობას, რაც კრისპუჩიმ იმ სამ დღეში ჩაიდინა. ზოგიერთი მხიარულად, მოჩვენებითი მიამიტობით კითხულობდა:

— კი მაგრამ, ასე როგორ გამდიდრდა?

მეორე კი პასუხობდა:

— გავიგე, მარგერიტა რქმევია. ამბობენ, თეთრეულზე ორი ასოა ამოქარგული — „რ“ და „ბ“.

— და „ბ“? არა „რ“ და „კ“ — უსწორებდა პირველი — როზა კლერონი, მე ასე მსმენია.

— აჰ, დიახ, კლერონი... მღეროდა?

— მგონი არა.

— კი, როგორ არა, მღეროდა! ბოლოს უკვე აღარ, მაგრამ მანამდე მღეროდა.

— როზა კლერონი, ჰო... მგონი.

ქალიშვილი ამ საუბრებისას ბებიას შესცქეროდა. ჩაცვენილი თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს სიცხე ჰქონოდა და ლოყებზე მკრთალი სიწითლე გადაჰკრავდა. მოხუცი ბებია ცხვირზე ჩამოგდებულ ვეებერთელა სათვალეს ისწორებდა, განიერი, ყვითელი, გაპოხილი სახე ღრმა და გახეევებული ნაოჭებით დახეთქოდა, მწერის ულვაშებივით გაფშეკილ მეჩხერ წამწამებში ჩასმული, კატარაქტზე ნაოპერაციები თვალები სათვალეებიდან კიდევ უფრო გადიდებული და გამოცარიელებული უჩან-

და. მეზობლების ყველა გულუბრყვილო შეკითხვას კი ყრუ ბურდღუნით პასუხობდა.

ბევრი მათგანი გულმსურვალედ ირწმუნებოდა, რომ ბოლოს ... ის საცოდავი სინიორ კრისპუჩი არც გიჟად უნდა ჩაეთვალათ და აღარც უნდა გაეკიცხათ თუ კი საბრალოს არ სურდა, რომ მისი ... ქალიშვილის უბიწო სხეულს ის ტანსაცმელი თუ თეთრეული შეხებოდა, არც გაყიდვა სურდა — ჯობდა გაეჩუქებინა. რა თქმა უნდა, მათ მიაჩნდათ, რომ როგორც მეზობლებს შეეძლოთ მოეთხოვათ, ტანსაცმელი მათში გადანაწილებულიყო. თუ არა, და რალაც პატარა საჩუქარზეც არ იტყოდნენ უარს! ვინ იცის, რამდენიმე დღეში, რა ბრჭყვიალა, ხასხასა აბრეშუმის მდინარე და ფუშფუშა მაქმანების ნიაღვარი შემოიჭრებოდა იმ სევდიან ბუნაგში, ნაზი ხავერდითა და ქათქათა ბუმბულით მოჰფენდა იქაურობას.

ამის გაფიქრებაზეც კი თვალები უწვრილდებოდათ ნეტარებით; ფინა კი — ქალიშვილი, უსმენდა იმ გაბრუებულებს და წინსაფრის ქვეშ ხელებს ისრესდა; ბოლოს წამოხტებოდა და ოთახიდან გარბოდა.

— საბრალო ბავშვი! — ამოიოხრებდა მაშინ ერთ-ერთი — რა საცოდაობაა!

მეორე კი ბებიას ეკითხებოდა:

— ფიქრობთ, მამა შავებს ჩააცმევს?

მოხუცი კვლავ ბურდღუნით პასუხობდა, რაც ნიშნავდა, რომ არაფერი იცოდა.

— რა თქმა უნდა! ეს ხომ მასაც ეხება!

— ბოლოს და ბოლოს დედამისია!

— იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობას მიიღებს!

— აი, ნახავთ, რომ მამაც შავებს ჩაიცმევს!

— არა, არა, ის არა.

— თუ კი მემკვიდრეობას მიიღებს!

მოხუცი სკამზე ცქმუტავდა, ფინა კი იქით, — საწოლში. არცერთს არ ასვენებდა ეს მტანჯველი ეჭვი: დათანხმდებოდა თუ არა კრისპუჩი მემკვიდრეობის მიღებას.

გარდაცვალების შეტყობისთანავე, ორივე ფარულად ვექილ ბოკანერასთან მივიდა. მემკვიდრეობის გამო კრისპუჩის გაცოფებით დაშინებულები, ვექილს ხელებალმართულნი ემუდარებოდნენ, რათა გადაერწმუნებინა კრისპუჩი, არ ჩაედინა ის სიგიჟე, რასაც იმუქრებოდა. ვის იმედად ტოვებდა თავისი სიკვდილის შემდეგ, საწყალ ქალიშვილს, რომელსაც არასოდეს განეცადა ბედნიერების ერთი წუთიც კი? იგი სასწორზე დებდა სამარცხვინო მემკვიდრეობასა და სიამაყის მემკვიდრეობას: პატიოსანი სიღატაკის სიამაყეს: მაგრამ რატომ უნდა დაედო სასწორზე ის ილბალი, რომელიც მის ქალიშვილს რგებია? სამყაროს ისე მოავლინეს, მისთვის არც უკითხავთ, უნდოდა კი?! მას უკვე არაერთი სიმწარით გამოესყიდა დედამისის სირცხვილი; და ახლა, მამამისის სიამაყეს უნდა შესწირვოდა?

მთელი საუკუნე გავიდა — ღელვაში გატარებული თვრამეტი დღე. წერილის ერთი პწკარიც არ მოუწერია ამ თვრამეტი დღის განმავლობაში.

როგორც იქნა, ერთ სალამოს, გრძელ და დამრეც ვიწრო კიბეზე ფუსფუსი მოესმათ. მტვირთავები იყვნენ, რომელთაც ჩემოდნებისა და კალათების გარდა კიდევ თერთმეტი მძიმე ფუთა ამოჰქონდათ. კიბის ძირში კრისპუჩი იცდიდა, სანამ ისინი მეოთხე სართულზე ტვირთს აზიდავდნენ; მერე ნელა შეუყვა კიბეს.

დედა და ქალიშვილი კიბის ბაქანზე იდგნენ აღელვებულები სანთლით ხელში. ბოლოს, ისიც დაინახეს თავჩაქინდრული, ახალი მომწვანო ქუდით, ახალ თამბაქოსფერ კოსტუმში ჩაჩანჩურებული, რომელიც, ალბათ, ნეაპოლის რომელიღაც მაღაზიაში ექნებოდა ნაყიდი. გრძელი შარვალი ახალი ფეხსაცმლის ქუსლებს ქვევით დასთრევდა. პიჯაკი გაფუყული ედგა ტანზე.

ვერცერთმა გაბედა მისთვის რამე ეკითხა. თანაც ტანსაცმელი ისედაც პასუხობდა მათ შეკითხვას. მხოლოდ ქალიშვილმა ჰკითხა თავისი ოთახისკენ მიმავალს, სანამ კარს გამოიხურავდა:

— მამი, უკვე ივახშმე?

კრისპუჩი ზღურბლზე შეჩერდა, შემოტრიალდა და ახლებურად მომცინარი სახითა და ახლებური ხმით უპასუხა:

– Wagon-restaurant!

## გრაცია დელედა

XIX-XX საუკუნეების ვერისტი მწერალი გრაცია დელედა დაიბადა 1871 წელს სარდინიის ქალაქ ნუოროში. დელედას საწყისი განათლება ძალზე შეზღუდული და ზედაპირული იყო, რადგანაც სარდინია კულტურულად ჩაკეტილ კუნძულს წარმოადგენდა.

დელედას დებიუტი 17 წლის ასაკში შედგა, როდესაც მან ერთ-ერთ ცნობილ ადგილობრივ ჟურნალში პატარა მოთხრობები გამოაქვეყნა. მისი პირველი რომანი 1892 წელს გამოვიდა. სახელწოდებით „სარდინიის ყვავილი". დელედას მხატვრული სიმწიფე კი გამომჟღავნდა რომანში „პატიოსანი სულები", რომელიც 1895 წელს გამოვიდა.

1899 წელს დელედა ცოლად გაჰყვა პალმირო მადესანის და რომში გადავიდა საცხოვრებლად. საშობლოსაგან დაშორებამ მწერალზე დადებითად იმოქმედა. დელედამ შეარბილა და ერთგვარი ზღაპრული იერი შესძინა თავის აქამდე თვალშისაცემ კუთხურობას.

დელედა მიიჩნევდა, რომ ადამიანში ინტუიცია და ინსტინქტი ლოგიკურ აზროვნებაზე მეტადაა განვითარებული; და სწორედ ამ იდეაზეა აგებული მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი „ფერფლი" (1903).

დელედა თითქმის ყოველ წელს თავაზობდა მკითხველს პატარ-პატარა მოთხრობებთან ერთად ახალ რომანს. დელედას მომდევნო რომანებია: „ელიას პორტოლუ“ (1903), „ლერწამი ქარში“ (1919), „მარტოხელა კაცის საიდუმლო“ (1921) და სხვ. მისი უკანასკნელი რომანია „მარტოობის ეკლესია“.

1926 წელს დელედას მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში. ათი წლის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა. დელედა დაკრძალეს მშობლიურ ქალაქ ნუოროში.

## სალამური ტყეში

ბედნიერების საძიებლად თუ ბედისაგან უანგაროდ ბოძებული მწუხარებისაგან თავის დასაღწევათ, ახალგაზრდა ქალმა ექვსი ათასი ლირის ფასად შემდეგზე იზრუნა.

ექვსი ათას ლირად ორი თვით ვილის დაქირავება, თანაც საუცხოო მოდურ კურორტზე არც თუ ისე ძვირია. სამწუხაროდ, ვილა სამი კილომეტრითაა სანატორიუმს დაშორებული და იმის მიუხედავად, რომ გარედან საკმაოდ ლამაზი ჩანს — მოზრდილი ქონგურებიანი კოშკითა და მარმარილოს ლოჯიათი, შიგნით უშუქო და უწყლო სოროს ჰგავს — კოლოების გვამებით მოხატული კედლებით, ტერასაზე ბუს ბუდითა და ოთახში გავარვარებული ღუმელის ტემპერატურით.

მაგრამ ქალს იქ ყოფნა ეამაყებოდა და უკან დახევა არც უფიქრია. თავის ყველა ნაცნობს ლია ბარათი გაუგზავნა ამ ვილის გამოსახულებით, რომელიც თვით მას ჰგავდა: ლამაზი და ელეგანტური გარედან, ამავ დროს გვამებითა და ღამურებით სავსე.

სანატორიუმისკენ მიმავალი გზა წაბლისა და ნაძვის ხეივანს მიუყვებოდა. მისი ცინცხალი და განმარტოებული სილამაზე სიმხნევეს ჰმატებდა; გზად, შესასვენებელი რამდენიმე სკამი, მორი და ერთი პატარა ხიდის დაბალი მოაჯირიც კი იყო.

ქალს უყვარდა ამ ლერწმებით მორთულ მოაჯირზე ჩამოჯდომა და იმის ცქერა, — თუ ცის ლაჟვარდში დატანებული სიმწვანე გველივით ლამურის ხმა შეერწყა და ჩააჩუმა კიდეც.

ტყეში შაშვების, ბულბულებისა და კაჭკაჭების ჟრიამული გაისმოდა.

ერთ დღეს, სადღაც ივლისის მიწურულს ჩიტების ჟრიამულს სალამურის ხმა შეერწყა და ჩააჩუმა კიდეც.

ქალმა თავი წამოწია. მოეჩვენა, თითქოს ხმა ზევიდან მოდიოდა, არ იცოდა მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, მაგრამ ნამდვილად ზევიდან. იგი ბულბულის გალობის მსგავსად ნაძვებისა და წაბლის ხეების კენწეროდან ისმოდა.

ეს იყო მოკლე მელოდია განსხვავებული ჰანგებით, რომელიც უწყვეტად მეორდებოდა; ისეთივე ტკბილი, როგორიც ბულბულის გალობა. იგი სივრცეში იღვრებოდა და იმ სიჩუმესა და განმარტოებაში ჰგავდა იდუმალი, ზღაპრული ფრინველის გალობას. ეს ფრინველი, ალბათ, ერთ დროს ადამიანად მოვლენილი ამ სამყაროს, ბოროტმა ჯადოქარმა ბულბულად გადააქცია.

გალობით ჰყვებოდა იგი თავის ამბავს:

— ჩემი თავგადასავალი ერთი შეხედვით ყოველი ადამიანის თავგადასავალს ჰგავს; მაგრამ ისევე, როგორც არ არსებობს ფოთოლი, სხვა ფოთლის მსგავსი და ერთი მეორის მსგავსი ტალღა, ასევე არ ჰგავს ერთი ადამიანის ამბავი სხვისას. ჩემი თავგადასავალიც ასეთია: ოდესღაც მეც ვიყავი ყრმა და უდარდელი; მაგრამ, რატომ ვტიროდი ასე ხშირად? ვიყავი ახალგაზრდა და ბედნიერი; და აღარ ვტიროდი. ეს უკვე ჩემი ბრალი იყო; აღარ შემეძლო ტირილი ისევე, როგორც ბავშვობაში. იმ წუთს გულის მოსაოხებლად ვმღეროდი, მაგრამ არც სიტყვასა და არც მუსიკას შეეძლო ეთქვა ის, რაც სინამდვილეში გულზე მაწვა: აღტაცება, სურვილი, ღელვა რაღაც სიხარულის მოლოდინში, რომელიც არ ვიცოდი საიდან და როგორ მომევლინებოდა და მჯეროდა, მის გარეშე ვერ ვიცოცხლებდი.

მხოლოდ მაშინ, როდესაც სიყვარული პირველად მეწვია, შევამჩნიე ეს სიხარული, მაგრამ ვხედავდი მას, როგორც მთვარეს, ღრუბლებში ჩამალულს, შორეულს და მიუწვდომელს; მე მივისწრაფოდი მისკენ, როგორც ბავშვი მიისწრაფის მთვარისკენ; ვცდილობდი ფრენას მის დასაჭერად, ვეცემოდი და ვდგებოდი, ვიტანჯებოდი და მსურდა ტანჯვა; მჯეროდა, რომ ვიყავი კაცთა შორის ყველაზე უბედური, დედამიწას შერჩენილი მაშინ, როცა მსურდა ვარსკვლავი ვყოფილიყავი უსასრულო ვარსკვლავთა შორის.

მანამდე, სანამ, ერთ დღეს ბულბულის სმენისას არ ავტირდი. მხოლოდ ასე ვიგრძენი შვება, მაგრამ მსურდა წასვლა საოცარი ფრინველის სანახავად და ერთმა ბოროტმა ფერიამ, ტყეში რომ დაეხეტებოდა მეც ფრინველად გადამაქცია.

ახლა კი ვმღერი ამ ჩემს თავგადასავალს, რომელიც ასე ჰგავს ყველა დანარჩენს. თუმცა ეს მაინც სხვანაირია!

და ვინაიდან სალამურის ხმა ქალის წუხილს ეხმიანებოდა, ისიც ატირდა და მანაც ჰპოვა ცრემლში ოდნავი შვება.

უეცრად ვილაცის მკვეთრმა სტვენამ ქალი გონს მოიყვანა. ფეხშიშველა ბიჭი ხეივანში მირბოდა, მისი სტვენა კი იმდენად არ ეხამებოდა იდუმალ მელოდიას, რომ ქალს მოეჩვენა თითქოს მის აჩუყებულ გულსაც.

ქალი დამშვიდებული წამოდგა; მას შეებრალა ბრმა მათხოვარი, ხეივნის გზაჯვარედინზე რომ ითხოვდა მოწყალებას. ქალს არასოდეს მიუცია მისთვის რამე, მაგრამ ამჯერად მთელი მუჭა ხურდა ფული ჩაუყარა გაცვეთილ ქუდში.

იგივე განმეორდა მომდევნო დღეებშიც; მაგრამ არა მხოლოდ ეს ქალი ტკბებოდა და იტანჯებოდა, იყვნენ მეოცნებე გამვლელები, წყვილები, რომლებიც ჩუმ-ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს, უცხოელი მოხუცი ქალები წიგნით ან ფოტოაპარატით ხელში; და საერთოდაც ყველა, ვინც კი ხეივანს გაივლიდა, მოჯადოებული იყო იდუმალი ხმით.

ზოგმა მათხოვარიც კი გამოჰკითხა. მან არაფერი იცის და წარმოდგენა არა აქვს, რაზეა ლაპარაკი, რადგან იმის გარდა რომ ბრმაა, მას სმენაც არ გააჩნია.

ქალი უკმაყოფილო იყო სხვების ასეთი ცნობისმოყვარეობითა და ჩაძიებით, რადგანაც მხოლოდ თვითონ სურდა მომაჯადოებელი მუსი-

კით ტკბობა; მალე ცნობისმოყვარეობაცა და ჩაძიებაც შეწყდა, მაგრამ ქალმა შეამჩნია, რომ ხეივანში მოსეირნეთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ერთ დღეს, მათხოვრის გვერდით ქალმა ბრუციანი და კონეიაულარუნა ბიჭი დაინახა; სწორედ ის ყმაწვილი, სალამურის ბერიდან რომ უსტვენდა და ქალის უკმაყოფილებას იწვევდა. ბიჭი მათხოვარს ელაპარაკებოდა, მაგრამ იმის მაგივრად რომ ეყვირა, ეჩურჩულებოდა. მათხოვარი მას ხელს ჰკრავდა, ყმაწვილი კი შემოდგომის ბუზივით არ ეშვებოდა და იქამდე არ მოისვენა, სანამ რამდენიმე მონეტა არ წაჰგლიჯა. მერე სტვენა-სტვენით გარეული ცხოველივით ტყისკენ მოკურცხლა და ქალმა ხეთა შორის გაუჩინარებულს გააყოლა თვალი.

იფიქრა, ყმაწვილს რაიმე ეცოდინებოდა იდუმალი მუსიკოსის შესახებ და მის გამოჩენას დაელოდა, ბიჭუნა კი იმის შემდეგ აღარავის უნახავს; კი მაგრამ, რატომ სურდა ქალს მუსიკოსის გაცნობა? ის შეიძლებოდა ტყის ბუჩქებში ჩამალული, ან სულაც ხეზე მოკალათებული ვინმე შერეკილი ყოფილიყო.

— რატომ გსურს ჩემი გაცნობა? — ეკითხებოდა ქალს სალამურის ხმა — ჩემი თავგადასავალი ხომ შენსას ჰგავს! რატომ ნადიროობ ჩემზე, როგორც მე ბულბულზე? ფრთხილად იყავი, განრისხებულმა ტყის ფერიამ არ შეგიტყუოს! არ დაგავიწყდეს, რომ ჩემი თავგადასავალი შენსას ჰგავს!

ქალს კი ცნობის წადილი ტანჯავდა. ჩვენში ხომ ყველაფერი ცნობისმოყვარეა! ქურდობით მიყენებული ზარალი ავიწყდებათ მისი გამოძიების ჟინით; დაავადების მიზეზს იძიებენ, თითქოს მის ცოდნას შეეძლოს განკურნება.

მუსიკოსის ვინაობის გაგების სურვილი ქალს თვით მუსიკით ტკბობაში უშლიდა ხელს. ალბათ, უნდობლობის გრძნობაც იყო, მაგრამ შესაძლოა ოცნების დასაბამიც.

და აი, ერთ დღესაც ბრუციანი ბიჭი სწორედ მის ვილაში გამოცხადდა. ბოცვერს ჰყიდდა, რა თქმა უნდა მოპარულს და თანაც სამჯერ უფრო ძვირად.

გაბრაზებული მზარეული უკვე გაგდებას უპირებდა, როცა სანატორიუმში მიმავალმა ქალბატონმა მიუსწრო.

— კარგი — უთხრა — ვიყიდით ბოცვერს, თუ კი მეტყვი, ვინ უკრავს ტყეში სალამურზე.

ბიჭი მწვანე, უტიფარი თვალებით დააშტერდა და არ უპასუხა.

— გამოართვი ბოცვერი, — უთხრა მზარეულს — შენ კი, ბიჭო, აქეთ მომყევი.

სანამ ბოცვერს ხელს შეუშვებდა, ბიჭმა ჯერ თანხა მოითხოვა და მხოლოდ მაშინ გაჰყვა ქალბატონს, როდესაც ფული ჩაიჯიბა. ქალმა ბიჭის ალაპარაკება პირმოთნეობითა და ხუთ ლირიანის დახარბებით სცადა.

— მომყევით — უთხრა ბოლოს ბიჭმა — წინ გაუძღვა და ხელით ანიშნა, გაჰყოლოდა.

ტევრში ძარღვებივით დახლართული ბილიკებიდან ერთ-ერთს შეუყვნენ; გზადაგზა ტყე ხშირდებოდა და იმდენად ბნელი და ეკლიანი ხდებოდა, რომ ქალს უკვე გზის გაგრძელების ეშინოდა.

უეცრად ქალი ვიღაცამ გაამხნევა, თითქოს თავისკენ იხმობდა სალამური თავის ნათელ მელოდიას სიჩუმეში ღვრიდა და ვერცხლისფერი სხივებით აშუქებდა ტყის ავბედ ჩრდილებს. საგნები, თითქოს მთვარის შუქზე სიზმრის იერს იღებდა: ბილიკები ფართოვდებოდა და მაყვლის ბარდები მოჯადოებული ბალის ყვავილნარს ემსგავსებოდა.

მუსიკოსს მახვილი სმენა ჰქონდა. ქალისა და ბიჭის პირველივე გადაჩურჩულებაზე შეხერდა.

— მიბრძანდით იმ კუნძთან და გვერდით მდგარ ნაძვს ახედეთ. მე ველარ გამოგყვებით, მომკლავს, რომ დამინახოს.

ფეხის ხმასა და ტანსაცმლის შრიალზე მუსიკა სრულებით შეწყდა. ქალმა კი ნაძვის წიწვიან ტოტებს შორის მხოლოდ ჩვეულებრივი მხეცუნას დანახვა შესძლო, რომელიც იმ ბიჭის მსგავსი მწვანე თვალებით შესცქეროდა.

— მასხრად მიგდებ — უთხრა ქალმა ხუთი ლირის მომლოდინე მეგზურს.

— არა, გეფიცებით, ჩემი ბიძაშვილია, წყეული! მათხოვრის ხარჯზე უკრავს; ხალხის ხეივანში მისაზიდად იგი ნახევარ ლირას აძლევ! დღეში.

# ლონალდ ბართელმი

## ქვიშის კაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ეკა ჭიაღაშვილმა

ძვირფასო ექიმო ჰოდერ, ვიცი, არც ისე მართებულია ალბათ ასეთმა თავისი შეყვარებულის ფსიქოანალიტიკოსს მისწეროს წერილი, მაგრამ აქ რამდენიმე საკითხი უნდა გამოიკვეთოს. სიმართლე გითხრათ, პირადად მინდოდა შეგხვედროდით, მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ ამ შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო უხერხული იქნებოდა — მოკლედ, ყოველივე ამას ფსიქიატრთან ჩემი ვიზიტი დაერქმეოდა. ისიც კარგად მომეხსენება, რომ ჩემი ამ წერილით გარკვეულწილად ვერევი კიდეც იმ პროცესში, ამჟამად თქვენი მეცადინეობით რომ მიმდინარეობს, მაგრამ ალბათ თავადაც არ ჩათვლით საჭიროდ ჩემს ამ წერილზე სიუზენთან ჩამოაგდოთ სიტყვა. ძალიან მინდა ეს ყოველივე „ჩვენ შორის“ დარჩეს და ჩათვალეთ, რომ ეს ერთობ პირადული და კონფიდენციალური წერილია.

მოგეხსენებათ, იმდენად, რამდენადაც სიუზენი ჩემი შეყვარებულია, თქვენთან საუბრებზე მეც მიყვება ხოლმე. მეუბნება, რა გითხრათ მან და თქვენ რა უპასუხეთ. მე და ის აგერ უკვე ექვსი თვეა ერთად ვართ და, შეიძლება ითქვას, მის ამბავსა თუ ამბებს კარგად ვიცნობ. ისევე როგორც თქვენს დამოკიდებულებასა თუ ზოგადად მეთოდს მაინც. მაგალითად ვიცი, რომ ჩემ მიერ თქვენი „ქვიშის კაცად“ მონათლვა გაღიზიანებთ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ცუდი გულით სულაც არ მომდის. უბრალოდ მეტსახელია და მეტი არაფერი. ალბათ გეხსომებათ ეს ძველი ლექსი: **„ზღვის ქვიშა ქვიშის კაცს მოაქვს/ მილულე თვალები დღის ბოლოს/პატარებს თვალებში შეაყრის ქვიშას/და მერე მათ ოცნებებს იპარავს“**/ (ეს ერთ-ერთი ვარიანტია. სხვებიც არსებობს, მაგრამ პირადად მე ეს სხვა ყველას მირჩევნია). მესმის, რომ ამჟამად ცოტა არ იყოს არასაიმედო მდგომარეობაში იმყოფებით, რადგან ანალიზი, როგორც ეს თავადაც მოგეხსენებათ, პოპულარულობით მაინცა და მაინც ვერ დაიკვეხნის ჩვენს დროში. ეს ყოველივე ალბათ ნერვებსაც გიშლით და განა ვინმე გაგამტყუნებთ ამაში? განა ჩვენ სუყველას შფოთვა არ გვიპყრობს, როცა კი ჩვენი მეთოდები კითხვის ქვეშ დადგება ხოლმე? რასაკვირველია! (სხვათა შორის, მე პირადად დიდად კმაყოფილი ვარ იმით, რომ თქვენ ლაპარაკი არ გეზარებათ, რადგან ბევრი თქვენთაგანი, ერთი რომ თავის სავარძელში ჩაჯდება, მერე ხმას

ველარ ამოაღებინებ. ვფიქრობ, თქვენი ეგ ლაპარაკი ჩინებული რამეა, უფრო მეტიც, ბრწყინვალეა და მიიღეთ ჩემი გულითადი მოლოცვა ამ მიგნებასთან დაკავშირებით). ვიცი, როგორ შეგაშფოთათ სიუზენის სურვილმა თქვენთან კონსულტაციები შეწყვიტოს და სანაცვლოდ პიანინო იყიდოს. თქვენ სრული უფლება გაქვთ შეფიქრიანდეთ და ჩათვალოთ, რომ სიუზენმა არასწორი გზა აირჩია, რომ მისი სურვილი რაღაც სხვას იფარავს, რომ ის რეალობას გაურბის და ა. შ., ა. შ. რაც გენებოთ, ისა თქვით, მაგრამ ერთი ალბათობა იქნებ, შესაძლოა, არა, ხომ შეიძლება?.. მოკლედ, იქნებ რაღაც მხედველობიდან გამოგეპარათ? იქნებ მართლა პიანინო უნდა?

სიუზენი ამბობს: პიანინო უნდა ვიყიდო.

თქვენ ფიქრობთ: მას სურს თავი დაანებოს ანალიზს და ხსნა მუსიკაში ეძიოს.

ან: ჰო, მართლა, მამამისს სურდა იგი პიანისტი გამოსულიყო და ამისათვის მთელი თორმეტი წლის განმავლობაში გოეცმანთან ამეცადინებდა სიუზენს. მაგრამ ნუთუ მას მართლა სურს ხელახლა მიუბრუნდეს იმ ძველ, მატლებიან ქილას? არა მგონია. უბრალოდ ჩემგან შეწინააღმდეგებას ელოდება, ეს არის და ეს.

ან: რადგან ერთხელ ვერ მიაღწია წარმატებას მუსიკაში, ახლა ხელახალ მარცხს მოელის. ვფიქრობ, უკვე მეტისმეტად გვიანაა იმისათვის, რომ თავდაპირველი გულისწადილი აისრულოს. აქ საქმე გვაქვს დამარცხების სახელდახელო ორგანიზებასთან.

ან: ისევ მეპრანჭება.

ან:

ან:

ან:

ან:

ერთადერთი, რის გათვლასაც ვერ მოახერხებთ, თქვენი წარსული წრთვნა — პრაქტიკიდან თუ იქნებ თავად ამ დისციპლინის ბუნებიდან გამომდინარე არის ის, რომ შესაძლებელია მას მართლაც სურდეს თავი ანებოს ანალიზს და პიანინო იყიდოს; რომ იქნებ პიანინო უფრო საჭირო და ღირებული იყოს მისთვის, ვიდრე ანალიზი.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში იმედის ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ — როგორ გგონიათ, სად უფრო შეიძლება მისი პოვნა — ანალიზში თუ პიანინოში? რამდენადაც თავად ფსიქო-ანალიტიკოსი ბრძანდებით და არა პიანინოს გამყიდველი, ბუნებრივია, ანალიზს ამოირჩევთ. მაგრამ მოდით, სხვა მოსაზრებაც განვიხილოთ. პიანინოს გამყიდველს შეუძლია დაწვრილებით აგვიწეროს ის, რასაც იგი ჰყიდის, რასაც თქვენს შემთხვევაში, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით. სტაინვეი საყოველთაოდ ცნობილი რამ გახლავთ, აი ანალიზი კი ან გაამართლებს, ან არა. არა, არ იფიქროთ, თითქოს რამეს გსაყვედურობდეთ, მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ. (გასაგებია, რატომ უჩნდებათ ხოლმე ჩვეულებრივ მოკვდავთ, უხეშად რომ ვთქვათ, სურვილი დედა უტირონ ფსიქოანალიტიკოსებს. რასაც გარკვეულწილად თავად ჩავდივარ ახლა, მე ფსიქოანალიტიკური შეხვედრის მიმართ მტრულ განწყობას როდი ვგუ-

ლისხმობ, ზოგადად მოგახსენებთ. ეს საგულისხმო, ფრიად ანგარიშგასაწევი ფენომენია და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს).

იქნებ მთლად ურიგო არც ის იყოს, ჩემი საკუთარი ფსიქოანალიტიკური გამოცდილების შესახებ თუ გეტყვით ორიოდ სიტყვას. სულ ხუთ თუ ექვს ასეთ შეხვედრას დავესწარი. ექიმი ბერინგი ერთი აწოწილი, გამხდარი კაცი იყო, ერთობ სიტყვაძუნწიც. ბედს-რომ-გაეღიმა თქვენთვის და ეკითხა, „აბა ახლა რაზე ფიქრობთო", დიდი ბედნიერება იქნებოდა. მინდა ერთი განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევის შესახებ მოგიყვეთ. ერთ დღეს დანიშნულ საათზე მივედი და ჩემს მაშინდელ შფოთვის საგანზე ჩამოვუგდე სიტყვა (იმ ხანებში ერთ ტეხასურ გაზეთში ვმუშაობდი). მოკლედ, გავიგე, რომ ოთხი შავკანიანი მოზარდი ათი წლის თეთრკანიან ბიჭს გადააწყდნენ ერთ მივარდნილ ადგილას, რამდენჯერმე გააუპატიურეს, მერე მაცივარში შეამწყვდიეს, კარი ჩაუკეტეს (ვინემ მოისაზრებდნენ, რომ გადაგდებულ მაცივრებს კარი უნდა ჩამოხსნა) და ბიჭიც გაიგუდა. დღემდე არ ვიცი, სინამდვილეში რა მოხდა, მაგრამ პოლიციელებმა რამდენიმე შავკანიანი ბიჭი დაიჭირეს და ცემით კინაღამ სული ამოხადეს, იქნებ რაიმე დავაცდინოთო. პოლიციასთან შეკრული არ ვიყავი, მაგრამ ერთმა კრიმინალურმა რეპორტიორმა მითხრა ეს ამბავი და მეც ჩემი წუხილი ექიმ ბერინგს გავუზიარე. ნამდვილი ლიბერალი გახლდათ, სიბრაზისგან სულ მთლად გადაფითრდა და ჩამეკითხა, თქვენ რა მოიმოქმედეთო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ის ალაპარაკდა. გაოგნებული ვიყავი — ნამდვილად არ მიფიქრია, რომ რაღაც უნდა მომემოქმედა ამასთან დაკავშირებით. დიახ, ექიმი მართალი იყო და მეც, როგორც კი მას გამოვეთხოვე, ჩემს მაშინდელ რძალს დავურეკე, რომელიც მაშინ ქალაქის საბჭოში მუშაობდა მდივნად. როგორც თავადაც იცით, მსგავსი თანამდებობა ერთობ ყურადსაღები რამაა — საბჭოს წევრები მთელი დღე რაღაც საქმეებზე დარბიან, დაწესებულებას კი სწორედ აღმასრულებელი მდივნები მართავენ ხოლმე — ჰოდა, ისიც ადგა და პირდაპირ პოლიციის უფროსს მიადგა. ჰკითხა, რა ხდებაო, საქმე პოლიციელთა სისასტიკესთან ხომ არა გვაქვსო და თუ ასეა, რამდენად სერიოზულიაო ეს ყოველივე. მართლა სენსაციური ამბავი იყო; „ებონი*"-ს ჟურნალისტმა სცადა ამის თაობაზე რაღაც დაეწერა, მაგრამ ეჭვმიტანილებამდე ვერ შეაღწია და პოლიციელებმაც კარგი დღე არ აყარეს. მაშინ ვერ წარმოედგინათ, ჟურნალისტი შავკანიანიც თუ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. მართალია, იცოდნენ, რომ თეთრკანიანებთან ცოტა არ იყოს სიფრთხილე მართებდათ, მაგრამ შავკანიანი რეპორტიორის წარმოდგენა კი ნამდვილად უჭირდათ. ჩემმა რძალმა თავისი (ანუ საბჭოს წევრის) გავლენა გამოიყენა და უფროსს შესთავაზა, თუკი მართლაც სერიოზულ სისასტიკეზეა საუბარი, პოლიციელებს ურჩევნიათ ეს საქმე შეწყვიტონ, რადგან მეტისმეტი დაინტერესება იგრძნობა საზოგადოების მხრიდან და ამ სისასტიკის ამბავს რომ გაეჟონა, ეს „ცუდი პიარი"

---

*** „ებონი" (*Ebony*) — ამერიკული საზოგადოებრივი ჟურნალი, რომელიც ძირითადად აფრიკელი ამერიკელებისთვისაა განკუთვნილი და მათ პრობლემებს აშუქებს.**

იქნებაო. მეც, ჩემი მხრივ, ერთ ნაცნობს შევეხმიანე შერიფის სამსახურში და შევთავაზე, იქნებ ჩაგვეფარცხა-მეთქი ეგ საქმე. ამასთან არც გაუგონარი პოლიტიკური ზეწოლის ხსენება დამვიწყებია და ისინიც ამყვნენ. შერიფის ოფისი პოლიციის განყოფილებისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, მაგრამ არც ერთი მათგანი სასამართლოს შენობას არ ექვემდებარებოდა და რაღაც-რაღაც საკითხებში თანამშრომლობდნენ მხოლოდ. ერთი სიტყვით, პოლიციამ გადაწყვიტა, ოთხივე ეს შავკანიანი ბიჭი პრეს-კონფერენციაზე მოეყვანა და ამით დაემტკიცებინა, საქმე არც მთლად ისეა, თქვენ რომ გგონიათო, ეს ყველაფერი კი დღის 4 საათზე მოხდა. მეც წავედი და ჩემი თვალით ვნახე, რომ ბიჭები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს აკლდა კბილები და, როგორც პოლიციამ განგვიმარტა, ესეც კიბეზე დაცემის შედეგად მოსვლია. მართალია, კარგად ვიცოდით მსგავსი ზღაპრების ამბავი, მაგრამ მთავარი აქ მაინც ცუდად მოპყრობის „დონე“ იყო, ბიჭები კი ნამდვილად არა ჩანდნენ სიკვდილის პირას მიყვანილნი, როგორც ამას ვიღაც-ვიღაცები ამბობდნენ. ყველანი ბუნებრივად დადიოდნენ და მეტყველებდნენ, თუმცა კი ცოტა შეშინებულები ჩანდნენ, მაგრამ განა ეს გასაკვირი გახლდათ? ტელევიზიის ჭაჭანება არ იყო, რადგან საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, პრესა ტელევიზიას ყოველთვის ჯაბნიდა ხოლმე იმ ხანებში, — გასაგებია, რატომაც. ახლა, როცა ამაზე ვსაუბრობ, იქნებ გულქვაობად მოგეჩვენოთ, მე რომ ვამბობ სისასტიკე „მინიმალური“ იყო მეთქი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ იმ დროსა და ადგილას პატარა საქმე არ გახლდათ, გეიძულებინა პოლიცია, ბიჭები პრესისთვის ეჩვენებინა. ასე განსაჯეთ, ეს ნამდვილი მიღწევაც კი იყო. ასე რომ, რვა საათისთვის ექიმ ბერინგს სახლში დავურეკე. მგონი, ვახშმობდა, და მოვახსენე, ბიჭებს შედარებით არა უშავთ-მეთქი. მან კიდევ, კეთილი, დიდად სასიამოვნოა ამისი მოსმენაო. მოგვიანებით ბიჭები გაანთავისუფლეს და ჩემი ფსიქოანალიტიკური ვიზიტებიც შეწყდა. აი ასეთი იყო ჩემი ურთიერთობა ანალიზთან და უნდა ვაღიარო, რომ ამ ყველაფერმა ცოტა არ იყოს იმედი გამიცრუა. მაინც მგონია, რომ ამ მიკერძოებისთვის არ შემომწყრებით.

განვაგრძობ. ნება მიბოძეთ ერთ რამეში შემოგედავოთ. როდესაც თქვენ ამტკიცებთ, სიუზენის „გულღიაობა“ ერთგვარი ვუაიერიზმიაო, მთლად მართალი არ უნდა ბრძანდებოდეთ. ამ აზრმა ერთხანს დამაინტერესა. ჩემი აზრით, ვუაიერიზმი ცნობისმოყვარეობის ეროტიზირებული გამოხატულებაა, რომლის ძირითადი ფენომენოლოგიური მახასიათებელი ის მანძილია, რომელიც არსებობს და შენარჩუნებულია ვუაიერსა და მის ობიექტს შორის. დიდი სურვილი, მიუახლოვდე ობიექტსა და ამასთან შეინარჩუნო მანძილი, განუმუხტველ ლიბიტურ ენერგიად იქცევა და სწორედ ამას ესწრაფვის ვუაიერი. ანუ, დაძაბულობას. მაგრამ თქვენი მსჯელობიდან ნათელია, რომ პრობლემა არასწორად შეგიფასებიათ. სიუზენის „გულღიაობა“ მისი „სურვილია“, თუკი მსგავსი რამის თქმის უფლებას მომცემთ, და იგი სულაც არ შეიძლება შეედაროს ვუაიერის საქციელს. სიუზენი ახლოს მიდის ობიექტთან. მანძილი მას არ ანაღვლებს. ხშირად, როგორც თავადაც მოგეხსენებათ, ფრთებიც ეწვება ხოლმე, მაგრამ მაინც კვლავ და კვლავ ცდი-

ლობს. ვფიქრობ, თქვენ უბრალოდ ცდილობთ სიუზენის საქციელი საქმის იმ ვითარებას „გაუწონასწოროთ", რომელიც, თქვენი ფიქრით, უნდა არსებობდეს. სიუზენი თხოვდება და ბედნიერია უკუნითი უკუნისამდე. ან: აქვს სიუზენს რაღაც შემოქმედებითი, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს და ხორცი შეისხას. აი, სიუზენი ხელოვანი გახდა და ბედნიერია უკუნითი უკუნისამდე.

მაგრამ თქვენი ეს ნორმები, ვგონებ, ამახინჯებენ და გვარიანადაც ამახინჯებენ თქვენსავე თვალსაზრისს.

მოდით, პირველ შემთხვევას მივუბრუნდეთ. თქვენ მსჯელობთ: თუკი სიუზენი ბედნიერია ან ბოლოს და ბოლოს რეალურ სამყაროში ცხოვრობს (ანუ ერთი კაცის ხელიდან მეორის ხელში გადადის ვერცხლის დოლარიანივით), მაშინ რაღატომ ხვდება ფსიქოანალიტიკოსს? რაღაც გასაგები ვერაა, ხომ? აქ ახალი რამ იკვეთება. სიუზენი უნდა გათხოვდეს და ბედნიერად იცხოვროს უკუნითი უკუნისამდე. შეიძლება განსხვავებული თვალსაზრისი შემოგთავაზოთ? იქნებ მისი ეს „შეხვედრები ფსიქოანალიტიკოსთან" სწორედაც რომ რაღაც ფანდი იყოს მაშინ, როცა სიუზენს არა სურს გათხოვდეს და იყოს ბედნიერი უკუნითი უკუნისამდე. იქნებ გათხოვება და უკუნითი უკნისამდე ბედნიერად ცხოვრება წარმოუდგენლად მძიმე ხვედრია სიუზენისთვის და იმისათვის, რომ კიდევ უფრო განიმტკიცოს ეს რწმენა, საკუთარ მეს აჯერებს, ფსიქოანალიტიკოსი მჭირდებაო. იქნებ თქვენ სწორედ იმას უწყობთ ხელს, რის აღმოფხვრასაც ესწრაფვით? (სიუზენი რომ გეუბნებათ, არ დავილევი და არ დავდნებიო, უნდა დაუჯეროთ).

შესაძლოა, ექიმო ჰოდერ, სუსტი იყოს ჩემი ლოგიკა, ნაკლებადსარწმუნო — ჩემი ალლო. ღმერთია მოწმე, ეს რთული და მრავლისმომცველი საკითხია. თქვენი აზრი იმაზე, რომ სიუზენი პოტენციურად ხელოვანია, ანგარიშგასაწევი მგონია. მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ სიუზენი „ხელოვნებას ეზიარება და მერე ბედნიერი იქნება უკუნითი უკუნისამდე", უბრალოდ სასაცილოა. (ვიცი, რომ ამ თვალსაზრისის ფორმულირება ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „უკუნითი უკუნისამდე" ერთი შეხედვით სულელურად შეიძლება მოეჩვენოს კაცს, მაგრამ ამ სისულელეებს ხომ საზღვარი არა აქვს). ნება მომეცით შევნიშნო, თუკი ეს თქვენი ყურადღების მიღმა დარჩა, რომ ხელოვანის ხვედრი ხელმოცარულობაა. ნებისმიერი ლიტერატურის კითხვისას (მხატვრული შემოქმედების თეორიას ვგულისხმობ), გინდაც მისი მოკლე შინაარსის ვაცნობა იყოს, უმალ დარწმუნდებით, რომ პარადიგმატული მხატვრული გამოცდილება სწორედ რომ მარცხია და მეტი არაფერი. განხორციელება, შედეგი ვერასოდეს უტოლდება ინტუიციას. „ის, შორეული" ვერასოდეს გახდება „ბოლომდე მისაწვდომი" ჩვენთვის. ეს სტანდარტია. მე მდარე ხელოვნებას არ ვგულისხმობ. საქმე კარგ ხელოვნებას ეხება. არ არსებობს არანაირი წარმატებული ხელოვანი (ეს მხოლოდ და მხოლოდ ტერმინია). აი, თქვენი თვალსაზრისი კი შემდეგნაირად უნდა ჟღერდეს: „სიუზენი ხელოვანი ხდება და უბედურია უკუნითი უკუნისამდე". აი, ამაშია საქმე, ასე რომ თავს ნუ მოიტყუებთ.

იმას ვამბობდი, რომ არჩევანის თერაპია არც ისე მკაფიოდ გამოკვეთილი რამაა. გულწრფელად თანაგიგრძნობთ. თქვენ ნამდვილი დილემის წინაშე აღმოჩნდით.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ ამბავს, რომ სიუზენი არ დაეძებს მყისიერ დაკმაყოფილებას, როგორც ეს ე. წ. შემთხვევითი, ან თანაგრძნობის ჯგუფების შეკრებებზე, შიშვლების მარათონზე, ან ნარკოტიკების შემთხვევაში ხდება ხოლმე. აქ მსგავსი „მხიარულება“ სიუზენის სტიქია არ გახლავთ. თუმცა [illegible] ეჭვი ვარ, რომ მან თქვენ მოგმართათ და არა ყველა იმ სისულელეს, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე. გონება, უნდა ვაღიარო, მისი ძლიერი მხარეა და ამის წყალობით ნებისმიერ თამაშს გემოვნებით, დინჯად და ერთგვარი ინტელექტუალური სიზუსტით აწარმოებს. უნდა ითქვას, რომ არაუშავს-რა თამაშებია. სასადილოდ რომ მიმყავს, სიუზენი არასოდეს უკვეთავს ხოლმე შოკოლადით მომინანქრებულ ჭიანჭველებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამგვარი რამ მენიუში შეხვდა. (ჰო მართლა, ოდესმე თუ გისადილიათ „ალფრედოსთან“ ბანკისა და ჰუძონის ქუჩების კუთხეში? ჩინებული რამაა!) (უნდა დავძინო, რომ ფსიქიატრების რომანი პაციენტებთან ახალი ხილი არაა და იმასაც ვხვდები, რომ სიუზენი თავდაუზოგავად ცდილობდა თქვენს შეცდენას — ეს რეფლექსია და ამას ვერსად გაექცევა — მთელი ანალიზის განმავლობაში. მესმის, რომ არსებობს თერაპისტების, ერთგვარი ბიჰეივიორისტების* პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ცდილობს ყოველივე ამაში რაღაც ეთიკური დაინახოს. მერედა ეს სწორია? ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ამას მაშინ აკეთებენ, როცა უნდათ, თუ ნებსით თუ უნებლიეთ? ამას წინათ წვეულებაზე ერთი ფსიქოანალიტიკოსი ქალი გავიცანი. მითხრა, ბოლო დროს სამი ამგვარი შემთხვევა მქონდა და ვგონებ, ეს საკმაოდ ბევრიცაა. ალმზრდელობითი ეფექტის შენარჩუნება, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, რთული საქმეა. ვფიქრობ, ამ მხრივ თქვენ ბევრი გააკეთეთ, განსაკუთრებით იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ სიუზენს ღილებიანი ქვედაკაბა გამუდმებით შეხსნილი აქვს ხოლმე.

მეტისმეტს ხომ არა ვბოდავ? უნდა ამიტანოთ. მალე განთიადს შევეგებებით.

ახლა მისი დეპრესიის საკითხია დაგვრჩა. გეთანხმებით, საშინელი რამაა. თქვენი აზრი, თითქოს მე „გულისხმიერებაში“ მოვიკოჭლებ, სინამდვილეს არ შეეფერება. მივხვდი, რომ ასეთ დროს გაცილებით ეფექტურია უბრალო რამეები აკეთო, მაგალითად, ტელევიზორს უყურო ან კალათბურთის ცქერით შეიქციო თავი ან სულაც ჭურჭელი გარეცხო. სიუზენს ეს ყოველივე უფრო მეტად ეხმარება, ვიდრე ეგ თქვენი „გულისხმიერება“. (ე. წ. chasmus hystericus ანუ ისტერიკული მთქნარება დიდად აღარ მადარდებს. ეს, რასაკვირველია, საქციელს ნიღბავს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ გვაქვს უფლება ჩვენი ცხოვრებით ვიცხოვროთ. მალე განთიადს შევეგებებით). რას მოუხერხებთ ისეთ პაციენტს, რომელიც სამყაროს შემოუწყრა? სამყარო ჩვენი მოსაწონი რომ არაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ვიცი, რომ პირა-

---

*** ბიჰეივიორიზმი — ფსიქოლოგიური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქცევა შეძენილია იმისათვის, რომ მოერგოს გარე პირობებს და არ ამოიზრდება ადამიანის ფიქრებისა და გრძნობებისგან.**

დად თქვენი ფსიქიკური ჩამოყალიბება ჯერ კიდევ მიმდინარეობს — თქვენ 37 წლის ხართ, მე-41-ს, მაგრამ საკმარისად დიდი ხნისა ბრძანდებით იმისთვის, რომ მიხვდეთ, რომ ნაგავი ნაგავია. სიუზენის შეგრძნება, რომ ამერიკა რაღაცნაირ გაუმაძღრობის ეთიკის ხუნდებში მოექცა და რომ ამ გაუმაძღრობის ეთიკამ ამერიკა ერთ [illegible] ჯოჯოხეთად აქცია, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. [illegible] რა უნდა მოვუხერხოთ მსგავს შეგრძნებას? ქირურგიული ჩარევა ხომ არაა საჭირო? ბოლო მოვუღოთ მის დეპრესიებს! აი, მე კი თითსაც არ გავანძრევდი, არა და არ ჩავერეოდი. თავს დავანებებდი და უბრალოდ მუსიკას* ჩავრთავდი. ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ.

ერთხელ სიუზენის სახლში ვიყავით. ასე, ღამის 3 საათზე იმ ტიპმა დარეკა, მისმა მეორე საყვარელმა, რომელიც საკმაოდ ცნობილი მუსიკოსია. ვერცხლისწყალივითაა — მოკლედ, კარგი ვინმეა. სიუზენს ეკითხება — „ის მანდ არის?", ანუ მე მგულისხმობდა. და იმანაც უპასუხა, კიო, და ტიპმა, რას აკეთებთო, ჰკითხა. სიუზენმა — „შენ როგორ გგონია?" და იმან ისევ, „როდის მორჩებით?" და სიუზენმა — „არასოდეს"-ო, უთხრა. აბა, ჩემო ძვირფასო ექიმო, შეგიძლიათ ჯეროვნად შეაფასოთ ამ პასუხის მთელი მშვენიერება?

იმისი თქმა მინდა, რომ სიუზენი არაჩვეულებრივი ვინმეა. სწორედ ისეთი, როგორიც არის. ჩვენს გარშემო განა ბევრი მოიძებნება ისეთი, ვისზედაც მსგავსი რამის სათქმელად მოგვიბრუნდება ენა? სწორედ ამიტომ, მისი გამოსწორების თქვენეულ მცდელობებს ბოლომდე ვერ მივესალმები. თუკი ეს მე თქვენი ანალიზისთვის უარყოფით ფაქტორად მაქცევს, დე ასეც იყოს. ვიქნები ეგ თქვენი უარყოფითი ფაქტორი, სანამ არ მოგწყინდებათ. ამის გამო გული სულაც არ მწყდება. სხვაგვარად არ შემიძლია, ექიმო, მე პიანინოს ვარჩევ.

საუკეთესო სურვილებით...

---

* მაგ. ჰარისონის „*Wah Wah*", *Apple Records*, გვ., *639*.

# ლატვიური პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლატვიურიდან

თარგმნა ნინო ღარცულიანმა

## იმარტ ზიედონისი

### უსათაურო

აბა შეხედე, მოხუცი ზღვაში
რა უდარდელად მოიხვრის ბადეს,
თითქოს ამქვეყნის ძვრა და განგაში
არც კი ენახოთ იმის მშვიდ თვალებს.

აბა შეხედე, რა უდარდელად
უვლის ეზოში შინაურ ფუტკრებს,
თითქოსდა არსად არ ეჩქარება,
თითქოს წინ მთელი სიცოცხლე უდევს.

აქ ლუდს მოხარშავს, იქ რაღაც ახალ
და მნიშვნელოვან საქმეს დაიწყებს,
ამ ყოველივეს აკეთებს სადად,
ისე უბრალოდ, ვერც კი გაიგებ!

მხოლოდ მან იცის, თავად ვინც არის,
— მარადისობის ერთი სხივია,
და ალბათ, თვითონ მარადისობაც
ამგვარ სიმშვიდით შემოსილია!

### მზადყოფნა

უბრძანე ხელებს, მომართონ საჭე!
ცხოვრების ზღვას არ ენდო სრულებით,
რა იცი, ეგებ დღესვე შეგაგდოს
ხმლებზე შიშველი ფეხისგულებით!

შეჰფიცე მზეს, რომ უკანდახევას
არჩევ განგების ყოველგვარ სასჯელს,
რადგან გემს იხსნის ის კაპიტანი,
ვინც ბედისწერას არ უთმობს საჭეს!

გზა ვიწროვდება, როგორც ხეობა,
ღელავს ცხოვრების ქუში მდინარე,
გემის მსხვრევაა მისი ხელობა,
არც შენ დაგინდობს, თუ არ იჩქარე...

უბრძანე ხელებს, არ დათმონ საჭე,
არ შეგაშინოს მღვრიე ტალღებმა,
იქნება სწორედ დღეს მოგიწიოს,
გემის რიფებზე გადატარება!

## მარის ჩავლაისი

(ანა ლაცისს)

### ეს წუთი

ვეტრფი წუთს, როცა ხდები მამაცი,
ხდები უდრეკი, ადამიანო,
როცა სიცრუეს უშიშრად ებრძვი,
სიმართლე რომ არ დააზიანოს.

სწორედ ასეთ წუთს ვრწმუნდები, შენში
ღვთიური მადლის დევს ნაპერწკალი,
მოკვდავში, როგორც თიხის ჭურჭელში
აწკრიალდება სიცოცხლის წყალი!

როცა განსაცდელს სდევს განსაცდელი,
როცა მძვინვარებს ბრძოლის ქარცეცხლი,
უიმედობა შენს ფერხთ ეცემა,
ვით სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცი...

ო, ეს წუთია თაფლზე უტკბესი,
ამ წუთისათვის ღირდა გაჩენა,
მხოლოდ ტკივილზე გავლით გაიგებ,
რა არის შვება და გადარჩენა!

## იმანტ აუზინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### უსათაურო

ტყის პირას ებრძვის სახნისი მიწას,
გაჰხედავ — ირგვლივ ზღვაა ხნულების,
— ეს არის ჩემი სამშობლო მიწა,
ჩემი წინაპრის ნაფეხურები!

აქ დგას სურნელი რძის და ბალახის,
აქ მიწის ხნულშიც დედის ხსენია,
აქ ისე მყარად მიდგას ფესვები,
რამ უნდა მომკლას?
— აუხსნელია!

აქ სადღაც ხეზე, ან სახურავზე
შეიყრებიან თეთრი ყანჩები,
თითქოს ბჭობაა სამშობლოს ბედით
გულაჩუყებულ ყმაწვილკაცების.

აქ დავიბადე, აქვე მოვკვდები,
გავა წუთები სიცოცხლით ტკბობის,
აქ თვითონ დედა არის ბეჭედი
ჩემი და ჩემი მიწის ერთობის!

# ანდრეი კივინოვი

## ცეკვა ჭინულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა მურმან ცეცხლაძემ

**საჩვენებელ პროგრამას ყოველთვის წინ უსწრებს მოსამზადებელი პროგრამა და იმისათვის, რომ მოხვდე მეორეში, კარგად უნდა დაამუშაო პირველი.**

**აქ მოთხრობილი ამბავი ფანტაზიის ნაყოფია და არავითარი საერთო არ აქვს რეალობასთან**

კაი გამარჯობა თქვენი... ამას ჰქვია არაორიგინალური დასაწყისი. რატომ უნდა გამოვიდოთ თავი? უყვართ ხოლმე ზოგიერთებს: „სისხლისფერი აისი თავს წამოადგა ჭუჭყიან ქალაქს და დაცარიელებულ ქუჩებში მარადიულ ექოდ გაისმა მუდამ მშიერი ყორნების ყრანტალი. ველური, გულისშემძვრელი კივილი გასროლილ ისარივით სჭვალავდა სივრცეს და ვისაც ეს ესმოდა, გულმოდგინედ კეტავდა ფანჯრებს, რადგან ასეთი კივილი მხოლოდ ზღვარგადასულ კოშმარში თუ შეიძლებოდა მოგესმინა“.

მე, როგორც ხედავთ, მარტივად ვიწყებ, ასეთი უბრალო, ნორმალური კაცი ვარ. შემდეგი არაორიგინალური ნაბიჯი ჩვენი გაცნობა იქნება — ყოველგვარი წინასწარი ცერემონიისა და კომენტარების, სულის საიდუმლო სიღრმეებისა და ხასიათის თანდათანობითი გახსნის გარეშე. სიტყვას გავწყვეტ და გეტყვით: მე ალბათ მაქვს სული, მაგრამ არ ღირს მისი გახსნა. მე ხომ არ ვძვრები თქვენს სულში. დიახ, აი ასე, მე იური მქვია, ისე როგორც გაგარინს, გვარი რობინჰუდოვი... ვხუმრობ, ივანოვი. ოცდასამი წლის შევსრულდი, ვცხოვრობ დედასთან და მამასთან ერთად, უცოლო, ორიენტაცია — ურყევი (ამჟამად ამ პუნქტმა ანკეტაში ფართო გავრცელება ჰპოვა, ამიტომ განსაკუთრებით აღვნიშნავ). პოლიტიკურად გაუნათლებელი. აი უკვე ათი დღეა, მილიციის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვმუშაობ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკეთილდღეოდ.

გასული სამი წლის მანძილზე სამინისტრო ოპერატიულ-სამძებრო მოღვაწეობისა და კრიმინალისტიკის ანბანს, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალს მიჭედდა გოგრაში, სხეულში კი — ხელჩართული ბრძოლისა და სამწყობრო მომზადების ძირითად თეორემებს. თუ რამდენად წარმატებით — ახლო მომავალი გვიჩვენებს. ამჟამად ჩემი აკადემიური უნარის შეფასება ნაადრევია.

მოკლედ რომ ვთქვათ, გამანაწილეს სამუშაოზე და მეც გამოვცხადდი მილიციის ტერიტორიულ განყოფილებაში, სისხლის სამართლის

სამძებრო ოპერრწმუნებულის — როგორც მე მეგონა — სასტიკ თანამდებობაზე. ჩემი მომავალი კოლეგები თავაზიანად შემხვდნენ, მხოლოდ და მხოლოდ თავაზიანად, რადგან, როგორც იმავე მილიციის სკოლაში. ისე კინოფილმებში არაერთხელ მიუნიშნებიათ — კოლექტივში ახლად შემატებულს აუცილებლად გააცურებენ. მე კი, როგორც ოდეურად განსწავლული და მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენს ორგანოებში მხოლოდ ყოველმხრივ ფხიზელი ადამიანები უნდა მუშაობდნენ, ვცდილობდი არ გავცურებულიყავი.

მუშაობის დაწყებიდან პირველ ათ დღეში ჩემმა წარმოდგენებმა ჩვენი კეთილშობილი პროფესიის ადამიანების შესახებ თანდათან სადღაც გაურკვეველი მიმართულებით იწყეს გადახრა იმის გამო, რომ სინამდვილე, როგორც აღმოჩნდა, ოდნავადაც არ ემთხვეოდა იმას, რასაც მთელი სამი წელი მტენიდნენ თავში.

მაგალითად, ოპერი ვიტკა ჩერნენკო, ვისთანაც მე მიმამაგრეს როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი — განყოფილებაში და იმ კაბინეტში, სადაც მე შემასახლეს — მთელი ათი დღის მანძილზე სულ ორჯერ გამოჩნდა. პირველ გამოჩენაზე ორიოდე წვერიანი ანეკდოტი მომიყვა და გაქრა, თან გამაფრთხილა, თუ ვინმე მიკითხავს, უთხარი, რეიდზეა წასული-თქო.

მეორეჯერ დილით სამუშაოზე მისვლისას შევესწარი, ვიტკა დივანზე იწვა პირდაპირ თავის შავუჯრედებიან პალტოიანად. წელის მიდამოებში ფეხსაცმლის კვალი ეტყობოდა. მე მოვახერხე ამომეცნო, რომ კვალი ფაბრიკა „ლენვესტის“ პროდუქციას დაეტოვებინა. კაბინეტი ბაეჟლენთა ვიტკასაგან ამონაფრქვევ არყის მგრგვინავ ნარევს, პაპიროსის ნამწვებისა და ბატარეის უკან მკვდარი თაგვის მყრალ სუნს.

ვიტკა ალბათ ღამით დაბრუნდა შვების ნავსაყუდელში, რათა დაესვენა და ისევ ედურთა თავი წყვდიადში. „ხომალდები დგანან და კურსის ასაღებად ემზადებიან“. როცა გაეღვიძა, ფრთხილად ვკითხე, რაში მდგომარეობდა მისი რეიდების არსი. ჩერნენკომ პასუხად თავი შეარხია, „ბელამორი“ გააბოლა და ამოიკვნესა:

— ყველაფერი წესრიგშია, ძველო, ყველაფერი წესრიგშია...

მილიციის სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ მართლაც ყველაზე კეთილშობილი მიზნითაც კი რეიდი უნდა ჩატარდეს რეგულარულად. ამისათვის ადგენენ სამისამართო პროგრამას, განალაგებენ ძალებს, ტექნიკურ საშუალებებსა და სხვა ამგვარი რამეები.

ვიტკას სამისამართო პროგრამა თავის გაბერილ უბის წიგნაკში უწერია. ამიტომ რეიდზე წასვლის წინ იგი რეკავს სხვადასხვა ტელეფონებით. კითხულობს ვილაც ლუდას.

განყოფილების უფროსმა, რომელიც კვალდაკვალ შემომყვა, მკაცრად დატუქსა ჩერნენკო:

— ვიქტორ გენადის ძე, ეს უმსგავსობაა. ზედ განყოფილების ზღურბლთან სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელმა უშვერად აგინოს მორიგე ოფიცერს. მეორეჯერ თუ ღამით მოხვალ, აღარ შემოგიშვებს და მართალიც იქნება.

ვიტკა სუსტად იგერიებს:

— აბა ის კარგია, მორიგე ოფიცერმა ხელი რომ აღმართოს სამძებროს თანამშრომელზე?

ვიტკა ყველაზე გამოცდილ ოპერად ითვლება განყოფილებაში, თუმცა ის ოცდაათისაც არ არის. ჩემმა ახალმა კოლეგებმა განმიმარტეს, რომ თუ ჩერნენკო რეიდზეა, ესე იგი, ასეა საჭირო, არ უყვარს შეკითხვები, იცის რასაც აკეთებს, ასევე მაუწყეს, რომ იგი [illegible] ფსიქოლოგია და ეჭვმიტანილთა „გატეხვაში" მთელ სამინისტროში ბადალი არ ჰყავს. ამ უეჭველ ფაქტში დარწმუნების ბედნიერება ჯერ არ მქონია, თუმცა ძალიან მსურდა მენახა, როგორ მუშაობენ ნამდვილი პროფესიონალები.

მაგრამ, რომ არ გადაგლალოთ მილიციის პრაქტიკის თავისებურებებზე გრძელი პრელუდიებით, ეგრევე საქმეზე გადავალ, ხოლო პროფესიის სფეროში ჩემს აღმოჩენებს გზადაგზა მოგაწვდით. ეს გაცილებით დამაჯერებელია.

ამჟამად БМП-თი — პოლიციის საბრძოლო მანქანით კი არა, უაზიკით მივჯაყჯაყებ, მძღოლის გვერდით ვზივარ, ჯერ კიდევ გაუთოშავ თითებს მოკლელულიან სადესანტო ავტომატს ვუჭერ და წინ კუშტად ვიყურები.

სამი წუთის წინ, როცა ჩემს ცხოვრებაში პირველი მასალის მისაღებად შევედი სამორიგეოში, მე შევიცანი ბედისწერის პრინციპი, რომლის არსებობა ჯერ არ დაუმტკიცებია მეცნიერებას, მაგრამ იგი ნამდვილად არსებობს. მაგალითად, თუ შენ მორიგეობ, მაგრამ საჭირო წუთს ზიხარ ქოთანზე ან გახვედი სადილზე — ეს არ არის ბედისწერა, მაგრამ თუ არ მორიგეობ, მაგრამ მაინც შედიხარ მასალის მისაღებად — აი, სწორედ ეს არის ბედისწერა. შედიხარ სწორედ საჭირო დროს, ესე იგი, ზუსტად იმ დროს, როცა პულტზე ინთება შემნახველ სალაროში სიგნალიზაციის ჩართვის მაუწყებელი ნათურა.

აქ კი უკვე სულერთია: მორიგეობ თუ არ მორიგეობ, ქოთანზე ზიხარ თუ არ ზიხარ — ავტომატი ხელში და, იერიშზე საჩქაროდ! დამსმარე ძალა მოგვიანებით გამოცხადდება, შენ კი მანამდე იმოქმედე ვითარებისამებრ.

ყოველ შემთხვევისათვის მე კმაყოფილი ვარ. ეს ჩემი პირველი საბრძოლო გასვლაა და სხეულს მსუბუქი ცახცახი იპყრობს არა დამნაშავის წინაშე შიშისაგან, რომელიც შეიძლება შეიარაღებულიცაა, არამედ იმის შიშით, რომ შეიძლება რაიმე არასწორად გავაკეთო და პროფესიული შეუფერებლობა გამოვავლინო.

ავტომატი საკეცი კონდახით მუხლს ებჯინება და დამცველით იხსნება. მთელი არსებით ვწუხვარ, რომ ჩემი ყოფილი თანაკლასელი და მეგობარი გოგონები ვერ მხედავენ. ტიპაჟი — მეთაურის. არმიაშიც კი არ გამოვიყურებოდი ასე კეთილშობილურად.

გაღეღილი შავი ქურთუკი, მაღალყელიან ფეხსაცმელებში ჩატანებული ჯინსი, თვალებზე ჩამოფხატული ქუდი და ბოლოს, ნამდვილად მამაკაცური საბრძოლო იარაღი. კლასიკა შავებში.

მძღოლს ავტომანქანა პირდაპირ გაზონებით, საფინიშო ზოლთან მიჰყავს.

— დაამუხრუჭე, დაამუხრუჭე, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვესვრი სერჟანტს, — დავაფრთხობთ! ჭკუაა საჭირო.

სერჟანტი ამუხრუჭებს და თიშავს ციმციმას. მე ვხტები თოვლზე და წელში მოხრილი, სურსათის ფარდულებზე გვერდის ავლით შემნახველ სალაროსაკენ გავრბივარ. მთავარია ტაქტიკა. მოულოდნელობა წარმატების დაა. შემნახველი სალარო შენობის მესამე სართულზეა. მარდად, კატასავით ვხტები მოაჯირზე და რკინის ურნას ვაყირავებ. შიგნით შევვარდი. მარჯვენა ხელი საკეტს გავკარი. თვალები ეჩვევა სიბნელეს.

ტემპი, ტემპი, მაგრამ თავიც საჭიროა. შემინულ კართან სტრატეგიული გაჩერებაა, შემდეგ კი პოზიციის შერჩევა დასამიზნებლად და სასროლად. დასამიზნებელი დარბაზში არ შეიმჩნევა. ალბათ თეჯირსაა მოფარებული და სეიფს ასუფთავებს. საჭიროა სიმშვიდე და ისევ სიმშვიდე. კარს ვაღებ და დარბაზში ჩვეულებრივ მოქალაქესავით შევდივარ. ავტომატს არ ვმალავ. განაპირა სარკმელთან მოხუცების რიგია. ისმის კალკულატორების ჩხაკუნი, სალაროს აპარატის ტკაცუნი, რადიოს ხმა. ვუახლოვდები მთავარ სარკმელს. ორმოციოდე წლის ქალი მოზრდილ კალკულატორზე თითებს ვირტუოზულად უკაკუნებს. ჩემი ჩრდილი რომ დაინახა, სარკმელში ბეჭდებიანი ხელი გამოჰყო.

— ქვითარი მომეცით.

ქვითარი არა მაქვს, სამაგიეროდ მაქვს ავტომატი. ქალბატონი აღარ უცდის პირველს, თავს სწევს და ხედავს მეორეს. ამას პლუს ქუდი თვალებზე და კლასიკა შავებში.

მინდა ჩურჩულით ვკითხო, სადაა ბანდიტი, მაგრამ ვერ ვასწრებ.

ქალბატონი უხალისოდ აკეთებს ნახევარბრუნს სავარძელში და საფლავივით კარისაკენ იძახის:

— მაშა! ისევ ჩაირთო სიგნალიზაცია! ბოლოს და ბოლოს გამოიძახებ თუ არა ოდესმე ტექნიკოსს? გვაპატიეთ, ახალგაზრდავ, ღვთის გულისათვის, გაგაწვალეთ ალბათ.

ახალგაზრდა ოდნავ შეფიქრიანდა. ერთი მხრივ კარგია, უმსხვერპლოდ გავედით, მაგრამ მეორე მხრივ... ახალგაზრდა, რომ „ცისფერი ფორმის ქუდით, სპილენძის ბალთაზე ციფრი „3"-ით ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ის, ხომ „კლასიკაა შავებში". როგორ, ახალგაზრდას შუბლზე ეწერა პროფესია? გამოდის, რომ ეწერა, მიუხედავად თავისი ატრიბუტებისა, თეთრით შავზე ზუსტად ასე ეწერა: იური ივანოვი, სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული.

— ახალგაზრდავ, თქვენ იხდით თუ არა ფულს?

ხმისაკენ შემოვბრუნდი. უზარმაზარ პლუსიან სათვალიანი პატარა ბებიკო სარკმლისაკენ იშვერს ქვითარსა და ორიოდე თუმნიანს.

— გასწით იქით თქვენი ავტომატი.

„არა, მე არ ვიხდი! — ყვირის ჩემი შინაგანი ხმა, — მოვედი რათა მოგითხროთ ახალ, უშაქრო საღეჭ რეზინა „სპორტლაიფზე".

დარბაზში სხვებიც არ მაქცევენ ყურადღებას. თითქოს იქ არც ვიყო! იცით ახლა რა მინდა გავაკეთო? გითხრათ მართალი? მივცე ზალპი შებათქაშებულ ჭერში და ვიღრიალო: „აბა, იატაკზე, ნეხვებო! სეიფის გასაღები თეჯირზე! ცოცხლად..."

რადიოდან ლუი არმსტრონგი სრიწინებს. ნელა და ნაზად. სიმღერა მშვენიერ სამყაროსა და ჯადოსნურ სიყვარულზეა.

ავტომატს დაბლა ვხრი და თავჩაქინდრული გასასვლელისაკენ მივემართები. სერჟანტმა უკვე მოაგდო ავტომანქანა სადარბაზო შემოსასვლელთან. ურნაც წამოაყენა ვიღაცამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, იუროკ, ისევ ყალბი გამოძახებაა?

— შენ საიდან იცი?

— დღეში ათჯერ მოვდივართ აქ.

მანქანის სალონში გულმოსული ვეხეთქები.

— შენი გაფრთხილებაც კი ვერ მოვასწარი. პირდაპირ არწივივით გამოიყურებოდი. როგორც მე სიყმაწვილეში. ვაზნა გამოაგდე სავაზნედან, გეთაყვა.

განყოფილებაში დაბრუნებული, ავტომატს ვაბარებ, ვიღებ იმ პირველ მასალას და ჩემს ოთახში მივდივარ შესასწავლად. შესწავლას ნახევარ საათს ვანდომებ. წაკითხული ჩემში არავითარ კითხვას არ ბადებს, გარდა ერთისა — რატომ დამაწერეს მასალა სწორედ მე? ამ კითხვას კი მოსდევს კიდევ ერთი კითხვა. რა ვუყო ახლა ამას?

დამრიგებელთან რჩევის საკითხავად მისვლა არ შემიძლია. დამრიგებელი, როგორც უკვე იცით, რეიდზეა, მე კი მთელი სტუდენტური კონსპექტებიც რომ მქონდეს, ამაში მაინც ვერაფრით გავერკვევი. ამიტომ მისამშაბათება რომ არ გამომივიდეს, სჯობს მივიდე განყოფილების უფროსის მოადგილესთან ოპერატიული მუშაობის დარგში ანუ ჩემს უშუალო შეფთან სერგეი მიხაილის ძე ზიმინთან, რომელსაც ოპერები უბრალოდ მიხალიჩს ეძახიან. მიხალიჩს, მიუხედავად მისი საკმაოდ ახალგაზრდული ასაკისა, განყოფილებაში პატივს სცემენ იმის გამო, რომ ის თვითონაც, უბრალო საგუშაგო პოლიციელთა რიგებიდანაა გამოსული. იცის სამსახურის ყველა წვრილმანი და გაეგება, როდის შეიძლება მოსთხოვოს მკაცრად და როდის არ ატეხოს განგაში. გარდა ამისა, გავიგე, რომ მიხალიჩი არასოდეს იმალება ოპერების ზურგს უკან და ყოველთვის გამოუყვანია ისინი სხვადასხვა სადავიდარაბო სიტუაციიდან, საკუთარ თავზე დარტყმის ფასად.

როცა მასალებით ხელში შეფის კაბინეტში გამოვცხადდი, მასთან მხიარული ხასიათის ახალგაზრდა ოპერი ვასია გრომოვი დამხვდა. ვასია დივანზე იჯდა, რაღაცაში თავს იმართლებდა მიხალიჩის წინაშე და თავის ზორბა ხელებს იქნევდა. მიხალიჩს თავის საშეფო მაგიდაზე ხის სკამი დაედგა და ჩაქუჩმომარჯვებული გამალებით მუშაობდა.

— მიხალიჩ, საგანგებოდ ხომ არ გამიფუჭებია, გამიგე რა, სკამი ალბათ ძველია, მორყეული.

— ჰო, სკამს დავაბრალოთ. უცნაურ კანონზომიერებას ვამჩნევ: როგორც კი რაიმეს გახსნი, ჩემთან მაშინვე მორიგი სკამი იმსხვრევა. რატომ არ მუშაობ შენს ოთახში?

— ჩემთან სივიწროვეა, თავადაც ხომ იცი, მიხალიჩ.

— ასეთ შემთხვევაში წამოიღე შენი სკამი. ის ხომ რკინისაა, — მიხალიჩმა ლურსმანი ჩაქუჩით ჩააჭედა, სკამს ფეხები გაუმაგრა.

— ვინ იცოდა რომ?.. — ვასია გულმოდგინედ იტყაპუნებდა ხელისგულებს მუხლებზე, — კოდექსი ვაჩვენე, უყურე, ვეუბნები, რამდენი გელის, მის ქვეშ კი ბახ და სკამი იმსხვრევა...

მიხალიჩი ბოლოს მაქცევს ყურადღებას:

— რაო, იურა?

— დიახ, აი, მასალებზე მინდოდა რჩევა მეკითხა.

— კარგი, დაჯექი... მაშ ასე, ვასილ ანდრიას ძე. კიდევ ერთ სკამს გატეხ კოდექსით თუ უკოდექსოდ და ამ კვარტლის პრემიას ავეჯის საყიდლად მომცემ. გასაგებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასია მწარედ ოხრავს:

— გასაგებია.

— მოიცა, რომელით აღძრეს?

— ას რვას მეორე ნაწილით* სრული თოშვა, მიხალიჩ. სპორტსმენები — მხეცები არიან. დღისით სპორტდარბაზში მსხლებს უხათქუნებენ, ღამით კი პრაქტიკაზე გამოდიან. „თოჯინებზე" მუშაობდნენ. დაინახავენ მორჩილ კაცს და მიდი, დაზილე კიკ-ბოქსის ყველა წესით. ორ ღამეში ორი გვამი. მე, საერთოდ, იმის გამო კი არა, რომ არ იპარპაშონ, კოდექსი ვაჩვენე — აქ ისედაც მტკიცება წესრიგშია, უბრალოდ, საწყენია... ამ კაცებმა ისეთი რა გაუკეთეს მათ?

მიხალიჩი სკამს დგამს, ხელების მძლავრი დაჭერით ამოწმებს მის სიმტკიცეს და დარწმუნებული იმაში, რომ რემონტმა წარმატებით ჩაიარა, სკამს გარნიტურის თანამოძმეებისაკენ აჩოჩებს.

— სულ ერთია, დაიწყე. ვასილი.

ვასია თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, კიდევ ერთხელ ოხრავს და უფროსის ოთახს ტოვებს.

— როცა ორგანოდან მომისვრიან, ავეჯის სარემონტო სახელოსნოს გავხსნი, — მიყურებს და იცინის მიხალიჩი.

მე თავს გაგებიანად ვუქნევ, თუმცა ვერაფრით მოვდივარ აზრზე, როცა ადამიანს კოდექსს უჩვენებენ, მის ქვეშ სკამი რატომ უნდა დაიმსხვრეს.

— აბა, რა მასალები გაქვს?

მასალა განყოფილების უფროსმა დამაწერა და ეტყობა მიხალიჩმა არაფერი იცის ამის თაობაზე.

მაგიდაზე ერთმანეთზე აკინძულ რამდენიმე ქაღალდს ვულაგებ.

— სიტყვიერად ამიხსენი.

— სიტუაცია ასეთია. მეტალურგიული გვარის მამაკაცმა, ვინმე ბლიუმინგმა დღეს უნივერმაღში შეიძინა ჰალსტუხი...

— აჰა.

— იყიდა ჰალსტუხი, გაემართა გასასვლელისაკენ, მაგრამ კართან ფეხი გაუცურდა მოლიპულ ყინულზე და დაცემისას თავით გაამსხვრია შუშის ვიტრინა. გამყიდველებმა ყოველი შემთხვევისათვის მილიცია გამოიძახეს, თუმცა ბლიუმინგს არსად მიმალვა არ უცდია. მან იქვე დაფარა ზარალი და უნივერმაღის მუშაკებს მასთან პრეტენზია არ აქვთ. მაგრამ ჩვენმა გუშაგებმა იგი მაინც მოიყვანეს აქ, ხოლო უბნის რწმუნებულმა შეადგინა ოქმი ვიტრინის დათვალიერებაზე და ბლიუმინგს დააწერინა ახსნა-განმარტება.

— ყოჩაღ, ესმით საქმე.

---

*** რფ სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლის მეორე ნაწილი — სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება.**

— აი, ესაა რაცაა. მე წავიკითხე ბლიუმინგის ახსნა-განმარტება — ის არაფერს ფარავს. გამოდის, რომ აქ დანაშაულის ნიშნები არ არის.

— ე, ე, ნუ ჩქარობ. სად წაიკითხე აი ამ ნიშნების შესახებ? სახელმძღვანელოებში, ხომ?

— აქ ხომ სახელმძღვანელოების გარეშეც ნათელია, [illegible] ცცმა მინა შემთხვევით გატეხა, ფეხი დაუცურდა. მე იმის [illegible] ად შემოვედი, როგორ ჩამოვწერო მასალა და შეიძლება თუ არა გავუშვა ბლიუმინგი.

— ეჰ, სიყმაწვილევ, სიყმაწვილევ... ეგ არაფერია, ოდესღაც ყველანი ასეთები ვიყავით. საიდან იცი, რომ ბლიუმინგი შემთხვევით დაეცა?

— იქ ხომ ყინული იყო... და ოქმშიცაა აღნიშნული.

მიხალიჩი სწრაფად ავლებს თვალს ფურცელს, ჭმუჭნის და კალათაში ისვრის.

— აი, აღარავითარი ყინული აღარაა. და ის საერთოდაც არ დაცემულა, არამედ გამოცხადდა ნასვამ მდგომარეობაში ხულიგნური განზრახვით. უტიფრად მოექცა გამყიდველებს და ჩაამსხვრია მინა. ეს რა გჭირს სახეზე? ალერგია? ტავეგილჩიკი გინდა?

— კი მაგრამ, ის ხომ... ისინი ხომ...

— მოკლედ, სუფთად ორას ექვსი, ნაწილი პირველი. სისხლის სამართლის საქმე არა მგონია აღვძრათ, მაგრამ „საოქმო ფორმას“ მივაკერებთ.

მოქალაქეებს, რომლებიც არასოდეს შეჯახებიან მშობლიურ კანონმდებლობას, განვუმარტავ, რომ, „საოქმო ფორმა“ გამოიყენება იმ პირებისადმი, რომლებმაც ჩაიდინეს მცირე დანაშაული, რომელსაც შეიძლება ხანგრძლივი ძიების გარეშე შემოევლოს და მასალები პირდაპირ სასამართლოში გადაიგზავნოს. სანქცია იქ, როგორც წესი, საჯარიმოა, კაცს ციხეში არ სვამენ, მაგრამ რაც მთავარია, როგორც ჩემი მცირე პრაქტიკით მივხვდი, „საოქმო ფორმა“ ქურდობის, ძარცვისა და მკვლელობის გახსნასთან ერთად გახსნადობაში დადებით ბალანსზე მიდის. ესე იგი, უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენ დამატებით „პალკას“ ვღებულობთ.

— სერგეი მიხალიჩ, მაგრამ ის ხომ ამბობს, რომ შემთხვევით... და მოწმეებიც...

— რა აიხირე თუთიყუშივით, შემთხვევით, შემთხვევით...

კიდევ ორი ფურცელი მიფრინავს კალათაში გამყიდველების ჩვენებებით.

— რა მნიშვნელობა აქვს, ეგ რას ამბობს. დასაწყისში არავინ არ აღიარებს. მასალები იმიტომ დაგაწერეს შენ და არა უბნის რწმუნებულს, რომ წაიმუშაო და ყველაფერი გონივრულობამდე მიიყვანო.

— კი მაგრამ, როგორ? როგორ ვაიძულო, რომ მთვრალმა და თანაც განგებ...

— ნუ ღელავ. სარკმელი ხომ არ გავაღოთ? კარგი, როგორც გინდა. თავდაპირველად მიდი უნივერმაღში, აიღე დირექტორისაგან განაცხადი. ასე და ამრიგად, გთხოვთ მიიღოთ ზომები უცნობი, უნივერმაღის მინის გამტეხის მიმართ. მეტს ნუ გაშიფრავ. ასევე აიღე ცნობა მინის ღირებულების შესახებ. გადაწერე დათვალიერების ოქმი, ოღონდ

ყინული ამოაგდე. შემდეგ ეს ბლიუმინგი... რა თქმა უნდა, ასე უბრალოდ ის არ ალიარებს. იგი დამატებით უნდა დაამუშაო. რაღაც-რაღაცები უნდა გამოუჩხრიკო მაგ ნეხვს.

— რას ნიშნავს გამოუჩხრიკო, სერგეი მიხაილის ძე? რა მნიშვნელობით?

— იურა, როგორი გაუგებარი ხარ, რას გასწავლიდნენ სკოლაში? პირდაპირი მნიშვნელობით. ყოველ ადამიანს ყოველთვის შეიძლება რაღაც გამოუჩხრიკო თუკი მოინდომებ. შენც, მეც და მით უმეტეს ვილაც ბლიუმინგს. რას საქმიანობს?

— დახურული ტიპის საზოგადოება „ფავორიტის" დირექტორია.

— დაიმახსოვრე, იურა, ჩვენს ქალაქში დახურული ტიპის მხოლოდ ერთი საზოგადოებაა, სხვა დანარჩენი — მთლიანად თუ სანახევროდ — ყალბია.

— რომელია ეს?

— „ჯვრები". ციხეა არსენალზე. ასე, რომ ნებისმიერი „ფავორიტი" შეიძლება აუტსაიდერად ვაქციოთ. მოკლედ, შენი სამოღვაწეო ასპარეზი შეუზღუდავია. ყველაფერი დამოკიდებულია ფანტაზიასა და აზარტზე. შეგიძლია ჩხრიკო პირად ფრონტზე. მოკლედ ჩხრიკე სადაც გინდა, ოღონდ შემდეგი თქვენი შეხვედრისას ხელთ ბლიუმინგის ისეთი კომპრომატი იქონიე, რომ მან მაშინვე მოაწეროს ხელი, თუ როგორ ჩაამტვრია არა მხოლოდ მინა, არამედ გამყიდველთა სახეებიც. განზრახული ჰქონდა აგრეთვე აეფეთქებინა მთელი უნივერმაღი რაღაც ჯანდაბისათვის. დრო ათი დღე გაქვს, ასე რომ, ნუ გააჭიანურებ.

— თუ არ გამომივიდა?

— გამოგივა, გამოგივა. შენ ახალგაზრდა ხარ, ენერგიით სავსე. ვასკა ხომ არ ხარ, სკამიდან რომ ვერ ააგლეჯ. ჩართე საგადასახადო, ეკონომიკურ დანაშაულთა უსაფრთხოების განყოფილება. ყველა ეს „ფავორიტი" ერთი მთხლეა. გარედან — ზღაპარი, შიგნით კი... ასე, რომ იმოქმედე, გეყოფა კაბინეტში ჯდომა. შენ ოპერი ხარ და არა დიასახლისი. მთავარია არავისი არ გეშინოდეს. დაე, შენი ეშინოდეთ.

— და მაინც, რომ არ გამომივიდეს?

— ჯერ არ დაგიწყია და უკვე ტირი? თუ არ გამოგივა, უბრალოდ, ჩამოწერ მასალებს და არქივს ჩააბარებ სინამდვილეში მართლაც დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. თუმცა დასანანია ასეთი მასალა ჩასაბარებლად. ამ კვირაში ჩვენ ორი „ყრუ" გაძარცვა გვაქვს, ხოლო პლუსებში არაფერი მიგვიცია. ამიტომ შეეცადე, იურა.

— ახლა კი გავუშვა?

— რასაკვირველია, სანამ არაფერი გამოგიჩხრეკია, მისი საკანში გაჩერების უფლება არ გვაქვს კანონით.

ახლა რომ ჩემი სახე გენახათ, ალბათ მიხვდებოდით, რომ გაოგნებული ვიყავი. კრიმინალისტიკის ლექციაზე იმ სუპერმაძებრად წარმომედგინა თავი, რომელიც ვერაგ მანიაკს დასდევდა. თავი წარმომედგინა შარაპოვად — ბანდიტების ბუნაგში ან ჯეიმს ბონდად — ფოტომოდელთა წრეში. აქ კი, ამის ნამცეცები თუა. არავითარი ბონდი. არავითარი მოდელები... ვილაც ბლიუმინგი, რაღაც მინა. არც ერთი გრამი რომანტიკა.

— და აი კიდევ რა, მოიცადე ერთი წუთით, — მიხალიჩმა გააღო სეიფი, — შენ ჯერ შენი „ხალხი“* არ გყავს, ამიტომ ჩვენი ხალხიდან რომელიმესთან გაგიყვანთ კავშირზე. მან გადაქექა მრავალრიცხოვანი საქაღალდე და მონაცემთა ფურცელი ამოიღო. შემდეგ იქიდან რაღაც გადაწერა პატარა ფურცელზე და გამომიწოდა.

— დაიმახსოვრე. ეს შენი სეხნიის, იურკა მარკოვის კვალია. მარკოვი ამ ზაფხულს გაათავისუფლეს. დასანანია, კარგი ოპერა იყო. რაც მართალი მართალია — ბევრს სვამდა, რის გამო დაიწვა კიდეც. მაგრამ ეს ჩვენს თემას არ ეხება. დაურეკე ამ კაცს, მოელაპარაკე შეხვედრაზე, წაებაზრე, დაფიქრდი. მოკლედ, შედი კონტაქტში. შეიძლება რაიმე სარგებელი მოგცეს. შენი „ხალხის“ გარეშე მუშაობა ძალზე ძნელია, დაიმახსოვრე.

მე ვიღებ ქაღალდს. პრეობრაჟენსკი ალექსანდრ ალექსანდრის ძე. ტელეფონი.

— პრეობრაჟენსკი — ეს ფსევდონიმია?

მიხალიჩი დაბნეული მიცქერს და მხრებს იჩეჩავს.

— ეშმაკმა იცის, არ მახსოვს. შენც გვარით ნუ მიმართავ. იკითხე სან სანიჩი. ჩვენ ყველანი ასე ვეძახით.

ამ რეპლიკით მივხვდი, რომ კონსპირაცია, ჩვენს განყოფილებაში მაღალ პროფესიულ დონეზე დგას.

ვტოვებ სერგეი მიხაილის ძეს და მივდივარ სამორიგეოში, სადაც ლოდინისაგან გული ელევა მოქალაქე ბლიუმინგს. მის დაჟეჟილ სახეზე მომჟავო-უკმაყოფილო გამომეტყველების მიხედვით ვაკეთებ ანალიტიკურ დასკვნას, რომ ის ძალზე შეწუხებულია მილიციაში მისი გაუგებარი დაკავების გამო. მე თანავუგრძნობ, მესმის, რომ ყველაფერში დამნაშავე ეს იდიოტური ყინულია. მე თვითონ დღეს ორჯერ ვიცეკვე მოყინულ გუბურაზე, ვცდილობდი დამემორჩილებინა ურჩი ფეხები. დავიმორჩილე.

— არკადი ანდრეევიჩ, წამობრძანდით, — თავის ქნევით ვიწვევ ბლიუმინგს ჩემს კაბინეტში.

— ღმერთო, კიდევ რა სისულელეა, ვაგვიანებ, — ბუზღუნებს ბლიუმინგი და გატეხილი შუბლის წმენდით უკან მომყვება.

— დაბრძანდით, — მე წინ ვილაგებ საქმის ნარჩენებს და პირქუშად, ჩეკისტურად ვუყურებ ბლიუმინგს.

— არაფერი არ იქნებოდა, არკადი ანდრეევიჩ, და ერთი შეხედვით თქვენს მიმართ თითქოსდა არავითარი პრეტენზია არ უნდა წამოგვჭროდა, მაგრამ...

დასანანია, რომ თქვენ არ ისმენთ ვერაგ სიტყვას „მაგრამ“, ჩემგან მკაფიოდ გამოხატული აქცენტით წარმოთქმულს, საპოლიციო სერიალების ნახვისას დამუშავებულს, შენი საქმის უწმინდესი სამართლიანობის გრძნობითა და მოწინააღმდეგეზე სრული გამარჯვებით აღსავსეს. და რა თქმა უნდა, თანაც მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელად.

ბლიუმინგი ხელს იღებს შუბლიდან და ეტყობა, სურს პირი დააღოს, მაგრამ მისთვის სიტყვა არავის მიუცია.

---

*** „ხალხი“ (მილ.) — აქ. აგენტები.**

— აი, აქ ვინმე ბატონ კასტორკინის ახსნა-განმარტებაა, რომელიც ამტკიცებს, რომ თქვენ სპეციალურად, მთვრალ მდგომარეობაში, ხულიგნური განზრახვით მუშტი ჩაარტყით მინას. ესე იგი, ჩაიდინეთ დანაშაული.

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ბატონი კასტორკინი და ლონ-ნესის ტბის ურჩხული დაახლოებით ერთი და იგივეა მათი არსებობის ალბათობის მიხედვით.

ის, რომ არ გესმით ჩემი ხმა, ეს უბედურების მხოლოდ ნახევარია. უბედურების მეორე ნახევარი ის გახლავთ, რომ თქვენ ვერ ხედავთ ჩემს თანამოსაუბრეს. ხოლო გადმოვცე მისი გამომეტყველება, ისეთივე არასერიოზულობაა, როგორც სიტყვიერად ახსნა შიშკინის სურათი „რუსული ტყე“.

გაკვრით აღვნიშნავ, რომ უცვლელი დარჩა მხოლოდ „ფარანი“ შუბლზე, და მე მგონი იმანაც თანდათან კითხვითი ნიშნის ფორმა მიიღო.

— რო-რომელი კასტორკინი?!

— ივან სერგეევიჩი, ჩვეულებრივი, პატიოსანი, წესიერი მოქალაქე, რომელიც არ გადგა განზე, როგორც სხვები და მოგვცა მართალი ჩვენება თქვენი და მინის ურთიერთობის თაობაზე. აი ასე... რას მიბრძანებთ, რა ვუყო ამას? გადავუძახო კალათაში მისი ახსნა-განმარტება?

(პრინციპში, რა თქმა უნდა, შეიძლება, ნახევარი მასალებისა, ხომ იქ არის, მაგრამ, რომ გადააგდო, ჯერ უნდა დაიწეროს).

— თქვენ რა, სერიოზულად ამბობთ, ახალგაზრდავ? რომელი დანაშაული? სრული აბსურდია. სად არის ეგ თქვენი კასტორკინი? ეტყობა, ის თავადაა ბრუტიანი გოჭი, რაკი ასეთი რამ მოჩმახა.

— ის სრულიად მიუკერძოებელი მოწმეა, ამასთან, არამსმელი. ცნობა თან ჰქონდა ხელზე. ასე რომ, შენი საქმე არც ისე კარგადაა, არკადი ანდრეევიჩ. რას იტყვით?

ბლიუმინგი ჟესტებით ცდილობს გამოხატოს თავისი სულიერი მდგომარეობა, მაგრამ იგი მუნჯების ანბანს ცუდად ფლობს, ამიტომაც არადამაჯერებლად გამოსდის. ბანდიტებთან ისიც გასაგებია.

რამდენადაც მე ჯერ კიდევ გამოუცდელი ვარ, მეც მელევა სიტყვის მარაგი და გადავდივარ სხვა თემაზე.

— რა საქმიანობას ეწევა თქვენი საწარმო?

— პი-ხ-მიხ-დიხ-ოპ...

— ვერ გავიგე, მშობლიურ ენაზე ილაპარაკეთ, გეთაყვა, არ გინდათ ჟარგონების ფრქვევა.

— მგონი, ვხვდები... რამდენი გინდათ?

— რა რამდენი?

— აი-ი-ი...

ცერა თითს საჩვენებელზე უხახუნებს.

„კი მოგართმევდი სიფათში ასეთი ჟესტისათვის, მოქალაქე ბლიუმინგო“ — ამბობს ჩემი შინაგანი ხმა, მაგრამ ხმამაღლა წინდახედულად და მშვიდად ვამბობ:

— როგორ გეკადრებათ, არკადი ანდრეევიჩ, შეინახეთ ადვოკატისათვის, ჩვენ არ ვიყიდებით!!!

რეპლიკა დიდებულად გამომდის მიუხედავად იმისა, რომ ვზივარ. ძალზე მოუხერხებელი მაგიდაა.

— მაშ, რა საქმიანობას ეწევა თქვენი საწარმო?

— უფალო ღმერთო... საზღვარგარეთ ვყიდულობთ ჩვენი ქვეყნისათვის ძალზე აუცილებელი წამლის დამზადებისათვის [illegible] ნედლეულს და ვაწვდით ფარმაცევტულ ქარხანას. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენი [illegible] ადიადი ქვეყნის ჯანსაღ მომავალზე.

არც ბლიუმინგი დგება ფეხზე.

— თქვენ რა, დეპუტატობის კანდიდატი ხართ?

— არა.

— მაშ, ნუ აგიტატორობთ. ვისთან ცხოვრობთ?

— ეს აქ რა შუაშია?

აი ტუტუცი, აბა როგორ გამოგიჩხრეკ, თუ არ ვიცი, ამოსავალი მონაცემები.

— საქმეში ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, თქვენი სექსუალური ორიენტაციაც კი. გენერალური პროკურორის დადგენილებაა. ასე რომ, კეთილ ინებეთ...

ბლიუმინგი სავსებით დაითრგუნა. აბა რა, დაკითხვის ჩატარების ტაქტიკა ხუთიანზე ჩავაბარე. შემიძლია დიპლომიც გიჩვენოთ.

არკადი ანდრეევიჩი თავს ხრის და ლუღლუღს იწყებს.

— ვცხოვრობ ცოლთან და ქალიშვილთან ერთად.

— მანქანა გვყავს?

— დიახ, „ვოლგო“.

— ნომერი გვახსოვს?

— რა თქმა უნდა.

— მოგვეცით.

ბლიუმინგი იძლევა.

ბოლო ხუთ წუთში ბლიუმინგი იძლევა ყველაფერს — დაწყებული ცოლის ხელფასის ცნობიდან დამთავრებული თავისი როტვეილერის გენეალოგიით. თუ რამდენად გულწრფელად — დრო გვიჩვენებს.

როცა გამოჩხრეკისათვის რაღაც ბაზას ვღებულობ, თავს კმაყოფილებით ვაკანტურებ.

— კარგი, დრო ძვირფასია, ქვეყანაში კი თავაშვებულობაა. ბარემ დავამთავროთ. თქვენი ბოლო სიტყვა.

— სად არის თქვენი უფროსი?

— დერეფანში მეორე კარი.

„გაიქეცი, გაიქეცი, მიჩივლე. მიხალიჩი სწრაფად გაგარკვევს უფლება-მოვალეობებში“.

— მაშასადამე, თქვენ დაგიჟინიათ, რომ შემთხვევით დაეცით, არა?

— იცით რა, ახალგაზრდავ?..

— არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. არ არის ასე და ნუ არის. ხომ ხედავთ, ენაზე არავინ გექაჩებათ.

კარზე ვუთითებ. ბლიუმინგი დაუმშვიდობებლად ქრება.

ჩინებულია! შემდეგ რაო, რა მითხრა მიხალიჩმა? ჰო, ოქმი უნდა გადაიწეროს. ეს არ არის პრობლემა. უნივერმაღამდე ორი გაჩერებაა. ბარემ იმასაც ვნახავ, რითი ვაჭრობენ ჩემს ტერიტორიაზე.

განცხადება უნივერმაღის დირექტორისაგან საკმაოდ სწრაფად და პროფესიულად ავიღე. „ქალაქი დიდია, სწორედ გაგვიგეთ, ვალდებულები ვართ რეაგირება გავაკეთოთ“, „რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა...“, თუმცა თავდაპირველად დირექტორს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მის წინაშე შარვალი ჩამეხადოს. მინის ღირებულების შესახებ ცნობა განცხადების გვერდით ძევს. მინა ძვირფასია — ორასი ტონა.* პლუს ჩასმა.

ამჟამად, მონიკელებული ლარტებითა და მინებით მოელვარე იმპორტული გალანტერიის განყოფილების წინ ვდგავარ. განყოფილებას არანაკლებ ელვარე სილამაზის გამყიდველი ჰყავს, ლენოჩკა, რომელიც მოქალაქე ბლიუმინგის დაცემის საპატიო მოწმე გახლავთ.

მინა უკვე შეცვალეს ახლით, ყინულზე სილაა მოყრილი, თუმცა ვერაგი ყინული ზოგან ჯერ კიდევ ავლენს თავისი არსებობის ნიშნებს.

იმპორტული გალანტერია ასორტიმენტით, ფასებით და ხარისხით აშკარად გამოირჩევა დანარჩენი განყოფილებებისაგან. სწორედ ამით აიხსნება, რომ ისეთმა მდიდარმა ადამიანმა, როგორიც ბლიუმინგია, ჰალსტუხი სწორედ აქ შეიძინა და არა ტანსაცმლის სპეციალიზებულ, ელიტარულ მაღაზიაში.

— ლენოჩკა, ნუთუ ალკოჰოლის სუნი არ ასდიოდა. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ სისხლში სპირტის მომაკვდინებელი დოზა იყო. გალეშილი მოკლედ.

— მას ტუალეტის წყლის „პაკო რაბანეს“ სუნი ასდიოდა. ჩვენც გვაქვს ასეთი, ხომ არ ინებებთ შემთხვევით? ნამდვილი ფრანგულია.

— გმადლობთ, სამსახურში ვარ, და საერთოდაც არ ვსვამ. დარწმუნებული ხართ, რომ თავად დაეცა?

— რა თქმა უნდა, იქ უკვე ხუთამდე კაცი დაეცა. სილა იმ ამხანაგის შემდეგ მოაყარეს.

მე შემინულ დახლზე ვაკაკუნებ ავტოკალმით და ვცდილობ დავაფორმულირო მომდევნო მისახვედრი კითხვა. პროცესში გამყიდველის მინი ქვედაკაბა აშკარად მიშლის ხელს, ყურადღებას იპყრობს; ჩვენ კი გვასწავლიდნენ — არ შეიძლება ყურადღების სხვა რამეზე მიპყრობა, უნდა იფიქრო მხოლოდ მთავარზე, სამსახურზე და არა ქალებზე. ჯერ-ჯერობით მთლად ასე ვერ გამოდის. პრაქტიკა მაკლია.

... მითხარით, ელენა, მიმალვას ხომ არ ცდილა. ან იქნებ მეზღვაურივით იგინებოდა?

ელენა ყველა კითხვაზე ხალისით მპასუხობს. ჩემს გამოჩენამდე ის აშკარად მოწყენილი იყო თავის ელიტარულ განყოფილებაში და არ იცოდა დრო როგორ მოეკლა.

— მგონი, თქვა „ფუი ეშმაკს“ და არსად არ გაქცეულა. არც ის და არც მისი მანდილოსანი.

— ხომ არ მომესმა? მას მანდილოსანი ასლდა?

— რა თქმა უნდა. მათ ერთად შეარჩიეს ჰალსტუხი. გემოვნების ნატამალიც არ გააჩნდათ. ყველაზე უმსგავსო შეარჩიეს.

---

* ტონა. (ჟარგ.) — ათასი რუბლი.

— დარწმუნებული ხარ, რომ მისი მანდილოსანი იყო და არა შემთხვევითი ვინმე? იცით, ზოგიერთებს უყვართ დახმარების თხოვნა, როცა მათ არ შეუძლიათ საყიდლის შერჩევა.

— არა, არა, იგი სახელით მიმართავდა. მგონი, არკადი, უფრო სწორად, არკაშა.

კმაყოფილებით ჩავახველე. აჰა, არკაშა ანდრეევიჩ... ეს ... ... ...

— კი მაგრამ, სად ყრის ნაგავს?

— გვერდით ეზოში კონტეინერია, მგონი იქ.

ვეუბნები „გმადლობთ“ და გავრბივარ იმ ეზოში. კონტეინერი სავსეა. საკმაოდ დიდია, მაგრამ რას იზამ. „ბრძენი ადამიანები ჭეშმარიტების სიყვარულის გამო ფრთებით დაჰქრიან და სასოებილოდ იჩეხებიან...“

ვიღებ იქვე დაგდებულ ჯოხს და ვიწყებ კონტეინერის ქექვას, ვათვალიერებ ნაცნობი მოხაზულობის ტიპიურ ბლანკს. პირველი სამი წუთი უშედეგოდ გადის. იმედს არ ვკარგავ. „ბრძენი ადამიანები ფრთებით დაჰქრიან...“

— გრცხვენოდეს ბოთლებს რომ აგროვებ, — მესმის ზურგს უკან მანდილოსნის გაანჩხლებული ხმა — ასეთი ახალგაზრდა ცხენ-ირემი, ხვნა-თესვა შეუძლია. აკი წესიერადაცაა ჩაცმული. ღმერთო, საით მივექანებით?

„ცხენ-ირემისათვის პასუხს აგებ“, — ყვირის ჩემი შინაგანი ხმა, მაგრამ რომ შემოვბრუნდი, მივხვდი, სხვის ტერიტორიაზე მოსაქმედ ჩამთვალეს. ქალს კუთვნილ ლუკმას, უფრო სწორად, ვისკის ყლუპს ვართმევდი. კონკურენტად მიმიჩნიეს.

— ჰო, მაცალე, დედილო, ოქროს ბეჭედი ჩამივარდა...

ძებნა გრძელდება. ჯეიმს ბონდი ჰონდურასის ჯუნგლებში. რომანტიკა!

პირველი ტაიმის მეშვიდე წუთზე გამარჯვების ნიშნად ხელები მაღლა შევმართე. არის! აი ის, დიდი ხნის ნანატრი ოქმი! ო, რა შვებაა!

სიარულში ფურცელს ვასწორებ და გეზს განყოფილებისაკენ ვიღებ.

ბლიუმინგის მეგობარ ქალიშვილს ირა ჰქვია. მართლაც და არ იგრიხება. ირინა ალექსეის ასული რიაბინინა. ხოლო ბლიუმინგის ცოლის გვარია — ბლიუმინგი. დედუქცია. გამოდის, რომ ირინა ცოლი არ არის. ერთით ნული ჩემს სასარგებლოდ. უკვე მაქვს მაგიდაზე დასადები.

ეშმაკმა დალახვროს, შემთხვევით ხმამაღლა, ხომ არ ვლაპარაკობ? ფუ, მგონი არა... ვილაც გარეშეს რომ გაეგო, რაზეა საუბარი — ჰონდურასის ულრანებში გაიქცეოდა. ოღონდ გარეშე, სამინისტროში არამომუშავე. თორემ მომუშავე — ხელს ჩამომართმევდა.

●

პოლიციის აკადემიის ერთ-ერთი მასწავლებელი გამუდმებით გვიმეორებდა შესანიშნავ ფრაზას: „თუ კაუჭს წამოაგებთ ქაღალდს, წარწერით „ჭია“, მაშინ გუბურადან ამოიღებთ ქაღალდს წარწერით „კარჩხანა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველნაირ საქმეში მნიშვნელოვანია პროფესიული მიდგომა. არ უნდა დაუშვა უმნიშვნელო და დაუფიქრებელი სვლები“.

ვიხსენებ ამ ფრაზას და ვემზადები ჩემს „კაცთან“ პირველი შეხვედრისათვის. გადავწყვიტე გაცნობა არ გადავდო ხანგრძლივი დროით. დღესვე მოვითავებ. ავკრიფე ნომერი და მავთულის მეორე ბო-

ლოში ყურმილის აღების შემდეგ კარგად დაყენებული ხმით წარმოთქვამ:

— ალექსანდრ ალექსანდროვიჩი ბრძანდებით? გამარჯობათ, იური მარკოვი სალამს გითვლით. ხომ იცნობთ? შესანიშნავი! უცილებლად უნდა შეგხვდეთ და მოგელაპარაკოთ. დღეს, საღამოს შვიდზე დაგელოდებით კინოთეატრ „პოდვიგის“ შესასვლელთან. „ოქროფიის ბედი“ გადის. შევიდეთ ვნახოთ. რატომ კინოთეატრში? კონსპირაციისათვის. ასე რომ, ვიქნები შავ ქურთუკში, კეპსა და ჭრელ შარფში. აი კიდევ რა, ჟურნალ „ოგონიოკს“ წამოიღებ ორიენტირად. შევთანხმდით. გელოდებით.

ვდებ ყურმილს და კაბინეტებში გავდივარ, რათა შევიტყო, ვის რა სმენია სან სანჩიზე.

ვასკა „ამოღებულ“ ვიდეოს უყურებს თავის კაბინეტში და როხროხებს. ვასკას სულ ერთი კასეტა აქვს, რომელსაც აწერია „პოლიციის აკადემია“. ყოველ დღე უყურებს და ყოველთვის კვიცივით ჭიხვინებს. ის ვერაფერს მეუბნება და გვერდით კაბინეტში, ვალკა შჩეგლოვთან მაგზავნის. „მაპატივე იუროკ, ცოტახანს არა მცალია“...

ვალკა შჩეგლოვი, მეტსახელად „კომერციული დირექტორი“ ან უბრალოდ, „დირექტორი“, ეკონომიკური საკითხების სპეციალისტი, კავშირები აქვს კომერსანტებთან, რის წყალობითაც განყოფილება ტექნიკის უახლესი სიტყვით: „ფასით, კომპიუტერით, „მოტოროლით“... აღჭურვა. ამჟამად ვალკა სავარჯიშო დარბაზში იმყოფება. თავისი შესაძლებლობებისა და კავშირების პატრონს სისხლის სამართლის სამძებროში თუ რა დარჩენია, ეს არავინ იცის. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ის, როგორც სხვა ოპერები, მატერიალური შეძლებით არ ბრწყინავს. ესე იგი, ცხოვრობს მხოლოდ ხელფასზე.

ვასკა მომიყვა, რომ ერთი ამბის შემდეგ ვალენტინს უყვარს ხუმრობით თქმა: „შჩეგლოვი შეიძლება მოისყიდო, მაგრამ შეაშინო — წყლის ნაყვაა“. ამბავი კი ასეთია: ბანდიტების ერთმა ბრიგადირმა, როცა ვალკამ მისი ხელქვეითი ნარზე გააგზავნა, გადაწყვიტა დატაკებოდა შჩეგლოვს. თავდაპირველად, როგორც ჩვევიათ, მოლაპარაკებით, შემდეგ კი შეშინებით. ვალკამ აიღო და ავტორიტეტი თხუთმეტი „დღით“ ჩასვა — პროფორმისათვის. ავტორიტეტმა შჩეგლოვზე ბოლმა გულში ჩაიმარხა და გადაწყვიტა სამაგიეროც მისივე მეთოდით გადაეხადა. ადგა და მილიციის უფროსობას ჩააწვეთა, რომ ოპერი მას ფულს აძლევდა დაპატიმრებული ამხანაგის გასათავისუფლებლად. იდეა აიტაცეს — ხმები შჩეგლოვის ეკონომიკური ნიჭის შესახებ მთელი რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში ტრიალებდა. შექმნეს ბრიგადა ვალკას სამხელად: თავი მოუყარეს ათამდე კაცს სხვადასხვა სამსახურიდან, სალაროდან აიღეს ხუთი „ლიმონი“,* გადაცვალეს ბაქსებზე, დანიშნეს, ჩადეს კონვერტში და ჩააბარეს ავტორიტეტს.

დათქმულ დროს ივი ოპერთან გამოცხადდა ჯიბეში-დიქტოფო-

---

* ლიმონი — (ჟარგ.) მილიონი.

ნით. ესაუბრა განყენებულ თემაზე და გამობრუნებისას კონვერტი შეუმჩნევლად დატოვა მაგიდაზე.

მაგრამ ვალკა გამოირჩეოდა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მათემატიკური ნიჭითაც. ამიტომ მაშინვე გათვალა სიტუაცია — მოესმა კართან მოახლოებული მძიმე ნაბიჯების ხმა და დაინახა რაღაც კონვერტი. მიხვდა, რომ „ნალმზე დასვეს", [illegible] გამოიღო პირიდან სალეჭი რეზინა და კონვერტი ფანჯრის რკინის წინაფრის ქვეშ მიაწება. რა თქმა უნდა, გარედან.

კაბინეტი მეორე სართულზე იყო. ფანჯრის ქვეშ წინასწარ მოწვეული თანამოწმეები იდგნენ — კონვერტის ქუჩაში გადმოფრენის შემთხვევისათვის. მაგრამ კონვერტი ქუჩაში არ გადმოფრენილა. ვალკამ პროცესი დროზე მოათავა. ერთი წამის შემდეგ ოთახს დამპყრობთა ჯგუფი დაეცა, მოითხოვა სეიფის გასაღები და შეუდგა შჩეგლოვის მხილებას.

ერთი საათის ძებნის შემდეგ, როცა დაათვალიერეს კაბინეტის ყოველი კვადრატული სანტიმეტრი, გასინჯეს სკამები და შპალერი, მხილება ჩიხში მოექცა. ვერც სიტყვიერი დამუშავებით გააწყვეს ვერაფერი. ვალკამ ყველაფერი უარყო. დამპყრობთა ჯგუფი ხელმოცარული წავიდა.

სამი დღის შემდეგ შჩეგლოვი ჩუმად გამოიძახა რაისამმართველოს უფროსმა და სთხოვა დაებრუნებინა ხაზინის ფული.

— გაგვიგეთ ვალენტინ, ის ფული ხომ სალაროდან გამოიტანეს, როგორ გადაუხდიან? ნუ ჩაიდენ ამას, დააბრუნე, შენ ხომ პატიოსანი კაცი ხარ. შენი დაწვა ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა.

— გმადლობთ ნდობისათვის, ოღონდ მე არავითარი ფული არ ამიღია. იქნებ თავად ავტორიტეტმა მიითვისა? ჰოდა, მას დააყრევინეთ.

მიუხედავად ყველანაირი სურვილისა, ვალკამ ფულის დაბრუნება ვერ შეძლო. ის მთელმა განყოფილებამ შესანსლა, ნარჩენებით კი ნაბახუსევზე გამოვიდნენ.

— კარგი, შჩეგლოვ, ოღონდ იცოდე, პირველსავე. შესაძლებლობაზე გაგაბამთ და ერთიანად გაზღვევინებთ.

სწორედ მაშინ წარმოთქვა ვალკამ ზემოთ ნახსენები ციტატა პირდაპირ შეფის კაბინეტში.

დღემდე შჩეგლოვის გაბმა ვერავინ შეძლო იმ უბრალო მიზეზით, რომ მას არ აუღია.

ოპერებიდან პირადად მე ყველაზე მეტად შჩეგლოვი მომწონს. მასში იგრძნობა ბუნებრივი ინტელიგენტობა, შეხამებული ფხიზელ ლოგიკასა და დამოუკიდებლობასთან. ამასთან ის მახვილგონიერიცაა, რითაც ავტომატურად ითრევს თანამოსაუბრეს.

სან სანიჩის შესახებ ვალენტინისაგან შევიტყვე, რომ პუტჩის დროს, ოთხმოცდათერთმეტში, პრეობრაჟენსკიმ ისარგებლა საერთო პოლიტიკური არეულობით და სხვის „ზაპოროჟეცს" ორი ბორბალი მოხსნა, მაგრამ იგი დააკავა ოპერმა მარკოვმა, რომელიც იმ დღეს რატომღაც ფხიზელი იყო და რომელსაც პოლიტიკისადმი შეუწყნარებ-

ლად გულგრილი დამოკიდებულება ახასიათებდა. იურკამ სან სანიჩი ციხეში კი არ გამოკეტა, ქანდარაზე შემოსვა, საიდანაც იგი პერიოდულად ეჭიკჭიკებოდა მის ტერიტორიაზე ოპერატიული მდგომარეობის შესახებ.

შჩეგლოვმა გამაფრთხილა, პრეობრაჟენსკისთან ფრთხილად ვყოფილიყავ და ქვეშ-ქვეშ ჩაიღიმა.

ცხრამეტსა და ნულ-ნულზე მე კინოთეატრ „პოდვიგის" შესასვლელთან ვიდექი, თვალებზე კეპი ჩამოვიფხატე, საყელო ავიწიე და ილლიაში „ოგონიოკი" ამოვიჩარე.

— ეს შენ ხომ არ დამირეკე? — მომესმა ზურგს უკან წრიპინა ხმა.

— თუკი სან სანიჩი ხარ.

— სწორედ, რომ სან სანიჩი ვარ, აი, შენ საიდან ჩამოვარდი, ვისი ტიკიტომარა ხარ?

სან სანიჩი ორმოცი წლის იქნებოდა. მას კეთილი თვალები და მკვეთრად გამოხატული ლოთის სახე ჰქონდა. გაცრეცილი პალტოს შიგნით, მკერდის მიდამოებში ბოთლის მოხაზულობა ამოვიცანი.

თავი დავუქნიე და ისე, რომ „ოგონიოკი" ილლიიდან არ გამომიღია, პარკის მხარეს დავიძარი.

პრეობრაჟენსკი აქეთ-იქით ცქერით კვალში მომყვა. აბა რა, აი, ისიც, დაიწყო ნამდვილი ოპერატიული მუშაობა, რომელსაც მთელი სამი წელი და ათი დღე ველოდი! აღსრულდა! და თუმცა, იუროკ, ჯერ კიდევ არ ხარ ჯეიმს ბონდი, შარაპოვი თითქმის ხარ. იმოქმედე!

●

მარცხენა თვალს ვახელ. ბურუსია. მარჯვენას — ისევ ბურუსი. მითხარით, რომელ თვალში მაქვს ბურუსი? აი, ვერ გამოიცანით! ბურუსი ორივეში მაქვს.

ვცდილობ, ხელები გავანძრიო. ოი, მგონი ისინი აღარც მაქვს. სუნი მცემს, ზამთრის დილაა! სუნი სადღაც ახლოა, საჭიროა თავი წამოვწიო და განვსაზღვრო მისი წყარო. ოი, დედა! კეფაში მწვავე ტკივილმა დამიარ, შემდგომ შუბლზე გადმოინაცვლა. სჯობს თავი საერთოდ არ ავწიო, სჯობს დავტოვო როგორც არის. ბურუსი. ხმები, სადღაც შორს, როგორც სიზმარში. ჩრდილი. მგონი, ვკვდები.

— მიხალიჩ, გაგეფრთხილებია მაინცა ბიჭი.

— როგორღაც დამავიწყდა. წლის ბოლოა, მაგისთვის სად მეცალა.

— არ მეცალა, არ მეცალა. საბრალო იურკა. ჯერ ხომ სრულიად ყმაწვილია. შეურყვნელი.

ბურუსიდან მიახლოვდება ჩემი დამრიგებლის, ვიტკა ჩერნენკოს ხელი და მზრუნველად მედება შუბლზე.

— მჟავე მოუხდებოდა ახლა, მცოდნოდა. არ გავუშვებდი. აი, სან სანიჩ, ჩამივარდი ხელში ოღონდ. აბა, ჰე, იუროკ, აბა ჰე, წამოდექი. საღამომდე გადაგივლის, მიუჩვეველი ხარ.

ვილაცის ხელი ფრთხილად ცდილობს მხრებით წამომწიოს.

პერსპექტივა ტრიალებს და მესამე ბრუნზე მყარ პოზიციას იჭერს. ვცნობ ჩემი კაბინეტის მოხაზულობას. სუნი არ ქრება. იგი საზიზღარია და გულს მირევს. თავს ვხრი და პირდაპირ სვიტრსა და შარვალზე ვამჩნევ ნარწყევი მასის ნარჩენებს. იმედი, ჩემსა...

— ეგ არაფერი, იუროკ. „ტიკსი" და მისი ... ... დოზითაც იწმინდება.

მინდა ისევ დავვარდე. დამრიგებლის ხელი არ მიშვებს. ხელს მაშველებს მძიმე წუთებში.

არაფერი მახსოვს. პარკი მერხი. ბოთლი. მგონი „რუსსკაია". შემდეგ მე დავლიე? ვისთან დავლიე? არ მახსოვს. არაფერი მახსოვს.

— არა უშავს, იუროკ, არა უშავს. მარკოვის მთელი სპეცაპარატი ასეთია. შეეჩვევი.

აჰა, ჰო. სპეცაპარატი. შეხვედრა, კონსპირაცია. „დოლის ბედი" ნამდვილად! სან სანიჩი. მან გაცნობისა შემომთავაზა. უარი არ მითქვამს, იმიტომ, რომ გვასწავლიდნენ — უნდა ეძებო ურთიერთობის წერტილები.

თუ „კაცი" აგროვებს მარკებს, შენც შეაგროვე, თუ შაშს თამაშობს, შენც ითამაშე. ეძებე წერტილები. მგონი, სან სანიჩის წერტილი ვიპოვე. ახლა რაღაც გამოვა.

ვცდილობ, ვიტკას რაღაც ვკითხო, მაგრამ ენა არ მემორჩილებდა ვდუმდები.

— კარგი, — აცურდა ხმა ბურუსში, — დაწექი, დაწექი... — მე მინერალურზე გავვარდები. შველის...

ძილი.

საათის მიხედვით შუადღეა. ვზივარ ჩვენს დივანზე და ერთ წერტილს მივჩერებივარ. სხვადასხვა რამეზე ცქერა მტკივნეულია. მეორე ბოთლი მინერალური ეს ესაა ჩაისხა ბენზინის ავზში. არაფერს შველის. ცუდად ვარ.

— მითხარი, ვიტია, რისთვის გაუშვეს სამსახურიდან მარკოვი? ოღონდ გულწრფელად, — ენა თანდათანობით ახერხებს მშობლიური სიტყვების წარმოთქმას.

— აქ არავითარი დიდი საიდუმლო არ არის. მინისტრის მობრძანებას ელოდებოდნენ ჩვენს განყოფილებაში, როგორც ტექნიკურად უკეთ აღჭურვილში. მშრალი კანონი რაღაც ერთი კვირის შემოღებული იყო. იურამ მეხუთე დღეს ველარ მოითმინა. ზუსტად ვიზიტის წინ გატყდა. თანაც მორიგეობის დროს.

მინისტრი ამალით გვეწვია. დაათვალიერა ყველაფერი და ოპერებთან შეხვედრა გადაწყვიტა. ჩვენ ყველანი, გავილალეთ განყოფილებიდან, იურკა დარჩა, როგორც მორიგე. დერეფანში გამოვიდა პატაკისათვის. დერეფანი ხალხითაა სავსე — სულერთიანად „ლამპა-

სი".* მხოლოდ ერთია მოსასხამში და ქუდში. დარბაისელი. იურკამ მას უპატაკა. ყველა მინისტრი, სამხედროს გარდა, სამოქალაქო ფორმაში დადის. „დღეგრძელობას გისურვებთ, ამხანაგო გენერალო! სრსხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული მარკოვი!".

გამარჯობათ, გამარჯობათ, ამხანაგო ოპერრწმუნებული და ნახვამდის, ამხანაგო ავტობუსის მძღოლო.

აი, სულ ეს არის. იურკა საპასპორტო განყოფილებაში მიღებაზე მოსულ მოქალაქეს მიესალმა გენერლის ნაცვლად. გენერალი მარცხნივ იდგა.

დავასლოკინე. პირში სუფად ნაგვის კონტეინერი მაქვს.

— რა მოხდა გუშინ?

— ჰო, საერთოდ, არაფერი საშინელი, სან სანიჩმა სადღაც ღამის ორ საათზე მოგიტანა ზურგით. უწყინარი კაცია, ოღონდ ეს საქმე უყვარს. არაყი ჯიხურში აიღეთ?

— არ მახსოვს.

— მაშასადამე, ჯიხურში. საერთოდ, უკეთესია სან სანიჩის ავშარას არ მიჰყვე, გეთქვა, არ ვსვამო.

— რა ვიცოდი.

— დიახ, ეს „პრაკოლია". გითხრა მაინც რაიმე სასარგებლო?

— არ მახსოვს.

მოულოდნელად პისტოლეტი მახსენდება და ხელებს გვერდებზე ვიტყაპუნებ.

— იარაღი არ არის, ვიტია!

— კონიაკი შენზეა. სან სანიჩმა იარაღი თავად ჩაიდო, შემთხვევით რომ არ ამოვარდნოდა. შემდეგ კი სამორიგეოს ჩააბარა. მომავლისათვის მხედველობაში იქონიე — საჭიროების გარეშე იარაღი არ ათრიო.

— არ მინდოდა, ვიტ, — საცოდავად ვბუტბუტებ.

— თავს ნუ იმართლებ, ყველაფერი მესმის. ახლა შინ წადი. კაცის ფერი არ გადევს. დედაშენს დავურეკე და ვუთხარი, რომ საქმეზე ხარ, დაიმახსოვრე ყოველი შემთხვევისათვის. აბა, წადი. ნუ ბრწყინავ აქ, თორემ რაიონული სამმართველოდან შემოეხეტება ვინმე. სიმთვრალესთან ბრძოლის ერთთვიური გვაქვს.

მე როგორღაც ვდგები, ტუალეტში შევდივარ, ბაკნის ზემოთ ჩემი გარდერობი წესრიგში მომყავს და კოჭლობით მივდივარ გასასვლელისაკენ. დერეფანში მიხალიჩს ვაწყდები.

— ა, იურა. როგორ გრძნობ თავს, ძვირფასო?

— მაპატიეთ, სერგეი მიხალიჩ, ისე მოხდა...

— არაფერია, არაფერი, ყველაფერი რიგზეა. ბოროტი განზრახვით ხომ არ მოგსვლია. გამოუცდელობით მოგივიდა. ასე ამბობდა ამხანაგი საახოვი: „ვერ გათვალა ძალები. ტრავმა წარმოებაში". დაისვენე.

---

* ლამპასი — (ფრ.) განიერი ფერადი ზოლი, დაყოლებული ფორმის შარვლის გვერდით ნაკერზე.

●

ძალების აღდგენა მეორე დღის დილიდანვე დამეწყო. კეფირი არაჟანი, ანალგინი, კონტრასტული შხაპი, ჯანსაღი ძილი. დედა მეკითხება, ტყუილუბრალოდ ხომ არ მოგიწია თვალთვალი, დაიჭირეთ თუ არა დამნაშავეო, სარისკო ხომ არ იყოო. ვპასუხობ პატისონად — რისკი იყო, დამნაშავე არ აგვიყვანია, მაგრამ სულ ერთია, მაინც დავიღალე, ვნერვიულობდი. ამიერიდან ფრთხილად ვიქნები.

ამჟამად ლიფტით მეშვიდე სართულისაკენ მივემართები. განვაგრძობ დახურული ტიპის საზოგადოების დირეტორის, საზოგადოებრივ ადგილზე მინის გამტეხის, ვინმე ბლიუმინგის პირად ცხოვრებაში ახლახან დაწყებულ ქექვას. ირინა ალექსეის ასულ რიაბინინამ, მისმა მეგობარმა მოიტყუა თავისი მისამართი, უფრო სწორად, მოატყუა უბნის რწმუნებული. კარგად მოვისაზრე — შემემოწმებია სამისამართო ბიუროში. ისმის კითხვა, ჩვეულებრივ სიტუაციაში რატომ უნდა იტყუებოდე? ალბათ არც რატომ. ჰოდა, აქედან დავიწყებ ჩხრეკას.

ცრუპენტელა რიაბინინას ბინასთან ვიმყოფები და თითს ვაჭერ მეზობლის ზარს. სხვის ბიოგრაფიაში ჩხრეკის ტაქტიკა. პუნქტი პირველი.

ბინა არ არის ცარიელი. იქ ორმოცდახუთიოდე წლის ქალი ცხოვრობს, რომელიც კარს აღებს და ფრთხილი თვალით იტაცებს ჩემი სხეულის ნაწილს — ჯაჭვის სიფართემდე.

— ვინ გნებავთ?

— მილიცია, — ჭრილში მოწმობიანი ხელი შევყავი, ვცდილობ, სახე არ გამომიჩნდეს.

— მერე რა?

— დიახ, საერთოდ, არაფერი. თქვენს სადარბაზოში გუშინ მამაკაცი გაასუფთავეს, ერთი სიტყვით, ფული წაართვეს. ჩვეულებრივი საქმეა.

— მერე, მე რა შუაში ვარ? მე ხომ არ გამიძარცვავს.

— ცოტა ხმადაბლა, თუ შეგიძლიათ და უკეთესია არა კარს მიღმიდან.

ქალმა კიდევ ერთხელ შემავლო თვალი და როცა თვალებში სიკეთე დაიჭირა, კარი გამიღო. წინკარში შევედი.

— ისტორია ასეთია. დამნაშავე ქუჩაში არ გაქცეულა, კიბისაკენ გაქანდა, დაზარალებული დაედევნა, მაგრამ სადღაც თქვენი სართულის მიდამოებში კვალი დაკარგა. არის ეჭვი, რომ ბოროტმოქმედი ამ მოედნის რომელიღაც ბინაში მიიმალა. თქვენთან არ შემოსულა, თქვენ გიცნობთ, როგორც პატიოსან ქალბატონს, მაგრამ მეზობლებში კი არ ვართ დარწმუნებული.

როგორია, კლასიკურად ვცრუობ? როგორც მასწავლეს.

ქალი კმაყოფილებით მიქნევს თავს, მეთანხმება, რომ მის მიმართ არ შევმცდარვარ.

— აი, ავიღოთ მაგალითად ბინა მარცხნივ. იქ ცხოვრობს ვინმე ირინა რიაბინინა. პატიოსანი ქალია?

— ირეჩკა? როგორ გეკადრებათ, ახალგაზრდავ, სერიოზული გოგოა, მასთან არავის შეეძლო შეერბინა.

— მარტო ცხოვრობს?

— არა, დედასთან ერთად. ისიც დიდებული ქალია.

— აი, დედა შეიძლება ცდებოდეს ქალიშვილის ნაცნობებში, ასე ხშირად ხდება. სახლში ანგელოსია, ქუჩაში კი ხალხს ძარცვავს. რას საქმიანობს, შემთხვევით, ხომ არ იცით?

— რატომაც არა? ის სადაზღვევო კომპანიის მმართველია. აქვე ახლოს, ორ კვარტალში. მან დაზღვევა შემომთავაზა, ტაიფუნის, ღვარცოფისა და შეწყერისაგან.

— დაეზღვიეთ?

— დიახ.

— სულ ამაოდ. ჩვენთან ასეთი მოვლენები არ ხდება.

— ხდება, ხდება, მათ სტატისტიკური მონაცემები აქვთ. უკვე რვა შემთხვევა იყო ამ წელიწადში, მათ შორის ერთი ძახლობელ სახლში.

— რა, ტაიფუნი?

— მეწყერი.

— მაშინ, ალბათ მეც დავეზღვევი, „ტორნადოსაგან". ამ კომპანიას რა ჰქვია?

— აი... როგორ ეძახიან... „სტიქსი".

— არა უშავს სახელია. მგონი, მდინარეა იმ ქვეყნად, ბერძნულ წმინდა ხელნაწერებში.

მე მომწონს. კარგად ჟღერს.

— დიახ, ღმერთი იყოს მათი მფარველი. მაშასადამე, ირინა შრომობს. მოდით, მეორე მეზობელთან გადავიდეთ. აი ის, პირდაპირ...

ნახევარი საათი დამჭირდა საქმის მოსაგვარებლად, რათა დამემალა გამოკითხვის ნამდვილი მიზეზი, რაც თავისთავად ძალზე უინტერესო და მოსაწყენია. მალე მაინც მოხდეს ისეთი შემთხვევა, სროლა მომიწიოს. ცოტა-ცოტა-ცოტა ცეცხლი.

საუბარი ოდნავ შეალამაზა სრულიად საიდუმლო ინფორმაციამ ზემო სართულზე მცხოვრები ნარკომანების შესახებ.

გაგონილით სრულიად კმაყოფილმა, მეზობელ ქალს დავემშვიდობე.

კლასიკურია, ოღონდაც! ასეთი ახალგაზრდა ქალიშვილი და უკვე მმართველი, ვაჰ. ნუთუ თავად მიაღწია? რა დაემართა ჩემს ამაყ ხალხს? ვიღაც ბრიყვი ქალი მაგიდის თავში ზის! სისხლი დულს მთიელის მგზნებარე გულში! საღ არის ჩემი ხმალი?

უჩვეულო ბერძნული სახელის კომპანია საკმაოდ იოლად ვიპოვე, მას შემდეგ რაც ყველა ახლომახლო ეზო დავირბინე. „სტიქსს" ეჭირა პატარა საცხოვრებელი სახლის პირველი სართული. ერთნაირი მოხაზულობის ფანჯრის გისოსებით მივხვდი. ფირნიში ნაკლებად შესამჩნევი ჰქონდა, რაც რეკლამის სრულ იგნორირებაზე მეტყველებდა. „თევზის თვალიან" ლითონის კარს ვკარ ხელი და შევედი, ვიმედოვნებდი რომ სითბოთი და ყურადღებით შემხვდებოდნენ როგორც ყველა ცივილიზებულ სადაზღვევო კომპანიაში. მაგრამ ნაცვლად სითბოსი და

ყურადღებისა, ჩემს თვალწინ გორილასავით ჭაბუკი წამოიჭიმა, ბორდოსფერ პიჯაკში:

— ვისთან მიდიხართ?

— უბრალოდ,.. ტაიფუნისაგან მინდა...

— ა, წამოდი.

ჭაბუკმა წინ გამატარა და თავად უკან ამომიდგა. ვიმედოვნებ ამ კანტორაში არ ნადირობენ ადამიანთა ორგანოებზე და ცოცხალი გავალ აქედან. ფუი-ფუი...

პირქუშად გავიარეთ დერეფანი, შევუხვიეთ მარჯვნივ და მუხის კართან შევდექით.

— აქეთ.

— გმადლობთ...

ჰო, თუმცა, სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ ამჟამად ზამთარია, უფრო ზუსტად, დეკემბერი — შესანიშნავი თვე, ჩვენი დიადი პოეტის ტიუტჩევის მიერ ნაქები! ოი, მაპატიეთ... რაღაც ვერ ვარ დღეს.

ტაიფუნისაგან დაზღვევას არ ვაპირებ. ღვარცოფისაგან მით უმეტეს. იყო ცთუნება თავი დამეცვა წყალდიდობისაგან, მაგრამ დროულად გამახსენდა, რომ მეშვიდე სართულზე ვცხოვრობ და ჩვენს წალეკვას მხოლოდ ზედა მეზობელი თუ შეძლებს. კომერციული დაზღვევის მთელი ბრწყინვალება წარმომიჩინა, სამწუხაროდ, არა ირკა რიაბინინამ (აი ასე ფამილარულად, მამის სახელის, თანამდებობის გარეშე, წმინდად მენტურად*), არამედ, რაღაცნაირი ცისფერი მიდრეკილების მერეკლამე ყმაწვილმა. ხან ხელზე მეხება, ხან საკუთარი უკბილო ენამახვილობაზე ხითხითებს. ვაცია მოკლედ. მე მისი უმსგავსობა და მით უმეტეს დაზღვევის შემოთავაზებული ვარიანტები კი არა, შენობის შინაგანი მოწყობილობა მაინტერესებს.

ოფისის მორთულობა ნაკლებ თვალში საცემად გამომწვევი აღმოჩნდა. სხვა კომპანიებში, სადაც მე მომიწია დავზღვეულიყავი სტიქიური უბედურებისაგან, დაწესებულების სოლიდურობას ხაზს უსვამს ძვირფასი და პრესტიჟული ინტერიერი — რენესანსის ეპოქის ტილოებიდან (ტილო, საღებავი) დაწყებული — ტურბოგამაგრილებელი კოკომპიუტერებით დამთავრებული. ყოველ შემთხვევაში მე ასე წარმომედგინა ფეხზე მტკიცედ მდგომი ფირმა.

აქ კი ასეთი არაფერია. იაფფასიან შპალერზე ჭიკარტებით მიმაგრებული მუყაოს პიკასო, ლითონის სეიფზე გვალვისაგან გაყვითლებული კაკტუსი და შენს ცხოვრებაში ნათელი გზის კომპანია „სტიქსის“ სარეკლამო კალენდარი, მესამეხარისხოვანი შიშველი ქალით.

თუმცა, შესაძლოა — ესეც სარეკლამო ოინია. გვიყურეთ, რა კარგი ბიჭები ვართ, არაფერი გვაქვს კაკტუსის გარდა, იმიტომ რომ ჩვენი დევიზია: ყველაფერი კლიენტებს, ყველაფერი კლიენტებისათვის.

ოთახში მეორე მაგიდა მიგვანიშნებს, რომ ცისფერი აგენტი მარტო არ შრომობს. ამასვე ადასტურებს რქის საკიდი, რომელზეც მა-

---

* მენტი (ჟარგ.) — მილიცია.

მაკაცის შავი ქურთუკისა და ბეწვის ქუდის გარდა, ქალის ყავისფერი, ბეწვის მოსართავიანი პალტოც ჰკიდია — გამყიდველ ლენას ოცნება. დასკვნა: ამხანაგი მმართველი გასულია... სხვა შესაძლო ვარიანტებს გამოვრიცხავ. ასეთი რამ კი ბუნებრივია. აი, მგონი, მეც მოვინდა. ალბათ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ...

ამიტომ ვამბობ, გმადლობთ და ადგილიდან ვწყდებიან

არ მაცილებენ. მარტოს მიწევს სანიტარული კვანძის მოძებნა. ის მთელ კომპანიაში ერთადერთია და თანაც საშინელი. ფირმა „ისკრასოფტის" საოცრებაზე „სტიქსში" არასოდეს სმენიათ, სამაგიეროდ, როგორც ჩვენს განყოფილებაში, აქაც გაზეთი გამოიყენება.

ტუალეტი ცარიელია (მე, რა თქმა უნდა, თავდაპირველად დავაკაკუნე).

დაეჭვებით ვათვალიერებ კომპანიის დერეფანს. იქ ტუალეტისა და მუხის კარის გარდა, კიდევ ერთი კარია. ალბათ დირექტორი იქ არის. გავიარე დერეფანი და სახელურს დავეჯაჯგურე. ნურას უკაცრავად, დაკეტილია.

ვიხსენებ ურცხვ ბავშვობას და საკლიტულის ჭუჭრუტანაში ვიჭყიტები. ჭუჭრუტანა დიდია, მაგრამ შიგნით არაფერი ჩანს, მალევიჩის ნახატის „შავი კვადრატის" გარდა. სუნთქვაც კი არ ისმის მე კი ვიმედოვნებდი, რომ უეცრად ირინა ალექსეევნას დავლანდავდი.

— ეი, რა დაგრჩენია მანდ?

ელვის სისწრაფით ვსწორდები და თავდახრილი მორცხვად ვამბობ:

— დიახ, აი, ტუალეტი მინდოდა...

— ჩვენ მხოლოდ სამსახურებრივი გვაქვს. წადი მეტროში.

ამხანაგი „შინდისფერში" არ მიდის, ესე იგი, უცდის ჩემს გაუჩინარებას. მეც ვითომ დამწუხრებული ქუჩაში ვუჩინარდები.

„სტიქსის" პარმალთან მოვლენების წარუმატებელი შემობრუნება მელოდება. მოპირდაპირე მხარეს მუქ-მწვანე „ვოლვო" გაჩერდა და იქიდან ტყავის საქალალდითა და ღია--ალისფერი ვარდებით ხელში არკადი ანდრეის ძე ბლიუმინგი გადმობობღდა. რა სიხარულია! გამარჯობა, შვილო! სულ ჩამოდი? არა, დედილო...

არსად წასასვლელი არ მაქვს და მეც მტრისკენ შეუნიღბავად და მტკიცედ მივემართები. ისე, გულწრფელად რომ ვთქვა, სჯობს საერთოდ არ შევხვდე. სიბნელეში უფრო მოსახერხებელია ჩხრეკა.

— თქვენ? თქვენ აქ რას აკეთებთ?

ოდნავ ვღელავ და ვიწყებ დედო-სიმართლის გამოჭრას:

— აი, ისა!.. მინდა ირინა ალექსეევნა რიაბინინას დაველაპარაკო. თქვენი შემთხვევით, ვითომდა შემთხვევით დაცემის თაობაზე. იქნებ დაადასტუროს ამხანაგ კასტორკინის ჩვენება?

ბლიუმინგი მეტალურგიული ლაქებით იფარება. მიმდინარეობს დნობის პროცესი. ქვეყანამ მიიღო თუჯის პირველი ტონა.

— თქვენ რა, ჭკუიდან...

— მაპატიეთ, ვჩქარობ. თუ ნახავთ ირინა ალექსეევნას, გადაეცით, რომ ველოდები ნებისმიერ დროს.

„ვოლვოს“ გვერდს ვუქცევ და მივემართები დამაჯერებელი და მშვიდი ნაბიჯებით. ზურგიდან ბლიუმინგის გამბურღავ მზერას ვგრძნობ, მერე რა. დაე, მბურღოს, ვერაფერს დამაკლებს. ჯაგშანი მაცვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასადილევს განყოფილებაში ვბრუნდები. დამრიგებელი არ არის. წერილი დაუტოვებია, რომ ტერიტორიაზეა და შეიძლება დღეს დაბრუნდეს. ვჯდები, რათა მის მაგივრად შევავსო სამძებრო-საინფორმაციო ბარათები — უზარმაზარი ფურცლები, მრავალი გაუგებარი პუნქტით. ბარათები დგება ყოველ დანაშაულზე, საინფორმაციო ცენტრის მონაცემთა ბანკში ჩასატვირთად.

ახლა წლის ბოლოა, უფროსობა ოპერებისაგან ვალებს ითვლის, ჩემს დამრიგებელს კი ისეთივე ვალები აქვს, როგორც კომპანია „ჰოპერს“. დამრიგებელმა თავისი პრობლემები ჩემს ნორჩ მხრებს გადმოაბარა და განაცხადა, პირველ ხანებში ჩვენც ასე დავიწყეთ მუშაობა, ბარათების შევსებით და ახალ წლის ღამეს მორიგეობით. ეს იმაზე მიმანიშნებს, რომ შორს უმიზნებენ.

შევსებული ბარათი სამოცამდე მოგროვდა, ასე რომ, დიდი ტვირთი მაწევს, მით უმეტეს, როცა არ იცი, როგორ შეავსო. დამრიგებელმა ატრიალა თითი — აქ დაწერე. აქ არ დაწერო, დანარჩენი გასაგებიაო და რეიდში ჩაინთქა.

პირველ ბარათს მთელ საათს ვანდომებ. თავს ვიმტვრევ, თითქოს კროსვორდს ვხსნი, ვიქექები ვიტკას ჟურნალში, რუდუნებით გამომყავს ყოველი სიტყვა, მივუთითებ მოპარული ნივთებისა და დამნაშავეთა ნიშნებს. ვფიქრობ, ჩემი მჭმუნვარე შრომა არ დაიკარგება და გადამწყვეტ როლს ითამაშებს რომელიმე არამზადის სამხელად.

ბოლოს საქმე გაკეთებულია და კონსულტაციისათვის ვალკასთან მივდივარ — სწორად გავაკეთე თუ არა ყველაფერი, ვალკა საბეჭდ მანქანას აჩხაკუნებს.

რომ გაიგო კონსულტაციისათვის ვიყავი მისული, თავით დაუდევრად მიმანიშნა კუთხისკენ:

— ღმერთო ჩემო, იურა, ამ აბდაუბდას ჩვენთან ხომ კომპიუტერი ავსებს და პრინტერი იძლევა. აი იმ ყუთს ხედავ? იქ სპეციალური ჭრილია. ჩადე შენი ბარათი.

მეცნიერების მიღწევით გაკვირვებული ბარათს ჭრილში ვდებ.

— ჩადე? წითელ ღილაკს დააჭირე ახლა.

ვაჭერ ღილაკს. ბარათი ნელ-ნელა იკარგება ჭრილში.

— მორჩა, გამოაღე ეგ პატარა კარი და წაიღე სწორად შევსებული ბარათი. საქმე ის არის...

ვპოულობ კარს, ვაბრუნებ სახელურს და ვამჩნევ ქაღალდის ნაკუწებს. ვალკას ჭიხვინი მთელ განყოფილებაში ისმის. მე მწყინს, ის კი არ მწყინს ასეთი დოყლაპია რომ ვარ და დოკუმენტების გამანადგურებელი მანქანა კომპიუტერში შემეშალა — არამედ ის, რომ შრომა წყალში ჩამეყარა.

— ვალია, მთელი საათი ვავსე. თქვენს ტექნიკასთან ნებისმიერი გამოთაყვანდება.

ვალკა სიცილისაგან შუაზე იფხრიწება.

— კარ... კარგი კომპიუტერია, ხომ? გუშინ დადგეს. კიდევ სხვა რამე ხომ არ გინდა შეავსო? აი ინებეთ...

არ ვპასუხობ. ბოლოს ვალკა წყნარდება და სუფთა ფურცელს ავწვდის.

— აჰა, ნუ ჩამოყარე ყურები. თუ არ იცი, როგორ შეავსო, გამოიყენე სამი П-ს წესი — палец, пол, потолок. ვინ მიგაჭედა ამ სუფთა წერაზე. ვიტკამ ხომ არა?

— დიახ, მან.

— ჰო, ქალალდი და წერა ვიტკას არ უყვარს... არ გეწყინოს, იუროკ. მე სამუშაოზე, რომ მოვედი, უარესი გამიკეთეს.

ვალკა გადაიწია სკამზე და მანქანის კლავიშებიდან ხელი აიღო.

— მეც ყმაწვილი ვიყავი, მხოლოდ ერთი კვირის დაწყებული მქონდა სამუშაო. სწორედ მილიციის დღის წინ, კულტურის სახლში წავედით. იქ გოგონა შევკერე. სანდომიანი, ერთი სიტყვით, არა უშავს რა, უპრეტენზიო. ორი დღის შემდეგ „სტრელკა“ მივაჭედე, ე. ი. პაემანი დავუნიშნე ერთი სიტყვით. ვფიქრობ, ახლა გავისეირნებთ, ნაყინს შევჭამთ, პორტვეინს ავიღებ, საერთო საცხოვრებელში შევუხვევთ, იქ კი ვნახავთ, შეიძლება სიყვარულამდეც კი მივიდეთ.

მოკლედ, დავსეირნობ ღრუბლებში. იმდროინდელმა მოადგილემ სამძებროს დარგში, როგორლაც იყნოსა ჩემი პაემანის შესახებ. გამომიძახა თავისთან.

„შჩეგლოვ, შენ რა, — მეუბნება, — გოგონებს ხვდები, უფროსებს კი უმალავ? სად მუშაობ შენ? ვოლოდარსკის სახელობის საფეიქრო ფაბრიკაში თუ სისხლის სამართლის სამძებროში? იცი თუ არა, რომ რაიონული სამმართველოს უფროსი — ყოფილი კონტრმზვერავია. ის მოითხოვს, მის დაუკითხავად ნაბიჯი არ გადავდგათ. რა ხათაბალაში ებმები? პასუხს ვინ აგებს? იქნებ ეს გოგონა სულაც ბანდიტებმა მოგიჩინეს?..“

„დიახ, არა, — ვპასუხობ, — არა მგონია“.

„ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ, შჩეგლოვ, ერთმნიშვნელოვანი განცხადებებისათვის. ქალიშვილთან რის ჩადენა მოგეპრიანა?“

„დიახ, აი, ნაყინი, პეპსი-კოლა, კინო...“

„ტვინს ნუ მიპუდრავ, ვალია. თითქოს მე არ ვიყავი ახალგაზრდა და ქალებში არ დავრბოდი. თქვი პირდაპირ — მინდა ვის...ო. და რაკი გინდა, აიღე კალამი და დაწერე პატაკი რაიონული სამმართველოს უფროსის სახელზე. ასე და ამრიგად, სისხლის სამართლის ამა და ამ ნომერ საქმეზე მუშაობის გამო ოპერატიული მიზნისათვის გთხოვთ ნებართვას, ღამე გავათიო ამა და ამ მოქალაქე ქალიშვილთან... გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი. პატაკს ხელს მოაწერ და სეიფში შეინახავ. დაე იდოს, ჭამას გთხოვს თუ სმას, სამაგიეროდ, უკანალი დაცული გექნება. განა უვიცი ხარ. შენ მოქმედებდი ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. აბა დაწერე“.

მე, საერთოდ, არც თუ ისე გამკვირვებია. ყველაფერი, ყველაფერი და მართლაც საიდუმლო სამსახურია და არა საფეიქრო ფაბრიკა. ოპერებს ვკითხე. მათ დამიდასტურეს, ჩვენც როცა გვინდა გვერდზე წავიცელქოთ, აუცილებლად პატაკს ჩავაგვირისტებთ ხოლმე.

მოკლედ, დავწერე. ასე და ასე, ოპერატიულ[illegible] აუცილებლობიდან გამომდინარე, მსურს სქესობრივ კონტაქტში შევ[illegible].

— და მერე?

— ის რომ... ეს ქალი რაიონული სამმართველოს უფროსის ქალიშვილი აღმოჩნდა. გვარიც ისეთი ჰქონდა, როგორც შენ, ივანოვა. რას წარმოვიდგენდი, რომ ისინი მამა-შვილი იქნებოდნენ....

— მოიცა, კი მაგრამ, ასეთ პატაკს ნამდვილად წერენ?

— მოადგილემ ოპერებთან ერთად გამაპამპულა, როგორც ახლა მე შენ. ერთი სიტყვით, ორი კვირის შემდეგ მე უკვე სხვა რაიონში ვმუშაობდი. ისე გულიანად კი იცინეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა შეფის რეაქციის შესახებ მოვუყევი.

ვიღებ სუფთა ბლანკს, ვტოვებ შჩეგლოვს და ჩემს კაბინეტში ვბრუნდები. ვალიას ადგილზე რომ ვყოფილიყავი — ეშმაკმა იცის — ალბათ მეც დავწერდი პატაკს.

იმ ფაქტით დამშვიდებული, რომ ჩვენ ყველა, პრინციპში, ერთი ცომისაგან ვართ მოზელილი, ვჯდები მაგიდასთან, ვიღებ ქაღალდს და ვიწყებ წერას ნახსენები სამი II-ს წესის გამოყენებით.

შვიდ საათზე შრომა დასრულებულია ავტოკალმისაგან გადაყვლეფილ თითებს ვიზელ და გუნებაში დედიკოს კატლეტისათვის ვემზადები.

ო, კატლეტმა და ქაღალდებმა სრულებით წამართვეს მახსოვრობის ნასახიც. კი მაგრამ, რიაბინინა? ან ბლიუმინგი? საჭიროა თანმიმდევრულობა და მიზანსწრაფულობა. ესე იგი, ჩემთან უნდა გამოვიძახო ირინა ალექსეის ასული. მაგრამ ეს სახლის ტელეფონითაც შეიძლება. თუმცა, როგორც ფსიქოლოგები და კოლეგები ამტკიცებენ, სამუშაოს შინ წაღება არარეკომენდებულია.

●

დღეს პირველად ვმორიგეობ განცხადებების განყოფილებაში. ესე იგი, მე პირველმა უნდა მოვახდინო რეაგირება ჩვენს მიკრორაიონში გამოვლენილ ყოველგვარ კრიმინალურ ფაქტზე. ეს სხვათა შორის, არც თუ ისე იოლი საქმეა ჩემი დებიუტის გამო და თუმცა, უკვე ვმორიგეობდი ვალკასთანაც და ვასია გრომოვთანაც ერთად და შორიდან თვალყურს ვადევნებდი მათ ფოკუსებს, მაინც, როგორც ამბობენ, „ჩახმახზე თითის დაჭერა — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კარგად ისვრი“. კეთილი ინებე და ახლა მარტომ სცადე. მიკრორაიონის ტერიტორიიდან დილით დაბრუნებული ვიტკა ამჟამად შჩეგლოვის დივანზე ისვენებს და ნება დამრთეს დავუძახო, თუ ძალიან გამიჭირდება.

ეტყობა, უკვე დროა ასეც მოვიქცე. უკვე ვიწყებ გადახურებას და მივდივარ დასკვნამდე, რომ ვიჩქარე გზის არჩევაში — ვერასოდეს გავხდები ნამდვილი ოპერი.

თუმცა დასაწყისში ამოცანა იოლი მომეჩვენა.

ვილაც ახალგაზრდა კაცმა, პროფესიით უსაქმურმა, [illegible] სიბნელეში გახვრიტა გაჩერებული უცხო მარკის ავტომობილის [illegible] ჯანა საბურავი. დილით პატრონმა შეამჩნია დაზიანება და საჭიროდ ჩათვალა სათადარიგოს დაყენება, რისთვისაც ავტომანქანის კარი ღიად დატოვა. ამით ისარგებლა დამნაშავემ და ხელი სტაცა წინა სავარძელზე დადებულ „დიპლომატს". უცხო მარკის ავტომობილის მფლობელს „დიპლომატში" ყოველთვის აქვს რაიმე, რითაც შეიძლება ერთხანს იცხოვრო. მაგრამ პატრონიც არ ამთქნარებდა და ხრიკი დროზე შეამჩნია, უშვერი გინებით გამოეკიდა და ორი კვარტლის შემდეგ დაეწია. მაგრამ არც ის იყო მთლად ხეპრე და „დიპლომატი" გზაზე მოისროლა. მიდი აბა და დაუმტკიცე. არაფერიც არ ვიცი! ბიჭმა ჩამირბინა, მგონი „დიპლომატით" ხელში, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

აი, ასეთია დამნაშავის პოზიცია, უკვე ერთი საათია ზის სკამზე და არაფრით რეაგირებს ჩემს დამასაბუთებელ მოსაზრებებსა და ლოგიკურ დასკვნებზე.

ბიჭი ჩვიდმეტი წლისაა. თუ მისი შავი, უჯრედებიანი ქურთუკითა და საყურეთი განსვჯით, მაღალ წრეს არ უნდა ეკუთვნოდეს. მილიციაში თავს მშვიდად გრძნობს, ზის არხეინად, ფეხი ფეხზე გადაუდვია და საჩვენებელი თითით იჩიჩქნება ცხვირში.

მე ეჭვიც კი შემეპარა რომ ის მონაწილეობდა ამ ქურდობაში. მთელი ჩემი არსენალი უკვე ამოვწურე. ვილაპარაკეთ პოლიტიკაზე, მუსიკაზე, სპორტზე (ჩაუძვერი ადამიანს სულში, ჩაუძვერი), გულწრფელი აღიარებისა და იმ მძიმე შედეგების შესახებ, თუ აღიარება არ მოხდება, მივანიშნე. კოდექსიც კი ვუჩვენე.

მაგრამ ამაოდ. დრო ისე გადიოდა, როგორც გადის ხოლმე, ბიჭი ისე ზის, როგორც იჯდა, არ ტყდება, მორიგე კი ძალღონეს მეორე განცხადებისათვის ძაბავს. ამიტომ დროა მაშველს უხმოს.

— დაფიქრდი, ყმაწვილო, — კიდევ ერთხელ ვიმეორებ დაშტამპულ ფრაზას და ვკრეფ შჩეგლოვის ნომერს.

— ვალია, ვიტია შენთანაა? გადაეცი, რომ დედამისმა დარეკა.

როგორც ხვდებით, ეს პირობითი სიგნალია. „დედა" მე გამოვდივარ. ერთი წუთის შემდეგ დამრიგებელი პარმალთან გამოჩნდა. მას კეთილ, ფართო, ნათელ თვალებში უსაზღვრო დაღლილობა ჩადგომოდა, ხოლო ბაგეებში ჩამქრალი „ბელამორი" ჰქონდა გაჩრილი. მახსენდება, რომ ვიქტორი ფსიქოლოგიური გატეხვის ოსტატია და მისი დახმარების იმედი მაქვს. დამრიგებელმა ჯერ არ იცის, რაზეა საუბარი და მინდა ავუხსნა ვითარება.

— აქ ასეთი საქმეა, ვიქტორ გენადის ძე...

დამრიგებელი ჟესტით მაჩერებს, იღებს სკამს და ჯდება დაკავებულის პირდაპირ, „ბელამორი" თავისთავად ღვივდება და მოლურჯო კვამლი ჭერისაკენ მიემართება. დამრიგებელი დუმს. ოღონდ თა-

ვისი კეთილი თვალებით დაჟინებით უცქერს ჩემს ოპონენტს. ოპონენტი იწყებს ნერვიულობას, ზედვე ამოეტვიფრა მღელვარება. ფეხი ჩამოაქვს ფეხიდან, კორპუსს ჭიმავს. წუთიერი დუმილი ფიანურდება, ალბათ ეს ვიტკას ტაქტიკაა. კი ბატონო, ის ხომ დამრიგებელია, იცის თავისი საქმე.

ბოლოს ვიტკა პირიდან იღებს ნამწვს და ცერა და საჩვენებელი თითებით იჭერს.

— აქ უყურე, — ის ჩემი მაგიდიდან ქაღალდებს აჩოჩებს, შემდეგ იმ ხელის არათითით, რომელშიც პაპიროსი უჭირავს, მოპრიალებულ ზედაპირზე რგოლებს ხატავს.

— ეს წრეა. საითაც არ გაიქცევი, წაიქცევი... მეთანხმები?

კვამლი მდუმარე ბიჭისაკენ მიექანება. ბიჭი მსუბუქ კანკალსა და ფრჩხილების კვნეტას იწყებს.

— მეთანხმები?!!

— გ-გეთანხმებით.

— აბა რა მოხდა, იტყვი?

— ჰო, ვიტყვი.

დამრიგებელი მაგიდიდან სუფთა ფურცელს იღებს.

— დაწერ დღევანდელ ეპიზოდზე და სხვა დანარჩენზეც. მაინც რამდენჯერ გახვრიტე საბურავი.

— სამჯერ.

— რამდენჯერ?

— თვრამეტჯერ.

— ო, ეს სხვა საქმეა, იურა, მიეცი კალამი.

ვიქტორ გენადის ძე დგება და კარისაკენ მიდის:

— იურა, თუ დაგჭირდე, დირექტორთან ვარ.

ვიქტორს დერეფანში ვეწევი.

— მოიცა, ვიტია... დაკითხვის ტაქტიკას პროფესორი გვასწავლიდა, მე სადიპლომოც ამ თემაზე დავწერე. იქ ფსიქოლოგიაა, სულში ჩაძვრომა... მაგრამ ეს ასე?.. წრეებიო, წაიქცევიო... რატომ?

ვიტკას ასლოკინებს და თავის საშინელ ბენზინის სანთებელას აჩხაკუნებს. წამწამები უკვე მთლიანად შეტრუსული აქვს.

— ეშმაკმა უწყის... მთავარია გაგება. შენ ალბათ ვერ აუხსენი, რა გინდოდა მისგან. მე კი ავუხსენი და თანაც მაშინვე გაიგო. ერთი არ გაეგო და, მე მას...

დერეფანში ერჩები, ვცდილობ გავერკვე ვიქტორისეულ ფსიქოლოგიურ მიდგომაში.

ჩემი მორიგეობის ბოლო საათები მშვიდად მიმდინარეობს. კონფლიქტური ვითარება არ შექმნილა და მეც ვწერე და ვწერე საფულეებისა და დოკუმენტების დამკარგავ მოქალაქეებზე.

ჰო, მორიგეობის გამო სულ გადამავიწყდა, მეთქვა, რომ საღამოს ირინა ალექსეევნას დავურეკე, მაგრამ სახლში ვერ მოვიხელთე, ვითომდა ჯერ არ დაბრუნებულა — მიუხედავად გვიანი საათებისა. დედამისს სამსახურებრივი ტელეფონი დავუტოვე და ვთხოვე დაერეკა. მაგრამ ჯერ ჩამიჩუმი არ ისმის. მე როგორც კლასს, უგულვებელმყოფენ. არ გაუვათ.

ვკრეფ ნომერს, რათა გავარკვიო, ჩემი თხოვნა დავიდა თუ არა ობიექტამდე.

— ალო, ეს ივანოვია მილიციიდან, გუშინ რომ დარეკა. ... გადაეცით ჩემი თხოვნა ირინა ალექსეის ასულს?

ქალის ხმა მოგვიანებით და ხმადაბლა მპასუხობს:

—რა? ივანოვი? ირინა ამიერიდან ალარ მოვალ... დარეკავთ. რა მოხდა ასეთი? ირინა გუშინ მანქანამ გაიტანა...

ყურმილიდან ქვითინი ისმის... ყურმილს უსიტყვოდ ვდებ.

აი, საქმე...

●

სიგარეტს ვუკიდებ, ვიტკას მშვენიერ „ბელამორს". დღემდე „მალბოროსაც" კი გავურბოდი. არმიამდე არ ვეწეოდი, არმიაშიც ვითმენდი — ჯანმრთელობას ვუფრთხილდებოდი, აქ კი ჩემივე ნებით მოვწიე... გასინჯვით, როგორ არ გამისინჯავს — ცეკვებზე, საღამოებზე, მაგრამ ხშირად და ყოველდღე არა.

პაპიროსის ბოლი შხამიანი და საზიზღარია, მაგრამ ნამწვს არ ვაგდებ. სახეს თეატრალურად ვჭმუხნი. ვიტრინის ამბავი საინტერესო მიმართულებას ღებულობს. ბლიუმინგის მეგობარი ქალი მანქანას ჩაუვარდა. ისმის კითხვა: რატომ აკეთებს ამას? და რაც მთავარია, სწორედ მაშინ, როცა მე „პაემანს" ვუნიშნავ. ნუთუ ამის გამო?

სულ ამაოდ მოიქცა ასე. შევხვდებოდით, ვისაუბრებდით, ცოტას ვიხითხითებდით და დავშორდებოდით. ცხოვრებისეული ამბავია — საყვარელმა სიმთვრალეში გატეხა მინა. ბლიუმინგი საძაგელი კაცია, გადაწყვიტა, ხელი შეეშალა სიმართლის დადგენისათვის. არ სურს ზიდოს ორას ექვსის ჭაპანი. მოიცილა მოწმე! ეს უკვე მაფიის ხელია. გაცვეთილი სვლაა. არავითარი სიახლე. ჩეიზი წაიკითხა ალბათ და იფიქრა, გავაბრიყვებ ამ ჩერჩეტ-მაძებარსო. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. ქრესტომათიული. გოგონას ფეხი დაუსხლტდა ყინულზე, წაიცეკვა და მანქანა დაეჯახა. ცეკვა ყინულზე.

არა, არა, არა, ეს ყველაფერი სისულელეა. მოიცილო მოწმე ასეთი ნაკლებეფექტური გზით? როცა ფასიანი მედიცინა საოცრებებს სჩადის? სად არის გარანტია, რომ ჩვენი გრძნეული ქირურგები ირინას ფეხზე არ დააყენებდნენ და არ გამოიქცეოდა ჩემთან ჩამუქებულ თვალებში ცრემლჩამდგარი? არავითარი გარანტია. მე მაგალითად, რომ მეიძულებინა გაჩუმებულიყო ქალიშვილი, უბრალოდ, პისტოლეტს დავანახვებდი. ოი-ოი-ოი! ეს მე არ მითქვამს! ეს თავად თქვენ მოიფიქრეთ.

მაგრამ ფაქტი ფაქტია. რიაბინინა გვამია. ავარია არ იყო, პისტოლეტი არ იყო, გვამი კი არის. თანაც ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც მე საზადღვევო კომპანია „სტიქსი" დავათვალიერე და შევეფეთე აკაკის, ო, არკადი ანდრეევიჩს. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ბლიუმინგი საძაგელი კაცია, მინის გამო ადამიანი გაიმეტა. ახლა ის ალბათ ზის ბუნაგში და ხელებს ისრესს — მორჩა, მშრალზე

დავტოვეო. ჰოდა, ნუ ოცნებობ, ამხანაგო. ჩვენ გვაქვს მეთოდები ბლიუმინგისნაირებისთვის. პირველი კვირა ხომ არ ვარ „მენტოვკაში“, გავარკვევთ...

— სან სანიჩ, ყველაფერი ხომ დაიმახსოვრე? იცოდე, საქმე სარისკოა. თუ ჩაგავლეს — გიშველი, მაგრამ თუ დაგეწია, თავად იცი... შესაძლოა ღვიძლის დაუეჟვა ან ტვინის შერყევა, არ აგცდეს, თანაც მძიმე ხარისხით.

— იუროკ, მე ყველა ხვრელი ვიცი. ხომ არ დაგველოცა ჩვენი საქმე?

სან სანიჩს უბისაკენ მიაქვს ხელი.

— არა, არა, უმჯობესია შემდეგ.

— როგორც იტყვი. მაშ, მოვილაპარაკეთ. ფული ჩვენია — ქაღალდები თქვენი.

— დიახ, როგორც შეგპირდი. ვხვდებით პარკში. მერხთან, ორზე. შენი იმედი მაქვს. ეცადე არაფერი შეგამჩნიონ. შენი ნომერია მეთექვსმეტე — ციხე არ აგცდება, იცოდე.

— თფუ, თფუ, — სან სანიჩი რამდენჯერმე შეხტა, — მოყინულია დღეს, მეეზოვეებს ხალხისათვის არ სცალიათ.

ჩემი სუპერაგენტი ჯაშუშურად მიემართება პატარა შენობისაკენ, სადაც ფირმა „ფავორიტია“ განთავსებული. შენობა მთლიანად „ფავორიტს“ არ ეკუთვნის, იქ არის საათების სახელოსნო, გამქირავებელი პუნქტი და სასურსათო მაღაზია. ეს ჩემი ტერიტორიაა, ანუ როგორც ჩემი კოლეგები ამბობენ, მე „მივათრევ ამ მიწას“.

„ფავორიტის“ წინ სამი მანქანაა, რომელთა შორის მუქ-ლურჯი „ვოლვო“ ბლიუმინგისაა — მაშასადამე, ამჟამად „ფავორიტს“ თავად პატრონი მართავს. ვითარდება ქვეყნის ჯანდაცვა, რათა არ ვასველებდეთ.

სან სანიჩმა გადაკვეთა გზა. იგი კიდევ ერთხელ ზვერავს იქაურობას, უახლოვდება „ვოლვოს“... უეშმაკო მანიპულაცია. გავლა-გამოვლა და მანქანა უკანა ფერსოზე იხრება. უვარგისი რეზინაა. ერთი სიტყვით — შვეიცაა. აბა „კრილოველის“ საბურავის გახვრეტა მოსინჯე, ჭინთვისაგან მხოლოდ ჰაერს გააფუჭებ.

სან სანიჩი დიდხანს არ ყოვნდება და გამქირავებელ პუნქტში შედის, შემდეგ საათების სახელოსნოში და ბოლოს — მაღაზიაში, საიდანაც ლუდის ბოთლით ხელში გამოდის. ბოთლი, როგორც ძვირფასი ჭურჭელი, ისე მიაქვს უახლოეს მერხისაკენ, სადაც ეწაფება უწმინდეს სითხეს.

უჭირს ამჟამად მას. ქუჩაში აფრიკა არ არის. მძიმეა მზვერავის ცხოვრება. კი წაიძინებდა ახლა ოციოდე წუთს.

პირადად მე ხალვათად მოვეწყვე ბატარეაზე უახლოეს სადარბაზოში და თვალყურს ვადევნებ მოვლენების განვითარებას. ყველაზე მთავარია, რომ ბლიუმინგი თავისი ტყავის საქაღალდით ხელში გამოვიდეს. სხვანაირად სან სანიჩის საიდუმლო ოპერაცია ფიასკოს განიცდის.

და თანაც სწრაფად, სწრაფად, თორემ სან სანიჩს ისევ მოუნდება ლუდი, შემდეგ რაიმე მაგარი, შემდეგ კი საერთოდ დაავიწყდება დავალება.

გაგვიმართლა. ბლიუმინგი ორმოცი წუთის შემდეგ გამოჩნდა საქაღალდით ხელში. სიგნალიზაცია გამორთო და გასაღები ამოიღო. მიდი, მიდი აკაკი ანდრეის ძე, შორს არ წახვიდე ერთბაშად, მხოლოდ პირველ ნამქერამდე თუ მიაღწევ.

ოი, რა საწყენია! ღმერთო ჩემო, საბურავი დაშვებულა. ალბათ ლურსმანზე გადაატარა მანქანა. ყურადღებით უნდა იყო. ახლა სათადარიგოს დაყენება მოგიწევს.

ბლიუმინგი ნირწამხდარი გადმოდის სალონიდან და ეძებს დახრილობის მიზეზს. იპოვა. ეტყობა, უშვერად იგინება. აქედან არ ისმის, მაგრამ ტუჩების მოძრაობის მიხედვით შეიძლება გამოიცნო.

სან სანიჩი ცლის ბოთლს. ბლიუმინგი აქრობს ძრავას და საბარგულს ხსნის. შემდეგ ფანჯრისაკენ ხელს იქნევს. ეშმაკმა დალახვროს, გამოდის მეორე, კამუფლაჟიანი. აი, ეს კი ვერ გავითვალისწინე. რომელი დირექტორი ცვლის საბურავს თვითონ საკუთარი ოფისის ახლოს. ისიც გასაკვირია, რომ თავად დაჰყავს მანქანა და არა პერსონალურ მძღოლს.

კამუფლაჟი დროს არ კარგავს — საბარგულიდან იღებს სათადარიგოს და დომკრატს. ბლიუმინგი გვერდით დგას და სიგარეტს ეწევა. სალონი ღიაა. საქაღალდე წინა სავარძელზეა. სან სანიჩი მშვიდადაა. თავისი გაუპარსავი ვაჟკაცური სახით შონ კონორს მაგონებს. ახლოს, კიდევ ახლოს.

მე ვიოფლები, თითქოსდა თვითონ ვიყო მანქანის ახლოს. ყარაულის ფართო მხრები იწვევს ზედმეტ ნერვიულობას. მაგრამ აგენტი არ ნერვიულობს. მანქანის კარიდან ერთ მეტრის სიახლოვიდან იგი ბოთლს სახლის კედლისაკენ ისვრის, თავები ავტომატურად ტრიალდება კედლისაკენ, სიფხიზლე იკარგება. სწრაფი გველი სან სანიჩი ძვრება სალონში და რამდენიმე წამში საქაღალდით ხელში მიჰქრის უახლოესი ჭიშკრისაკენ. მე სამგზის ვყვირი „ვაშა!“ და ჩემი აგენტის ოსტატობას ტაშს ვუძღვნი.

მაგრამ იქ საქმე არც თუ ისე კარგადაა. ბლიუმინგი სწრაფად ამჩნევს უწესრიგობას და სან სანიჩს გამოუდგება. ბლიუმინგი ახალგაზრდაა და სწრაფი ჩრდილოეთის ირემივით, ყარაულიც უკან მისდევს. ორივენი ლანძღვისა და მუქარის კორიანტელს აყენებენ.

მეტროს შესასვლელამდე ოცდაოდე მეტრია. მე ვინაბები. წამწამებიდან ოფლის წვეთები მცვივა.

„ირმები“ უახლოვდებიან. სან სანიჩი, თუმცა ეშმაკია როგორც სტეპის ბებერი მელა — ლანჩებზე ლეიკოპლასტირი მიიკრა — მაგრამ სადღაა ის წლები! ფარდულის არაყმა თავისი ბინძური საქმე მაინც გააკეთა. აბა, ჩქარა! მიდი, მიდი! ასწავლე ჭკუა ამ ახალ რუსებს!

მხსნელი თაღი ორ ნაბიჯზეა. იქ კი სიბნელე და სიცივე. აბა!

გვიანაა. ბლიუმინგის გრძელი ხელი სწვდება სუპერაგენტის ქურთუკის კაპიუშონს. მორჩა, გავებით. ახლა ცემას დაუწყებენ. არამზადები. იქნებ ადამიანს საჭმელი არ აქვს?!

მაგრამ მე ვერ შევაფასე ჩემი აგენტი. მკვეთრი ბრუნი და საქაღალდე მთელი ძალით ეშვება „ფავორიტის“ შეფის თავზე — მეორე დარტყმა ცხვირის წიბოს ხვდება. დირექტორი ხელს უშვებს კაპიუშონს და სახეს ხელებით იფარავს, უცდის შემდეგ დარტყმას. მოირბინა ყარაულმაც. გვიანაა. თაღში არავინაა. ეშმაკმა მელამ აჯობა ჩრდილოეთის ირმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატეხილ ცხვირზე ხელმოჭერილი, შერცხვენილი „ირემი“ ბრუნდება თავის შვედურ, დაჭრილ „ცხენთან“. ყარაული არ წყნარდება. თაღისკენ იწევს.

მე უკვე დავწყნარდი. ვსუნთქავ თანაბრად და ღრმად. სან სანიჩი პიტერის ეზოს კატაკომბებში ისეა, როგორც ტარზანი ტყეში. შეიძლება მშვიდად ვიყოთ. საქაღალდე ბლიუმინგს აღარ აქვს.

სანამ ისინი იქ დარბიან, მე საქმის კანონიერ მხარეზე დავფიქრდი. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჩემი თანამონაწილეობა ამ საქმეში იწოდება სამსახურებრივი უფლებების გადამეტებად, სან სანიჩისა კი — გაძარცვად. ათი წელი ორივეს — თუ დაგვიჭირეს. ხო-ხო, თუ... აი ეს კი არასოდეს მოხდება. ჩვენ ხომ არ გავთქვამთ საკუთარ თავს. ჰოდა, მორჩა.

კეთილი, კეთილი, თუ ამაზრზენი გეჩვენებათ, შეგიძლიათ არ წაიკითხოთ. იქნებ მეც ამაზრზენი მეჩვენება, თანაც თქვენზე მეტადაც.

სადარბაზოდან გამოვდივარ და ბლიუმინგს ვესვრი მზერას. იგი დაძაბული რეკავს რადიოტელეფონით. ღმერთმა გიშველოს, ამხანაგო დირექტორო. დაურეკე შენს „კრიშას“. დაე გიხსნას.

●

ზუსტად ორ საათზე პარკში ვარ, პრეობრაჟენსკი ხუთ წუთს აგვიანებს. არ ვთათხავ. ის მამაცი და შეუპოვარი ვაჟკაცია. მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე გატრეტილია და არა მხოლოდ ლუდით.

— აიღე, იუროკ.

ვართმევ საქაღალდეს.

— პირველად და უკანასკნელად მიდიხარ დავალებაზე არაფხიზელ მდგომარეობაში.

— საქმის დროს არა და არ დავლევ. შემდეგ — კი. ბავშვობა გამახსენდა. კომკავშირული სიყმაწვილე. ეჰ, რამდენს წავგლიჯე ქუდი.

— შეიძლება ახლაც აგლეჯ?

— დღეს პირველი იყო, ბოლო ათი წლის მანძილზე. მე ხომ შეგოჭილი ვიყავ. აი ამიშვეს. გაწაფულობა შემრჩა მხოლოდ. შემიძლია.

— ე, ე, მე შენ გაჩვენებ „შემიძლიას“. პატიოსან ხალხთან არც კი იფიქრო დღევანდელი ფოკუსის განმეორება. თავს გიკრავ სადაც საჭიროა.

— რა მომვარდი! ჯერ „დამეხმარე, სან სანიჩ, დამეხმარე“, ახლა კი „თავს გიკრავ“. არაადამიანურია.

საქაღალდეს მუხლებზე ვიდებ.

— გახსენი?

— არა.

— ვგავარ დოყლაპიას?

— ჰო, გავხსენი, ფული არ იყო. გროშიც კი.

ლამაზი საქალალდეა. შესაძლოა ნამდვილი ტყავია. შუაში ლითონის ბოთლა-საკეტით. ვხსნი. ძალიან კარგი. დოკუმენტების დასტა პირველ ნაკვეთურშია. მეორეში — მანქანის ტექნიკური პასპორტი, მართვის მოწმობა, რაღაც ქვითარი. ასალი გაზეთები. [illegible]. ო, პრეზერვატივი ულვაშიანი. შიდსის გვეშინია? სწორია. ამრიგად, საგიზიტო ბარათი, ოქროს კალამი — „პარკერი", კალენდარი შიშველი გოგონებით (რატომ არიან ყველანი შიშვლები? საბრალოები, ალბათ როგორ ცივათ!).

მგონი, მორჩა. უბის წიგნაკი, საფულე და ნაღდი ფული არ არის.

— სან სანიჩ?

— რა?

— დასალევისათვის სად იმოვე?

— იურა, რა საძაგელი ქარაგმაა? წესები გამეგება. ჩემი „კენტები" არასოდეს გადამიგდია, — პრეობრაჟენსკი ნაწყენია, კუშტად დასცქერის მიწას.

— მაპატიე. აჰა, შენი წილი. — თანამონაწილეს „პარკერს" ვაწოდებ. — აქაჩავ მინიმუმ ას ტონამდე. ოღონდ ფრთხილად, არ გაება. ეს არ გინდა? ულვაშიანი.

— ბებერი ვარ ასეთი სისულელეებისათვის. შენთვის დაიტოვე.

— ბებერი? დასანანია, რომ ვერ ხედავდი საკუთარ თავს დღეს ფირმა „ფავორიტის" ახლოს. მე არმიაშიც ვერ დავრბოდი ასე. კი მაგრამ, პირდაპირ თავში როგორ ხეთქე საქალალდე? ცნობიერება დაეხშო. ნამდვილი ვანდამი ხარ!

ახარხარებულები პარკის მერხზე ვეცემით. ცოტათი ვწყნარდებით. მოულოდნელად სან სანიჩი მეკითხება:

— მისმინე, იუროკ, რომ ჩავევლე, მართლა მიშველიდი? მგონი, ძნელი იქნებოდა შველა.

ვუცქერი სან სანიჩს თვალებში და ვამჩნევ განმგმირავ ტკივილს:

— მე წესები გამეგება. ჩემი „კენტი" არასოდეს გადამიგდია.

●

დღეს განცხადებებს შჩეგლოვი ღებულობს. იგი საქმის მცოდნე ოპერია, ამიტომ დანაშაულის შესახებ შემოსულ განცხადებებს პირდაპირ უფროსის მაგიდაზე არ აწყობს, რა თქმა უნდა, გარდა ისეთი წვრილმანი საქმეებისა, რომლებზეც კანონით უარი შეიძლება ითქვას და ისეთებისა, რომლებიც რეალურად გაიხსნება. დანარჩენი დანაშაული შეიძლება გაიხსნას უხმაუროდ, რეგისტრაციის გარეშე. ვალკა არასოდეს ყოყოჩობს თავისი „საქმის ცოდნით" და ხშირად მალავს განცხადებებს, ცდილობს დაზარალებულთა „შეკერვას". არა იმიტომ, რომ ასეთი უგულო, ამორალური კაცია და არ ეცოდება უბრალო ხალხი, არამედ იმიტომ, რომ თავადაა გამოუვალ მდგომარეობაში. ისევე, როგორც ყველა სხვა ოპერი.

სამინისტროს მაღალი ციფრები უნდა. ვერ უზრუნველყოფ იმ სიმაღლეს? — მაშინ კეთილ ინებე და მიბრძანდი. მათი უზრუნველყოფა კი მხოლოდ ორი გზით შეიძლება — ან ყველა უნდა გასწნა, რაც, უბრალოდ, არარეალურია ან არ უნდა გაატარო რეგისტრაციაში. უბრალოდ რომ ვთქვათ — „გაწურო განცხადებები". გაწურვაც — საშუალოზე დაბალი სიამოვნებაა. ნებისმიერ შემოწმებას შეუძლია გიპოვოს „გაწურული" მასალები და ოპერი შეიძლება მოხვდეს იქ, სადაც სხვებს აგზავნის — ნარზე, დანაშაულის დაფარვის გამო. სამართებლის პირზე სიარულია რაღა. ცეკვა ყინულზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ვარიანტი რისკთანაა დაკავშირებული, მაინც სწორედ ეს ვარიანტი სჭარბობს. ის უფრო მისაღებია კარგი სტატისტიკისათვის ბრძოლაში. ვინც არ რისკავს, ის ოპერიც არ არის.

პირადად მე ორგანოში მოვედი ურყევი თავდაჯერებით, რომ არასოდეს არაფერს გავწურავ და ვერავითარი უფროსობა ვერ მაიძულებს დავფარო დანაშაული. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ნამდვილად, პირდაპირ არც ერთი შეფი არ იძლევა მითითებას დაფარვის შესახებ. მაგრამ უკვე კვირის თავზე, ოპერატიული ატმოსფეროს ჩასუნთქვის შემდეგ, მივხვდი, რომ ადრე თუ გვიან, გაწურვა მაინც მომიწევდა. გილიოტინის დანამ ნელ-ნელა დაიწყო აწევა. როდის დამეცემა იგი? მაგრამ სჯობს არ გამოვიცნო.

ცუდ ოპერად ყოფნა არავის უნდა, არც ჯდომა...

ამჟამად ვალკას დაზარალებული არ ჰყავს. მე დასწრების ნებართვას ვითხოვ და თანხმობის შემდეგ თავისუფალ სკამზე ვჯდები. ვალკას წინ ორმოციოდე წლის ვაცისწვერა კაცი ზის, მას ნახევრად მძინარე სახე და ვიწრო, მელიის თვალები აქვს. ჩაცმულობა დაბალ ფენაზე მიუთითებს, სუნი — სარდაფ-სხვენის ბინადრობაზე, სვირინგი — წინა ნასამართლეობაზე.

— აი, იურა, დატკბი. ეს ამხანაგი შმილნიკოვია. ადრე ნასამართლევია ქურდობისათვის, მუქთახორა და უსაქმური. დღეს საღამოს საბავშვო ბაღში შეძვრა, დაითრია ფენი, ორი ნაჭერი ხორცი და რამდენიმე ზეწარი, მაგრამ გასასვლელში დააკავა არასაუწყებო დაცვამ. სცადა მიმალულიყო, ოღონდ ყინულმა შეუშალა ხელი.

— პროვოკაციაა! — ვაცისთავა შმილნიკოვი სკამიდან წამოხტა

— რაო, რაო?

— დიახ, მე არ უარვყოფ, რომ შევაღწიე ბავშვთა ბაღში, მაგრამ იქ შესვლა ატარებდა წმინდა პოლიტიკურ ხასიათს! მსურდა პროგრესული საზოგადოების ყურადღება მიმექცია დაბეჩავებული ბავშვებისაკენ! მიმეთითებინა მათ უბადრუკ მდგომარეობაზე და სახელმწიფოს სრულ გულგრილობაზე! არამზადები!

— ვინ არიან არამზადები? ბავშვები?

— ისინი, ვინც „ფორდებითა" და „მერსედესებით" დადიან, მაშინ როცა საბრალო ბავშვები შიმშილობენ და სცივათ. არა, იყინებიან!

— კი მაგრამ, ხორცი? ფენი?

— სრული პროვოკაციაა! ადრეც შეეცადნენ შემოეტანათ ნარკოტიკები, იარაღი, სხვისი ნივთები და აი მხოლოდ დღეს მოახერხეს!

— ვინ შეეცადა?

— ისინი, ვისაც არ მოსწონს ჩემი სიმართლე! უზენაესი ხელისუფლება! ისინი, ვინც რუსეთი გალატაკებამდე და ნგრევამდე მიიყვანა! მათ მაფიასთან პირი შეკრეს და ამ გზით მოახერხეს თავიანთი შავი საქმის გაკეთება ჩემ მიმართ! აი, ვინ უნდა ჩასვათ დაარა პატიოსანი ხალხი, აღშფოთებული და მაპროტესტებელი! მე მთელ ხალხს მივმართავ! — შეკუმშული მუშტი მკერდზე დაირტყა შმილნიკოვმა.

ვალკა გულგრილად უცქერს მოლაპარაკე „ძეგლს“ და თითებს ატკაცუნებს.

— მოვა დრო და ყველაფრისათვის პასუხს აგებთ! — განაგრძობს „ძეგლი“, — მშიერი ბავშვების, უდანაშაულო წამებულების, მოწამლული ორგანოებისა და მაფიის გამო! შემდეგ იმის, რა ჰქვია, პლუ... პლუ... საერთოდ, ჯიხურებში შიშველი ამერიკელი დედაკაცების გამო! ახლა კი, მე როგორც სულიერი ოპოზიციის წარმომადგენელი, მოვითხოვ იმუნიტეტსა და ხელშეუხებლობას.

ვალკამ დაამთქნარა. ეტყობა, არ გამოუძინია.

— აბა კარგი, დაამთავრე ჩხავილი? ზონაში გასწევ აგიტაციას, — მაგიდის უჯრა გამოსწია, სადაც განისვენებდა თლილი ჭიქა და მოკლე ხელკეტი. უჯრიდან ამოღებულ იქნა მეორე.

— ეს რისთვის? უნდა მცემოთ?

— რა თქმა უნდა, აბა შენ რა, პარლამენტში ადგილი მოგცეთ? ან იქნებ დეპუტატის პენსია? აღარაფერია მოსაპარი. ჩვენ ხომ სატრაპი ვართ, მაფიისაგან მოსყიდული. შენ სად გირჩევნია — ფაშვში თუ ხერხემალზე? თორემ კიდევ უფრო გაუტევ. ოპოზიცია.

— ეს თვითნებობაა, მე ვიჩ... ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვართ, ეს თქვენი კომუნისტ... ე, ე, მოიცათ, მოიცათ...

ვალკა წამოდგა და თითებში ვირტუოზულად დაატრიალა ხელკეტი.

— არ ჩაიფსა, შმილნიკოვ, მე პროფი ვარ, არავითარი კვალი არ დარჩება.

შმილნიკოვმა ხელები გაასავსავა:

— მოიცათ, მოიცათ, შეიძლება მოვილაპარაკოთ? გინდათ კიდევ ორს მოგცემთ, საბავშვო ბაღებში რომ დაძვრება? სამაგიეროდ, გამიშვებთ...

ვალკამ შმილნიკოვს ქეჩოში წაავლო და კაბინეტიდან გაათრია. ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა და ხელკეტი მაგიდაზე გაბრაზებით დაადგდო.

— შეუყენე ხომ, ვალ?

— ეგლა მაკლია ამ ნეხვზე გავსვარო ხელკეტი! იგი თავისას მიიღებს, როცა იქნება.

კარი მკვეთრი ბიძგით გაიღო. ღიობში, პირდაპირ ლინოლიუმის იატაკიდან, არც მეტი არც ნაკლები, ქურქგაღეღილი ბატონი ბლიუმინგი ამოიზარდა; იგი აშკარად აღშფოთებული მივიდა იმ სკამთან, სადაც ეს ესაა შმილნიკოვი იჯდა, ზედ დაეხეთქა და მუშტი ვალკას მაგიდას დაჰკრა, შემდეგ ამოისუნთქა:

— „ბარდაკ!“

მე რომ დამინახა, თითი მომაშვირა:

— აი, აი, ნაცვლად იმისა, რომ ბაცაცები დაიჭიროთ, წესიერ ადამიანებს დასდევთ! იდიოტიზმია!

— მოსალმებაა საჭირო, ამხანაგო, — ისევ გულგრილად შეაწყვეტინა ბლიუმინგს შჩეგლოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, გამარჯობა.

— მაინც რა მოხდა?

— გამქურდეს!

— მართლა? აბა, გისმენთ.

— თორმეტზე გამოვედი ოფისიდან, რათა საქმეზე წავსულიყავი. მაგრამ შევამჩნიე, რომ უკანა საბურავი დაშვებულია, დავიწყე მისი სათადარიგოთი შეცვლა...

„ტყუი, — ვფიქრობ მე — შენ კი არა, ყარაული ცვლიდა“.

— ხოლო ვილაც არამზადამ სალონიდან ჩემი საქაღალდე დაითრია და მოკურცხლა. ყველაზე საწყენი ის არის, რომ მე ლამის დავეწიე! ყინულმა შემიშალა. ისიც მაგარი აფთარი აღმოჩნდა. კარატისტი ალბათ. კაპიუშონში ვტაცე, მან კი ფეხი მხეთქა ღაწვზე. ძალზე პროფესიულად. თფუ, საით იყურებით?

— ნათელი მომავლისაკენ. ნიშნები გახსოვთ?

— ხომ გეუბნებით — ვეება მოზვერია, ჩემზე მაღალი, კარადა!

და ისევ იძულებული ვარ ფიქრებში შევაწყვეტინო ბლიუმინგს. ჩემი სიმაღლე ასსამოცდათხუთმეტია, ხან სანიჩი კი მხრებამდე ძლივს მწვდება.

— ახალგაზრდა, ბებერი?

— საშუალო.

— რა ეცვა.

— მგონი, ქურთუკი თუ პალტო. ვერ დავიმახსოვრე. ყველაფერი მუქი. მთავარია, ძალზე მარდია, სპრინტერივით დარბის.

— არ უნდა დატოვოთ მანქანის კარი ღია. თქვენ რა, ტელეს არ უყურებთ? დღეს ეს ქურდობის ყველაზე გავრცელებული ხერხია. მთელი სერიები გვაქვს. საბურავი გაგიხვრიტეს და სანამ მას ცვლიდით, საქაღალდე მათ ხელშია. მაინც რა გქონდათ იქ? საქაღალდეში?

— მე სწორედ ამის გამო მოვედი. რაღაც-რაღაც საბუთები, მაგრამ ეს არ არის მთავარი, თუმცა საწყენია, ყველაზე მნიშვნელოვანია — ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და მართვის მოწმობა. დიახ, კიდევ ფული. სადღაც ხუთას დოლარამდე.

„ცრუობ, ძაღლო! — ყვირის ჩემი შინაგანი ხმა, — იქ არავითარი დოლარი არ ყოფილა!“

ეტყობა, ვალკასაც არ სჯერა ფულის ამბავი.

— თქვენ რა, საფულე არ გაქვთ? საქაღალდით ვის დააქვს ფული? ბლიუმინგი წამიერად კრთება.

— რა მნიშვნელობა აქვს რით დამაქვს? სადაც მსურს, იქ ვდებ.

— გასაგებია. ჩვენგან რა გინდათ?

— ვერ გავიგე?

— აი, აქ სხვადასხვანაირი ხალხი მოდის. ვის დამნაშავეზე ბრალდების წაყენება უნდა, ვის ცნობა ბულალტერიისათვის, ვის დაზღვევა.

— მე მინდა ტექნიკური პასპორტისა და მართვის მოწმობის აღდგენა.

— ეს არ არის პრობლემა, — ვალენტინმა მაგიდიდან კომპიუტერზე დაბეჭდილი ცნობის თვითნაკეთი ბლანკი აიღო, — მომეცით თქვენი პასპორტი და ავტომანქანის მონაცემები.

ერთი წუთის შემდეგ შევსებული ცნობა გაუწოდა.

— სახელმწიფო ავტოინსპექციაში წადით. ბეჭედი კანცელარიაში დაასმევინეთ. თავისუფალი ხართ.

— განცხადება?

— მე ხომ გკითხეთ, რა გინდათ — დამნაშავე დავიჭიროთ თუ ცნობა მოგცეთ-მეთქი?

ბლიუმინგმა ჩაახველა, ქაღალდი გაკეცა და წამოდგა.

— კარგი, სად არის კანცელარია?

— იქ, სადაც უფროსია.

არკადი ანდრეის ძე გავიდა და კარი მაგრად გაიჯახუნა.

მე ვალკას მივუბრუნდი.

— ვალ, ცოტა არ იყოს ვერ გავიგე, შენ იგი „შეკერე" თუ ვერა? მას მგონი, არ დაუტოვებია განცხადება.

— არავინაც არ შემიკერავს. ხომ გაიგონე, ვკითხე რა სურდა. ეტყობა, მას საბუთების აღდგენა უნდოდა, მე განა წინააღმდეგი ვიყავი? სამაგიეროდ, საჩივლელად არ გაიქცევა. მეეჭვება, ასეთი რამ მომხდარიყო. ჩახეთქა ამხანაგმა სადღაც და მიათესა თავისი საქაღალდე, ახლა კი თავის დაღწევა უნდა მინიმალური დანაკარგებით. ვიცნობ მე ასეთ ბლიუმინგებს.

— კარგი, როცა ბლიუმინგი კი არა, სხვა ვინმე პატიოსანი კაცია?

— იუროკ, რაღაც არ მესმის შენი. მე არასოდეს არავის ვკერავ. არსში ვერკვევი. ამ ორს შორის კი დიდი სხვაობაა. ხოლო „შეკერვის" თაობაზე კი აი, მოისმინე ერთი პატარა ამბავი.

საიდუმლოდ შეხვდა ერთმანეთს დამნაშავეთა ბანდების ორი ბოსი და იხილავენ პრობლემას.

„მისმინე, ძმაო. ჩვენს ტერიტორიაზე რომ მილიციის განყოფილებაა, იქ ახალი უფროსი დანიშნეს. ძველთან კარგად ვიყავით შეწყობილი, არავითარი პრობლემა არ გვქონდა. ეს კი, ამბობენ, პატიოსანია, არაფერს ღებულობს, უბედურის ერთიაო. რაიმე წინადადება ხომ არ გექნება?" მეორე პასუხობს:

„ნუ ვიშვიშებ წვრილმანებზე, მას თავისიანებივე გადმოაგდებენ. ჩვენ ხომ ზევით ვფლობთ ყველაფერს. ამ არამღებს ცოტაოდენი გამოვლინებადობა უნდა გავუფუჭოთ. უთხარი შენს ხალხს, დაე თავიანთ უბანზე ბართლომეს ღამის კვირეული მოაწყონ. დანაშაულთა გახსნა ბენტურაში — ყველაზე მთავარი მაჩვენებელია. უამისოდ კაპიკია მაგათი ფასი. ისე როგორც ჩვენი „სროლისა" და „კვალის არევის" გარეშე. აი, ამის შემდეგ კი გავესაუბრებით უფროსს: თუ არ გინდა ტერიტორიაზე დაბალი გამოვლინებადობა გქონდეს, მაშინ თავს ნუ გამოიდებ. აი აიღე, ფულიც და მაგალითიც ჭკვიანი ხალხისაგან. თორემ ჭკვიანი ხალხი მალე გაგრიყავს".

ასეც მოიქცნენ. ერთი თვის შემდეგ ისევ ხვდებიან.

„აბა როგორაა? გონს კიდევ არ მოსულა?“

პირველი მხრებს იჩეჩავს:

„მე ვერაფერი გავიგე, ძმაო, მათ ისევ სამოცდაათი პროცენტი აქვთ ძველებურად“.

„მოიცა, მოიცა, თქვენმა ხალხმა კარგად იმუშავა, სინდისიერად?“

„თანაც როგორ, ერთ კვადრატულ მეტრზე ერთი დანაშაულის სიმეჭიდროვით. და აქამდე ყველანი „სვაბოდაზე“ არიან. ეს როგორ? პროცენტი რატომ რჩება იგივე? უკვე გვეცოდებიან დაზარალებულები! ეტყობა, მენტები რაღაც სიბილწეს თითხნიან. სინდისი სულ არ აქვთ“.

მოკლედ, იუროკ, დაიყოლიეს უფროსი აეღო მათგან. პროცენტი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი ავტორიტეტი გვყავს. მინისტრი. თქვა „სამოცდაათი“, უნდა გავაკეთოთ სამოცდაათი. იტყვის „ასი“ — ექნება „ასი“. არსში გარკვევას მერეც მოვასწრებთ.

— დიახ, შენ მართალი ხარ, ვალია, ფიქრიანად წარმოვთქვი მე, — უეჭველია ბლიუმინგმა მოჩმახა ყველაფერი.

ჩემს კაბინეტში დაბრუნებული ვკრეფ ქალაქის მორგის ნომერს ვიგებ ვინ გაკვეთა რიაბინინა და ვურეკავ ექიმ-პათოლოგანატომს.

— მოგესალმებით ოპერრწმუნებული ივანოვი. მაუწყეს, რომ რიაბინინა თქვენ გაკვეთეთ. რა არის სიკვდილის მიზეზი?

— დიახ, დასანანია, სიმპათიური ქალიშვილია. წმინდა წყლის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაა. ტრავმა დარტყმისაგან არ არის. მას მანქანამ გადაუარა და თანაც აშკარად არა მსუბუქმა. ტანსაცმელს ეტყობა საბურავის პროტექტორის კვალი, სისხლში ალკოჰოლის ლამის სასიკვდილო დოზა აღმოაჩნდა, ასე რომ, ქალიშვილი სრულიად შესაძლებელია დაცემულიყო მანქანების სავალ ნაწილზე, ჰოდა... კი მაგრამ თქვენ რატომ დაინტერესდით ამ შემთხვევით?

— ისე, ყოველი შემთხვევისათვის. მანქანა ხომ მიიმალა, უნდა ვეძებოთ. გმადლობთ ინფორმაციისათვის. ნახვამდის.

ყურმილს ვდებ. ავტომანქანის ძებნა საერთოდ არ არის ჩვენი საქმე. სისხლის სამართლის სამძებრო მხოლოდ კინოში იკვლევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს, სინამდვილეში კი ეს სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმეა. მაშინაც კი, როცა მსხვერპლია.

ვამჩნევ, რაღაც ხმები ხელს მიშლის; ა, ეს ხომ რადიოა. თურმე მუშაობს.

— ეს წმინდა წყლის პოლიტიკური თვითნებობაა! დევნაა! ჩვენ მოვითხოვთ მაფიასთან მჭიდროდ დაკავშირებული სპეცსამსახურებისაგან, ხელოვნურად შეთითხნილი სისხლის სამართლის საქმისაგან, პოლიტიკური თვითნებობისაგან დაცვას. მოვითხოვთ იმუნიტეტის შენარჩუნებასა და პოლიტიკური უფლებების გაფართოებას! ჩვენ ამოვიყვანო რუსეთს ჭაობიდან!.. ჩვენ...

მახსენდება შმილნიკოვი და რადიოს ვთიშავ. შემდეგ ვბრუნდებ მაგიდასთან და ვხსნი ბლიუმინგის საქაღალდეს.

ჩემი მაგიდის ლამპის შუქზე იგი ძალიან ლამაზია. შიგნით უამრავი ნაკვეთური და ჯიბეა. პირველად ყველაზე ღრმა ამოვატრიალე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბლიუმინგი ცრუპენტელა და თაღლითია. არავითარი ბაქსი იქ არ ჰქონია. ლუპითაც კი ვერ იპოვი. აი ასე, ყვე-

ლას უნდა გააცუროს ჩვენი მიმნდობი მილიცია. შტერები ვგონივართ. არ გაგივათ, ამხანაგებო.

გადავდივარ ქაღალდებზე. წუთიერი შესწავლის შემდეგ ქაღალდებში ვერავითარ მაკომპრომატებელ ინფორმაციას ვერ ვპოულობ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი არაფერი გამეგება. რაღაც ზედდებულები, ქვითრები, ანგარიშები. ვიმედოვნებდი, რომ საქაღალდეში ვიპოვიდი უფრო მარტივ რაიმეს. საყვარელი ქალის წერილისმაგვარს, სადაც მოთხრობილი იქნებოდა, ოთხი-ხუთი კონკურენტის საწოლში მკვლელობის ან კიდევ საგადასახადოსაგან გადამალული შემოსავლების შესახებ.

„ძვირფასო, ყველაფერი, რაც საგადასახადოსაგან გადავმალე, შენახულია სამხრეთ სასაფლაოზე, ჩემი ბაბუის ძმის საფლავის ქვის ქვეშ. როცა ამ ქვეყანას დავტოვებ, შეგიძლია ეს ფული გამოიყენო ნამდვილი იაპონური ტელევიზორის „გაოუაის“ საყიდლად“.

ქაღალდები ბანქოს დასტასავით ავრიე და გადავწყვიტე გამომეყენებინა ყველასათვის ცნობილი წესი — თუ არ შეგიძლია გაერკვე თვითონ, გააკეთე ისე, რომ ვერ გაერკვნენ სხვებიც. ესე იგი, აჩვენე ეს ყველაფერი შენს ახლობლებს და სიხარულით აღმოაჩინე, რომ მარტო შენ არ ხარ ჩერჩეტი.

*ვდგები და მივდივარ შჩეგლოვთან ტესტირებისათვის. ვნახოთ, ვნახოთ, როგორი სპეციცაა ეკონომიკურ საკითხებში.*

შჩეგლოვი ტეტრისს შეჭიდებია. სტრესს ხსნის. დაძაბული და დაჭიმული ჩანს.

— ვალია, რჩევა მინდოდა მეკითხა...

შჩეგლოვი პაუზას წელავს, ტეტრისს მაგიდაზე დებს, თითებს იზელს და თავს მიქნევს:

— მიდი.

— მოქალაქეებმა საქაღალდე მოიტანეს. სანაგვეში იპოვეს. ეტყობა, ბლიუმინგის საქაღალდეა. ჩანს, ქურდმა ფული აიღო და საქაღალდე გადააგდო. მე კი მიხალიჩმა მიბრძანა, რაიმე სისაძაგლე გამოვუჩხრიკო ბლიუმინგს. ხომ არ გადახედავ, შეიძლება არის რაიმე აქ? კომპრის თვალსაზრისით.

საქაღალდეს ვაწვდი. ვალკა ხსნის და ხუთ წუთს დაძაბული სწავლობს ქაღალდებს. შემდეგ ადასტურებს:

— ეტყობა აქ ყველაფერი სუფთადაა. ეს ჩვეულებრივი ზედდებულებია. კომპანია „ფავორიტმა“ ქალაქ ოფონარევსკის ფარმაცევტულ ქარხანაში გადატვირთა ორმოცდაათი კილოგრამი ბორმოტალი. აი მიღების საბუთი, ყველა რეკვიზიტით, ბეჭედი, ოფონარევსკის ქარხნის ხელმძღვანელის ხელწერა. „ფავორიტს“ ბორმოტალი შვეიცარიიდან მოაწოდეს ასევე ორმოცდაათი კილოგრამი — აი შესატყვისი ქაღალდი.

— დანარჩენი დოკუმენტები?

— რაღაც სისულელეები. რაღაც კალკულაცია. ორიოდე სარეკლამო პროსპექტი. ეტყობა „ფავორიტი“ ჩვეულებრივი საშუამავლო კანტორაა. ბორმოტალი შვეიცარიაში შეიძინა და ოფონარევსკში გადაყიდა. ერთადერთი მომენტი... მოიცა, აბა ნუბბ*-ში დავრეკოთ. მგონი,

---

*** ნუბბ — ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის განყოფილება.**

ბორმოტალი არც ბანანია და არც „ნესკაფე“. მას ისე იოლად ვერ იყიდი.

ვალკა იქექება სატელეფონო ცნობარში და თავისი ჩინური „პანასონიკის“ ღილაკს თითს აჭერს.

— ალე, ვიტეკ, გამარჯობა! ღორო, კი არ ღავლაფებს, არამედ ლაპარაკობს კაპიტანი შჩეგლოვი! გსმენია ასეთზე? [illegible] როგორ გაქვს ნარკობიზნესის საქმე? მეც ასე ვფიქრობდი. ორი წუთი დრო მოგეძებნება? მაშ მისმინე.

ვალკა გადასცემს პრობლემას და შემდეგ სწვდება მის არსს. პასუხი. თავის ქნევა. დამაზუსტებელი კითხვების დასმა და რაღაცის ჩანიშვნა მაგიდის კალენდარზე. მისთვის მანამდე უცნობი ინფორმაციის დამმუხტავი დოზა მიღებულია. ყურმილს დებს.

— მაშ, იუროკ, საქმე ასეა. ბორმოტალი არა მარტო ნამდვილად შორს არის უწყინარი ნავთობპროდუქტებისაგან, არამედ ძლიერი ნარკოტიკშემცველი ნედლეულია. იგი ფარმაკოლოგიაში გამოიყენება მთელი რიგი წამლების დასამზადებლად. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ მისგან შეიძლება დამზადდეს ერთ-ერთი საშიში ნარკოტიკი — გლუკონატ ბარბიტურა, ჟარგონის ენაზე ოპუპენი. გსმენია ამის შესახებ?

— რაღაც წამიკითხავს გაზეთში. ამჟამად საკმაოდ პოპულარულია დასავლეთში.

— სწორედ ასეა. ოპუპენი მზადდება აბებისა და ხსნარის სახით იმხაპუნებენ ვენაში ან ყლაპავენ სადილობისას. შეჩვევის ხარისხი ფანტასტიკურია — პირველსავე აბის შემდეგ ვეღარ შეჩერდები. ამიტომ გასინჯვას არ გირჩევ, მაშინაც კი, ცეცხლი რომ გეკიდებოდეს. აბის ფასიც ფანტასტიკურია, დაახლოებით ასი ბაქსი ერთი ცალი.

ნამდვილად ძალზე პოპულარულია დასავლეთის ელიტარულ საზოგადოებაში და რა თქმა უნდა, ახალ რუსებშიც.

როგორც ვიტკამ თქვა, მსგავსი ნედლეული ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მკაცრ კონტროლქვეშაა.

არც ერთი გრამი ბორმოტალი არ მიდის „მარცხნივ“.

პირველი, „ფავორიტის“ მსგავსი ყოველი კომპანია ნუბბ-ის აღრიცხვაზე იმყოფება, მეორე, იმისათვის, რომ ასეთი ბორმოტალური პროდუქციით ივაჭრო, აუცილებელია ჯანდაცვის სამინისტროს ლიცენზია. ხოლო მისი მიღება საკმაოდ რთულია იმიტომ, რომ წინასწარ მოწმდება ფირმის საიდუმლეობანი, შეისწავლება ნედლეულის შემდგომი გამოყენების გზა. სპეციალური კომისია არა მარტო უნდა გაერკვეს „ფავორიტის“ საქმეებში, არამედ უნდა გამოიკვლიოს წამლის დამზადების ტექნოლოგია იმ ოფონარევსკის ფაბრიკაშიც და ასე შემდეგ, სხვა მრავალი ასპექტი.

— „ფავორიტს“ ალბათ აქვს ლიცენზია.

— დიახ, ვიტეკმა მონახა „ფავორიტი“ კომპიუტერში. იქ ყველაფერი რიგზეა, როგორც იტყვიან, წუნს ვერ დასდებ.

— არადა, მეგონა, რამეს გამოვჩხრეკდი. ვალი, ხომ შეიძლება, ეს ზედდებული ყალბი აღმოჩნდეს? ხოლო ბორმოტალს ბლიუმინგი „მარცხნივ“ უშვებდეს?

— ყველაფერი შეიძლება, იუროკ, მაგრამ ზედდებული ნამდვილია, წყალი არ გაუვა. თანაც ამ ქალალდს ხომ ხედავ, ეს ოფონარევსკში ბორმოტალის გაცილებისთვის სპეცდაცვის განაცხადის ასლია, ყველაფერი გარკვევითაა, არავითარი „მარცხენა“, ამას მე გეუბნები, როგორც ამ საქმის სპეცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ შეიძლება...

— აი, შენ რომ ეჭვებმა არ გწიწკნონ, ჩაუკაკუნე ტელეტაიპი ოფონარევში. ასე და ასეთქო, გთხოვთ, შეამოწმოთ, დაცალეს თუ არა ფარმაცევტულ ქარხანაში ბორმოტალის პარტია-თქო. პრობლემაა-თქო... აჰა, დაიჭი! — ვალკა საქალალდეს მიბრუნებს. მე მადლობას ვუხდი რჩევისათვის და კარისაკენ მივდივარ.

— მოიცა, იუროკ, — ვალკას სახე იქედნურად ულიარს. — შენგან მართლა დადგება კარგი ოპერი.

— მაინც რატომ, ვალ?

— შენ ამბობ, საქალალდე მოქალაქეებმა იპოვესო? ხა, ხა, ხა...

●

მეორე დილამ ახალი მასალებით დამასაჩუქრა. რის მინა, რა მინა, ნამდვილი ქურდობა მოხდა. მაგიდასთან ვზივარ და ფაბულას ვუკირკიტებ, ვცდილობ, ვალკას ოკრობოკრო ნაწერში გავერკვე. თავი მისტერ ჰოლმსი მგონია, თითქოს ბასკერვილების ძაღლზე ვკითხულობდე ძველ ხელნაწერებს.

„ის ტროლეიბუსში გავიცანი, მივიპატიჟე სახლში. ჩაითა და ლიქიორით გავუმასპინძლდი... შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩვენ ლოგინში აღმოვჩნდით. მე ჩამეძინა... დავკარგე თანხა... ოდენობით, ოქროს ბეჭედი... სამგზავრო ბილეთი... ნიშნები...“

აი ეს უკვე მეტისმეტი თავხედობაა. დალია ლიქიორი, ისიამოვნა და სამგზავროც ჩაიჯიბა. სრული ნაკრები! არაფერია, მალე გაგკოჭავ.

ვიღებ სუფთა ფურცელს და როგორც სკოლაში გვასწავლიდნენ, ვადგენ დანაშაულის გამოვლენის გეგმას. პირველი — გავაკეთებთ ფოტორობოტს, მეორე — ამ ფოტოროობოტს ვაჩვენებთ ტროლეიბუსის მძღოლებს და ჯიხურის გამყიდველებს, სადაც ქურდმა შეიძლება ნაქურდალი მიიტანოს. მესამე — რამდენიმე დღე ვისეირნებთ საჭირო მარშრუტის ტროლეიბუსით, რათა მიჯნური ავიყვანოთ სამხილით, როცა ის მარტოხელა ქალის ხდობის მოპოვებას ეცდება. მეოთხე... როცა ქალალდზე მეათე პუნქტი გაჩნდა, კალამი გადავდე და შვებით ამოვისუნთქე. მორჩა! ძია გისოსებშია. კლასიკური გეგმაა. სკოლაში სუთიანს დამიწერდნენ. სიგარეტის ნამწვის ექსპერტიზაზე გაგზავნაც არ დავივიწყე. ყოველი შემთხვევისთვის გეგმას დამრიგებელს წავაკითხებ. იგი დღეს ადგილზეა. რაც მართალი მართალია, არც მინდა გავაღვიძო, მით უმეტეს, რომ ვიქტორ გენადის ძე ძილში შფოთავს. თავი მაგიდაზე უდევს, ხელები მუხლებზე უწყვია და ისე ძინავს, ან ფირმა „ანგელინას“ ავეჯი ესიზმრება ან სულაც შორეული ბავშვობა, როცა სიზმრებში დაფრინავდა. ჩერნენკოს მხრებში ვწვდები:

— ვიტია, ერთი წუთით გაიღვიძე, რა!

ვიქტორ გენადის ძე შეკრთა, მკვეთრი მოძრაობით ხელი იღლიისაკენ აიღო.

— რომელი აგვყავს?! ჰა?!

— არავინ არ აგვყავს, ვიტია, ეს მე ვარ, იურა.

ჩერნენკო პისტოლეტს გვერდზე სწევს და ახვევს.

— ფუ, შენი... ეს ყველაფერი რადიკულიტის ბრალია. ზურგი გამიცივდა.

პისტოლეტი ბუდეში იკარგება.

— რა მოხდა, იუროკ?

— არაფერი, ვიტ, არაფერი. აი, გეგმა შევადგინე ქურდობის თაობაზე. მისმინე, შეიძლება რაიმე ვერ არის ისე.

ათივე პუნქტს ვუკითხავ, დამრიგებელი თავის ფეხსაცმელებს თვალებით ბურღავს და დროდადრო თავს მიქნევს. როცა ვამთავრებ, მეკითხება:

— ეს გეგმა შემოწმებისათვისაა თუ რა? თუ ასეა, ნორმალურია. შეიძლება დაბეჭდო.

— არა, ვიტ, შემოწმებისთვის კი არა, გუშინ საღამოს მომხდარი ქურდობის გამოვლენა მინდა.

ვიტკას „ბელამორი" თითქოს თავისით ინთება. ნესტოს რეფლექსურ თრთოლვაზე ვატყობ, გეგმაში შეცდომა გამეპარა.

— გუშინ ქურდობა იყო და გეგმას დღეს წერ?

— გუშინ არ ვიცოდი. განაცხადი მხოლოდ დღეს მივიღე.

ახლა მეორე ნესტო თრთის.

— გეკითხები, საერთოდ რატომ დაწერე? რა, მაშინვე აღძრეს საქმე?

— ჯერ არა, მაგრამ სამი დღის შემდეგ მაინც მოგვიწევს საქმის აღძვრა.

ვიტკა მკვახედ მესვრის:

— აი რა, ჭკუის კოლოფო, ეგ აზრები შენთვის შეინახე. ჩვენ არ გამოგვადგება.

— კი მაგრამ, ვიტ...

— რა ვიტ? სიგარეტის ნამწვავებიო, ფოტორობოტიო... გამოგიჭედავენ თავს ეშმაკმა იცის რით. კეთილი, — უკვე წყნარად ამბობს ვიტკა, — თვითონაც ასეთი ვიყავი. ეს წლებთან ერთად გაგივლის. ამ ქურდობას არავითარი გეგმის დაწერა არ სჭირდება. ქურდობაზე უმჯობესია უარი თქვა, ესე იგი, მასალები არქივს ჩააბარო. ქურდი კი ისე ეძებო, სისხლის სამართლის საქმის გარეშე.

— რ-როგორ თუ უარი ვთქვა? ეს შეუძლებელია, არარეალურია. არა...

— ყველაფერი რეალურია, უარს იტყვი დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. იმ ქალმა დაწეროს, რომ ყველაფერი იპოვა.

ახლა ნესტოები მე მიჭირავს ყურებთან ერთად.

— რ-რ-როგორ თუ იპოვა? რა, ასეთი ჩერჩეტი ქალია? თუ იმასაც გამოვუჩხრიკო, როგორც ბრიუმინგს?

— შეიძლება გამოუჩხრიკო ან შეიძლება პირიქითაც, თავი მოუქონო. რა გვარია ის ქალი?

— პუშკინა, პოეტისა არ იყოს.

— ა-ა, ეგა მეხუთედ თუ მეექვსედ გაასუფთავეს. კაცების მუსუსია და რაც მთავარია, ბენტერაა. რამდენჯერაც არ გააფრთხილეს, მაინც ტროლლეიბუსებში დაეთრევა. ერთხელ, ორჯერ... მაგრამ ხუთჯერ? და შემდეგ კი ჩვენთან მორბის — დამეხმარეთ, გამქურდეს, არამზადები. არ მესმის, შჩეგლოვმა უკან ტროლლეიბუსში რატომ არ გააგზავნა, დაე, ემგზავრა შორს და დიდხანს. კეთილი, ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ დააწერინო, თითქოს იპოვა დაკარგული ოქრო, ფული და სამგზავრო ბილეთი, თავი უნდა მოუქონო.

— როგორ? როგორ მოვუქონო?

— უბრალოდ. დედაკაცებს როგორ უქონავენ? ყოველ დედაკაცს აქვს თავისი სუსტი მხარე. ვის ფრანგული სუნამო უყვარს, ვის — ბრილიანტი, ვის რა და ვის რა. მას კაცის ალერსი აკლია, შენ კი ფული იმ საქმისათვის.

— მერე?

— კარტი ხელში გაქვს! რატომ გაძლევს კანონი სამ დღეს? სწორედ ამისათვის. იმოქმედე, იუროკ. ხოლო გეგმა კი საწოლთან დაუკიდე, რათა არ მოიპატიჟოს პირველივე შემხვედრი მამაკაცი.

— ამალამ არ გავათიო სახლში?

— აბა, რა გინდოდა? ეს ოპერატიული მუშაობაა და არა რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა. შენ, მგონი, უცოლო ხარ. თუმცა, როცა ოდესმე დაქორწინდები, თავში მსგავსი სისულელეები არ ჩაიჭედო. შენ სამსახურში ხარ. სამსახურში — დღითა და ღამით. როგორც სიმღერაშია. აი ჩემი მეორე ნახევარი ძალზე მკაცრად მყავს გაწვრთნილი. თუ რეიდის ან ჩასაფრების შემდეგ სახლში არ დამახვედრებს ცხელ კატლეტს, ღიმილს და ფრაზას: „მე შენით ვამაყობ, საყვარელო“, მაშინ მას სკანდალი ელოდება. შენ კი რა გაქვს სადარდებელი? დაურეკე დედას და გააფრთხილე.

თითქოს ბურუსს მილმა ვხედავ გეგმას და უკვე აღარ ვგრძნობ თავს ჰოლმსად, თავი ლილიპუტი მგონია გოლიათების ქვეყანაში და თანაც ცოტა შტერიც.

●

— გიყვარვარ, იურა? — აი, რისიც მეშინოდა! ტელესერიალებისა და ავანტურული ლიტერატურის ბრალია. ოცდაათი წლის ქალია, ცხოვრებისეული გამოცდილებით კი თხუთმეტი წლის გოგონას დონეზეა. ასე არა მხოლოდ სამგზავრო ბილეთს დაკარგავ, არამედ...

მეორეჯერ ალბათ მონოლოგს წამოვიწყებ ონეგინივით: „იცი რა, ტანია არ შემიძლია, ტანია...“ მაგრამ ახლა წერტილის დასმაა საჭირო, პირდაპირ და მარჯვედ ათიანში უნდა მოვარტყა.

— რა თქმა უნდა, ტანია...

— აჰ!

ვზივარ გაშლილი დივანის კიდეზე და შევყურებ „ტროპიკელი ქალის“ პლაკატს. კუჭში დაუდულარი ვანილის ლიქიორი ლივლივებს. მაწუხებს კუჭის წვა და სინდისი.

ჰო, სხვათა შორის შიშველი ვარ. მაპატიეთ, თუ შეიძლება. დილის რვა საათია. ფანჯრის მიღმა მსუბუქად თოვს.

ზეწარში ვეხვევი და მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელს ვკრეფ. ვიწყებ ჩაცმას.

— ტან, დროა სამუშაოზე წავიდე, მკაცრი შეფი გვყავს, დაგვიანებისათვის სამ კეც ტყავს გვაძრობს.

— დიახ-დიახ, იურა. მესმის. დღეს მოხვალ?

— თუ ჩასაფრებაში ან რეიდში არ ჩამწერეს — უსათუოდ.

ვგრძნობ, ნამდვილად ჩამწერენ.

ტანიჩკა ზურგზე წვება და თვალებს ხუჭავს.

— მალე ახალი წელი მოვა, აჰ, რა კარგია...

მე, რა თქმა უნდა, ცოტათი მეცოდება კიდეც ტანია. მას, როგორც ნებისმიერ ქალს, უნდა ჩვეულებრივი ბედნიერება, ნორმალური და კეთილი მამაკაცი... გასული წლები შესაძლოა, ლამაზი და მდიდარი უფლისწულის ანგარიშიან ძებნაში დაკარგა, არ გაუმართლა. ახლა კი ამისათვის აღარ სცხელა. დრო შეუბრალებელია. მარტოკა საშიშია.

სააბაზანოში შევდივარ. პირის ბანისას თავბრუ მეხვევა. ეტყობა, დღეს ნერვიული ძილი მელოდება სკამზე. ტატიანა უკვე სამზარეულოშია. ყავას ადუღებს. ეტყობა, მან უკვე დალია.

ვჯდები მაგიდასთან და ვიღებ ყველიან ბუტერბროდს. მადა არ მაქვს. ვყლაპავ უშაქრო ყავას. მწარეა.

ტატიანა — პატარა ტანის სიმპათიური ქალია. იგი ოდნავადაც არ წაუხდენია უძილო ვნებიან ღამეებს. მგონი, პირიქით. უცნაურია, რატომ არის მარტო?

მაცივარზე საქაღალდეა მასალებით. გუშინ საღამოს შემოვიარე ტატიანასთან — რაღაც დეტალების დასაზუსტებლად. დავაზუსტე.

მაცივრის თავზე კალენდარ-ჰოროსკოპია. ტატიანა იჭერს ჩემი მზერის მიმართულებას.

— შენ რა ხარ ჰოროსკოპით, იურა?

— მშვილდოსანი.

— მშვილდოსნები მიამიტი ხალხია. დიდი ბავშვები. მიამიტნი და კეთილნი. მაგრამ მიამიტობა არასოდეს არ ვნებთ მათ. მშვილდოსნის პლანეტა იუპიტერია, მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტა. იუპიტერი არასოდეს აწყენინებს თავის ბავშვებს. მე ვისურვებდი დავბადებულიყავ მშვილდოსნად.

მე თავს არ ვთვლი მიამიტად, მაგრამ არც კამათი მინდა.

— ტანია, შენ ხომ გესმის... ეს ქურდობა, ოჰ... ერთი სიტყვით, მხოლოდ სწორად გამიგე... მე მოვძებნი იმ კაცს, შენ რომ გაგასუფთავა და თუ ვიპოვე, ყველაფერს დაგიბრუნებს... დავაყრევინებ ძვლებთან ერთად. ახლა კი... მინდა დაწერო, რომ ყველაფერი იპოვე. გავცხარდი, ყურადღებით არ დავათვალიერე-თქო...

ტატიანა შუბლს ჭმუხნის:

— ვერ გავიგე იურა, რისთვის?

— საქმე ის არის, რომ, ტანეჩკა... ეს მაჩვენებლები... შენთვის ხომ სულერთია, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე თუ არ აღიძვრება. მე, სულ ერთია, მაინც მოვძებნი. ჩემთვისაც სულ ერთია... მაგრამ

ჩვენ ხომ სტატისტიკა გვაქვს. მე კი ახალგაზრდა ვარ, საჭიროა კოლექტივში დავმკვიდრდე, გესმის?

ტატიანა თავს მიქნევს:

— რა დავწერო?

ვიღებ კალამსა და სუფთა ფურცელს.

— განცხადება. გთხოვთ შეწყვიტოთ ნივთებისა დაფფფფფფქება, რადგან ისინი უკვე ვიპოვე. რიცხვი. ხელმოწერა.

ტატიანა დაწერილ ქაღალდს მაწვდის.

— გმადლობთ, ტატიანა, მე შევეცდები ვიპოვო იგი...

ოთახიდან გასული ზურგით ვეყრდნობი კარს და სიცარიელეში ვიცქირები. თქვენი დედაც! სადამდე დავეცი! ვიქეცი ლოთად, ქურდად, აი ახლა კი... ჩვენ კი გვასწავლიდნენ, რომ სამსახურში უნდა ვიყოთ ალტრუისტები და იმპოტენტები. ცივი თავითა და სუფთა ხელებით, არაფრით არ გამოდის.

მახსენდება მოხუცი შერლოკი. საინტერესოა, მოიქცეოდა თუ არა ისე, როგორც დღეს მე? აი ასე, ერთმა გაათია ღამე — დაიკარგა ბეჭედი, მეორემ გაათია — იპოვეს ბეჭედი! პოეზიაა! ყოველგვარი დედუქციის გარეშე. ვფიქრობ არაფერი გამოუვიდოდა შერლოკს. მაშინაც კი, უოტსონი, მისის ჰადსონი და ბერიმორიც რომ დახმარებოდნენ ვერ გამოავლენდნენ. ჩვენ კი გამოვავლინეთ. ჩვენ მაგრები ვართ. წლებით ნაცადი სისტემა არ იძლევა ჩაფლავების საშუალებას.

ცეკვა ყინულზე.

ვიძაბები და ყურს ვუგდებ. ეს კარს იქიდან ისმის, დიახ, იქედან. ტატიანა ტირის...

„მილიციის განყოფილების უფროსს, ომონ-ის მეთაურს, არასაუწყებო დაცვის ეკიპაჟის უფროსს. მოქალაქე ვ. ფ. მამედოვის დაკავების მამედოვის დაკავების შემთხვევაში დაბეჯითებით გთხოვთ: მის მიმართ არ იქნეს გამოყენებული პირადი თავდაცვის საშუალებები და ხელჩართული ბრძოლის ილეთები იმასთან დაკავშირებით, რომ მოქალაქე მამედოვი ითვლება სისხლის სამართლის საქმეში მკვლელობის თაობაზე მოწმედ. პროკურატურის გამომძიებელი ა. ი. პეტროვი. რიცხვი. ხელწერა“.

ამ საცარი დოკუმენტის ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ შჩეგლოვმა თანამოსაუბრეს შეხედა:

— რაო, არ გიშველა?

თანამოსაუბრემ, ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა, თვალს ქვემოთ უზარმაზარი, ჩალურჯებული ადგილი უჩვენა:

— თვითონ ხედავთ.

— რა მოგიხერხოთ?

— ამ ქაღალდის ამოსაღებად. როგორც კი ხელს უბისკენ წავიღებ, მაშინვე ხელკეტი მხვდება სახეში. საწყენია, პირდაპირ. ერთ თვეში სამჯერ მოვხვდი საავადმყოფოში. წავალ სახლში, არ შემიძლია მეტი. ბაზარში ყოველ მეორე დღეს რეიდია და ყოველთვის დრუნჩით ვარ ჩარჭობილი თოვლში. საწყენია. ამ ქაღალდს არავინ კითხულობს. მხოლოდ შემდეგ — განყოფილებაში კითხულობენ. რაკი შავი ვარ, მაშასადამე, ყაჩაღი ვარ? წავალ მე.

— აბა, როგორ გინდა, ბანანითაც ივაჭრო და „ფარანიც“ არა გქონდეს? ძველი მეგობრობის ნიშნად ერთ რამეს გირჩევ. იქნებ გამოგადგეს. აიღე სარეკლამო დაფა, დააწერე ეს ტექსტი მსხვილი ასოებით, პროკურატურის გამომძიებლის ნაცვლად მიაწერე ქალაქის სამმართველოს უფროსი. უკეთესი იქნება თუ მის პორტრეტსაც მიაწებებ. დაკიდე დაფა შენი ფარდულის თავზე და იცხოვრე არხეინად. როგორც კი ომონელები შეტევაზე გადმოვლენ, დაფა აიფარე. უფროსის შიშით ხელკეტებითა და ჩექმებით ცემას არ რისკავენ. უარეს შემთხვევაში ბალონს მოგასხურებენ.

აზერბაიჯანელი მძიმედ ოხრავს:

— გამიგე, ვალენტინ, მაშინ ხომ ჩემები გამასაღებენ. ხათაბალაა მენტებთან საქმის დაჭერა.

— მაშინ არ ვიცი... შენს გულს კაცი ვერ მოიგებს. მაშინ იგორე საავადმყოფოში თვეში ხუთჯერ. აჰა, დაიჭი.

ვალკა ცელოფანში ფაქიზად გახვეულ ქაღალდს უბრუნებს.

— მიხედე, მე არ მცალია.

ახალგაზრდა დგება და გადის, გზადაგზა ქუდს იხურავს.

— ის მართლა მოწმეა? — ვეკითხები შჩეგლოვს.

— დაახლოებით. უკვე მესამე წელია. საერთოდ არ არის ცუდი კაცი. შენ რა გაქვს მანდ? მომეცი.

— იმ საქმეზე უარის განცხადება გავაჩალიჩე. ნახე. ყველაფერი სწორია?

ვალენტინი თვალს ავლებს ახლად გადაბეჭდილ შედეგრს.

— ნუთუ მართლა იპოვა? რა ხალხია?! ხუთჯერ მაინც გავუმეორე, გულდასმით დაათვალიერე ყოველი კუთხე-მეთქი. ის კი გაიძახის, არა და არა, ყველაფერი შევამოწმე, მომპარესო. და აი, ყველაფერი იპოვა მაინც.

— მეც დავეხმარე ცოტა, ვიტკამ მიკარნახა სად შეიძლებოდა მოძებნა. შევამოწმე და ზუსტად იქ აღმოჩნდა.

— ვიტკა, სპეცია, ბრძენის თავი აბია. ჰა, ყველაფერი სწორად დაგიბეჭდია, პროკურორი ცხვირსაც ვერ წაგაკვნეტს.

შემოვიდა შეფი.

— კაცებო, ხვალ საერთო საქალაქო რეიდია. ომონ-ს ერეკებიან აქეთ. სამისამართო პროგრამა უნდა მივცეთ. გაამზადეთ დღეისათვის. ჩაყარეთ იქ პრიტინები, ნარკომანები, „მალინები“, „ხაზები“, ძებნილებიც. დაე გაკრიჭონ, ცუდი არ იქნება. შეიძლება დაიჭირონ კიდეც. პროგრამა უფროსს მიეცით. იურა მინის თაობაზე როგორ გაქვს საქმე?

— კიდევ მაქვს რამდენიმე დღე. ოფონარევსკიდან ტელეტაიპს ვუცდი.

— ნუ აჭიანურებ. ვადაგადაცილებულ მასალებზე ყოველ თათბირზეა ლაპარაკი.

— შევეცდები.

მიხალიჩი გადის. მე ისევ შჩეგლოვს მივუბრუნდი:

— ვალ, მიხალიჩი სულთამსუთავი კაცია, არა?

— მიხალიჩი ბუნებით ოპერია. თუ აქაურ ბანდიტებსა და ბაცაცებს ვინმესი რიდი და შიში უნდა ჰქონდეთ, ეს მიხალიჩია და არა ის გენერლები და ფაფახიანი პოლკოვნიკები, ტელეთი რომ გაჰყვირიან...

— მე მაინც მგონია, რომ ის სულთამხუთავია. აი თუნდაც ამ მინასთან დაკავშირებით...

— მიხალიჩს შეიძლება გაუგო. მდგომარეობა ავალდებულებს, აბა, სცადე მაჩვენებლებიც მოიპოვო და ავტორიტეტიც შეინარჩუნო. მას ყველაზე ძაღლუმადური თანამდებობა აქვს მაჩვენებლებზე ... ჩვენ ყველანი ვართ გადარეული და არა მხოლოდ მიხალიჩ... აქვს გამჯდარი, ინსტიქტივით. შარშან დღესასწაულის წინ თოვლის ბაბუაზე მოახერხა „ჯოხის" გამოჭრა.

— ეს როგორ?

— მიდიოდა ბაბუა თავისთვის საჩუქრებიანი ტომრით ხელში, მიბანცალებდა, ზომაზე მეტი მოსვლოდა მილოცვები. წვერი უხერხულ ადგილას ჩამოცოცებოდა. ჩვენმა გუშაგებმა უბრალო, ადამიანური მოსაზრებით, ბაბუა რომ არ წაქცეულიყო და ძილში არ გაყინულიყო, განყოფილებაში მიიყვანეს გასალხობად და გამოსაფხიზლებლად. მიხალიჩმა სამორიგეოში შემოიხედა. ეს რა წვეროსანი საოცრებაა? თოვლის ბაბუაა. ნეტავ ტომარაში რა უდევს? ალბათ საჩუქრებია. შეამოწმეთ? არა. შეამოწმეთ. შეამოწმეს. ორიოდე კონიაკის ბოთლი და მრგვალი ბატარეებისგან შეკოწიწებული ტკაცუნები უპოვეს. ეს რა არის, ვაჟკაც? ჩემი გაკეთებული ტკაცუნებია, ბიჭებო. ბავშვებს გავუკეთე საფეიერვერკოდ. ახლა ვირჩენ თავს თოვლის ბაბუობით, თორემ წინათ პიროტექნიკოსი ვიყავი. მიხალიჩი ანკესზე არ წამოეგო. ბიჭებო, ჯერ აქტი შეადგინეთ შემდეგ ექსპერტიზაზე გაგზავნეთ. მანამდე კი პიროტექნიკოსი საკანში დატოვეთ.

მეორე დღეს ექსპერტი რეკავს. ასე და ამგვარად. ექსპერტზე წარმოდგენილი საგანი მიჩნეულია კუსტარული წარმოების საბრძოლო იარაღად, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. ტრიოლიტის ექვივალენტი არ დადგენილა, მაგრამ ასეთი ტკაცუნათი კოოპერატივი-ფარდული სულ უბრალოდ შეიძლება აქციო ნაფოტებად. კარგი ფეიერვერკია.

გაგვიმართლა, რომ პიროტექნიკოსმა ბავშვებთან ვერ მოასწრო ვერც ერთის გაშვება. მიიღო ბაბუამ ერთი წელი შრომა-გამასწორებელი, ორასთვრამეტის მიხედვით, სახელმწიფოსათვის ათი პროცენტის გადახდით. საბრძოლო იარაღის დამზადებისათვის მეტი ერგებოდა, მაგრამ პიროვნებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით გადაურჩა პროცენტებს, სადაცაა უთავდება ვადა. ახლა კი მითხარი, არ ჩაეყო ცხვირი მიხალიჩს ტომარაში? ბავშვები ხომ დასახიჩრდებოდნენ. რისთვის ჩაყო ცხვირი? ასე რომ, „ჯოხიც" გვეხმარება ზოგჯერ. მობილიზებას გვიკეთებს. შენ კი ამ მინასთან თავად უფალმა გაგგზავნა.

მე უსიტყვო მორჩილებით დავცქერი ჩემ მიერ შედგენილ უარყოფის ქაღალდს.

ვალკა გესლიანად ბრეცს თვალებს:

— ამ „უარყოფას" სწრაფად ნუ მოდებ ქვეყანას. ნუ ქმნი შენგან გმირს. ახალგაზრდებს გამოუცდელობის გამო უყვართ ყოყოჩობა. არ იციან, რომ ხვალ ჩამოუქროლებს მორიგი კომპლექსური შემოწმება. თავს დაესხმიან ამ პუშკინ-ლერმონტოვას და დაინტერესდებიან სად იპოვა მან თავისი ბეჭდები. შენ ახლა პუშკინას ანკესზე ხარ... და არა

მარტო მის, არამედ სისტემის ანკესზეც. ვერაფრით ვერ გატეხ, ვერა-ვითარი რეფორმით... და მერე ვინ დაგიდგება გვერდში. თვით ამ უარ-მყოფელსაც მოხვდება. ჰო კარგი. ნუ განიცდი, თორემ სულ ამჟავდი. ყველაფერი არც ისე ცუდადაა. ჩვენს გარეშე მაინც არ აქვთ საშველი. ბანდიტებს ვინ დაიჭერს მერე? გენერლები და შემმოწმებლები თუ?.. ჩვენ უმათოდ არ შეგვიძლია, მათ უჩვენოდ. წადი, საშისამართო პროგ-რამა დაწერე.

— დიახ, ვალ, სად ავიღო იგი? ტერიტორიას ჯერ კიდევ ცუდად ვიცნობ.

— ეს ხომ ძალზე იოლია. მარკოვთან სეიფში გროსბუხია, აღრი-ცხვაზე აყვანილი ელემენტებით. წითელი ფერის სქელი ჟურნალია. აი იქიდან ამოიწერე ათიოდე მისამართი. არ შეგეშლება...

●

ირინა რიაბინინას ბინის მომცრო სამზარეულოში ვზივარ და ორთ-ქლის ბრტყელ ბატარეაზე ხელებს ვითბობ. დღეს საშინელი სიცივეა. ბატარეა ოდნავ თბილია. ნელ-ნელა ვლღვები. თავად ვარ დამნაშავე. ჩამეძინა და სიჩქარეში ხელთათმანები სახლში დამრჩა. ლაქი ფრჩხი-ლებზე ასეთ სიცივეში წამში გადადის, ძალიანაც კარგია, რომ არასოდეს ვიკეთებ. კეთილი, კეთილი, ყბედობაც კი არ შეიძლება. იქნებ ავტორს სტრიქონების მიხედვით უხდიან!

ბატარეაზე თითების შეხებამდე ჩემ წინ მჯდომ ირინას დედას ორიოდე შეკითხვა და ახლა ყურადღებით ვისმენ პასუხებს.

— ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ირინა ასე ძლიერ მთვრალი იყო. რა თქმა უნდა, ის სვამდა, შამპანურს, მსუბუქ ღვინოს. დაბადების დღეებზე. ახალ წელს.

— ექსპერტიზა უტყუარი რამაა.

— არ ვიცი... რისთვის დალია? როგორც იქნა, ყველაფერი ააწყო. სამუშაო, პირადი ცხოვრება პირველ ქმართან თითქმის არ უცხოვრია. ნაძირალა აღმოჩნდა. ქორწილიდან ორი თვის შემდეგ გაშორდნენ. დი-პლომი, სახელმწიფო გამოცდები კარზე ჰქონდა მომდგარი და უცებ ქმარს გაეყარა. გადაიტანა. ინსტიტუტი დაამთავრა. ახლა განაწილება არ არის, სამუშაოს ძნელად იშოვი. თვეობით იტრიალა. ხან იქ, ხან აქ და შემდეგ როგორც იქნა — სადაზღვევო კომპანიაში მოეწყო და თანაც მმართველად. წარმოგიდგენია, როგორი წარმატებაა?

— მაკვირვებს, ასეთ თანამდებობაზე ასე ჰაიჰარად არ ნიშნავენ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მგონი, ინსტიტუტის რომელი-ღაცა თანაკურსელი დაეხმარა.

— აბა რა! მე ვინ დამეხმარება ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართ-ველოს უფროსი რომ გავხდე? სობჩაკს ვეხვეწე, ვეხვეწე, ის კი, ახალ-გაზრდა ხარ, იურა, ახალგაზრდა, გაიგე. ირინას კარგი ხელფასი ჰქო-ნდა?

— დიახ, ასეთზე ჩვენ არც კი გვიოცნებია.

— კი მაგრამ, პირადი ცხოვრება?

— იცი ირინას, რატომღაც მიაჩნდა, რომ პირველ ქმართან ჩემ გამო არ გაუმართლა. თითქოს მათ შორის მე ჩავდექი. თუმცა არაფრით

არ ვუშლიდი ხელს. ვფიქრობ, ეს აზრი მას ერთგვარად ამშვიდებდა... მე მესმოდა მისი.

დედა ცოტახანს ჩუმდება.

— ამის შემდეგ ჩემთან არავითარი ლაპარაკი არ ჰქონია მამაკაცებზე. ეშინოდა, ისევ გავთვალავდი. მაგრამ მას ვილაც ჰყავდა. არც თუ ისე დიდი ხანია გამოუჩნდა. სადღაც აგვისტოში. თვითონ ვგრძნობდი. ყვავილები, ძვირფასი სუნამო. გამოცოცხლდა კიდევაც გოგონა, ჩემი ირონჩკა. თქმით კი არაფერს ამბობდა. წამოდით, როცა მის ნივთებს ვალაგებდი, რალაც ვიპოვე.

მე ავაგლიჯე ხელები ბატარეას და ირინას დედას გავყევი.

შევედით მომცრო, კოხტად დალაგებულ ოთახში, მან გამოსწია სარკიანი ბიუროს უჯრა.

— აი ნახეთ, ეტყობა, ირონჩკამ საახალწლო საჩუქრად იყიდა.

ქალმა გამჭვირვალე კოლოფი გამომიწოდა. მასში იდო მოხდენილი და უდავოდ ძვირფასი ჰალსტუხის სამაგრი.

— და კიდევ. ეტყობა, ადრე აჩუქა.

დავინახე მამაკაცის ტუალეტის წყლის „პაკო რაბანეს“ სარეკლამო ღია ბარათი. ვადასტურებ, რომ ეს ფრანგული პარფიუმერიის საუკეთესო გამოგონებაა ბოლო ოთხასი წლის მანძილზე.

— მითხარით, გვარი ბლიუმინგი არაფერს გეუბნებათ? არკადი ანდრეის ძე?

— არა, არასოდეს მსმენია.

აჰა, საიდუმლო მიჯნურობა. წვინტლი ტომატში. გამეგება ასეთი რამეები, თვითონაც ვერთობოდი არც თუ დიდი ხნის წინ. ოღონდ ვისი იდეაა მისი გასაიდუმლოება? ბლიუმინგის თუ რიაბინინას? ან იქნებ ერთობლივი? საბითუმო? მოდი ძვირფასო, გვიყვარდეს ერთმანეთი მალულად, რათა სხვებს არ შეშურდეთ და არ დაამსხვრიონ ჩვენი მყიფე ბედნიერება. დაიცავი, უფალო, ჩვენი სიყვარული!

ბლიუმინგს ჰქონდა საქმე დასამალად. ცოლიანი კაცია. სერიოზული თანამდებობა უკავია. ირონჩკას? რომ არ გაეთვალათ? სისულელეა და მაინც მალავდა. საინტერესოა, თავად ირონჩკამ თუ იცოდა, რომ არკადი ანდრეევიჩი ასე თუ ისე ცოლიანია? რალაც არა მგონია. მაშინ რის გულისათვის აჩუქებდა „პაკო რაბანეს“ და ჰალსტუხის სამაგრს? ჩვეულებრივ საყვარელს საერთოდ არავითარი საჩუქარი არ ეკუთვნის, გარდა, კაცმა რომ თქვას საკუთარი თავისა. დაე, თავად ულაყმა აჩუქოს.

— კიდევ ერთი შეკითხვა, — ჩემს შინაგან ხმას გარეგანმა შეაწყვეტინა, — ავარიის წინ ირინას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა? გამოიყურებოდა ისე, როგორც ყოველთვის?

დედა დივანზე დაჯდა.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, იგი ძალზე აღელვებული დაბრუნდა. თითქმის არ დამლაპარაკებია, შემოვიდა აქ და ჩაიკეტა. არავისთვის არ დაურეკავს, „სანტა-ბარბარასთვისაც“ კი არ უყურებია. როცა სამზარეულოში გამოვიდა, შევამჩნიე, რომ ირონჩკას თვალები დასიებოდა. ის ტიროდა. შემდეგ აფთიაქიდან დასაძინებელი ფხვნილი აიღო და ისევ ჩაიკეტა ოთახში.

დედამ კოფთის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ირინა ასე განიცდიდა საყვარელი ბლიუმინგის გატეხილი შუბლის გამო? რა თქმა უნდა შეიძლება უსაზღვროდ შეყვარება, მაგრამ არა ასე! კეთილი, მარჩიელობას არ დავიწყებ. მთავარია ფაქტი — სახლში გაბრაზებული მოვიდა და თანაც არა უბრალოდ გაბრაზებული, არამედ ტირილამდე გაბრაზებული. ვინ მიიყვანა ტირილამდე? დიახ, ეტყობა მან, ბლიუმინგმა. ფუტრამვაი-ტროლეიბუსში კუზიან აქლემს გიწოდებენ, ნახევარ საათში დაგავიწყდება და აფთიაქში არ გაიქცევი დასაძინებელ წამლისათვის.

მეორე დღეს კი „სტიქსში" თავად დამნაშავე ცხადდება. თანაც ვარდების თაიგულით. აჰა, ბოდიშის მოსახდელად მოვიდა. მოსვლით დანაშაული გამოისყიდა. რის შემდეგაც ირინა უგონოდ თვრება და მანქანას უვარდება ბორბლებში.

— ვერა სერგეევნა, ირინას დაკრძალვაზე ის უცნობი საქმრო არ ყოფილა?

— არა, ყოფილი ქმრის — საშას გარდა, არავინ მოსულა.

— სამუშაოდან?

— არავინ ყოფილა.

— მზრუნველი კოლექტივი ყოფილა.

საყვარლის სანახავად მაინც მოსულიყო. აქლემი.

ბიუროზე მშვილდოსნის სპილენძის ფიგურას ვამჩნევ.

— ირინა მშვილდოსანია ჰოროსკოპით?

— დიახ, ეს მისი ნიშანია.

იუპიტერი, ეტყობა არც თუ ისე ძლიერი ბიძიკოა.

იქვე ტრიუმზე ქალის ჩანთაა.

— ეს ირასია?

— დიახ.

— შეიძლება ჩავიხედო? მხოლოდ ჩანაწერები მაინტერესებს.

— რა მნიშვნელობა აქვს ახლა?.. — დაღლილი ხმით მეთანხმება დედა, — არ მესმის, ეს ყველაფერი რისთვის გჭირდებათ?

მე ტაქტიკურად ვჩუმდები მინის ისტორიაზე და წარმოვთქვამ შინაურულ ნამზადს:

— ის, ვინც ირინას მანქანით გადაუარა მიიმალა. გესმით? უნდა მოვძებნოთ... ნებისმიერი საშუალებით.

ქალი თავს გულგრილად აქნევს. ჩანთიდან ვალაგებ ჩვეულებრივ ქალურ რაღაცებს — კოსმეტიკა, ცხვირსახოცი, საფულე, გასაღებების ასხმულა. ორიოდე ავტოკალამი, ასპირინის აბები. უბის წიგნაკი არ ჩანს. ქალალდის ნაგლეჯზე რამდენიმე ტელეფონის ნომერია. გვერდით ჯიბეში არაჩვეულებრივი განძი მელოდება — არაყის ეტიკეტები, „რასპუტინი", „როსია". კარგია. კიდევ — გაკრული ხელით შესრულებული დაახლოებით ასეთი ჩანაწერები: „17.00 ტანია". ეტყობა, სიჩქარეში ქალალდს ვერ პოულობდა და ეტიკეტებზე წერდა.

— ვერა სერგეევნა, მითხარით, გეთაყვათ: ყვავილებმა, სუნამოებმა და სხვა ასეთებმა აგვისტოდან იწყეს გამოჩენა? თუ გახსოვთ, ირინა როდის გახდა „სტიქსის" მმართველი?

დედა ცრემლს ველარ იკავებს:

— ეროჩკა სამსახურშიც აგვისტოში მოეწყო... აგვისტოს ბოლოს.

●

დამრიგებელი პალტოჩაცმული იჯდა კაბინეტში და სამუშაო საათებში გაზეთს კითხულობდა.

— რა ინტრიგანულია განცხადებების განყოფილება. „ვეჭირდება ახალგაზრდები, კარგად მომზადებული ხალხი, ყველაფერ[illegible]ელი ჩვენის მფლობელი, გთავაზობთ მთელ რიგ მაღალანაზღაურებად მომსახურებას — ფირმების დაცვას, ფირმის ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტას, აგრეთვე ერთჯერად დავალებებს“. ტელეფონი. იკითხეთ ვადიკი. — დამრიგებელმა თავი ასწია. — მეძავი რომ გაზეთის დახმარებით დაიქირავო, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ „კრიშად“ ბანდიტები?.. ამასაც მოვესწარით. სად იყურება გდრს?* საინტერესოა, ვინმეს დაჭერა რომ გაგვიჭირდეს და დავურეკოთ, ეს ვადიკი მოვა? ბრანწი თქვენ. ეს მაღალანაზღაურებადი კაცია. როგორმე თავად უნდა გავისარჯოთ. აბა, შემდეგი მოისმინე. „მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სწრაფად და იაფად აწარმოებს ლიკვიდაციას“, ტელეფონი. იკითხეთ ალიკა. ა-ა-ა-ა-სე. ეს ქილერია თუ რა? სად იცქირება სასიკვდილე განყოფილება? არა, არ ვიცი რა შეიძლება ითქვას აქ. აქ... აქ არაფრის თქმა არ შეიძლება, გარდა ერთისა — „ჩვენ ყველაფერი გამოგვდის“.

შემდეგ, ვიტკა იღებს ყურმილს და კრეფს ნომერს.

— ალიკას თხოვეთ! ლიკვიდაციის თაობაზე. რამდენს ღებულობთ თქვენს შრომაში? რამდენს-რამდენს? ბაქსებში? რუბლებში? მე მგონი იაფია. აჰ, ობიექტზეა დამოკიდებული? საინტერესოა. და მერე, ნამდვილად შეგიძლიათ ნებისმიერის ლიკვიდაცია?

მოსმენილის პასუხის მიხედვით ვიტკას სახე ნესვივით უგრძელდება. ერთი წუთის შემდეგ იგი უპასუხოდ დებს ყურმილს და ხელით იწმენდს გაოფლილ შუბლს.

— ფუი შენი... მე კი ვფიქრობდი, ხალხი სულ შეიშალა ჭკუიდან. მეთქი. ეს ალიკა ტარაკანებსა და ვირთხებს სპობს თურმე. იდიოტი. ნორმალური განცხადების მიცემაც არ შეუძლია.

კაბინეტში მორიგის დამხმარემ შემოიხედა ქაღალდებით ხელში.

— კაცებო, ოფონარევსკში ტელეტაიპი ვინ მიუკაკუნა?

მე ვპასუხობ.

— აიღე პასუხი. შემდგომში შეკითხვის ინიციატორი უჩვენეთ, რომ არ ვირბინო და არ ვეძებო.

ბოლო სიტყვები უკვე აღარ მესმის. ყველაფერი დეპეშის კითხვამ შთანთქა. პროცესის დასასრულს ჩემი სახე ნესვად კი არა, შესაძლოა სამხრეთულ ხილად — ავოკადოდ გარდაიქმნა. ლიკვიდაციის თაობაზე განცხადება უბრალო ბავშვური ცელქობაა ახლანდელ წაკითხულთან შედარებით...

ჩვენ ყველაფერი გამოგვდის...
ჩვენ ყველაფერი გამოგვდის...

---

*** გდრს — განსაკუთრებულ დამნაშაულთა რაიონული სამმართველო.**

ჩვენ ყველაფერი გამოგვდის...
ჩვენ ყველაფერი გამოგვდის...
მაესტრო! აი ასე! მე ვთქვი!

— ოო, იუროკ, ეს მაგარია. ხედავ შენ? ასე გამოჩხრეკას ვერც კრიმინალისტიკის ფედერალური სამსახური, ვერც მთავარი სამძებრო სამმართველო ვერ შეძლებდა, რომ არაფერი ვთქვათ შინაგან საქმეთა სამინისტროზე. ათუხთუხდებიან, ათუხთუხდებიან და მიაგდებენ. ან ხუთ წელიწადს მოუნდებიან ქექვას. მაგრამ ერთ კვირაში?.. შენ მსოფლიო კონტრდაზვერვის ამომავალი ვარსკვლავი ხარ. აი მაშინ კი აზმუვლდები სიამოვნებისაგან.

— მე ხომ საგანგებოდ არ გამიკეთებია, ვალ. მიხალიჩმა სულ ათი დღე მომცა. ყველაფერი ამ მინის გამო. ბლიუმინგი რომ არ დაცემულიყო, არც არაფერი იქნებოდა.

— ამაში კი მთლიანად და სავსებით გეთანხმები. მთელი მისი საქმიანობა ღრმად კონსპირაციულია, იმიტომ რომ ძვირი ღირს. ეს არც სავაჭრო ფარდულის მონაცემების ამოყრაა და არც მანქანის გაქურდვა. აქ წესრიგი ოთხ-ხუთჯერ მაღალია და ძალზე დიდი კაცებია ჩაბმული. ბლიუმინგი აშკარად არ არის ავტორიტეტი. ის სადღაც მესამე საფეხურზეა ბოლოდან. დიახ, საოცრებაა.

— ვალ, მე ხომ არ მომკლავენ?

— საერთოდ, შეიძლება მოგკლან კიდეც. თვითონ ხარ დამნაშავე, რას ძვრები, სადაც არ ეგების.

— ვინ იცოდა?

— შეგიძლია გამანდო შენი უკანასკნელი სურვილი. მე ვიყო უკანასკნელი კაცი, თუ არ შეგისრულო.

— გმადლობთ, ვალ, კარგი კაცი ხარ.

— ეს ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ ინფორმაციას რა მოვუხერხოთ?

— როგორ თუ რა? მიხალიჩმა ხომ მითხრა, ბლიუმინგს წინ დავუწყოთ, დაე იფიქროსო. ან უნივერმაღის მინა აიღოს საკუთარ თავზე ან ინფორმაციას მსოფლიო საზოგადოებამდე დავიყვანთ. მჯერა, სიხარულით დაგვთანხმდება პირველზე და ჩვენც ბალანსში გახსნილ ხულიგნობას ჩავიწერთ.

— ბიჭუკელასი კი არა, ვაჟკაცის სიტყვაა! ყოველდღიურად იზრდები. ბლიუმინგს პრინციპულად უნდა მივაკეროთ ორას ექვსი იმიტომ, რომ, მივცემთ თუ არა ამას მსვლელობას, — ვალკამ თითი დეპეშას ატაკა, — ეს კიდევ საკითხავია. ხალხიც მკაცრია, დანაშაულის ნიშნებიც თითქოს არ ჩანს. მიიღო ლიცენზია უკანონო გზით, მერე რა? რო-

---

**** აღნიშნულ ამბავს რეალური ცხოვრებისეული სარჩული უდევს. 1995 წელს სანკტ-პეტერბურგში შემკვეთმა ქილერი საგაზეთო განცხადების დახმარეთი იპოვა.**

მელი შემადგენლობაა? არა უშავს ორას ექვსის მეორეც გვარიანი ვადაა. გამოიძახე ეგ ვაჟკაცი ხვალ. დაველაპარაკოთ. ყველა მორიარტის თავისი ჰოლმსი ჰყავს, ყოველ ბლიუმინგს — თავისი ივანოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

— გამარჯობა, ძვირფასო ამხანაგო ბლიუმინგ არკადი ანდრეევიჩ! გილოცავთ დამდეგ ახალ წელს.

— თქვენც გილოცავთ. იმედი მაქვს, იპოვეთ ჩემი საბუთები.

— ა-არა.

— კი მაგრამ, მაშინ რატომლა გამომიძახეთ, არ მესმის.

— როგორ? უკვე დაგავიწყდათ ჩამსხვრეული მინა, უნივერმაღი? ბლიუმინგი გამწვანდა:

— რრა-ო?

— რაოდა, ისაო. თქვენ ისევ თქვენსაზე დგახართ, რომ შემთხვევით გატეხეთ? ვხედავ, ვხედავ, თქვენსაზე დგახართ. ძალიან გთხოვთ ჟესტები და თითები არ გინდათ, ენა გაქვთ. მინა თქვენ განზრახ გატეხეთ, ხულიგნური მოსაზრებით, საზოგადოების აშკარა უპატივცემულობისა და ადამიანური ღირსების შეურაცხყოფის მიზნით.

მალულად ვუცქერ შჩეგლოვს, რომელიც მოწონების ნიშნად იქნევს თავს.

მე თეთრებით ვთამაშობ:

— მაშ, ასე, ვიწყებ. ერთი წლის წინ თქვენ დააფუძნეთ ჩვენთვის ნაცნობი კომპანია „ფავორიტი" დასავლეთიდან ფარმაცევტული ნედლეულის სამამულო წარმოებისთვის მიწოდების მიზნით. ძალიან კეთილშობილური წამოწყებაა, ეტყობა, დიდად ზრუნავთ ერის ჯანმრთელობაზე. ყოჩაღ! ამავდროულად თქვენ ყიდულობთ ბორმოტალსაც — აკრძალული ნივთიერებების შემცველ ნედლეულს. ვიტყვით პირდაპირ — ნარკოტიკებს. მაგრამ, ეტყობა ჯანდაცვის სამინისტროსთან თქვენ საკმაოდ კარგი კავშირები გაქვთ. იქ ვიღაცას უჭრის გონება, თქვენც იქვე ხართ შემსრულებელ-მაამებელი. ლიცენზია ბორმოტალის შესყიდვაზე ჯიბეში გიდევთ, ანდა სულაც სეიფში. ყოველი გრამი უმკაცრეს აღრიცხვაზე გაქვთ. ასე არ არის? ღმერთმა ნუ ქნას, რევიზია დაგეცეთ, ღმერთმა ნუ ქნას დანაკლისი აღმოგაჩნდეთ, ვერაფერი ქრთამი ვერ გიხსნით! მაგრამ რატომ უნდა გაირთულო საქმე? ყველა საბუთი ნესრიგშია. ავიღოთ თუნდაც ფარმაცევტული ქარხანა მშკენიერ ქალაქ ოფონარევსკში. კი ბატონო, ჩააბარა — მიიღო. თითების ანაბეჭდები...

ბლიუმინგს ახლა მიწისფერმა გადაჰკრა სახეზე.

— კი მაგრამ, რაში გჭირდებათ ეს ყველაფერი? — ძლივს ამოღერღა მან.

სამაგიეროდ ჩემი ხმაა მხნე და სუსხიანი ზამთრის დილასავით:

— რამდენი ბორმოტალი გააგზავნეთ ოფონარევსკში, ჰა?

— ასე ზეპირად ვერ გიპასუხებთ, საბუთები უნდა ვნახო.

— არ არის საჭირო საბუთების ნახვა. ახლა კეტის ნახვა უფროა

უპრიანი, რათა ერთი გემრიელად ვუთავაზო ზოგზოგებს. ოფონარევსკში, პატივცემულო, არც ერთი გრამი არ გაგიგზავნიათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ქალაქში არავითარი ფარმაცევტული ქარხანა არ არსებობს. კიდევ ერთხელ გილოცავთ, არკადი ანდრეევიჩ, დამდევ ახალ წელს! — დეპეშას ცხვირწინ ვუფრიალებ დირექტორს. — რა იქნა ბორმოტალი, არკადი ანდრეევიჩ, ჰა? დავიწყოთ ძებნა? ერთიც ვნახოთ და ვიპოვეთ, მაშინ?.. მაშინ მე მგონი, ვილაც-ვილაცეები განაწყენდებიან, იტყვიან, ჩააფლავა საქმე და ლიკვიდირებულ უნდა იქნასო, შეცდომას გამოსწორება არ უშველის, სისხლით უნდა ჩამოირეცხოსო. რიაბინინაზე ჯერ არაფერს ვამბობ...

— რამდენი გინდათ? შეგიძლიათ დაასახელოთ ნებისმიერი თანხა.

— ნებისმიერი, არა? ამას შეხედეთ, ბლიუმინგ, — ქაღალდზე წრეს ვხატავ. — ეს წრეა, საითაც გაიქცევი, წაიქცევი. ხომ ასეა?

ვალკა პატივისცემით მიყურებს.

— ასეა, — ლუღლუღებს ბლუმინგი.

— მეტსაც გეტყვით: ორი ბოროტებიდან ირჩევენ მესამეს!

შჩეგლოვს ქუდი რომ ხურებოდა, უეჭველად მოიშვლეპდა ჩემ საპატივცემულოდ.

მე კვლავ ვუტევ. მოწინააღმდეგეს არ უნდა მისცე სულის მოთქმის საშუალება.

— ამ წიგნს თუ იცნობთ, არკადი ანდრეევიჩ? — მაგიდიდან ვიღებ სისხლის სამართლის კოდექსს.

უცებ ბლიუმინგი სკამიდან ვარდება. აი, თურმე ვასკა რატომ უჩვენებს ყველა დაკავებულს კოდექსს. ისინი სკამიდან ვარდებიან არა იმიტომ, რომ მათ სცემენ ან სკამებია მოფამფალებული, არამედ იმიტომ რომ ამ არამზადებს ეშინიათ ჩვენი კანონის სიძლიერისა, მსოფლიოში ყველაზე კანონიერი კანონისა.

მტვრიან იატაკზე წაქცეულ ბლიუმინგს არ ვაშველებ ხელს, შჩეგლოვი მით უმეტეს.

— მგონი, გარკვევით გითხარით შეხვედრის დასაწყისში, რაც მინდა თქვენგან. პატიოსანი აღიარება მინის თაობაზე. პატიოსანი და გულახდილი! როგორც სულიერი აღსარება! მაშინ ჩვენც დავივიწყებთ ოფონარევსკს.

— კარგი. ნამდვილად საგანგებოდ ჩავამსხვრიე მინა.

— თანაც როგორ, არა მარტო მინა ჩაამსხვრიეთ, არამედ უშველი სიტყვებით შეურაცხყავით გამყიდველები. იყო ასე?

— იყო.

— ეგრე. ვიმედოვნებ, მთვრალი იყავით?

— დიახ.

— რა დალიეთ?

— მგონი, არაყი და შამპანური. ვერ მოვზომე ძალები. მაპატიეთ.

— ხდება. რატომ დაარტყით სახეში თქვენი დაკავების მცდელობისას ტრიკოტაჟის განყოფილების უფროსს?

— არ გამირტყამს.

— როგორ არ გაგირტყამს? შენ რა, ვაჟკაც, გადაწყვიტე კანონთან იხუმრო?

— კარგი, კარგი. გავარტყი, მაგრამ მსუბუქად, ისე, ფორმალურად.

— ფორმალურად თუ არაფორმალურად, პასუხის გაცემა მოგიწევს. კამერაში წაიყვანეთ ხულიგანი!

დაცემულს ვშველით წამოდგომაში და მივათრევთ საკლიგეო ნაწილში.

კაბინეტში დაბრუნებული ხელებს ვიფშვნეტ.

— როგორია ჰა, ვალ? მიიღებს თუ არა აკაკი მთლიან ჯერს.

— დიახ, შეიძლება გამოვიძახოთ მომკვლევი.* დააპატიმროს დირექტორი. ხულიგნის ადგილი ციხეშია.

— ხომ შეამჩნიე, ვალ, ჩვენ იგი არაფერში არ მოგვიტყუებია. სუფთად ვთამაშობთ.

მე ვხევ დეპეშას და კალათაში ვყრი. ვალკამ დანანებით ჩაიქნია ხელი:

— კარგი იყო, ის გვეპოვნა, ვისზეც ბორმოტალს ასაღებდნენ, მაგრამ არ შეგვიძლია, ბაზარზე პასუხს ვაგებთ. ჯენტლმენები ვართ.

— რა თქმა უნდა, ველარ ვიპოვნით იმიტომ, რომ მე იგი უკვე ნაპოვნი მყავს.

ვალკა უნდობლად მიყურებს, ნამდვილად ხუმრობსო.

— ბორმოტალი ბლიუბინგს არავისთვის არ ჩაუბარებია, თვითონ გამოიყენა ოპუპენის დასამზადებლად, რა თქმა უნდა, უფროსი ძამიკოების მითითებით.

— კი მაგრამ, სად ამზადებდა? თავის სამზარეულოში?

— რატომ თავის სამზარეულოში? იქ სივიწროვეა და შინაურებიც შეუშლიდნენ ხელს. აქვე, სულ ახლოს არის სადაზღვევო კომპანია „სტიქსი", რომელიც სულ ახლახან ჩვენგან უდროოდ წასული ირინა ალექსეის ასულ რიაბინინას ხელმძღვანელობით მუშაობდა. „სტიქსს" პატარა სახლის ნახევარი უკავია, მაგრამ კლიენტებს ერთ მომცრო ოთახში იღებენ დასაზღვევად სწორედ რომ ნამდვილი სისულელისაგან დასაცავად. ეს ღვარცოფიო, წყალდიდობაო და მართლაც რომ ათასი სისულელისაგან.

შენობის დანარჩენი ნაწილი განკუთვნილია ბორმოტალის ოპუპენად გადამუშავებისათვის. შრომატევადი, სარუდუნო პროცესია. მოითხოვს შესაფერის მოწყობილობას, რომელიც მაშინვე თვალში ხვდება მცოდნე ხალხს.

— მოიცა, რას ნიშნავს „უდროოდ წასული" რიაბინინა?

— ეს ცალკე სასაუბროა. ვფიქრობ, რიაბინინა მსხვერპლია მხოლოდ, მან არც იცოდა, „სტიქსში" რომ ოპუპენს ხარშავდნენ. „სტიქსი" გაიხსნა ამა წლის აგვისტოში. ბლიუმინგს დასჭირდა მმართველი, უმჯობესი იყო ცრუმმართველი, არაფრის მცოდნე. კონსპირაციაა ისეთი, მთავარ სადაზვერვო სამმართველოსაც რომ შეშურდება. ზედმეტი არავინაა საჭირო. მმართველი უნდა იყოს სიმპათიური და სულელი. სიმპათიურ ხალხთან ნაკლებია შეკითხვები. ისინი პირადულად იქცევენ ყურადღებას. გახსოვს პეტია რუჩნიკოვი?

---

* პირი რომელიც იძიებს ხულიგნობის საქმეს.

სად აეკიდა ბლიუმინგი რიაბინინას, წარმოდგენა არ მაქვს. ეს არც არის მთავარი. რიაბინინა აკმაყოფილებდა ყველა ჩამოთვლილ მოთხოვნას, მაგრამ მისგან იატაკქვეშა ლაბორატორიის არსებობის დამალვა არარეალური აღმოჩნდა. ის არც ისე სულელი ყოფილა.

ვვარაუდობ, რომ ბლიუმინგმა ქალს გაანდო „სტიქსის" არსებობის ნამდვილი მიზეზი, მაგრამ მხოლოდ მცირე მინიშნებით: ეროჩკა, ჩვენ იქ არაყს ვაწარმოებთ, მხოლოდ და მხოლოდ არაყს. ჯერჯერობით იატაკქვეშ. ლიცენზია ძალზე ძვირი ჯდება, გესმის, საყვარელო. ერთი წლით ასე წავიმუშავებთ, შემდეგ კი გამოვჩნდებით. არაყი ხარისხიანია, ეჭვიც არ შეგეპაროს. არავის მოვწამლავთ.

სატყუარა გათვალისწინებული იყო არა მარტო რიაბინინასათვის, არამედ შესაძლო კაზუისისთვისაც. განა ცოტა რამ ხდება, განა ცოტა თვალია ამქვეყნად? თუ უცებ მტრები თავს დაგვესხმიან, საეჭვოა, ბოლომდე გაერკვნენ. სარდაფის რიგითი ვიგინდარა ასხამს თვითნახად არაყს. არაყს ამოიღებენ, ვიგინდარას გაფცქვნიან, ხოლო ბორმოტალს ყურადღებას არც მიაქცევენ. მორჩა და გათავდა!

ამიტომ ახლა ჩვენი ომონები, ონონები თუ ყველანაირი შმონები უთუოდ იპოვნიან „სტიქსში ბოთლებს, ეტიკეტებს, საცობებს, ან შეიძლება იპოვეს კიდეც უკვე.

— მოასწარი ჩაკაკუნება?

— კი, ჯერ კიდევ გუშინ. ასე რომ, ბლიუმინგს აღარაფერს გამოვუჩხრეკ. ასეც შევპირდი, მაგრამ შენ არ მომისმინე ბოლომდე. რიაბინინას მართლა შეუყვარდა ბლიუმინგი, რომელიც შესაძლოა ელოდა ამას, ზუსტად ვერ იტყვი. რიაბინინასათვის ბლიუმინგი, ეტყობა, ერთადერთი, მოსიყვარულე, ბედნიერებს მაძიებელი მამაკაცი იყო. ჰოდა, აი, მე ვარ, არკაშა, შენი ბედნიერებაო. ბლიუმინგმა ახლაც მინიშნებით უპასუხა: ძალიან კარგი, ჩემო საყვარელო, ოღონდ ჩვენი ურთიერთობის თაობაზე ნურსად გაამხელ, ხალხში არ მაკოცო, ნურც ტელევიზორში გამოაცხადებ რეკლამასავით. ერთი კვირის წინ ისინი შევიდნენ უნივერმაღში ჰალსტუხის საყიდლად, გამოსვლისას კი არკაშა შუბლით დაეჯახა მინას და ჩაამსხვრია. შემდეგ ხელმძღვანელობის დირექტივის თანახმად საქმეში მე ჩამრთეს. ბლიუმინგსაც და რიაბინინასაც გაუფუჭდათ საღღესასწაულო განწყობილება. შესაძლოა ეს უგემოვნო ჰალსტუხის ბრალი იყო, შესაძლოა იმის ბრალიც, რომ ირინაც გასული იყო საქმეში, ანდა ვინ იცის, სულაც რის გამო. კატაკლიზმებს რა გამოლევს მსოფლიოში! ერთი სიტყვით, გაუნაწყენდნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს ბლიუმინგმა ყვავილები იყიდა და განაწყენებულ მადონასთან გაიქცა. მაპატიე მე ბრიყვს, მინდა მაიკლ ჯექსონივით ვიცეკვო? „სტიქსის" კართან „მოცეკვავე" პირისპირ შემეჩეხა. სამწუხაროდ, მე უგერგილო და გულუბრყვილო აღმოვჩნდი, ამიტომ მივესალმე და სულელურად ავუხსენი, რომ ჩვენი საერთო ნაცნობის ნახვა მინდოდა.

შემდეგ იწყება ვარაუდები. ბლიუმინგი ისევ გაშმაგდა, ადუღდა და მადონას წინაშე ცეკვა აღარ დაუწყია. და მადონა არსად რომ არ გა-

ქცეულიყო ან მაგალითად, ჩემთან ზედმეტი არაფერი წამოეროშა, აუცილებელი და საკმარისი იყო მისი ნეიტრალიზება რაიმე უბედური შემთხვევით. რაც უთუოდ გაკეთდა, რადგან საჭვოა, რიაბინინა თავად დაწოლილიყო საბურავქვეშ — როგორც ანა კარენინა. როგორც ჩანს, იგი მკვდარი ან ნახევრად მკვდარი დააწვინეს, შემდეგ კი [illegible] ბლიუმინგს არ შეეძლო გაერისკა. მეტად სერიოზული [illegible] ბორბოტალის ამ აფიორაში. მიიღო ლიცენზია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე... მართლაც და ძალზე მაღალი დონეა.

აი, მგონი, ის არის ყველაფერი. ასეთია „ფავორიტი“; სწორად თქვა მიხალიჩმა: რათა შეიცნო ნეხვი, საჭიროა მასში ჩააბიჯო. და მთავარი, ჩვენ არ გვემარჯვა, „ჯოხები“ რომ არ გვეთალა, ივაჭრებდა ბლიუმინგი თავისი ოპუპენით, გატეხდა ერის ჯანს. სისტემის პარადოქსია. თითქოს ცუდია, მაგრამ... კარგია! ჩვენ ყველაფერი გამოგვდის! მთავარია, ადამიანები ხშირად ეცემოდნენ ყინულზე, ხოლო ჩვენ კი გავარკვევთ ვინ შემთხვევით დაეცა და ვინ საგანგებოდ.

ოლონდ საწყენია, ვერც „სტიქსთან“ კავშირს, ვერც რიაბინინას სიკვდილს ვერ ვუმტკიცებთ ბლიუმინგს. ვარაუდებს სასამართლოში ანგარიშს არ უწევენ. ამიტომ აჯობებს, დაე, სასჯელი მოიხადოს შემთხვევით ხულიგნობისათვის, მით უმეტეს, საეჭვოა აცალონ სასჯელის მოხდა. გადახერხილი ფიჭვის ქვეშ შემთხვევით მოჰყვება ან აორთქლდება ზონის აბანოში. ნათელი დაადგეს მის სულს.

აწრიპინდა ვალკას ზვინივით ტელეფონი. შჩეგლოვი იღებს ყურმილს.

— შენ ჯკითხულობენ.

ერთი წუთის შემდეგ ყურმილი ადგილზე დავდე.

— უტვინოები, აკი გავაფრთხილე, პირში არაფერი გაიკაროთ-მეთქი. პატარა ბავშვებივით მოიქცნენ. გააცილეს ბუმბული „სტიქსს“ და ყველანი იატაკზე დაეყარნენ. რა საჭირო იყო ოპუპენის კბილებით სინჯვა? ორი ომონელის თუ ონონელის „სასწრაფოთი“ გაგზავნა მოუწიათ კუჭის ამოსარეცხად, თორემ წერილიც კი შეიძლება წაეღოთ. კეთილი, ვალ, წავალ, მიხალიჩს მოვახსენებ და მომკვლევისათვის მასალებს მოვამზადებ. მომიწევს ისევ უნივერმაღში შერბენა, პერსონალის თავიდან დასაკითხად, მოულოდნელად გახსნილი ვითარების გათვალისწინებით. საახალწლოდ არაფრის ყიდვა არ გინდა? ტუალეტის წყლის „პაკო რაბანეს“ ან ვერსაჩეს ჰალსტუხის? შემიძლია წამოგიღო.

●

მიხალიჩი მაგიდასთან ზის და თავი ხელებში ჩაურგავს. დამინახა თუ არა, ნერვიულად დაიკრუნჩხა და წამოიჭრა:

— აა! სად იყავი?

— შჩეგლოვთან ვიჯექი. მასალების საქმეს ვწყვეტდით.

— ჭკუის კოლოფო, გუშინ სამისამართო პროგრამისათვის რა მიეცი?

რაღაც ცუდის წინათგრძნობით პულსი მიხშირდება. ასე შეიძლება ტაქიკარდიაც ავიკიდო.

— წითელი წიგნიდან ამოვიწერე. ჩერნენკომ მითხრა, მარკოვს იქ კონტინგენტი უწერიაო.

— მაგრამ არა ის კონტიგენტი! — მიხალიჩი [illegible] უკაკუნებს მაგიდაზე, — ის კონტინგენტი მწვანე წიგნში ეწერა. [illegible] წითელში კი „სტუკაჩები“ და „თანამგრძნობებია“! როგორ შევხედო ახლა მათ თვალებში?! იმისათვის, რომ გვეხმარებოდნენ, ომონებმა დღეს ნეკნები დაუმტვრიეს! კარგი მადლიერებაა! შენს ტერიტორიაზე წლობით შექმნილი ყველა აგენტური ქსელი, ერთბაშად დაანგრიე! მოგიწევს ხელახლა შექმნა. ეშმაკმა წაგიღოს, მიგეცა ორი-სამი მისამართი და მორჩა. რა საჭირო იყო თითქმის მთლიანი წიგნის გადაწერა.

— ვიფიქრე, რაც მეტია, მით უკეთესია-მეთქი.

მიხალიჩს პირი უნდა გაეღო, მაგრამ ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

— ასე, ასე, გავიგე, დასტური. სახლში წადი, გამოიძინე. თუ ცოლთან უსიამოვნება მოგიხდება, დამირეკე, მე ავუხსნი.

გუნებაგამოკეთებულმა ზიმინმა ყურმილი დადო.

— როგორც იქნა. გულწრფელად რომ ვთქვა, იმედი არც მქონდა. ყოჩაღ ვიტკა, ოპერია, რა მეთქმის.

არაფერს ვეკითხები, მეშინია, ისევ არ დავიტეხო რისხვა. მაგრამ მიხალიჩი დადებითი მიმართულებით დაიქოქა და ისე პასუხობს, კითხვას არც უცდის.

— შენი დამრიგებელი ორი კვირა შტაბორიდან რატომ ვერ გამოვიდა? ჩვენ გვერდით მუშათა საერთო საცხოვრებელია, მის ახლოს, ვიღაც ვამპირი საღამოობით ყარაულობს მარტოხელა დედაკაცებს. იქვე საქვაბეა, შეათრევს იქ დეიდებს, იხ...რს და ბრიდავს. ორი ეპიზოდი ერთ თვეში. ჰოდა, ვიტკამ ერთი ქალი შეაბა საერთოდან და ჩაუსაფრდნენ ვამპირს. ქალს ჭიქა არ აუცდენია. ვიტკასაც როლის შესისხლხორცება მოუწია. კარგია, უშედეგოდ არ გარჯილან. გაუშიფრავს დღეს ძალლიშვილი. იმავე საერთოდან აღმოჩნდა. საღამოს დავამუხრუჭებთ.

მიხალიჩმა კმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები და მოემზადა ვიღაცასთან დასარეკად, სულ გადაავიწყდა ჩემი თავიცა და წითელ-მწვანე წიგნიც.

მე ცოტა ხანს ვიდექი და შეუმჩნევლად გამოვედი.

●

საღამოს ტატიანასთან შევლა გადავწყვიტე. მისი ნივთები ჯერ არ მიპოვია და საეჭვოცაა ოდესმე ვიპოვო.

თვითონაც არ ვიცი, რატომ მივდივარ იქ. სადღაც თავს დამნაშავედ ვგრძნობ, სადღაც მეცოდება იგი... არ ვიცი. უბრალოდ მივდივარ.

ყვავილების მაღაზიაში ვარჩევ სამ, ლამაზად შეფუთულ ვარდს, ვყიდულობ და გასასვლელისაკენ მივდივარ. კართან ოდნავ ჭედვაა. ყველას სჭირდება ყვავილები. ვუღიმი სქელ მანდილოსანს და მაღაზი-

ის ზღურბლს ვაბიჯებ. ფეხი მკვეთრად გაცურდა წინ, მე „შპაკატზე“ ვჯდები, ტკივილისაგან ვყვირი და თავით ვიტრინას ვეჯახები.

არამზადები! სად არის მეეზოვე? ლამის გავიხლიჩე. წამოდგომაც კი არ შემიძლია. სახეზე მინის ნამსხვრევების სეტყვა მაცვია და მტკივნეულად მიკაწრავს კანს. სადღაც ზურგთან ვიში და ღმუილია. „ღმერთო, მერამდენე კაცი ეცემა უკვე, დაეხმარეთ, დაეხმარეთ, ახალგაზრდავ, ხომ არ დაიჟეჟეთ? სახეზე სისხლი გდით“.

ყვავილები ჩემ გვერდით, თოვლზე, მინის ნამსხვრევებში ყრია. სასწრაფოდ გამოიძახეთ ბატონი პიკასო! პეიზაჟი იყიდება.

ძლივძლივობით ვდგები. ჩემკენ კაბაზე სამკერდე ნიშნიანი ქალი მოცურავს. „დირექტორი“. ახლა მომიწევს თავის მართლება მათსავე დოყლაპიობაზე. *თითქოსდა სილა არ არის. და იქვე ვამჩნევ,* ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა, სწორედ ის, ახლახან ყვავილები რომ მომყიდა, როგორ ატრიალებს ტელეფონის დისკოს... ო ღმერთო! რას ვაკეთებდი მაღაზიაში? ვიყიდე ყვავილები. ვისთვის? ტატიანასათვის. რომელი ტატიანასათვის? რომელსაც მოპარეს პირადი ქონება და რომელმაც უცნაური გზით იპოვა...

ეს ნიშნავს მხოლოდ ერთს — ბომბს. შეიძლება გამომიჩხრიკონ რამე. ყველას შეიძლება გამოუჩხრიკონ! არის საბაბი! არის ხელის ჩასაჭიდი! არამზადები!

ამ აბდაუბდა აზრებმა სულ რაღაც ერთ წამში გამიელვა დაჟეჟილ თავში. მომდევნო წამში ხელის კვრით ვიცილებ სქელ ქალბატონს, ხელს ვტაცებ ვარდების თაიგულს და მიუხედავად დაჭიმული ძარღვებისა და სახიფათო ლიპყინულისა, რაც ძალა და ღონე მაქვს, ხელებგაშლილი გავრბივარ, გავრბივარ, გავრბივარ...

# გერმანული პროზა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვოლფ ვონდრაჩეკი

გერმანულიდან

თარგმნა ნონა ფუხაშვილმა

### შუადღის შესვენება

იგი ქუჩის კაფეში ზის. ფეხი ფეხზე გადაუდვია. დრო ცოტა აქვს. მოდების ჟურნალს ათვალიერებს. მშობლებმა იციან, რომ იგი ლამაზია. ეს არ მოსწონთ.

მაგალითად, მას ბევრი მეგობარი ჰყავს. და მაინც არ ამბობს, ეს ჩემი საუკეთესო მეგობარიაო, თუკი სახლში რომელიმე მათგანს მოიყვანს.

მაგალითად, მას კაცები სიცილით დაჰყურებენ ხოლმე ზემოდან, როცა მის სახეს მზის სათვალის გარეშე წარმოიდგენენ.

ქუჩის კაფე გადავსებულია. მან ზუსტად იცის, რაც სურს. ვვერდით მაგიდასთან ერთი გოგონა ზის, მასაც ფეხი ფეხზე აქვს გადადებული.

მას არ უყვარს ტუჩის შეღებვა. ყავას უკვეთავს. ხანდახან ფილმებზე ფიქრობს, სასიყვარულო ფილმებზე. შესვენებაზე ყველაფერი უნდა მოასწროს.

პარასკევობით საკმარისი დრო აქვს, კონიაკი რომ შეუკვეთოს ყავასთან ერთად, მაგრამ პარასკევობით ხშირად წვიმს.

როცა მზის სათვალე გიკეთია, გაწითლება ნაკლებ გემჩნევა, მით უფრო თუ სიგარეტსაც ეწევი. მას ძალზე წყინს, რომ არ შეუძლია ნაფაზის დარტყმა.

შუადღის შესვენება ფრიად გასართობია. თუ არ გამოელაპარაკებიან, ფიქრში წარმოიდგენს ხოლმე, რას იზამს, ვინმე მამაკაცი რომ გამოელაპარაკოს. ის გაიცინებს და პასუხს თავს აარიდებს. ალბათ ეტყვის, რომ მის გვერდით სკამი დაკავებულია. გუშინ ვილაც დაელაპარაკა. გუშინ სკამი თავისუფალი იყო. გუშინ გახარებული იყო, რომ შუადღის შესვენება ასე სწრაფად გავიდა.

ვახშამზე მშობლები თავის ახალგაზრდობაზე საუბრობენ ხოლმე. მამამ თქვა, კარგი დრო იყო, დედამ — მუდამ რაღაცის მეშინოდა. გოგონამ კი ამის პასუხად თქვა შუადღის შესვენება სულაც არაა საჭიროა.

ამ ხანში ისწავლა, რომ გადაწყვეტილება თვითონ [illegible] ღოს, სხვა გოგონებივით შეკითხვაზე შეკითხვით უპასუხოს.

თუმცა სულ მუდამ ქუჩის კაფეში ზის, შუადღის შესვენება მაინც დამქანცველია, ვიდრე წერილის წერა. ყოველი მხრიდან აკვირდებიან. მაშინლა გრძნობს, რომ ხელები აქვს.

ქვედაბოლო არ არის თვალშისაცემი.

მთავარია, რომ ქალი პუნქტუალურია.

ქუჩის კაფეში მთვრალები არ არიან. იგი ხელჩანთას ათამაშებს. ამჯერად გაზეთს არ ყიდულობს.

კარგი იქნება, შუადღის შესვენებაზე რაღაც უბედური შემთხვევა მოხდეს. მაშინ ძალიან დაიგვიანებდა. მაშინ იქნებ ვინმე ძლიერ შეყვარებოდა. თუ არ მოემსახურებიან, დახლთან მივა და თვითონ გადაიხდის ყავის ფულს.

საბეჭდ მანქანასთან ბევრი დრო აქვს, უბედურ შემთხვევებზე რომ იფიქროს. უბედური შემთხვევა მისი საყვარელი სიტყვაა. ამ საყვარელი სიტყვის გარეშე შუადღის შესვენება მოსაწყენი იქნება.

## ვილანდ ჰერცფელდი

### ტყის ქოხი

ჯერ კიდევ რომ იყოს ის წესი და ჩვეულება, გვარს, სახელსა და ოჯახის ისტორიას ღერბზე რომ აღნიშნავდნენ ხოლმე, ჩემი ღერბი ასეთი იქნებოდა: ხასხასა მწვანე ბალახით მოფენილ მინდორში მუქი წაბლისფერი ქოხი, კუთხეებში კვერნა, არწივი, მაჩიტა და გველი; ქვემ წარწერა: „სილარიბე ის დიდი შარავანდედია, შიგნიდან რომ ასხივებს“. რილკეს ამ ლექსს დროდადრო ღარიბი ადამიანების დასაცინად ვიყენებ-

დი ხოლმე. ამასთანავე მიყვარდა ეს ლექსი იმ სხვა იდუმალი მნიშვნელობის გამო, ის ქოხი რომ ხორცს ასხამდა თავისი მარტოობის ზღაპრული აურით. იმედით გადაჰყურებდა იგი ხეობას იდუმალში, ამინდისაგან ფერშეცვლილი და ძლიერი, ვიდრე არ დაიშალა და არ გაქრა...

თუ ზაფხულში ზალცბურგიდან პარშის გავლით აიგენისკენ წახვალ, შენგან მარცხნივ დაინახავ გაისბერგს, რომლის წვერი შიშველია, ხოლო ციცაბო ფერდობები ზალცახტალამდე ხშირი ნაძვნარით დაფარული. შუაგული მთის მუქი სიმწვანიდან ანათებს პატარა მოლისფერი ოთხკუთხედი — ადამიანის ხელით შექმნილი ალპური მდელო.

იქნებ განსაკუთრებული ვინმე ან საზოგადოებიდან გარიყული ადამიანი იყო იქ, ზემოთ, შემდეგ დასახლებამდე დაახლოებით ერთი საათის სავალზე მათემატიკური სიზუსტით ოთხკუთხედი რომ გამოჰყო ტყიდან და მიწა ისე გულდაგულ დაამუშავა, ჟოლოსა და მაყვლის ბუჩქებით დაფარული კი არა ქვებისა და ფესვებისაგან თავისუფალი, მისი დამრეცობის მიუხედავად საოცრად რბილი მდელო გააშენა. მე და ჩემი და-ძმის გარდა არავინ იცის, რომ ოდესღაც ამ მდელოზე ქოხი იდგა. ამ ქოხს ალბათ ძლივსღა გავიხსენებდი, ბატონ იგნასიო ვარნშაინს, 1900 წ. აიგენის საოგურის მეურნეობის მფლობელსა და ამ სოფლის ბურგომისტრს ჩვენთვის, ოთხი და-ძმისათვის ხშირად რომ არ ეამბნა მასზე და ხანდახან იქ რომ არ წავეყვანეთ ხოლმე. სხვა დროსაც რომ არ მენახა ეს მდელო მაინც არასოდეს დამავიწყდებოდა. მდელო და ტყე, მას რომ ესაზღვრებოდა, ჩემთვის, სამი წლის ბავშვისათვის მთელი სამყარო იყო; მდელო — კარგად ნაცნობი, ტყე კი მიმზიდველი, მაგრამ აკრძალული სამყარო, სადაც ჯადოქრები და მგლები ცხოვრობდნენ და სადაც შეიძლებოდა გზა ამბნეოდა. ბალახებსა და ყვავილებში მომწარო თაფლის სუნი იდგა. ჩემ ირგვლივ ზუზუნი და წრიპინი ისმოდა. ტანზე მკლავებშემოწყობილი მდელოს ზემოდან ქვემოთ რომ ჩამოვგორდებოდი ხოლმე, კოტრიალით თავბრუდახვეულს რალაც იდუმალების გრძნობა ამიტანდა და შევიგრძნობდი ჩემს სხეულსა და მდელოს. მხოლოდ ბედნიერების ეს გრძნობა შემომრჩა — იყო ბუნებისა და ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და მფლობელი.

ბატონი ვარნშაინის მონათხრობი ქოხზე და ამ ქოხთან დაკავშირებული ჩემი მშობლებისა და და-ძმის ბედზე ალბათ მარტო ბუნდოვან მოგონებად დამრჩებოდა, ის მდელო რომ არ ყოფილიყო, მთელი ამ ამბების ნათელი ფონი.

1895 წელს მიუნხენში გამოქვეყნებული ლექსისათვის მამაჩემს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს ღვთისადმი მკრეხელობის გამო. ეს მაშინდელ ბობოქარ პერიოდში კატასტროფა იყო. მან თავი დააღწია ამ მდგომარეობას და შვეიცარიაში ემიგრაციაში წავიდა. სწორედ ამის გამო ჩასახვისთანავე დევნილი გავხდი. დავიბადე 1896 წლის ადრე გაზაფხულზე ფიერვალდშტეტერის ტბაზე. რადგან გადასახლებას თავიდანვე შეჩვეული ვიყავი, გამიადვილდა ორმოცი წლის შემდეგ აშშ-ში ცხოვრე-

ბა. მაგრამ მაშინ ჩემი მშობლების შემოსავალი ისე მწირი იყო, რომ კონფედერაციული თავისუფლების ცნება ვერ უძლებდა. ქვეყნიდან გაქცეული პოეტი, როგორც „უსახსრო უცხოელი" შვეიცარიიდან განდევნეს. რაკი გერმანიასა და იქ ციხეში მამას არ უნდოდა დაბრუნება, სხვა გზა არ იყო, თავის ოჯახთან ერთად ავსტრიაში გაემგზავრა. ნეტავ რამ მოიყვანა იგი აიგენში? ალბათ იქაურობა განსაკუთრებულ მოეწონა, ან იქნებ გზის ფული არ ეყო. ბატონმა ვარნშაინმა მხოლოდ ის იცოდა, რომ მამას ჩამოსვლის შემდეგ ბინის ფული აღარ ჰქონდა, სამაგიეროდ ბუნებამ ისე აღაფრთოვანა, რომ მზად იყო განმარტოებით მდგარ ალპიურ ქოხში ეცხოვრა.

ქოხი საკმაოდ გრილი იყო: ხის სქელ კედლებიან დიდ ოთახს პატარა ფანჯრები ჰქონდა. ღია კარში ნაძვების მიღმა მდელოს ქვემოთ ზალცახტალი მოჩანდა. კარამდე რამდენიმე საფეხური იყო, რადგან ქოხის უკანა კედელი მთის ფერდობზე იყო მიშენებული, შუაში და წინ კი ხის ბოძებზე იდგა. ბურგომისტრი და მისი მეუღლე დაეხმარნენ ჩემს მშობლებს საჭირო ავეჯის შეძენაში. ნეტავ რა გრძნობამ აიძულა ისინი მხარში ამოდგომოდნენ იმ უცნაურ კაცს, მუშაობის ნაცვლად ლექსებს რომ წერდა? ცხადია, მისმა სამმა პატარა შვილმა და როგორი უცხო იყო ეს ორი ჩრდილოგერმანელი ბატონი და ქალბატონი ვარნშაინისთვის, როგორი გაუგებარი იყო მათი იდეები ხელოვნებასა თუ პოლიტიკაზე, აქ რომ ჩამოიტანეს. ერთი კი ცხადი იყო: ოჯახს ჭერი სჭირდებოდა.

დიდი ქვებით გადახურული ქოხის სახურავი მედგრად უძლებდა ალპების ქარიშხალსა და თოვლის სიმძიმეს. მაგრამ როგორ გაძლეს ჩემმა მშობლებმა სამი წლის მანძილზე ამ ქოხში, ზამთრობით ფანჯრებზემოთაც კი თოვლში რომ იყო გახვეული? ალბათ არც იცოდნენ, როგორ დახმარებოდნენ საკუთარ თავს. სწორედ რომ გმირობაა, როცა სხვა გამოსავალი არა გაქვს და მაინც არ იღუპები.

ბატონ ვარნშაინის თვალში ჩემი მშობლები ცხოვრებას არ იცნობდნენ, ფანტაზიორები და არაპრაქტიკულები იყვნენ. ისინი ფულს არაგონივრულად ფლანგავდნენო, თქვა მან და მაგალითიც მოიყვანა: თურმე ერთ ღამეს დედაჩემს უეცრად გამოელვიძა, სიბნელეში ჩემი უფროსი დის საწოლთან მივარდა და შიშველი ხელებით იშვიათი ჯიშის კვერნა მოახრჩო, მძინარე ბავშვს მკერდზე რომ აჯდა და საძილე არტერიაზე კბენას უპირებდა. მეორე დღეს შეშინებულმა დედაჩემმა მკვდარი ცხოველი ხელში აიყვანა და მთელი სოფელი შემოიარა. იმის ნაცვლად, რომ ჩემს მშობლებს ბურგომისტრისთვის დაეჯერებინათ და იშვიათი ცხოველის დაუზიანებელი და ძვირფასი ბეწვი გაეყიდათ, რადგან მეტად ღარიბები იყვნენ, დედაჩემი ჯიუტად ამტკიცებდა, კვერნა ქოხის შესასვლელის ზღურბლქვეშ უნდა დავმარხოთო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს სხვა სისხლის მწოველებს დააბრკოლებდა და მძინარე ბავშვებს თავს აღარ დაესხმებოდნენ. მამაჩემი ცრუმორწმუნე კაცი არ იყო, მაგ-

რამ გონივრულად ფულის გამოყენება არ იცოდა. ერთხელ თურმე კლდეში არწივის ბუდე აღმოაჩინა და ახალგაზრდა არწივი ცოცხალი შინ მოიყვანა. მაგრამ კი არ გაჰყიდა, ზალცბურგის ბასტიონის ციხე-სიმაგრის ბაღთან მდგარ ჩიტების სახლს საჩუქრად გადასცა. რამდენიმე წლის შემდეგ, ჩემს ბიჭობაში ხანდახან ვაკვირდებოდი ხოლმე ბოლომდე ფრენილ და ჭუჭყიან არწივებს, გალიებში რომ ისხდნენ. ვერ წარმომედგინა, რომ ეს უძრავი, უსიამოვნო, საზიზღარი ფრინველები ოდესღაც ახალგაზრდები იყვნენ და სულაც არ მინდოდა იმის გარკვევა, რომელი მათგანი იყო, ვის გამოც მამაჩემს დედა არწივმა ხელები და თავის ქალა დაუსისხლიანა. მაგრამ მაინც ვამაყობდი იმ კაცის საქციელით, რომელზეც სხვა არავითარი მოგონება არ შემომრჩენოდა.

მამა არასოდეს მომნატრებია. მალე მივეჩვიე და ბატონ ვარნშაინს ბიძია იგნასიოს, მის მეუღლეს კი დეიდა კლარას ვეძახდი. მათ რომ ეთქვათ, მამა და დედა დაგვიძახეო, ცხადია, მშობლებად ჩავთვლიდი.

ბიძია იგნასიო იშვიათად საუბრობდა ჩემს მშობლებზე. ისინი მისთვის სულ სხვა, ცუდი თუ არა, უცხო სამყაროს არსებები მაინც იყვნენ. არა იმიტომ, რომ დიდი სიდუსტჭირის გამო ისინი მის თვალში გაუფასურდნენ. ღარიბებს რომ უნდა ეარსებათ, ეს ღმერთის ნება იყო. მამაჩემს უმდიდრესი ნათესავები ჰყავდა ამერიკაში, მაგრამ ისინი ძალზე იშვიათად ფულს გვიგზავნიდნენ, თანაც არც ისე ბევრს. ბიძია იგნასიომ ეს კარგად იცოდა, რადგან ფოსტა ტყის ქოხში კი არ იგზავნებოდა, ჩემი მშობლები ჩადიოდნენ ხოლმე აიგენში — თუმცა ხშირად ამაოდ — საბურგომისტროდან, სადაც ფოსტა იყო, ფული რომ გამოეტანათ. ბატონმა ვარნშაინმა ღრმად მორწმუნე კათოლიკემ ღვთის წყალობად მიიჩნია 1899 წლის ზაფხულში ამ ორი ადამიანის უეცარი გაუჩინარება. მას არასოდეს უამბნია ჩვენთვის, რა დაემართა ჩვენს მშობლებს. ცხადია, მათ უნდოდათ მშობლები დაგვეკარგა. და რაც შემეხება მე, ასეც მომივიდა.

მაგრამ ჩემი ძმა ჰელმუტი, ხუთი წლით ჩემზე უფროსი, ძალზე განიცდიდა დანაკარგს. მთელი ოთხი დღე უჩვენოდ ეძებდა იგი ქოხში დედას. სოფელში რომ წასულიყო საძებნელად, რვა წლის ბავშვმა ვერ მოიფიქრა. შეშინებული და უმწეო გარბი-გამორბოდა ტყეებში და სასოწარკვეთილი გაჰყვიროდა ყოველ დღე მხოლოდ ერთ სიტყვას: „დედა!“

მშობლების დაკარგვიდან ამ ოთხმა დღე-ღამემ წარუშლელი დაღი დაამჩნია ჩემს ძმას სახეზე და მე ვფიქრობ მისი დამახასიათებელი თვისება წარმოაჩინა: ყოველი საწუხარი და სადარდებელი საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმად მიაჩნდა ხოლმე.

დაბინდებისას ტყეში გზა აერია და ოთხჯერ დაბრუნდა ქოხში, სადაც ექვსი წლის და სამი წლის ძმას — ანუ მე და ჩვენს პატარა წლინახევრის დაიკოს უვლიდა.

მთელი ეს დღეები დედა და მამა რომ არა და არ გამოჩნდნენ, ბურგომისტრი და მისი მეუღლე მოვიდნენ ამბის გასაგებად. მათ ისეთი სუ-

რათი იხილეს, რომლის ცოცხლად აღწერაც ბატონ ვარნშაინს არასოდეს
გეზრდებოდა და ამასთან ქრისტიანული სულგრძელობის გამომზეურე-
ბაც უნდოდა.

სულ პატარა და მთლად სველ კალათაში მშვიდად იწვა და პირში
ლრმად ჩატენილ ცერა თითს წოვდა. ექვსი წლის და კი ფქვილსა და
წყალს ქოთანში ურევდა, ვითომდა ომლეტებს აკეთებდა. „ცხოვრებამ ჩვე-
ნი მშობლები რომ მოიკითხეს, ჩემი ძმა მწარედ აქვითინდა. მე კი ცათ-
თვის ყურადღება არ მიმიქცევია, ჩემი საქმე გავაგრძელე, საჩვენებელი
თითით კალათის გვერდით დამდგარ პატარა გუბეებს ნაპირებს ვუცვ-
ლიდი. ისე გავერთე თამაშით, რამდენჯერმე მოუხდათ თქმა, რომ თავი
დამენებებინა. ყოველთვის, როცა ბატონი ვარნშაინი ამ ადგილამდე მი-
ვიდოდა ისე გაიცინებდა ხოლმე, რომ მთელ კბილებს გამოაფენდა. „ნა-
ხატს არ სცილდებოდი. ეს მაჩიტაა, დინჯად და ამაყად წარმოთქვი და
გული გეტკინა, რომ შენი ნახატით არ აღვფრთოვანდით“.

უშვილო ცოლ-ქმარმა თავისთან წაგვიყვანა, მამაჩემის ძმას კი
ნიუ-იორკში ტელეგრაფით აცნობეს, რა მოეხერხებინათ ამ ოთხი ობ-
ლისათვის. ამას რომ იტყოდა ბიძია ვარნშაინის სახე უზომო გაოცებას
გამოხატავდა. ხვეული სიმეტრიულად გაყოფილი სქელი წვერი მას დი-
დი ადმირალის ღირსებასა და ავტორიტეტს აძლევდა. „ინტერნატში
წაიყვანეთო, ასე შემოთვალა მილიონერმა და ერთი წითელი კროიცე-
რიც* კი არ გამოგზავნა“, გვითხრა ბიძია ვარნშაინმა და თავი
გააქნია. მას უბრალოდ ვერ წარმოედგინა ღვიძლი ძმისშვილების მი-
მართ ასე უგულოდ მოქცევა. ისეთი თვალებით ვუყურებდით, როგორც
მეზღაპრეს. მან ამჟამად, ამასთანავე თბილად შემოგვხედა და თქვა:
„ინტერნატშიო! მერე რა პასუხი უნდა მივცე ღმერთს? მე თქვენს მშო-
ბლებს სამსჯავროზე თვალებში ვერ შევხედავ“. მხოლოდ რამდენიმე
წლის შემდეგ, როცა დავინახე „ედმუნდსბურგის“ ინტერნატის აღსაზრ-
დელები, ეს ერთი ციცქნა, ფერმკრთალი, უსიხარულო პატიმრები უფ-
ერულ უნიფორმის ჟილეტებში გამოწყობილნი, ოთხ რიგად დამწკრივე-
ბულები, ზალცბურგის ქუჩებში მონაზვნებს მუნჯი მწერებივით რომ
მიჰყავდათ, მაშინლა მივხვდი, რა ბედისაგან დაგვიცვა ლუნგაუერმა
გლეხმა ცოლ-ქმარმა ოთხი უცხო ბავშვი.

სამიდან ცხრა წლამდე მათთან შვილივით ვცხოვრობდი. სწორედ
მათ ვუმადლი, რომ ეს წლები ჯადოსნურ და ბედნიერ დროდ მახსენდე-
ბა. მოგვიანებით თავისუფალი დღეები და სამგზავრო ფული რომ გამიჩ-
ნდა, ამ ორ ადამიანთან დავბრუნდი, რომლებმაც ჩემი და ჩემი მშობ-
ლების ცხოვრებას ვერაფერი გაუგეს, ალბათ ცოდვადაც კი ჩათვალეს.
და მაინც თავიანთ გულისთქმას დაემორჩილნენ და არა ვიწროდ მოაზ-
როვნე ადამიანთა განსჯას.

როგორც მათთან, ისე მიმიწევდა გული ტყის ქოხისკენაც. ზალც-
ბურგში რომ ჩავდიოდი, ყოველთვის ვნახულობდი ხოლმე მას. მას შემ-

---

*** კროიცერი — XIII-დან XIX საუკუნემდე სამხრეთ გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში გავრცელებული უბრალო მეტალის მონეტა, რომელზეც ჯვარი იყო ამობეჭდილი.**

დეგ, რაც ჩვენ დავტოვეთ, არავინ შესულა საცხოვრებლად... თუმცა იქნებ არც ასე იყო?

1914 წლის გვიანი ზაფხულის დღე იყო. ქოხიდან [illegible] ყრუ ხმები მომესმა და ტყიდან მდელოზე გამოვედი, რომელიც ჩემი ბავშვობის სამოთხე იყო. ეს ხმები მონატრებას, ძრწოლას და აღფრთოვანებას გამოხატავდნენ. თან თითქოს ადამიანის ხმა იყო [illegible] უცნაურად უცხო. სულ უფრო და უფრო სწრაფად მივდიოდი და ბიგა და ბიგ ისევ და ისევ მესმოდა ჯერ არმოსმენილი ბგერები. შესასვლელამდე რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მივხვდი, საიდანაც მოდიოდა ეს ხმა. და აუცილებლად გავიცინებდი, ჩემს სმენას იგი ისე სწრაფად რომ ჩაეხშო, როგორც ჩემმა გონებამ გააკეთა. ჟანგიან ანჯამებზე მდგარი ნახევრად ღია კარი ჭრიალებდა და ზმუოდა, როცა ნიავი დროდადრო დაუბერავდა. ვიცოდი, თუ რა წარმოშობდა ამ ხმებს, მაგრამ მათ მელოდიურ ძალას თავს მაინც ვერ ვაღწევდი. თითქოს ქოხიდან გოდება ისმოდა. გრძნობას მოვერიე და ქოხში შევედი. ფრთხილად დავაბიჯე ცარიელი ოთახის ხავსიან, მინის ნამსხვრევებით მოფენილ აქა-იქ ჩამტვრეულ იატაკს. უკან, მარჯვენა კუთხეში გველების ბუდე შევნიშნე. ესენი ასპიტები იყვნენ. ინსტინქტურად ჯოხს დავუწყე ძებნა, რომ დამეხოცა. მაგრამ ამ ულამაზეს, ახალგაზრდა ცხოველებს რომ შევხედე, შიში უმალ გამიქრა.

საღამოს, ზალცბურგში გავრცელდა გაზეთის სპეციალური გამოშვება, ავსტრიამ სერბიას ომი გამოუცხადაო.

ზალცბურგში ისევ რომ დავბრუნდი, უკვე დიდი ვიყავი და ომიც და რევოლუციაც გამოვლილი მქონდა. ფლანდერნის* სანგრებში ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, განვიცდიდი თუ არა კიდევ ერთხელ სამშობლოში დაბრუნების ბედნიერ წუთებს. მაგრამ, ახლა, პარშიდან აიგენის გზაზე უფრო შიშით ვიდრე სიხარულით შევყურებდი გაისბერგს. პატარა ხვლიკისფერი ოთხკუთხედიც მოჩანდა დაბურულ ტყეში. და ის პაწაწინა მდელო — ჩემი მშობლიური ადგილი ვერ დავინახე. გულმა არ მომითმინა და მოუთმენლობისაგან მთაზე ავედი.

მდელო წინანდელივით ჰყვაოდა და სურნელს აფრქვევდა. მაგრამ იგი უცხოდ მეჩვენა, რადგან ქოხი აღარსად ჩანდა, უკვალოდ გამქრალიყო. ალბათ ქარიშხალმა ან წყალმა დაანგრია, ან იქნებ ომმა, დამპალი ფიცრები რომ გამოეყენებინა. ველარც ის ადგილი ვიპოვე, ქოხი რომ იდგა.

გრილ ტყეში უკან რომ დავბრუნდი, მაშინლა მივხვდი, ჩემი ბავშვობა დაკარგული წარსული იყო. ხეობაზე ისე გადავედი, თითქოსდა იმ მხიარული ბიჭის დასაფლავებიდან მოვდიოდი, ოდესღაც იქ რომ ცხოვრობდა. თანდათან ნაღველი ჩუმმა დინჯმა სიხარულმა შეცვალა. დიახ, ქოხი ისევ ისე იდგა. ანუ იგი ჩემში, ჩემს სულში არსებობდა — თავშესაფარი აყვავებული მინდვრის შუაგულში, ვერც ქარიშხალმა და ვერც ომმა რომ ვერ გაანადგურა.

---

* ფლანდერნი — ბელგიის პროვინცია.

თეოდორ ფაისენბორნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძაღლი თისენის არხში

წვიმდა. ქალაქი ზოლ-ზოლად განრთხმულ ნაცრისფერ ბურში ჩაძირულიყო. ღრუბლის მძიმე ქულები ტყვიისფრად დასდგომოდა სახლებს და მთელ ცას ფარავდა. ქარი ძირს ერეკებოდა სახურავებზე ნისლივით ჩამოწოლილ მტვრისა და ჭვარტლის ბურუსს, ეხეთქებოდა. ავტოსადგომზე მანქანების მინებს, წვიმასა და მტვერს აყრიდა და ტალახის წვეთებს აორთქლილ ასფალტიან გზებზე აფრქვევდა. მაგრამ წვიმის მიუხედავად ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობა ჩვეულებრივზე არცთუ ძალიან შენელებულიყო. მოფუსფუსე ადამიანებსა და მოძრავ მანქანებს ასეთი ამინდის გამო უნუგეშობა სულაც არ ემჩნეოდათ.

ქვედა გამავალი ქუჩის გვირაბში, შტინესპლატცის შორიახლოს, ტროტუარის კიდეზე საწვიმარი ღარის გვერდით ძაღლი იწვა და აცახცახებულ სველ თათებს მიწას უსვამდა. მთელი ორი კვირა შტინესპლატცის ახლოს დახეტიალობდა და, ინათებდა თუ არა, გვირაბში შედიოდა.

ინდუსტრიული გამოფენის გახსნის დღეს ერთ კაცს, მისადმი კარგად განწყობილს, ქალაქში უკან გამოედევნა. ძაღლმა, ცხადია, არ იცოდა, რომ ეს დიდზე დიდი გამოფენის პირველი დღე იყო. მაგრამ გააესენდა ჰაერში მოფრიალე ჭრელი ბაფთები, დიდი მოედნები, ადამიანებითა და ღონიერი პირუტყვით გადაჭედილი ქუჩები. აქეთ-იქიდან ესმოდა სახლების კედლებზე დაკიდებული თუნუქის ყუთების შეუწყვეტელი გამაყრუებელი ჟღარუნი.

შტინესპლატცის ახლოს ხალხს ქუჩა უნდა გადაეკვეთა. და აი, უეცრად ძაღლების გროვიდან ერთ-ერთი, სწრაფი და მრგვალფეხება, წინ გასრიალდა, გაბრაზებულმა დაიყეფა, კბილები დაკრიჭა, მოვერცხლისფერო ხახა ფართოდ დააღო და კაცს, მისადმი კარგად განწყობილს, ეცა და უკბინა.

რამდენიმე წამს ძაღლი უმოძრაოდ იდგა. მერე ნელ-ნელა მიუახლოვდა კაცს, თითქოს თავის ნამოქმედარს ნანობსო. ხახიდან სისხლი უწვეთავდა. კაცი მოიკუნტა და უხმოდ დაეშვა მიწაზე, არ უყვირია, არც განძრეულა, არც ჩემოდანი გაუგდია ხელიდან.

თვალის დახამხამებაში ირგვლივ უამრავი უცხო ხალხი შემოეხვია და მიწაზე მწოლიარე გვერდზე გაიყვანეს. ვილაცამ ჩემოდანი გამოართვა და წინააღმდეგობის მიუხედავად ძაღლს მაინც წიხლი ჩაჰარა.

მეორე დილას ჭვარტლითა და ბენზინის სუნით გაჟღენთილი იმ ადამიანის ნაცნობი სუნი შეიგრძნო, მას რომ კარგად ეპყრობოდა. საფრთხე ყოველი მხრიდან ელოდა. მოუვლელი და ნახევრად შეშალი ჩაცუცქულიყო გვირაბში, წკმუტუნებდა და გამვლელ-გამომვლელს ფეხსაცმელებზე უყურებდა.

შუადღისას წვიმა წამოვიდა და ძაღლი ნელ-ნელა გამოვიდა გარეთ. ეპენდორფისა და ვედაუერის ქუჩა გადაირბინა და ქალაქის ინდუსტრიულ კვარტალში ამოჰყო თავი. მაღალმა გალავანმა, ტრანსპორტისა და მანქანების გუგუნმა თავგზა აუბნია, მაგრამ მაინც ჯიუტად მირბოდა.

Hansen & co-სთან იცოდა ერთი მაღალი შენობა, საიდანაც ყოველდღე სადილობისას ზურგზე ჩანთამოკიდებული უამრავი პატარა კაცუნა გამოდიოდა, ხანდახან რომ ეფერებოდნენ ძაღლს და პურს აჭმევდნენ.

იგი რკინის ჭიშკართან ჩაცუცქდა და გისოსებში შეიჭყიტა იმ იმედით, იქნებ ვილაც მოვიდეს და რამე გადმომიგდოსო. წვიმამ ბეწვი დაუსველა და ერთმანეთს მიუწება, თათები დაუზიანა, გაუჭუჭყიანა და მთლიანად შეცვალა. მალე ზარის ხმაც გაისმა. პატარა კაცუნებმა მასთან მიირბინეს, — მაგრამ დაინახეს თუ არა, აჟიჟინდნენ, მიწაზე ფეხებს აბაკუნებდნენ, ხელისგულებს ატყაპუნებდნენ. ძაღლს ხელის კვრით იშორებდნენ, რადგან უკვე ველარ ცნობდნენ.

ის კი ცახცახებდა, წკმუტუნებდა და ყეფას ცდილობდა. უეცრად რომელიღაც ბავშვის ნასროლი ქვა მოხვდა. მან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მაგრამ მერე წკმუტუნითა და ხოხვით ისევ მიახლოვება სცადა.

პატარა კაცუნები კი შეთანხმებულებივით მშვიდად, უძრავად იდგნენ და ცნობისმოყვარე თვალებით ძაღლს აკვირდებოდნენ. მერე სწრაფად დაიხარნენ და ქვებს დასტაცეს ხელი. ძაღლმა იგრძნო, რაც მოელოდა. მყის შეტრიალდა და გაიქცა. ბიჭების ბრბოც უკან მიჰყვა. ძაღლი სულმოუთქმელად მირბოდა დაზიანებული თათებით. ქვები მის გარშემო ქვაფენილზე ცვიოდა. ზოგი მოხვდა კიდევაც.

თისენის არხის ხიდის მოაჯირთან ვილაც კაცი იდგა, ბრტყელი ქუდი ეხურა და ცისფერი სამუშაო კოსტუმი ეცვა. ძაღლს კვლავ ესმოდა უკნიდან ბრბოს შეძახილები და შიშით აკანკალებულმა იმ კაცს მიაშურა საშველად. კაცმა დამცინავად ჩაიღიმა და საბრალო ცხოველს ფეხი ისე ღონივრად ამოჰკრა, რომ ხიდის მოაჯირის ძირს მიახეთქა სწორედ მაშინ, როცა ძაღლს კაცზე შეხტომა უნდოდა. ძაღლმა ხმამაღლა დაიყმუვლა და ტალახიან, აბობოქრებულ წყალში გადაეშვა. მიცურავდა და თან ნაპირს ეძებდა. აი, მიაღწია კიდეც. მაგრამ ნაპირს ისეთი ციცაბო და გძრელი ბეტონის გალავანი ერტყა, რომ თათებით ვერა და ვერ მოეჭიდა და საბრალო კვლავ წყალში ჩავარდა.

მერე ისევ ამოტივტივდა ძალგამოცლილი, წამით თვალი შეავლო ხიდს და მეორედაც მოადინა ტყაპანი წყალში.

მესამედ რომ ამოტივტივდა, ნელ-ნელა გაჰყვა წყლის დინებას. მალე მოძრაობაც შეწყვიტა, მის გარშემო წყალი დაწყნარდა. ხიდზე მდგარმა კაცმა დამცინავად ჩაიღიმა და სიგარეტს მოუკიდა.

წყლის დინებას არხის წყალიც შეუერთდა და ძაღლი, როგორც პატარა გორგალი, მტვრისა და ჭვარტლის ბურუსში ჩაძირულ ქალაქიდან განდევნა. წყლის ნაკადმა ქარხნის აბოლებულ საკვამურს მოაცილა და მეგენჰაიმის შორიახლოს მიწაზე გამორიყა, სადაც ლელქაშის ბუჩქს დაეკიდა. იქვე ახლოს სამიმოსვლო ნავების პატარა სადგომი იყო. მორზე ნავების მეთვალყურის ბიჭი თამაშობდა. მან ცხოველი შეამჩნია და მამას დაუძახა:

„შეხედე, იქ ძაღლია!“

„ალბათ ქალაქიდან გამოაგდეს“, — უპასუხა მამამ.

„საწყალი ძაღლი“, — დასძინა ბიჭმა. მაგრამ ძაღლს უკვე აღარაფერი ესმოდა.

მკვდარი, უმოძრაო, თვალღია ეკიდა იგი ლელქაშის ბუჩქზე და ტალღები აქეთ-იქით აქანაოებდა, იმ დროს როცა თისენის არხის ხიდზე მდგარმა კაცმა მეხუთე სიგარეტის ნამწვი ისროლა და წასასვლელად გაემზადა.

# წერილები

დიმიტრი ლიხაჩოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსულიდან

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

## ხელოვნებასთან ანტიკურობის მიმართების სპეციფიკურობის შესახებ

გამეორება საჭირო არაა, აუცილებლობა მოითხოვს მხოლოდ მათს დამოწმებას. ხელოვნების ისტორიკოსებმა დეტალურად შეიმუშავეს ანტიკური ქანდაკების ისტორიის განვითარების ზოგადი სურათი: ჯერ გვაცნობენ ცუდად გათლილ, ცუდად გარანდულ ქვისა თუ ხის ნაჭრებს, ეგრეთწოდებულ არქაიკას, შემდეგ წარმოგვიჩენენ „ადამიანურობის“ თანდათანობით განვითარებას, რაც უმაღლეს მწვერვალს მირონის, ფიდიასისა და პოლიკლეტეს ქმნილებებში აღწევს (V საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), შემდეგ ლაპარაკობენ ქანდაკებაში სუბიექტივიზმის შეჭრაზე — პრაქსიტელეზე, სკოპასზე, — ელინიზმის წინადღეზე, ლისიპოსზე და, დასასრულ, ელინიზმის რიტორულ, ფორმალისტურ და ფსიქოლოგიურ ქანდაკებაზე. განვითარების ეს ხაზი საყოველთაოდაა ცნობილი და მასზე საუბრის გაგრძელება აუცილებელი არაა. ასევე, ძალზე გარკვეულია ბერძნული ქანდაკების საერთო სტილის ამბავიც: ესაა, ძირითადად ხელოვნება სხეულის მყარად დგომისა, ესაა ის წმინდა პლასტიკური ხელოვნება, რომელიც (ყოველ შემთხვევაში, მაღალი კლასიკის ეპოქაში მაინც) არაა დამძიმებული რაიმეგვარი ფსიქოლოგიზმით, და აქ სხეული არის ვითარცა სხეული, იდეალი თავისთავად. მაგრამ არის სხვა რიგის ფაქტებიც, რომლებიც ფართო ფენებისათვის თითქმის უცნობია და ცნობილია მხოლოდ სპეციალისტებისათვის, თუმცა ესენიც კი ყოველთვის როდი თვლიან საჭიროდ საზოგადოებას გააცნონ ეს ფაქტები.

რა არის სხეული და, კერძოდ, ცოცხალი სხეული ადამიანისა? ეს, უწინარეს ყოვლისა, სამგანზომილებიანი ფერადი საგნობრიობაა. თუ სხეულს ავიღებთ როგორც სხეულს და არა როგორც მის იდეას ან დისკრეტულ მასალას, არამედ სწორედ, როგორც სახელდობრ სხეულს, მაშინ იგი, რასაკვირველია, იქნება გარკვეული საგნობრიული მასა და მოცულობითობა, იგი იქნება აუცილებლად სივრცითი განზომილებიანი და აუცილებლად ფერადი ცნება. აი, ესაა სხეული.

მაგრამ ფართო საზოგადოება დღემდე დარწმუნებულია, რომ ანტიკური ქანდაკებები კეთილშობილური თეთრი მარმარილოსაგან კეთ-

ლებოდა და მთელი სიმშვენიერე, დიდებულება, ლამაზი და ღრმა სიმშვიდე სწორედ ამითაა გაპირობებულიო. ფიქრობენ, რომ ფერფწერის ფუნჯის ყოველგვარი შეხება საკმაოდ ცივ, გაკრიალებულ მარმარილოსთან მთელ სტილს წაახდენდაო, ანტიკურ ხელოვნებას პროფანაციამდე, ვულგარულობამდე, ბარბაროსულ გემოვნებამდე მიიყვანდა.

ეს შეხედულება ანტიკური ქანდაკების შეულებავობაზე, რაც ბრორძინების ეპოქაში წარმოიშვა, ფართოდ იყო გავრცელებული ხელოვნებათმცოდნეებსა და ესთეტიკოსებს შორის. ხელოვნების ევროპულ გალერეებსა და მუზეუმებში აქამდეც უთმობდნენ და დღესაც უთმობენ ადგილს ანტიკური ქანდაკების თეთრ და რუხ, უკოლორიტო ასლებს ესთეტიკოსებმა და ფილოსოფოსებმა ასობით წიგნი დაწერეს, რომლებშიც მთელ ანტიკურ სკულპტურულ სტილს კრიალა, თეთრი, ნახევრადგამჭვირვალე მარმარილოს კეთილშობილებაზე ამყარებენენ. საზოგადოება დასეირნობს ჩვენს მუზეუმებსა და გალერეებში, გამომცემლობები ბეჭდავენ სურათებს, ზოგჯერ მთელ ალბომებსაც ჰკრავენ ყველაფერი ეს შედეგია ოდინდელი მცდარი შეხედულებისა, რაც დღემდე არაა საჭიროებისამებრ ამოძირკვული.

წარმოიდგინეთ, რომ ტრეტიაკოვის გალერეაში ან ერმიტაჟში ყველა სურათი მათი ზომის ერთფეროვანი ფოტოსურათებით შეიცვალოს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხატავთ მზის ჩასვლას, მეწამულ ცას, ლურჯ ზღვას ან, უბრალოდ, აყვავებულ ბალს — ყოველივე ამას შავი ფანქრით ხატავთ და თან თქვენ მიერ დახატული საგნების ფერადოვნების, ხატოვანების გადმოცემის პრეტენზიასაც აცხადებთ. წარმოიდგინეთ, რომ მთელმა ხელოვნებამ ერთბაშად დაკარგოს თავისი ფერები, სალებავები და აქრომატულ შემოქმედებად იქცეს, როგორ აზრს შეიქმნიდნენ მაშინ ადამიანები ხელოვნებაზე და რის დანახვას შეიძლებდნენ მასში? მაგრამ აგერ უკვე ხუთასი წელია ფართოდაა გავრცელებული აზრი, თითქოს ანტიკური ქანდაკება აქრომატული იყოს, ხოლო მისი ფერადხატულობის ამბავი ცოტა ვინმემ თუ იცის, — იგულისხმება, რომ სპეციალისტებმა იციან. და, რა გასაკვირია, რომ ახლა, როცა ანტიკურობაში ასეთ მასობრივ სკულპტურულ პოლიქრომიას აწყდები, არ იცი, როგორ აუარო მას გვერდი. ან ბერძნებს ნამდვილად არ ჰქონიათ ოდნავი მხატვრული გემოვნებაც კი და ვინკელმანის, შილერის, გოეთეს, ჰეგელის და სხვათა მრავალთა შეხედულებები მტკნარი სიცრუე და გაუგებრობა ყოფილა, ანდა ჯერ არ გაგვაჩნია საკმარისი არქეოლოგიური მასალა. თვით პრობლემა პოლიქრომიისა, ცხადია, სულაც არ არის უცხო რამ ევროპული ხელოვნებათმცოდნეობისთვის; უბრალოდ, ევროპული ხელოვნებათმცოდნეობა ამ პრობლემას სათანადოდ არ აფასებს და თითქმის არ ხსნის ესთეტიკურ ფილოსოფიურად.

საკითხის არსი სამი-ოთხი საუკუნის მანძილზე არ ესმოდათ, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში ბერძნული პოლიქრომიის პრობლემა დააყენა კატრემერ დე კენსიმ, რომელსაც უკვე ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ბერძნულ სამყაროში თეთრმარილოვანი ქანდაკება ჰარმონიულად შეთავსებოდა ფერადოვნად მოხატულ არქიტექტურას, ხოლო 1830 წლიდან ანტიკური ქანდაკებების ფერადოვნებაზე კამათი

იწყება ხელოვნების ისტორიკოს კუგლერსა და ხელოვნებათმცოდნე ზემპერს შორის. უკვე მაშინ გამოიკვეთა ორი უკიდურესობა; ზემპერი და გიტტორფი ამტკიცებდნენ, სახვითი ხელოვნების უძველესი ნიმუშები, უკლებლივ, ფერადოვანი იყოო, კუგლერი კი ამტკიცებდა, ძველი სახვითი ხელოვნება ნაწილობრივ, იშვიათ შემთხვევებში [illegible] ფერადოვანიო. ეს კამათი გაცხოველდა 80-იან წლებში — პოლიქრომული ქანდაკების ბერლინის გამოფენასთან დაკავშირებით. ამ სფეროში დღემდე არ მიმცხრალა ვნებათა ჭიდილი, თუმცა ნებისმიერმა სპეციალისტმა კარგად იცის ბერძნული პოლიქრომიის მრავალი ფაქტი, მაგრამ საქმე თვით ამ პრობლემის არსებობასა და დაყენებაში არაა. საქმე ისაა, რომ მეცნიერული აზრი ანტიკური პოლიქრომული ქანდაკების მრავალ ფაქტს იცნობს (ფართო საზოგადოებასა და დილეტანტებზე რომ არაფერი ვთქვათ), მაგრამ იგი სავსებით არასერიოზულად ეკიდება ბერძნული ქანდაკების პოლიქრომულობის ფაქტებს და მათგან არ გამოჰყავს ის უდიდესი მნიშვნელობის ესთეტიკური დასკვნები, რომელთა გამოყვანაც აუცილებლად მართებს. მთელი ანტიკური ხელოვნებათმცოდნეობა და საზოგადოების პოპულარული ცნობიერება იდუმალად თუ აშკარად ანტიკურ ქანდაკებას ისევ და ისევ მონოქრომულ ხელოვნებად მიიჩნევს და ანტიკურ ქანდაკებაზე საუბრისას თვალწინ უდგებათ თეთრი მარმარილოს უთვალო ქანდაკება, მომაჯადოებელი თავისი სინატიფით, ამაღლებული განყენებულობით, რომლისთვისაც უცხოა ყოველივე ვულგარული, მყვირალა და ჭყეტელა ფერი. ამ მითისგან გათავისუფლება უძნელდება ყველაზე განათლებულ და ყველაზე გაცნობიერებულ მეცნიერ-ხელოვნებათმცოდნესაც კი, სოლო ფართო მასისთვის ეს საკითხი არც კი ისმის. ჩვენს ლექციებსა და სახელმძღვანელოებში ზოგან კი გვაქვს გაკვრით საუბარი ანტიკურ პოლიქრომიაზე, მაგრამ გულის სიღრმეში, რაღა თქმა უნდა, მას არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ვმსჯელობთ პოლიკლეტეს ხიაზმზე, პართენონის ფრონტონების კომპოზიციაზე, მრავალი და მრავალი ქალღმერთის ვარცხნილობასა და კაბის ნაკეცებზე და ჩვენთვის ანტიკური ქანდაკება ესაა და ეს, ქანდაკებებისა და ტაძრების ფერადხატულობაზე ან ხმას არ ვიღებთ, ანდა ვლაპარაკობთ მშრალად, ორიოდე სიტყვით ვიფარგლებით, ყოველი მეცნიერ მუშაკისათვის სავალდებულო წესს ვიცავთ — ფაქტებს უყურადღებოდ არ ვტოვებთ, მორჩა, ამას იქით არ მივდივართ. არადა, ანტიკური ქანდაკების პოლიქრომიის ფაქტი გასაოცარი, შემაძრწუნებელი ფაქტია. ამ ფაქტს თუ არსებითად ვაღიარებთ, მაშინ მოგვიწევს იმის აღიარებაც, რომ ჩვენს ესთეტიკურ მოწოდებას თეთრი მარმარილოს უთვალო ქანდაკების მიმართ ანტიკურობასთან საერთო არაფერი აქვს, და ეს ამაღლებული, ცივი, უთვალო თეთრმარილოვანი სილამაზე ანტიკური კი არა, ახალევროპული, აღორძინებისეული ქმნილებაა, და ანტიკურობისათვის სავსებით უცხოა ასეთი ესთეტიკური განყენებულობა, ასეთი ამაღლებული ზეშთაგონება, ასეთი კეთილშობილური ინდივიდუალური სიმშვიდე, ანტიკურობა არის კულტი ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანური სხეულისა, სხეულისა, რომელიც წარმოჩენილია მთელი მისი ფერადებით, ხშირად მყვირალა ნიშნებით. ბერძნებს უყვარდათ სიჭრელე, ხმაური და ღრიანცელი, ბაზრები და მოედ-

ნები. მათი ხმაურიანი, მოუსვენარი, სიჭრელისკენ მიდრეკილი ბუნება
რალაც აღმოსავლურის, აზიურის ანარეკლია. მათი ქალაქების მოედნე-
ბზე და მათს ტაძრებში სულაც არ იდგა დახვეწილი, თეთრი მარმარი-
ლის უთვალო, განყენებულად ზეშთაგონებული ქანდაკებები. ფერთე-
ბის, გმირებისა და ჩვეულებრივ მოკვდავთა ეს ქანდაკებები შეფერილ-
მოხატული იყო ჭრელაჭრელა, ნაირგვარი ფერის საღებავებით ფერად,
გამოქანდაკებულ პიროვნებას ცისფერი ან წაბლისფერ-წითელი თმა და
კაშკაშა წითელი ან ჭიაფერი ლოყები ჰქონდა და მწვანე ან ვარდისფე-
რი ქიტონი ეცვა, წითელ, ცისფერ ან შავ თვალებს კიდევ არა უშავდა,
მაგრამ თვალების მაგივრად ზოგჯერ სულაც ალმასებს ან მინანქრის
ბურთულებს უსვამდნენ ან გუგის ადგილას რაღაც საშინელ, შიშისმომ-
გვრელ ნახვრეტს უკეთებდნენ. ტაძრებიც ყოველთვის თეთრი როდი
გახლდათ. მათ სულ ნაირნაირი ფერებით ხატავდნენ, ასე რომ, ზოგი
საკერპო ადგილი სავსე იყო გადღაბნილი კერპებითა და, ამ სიტყვის
სრული მნიშვნელობით, ეშმაკების გამოსახულებებით, რომლებსაც ან-
ტიკური ხელოვნების ჩვენს ევროპულ მუზეუმებთან საერთო არაფერი
აქვს.

აი, რა არის პლასტიკურობა და ქანდაკება, თუკი მას სერიოზუ-
ლად გავიაზრებთ და სხეულში დავინახავთ, სახელდობრ, ჩვეულებრივ,
ფიზიკურ, რეალურ სხეულს და ესთეტიკურ დასკვნებს ანტიკური სუ-
ლიდან გამომდინარე გავაკეთებთ და არა ახალი დროის აბსტრაქტულ-
ამაღლებულ და ერთფეროვან-ზეშთაგონებულ სილამაზეზე დაყრდნო-
ბით. რამდენადაც ანტიკური პოლიქრომული ქანდაკების ფაქტები მე-
ტისმეტად არაპოპულარულია, შევეცადოთ ერთგვარი წარმოდგენა შე-
ვიქმნათ მათზე. ჩვენ ამას, ცხადია, ხელოვნებათმცოდნეობის ინტერე-
სებისათვის არ ვაკეთებთ — აქ ჩვენ სპეციალური ხელოვნებათმცოდნე-
ობითი ამოცანა არა გვაქვს დასახული, — არამედ იმისათვის, რომ წარ-
მოვაჩინოთ — პოლიქრომიის აღნიშნულ პრობლემას უზარმაზარი მნი-
შვნელობა აქვს საერთოდ ანტიკური ესთეტიკური აზროვნების მთლია-
ნობაში შეფასებისათვის.

ჩვენ ამერიკის აღმოჩენას არ ვაპირებთ. მხოლოდ ფაქტებს მოვი-
ყვანთ, ფაქტებს, რომლებიც კარგახანია რეგისტრირებულია სამეცნიე-
რო ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში და ნაწილობრივ თვით
სახელმძღვანელოებშიც კი არის შესული. ახალს არაფერს მოგახსენებთ,
მხოლოდ უბრალო კომპილაციას გთავაზობთ იმისას, რაც იცის, ან შესა-
ძლოა იცოდეს, ყველა სპეციალისტმა. მაგრამ დასკვნები, რომლებიც
შეიძლება გავაკეთოთ ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიდან, იმდენად უჩვეუ-
ლო და გასაოცარია, რომ ღირს ამ ფაქტებისათვის თვალის კიდევ ერ-
თხელ გადავლება, მით უფრო, რომ ლიტერატურაში ისინი მეტ-ნაკლე-
ბად დაფანტულადაა ფიქსირებული.

კოლინიონი ამტკიცებს, ქანდაკების ფერადხატულობის საკითხი ფა-
ქტის საკითხია და „არ შეიძლება აურაცხელი ფაქტის წინაშე წმინდა
ესთეტიკურ და გრძნობისმიერ არგუმენტებს უპირატესობა მივანიჭო-
თო“... და, მართლაც, — ბერძნული ქანდაკების ფერადხატულობაზე
საუბარი შეგვიძლია მისი განვითარების ყველა სტადიაზე.

## არქაიკის პრიმიტიული ქანდაკება და მისი პოლიქრომია

ა) უკვე პრიმიტიულ ხელოვნებაში სახელგანთქმული ხის „ქსოანები“ აუცილებლად უნდა მოხატულიყო ფერებით. [illegible] კორინთოში ნახა არტემიდე ეფესელისა და დიონისეს ქანდაკებები, „რომლებსაც სახის გარდა ყველაფერი ოქროთი აქვთ დაფარული; მათი სახეები წითელი საღებავებითაა მოხატული“ (11, 2, 6). ალბათ, შეუძლებელიცაა, რომ მაშინ, როცა პრიმიტიული ქანდაკების ხანა იყო, ცოცხალი ფერებით მოუხატავი რაიმე ქანდაკებები არსებულიყო. ეს ქანდაკებები ხომ, უწინარეს ყოვლისა, კერპები, ღმერთები იყო, რომლებსაც მაშინდელ ცნობიერებაზე ძლიერი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა, მოქალაქეთათვის თვალი უნდა მოეჭრა, მათი ყურადღება უნდა მიექცია. ამიტომ სიუხეშე და მყვირალა, ჭყეტელა სიჭრელე საღებავებისა აქ სავსებით მართებული ამბავია. ამგვარი უშველებელი ხის გადაღებილი ქანდაკებები, როგორც ჩანს, საბერძნეთისათვის არც არასოდეს ყოფილა უცხო რამ, ყოველ შემთხვევაში, კულტის მსახურების სფეროში. დელფოსში, მაგალითად, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში დიონისეს ღღესასწაულზე ამგვარი ქანდაკებით სარგებლობდნენ. ქანდაკების ფერადი მოხატულობა, როგორც ჩანს, აქ უხეში და ბარბაროსული იყო.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში ხელოვნება ხიდან უფრო მკვიდრ, მყარ მასალაზე, კერძოდ, მარმარილოზე (ნასკოსიდან ან პაროსის) ნიჟარებიან და სვრეტებიან მყიფე კირქვაზე, ან ნაკლებ სვეტებიან და უფრო მაგარ ქვაზე გადადის. სელინუნტის მეტოპები ან ეგრეთწოდებული დელფოსის სიკიონის საგანძურის მეტოპი (მეექვსე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ამ ტიპის ძეგლებია. კოლინიონი ამტკიცებს, რომ ამ ძეგლებს შეფერადება ხეზე ნაკლებ როდი სჭირდება, რადგან ეს მაგარი მასალები გაცილებით უფრო ძნელი დასამუშავებელია და საღებავების საშუალებით შესაძლებელი ხდება, რომ ისინი გაცილებით უფრო სახიერნი, ნატიფნი გამოჩნდნენ, ვიდრე ეს საჭრისის ან ჩაქუჩის მეოხებით შეიძლებოდა. ამას გარდა, მყვირალა, ჭრელი მოხატულობის ზემოთ მითითებულ ტრადიციას თავისი საკრალური საფუძველი და ამოცანა ჰქონდა და ივი ერთბაშად ვერ შეწყდებოდა. როცა ხიდან ქვაზე გადავიდნენ, ჯერ ისევ განაგრძობდნენ ქანდაკებების ხასხასა საღებავებით მოხატვას. და ეს არ შეწყდარა მარმარილოს შემოღების შემდეგაც კი, თუმცა ამ დროიდან პოლიქრომიამ უკვე სხვა მიმართულება მიიღო.

შესაძლოა, თავისთავად, ეს ქანდაკება ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მისი საკმაოდ ბევრი ფრაგმენტი, ვთქვათ, სამოსელზე, შეიცავს ცისფერსა და წითელს. ეს შეფარდება წმინდა პიროვნული ხასიათისა იყო და მიზნად არც ისახავდა საგანთა რეალური შუქ-ჩრდილების, რაიმე რეალური ნიუანსების გამოხატვას, როგორც ეს შეინიშნება, ვთქვათ, ათენის აკროპოლის ტიფონის ფრონტონულ ფიგურაში (ტუფისაგან), რომელიც გველისკუდებიანი ორი მამაკაცის სხეულისაგან შედგება. აქ დომინირებს წითელი და ცისფერი, როგორც ამ-

ას მოითხოვდა კარნიზისა და ფრიზის შეფერადება. ერთი ამ მამაკაცთაგანის თმა-წვერი მთლად ცისფერია, თვალის კაკალი მოყვითალო, თვით გუგები — შავი. ამ გუგებს ირგვლივ მწვანე რკალური ფარსი აკრავს. ცნობისწადილს აღძრავს აგრეთვე ორი ლომი, რომლებიც მეორე ფრონტონის ნანგრევებში იპოვეს, — ამ ლომებს ბაცი-წითელი ტანი, წაბლისფერ-ყავისფერ-წითელი ფაფარი და შავი ტოტები აქვთ. ლომი თავისი ჭანგებით ფლეთს წითელკუდა ცისფერ ხბოს, რომლის სხეულზეც გავლებული ფართო-წითელი შტრიხები ხბოს სისხლისაგან დაცლას გამოხატავს.

ძველი ათენის კიდევ ერთ ფრონტონზე შემდეგ ფერებს ვხვდებით: ფრონტონის ფონი ყვითელია (ძლივს განასხვავებთ ბუნებრივი ფერის ტუფისაგან); ჰერაკლესა და იოლაიოსის სხეულების შიშველი ნაკვთები წითელია; ჰერაკლეს ჯავშანი, ცხენების ფაფარი, ჰიდრას დაბჩენილი ხახა — წითელია; ჰიდრას სხეულის ზოგიერთი ნაკვთიც წითელია, ჰიდრას ზოგიერთი ნაკვთი კი — ყვითელი, მაგრამ, ფონისგან განსხვავებით, — უფრო მუქი ყვითელია. ჰერაკლეს კაპარჭის ღვედი და თვით კაპარჭი — ყავისფერია; იოლაიოსისა და ცხენების სამოსელი — მუქ-მწვანე ფერისაა, რომელიც მხოლოდ სახესხვაობაა თავდაპირველი ცისფერისა; ჰერაკლეს წვერი, თმები და იოლაიოსის წვერი, ისევე როგორც წარბები, საფეთქლების ბოლოები და თვალის გუგები — შავია. ჰიდრას ენებიც შავია. კიდევ ერთ, ასევე ძველ ფრონტონზე, რომელზეც ჰერაკლე და ტრიტონი არიან გამოსახული, სწორედ წითელი და ცისფერი დომინირებენ.

მთელი ეს პოლიქრომია თავისი სიკაშკაშითა და წმინდა პირობითობით ატარებს გარკვეულ დანიშნულებას; თუ თმები წარმოსახულია მკვეთრ-ცისფრად, ხოლო სხეულის შიშველი ნაკვთები — წითლად, ალაგ-ალაგ თვალს ხვდება ყვითელი, შავი და მწვანე ფერები, თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ მხატვარი ყველაზე ნაკლებ სწორედ ცხოვრებისეული რეალიზმის ამოცანებს ისახავდა. მას უნდოდა, ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სურათის ნაცვლად ისეთი რამ, — რაღაც არაჩვეულებრივი, საზარელი — შეექმნა, რაც ადამიანს შეაძრწუნებდა, გააოგნებდა, დაამუნჯებდა. მთელი ეს ცისფერი წვერები, ყვითელი თმები, წითელი ლომები, ლურჯი ხარები ამაზე მეტყველებს. ამისგან ცოტათი თუ განსხვავდება ზემოთ ნახსენები სელინუნტის მეტოპები (ესეც ტუფისაა) ნათელ ფონზე დაფანტული მათი კაშკაშა — წითელი ტონებით, წითელი, შავი ან წაბლისფერ-წითელი აქსესუარებით, რაც უძველესი ბერძნული ლარნაკების მოხატულობებს მოგვაგონებს განსაკუთრებით საგულისხმოა ის შეუპოვრობა, რომლითაც არქაიკაში პირველ პლანზე წამოწეულია წითელი და ცისფერი, რომლებიც გამოცალკევებულად, წმიდა სახით, რაიმე სხვა ფერებთან შეურევლადაა აღებული — აქ წითელი და ცისფერი ერთმანეთთანაც მკვეთრადაა შეპირისპირებული (მაგალითად, როცა ქიტონი ერთი ფერისაა, ჰიმათიონი კი — მეორისა). ამის ახსნა სცადეს ამ ორი ფერის ეგვიპტური რელიგიური წარმომავლობით, მათი თვალშისაცემი, მკვეთრი ხასიათით და ადამიანის სხეულის ფერისაგან ხაზგასმული, გამომწვევი განსხვავებით. და ა. შ. ერთი რამ ცხადია: მხატვარი აქ ზედმი-

წევნით რეალიზმს კი არ ესწრაფვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სურს გააოგნოს მნახველი, თავზარი 

დებულებას, პირიქით — საოცარ მომხიბვლელობას, განსაკუთრებულ ცხოვრებისეულობასა და საამო სილამაზეს ანიჭებს მათ.

საკუთარი დაკვირვებებიდან გამომდინარე შემიძლია დავწმუნოთ: მრავალჯერ ვყოფილვარ ათენის აკროპოლის იმ მუზეუმში, სადაც დგას ზემოთ ნახსენები ქანდაკებები, და დაბეჯითებით ვიტყვი, რომ მათ გვერდით მდგარი საყოველთაოდ ცნობილი თეთრი მარმარილოს მრავალი ქანდაკებიდან ვერც ერთი ახდენს ისეთ ძლიერ, წმინდა მხატვრულ ზემოქმედებას, როგორსაც ქალთა ეს უმშვენიერესი ქანდაკებები, რომლებშიც ფერადხატულობა, თუმცა კი კაცი სიჭრელეს ელოდებოდი, თვალს ახარებს ერთმანეთს შეხამებულ ფერთა ფაქიზი ჰარმონიით"...

ჩვენ არ ვიცით, შეიძლება თუ არა მთლიანად გავიზიაროთ ამ ავტორის აღტაცება, მაგრამ აუცილებელი კი არის ორი გარემოების გათვალისწინება. 1) აკროპოლის ქანდაკებების პოლიქრომია მაღალ მხატვრულ დონეზე დგას, 2) ამ პოლიქრომული ქანდაკების ესთეტიკურ შინაარსს როგორიც არ უნდა იყოს იგი, ნათელია, რომ ძალზე ცოტა აქვს საერთო ანტიკური სანის თეთრმარმარილოვან უთვალო ქანდაკებათა სინატიფესა და უღრტვინველ დიდებულებაზე არსებულ ევროპულ მითთან.

მაშ, ასე, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ბერძნული ხელოვნების პრიმიტიულ და არქაიკულ პერიოდებში პოლიქრომიას სრული გასაქანი ჰქონდა. ზოგიერთ ქანდაკებაზე დარჩენილია კიდეც შესაფერადებლად ამოტვიფრული ესკიზები, თუმცა თვით საღებავები უკვე კარგახნის გამქრალია.

## კლასიკისა და ელინიზმის პოლიქრომია

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ კლასიკურ პერიოდში გადასვლის შემდეგ უკვე აბსოლუტურად აუცილებელი აღარ ჩანს ქანდაკებათა შეფერადება და შესაბამისი ფაქტებიც კანტიკუნტად გვხვდება. ამას გარდა, თვით შეფერადებაც ნაკლებად მყვირალა და გაცილებით უფრო დახვეწილია; ამნაირი პოლიქრომიისგან ესთეტიკური შთაბეჭდილება გაცილებით უფრო რბილი, ნატიფი და გაწონასწორებულია, მაგრამ აქ მთავარია თვით ფაქტი შეფერადებისა და ის, რომ ამ პერიოდში არ შეიძლება საუბარი მის გაქრობაზე.

ა) უწინარეს ყოვლისა, უეჭველია, რომ ქანდაკების შეფერადება გრძელდებოდა მონუმენტური არქიტექტურის სფეროში. ასეთია კარგად ცნობილი ენკაუსტიკური ფერწერა, აი, თუნდაც, ერექთეიონისა ან ეპილავრაში ასკლეპიოსის ტაძრის მოხატულობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ თვით ნაგებობა ფერებით მოეხატოთ, ხოლო მისი ფრონტონის ქანდაკებები თეთრად დაეტოვებინოთ. ტაძრის ფრონტონის „მოხატულ ფიგურებზე (ან რელიეფებზე)" ლაპარაკობენ ევრიპიდე და ეპიგრამისტები, ამაზე მეტყველებენ წარწერები. არც ახალი მატერიალური საბუთების ნაკლებობაა. გერმანელმა არქეოლოგმა ბ. ტროიმ გონებამახვილური დაკვირვებების შედეგად დააღგინა ოლიმპოში ზევსის ტაძრის ფრონტონებისა და მეტოპების მოხატულობა, — იქ მან ტანსაცმლის ნაკეცებში იპოვა ცისფერი, წითელი და წაბლისფერ-წითელი ად-

გილები, სხვა ადგილები კი ისევ და ისევ თეთრი რჩებოდა, აგრეთვე, სამოსლის დეტალებში აღმოაჩინა წითელი, შავი და ყვითელი ფერები. ამგვარად, უძველეს ტრადიციებთან შედარებით ჩვენ აქ ვხვდებით ქანდაკებების უკვე არა მთლიან, არამედ ნაწილობრივ შეფერადებას. ნემეის ლომიან მეტოპზე ჰერაკლეს თავზე დარჩენილია წაბლისფერ-წითელის კვალი. ეს შეიმჩნევა თმა-წვერზეც, რაც, სხვათა შორის, ისევ და ისევ გასაგებს ხდის თმის დაუდევრად დამუშავებას, რამდენადაც, ვთქვათ, წვერის დაუნაწევრებელი მასის გამოხატვა სწორედ ფერმწერის ფუნჯის ფუნქცია იყო.

იმ პერიოდში, როცა მოქანდაკეები ოლიმპოში მუშაობდნენ, ესე იგი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 470-456 წლებში, როგორც ჩანს, საერთოდ, ნაწილობრივ პოლიქრომიას მიმართავდნენ — სამოსელსა და აქსესუარებს აფერადებდნენ და სხეულის შიშველი ნაკვთების გადმოსაცემად მარმარილოს ბუნებრივ ფერს ინარჩუნებდნენ. მართალია, პართენონი ამ მიმართებით გაურკვეველ შედეგებს გვაძლევს, მაგრამ, აი, ტიზეიონის ფრიზი უკვე ინარჩუნებს ფერწერის კვალს. ელევსინის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეების მიჯნა) მარმარილოს რელიეფის შესახებ ვკითხულობთ: „რელიეფის ფონზე ჩანს ცისფერი საღებავების ნარჩენები, ჭაბუკის თმაში — წითელ-ყავისფერი საღებავია დარჩენილი, ღმერთქალის სამოსელი ყვითელი იყო, წითელი საღებავი გამოუყენებიათ თვალების, წარბების, თავის კონტურების, ხელების, თითების, აგრეთვე ჩირაღდანში ჩაღრმავებული ადგილების გამოსაკვეთად".

ტ. ნიუტონის გამოკვლევით, კარის მეფე მავზოლის საქვეყნოდ ცნობილ ჰალიკარნასის სამარხსაც 1850 წელს აჩნდა კვალი ფერწერისა, კერძოდ, ნაგებობის დამაგვირგვინებელი ქანდაკებების სამოსელზე, ოლონდ ეს საღებავები ახლა მნიშვნელოვანწილად გადასულია. პოლიქრომია აქ კიდევ ძალზე საგრძნობია ძეგლის ახლოს მდგარი მარმარილოს ლომების ფიგურებზე: სხეულს აქაც ყავისფერ-წითელი გადაჰკრავს, ხოლო ტუჩები და ხახიდან გადმოგდებული ენა ცინცხალი წითელი ფერისაა. ამდენად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის შუა ხანებში, როცა სკოპასი და სხვები მავზოლს ძეგლს უდგამდნენ, მონუმენტური ქანდაკება სავსებით პოლიქრომული იყო და ფერწერა აქ ქანდაკებასთან ერთად რაღაცნაირ მთლიანობაში რჩებოდა.

შემდეგში ამაზევე მეტყველებენ V-IV საუკუნეების ბერძნული იზოლირებული ბარელიეფები, რომლთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ აკროპოლის რელიეფი, ხელშუბიანი ათენა, რომელსაც ახლა „მელანქოლიური" შეარქვეს. ქალღმერთის უდრტვინველი, მშვიდი პოზა მრავალ ეჭვსა და აზრთასხვაობას იწვევდა. კოლინიონის აზრით, აქ ფიქრებში დაძირვის მიზეზი ასეთი უნდა იყოს: ქალღმერთმა შეამჩნია და მზერა მიაპყრო გველს, რომელიც გამოძვრა აქვე, სვეტის ახლოს, დახატული ყუთიდან. ეს გველი გამოსახავს გმირ ერიქტონიოსს. ერიქტონიოსი, როგორც ცნობილია, ათენას აღზრდილი იყო, ასე რომ, აქ ათენა გვეველინება კუროტროფოსად („ბალღთადამპურებელი"). ოლიმპოს ზოგიერთი ქანდაკების თავზე ჩვენ თმას ვერ ვხედავთ. ცხადია, რომ ისინი ოდესღაც დახატული იყო. ათენას ცნობილი საფლავის

რელიეფზე გეგესო ყუთიდან იღებს ძვირფასეულობას, რომელსაც მოახლე აწვდის, მაგრამ ახლა თვით ძვირფასეულობა არ ჩანს. ცხადია, რომ იგი ოდესღაც მხოლოდ დაუხატავთ და არ გამოუქანდაკებიათ. საერთოდ, ხელოვნებათმცოდნეებს არაერთხელ მიუთითებიათ, რომ ანტიკურ ქანდაკებებზე წვრილ-წვრილი სამკაულები (ყელსაბამები, საყურეები, სამოსლის დეტალები და სხვ.) ხშირად საღებავებით, ფერებით გამოუსახავთ და მთელი ქანდაკების მასალით — მარმარილოთი არ გამოუკვეთავთ.

შეფერადებაზე მეტყველებს აგრეთვე აურაცხელი საფლავის რელიეფი, რომლებზეც, მართალია, ახლა აღარაა დარჩენილი საღებავები, მაგრამ, უეჭველია თავის დროზე მათზე ფერებით ბევრი რამ იყო დახატული. ფ. ლენორმანი აღნიშნავს საგულისხმო ფაქტს: ერთი სტელა, რომელმაც 1861 წლის გათხრების დროს იხილა დღის სინათლე, ძალზე ჯხვად იყო მოხატული ფერებით, მაგრამ შემდეგ, ჰაერისა და წვიმის ზემოქმედებით, საღებავები გადავიდა. ამას გარდა, შემორჩენილია საკმაოდ ბევრი სტელა, რომლებზეც ამოტვიფრულია ესკიზები ოდესღაც მათზე საღებავების წასასმელად, მაგრამ დღეისათვის ის საღებავები წაშლილია.

მაგრამ ამ ტიპის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი არის ძველი წ. აღ. მეოთხე საუკუნის მიწურულის „ალექსანდრეს სარკოფაგი", რომელიც სინოდის ნეკროპოლში იპოვნეს და ამჟამად კონსტანტინოპოლში ინახება. ის შეიცავს ეპიზოდებს: ნადირობა ჯიქზე რომელიღაც ბერძნის, ეტყობა, ალექსანდრეს, აგრეთვე ვიღაც სპარსელის ნადირობა ლომზე. ეს ნახატები განსაცვიფრებლად მშვენიერია. ჩვენს ერამდელი VII საუკუნის სამოოდე-ოთხოოდე ჩვეულებრივი ფერის ნაცვლად აქ სულ მცირე, შვიდი ფერი მაინცაა: იისფერი, მეწამული, ცისფერი, ყვითელი, წითელ-ჭიაფერი, წითელ-ყავისფერი და ზანგელა. „ალექსანდრეს სარკოფაგზე" ფერები მოზომილად და აქა-იქ არაა გაფანტული, არამედ — ხელგაშლით, მსუყედ და თამამადაა ნახმარი, მთელ მოსახამებსა და ტუნიკებს ფარავს. თ. რეინაკი განცვიფრებულია ამ პოლიქრომული ცისფერი, მეწამული ან წითელი ტუნიკების სიკაშკაშით, მათი გაბედული გადაწყვეტით, შესრულების მაღალი გემოვნებით. განსაცვიფერებელია ტუნიკებზე ამოქარგული უჯრედები, იგი მორთულია ფერად-ფერადი სამშვენისებით. ორივე მონადირის თმა ყავისფერ-წითელია, თვალები — ცისფერი ან ყავისფერი ფერადი გარსით. განსაკუთრებით საინტერესოა ალექსანდრეს თავი ლომზე ნადირობის სცენაში — იგი საოცრად ენერგიულია, დაძაბული და გულისყურიანია მისი მზერა — ალექსანდრე მისჩერებია ლომს, რომელიც ცხენს გლეჯს. ფიგურათა შიშველი ნაკვთები აქ მკვეთრი, კაშკაშა ყვითელი ან მუქ-ყვითელი ფერისაა. დრომ ვადაშალა საღებავების სქელი ფენა, და ახლა კაცს ჰგონია, რომ ესაა უბრალო მარმარილო, რომლისთვისაც ეს ფერი, თითქოს, თავისი ბუნებრივი ფერია, და, შესაძლოა, საუკუნეების მანძილზე დროს რამდენადმე მოევარაყებინოს. ასე გვისახავს ამ ძეგლს კოლინიონი.

ამგვარად, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 320 წლის წინათ ბარელიეფების პოლიქრომია სრულ გასაქანს პოულობდა. და „ალექსანდრეს სა-

რკოფაგი", ამ აზრის ერთადერთი საბუთი არაა. ასეთია სიდონის სხვა ბარელიეფებიც. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ მითითებული ბარელიეფებისთვის არც დაბინდული, მრუმე ტონებია უცხო. ეს გარკვეულად შეინიშნება სხეულების „შიშველ ნაკვთებზე, სადაც გამოიყენებოდა შეღებილი, მაგრამ წმიდა მიწაყრილი, რომელიც [illegible] ამცსრალებდა, „ამუქებდა" მეტისმეტად თეთრ, [illegible] მარმარილოს.

ბ) ახლა თუ ნამდვილ კლასიკურ, ანუ თავისთავად და იზოლირებულ ქანდაკებებზე გადავალთ, რომლებიც არც არქიტექტურულ და არც რომელიმე სხვა ანსამბლში შედიან, მაშინ ვნახავთ, რომ ბევრ ხელოვნებათმცოდნესა და საზოგადოებას არ სურს აღიაროს პოლიქრომიის გამოყენების ფაქტი; ბევრს პროფანაციად და უმსგავსოებად ეჩვენება სკოპასის „ბაქსელი ქალის" ან პრაქსიტელეს „კნიდელი ქალის" ნაირფერად მოხატვა. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ მაღალი კლასიკის ქანდაკება მაინც არა და არ ფერადდებოდა — წმიდა და თეთრი მარმარილოს სინატიფეს ვერავითარი ფერები და საღებავები ვერ შეცვლისო. უნდა ითქვას, რომ პოლიქრომიის ფაქტები, ნამდვილად, ამ ეპოქაში ისეთი შთამბეჭდავი ვერაა, როგორიც არქაიკის ეპოქაში იყო, და ამ ფაქტს ჩვენ ახლა უკვე დაფანტულად, კანტიკუნტად ვხვდებით, ისე, რომ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები პირველხარისხოვან ნაწარმოებებზე, რომელთა პოლიქრომიაზეც გვინდოდა ბევრი რამ ზუსტად გვცოდნოდა. თვით კატეგორიული მომხრეც კი ანტიკური ქანდაკების პოლიქრომულობის იდეისა — კოლინიონი წერს:

„ჩვენ გადაჭრით ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ქანდაკების პოლიქრომია აბსოლუტურად და გვერდაუვლელად სავალდებულო იყო და მას ყველა მხატვარი იცავდა".

კოლინიონი ამ პერიოდის ქანდაკების პოლიქრომიას განიხილავს, „არა როგორც კანონს, არამედ როგორც ჩვეულებას", რომელიც რასაკვირველია, ასე თუ ისე, დაკავშირებულია ანტიკურ გემოვნებასთან.

ამ პერიოდის ქანდაკებათა შეფერადებაზე, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურული წყაროები გვაწვდიან საბუთებს. საკმაო ტექსტურ მასალას ჩვენ ვპოულობთ ჯერ კიდევ ჰ. ვალცისა და ბლიუმერის ზემოთ მითითებულ ძველ შრომებში. წავიკითხოთ, ვთქვათ, მრავალგზის მოყვანილი სტრიქონები პლატონის „სახელმწიფოდან" (IV, 420, გვ.). „დავუშვათ და, ჩვენ, როცა ქანდაკებას ფერებით ვამკობთ, ვიღაც მოგვადგა და გასაკილად ამდაგვარი რამ გვითხრა — რად იყენებთო სულდგმულთა უმშვენიერესი ნაკვეთების გამოსახვისათვის არაუმშვენიერეს ფერებს: ვთქვათ, თვალებს, უმშვენიერეს ორგანოთ, არა მეწამულით, არამედ შავი ფერით რად გამოსახავთო. ამგვარ მკილავთაგან ჩვენ, ვგონებ, კარგად დავიცავდით თავს". პლინიუსი გვაუწყებს პრაქსიტელეს ეპოქის ერთ დიდ ფერმწერზე, ნიკიოსზე, რომელიც, მისი თქმით, შუქსა და ჩრდილს წარმოაჩენდა და განსაკუთრებით ცდილობდა, რომ „ეს თვალშისაცემი ყოფილიყო ნახატში" (XXXV, 131), ესე იგი, პლინიუსი ნიკიოსის ქმნილებების მთავარ ღირსებად ელფერთა და პერსპექტივის ნიუანსირებას მიიჩნევს. პლინიუსი ამბობს, ერთხელ პრაქსიტელეს ჰკითხეს, შენი მარმარილოს ქანდაკებებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონსო, პრაქსიტელეს უპასუხნია: „ის, რომელსაც ნიკიოსის

ხელი მიეკარაო". და პლინიუსი უმატებს: „პრაქსიტელე ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნიკიოსის ფერწერასო" (XXXV, 133). აქ ცხადად ჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს ორი დიდი მხატვრის — მოქანდაკისა და ფერმწერის ერთსა და იმავე ნაწარმოებზე მუშაობის შესანიშნავ ფაქტთან, — ზოგიერთი მსგავსი ფაქტი ჩვენთვის აღორძინების ეპოქიდანაცაა ცნობილი.

შემდეგ — ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატურაში არაერთგზისაა მოხსმობილი დელოსის წარწერები, სადაც აღნიშნულია ხარჯი, რომელიც 246 წელს გაუწევია დელოსის ტაძრის ადმინისტრაციას არტემიდეს ქანდაკების კაპარჭისთვის ოქროს შესაფენად, აგრეთვე აფროდიტეს შეფერადებისა და ამავე ქალღმერთის მეორე ქანდაკების მოპატინირებისათვის. ერთი რომაული საფლავის წარწერა ცნობას გვაწვდის ბერძენ მოქანდაკეზე, რომელიც, იმავდროულად, ენკაუსტიკური ფერმწერი ყოფილა. ერთი პომპეური ფრესკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალებიც მისდევდნენ ამ საქმეს. პლუტარქე „ქანდაკების ენკაუსტებსა" და „მოომქროვებლებთან" ერთად „ფერმწერებზეც". ლაპარაკობს.

ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეშიც ხელოვნების განათლებული და გემოვნებიანი შემფასებლები პოლიქრომულ ქანდაკებას სავსებით კანონიერ და ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ. ლუკიანე თავის დიალოგ-„გამოსახულებებში" გვაცნობს ორ გემოვნებიან ხელოვნების დამფასებელს, რომლებიც მათ მიერ წარმოსახული მხატვრული იდეალის წარმოსაჩენად ძველ ოსტატთა ყველაზე ნიჭიერ ნაწარმოებებს ასახელებენ: პრაქსიტელეს აფროდიტე კნიდელის თავს, აფროდიტეს ლოყებსა და სახის ნაკვთებს ალკამენის „ბაღებიდან", ფიდიასის ლემონელი აფროდიტეს სახის საერთო მოხაზულობას, ლაწვთა სინაზესა და ცხვრის სინატიფეს, ფილიასისავე ამორძალის მშვენიერ ბაგეებს და ა. შ. მაგრამ, თურმე ყოველივე ესეც კი ცოტა ყოფილა. „შენ, უპატივდებულესო მხატვარო, — ამბობს ერთი მოუბარი, — მაინც გამოგრჩა ერთი მხარე მშვენიერისა, თუმცა ასეთის გულისწადილით მოუყარე თავი ყველა სხვა დანარჩენს ნიშანს მისას... ის, რაც შენ გამოგრჩა, უმნიშვნელო რამ არ გახლავს, ჩემო ძვირფასო, თუკი შენ არ ფიქრობ, რომ ცოტასლა ნიშნავს მთლიანი ქმნილების მშვენიერებისთვის საღებავები, რომლებმაც საჭიროებისამებრ უნდა გადმოსცენ მთელის ყოველი ნაწილის ფერი: შავი ფერით უნდა წარმოჩინდეს ყველაფერი ის, რაც სინამდვილეში შავია, ხოლო თეთრით ის, რაც თეთრია, წითელი უნდა აელვარდეს იქ, სადაც ჯერ არს და ასე შემდეგ... რას იტყვი, ხომ არ მოგვეწვია ფერმწერები, მათგან კი განსაკუთრებით ისინი, რომლებმაც თავი ისახელეს ფერთა შერევით, შესამებით და სათანადო ადგილებში მათი მარჯვედ გამოყენებით" (თავი 6). და, აი, ზემოთ მოხსენიებულ ქანდაკებას ნაირფერად მოხატავენ სხვადასხვა ფერმწერები: ევფრანორი — თმებს, პოლიგნოტი — წარბებს, ლაწვებს და ტანსაცმელს, აპელესი — დანარჩენ სხეულს, აეციუსი — ტუჩებს (თავი 7). ლუკიანეს ამგვარი მსჯელობა სავსებით გარკვეულად ცხადყოფს, რომ იმ პერიოდში პოლიქრომულ ქანდაკებას ესთეტიკური თვალსაზრისით დიდად აფასებდნენ.

დასასრულ, ამგვარ შეხედულებებს ბევრი რომაელი ავტორიც იზიარებს. გავიხსენოთ თუნდაც არტემიდეს ქანდაკების დახასიათება ვერგილიუსის „ბუკოლიკებში“.

ერთ ეპიგრამაში ხოტბა ესხმება დაფნას, რომელიც იმავდროულად ფერწერული ნაწარმოებიცაა — მასში სხეულის ნაკვთები ისე ოსტატურადაა გაერთმთლიანებული, რომ „შესაბამისი ფერის არსებობაც იქვეა სავარაუდებელი“. ერთი ლათინელი პოეტი, ავგუსტოსის თანამედროვე, ვენერას აღუთქვამს, ამურის ქანდაკს დაგიდგამო: „ქალღმერთო, მარმარილოს ამური თავისი ნაირფერადი (სხვაგვარი წაკითხვაა — „ათასფერადი“ — ა. ლ.) ფრთებით მოგიტანს კაპარჭს, როგორც ხამს, იმგვარად მოხატულს“. კალისტრატი, როცა სკოპასის მენადებს ახასიათებს, ამბობს, მას ხელში „მკრთალი ფერის ტყავიანი თხა“ ეჭირაო. იტენეიოს ხერემენიოსი“ (XIII, 608) ლაპარაკობს „ცვილისფერ თმებზე, როგორიც ქანდაკებას აქვს“, — მხედველობაში აქვს ცვილის გამოყენებით გაფერადება ქანდაკებისა.

ბ) საუკუნეთა მანძილზე ამ ლიტერატურულ მოწმობათა განუწყვეტლობა აღასტურებს ანტიკურ მოქანდაკეთა მუდმივ ტენდენციას — ისინი ქანდაკებაზე მუშაობისას ნაირფერად საღებავებს იყენებენ. მაგრამ, ამას გარდა, გვაქვს მთელი რიგი წმიდა მატერიალური მტკიცებებიც, ესე იგი, რეალური ნარჩენები საღებავებისა ქანდაკებებზე, თანაც იმდენი, რომ ყველა ამ ფაქტის სია დიდ კატალოგს შეადგენდა. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე ყველაზე უტყუარ ფაქტზე შევჩერდებით.

ქანდაკების შეფერადებაზე პლინიუსის ცნობის საფუძველით უეჭველი დადასტურებაა საღებავების კვალი, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით სახელგანთქმულ ჰერმესისა და ყრმა დიონისეს ქანდაკებაზე, რომელსაც ასე დიდხანს პრაქსიტელეს დედნად მიიჩნევდნენ. ჩვენ სწორედ აქ, თმებსა და ხამლებში ვპოულობთ ყავისფერ-წითელი საღებავების ნაშთებს.

შემდეგ — კონსტანტინოპოლის ყოფილ ოტომანების მუზეუმში ინახება კიბში ნაპოვნი ქანდაკება აპოლონისა, რომელსაც წითელი სამოსი აქვს მოსხმული მხრებზე და ხამლებზეც წითელი, ცისფერი და ყანგისფერი ნაშთებია. იმავე მუზეუმშია აგრეთვე კოსზე აღმოჩენილი და 1892 წელს დრეზდენის მუზეუმის მიერ შესყიდული ქანდაკება ესკულაპესი, რომელიც არა მარტო გაფერადებულია, არამედ აშკარად გადაღებილია კიდეც — თავდაპირველად საკმაოდ ღია ავურისფერ-წითელი ყოფილა, შემდეგ გაუვარდისფრებიათ.

კოლინიონის მტკიცებით, სრული საფუძველი გვაქვს, კლასიკისა და ელინიზმის ეპოქის მსგავს ქანდაკებათა შეფერადების საერთო ხასიათზე ვიმსჯელოთ სახელგანთქმული ტანაგრის მომცრო ქანდაკებების — მათი ნაზი და ნატიფი ფერების — მიხედვით: აქაა მოფერმკრთალო, ნაზი ვარდისფერი, რომელსაც მიმქრალი მოცისფრო-მონაცრისფრო ელფერი გადაჰკრავს და ცისფერი, იისფერი და ყავისფერ-წითელი ელფერის თმა. სხვათა შორის, ჩვენ ისიც ვიცით, თუ ამას როგორ აღწევდნენ მხატვრები. ისინი მომცრო ქანდაკებას ძირავდნენ აბაზანაში, რომელშიც კირისა და ტყვიის ხსნარი იდგა და ტერაკოტა — გამომწვა-

რი თიხა იქცეოდა ნამდვილ მარმარილოდ, რომელსაც შემდეგ ამუშავებდნენ პოლიქრომული ქანდაკების ჩვეულებრივი მეთოდით. დელოსის ერთი სახლის ნანგრევებში იპოვეს ქალის ტერაკოტული ქანდაკება, რომელიც ტანაგრის მომცრო ქანდაკებებივით ცინცხლად და გემოვნებით და, თანაც, შეფერადების სავსებით ტრადიციული ხერხებით — იყო გაფერადებული. ესაა მშვენიერი ელინისტური ქმნილება, რომლის ანალოგიც ახლა ცოტა როდი გვაქვს. აქ ჩვენ საბურველზე ვხედავთ ცისფერ მოოქროვილ ქობას. კაბა, რომელიც ოდესღაც ასევე ცისფერი იყო, გამშვენებულია ფართო, ცისფერთან ვარდისფერ-იისფერის შენაზავი ქობით, რომელიც თეთრად, შესაძლოა, ოქროსფრადაცაა გაწყობილი.

ლ. კუვი ამბობს, ეს მომცრო ქანდაკება ზუსტად ტერაკოტულ ნაკეთობათა ტრადიციებს მისდევსო: სამოსელი ცისფერია და ვარდისფერი; მოსასხამი — ვარდისფერია, ტუნიკა კი — ცისფერი და — პირიქითაც. ბოლოს, მხატვრულად დამუშავებული ვარცხნილობა ყავისფრად-წითლადაა შეფერილი.

როგორც ჩანს, კლასიკური ხანის პოლიქრომულ ქანდაკებაზე მსჯელობა ჩვენ შეგვიძლია V-IV საუკუნეების თიხის ფიგურული ლარნაკებითაც, რომლებიც ნაპოვნია ჩვენთან, ტამანის ნახევარკუნძულზე და გამოსახავს აფროდიტეს, სფინქსსა და სირინოზს. ისინი იმითაა საინტერესო, რომ აქ ფერწერული საშუალებებით აღდგენილია ოქროსა და სპილოს ძვლის ქანდაკება, როგორც ამას შემდგომშიც ვხვდებით, „ფიგურების სხეულები დაფარულია თეთრი ან ვარდისფერი (სხვადასხვა ელფერის) საღებავებით, წარბები, წამწამები და თვალის გუგები — შავია, თვალის ფერადი გარსი — მოიისფრო-ვარდისფერი ან ცისფერია, თვალის თეთრი გარსი ცისფერს დაიკრავს; საცრემლე პარკი — ხასხასა წითელია; ბაგეები — მაგარი წითელი ან ხასხასა ვარდისფერი, თმა მთლიანად ოქროთი იყო დაფერილი, მდიდრული მორთულობა და სამკაულები ყვითლად, ვარდისფრად და წითლად იყო შეფერილი, თანაც, ძალზე უხვად იყო გამოყენებული ოქროს ვარაყი, ფრთების შესაფერად გამოიყენებოდა თეთრი, ცისფერი, ნაცრისფერი, ნაცრისფერ-ცისფერი, ხასხასა ვარდიფერი საღებავები და ვარაყი, სირინოზების ბოლოს ბუმბული ბაცი-ყვითელი საღებავითაა შეფერილი, ხოლო სფინქსის კუდი — მოვარაყებულია“.

დ) უფრო აქეთ, ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში გვხვდება მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც განაპირობებენ იმის აუცილებლობას, რომ ამ ხანას თავისებური აღორძინება ვუწოდოთ. აპოლონიუსი, გლიკონი, კლეომედი და სხვები აქ ქმნიან ნეოკლასიცისტურ სკოლას, რომელიც ალექსანდრიზმის ტრადიციებს გვერდს უვლის და V-IV საუკუნეების კლასიკისაკენ ისწრაფვის. ამ რიგისაა ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ბელვედერელის ტორსი ვატიკანში, ჰერაკლე ფარნეზე, მაგრამ სხვათა უწინარეს, საყოველთაოდ ცნობილი ვენერა მილოსელი. იმ დროის ბერძენი მოქანდაკეები მასობრივად ემიგრირებენ რომში, სადაც ბერძნული გემოვნების თაყვანისმცემელ უმაღლეს არისტოკრატიას ემსახურებიან. ისინი ქმნიან ბერძნული კულტურის კლასიკურ ქმნილებათა უამრავ ასლს. და აქაც უნდა აღინიშნოს პოლიქრომიის არსებობა, რაც ახლა ორი სახით ვლინდება. ერთი მხრივ, ესაა ის, რასაც შეიძლება

ბუნებრივი პოლიქრომია დავარქვათ. მხატვრები იწყებენ ეგვიპტიდან და ნუბიდიიდან შემოტანილი ნაირფერადი მარმარილოს (მწვანე ბაზალტი, პორფირი, წითელი მარმარილო) გამოყენებას, რაც, კოლინიონის სიტყვით, ჩვენში იწვევს „არა აღტაცებას, არამედ ცნობისწადილს". მეორე მხრივ, — არსებობდა ჩვეულებრივი პოლიქრომიული ქანდაკება, რომლის წარმოსადგენადაც შემდეგ ნიმუშებს გაგაცნობთ.

1882 წელს რომში იპოვეს ათენას თავი, რომლითაც ადვილი საცნობია, რომ ეს ქალწული ათენაა. მხატვარმა აქ ყველაფერი იცონა, რომ ზუსტი საღებავებით წარმოეჩინა ქრისოელეფანტური დედანი: სხეულის გულდასმით გაპრიალებული კანი მარმარილოს ნათელ ელფერს ინარჩუნებს, მუზარადი აღბეჭდავს დედნის ოქროს, თმა და წარბები წითელია თვალის ფერადი გარსი მუქი-ყავისფერია. და აქ იმას ვერ იტყვი, თითქოს დედნის ოქროსა და სპილოს ძვლის ტონთა შეგნებულად, მიზანსწრაფულად ამსახველი ეს ასლი გამონაკლისი მოვლენა იყოს. 1884 წელს რომში აღმოაჩინეს კიდევ ერთი ფერადი მარმარილოს თავი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში მოხვდა და იქ ატმოსფეროს ზემოქმედებისაგან მინის ხუფითაა დაცული. ესაა ერთ-ერთი იმ ქანდაკებათაგანი, ოდესღაც ესკვილინის ბაღებს რომ ამშვენებდნენ. სტილითა და ვარცხნილობის ფორმით ესაა IV საუკუნის ბერძნული ორიგინალის რეპლიკა. ამ ქანდაკებაზე თმა ღია-ყვითელი ფერისაა, კანი ვარდისფერი (რაც აქამომდე შესამჩნევია შუბლზე, კისერთან და ღაწვებზე), თვალის გუგები წითელია. საკვლევით უეჭველია, რომ ეს ფერები გამიზნულია დედნის ფერების აღსაბეჭდად, ამას დავუმატოთ დრეზდენში დაცული თავი ქალღმერთისა, რომელსაც ქერა თმაზე ვარდისფერი სახვევი უკეთია და სახეზეც ცვილის ფენის აშკარა კვალი აზის. დასასრულ, შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, აფროდიტეს ძალზე საყურადღებო მრავალფერადი ქანდაკება, — რომელზეც ახლა ფერები ძალიანაა გადასული, — 1873 წელს პომპეიში რომ იპოვეს. ქალღმერთი ძალზე კოკეტურად გამოიყურება, ხელები ცნობისწადილის აღმძვრელად, გამომწვევად უჭირავს. მის ნარინჯისფერ სამოსელს რუხი-ცისფერი (ან ცისფერ-მტრედისფერი) სარჩული უდევს და თეთრი ქობა ავლია, რომელიც ოდესღაც, ალბათ, ვარდისფერი იყო. თვითონ ფიგურა ეყრდნობა სხვა, მომცრო არქაიზებულ ფიგურას, რომელსაც ყვითელი მოსასხამი და მწვანე კვართი აცვია. შესაძლოა, თმაზე და ხამლებზე სახვევები წითელი ყოფილიყო. ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ უნდა გავიგოთ ამ ქალღმერთის შიშველი ნაკვთების შეფერადების საკითხი (საბურველი მხოლოდ ფეხებს ფარავს მუხლებს ზემოთ). ახლა ეს ნაწილი, ისევე, როგორც აღნიშნული ქანდაკების მოშიშვლებული ხელები, კისერი და სახე, მთლად თეთრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭიპის ფოსოში და ცხვირის ნესტოებში წითელი ფერის ნაშთებს. ერთნი ამბობდნენ (მხედველობაში ჰქონდათ რა ეს დანაშრევები), რომ მთელი მოშიშვლებული სხეულის შეფერადება, სახის ჩათვლით, ერთნაირი იყო. სხვები ამას უარყოფდნენ, რადგან ქალღმერთის შეუფერადებელი სხეული დიდ კონტრასტს ქმნის სამოსელის დღემდე კარგად მიღწეულ შეფერადებასთან და, როგორც პომპეის ყველა ქანდაკება, უცილობლად შეფერადებული იყო. ეს საკითხი, როგორც ჩანს, ვერ გადა-

იჭრება. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ პომპეის ფრესკებზე ჩვენ ვხედავთ პოლიქრომიის ზემოაღნიშნული ყველა ნიშნის მიხედვით შეფერადებული ქანდაკებების ასახვას.

აუცილებელია ერთი გარემოების აღნიშვნაც — შეფერადებებს ჩვენ ოფიციალურ ქანდაკებებშიც ვხვდებით. ასე, მაგალითად, ოქტავიანუს-ტუსის ქანდაკებაზე (ახლა ვატიკანშია), რომელიც ნაპოვნია ფლამინი-ის გზაზე, ლიბიის ვილაზე, ტუნიკი კაშკაშა-ყვითელი ფერისაა, მოსასხამი მუქი-წითელია, ჯავშანი ყვითლადაა შეფერილი, ხოლო ნაჩუქურთ-მები რელიეფები ცისფერი, ალისფერი და ჭიაფერისაა. რაკი ვიცნობთ პოლიქრომულ ოფიციალურ ქანდაკებებს, ცხადი ხდება, რომ უსაფუძ-ვლოა ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის აზრი, თითქოს ძველად პოლი-ქრომია მხოლოდ კერძო შემთხვევაში იყო დაცული. სრულიად უეჭვე-ლად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ანტიკურ სამყაროში პოლიქრომულ ქანდაკებას უნივერსალური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

იმის აღნიშვნაც შეგვიძლია, რომ არქეოლოგებმა და მხატვრებმა უკვე არაერთგზის სცადეს თავიანთი გააზრების შესაბამისად აღეგი-ნათ ანტიკური პოლიქრომული ქანდაკებები. 1886 წელს ბერლინის ეროვნულმა გალერეამ მოაწყო პოლიქრომული ქანდაკების, მათ შორის ანტიკური ქანდაკების, გამოფენა. ამის შემდეგ დრეზდენში აღადგინეს კაპიტოლიუმის ოქროსა და სპილოსძვლისფერი სატირი, მედუზა ლი-უდოვიზის თავი — მას მუქი თმა ჰქონდა, სახეს ფონად ცისფერი ევლო (როგორც ამას აღორძინების ხანაში ვხვდებით), ანტინოოსის სახის ფონი ალბანის ვილის დიდ რელიეფზე ცისფერია, თმები აქ ყავისფერ-წითელია, გვირგვინი მრავალფერადია, სახვევები თეთრია, სამოსე-ლი — წითელი. ამის ანალოგიურად, ამერიკაში, ბოსტონში, არქეოლო-გმა რობინსონმა და მოქანდაკე ლინდონ-სმიტმა ერთობლივად აღადგი-ნეს 90-იან წლებში პრაქსიტელეს ჰერმესისა და ლუვრის პოლიქრომია.

# ლუ ალბერტ-ლაზარდი

## გზები რილკესთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან
თარგმნა ნუნუ ზაზიანმა

მისი გული ყველა ქმნილების სიცოცხლესთან ერთად ჰარმონიულად ძგერს. იგი ბოლომდე ჩასდევს თვით უკიდურესად დაცემულთ, მათი სიძულვილით სავსე რეაქციებსა და გაუკულმართებულ არსებობას ძირის ძირამდე. განა ხანდახან არ შეიძლება ითქვას, თითქოს უფსკრულისაკენ გვიბიძგებსო ცდუნებას აყოლილი, როგორც ეს „მათხოვრეებშია"?:

... შენ არ იცოდი, ვერც გაერიდე
უსახო გროვას. უცხომ კი ხელად
სცნო მათხოვრები, ისევ რომ ყიდდნენ
სიცარიელეს გაწვდილი ხელით.

სიბილწით სავსე პირებს უშვერდნენ
მოურიდებლად ისინი მომხდურს,
(მან შესძლო) თავსაც მისცა უფლება
ენახა, თუ ვით ნთქავდა მათ კეთრი...

რადგან ასეთ დასკვნებამდე მივედით, კატარინა კიპენბერგს ერთი სიზმარი მოვუყევი, რომელიც ცოტა ხნით ადრე რილკესათვის უნდა ჩამეწერა, ისე ცხადად დაინახა მასში და იცნო თავისი თავი.

„ნელა მივუყვებოდი ამხანაგებთან ერთად გრძელ ქუჩას, მათთვის ბინას ვეძებდით, დროდადრო ირგვლივ ხისტად გაიელვებდა ხოლმე. გზა ლამის უსასრულობამდე გაგრძელდა იმდენად, რომ ამ უსაშველო სიარულმა თითქმის ბედთან დაკავშირებული მნიშვნელობა შეიძინა, ალბათ საბედისწეროც კი. მეჩვენებოდა თითქოს რაღაც სხვას უნდა წავწყდომოდი, ბინის ძებნას და პოვნასაც რომ აღემატებოდა. როგორც იქნა ქალაქის გარეუბანს მივაღწიეთ. შენობათა საშინელი, მკაცრი სიშიშვლე რაღაც საშიშსა და უსიამოვნოს მოასწავებდა, რაც აშკარა მოლოდინში გადამეზარდა. რადგან, ასეა მართლაც: რამდენადაც შეუბ-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 3-4.

რალებლადაა გაშიშვლებული და წარმოჩენილი საგნები, იმდენად უფრო იგრძნობა მათი შეფარული მისტერია და ისიც, თუ რაოდენ უმწეონი ვართ გამოუთქმელი იდუმალების წინაშე. — ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ჩვენთვის განკუთვნილი სახლი, წითელი აგურით ნაგები, ვალტერ სკოტის სტილის უბადრუკი ციხე-კოშკის მაგვარი [illegible] შემდეგ კიბეები: სამი მაღალი დამრეცი ბნელი სართული, [illegible] მოსახვევი და ელეგანტური საფარბაზო, რომელშიც შედიხართ და პირდაპირი გზით სვდებით პირველ სართულზე, სადაც ბინა უნდა იყოს. ბუზმენტებიან მუნდირში გამოწყობილი კაცი უცნაურ ცხოველებიან ორმაგ კარებს ერთბაშად მოწყვეტით აღებს — ბინძური, სველი ქვის იატაკი, აბანოსას რომ მიაგავს, პირდაპირ სახეში გვცემს, შემოგვამთქნარებს თითქოს. ობი და ხავსი გვეხლება კედლებთან მიახლოებისას, შპალერის ნახევები და ვირთხები დაშრიალებენ. სუნთქვის შეკვრამდე საზარელი ნაგლეჯი საშყაროსი გახევებულა ბუზების მიერ შებილწული ფანჯრის მიღმა. ნახანძრალი და ნანგრევებად ქცეული ქალაქის ნაშთი იშლება ჩვენს თვალწინ. ორაზროვანი ფიგურები იქექებიან მიწაში, უკანასკნელ სარჩოს ეძებენ. ცხენის ნახევრად გამოხრული ლეში ამოჩრილა ნახშირის გროვიდან, წინა პლანზე, გადმონთხეული თვალებით. მის იქით კი მზე მეწამულ-სისხლისფრად ჩადის.

„აქ მართლაც კარგია", — ყვირის ჩემი მეგობარი, — „აქ მინდა ვიცხოვრო! ბლომად სპილენძი, ვერცხლი და თითბერი უნდა მიმოაწყო, მაშინვე გაბრწყინდება ბინა და მოდი, სასტუმრო ოთახის ღუმელში ახლავე შევწვათ ქათამი".

აჰ, თავი უნდა დავაღწიო, ვფიქრობ მე, შორს საოცრებათა ამ სახლიდან. სად დაიკარგა ის შეშლილი კიბე, კარი მოსხლეტით იღება, ლაქია მიმიძღვება სპარსული ხალიჩით მოფარდაგებულ ლიფტამდე, მღაბლად მიკრავს თავს და მარტოდმარტო მისტუმრებს ქვევით.

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? რის შესავალს ან დასაწყისს უნდა წარმოადგენდეს? ჩემი შთაბეჭდილებებით მთლად გამოფიტული მივდივარ ტრამვაის გაჩერებასთან. უეცრად ვიღაცის მზერა მახედებს უკან.

„შენია ეს მზერა!"

აქ ზიხარ შენ? — მიწაზე? ღია ფერის გამაშებითა და თეთრი ხელთათმანებით, აუწერლად მოვლილი და მათხოვრობ? — როგორ, ხელგაწვდილი? — და ვაი, რომ ღრმა მორჩილებით სავსე თვალებით, უსასრულო თვალებით, — თუმცა მზერაში ვედრების მოქნილი ძალა განაბულა, რომელიც უხერხულობაში მაგდებს. — ვინ ვერ იგრძნობდა მაშინვე, რომ მთელი დედამიწის საფასურიც კი ვერ აასრულებდა შენს თხოვნა-ვედრებას: საოცარო მათხოვარო!"

ბევრი რამ გახდა გასაგები ჩემთვის — მის გულში აღტაცება ზიზღის გვერდით ბინადრობდა, ბრწყინვალება — სიდუხჭირის გვერდით და ორთავეში კი უსასრულობისაკენ ლტოლვა სჭვიოდა.

სასაუბრო დრო მხოლოდ ყოველდღიური სამუშაოს შემდეგ გვრჩებოდა და ეს ძალზე იშვიათი საათები იყო, რადგან კატარინა ინზელ-ფე-

რლაგის მთელ სამუშაოს მარტო უძღვებოდა. მისი მხრიდან დიდ პატივისცემად მიმაჩნდა შესაძლო პუბლიკაციების შესახებ აზრს რომ მეკითხებოდა და ჩემგან რჩევასაც რომ იღებდა ხოლმე. მე კი საბოლოო პორტრეტი კარგად უნდა შემესრულებინა, რაც საკმაოდ ძნელი საქმე გახლდათ, რადგან ორივე პატარა გოგონა ძალიან ცელქებიოყვნენ და დედას მცირე დრო თუ რჩებოდა სეანსებისათვის.

რილკემ სურათები ნახა თუ არა, მაშინვე გაუზიარა შთაბეჭდილებები გამომცემელს. იგი აღტაცებული დარჩა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი იდეები სახვით ხელოვნებაზე მეტად ლიტერატურულ ელფერს ატარებდნენ. ეს გასაგებიცაა, მაგრამ რადგან თვითონაც შეგნებული ჰქონდა ეს გარემოება, ძალიან განიცდიდა. ერთ მშვენიერ დღეს ფრანც მარკის რეტროსპექტულ გამოფენასთან დაკავშირებით მომწერა: „როგორც კი გავიფიქრებთ, რომ რომელიმე მხატვრის სამყაროს გავუგოთ და ჩავწვდეთ, მაშინვე აღმოჩნდება, რომ მხატვართან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პიროვნებასთან, რომელსაც ფიქრისა და გაანგარიშების საფუძველზე სურს შექმნას სურათი. ამგვარად შექმნილ ნამუშევრებში რაღაცის დანახვა-ამოკითხვისათვის კი, რადგან მართლაც დაღლილი ვარ, მსურდა უფრო ძირეული და ნამდვილი რამ დამენახა, მე კი ორმაგი ეჭვი და უნდობლობა მეუფლება; ერთის მხრივ, ნახატისადმი, თავად რომ მიბიძგებს აქეთკენ და მეორეს მხრივ, ჩემივე პიროვნებისადმი, რადგან ყოვლად დაუშვებელია სურათში ვიგულისხმო ის, რაც არ არის მასში. სეზანი ჩემთვის გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც შევძელი მიმეღო და მხატვრობაში ჩემთვის ერთადერთ სახელად რჩება“.

საქმე აქაც ეხება სეზანის პიროვნების მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიურ შერწყმას მისივე შემოქმედებით მანერასთან.

რილკეს პიროვნებაში ჩვენ ხელოვნებათმცოდნეს კი არ ვეძიებთ, არამედ პოეტს, ეს ყოველივე საკუთარ შემოქმედებაში რომ გადააქვს — როგორც ეს როდენის შემთხვევაში მოხდა. მაშინ როცა, ბოდლერს, რომელიც გამონაკლისის სახით მხატვრობის მიმართ სწორ ჭეშმარიტ შეგრძნებას ავლენს, თარგმნის რილკე, რომლის ლექსები უფრო ვიზუალურნი და ლამის ნათელმხილველურნი არიან და აქედან გამომდინარე, მხატვრული შეგრძნებებით უფრო მეტად უნდა ყოფილიყვნენ დამუხტულნი იმ შთაბეჭდილებებით, სახვითმა ხელოვნებამ რომ მოახდინა უშუალოდ მის უშინაგანეს სფეროზედაც კი. ეს შეგრძნებები მისთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდნენ; ამოსავალ წერტილს უფრო მაღალი და დიდებით მოსილი აღმაფრენისათვის.

რა ძლიერადაა ნაგრძნობ-განცდილი „აპოლონის არქაული ტორსი“, რომლის დიდებულება მთლიანად იპყრობდა რილკეს არსებას. ასეთ სიმაღლემდე აყვანილი ხელოვნების ნიმუში ისეთ ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა მასზე, რომ ეგონა ველარ აიტანდა, ანდა მისი საზომისდა მიხედვით ცხოვრება არ შეეძლო. სწორედ ეს ათქმევინებს, როცა აღმოსჩენია: „შესცვალო უნდა ცხოვრება შენი“.

## აპოლონის არჭაული ტორსი

ველარ ვიხილეთ საოცარი თავი ვნებული.
ოდეს შიგ თვალთა იდუმალი გუგები მწიფდნენ.
ტორსი კი ბზინავს, ლამპარივით ანთია ისევ,
რომელშიც მზერა, წიალშივე ჩაბრუნებული

ყამს ეურჩება და ციმციმებს. სხვაგვარ, მაღალი
მისი მკერდი თვალს ვერ მოგჭრიდა და ზანტი ზნექით
თეძოებისა, ვერ აღიძვროდა ღიმილის ლექი
შუაგულისკენ, რამაც იტვირთა ძალა მსახვი.

სხვაგვარ ქვა იგი იქნებოდა ბონჯი, საპყარი,
მხრებქვეშ გამჭოლად წაკვეთილი, წარქმული მკლავით
და ბზინვარება არ დაჰკრავდა მტაცებელთ ტყავის,

არ გაკრთებოდა ვარსკვლავივით კიდენამსხვრევი,
სხივთამთოვარი: აქ ყველაფერი გითვალთვალებს,
მხარე ყოველი. შესცვალო უნდა ცხოვრება შენი.

**რა დიდებულად აღმოხდება ეს მიგნებული აზრი: ყოველი ხელოვ-**ნება, რომელიც არაფერს ცვლის ჩვენში, ზედმეტია. არც არსებობს. ესაა კრიტერიუმი. იმ უდიდესი ზემოქმედების საიდუმლო, რილკე რომ ახდენს მკითხველებზე, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ სულში რაღაცას ცვლის, თუ ისინი უღრმავდებიან მის ნაწარმოებებს. და ეს ზეგავლენა, რა თქმა უნდა, ძალიან განსხვავებული სახისაა. რადგან შეუძლებელიც კი იყო ერთნაირი ზემოქმედება რომ ჰქონოდა. მასზედაც იგივე შეიძლება ითქვას, რასაც იგი თავად ამბობს „ყამნში“ ღმერთის შესახებ:

საგანთა სილრმის დამტევი ხარ, სახე, წვდომა და
ის ვინც საკუთარ არსის სიტყვას მალავს, მდუმარებს
და კაცად კაცადს უმხელს მარად ნაირფერ მხარეს:
გემებს ნაპირად ევლინება, ხმელეთს — ხომალდად.

მართლაც ათასგვარი სახით გვიზიდავს იგი ჩვენ; მას ეძებენ, რჩევას ეკითხებიან. ხშირად შეწუხებული და გაოგნებულიც კი იყო იმ მგზნებარე ცეცხლით, თავად რომ აღანთებდა და შემდეგ რომ ველარ მართავდა ხოლმე. „ალბათ რაღაც არაწმინდამ თუ ჩაიბუდა ჩემში, ყველა რომ ბედავს ჩემთან დაახლოებასო“, — მითხრა ერთხელ. მაშინ ვეცადე ჩემი შეხედულება გამენდო და ამეხსნა მისთვის: „შენი სიტყვები, რა თქმა უნდა, ყველგან ჰპოვებენ გამოძახილს, თუმც ხშირად გაუგებარნი არიან. შენ სავსებით დაუცველი ხარ, რადგან ადამიანები, ისევ შენგანვე მოხმობილნი გულს გიხსნიან. მათი სულები სადღესასწაულოდ იმოსებიან შენი გამოჩენისთანავე. ცხოვრებაში ყოველ არსებას ერთხელ მაინც განუცდია წამი, როცა საგნები ფართოდ ახელილი

თვალით უხილავს, ანუ ხილვა ჰქონია. შენი ჯადოსნური წკირის მეოხებით, შენ ყოველი მოგონებიდან ზედაპირზე ამოატივტივებ ყველაზე უფრო ჭეშმარიტ წამს, მაშინაც კი, როცა ეს არსებითი წვდომა-შეცნობა ყოველდღიურობაში ინთქმება. ნამდვილად ესაა იმ დიდ მისიათაგან ერთ-ერთი, შენ რომ გაკისრია. ალბათ იმიტომაც ვერ რჩები ცალკე ვინმესთან, რადგან მრავალთა გამოფხიზლება გევალება. ხანდახან, ბუნებრივია, რაღაც პანიკური გრძნობა გიპყრობს ამ ზებუნებრივი როლის წინაშე, რომელიც რამდენადმე იზოლირებულს გხდის, ალყად გქცევია და გირეკლავს. მე უკვე კარგად მესმის, ეს სარკეები შენს შიშს რომ იწვევენ, ისინი საკმარისად ღრმანი არ არიან, ხშირად მრუდედ ირეკლავენ და იცრიცებიან. შენ კი, ჩვეულებრივი გინდა იყო, ისეთი, სხვები რომ არიან. მაგრამ ზუსტად ეს არ ხელგეწიფება, ო, მოჯადოვებულო ჯადოქარო".

„ესპანურ ტრილოგიაში" მისი ამ ბედისწერის გამოძახილი იგრძნობა:

... რად უნდა იდგეს ვინმე მწყემსივით,
აქ, აურაცხელ გავლენათა პირისპირ მარტო,
ხდომილებებით სავსე სივრცესთან წილნაყარი,
მაშინ როდესაც ბუნების წიალ ხეს მიყრდნობილს
უმოქმედოდაც საკუთარი გააჩნდა ბედი.
და მეტისმეტად ვეება მზერით ხომ არ აღიქვა
ნახირის ჩუმი უწყინარობა. მხოლოდ სამყარო
აღებეჭდა ყოველ მზერაში, სხვა არაფერი.
სხვები სიამით რასაც ფლობენ, მუსიკასავით
ბრმად და ხისტად ეჭრება სისხლში
და სახეს იცვლის.
ღამ-ღამობით კი დგება, ჩიტების გადაძახილი
უკვე თავისი არსებობის წიალ ეგულვის,
თავს გრძნობს თამამად, რადგან იზიდავს
მზერით ვარსკვლავებს, უმძიმს — სხვას არ ჰგავს,
მას, ვინც ამ ღამეს სატრფოს მიუძღვნის
და ნაგრძნობ ცათა საოცრებით გაანებივრებს.

მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს ბრძოლა ადამიანებთან ურთიერთობის წყურვილსა და მარტოობის სურვილს შორის.

დროდადრო მარტოობა გაუსაძლისი ხდებოდა მისთვის და მიღმა ჩავლილი ცხოვრების აჩრდილი უეცრად წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ, როგორც ეს ასახა ლექსში „ბერბიჭა":

ქანქარას მაღლით ეღვროდა ღამე
და მისი წმინდად დაფქვილი ჟამი
ოქროს წისქვილით ციმ-ციმ ცვიოდა...
. . . . . .
სარკე კი უკვე წიალჩამქრალი,
ჩუმად სახავდა ფარდას, ფანჯარას: —
რადგან შიგ ღამის აჩრდილი ჩანდა.

დეკემბრის დასაწყისში რილკე ვენაში გამოიძახეს სამხედრო სამსახურში. ყაზარმაში გატარებულმა სამმა კვირამ და ვარჯიშებმა მისი ძალები სრულიად დაშრიტა. ო, რა საშინელი შიშებით დატვირთული დრო გამოვცადე მაშინ. მიუხედავად მისი ღრმა დეპრესიისა, მე მაინც თბილისა და ჩემი მუშაობისთვის წამაქეზებელ წერილებს მწერდა. განსაკუთრებით ელ გრეკოს „ესპოლიოს“ ასლს მიქებდა, რომელიც ეს-ის იყო დავიწყე. გრეკო მასაც დიდ მოვლენად მიაჩნდა. მუშაობისას, თითქოს ტოლედოს გარემოცვაში ვიყავი, იმდენად ცოცხლად იგონებდა და მიხატავდა იქაურობას. ომის შემდგომ ჩვენი პირველივე მოგზაურობა ტოლედოში ჰქონდა ჩაფიქრებული. შეიძლება კი ვინმემ „ქრისტეს შთასვლა ჯოჯოხეთს“ წაიკითხოს და ელ გრეკო არ წარმოუდგეს თვალწინ, მისი ფერწერის გამჭვირვალეებითა და მრუმე ცეცხლოვანებით?

რილკეს მეგობრებმა, ისევე როგორც მე, ყოველი ღონე ვიხმარეთ, ჯარიდან რომ გაგვეთავისუფლებინა. პირადად მე მხოლოდ მისი ბრიუსელში გადმოყვანა შემეძლო გამეხერხებინა, მაგრამ ჩემთვის სავსებით ნათელი იყო, რაოდენ უბედურად ჩათვლიდა თავს იგი მოალყეთა რიგითი წევრის როლში.

იგი მართლაც საცოდავად გამოიყურებოდა ძველ, გაცრეცილ სამხედრო ფორმაში ჩაკარგული, თითქოს შიგ „მოათავსესო“, თავადის ქალთან მარი ფონ თურნ უნდ ტაქსისთან რომ მობრუნდა, რომელთანაც მაშინ ბინად იდგა, ბნელ კორიდორში ქალს რილკე ვერ უცვნია, მაწანწალა ჰგონებია, მაშინ კი ყვირილი მოურთავს. ამ უკანასკნელს წყალწაღებულივით — „ქალბატონო, ეს მე ვარ, მე ვარ, თავით ფეხამდე, ასე გამოწყობილი!“ რა ჯარისკაცი უნდა დამდგარიყო მისგან! ფელდვებელი ხორხოცებს: რაო, მარია გქვია? კიდევ კარგი მიცი, არა“ — ლეიტენანტი ამატებს: „თქვენ *Ave maria Rilke*, დედაჩემმა მითხრა კარგად მოეპყარიო, თურმე ცნობილი ვინმე ბრძანებულხართ. საბედნიეროდ ყურადღება არც კი მივაქციე, რას არ მეტყვის ეს დედაჩემი“.

მოგვიანებით პრესის არქივში მისცეს რაღაც თანამდებობა, სადაც სთხოვდნენ, თვალით რომ არ ენახა, იმ ბრძოლების შესახებ ეწერა წერილები და ჰეროიკული საკმაზით მიერთმია მკითხველისათვის. რილკემ განუცხადა, ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატებაო. ასე არაფრად ჩააგდეს მისი სურვილი, სანამ ჯარიდან განთავისუფლების საკითხი არ გადაწყდა. გავლენიანი მეგობრების (ყველაზე მეტად ბავარიის კარზე), განსაკუთრებით კი პრინცესა იზაბელას თხოვნა შეიწყნარეს და ბოლოს უფლება მისცეს, საერთოდ არ გამოცხადებულიყო სამხედრო სამსახურში.

მიუხედავად ყველაფრისა, მუშაობაში მთლიანად ჩართვისთვის საკმარისი პირობები მაინც არ გააჩნდა. მაშინ კი, ჯარში გაწვევამდე, შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავებას ისევ გრძნობდა. იგი თავის გამომცემელს სწერდა: სრულიად თავისუფალი თვალსაწიერი გამეხსნა, მეგონა, უკვე თვალწინ, და აი, ნაცრისფერი სამხედრო ფარდა ჩამომეფარა გაცისკროვნებულ სახეზე...“

ვენაში არსებული ატმოსფერო ნაკლებად ეხატებოდა გულზე. მხატვარ ფრანც მარკის სიკვდილის ცნობასთან დაკავშირებით მწერდა:

„უკვე ვიცოდი, ფრანც მარკი რომ დაიღუპა, სანამ შემატყობინებდი. აქაც ბევრნი სცნობდნენ მას და ეს ამბავი მალევე გავრცელდა. მაგრამ რა ძნელად „ცნობენ“ ვინმეს, რა ბრძოლით უნდა ამტკიცო „ახალი“ მხოლოდ იმიტომ, რომ „სიახლეა“, რა ადვილად ჩაირაზება ხოლმე ნაცადი „თავქარიანობა“ ისევ, ვერაფერს გააწყობ [illegible]. ბ. დე ვარდმა თავისი ღრმა გულისნადები გამანდო ვენის შესახებ. ახლა უკვე მეტად მინდა კოკოშკას დავუკვირდე და ვეცდები შიონბერგის მუსიკის მოსმენაც მოვახერხო. კაცმა რომ სთქვას, სხვაგან სადაა ყველაფერი ასე მცდარად გაგებული (გაუფასურებული), როგორც აქ, ამ სივრცეში. (მიუხედავად ყველაფრისა, ბეთჰოვენიც აქ იყო).

დრო უკვე მრჩება, თუმცალა სამუშაო დღის შედეგად გამოწურულ-გამომშრალი, ყოველი მხრიდან ვეზიდები წიგნებს და ვაგროვებ, სალამოობით უეცარი, უფრო ქმედითი მომენტისათვის საკუთარი სამყარო რომ შევიქმნა. და ასე ვახერხებ აღმოვაჩინო ჩემთვის თანდათან ჰაინრიხ მანი, რაც თავისთავად უკვე მნიშვნელოვანია. ჩვენ შარშან რომ მოგვეხელთებინა „Pippo Spano“ (ესპანური ყალიონი), სულ სხვანაირად წავიკითხავდით და განვაგრძობდით კიდეც კითხვას. გაგიგონია? წაგიკითხავს? რომანებში ისეთ ადგილებსაც წააწყდები, გამოტოვებას რომ არჩევდი, მაგრამ, რომანის ფორმას რაც შეეხება — როგორც ხელოვნების ზღვრულ სფეროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჰ. მანის ზედმიწევნით დახვეწილ-დაუფლებული ხელოვნება. ენის ქსოვილში მთლიანად გარდასახული ცხოვრების ასეთი საოცარი დამაჯერებლობა, შეიძლება ითქვას, გერმანულენოვან ლიტერატურაში არც კი გვხვდება. იმ ახალგაზრდებს, ბუნებას მოწყვეტილ დამოუკიდებლობას რომ ესწრაფვიან, აუცილებლად გაიტაცებს. მანის წიგნებში ყოველივე აღქმულ-დანახული ისეა მოწოდებული, თითქოს ოდითგანვე ცნობილი და დანახული ყოფილიყოს. როდისღა ჰქონდა ამ დიდ ხელოვანს თავისი შეგირდობის პერიოდი? ამ მხრივ იგი ფლობერსაც კი აღემატება; და თუ ამ უკანასკნელს კოლექციონერისა გააჩნია რაიმე, მაშინ ჰაინრიხ მანი ყოვლისგამცემი და გამფლანგველია — ვის შეეძლო ასე ბრწყინვალედ აღეწერა ბუნება, რათა შემდგომ ერთი ხელის მოსმით გადაესროლა ისტორიის მჩქეფარე სისხლის მდინარეებაში — დიახ, სწორედ ეს მეჩვენება ყველაზე მეტ საკვირველებად, როცა შემოქმედი ერთსა და იმავე დროს ისეთ ძალუმ დინებას აღძრავს, მისგანვე რომ წარიტაცებს და წაილეკავს საგნებს...“

ასე რომ, მწარე დღეები უკვე გადალახული ჰქონდა, როცა ვენაში მიხმო. ასეთი მძიმე გამოცდის შემდეგ ერთმანეთის ხელახალი აღმოჩენით ბედნიერები ვიყავით. ოღონდაც მე ქალაქში გატარებული იმ პირველი დღეების ბუნდოვანი მოგონებაღა დამრჩა, სადაც უამრავ ხალხს ვხვდებოდით. რილკეს ბიძაშვილს, ხელოვნებათმცოდნე ოსვალდ ფონ კუჩერას, პროგრამით გათვალისწინებულზე უფრო მეტ ღონისძიებებსა და გამოფენებზე დავყავდით. კასნერიც ჩვენთან იყო და ერთად დავათვალიერეთ მუზეუმში დაცული ბრეიგელის ნამუშევრები, რამაც სამივეზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დიდებული ნამუშევრების დემონური სიძლიერე გასაგებს ხდის, თუ რატომ უწოდებდ-

ნენ მხატვარს ჯოჯოხეთურ ბრეიგელს — რაღაც დიაბოლური და მომნუსხველი იმ ნამუშევრებშიც კი იგრძნობა, სრულიად ჩვეულებრივ საგნებს რომ ასახავს. ხშირად ვხვდებოდით ქ-ნ ჰელენე ნოსტიცს, რომელსაც ჯერ კიდევ ლეიფციგიდან ვიცნობდი. იგი როდენთან ბევრობდა, როდენს მისი პორტრეტიც კი ჰქონდა შექმნილი. [illegible] არ ეშლება, იგი პირველად შეხვდა რილკეს. ისე, შეიძლება [illegible] მთელ ევროპას იცნობდა. ბაბუამისი დიდი მთავარი მიუნსტერი დესპანი გახლდათ პარიზში და ეს გარემოებაც უდავოდ უწყობდა ხელს ამ ქალბატონის ნაცნობობის გაფართოებას.

იქვე იყვნენ მწერალი ფელიქს გრაუნი და „ფაკელის" გამომცემელი, პოეტი და პოლიტიკური სატირის მწერალი კარლ კრაუსი (იგი ზედმიწევნით წმინდა შხამს ამზადებს, თქვა ერთხელ რილკემ მასზედ და, რა თქმა უნდა, მისეული მწვავე მოტივების სიწმინდეს გულისხმობდა), შტეფან ცვაიგი და, რასაკვირველია, თავადის ქალი ფონ თურნ უნდ ტაქსისი, აგრეთვე კოკოშკა, მხატვარი, რომელთანაც რილკე ადრევე ურთიერთობდა გარკვეული დროის მანძილზე. ამ მხატვრის ფანტასტიური პიროვნება ხიბლავდა და იზიდავდა მას; პეტერ ალტენბერგიც არ მოჰკლებია ჩვენს საზოგადოებას, ვენის ბოჰემის სიმბოლოდ რომ მიაჩნდათ.

მალე მოგვყირჭდა ეს ორომტრიალი და ჰუგო ფ. ჰოფმანსტალის მიწვევით, ვენის ახლოს, როდაუნში გავემურეთ და ჰოფმანსტალის მშვენიერი სახლის გვერდით ვცხოვრობდით.

ჰოფმანსტალმა, შედარებით ადრე რომ გახდა ცნობილი, ახალგაზრდობაში ძლიერად იმოქმედა რილკეზე და ალბათ გარკვეული გავლენაც იქონია. რილკე მისდამი პატივისცემას მუდამ სათუთად ინახავდა, თუმცა უკვე ყოველნაირი გავლენისაგან თავისუფალს, საკუთარი გზა და თვითგამოხატვის საშუალებაც მიგნებული ჰქონდა.

ჩვენ ერთ საკმაოდ ძველ ე. წ. „ავსტრიულ სასტუმროში" ვცხოვრობდით, ასეთი სახელწოდება საუკეთესო ავსტრიული კერძების მოამზადების გამო შეურქმევიათ. მართლაც გასაოცარი იყო, გაგანია ომის დროს ასეთი, შეიძლება ითქვას, დამსახურებულად განთქმული კერძებით რომ გვიმასპინძლდებოდნენ. რილკემ თუმცა ძალიან თავშეკავებულად, მაგრამ მაინც იცოდა პატარა მიწიერ სიამეთა ჯეროვანი დაფასება.

ჰოფმანსტალმა სრული გულწრფელობით შემოგვთავაზა მათი სახლის პირდაპირ მდებარე ჩიტების გალობითა და ყვავილებით გარშემორტყმული შესანიშნავი პავილიონი მომცრო ბაღით, როგორც გვითხრა — ეს პავილიონი ჩემი მომავალი ატელიე უნდა ყოფილიყო. გაზაფხული იდგა. ბაღში მსხდომარენი დიდი გულისყურით ვკითხულობდით კასნერის ნარკვევებს, რომელთაგან „ქიმერამ" განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა ჩვენზე.

ლამაზი, ტყიანი შემოგარენი სასეირნოდ გვიწვევდა, მაგრამ მე ის უფრო საინტერესოდ მიმაჩნდა, რილკეს პორტრეტის დახატვის შესაძლებლობა რომ მეძლეოდა. ჰოფმანსტალმა სურათის ფონისათვის დიდებული ფარჩის ქსოვილი გამოგვიძებნა, ასე რომ სეანსები დაიწყო. რი-

ლკეს გასსნილ შუბლს, ზმანებებისა და აზრების ამ საუფლოს, თითქოს რაღაც ნათელი ეფინა. მისი ინტენსიური, გამჭოლი და იმავეროულად დამაფიქრებელი გამოუცნობი თვალები მოულოდნელ კონტრასტს ქმნიდნენ სახის ქვედა ნაწილთან, რომელიც ჩინელთათვის დამახასიათებელი უცნაური, მომწვანოდ იქროსფერი წვერით შემკული პირბაგითა და ბროლივით კბილებით სიცოცხლისადმი დაუოკებელ წყურვილს ამჟღავნებდა. იმხანად თავადის ქალს ფონ თურნ უნდ ტაქსისს სწერდა: „ნეტავ იცოდეთ, თავადის ქალო, რა ძვირფასი და სასიამოვნო მეზობლები გახლავან ჰოფმანსტალები, ორთავენი: ჩვენ, მათი სახლის წინ მდებარე პატარა პავილიონში ვმუშაობთ, რომელსაც პატარა ბაღიც აკრავს და ისიც ჩვენს განკარგულებაშია. ამ ბაღნარში პიონები და ვარდები ერთურთს ეჯიბრებიან გაფურჩქნა-აყვავებაში. სურათის ფონისათვის განკუთვნილი ქსოვილები სომ ცალკე საუბრის თემაა. ვერტი ჰოფმანსტალმა არჩევანისათვის პირველივე დღეს შემოგვთავაზა ნაირ-ნაირი ქსოვილები და აი, ახლა ვზივარ საოცარ ყვითელსა და ლილისფერი უხეში ქსოვილის ფონზე და შეუძლებელია, ამ ფერებში არ ჩაიკარგო“.

ჰოფმანსტალი ჩემი მუშაობისადმი დიდ ინტერესს იჩენდა, რაც განსაკუთრებით მიხაროდა. ერთ დღესაც შუა სეანსის დროს მოვიდა და წამოიძახა: მგონი, რილკეზე უკეთესია (ხშირად უყვარდა ხუმრობა). სურვილიც კი გაუჩნდა რილკეს პორტრეტის დასრულების შემდეგ, მისი პორტრეტიც დამეხატა. — „რა უნდა მოვიმოქმედო იმისათვის“, — სთქვა მან, — „რომ ოდნავ მაინც უფრო საინტერესოდ გამოვიყურებოდე? ხის ორი ფირფიტა სომ არ შემოვიკრა საფეთქლებზე, ეგვიპტელები ახალშობილებს რომ ახვევდნენ!“ „არა“, — ვუპასუხე მე, — „მხოლოდ ულვაშები მოიპარსეთ“; — „ოღონდ ეგ არა, ეს სომ ასე მომხიბლავად მანალურია“. საღამო ხანს, სეანსების შემდეგ, იგი ნატურმორტს მახვედრებდა ხშირად, რათა ხატვა გამეგრძელებინა. „ჩქარა, ჩქარა მოდით, — მეძახდა იგი, — მოლბერტს მე მოვიტან, ნატურმორტი ერთად დავდგათ, მართლაც კარგი რამეები მოვიტანე“. „რილკე, აბა, სწრაფად გაუწმინდეთ ფუნჯები! მხატვარ ქალს ორი პოეტი ემსახურება, რაღა უნდა ინატროს ამაზე მეტი?“

ჰოფმანსტალი ძალზე გაფაქიზებული ესთეტური გემოვნებით გამოირჩეოდა და სახლშიც ძველთაძველი იშვიათი ავეჯი და საგნები ჰქონდა. ავეჯის ის ნაწილი, განსაკუთრებით ძველი და მსხვრევადი რომელიც იყო, ცალკე ოთახში იდგა და ზონარით იყო გამიჯნული, როგორც მუზეუმში. რილკემ ეს ზონარი ვერ შეამჩნია და ერთ-ერთ აგრერიგად ნალოლიავებ სკამზე ჩამოჯდა. ქ-ნმა ჰოფმანსტალმა ხელები ცისკენ აღაპყრო და აღიშვიშდა: „რილკე სკამზე დაჯდა, რა უბედურებაა; კიდევ კარგი, რომ მძიმე არ არის!“ — რილკე ისეთი გაოგნებული და გაოცებული წამოხტა, რომ სიცილს ვერ შეიკავებდით.

ხანდახან სასეირნოდ მივდიოდი ჰოფმანსტალთან ერთად და გულითადად ვსაუბრობდით ათასნაირ საკითხებზე. საღამოობით კი, მე და რილკე რომ ვესტუმრებოდით, იგი თავისი ბრწყინვალე პროზის ნაწყვეტებს გვიკითხავდა, მოჰიანებით რილკეც შეენაცვლებოდა ხოლმე,

თუმცა მაინცა და მაინც ჩვეულ ფორმაში ვერ იყო, რადგან მისი „სამხედრო პერიოდი“, თუკი შეიძლება ასე ვუწოდოთ, ჯერ კიდევ დამთრგუნველად მოქმედებდა მასზე და ხასიათიც ხშირად ეცვლებოდა.

ერთ დილას სახატავად გამოვედი გარეთ, დამეწია და საყვედური მითხრა:

— „როგორ, მარტო მიდიხარ უჩემოდ და არაფერს მეუბნები?“

— „ძვირფასო, შენც თუ გამომყვები, ნამდვილად ბედნიერად ჩავთვლი თავს“.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მითხრა:

— „აი, მე მუდამ ცდუნება მიპყრობს და შენთან მინდა ვიყო, თუმცა სინამდვილეში უფლება არა მაქვს ასე მოვიქცე, მე მარტო უნდა დავრჩე და მთლიანად ჩემს თავს ჩავულრმავდე“.

— „მაშინ, ძვირფასო, შინ დარჩი, მე დავხატავ და მოგვიანებით საღილზე შევხვდეთ ერთმანეთს“.

— „პო, მართალი ხარ, მაპატიე“.

ათი წუთიც არ იყო გასული, უკან რომ მობრუნდა.

— „იცი, ისეთი მშვენიერია ეს დილა, რომ მარტო შენ არ უნდა დასტკბე, ჩვენ ხომ ორიენმ გავითენეთ დილა...“

— „ო, რაინერ, ვიცი რომ მისაყვედურებ...“

ცოტა ხნის წინ მანვე არ მითხრა ძაღლის ყოლის უფლება არ მაქვს, რადგან მთლიანად მის განკარგულებაში აღმოვჩნდებიო?

სეირნობისას სახელგანთქმული ავსტრიული ბაროკოს სტილით ნაგებ სამლოცველოს წავაწყდებოდით ხოლმე, წმინდანთა სურათებითა და მადონებით შემკულთ. რილკეს დროდადრო უცნაური აზრები უჩნდებოდა ამასთან დაკავშირებით, რომელთა ციტირებაც აღარ შეიძლია, თუმცა მუდამ მაგონდება, *ex-voto*-ს (აღთქმის მიხედვით) როცა გადავიკითხავ ხოლმე:

## *EX-VOTO*

მსხვერპლად რომელი შევწირო შენს ხატს ნაკვთი სნეული?
შენ, მდუმარეო, რა ხანია ვიხმობ ვედრებით.
გავიღო ხელნი, საკვედრებლად გულს მიბნეულნი,
თუ გული გიძღვნა, რომ დაჰკარგა იგი ხელები?

. . . . . .

მწირ სალოცავთა მომლოცავებს — უწამლებ ფერხთა?
ტკივილით რომ დალახვს გზები? თუ შეიწირავ
ჩემს მოყრილ მუხლებს? ვიცი კი განა, რა შემემთხვა?
მიყელა ტალღამ, თუ აზავთდა ცეცხლი მძვინვარი?

თუ ელვა იყო? ანდა მიწას თუ დავენარცხე?
მომწამლა გესლმა, თუ უწყალოს წავაწყდი ნადირს?
ვე მომემსჭვალა, — ან თუ მიწას მე მივემსჭვალე?
მაახლე შენს ხატს: მიუხვდე იქნებ ჩემს სახეს, ნამდვილს.

რილკე ავსტრიაში განსაკუთრებით გაუცხოებულად და დაბნეულად გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ იქ იყო დაბადებული (ალბათ, სწორედ ამის გამოც). ხანდახან, თუკი რაიმე მოეწონებოდა და აღვნიშნავდი, მაშინვე წამოიძახებდა: „ვერც კი წარმოიდგენ, რაოდენ ავსტრიულია ყოველივე ეს!“ მხოლოდ ის გაიგებს ამ მოუნელებელ გაღიზიანებას, ვისაც მისი ახალგაზრდობისა და შამისეული სახლის მომხუთველი და უგრძნობელი გარემო შეუცვნია, სადაც მას ხშირად, ბუნებრივია, უსამართლოდაც ეპყრობოდნენ ხოლმე. ცხოვრების ავსტრიულ წესში მას ყველაზე მეტად აღიზიანებდა თამამი, ზედაპირული, დაუზუსტებელი და, უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ხშირად გაიოლებული აღქმა ცხოვრებისა.

იმხანად ხმა გავრცელდა ხის ერთ-ერთი სახეობის დედამიწაზე სრულიად გაქრობის შესახებ. რილკე აღტაცებამ შეიპყრო, რადგან ეს გარემოება საგანთა შორის არსებული იდუმალი ურთიერთდამოკიდებულებების მისეულ რწმენას ადასტურებდა. განა იგივე არ ხდებოდა მაშინაც, როცა ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში ესა თუ ის აზრი ერთდროულად ამოტივტივდებოდა ხოლმე (მაგალითად, გარკვეული აღმოჩენები, ანდა ფილოსოფიური ნააზრევი)? განა ჩვენ ძალგვიძს საბოლოოდ გავერკვეთ, ჩვენს მიერ აღიარებული ცოდნა რამდენადაა მოკლებული სრულყოფილებას? ან რა გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებით და რა სასწაულებრივ გარემოში გვიხდება ცხოვრება? ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ მნათობთა მოძრაობა, მხოლოდ ერთი სულის მიმოსვრის შედეგი შეიძლება იყოს! ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული, ჩვენ კი სრულ გაურკვევლობაში ვცხოვრობთ. მისტერიებისადმი მუდამ გახსნილი რილკე ისევ და ისევ კონცენტრირებულ წრეებს ახსენებდა და მიიჩნევდა, რომ ჩვენი ბედისწერა მათზე იყო დამოკიდებული. ემპედოკლეც ხომ იმ დროს გულისხმობს, ქმნადობაში რომ იძირება და დიდი მთლიანობისაკენ მიეყავართ. იგი სფერეზზე (ზეციურ სივრცეებზე) საუბრობს. რილკე „ანგელოსში“ — მარად მომავალის, წრემბრუნავის“ შესახებ ლაპარაკობს. განა ამ იდეებს შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენა არ შეიძლებოდა?

ერთ სალამოს ჰუგო ჰოფმანსტალთან თეატრის შესახებ ვსაუბრობდით. მე ინსცენირებაზე ჩემი აზრი შევთავაზე. რა რჩევა მივეცი, ახლა უკვე აღარ მახსოვს დაზუსტებით, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ საქმე ეხებოდა დიალოგებისა და მონოლოგების შეცვლას ვიზუალური სუგესტიებით. დუმილს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა, ქარის იმიტაცია, ჩრდილები, შრიალ-ჩქამები, ფერები, ხაზები და განათებები, უპირველესად კი გამარტივებული, ჩანაცვლებული ზემოქმედებები, იქნებოდა ეს დინამიური (თემებისდა მიხედვით), თუ წყნარი, ასევე ფრიად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა შესაბამისი ქმედების სინთეტურად გამოწვევას, მოყოლისა და აღწერის ნაცვლად. ასე იყო თუ ისე, მეორე დილით ჰოფმანსტალმა მორიგი სხდომის დროს აღნიშნა: „მხატვარი ქალის გამოთქმულმა აზრებმა ძალიან დამაინტერესა. ოღონდ მინდა ვკითხო, ხომ არ მოისურვებდა ჩემთან ერთად ემუშავა ბალეტის სცენარზე?“ — „მე? ბალეტი? თქვენ ალბათ ხუმრობთ?“ — „ესე იგი, არ

გსურთ, არა?“ — „რატომაც არა“, — პასუხობს რილკე ჩემს მაგივრად, ნამდვილად მოკიდებს ხელს მაგ საქმეს“, — „მაშასადამე, შევთანხმდით?“ — მეკითხება ჰოფმანსტალი. — „მე მგონი, უნდა შევძლო“, — ვუპასუხე ნასიამოვნებმა. როცა დაგვცილდა, რილკეს მივუბრუნდი — „რატომ დასთანხმდი, ან რას გულისხმობს, რას ნიშნავს ყოველივე ეს?“ — „მას უკვე ეცოდინება ყველაფერი და ბგიხსნის კიდეც“.

არ გასულა რამდენიმე დღე (ნასადილევს რილკეს უნდა გავყოლოდი ვენაში მეგობრებთან), რომ ქალბატონი ჰოფმანსტალი მეწვია და მითხრა; ჰუგომ მთხოვა მიგიწვიოთ ჩაიზე და თანაც სამუშაოდ. „რაინერ, ესე იგი, შენ ვერ გამოგყვები ქალაქში, რადგან ჰუგოსთან ერთად უნდა ვიმუშაო-მეთქი“. ჰოფმანსტალი ბაღში, მაღალი, ბებერი ხეების ქვეშ გაშლილ ძველი ვერცხლეულით გაწყობილ ჩაის სუფრასთან მელოდებოდა; კარგა ხანს გაგვიტაცა გაცხოველებულმა საუბარმა. „ბალეტთან დაკავშირებით რა უნდა ვქნათ?“ — ვიკითხე. „ესაა სწორედ ბალეტი, მშვენიერი თემებია, გავაგრძელოთ“, — წამოიძახა მან. „როგორ, ასე უბრალოდ განცდილი ამბები? მე სულ სხვა ისტორიები უნდა მომეყოლა, ბევრად უფრო დრამატული, პლასტიური, უცნაური და ამაფორიაქებელი“. და მე ჩემი ბავშვობისა და შემდგომი პერიოდის სცენების აღწერა დავიწყე. — „ღმერთო ჩემო“, — მითხრა მან, — „ყველაფერი ეს თქვენ განიცადეთ, და მე კი მეგონა ჩემი ცხოვრება იყო უჩვეულო!“ მან ყველაფერი ჩაინიშნა, რათა შემდგომში დაგვემუშავებინა. მას აქეთ ხშირად მიხდებოდა იქ ყოფნა, რადგან ქალბატონ ჰოფმანსტალის პორტრეტზე ვმუშაობდი, რილკეს პორტრეტის დამთავრების შემდეგ, რომელიც ეან გოგის ნახატის გვერდით ჩამოკიდა, ჩემთვის დიდი პატივისცემა იყო.

ჰოფმანსტალი დიდად კომუნიკაბელური არ გახლდათ. განსაკუთრებით სძაგდა, მოულოდნელად თუ ეწვეოდა სტუმარი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ აღმოჩნდა მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ერთი ქალბატონი, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხეთ. პოეტმა თვალი მოჰკრა თუ არა მომავალს, მითხრა: „მე B-სთან მივდივარ, ამ ქალბატონს კი უთხარით, Z-სთან წავიდა-თქო“, — და მე შემატოვა დაუპატიჟებელი სტუმარი. მაგრამ მოხერხებულმა ქალბატონმა ხელკავი გამომდო და Z-სთან მიმავალ გზას დავადექით, რადგან ყოვლად შეუძლებელი გახდა მისი შეჩერება. უკვე წინააღმდეგობის უნარდაკარგული ვიყავი, თავსხმა წვიმა რომ დაიწყო და ამ გარემოებამ მიშველა. უკან დავბრუნდით, თავით ფეხებამდე გაწუწულები. მეორე დღეს ჩემს მასპინძელს ვუთხარი: „თქვენ ისე გძულთ, ვინმე რომ ხელს გიშლით, ალბათ არც ის ვარგა, მეც რომ ხშირად ვარ თქვენთან“. — „მაგას როგორ ამბობთ, თქვენ ამ სახლისა და ჩვენი ბავშვების უახლოესი ადამიანი ხართ“, — იყო პასუხი. მე მართლაც დავწყნარდი, რადგან ამ შეხვედრებით მშვიდსა და სადა ატმოსფეროში თავს კარგად ვგრძნობდი. იგი თბილად იყო განწყობილი ჩემდამი, რადგან გრძნობდა ჩემს განცდებს. რილკეს პიროვნებაში სინაზის მოზღვავებას დეპრესიული მდგომარეობა ენაცვლებოდა. მუდამ ოხრავდა და მუდამ სადმე სხვაგან სურდა ყოფნა. აღარ ვიცოდი, რა მელონა. გამგზავრებას თუ დავაპირე-

ბდი, ყველანაირად ეცდებოდა დავეტოვებინე. მისი აწ გამოქვეყნებული სასიყვარულო წერილებიდან კარგადაა ცნობილი, რა ძალა გააჩნდა მის მაცდუნებელ სიტყვათა სითბოს. ძალზედ ძნელი იყო წრე აღდგომოდი და დაეჭვებულიყავი მათს დამაჯერებლობაში. მე მაინც ვეტყოდი ხოლმე: „ძვირფასო, დამაუფლე იმ ძნელ ხელოვნებას, ერთსა და იმავე დროს აქაც ვიყო და არც ვიყო-მეთქი". მის პირთვნებას ეს პარადოქსული ქცევა სჩვეოდა — თითქმის ერთდროული, აღტკინებული თავმიცემულობა და თავდაცვა. საჭიროა კი ითქვას, რა ხდებოდა მის პიროვნებაში? განა თავად არ გვეუბნება ისევ და ისევ? ერთხელ მოულოდნელად წავადექი თავს, როცა ლექსს სწერდა:

შენს ბაგეთაგან დარწყულების არ მომცე ნება,
რადგან ტუჩებით უარყოფა შემისვამს მხოლოდ.
არც შენს მკლავებში დამანებო მე ჩაკონება,
რადგან მკლავებიც გიმტყუნებს ბოლოს.

მაშინვე, ჩემს თვალწინ დახია ეს ლექსი, ფეხებთან დამიყარა და პატიება მთხოვა. განა რა ჰქონდა საპატიებელი? მას მუდამ მიუღწეველი რამ სჭირდებოდა:

შენ იმთავითვე
დაკარგულო სიყვარულო, მოხვალ ოროდეს...

ყოველივე უკვე მიღწეული, ყოველივე რაც ხორცს ისხამს, მის თვალში მხოლოდ ამის გამოც კი უკვე ყალბია. მისი კრედოა გარდაქმნა:

გწადდეს გარდაქმნა, ო ცეცხლოვანს ელტვოდე გზნებას,
მასში ცვლილებით მბრწყინავ საგანს ვერ მოიხელთებ;
დიადი სული მიწიერთა სხეულს რომ ძერწავს,
მათ ჩამოქნისას, ეტრფის მხოლოდ გარდამტეხ წერტილს.

უმოძრაობა გაქვავებას შობს იმთავითვე,
შეიფარავს კი უსახური სირუხე თუნდაც?
მყარი მყარითვე დაიცდება, ასეა ისევ,
ვაგლახ, ვაი, რომ სადღაც ურო მზადაა მუდამ!..

ნათქვამია ორფეოსისადმი მიძღვნილ მეთორმეტე სონეტში. თვით ნაცად სიყვარულშიაც კი არსებობს მომენტები, როდესაც ერთი თავს არიდებს მეორეს, უფრო ხშირად მეტად აღვსებული რომ მიუბრუნდეს კვლავ. მაგრამ რილკესთან ამგვარი გაქცევა ლამის შინაგანი იძულების შედეგი იყო. „იგი, რომელსაც სურდა რომ ჰყვარებოდათ" — ასე განსაზღვრავდა იგი „ძე შეცდომილს".

ამასთანავე არაფერს იშურებდა იმისთვის, რომ სიყვარული გაელვივებინა. „მე ვიცი", — მითხრა მან ერთ დღეს ფრიად დაინტერესებულმა, თითქოსდა რაღაც მანკიერებას აღიარებდა, — „ვიცი, რომ

ცდუნების დიდი ძალა გამაჩნია". მას კი უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ცდუნების მოთხოვნილება ჰქონდა და თავადაც არ უძალიანდებოდა მაცდუნებელს. „შეხვედრათა წყალობით სულიერ ზრდას" უწოდებდა იგი ამ ფენომენს ჯერ კიდევ ვორპსვედეს ღღიურში: მას ეგონა, რომ ყველაფერი მოსახდენი თავისთავად მოხდებოდა, თითქოს თითოეული (სასიყვარულო) გამოცდილება მხოლოდ პარტნიორთა თვითდგენისათვის იყო აუცილებელი.

თქმა არ უნდა, სიყვარულის განდობისას იგი სავსებით გულწრფელი და ანთებული იყო, თუმცა ყოველთვის აცნობიერებდა, რომ გმირი სატრფიალო შეყოვნებათა გავლით მიგელავს და... რომ სიყვარული — კარიბჭეა.

> რადგანაც გმირი მიგელავდა სიყვარულის სადგურთა გავლით,
> ყოველი მისთვის ანაძგერი ფეთქვა გულისა ზე ამაღლებდა,
> მაგრამ უკვე პირშექცეული, იგი ღიმილთა დასასრულისას —
> იდგა სხვაგვარად.

მაგრამ განა გრძნობათა გადალახვის ამ მუდმივმა მიზანმა არ ააცდინა ყოველთვის სიყვარულის სწორ გზას, ისე რომ აბსოლუტური თავშეწირვის ნებაც კი არ დართო? მიუხედავად იმისა, რომ მასში ცინიზმის მისხალიც კი არ მოიპოვებოდა, არამედ პირიქით, სიყვარულს ჩვენი ცხოვრების ყველაზე სერიოზულ, მნიშვნელოვან და ურთულეს მოვლენად მიიჩნევდა, მაინც იძულებული იყო ისევ და ისევ დაერღვია იგი „იმ უძველესი ურთიერთმტრობის გამო, რაც სიცოცხლესა და მაღალ პოეზიას შორის არსებობდა". აქედანვე მომდინარეობდა ის ფორიაქი, რომელიც მუდამ ხელს უშლიდა სიყვარულის სიმშვიდის მაუწყებელ სანთლად ქცეულიყო. სიყვარული აღანთებდა, სიმშვიდეს უკარგავდა და ვნებათაღელვას იწვევდა მასში. ერთხელ ვენიდან მომწერა: „შენ კარგად იცი, თუ რა ღრმად განსაზღვრავს ჩემი ყოველდღიურობა ჩემივე არსებას და მავანთა გაუცხოებაც კი საკმარისია, რომ ყოველივე თავს დამემხოს". მე მართლაც ვიცოდი ეს გარემოება ისევე, როგორც ის, რომ ამ ომს პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდა, ასევე ვიცნობდი მისი არსების იმ სტიქიასაც, მოგვიანებით მსგავს ლექსებში რომ გამოიკვეთა:

> ნუმც მოვიარო თუნდაც ოცნებით,
> თავდაურვებით რაც გადავლახე:
> გზა, ცა განხმული, წმინდა ბორცვები,
> არ დავთმობ არც ერთ სანუკვარ სახეს.

> ოი, ტანჯულო წუთებო ტრფობის,
> დღედალამ მთელი არსებით გგრძნობდით:
> ერთმანეთისკენ ლტოლვა-განლტოლვით,
> შვება-სიხარულს ვერასდროს ვფლობდი.

> ღამეებს როდი რაცხდი უტკბესად,
> ვიდრე დიდ ღამეს განმარტოების,
> მონანულთ მზერა გვახსენებს ისევ:
> განშორებაა გზა სასოების.

მძინარ, სანუკვარ არსებასთანაც
კვლავ განშორებას ელტვოდი სულით.
ო, გულის ტკენავ ტკბილი ნდომისა,
ზნეხებიერი ჩაძინებულის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტანად სცნობდა მას ნივთი ყველა,
თუმც ეუცხოვათ ძველი ნაცნობი, —
ახლა-ღა ვხვდებით, სანთელი ელავს,
თუ მონატრების დაანთებ გრძნობით.

**იგივე ჟღერს თუნდაც „აღმოსავლური დღის სიმღერაში“:**

... ო, ჩავეხვიოთ ერთმანეთს მჭიდროდ,
როგორც მტვრიანას ვარდის ფურცლები:
უსაზომობა უზღვავ-ულევი
გვაწყდება მიწყივ, ხვავდება, მკვიდრობს.

ოღონდაც როცა ვერწყმით ერთმანეთს,
რომ არ ვუსწოროთ მომავალს თვალი,
გვიმტყუნოს იქნებ ნებამ შენ, ან მე:
ცოცხლობს რა სული ღალატის ძალით.

მისმა ამგვარმა განწყობამ ბევრი ტკივილი მიაყენა მათ, ვინც ახლოს ურთიერთობდა რილკესთან. ეს მანაც იცოდა და საკუთარ თავს საყვედურობდა, ხშირად მთელი სიმძაფრითაც კი. ასეთ შემთხვევაში მეველრებოდა მოთმინებით მეცადა, ვიდრე „სავსე და სრულფასოვან ცხოვრებას“ მიაგნებდა კვლავ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ სიზმარში შევკიცლე. შეცბუნებული შემოვარდა: „რა ხდება შენს თავს?“ ძილ-ღვიძილში ვჩურჩულებ: „არასოდეს ვინატრებდი შენს ადგილას ყოფნას“. — „და ამიტომ იყვირე ასე ხმამაღლა? მითხარი, მაინც რა იყო მიზეზი?“ — „იმიტომ — იმიტომ, რომ შენ სულიერი თავგადასავლების მაძიებელი (ავანტიურისტი) ხარ“. — „ო, მართალი ხარ საუბედუროდ, ათასგზის მართალი, — მაგრამ — ალბათ — ეს ასეც უნდა იყოს“.

დიახ, ასე ფიქრობდა რილკე, სწორედ ასე, სხვანაირად მართლაც ვერ წარმოედგინა; ეს მისი ბედისწერა, მისი შემოქმედების ჯვარი იყო, მიუხედავად ყველაფრისა დიდი და შესაშური რომ გახლდათ და პიროვნულ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა მას.

აქვე უნდა ითქვას, რომ რილკე იმ ადამიანთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა, პრივილეგიების მისაკუთრება რომ სჩვევიათ. იგი მთელი თავისი არსებით მოკრძალებული იყო. უნდა გამოვტყდე, როცა ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა მეგობარმა მას „დიდი რილკე“ უწოდა, ჩემზე ძალიან იმოქმედა. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა მის სიდიდეში, თუმცა ამგვარი შეფასება (როგორც ყველაზე ნაკლებად ითხოვდა თვითონ) ლამის მაინც გვიკვირს, მიუხედავად იმისა, რომ მის მოწოდებას განუწყვეტლად ვგრძნობდით და გააზრებულიც ჰქონდა

ყოველ ჩვენგანს. რილკე თავს სუსტ არსებად მიიჩნევდა, რომელიც დიადი ხმების შესასმენად იყო მოწოდებული, რათა აღესრულებინა და გამოეთქვა ის, რაც ჩვენ ყველას გვესება:

ნუ გეგონები მყოვარი და მკვიდრად ნაგები
არ გამოვდგები არცა ხიდად და არცა მიზნად
დიდი-დიდი თუ, ბაგედ ვექცე სილაღეს ბგერის,
უცილობელად რომ წამომცდა და გამეხიზნა...

სწერს იგი უცნობ ქალს. — მისი სიტყვები იმდენად სპონტანურნი არიან, თითქოს შინაგან საუბარს აგრძელებს ისე, რომ არ გულისხმობს მსმენელს, ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნის. სწორედ აქედან მოდის ის თბილი დაუოკებელი აზრების ნიაღვარი საუბრის დაწყებისთანავე და რისთვისაც, მისთვის დამახასიათებელი დისკრეტული მანერა, ასე ვთქვათ, წინასწარ არც კი იყო მომზადებული. იგი ყველას ესიტყვება როგორც თანასწორს, ამასთანავე მოწმედაც იხმობს თითქოს და უმალ რჩევას ეკითხება, ვიდრე თავად ურჩევდეს რაიმეს. ვერასოდეს შეამჩნევდით ქედმაღლურ, დაბნეულ ქცევას, ხშირად რომ ახასიათებთ სახელოვან ადამიანებს ჩვეულებრივ მოკვდავებთან ურთიერთობისას; გაოცებით გამოწვეული მისი შეძახილი, ან აღტაცება მოსაუბრეს ხშირად აწყვეტინებდა საუბარს. მიუხედავად ამისა, ვერ ვიცილებ აზრს, რომ საქმე მაინც მონოლოგთან გვქონდა, ანდა დიალოგთან, რომელიც უხილავ მსმენელს გულისხმობდა — ნუთუ ანგელოსს? — ჩვენ კი, მხოლოდ ვეხმარებოდით მას საუბრისას.

დროგამოშვებით ჩაქრებოდა თითქოს და სხვებისგან იწოვდა მოვლენებსა და სიტყვებს, მაგრამ ყოველივე, რასაც იგი იღებდა, რილკესეულ ელექსირად გარდაიქმნებოდა ხოლმე. ყველაფერს თავისი არსებით აღავსებდა მართლაც. განა თვით სიყვარულში კი არ აიძულებდა თავს პარტნიორი ობიექტურად დაენახა, ისე, როგორიც იგი სინამდვილეში იყო? თუ ორთავე როლის შესრულება ეწადა? ან ის მიზანსწრაფვა გარკვეულ აზრით თავად მასაც ხომ არ ახასიათებს, ასე დიდებულად რომ გვიხატავს „ნარცისში“? აქვე მინდა ლექსის პირველი ნაწილის სრული ციტირება მოვახდინო:

## ნარცისი

ის, რაიც ჩემგან გაედინება,
ჰაერს ერწყმის და ოლეს აჟრჟოლებს
ალარ მეკუთვნის, მწყდება იოლად
და ბრწყინავს, რადგან ნაკადს მინებდა.

ის განუწყვეტლივ ილტვის, მშორდება,
მე არ მსურს წასვლა, ვიცდი, ვყოვნდები;
ყველა სამანი ცდილობს დამეხსნას,
დამეხსნება და არც ვაგონდები.

ასეა ძილშიც. რა დაგვაურვებს,
ჩემს გულისგულში, სისუსტის ბირთვი
საკუთარ ძვალ-რბილს ვერ ინარჩუნებს.
ო, სრბოლა, ფრენა, წუთებსაც მითვლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც ისახება, ლივლივა ნიშნად
თრთის, ათინათებს, ჩემი მსგავსია,
ეს ასე ალბათ ქალში თუ იშვა;
მიუწვდომელი დარჩა სავსებით.

თუმც შევაღწიე მე ქალის წიაღ.
ახლა კი გულგრილ წყლის ზედაპირზე
განფენილა და ლივლივებს ღიად,
მე კი ვარდების გვირგვინით დავმზერ.

და არ არსებობს იქ სიყვარული.
ანასხლეტ ქვათა დგას გულგრილობა,
ვხედავ ჩემ სახეს უსიხარულოს,
მაშ ქალის მზერაც ამ ხატს ირეკლავს?

ასე აღზევდა მის ზმანებაში —
უამეს ძრწოლად? ლამის ვგრძნობ, ვწვდები.
თუ დავინთქმები ჩემივ მზერაში:
ვგონებდი, რომ ვარ — მომაკვდინები.

ქალები ასე გარდაიქმნებიან მისგან ჭარბად გამოსხივებული შინაგანი სიმშვენიერის სარკეებად და მისგანვე ღებულობენ ანარეკლს.

ჩემი გამგზავრების წინ ცოტა ხნით ადრე, კიდევ ერთი დღე გავატარეთ რიხარდ ბეერ-ჰოფმანთან, ჭეშმარიტ იუდეველ პატრიარქთან, რომლის ახალგაზრდა მეუღლე იუდეველთა რწმენაზე მოიქცა. რილკე პატივს სცემდა ამ პოეტს და მისეული „მირიამის ძილისპირული“ გადაიწერა კიდეც, რადგან განსაკუთრებით მოსწონდა.

შტეფან ცვაიგი და კოკოშკა მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან როდაუნში რილკეს პორტრეტის სანახავად. კოკოშკამ მითხრა: — რილკეზე გულმოსული ვარ, სეანსებზე მე უარი მითხრა, შენ კი დაგთანხმებიაო. „მაგრამ ახლა“ — დაამატა მან და ხელი ჩამომართვა, — „უკვე აღარ ვბრაზდები“.

სანამ გავემგზავრებოდი, პორტრეტით დაინტერესებული უამრავი ადამიანი გვეწვია; თავადის ქალი მარი (საგანგებოდ რომ მობრუნდა უკან) და კასნერი აღტაცებულნი დარჩნენ. ყველაზე მეტად ის მახარებდა, რომ თავად რილკე ჩანდა კმაყოფილი. ამ სურათის დიდი ფოტო პარიზის წიგნების დიდ სავაჭრო ცენტრში *Jourisures Terrestes*“ (მიწიერი საზრდო) იყო გამოფენილი, როცა ლეონ პოლ ფარგი შესვლისთანავე დაინტერესდა, ეს ფოტო აქ როგორ მოხვდაო და ორიგინალი სად ინახებაო; ვინაიდან იმ დროს სრულიად შემთხვევით მეც იქვე გახლდით, ჩემი თავი წარუდგინეს პოეტს, მან კი გამანდო: თურმე რილკეს,

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ეს ფოტო გამოუგზავნია მისთვის წარწერით: ეს სურათი ყველაზე უკეთ გადმოსცემს ჩემს შინაგან სამყაროსო, ანუ ამ სურათში საკუთარ თავს ვპოულობდიო...

როცა დავრწმუნდი, რომ რილკე ყოველგვარი სამსედრო ვალდებულებისგან მოკლე ხანში სრულიად განთავისუფლდებოდა, მუნხენში დავბრუნდი. ისიც მალევე უნდა ჩამომყოლოდა. მიუხედავად ამ განთავისუფლებისა, მას სიმშვიდის მიღწევამდე ბევრი აკლდა. იგი მრავალმხრივ გრძნობდა თავს შევიწროებულად და დათრგუნულად. მისი ბუნებით დაუოკებელი სული და ფანტაზია იშვიათად თუ აძლევდა ჭეშმარიტი სიმშვიდის საშუალებას. დროდადრო მეტყოდა ხოლმე, თუ მოუსვენრობა შეიპყრობდა, — „რა ჯანმრთელი ხარ". შემდეგ წამოიძახებდა — „შენ სულ უბრალოდ შეგიძლია წამოწვე და დემონები უძლურნი არიან შენს წინაშე, მაშინ როცა მე..." მაშინ მთლად კარგად არ მესმოდა, რას მეუბნებოდა. მოგვიანებით კი ხშირად ვფიქრობდი ამ სიტყვებზე, როცა ვკითხულობდი ლექსებს „წმინდანის ცხოვრებიდან", ანდა „ცდუნებას".

## წმინდანის ცხოვრებიდან

მისთვის ნაცნობი მომხდური ძრწოლა
სიკვდილის ცელის მოქნევას ჰგავდა.
გული კი მაინც შვილივით ზარდა
და შეითვისა დამთმენი სრბოლა;

. . . . . .

გამოხდა ხანი, სამაგიეროდ,
შეიცნო მანაც ბედნიერება, —
ეგრძნო მშობლიურ ხელთა შეხება,
ვისაც ყოველი არსი მიენდო.

**მეტი შიშის გრძნობას იწვევს „ცდუნება", რომელიც შემდეგნაირად იწყება:**

არას შველოდა, როცა ისოკდა
მახვილი ეკლით ავხორცულ სხეულს;
მისი ფეხმძიმე გრძნობები შობდნენ
შემაძრწუნები კივილით წყეულ,
უდღეურ არსებს: ირიბ, დაღრეცილ,
მოსავსავე, მფრინავ სახეებს,
არარაობებს, მასზედ დაგეშილ
მოლაზღანდარეთ, ბოლმით სავსეებს.

მისმა გრძნობებმა იბარტყეს ვნებით,
რადგან იმრავლა სიბილწემ ღამით
ჭრელ-ჭრელ ლაქებად, ბლანტ ლავასავით
დასავსავებენ გაასკეცებით.
თხიერ სამსალად იქცა ზმანება:
სწვდა სახელურებს მისი ხელები,
და იძრა ჩრდილი თეძოთა მგვანი
თბილი, ვნებისთვის განახელები.
მაშინ ყვირილით უხმო ანგელოსს:
და ანგელოსიც გაჩნდა სხივმფენი,
მოევლინა და: მყისვე განდევნა,
ისევ წმინდანში შედენა მრენი,
რათა ბილწი და ეშმაკეული
კვლავაც მოესრა სულშივე ბრძოლით,
გამოეხადა ანკარა ბროლი, —
ღმერთი, ჯერ მისთვის ვერმიკვლეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხილვები პირდაპირ მას არ მიეწერება, მაინც მოგვაგონებს იმ აზრებს, თავადვე რომ გამოთქვა წიგნში როდენის შესახებ:

„ბუნების საპირისპირო ყველა ცოდვასა და ყველა ვნებაში, ყველა იჭვნეულსა და ხელმოცარულ ცდებში, მოუძებნოს სიცოცხლეს მარადიული აზრი, ყოველთვის იგრძნობა ერთგვარი თუნდაც მისხალი იმ მონატრებისა, დიდ პოეტებს რომ წარმოშობს“.

რილკე უწინდელზე უფრო გაურკვეველ მდგომარეობაში, გახლეჩილად გრძნობდა თავს და ვიფიქრე, დროის გარკვეულ მონაკვეთში მარტოობაში უფრო მოიკრებს თავს-მეთქი. ასე რომ, გადავწყვიტე ჩვენს საერთო მეგობარ ქალთან ბ. დე ვაარდთან ერთად გავმგზავრებულიყავი ჟენევის ტბაზე. მეგობრები მოხოვდნენ, როგორმე რომენ როლანს შევხვედროდი, რათა გამოტანებული ცნობები გადამეცა. უნდა ითქვას, რომ არც ვიცოდი, სად იყო გაჩერებული იგი. სიერაში, სასტუმრო ბელვიუს ტერასაზე მყოფმა ნაცნობ ოფიცერს როცა მივმართე, რომენ როლანს, სიამოვნებით შევხვდებოდი-მეთქი, — „იგი გვერდით გიდგათ, მადამ!“ — წამოიძახა მან, — „ნამდვილად ისაა?“. ეს მოულოდნელობა შემაცბუნებელი აღმოჩნდა ჩემთვის, მაგრამ მეორე დილისათვის შეტყობინება გავუგზავნე. დიდად გაიხარა, საზღვარგარეთელი მეგობრების, განსაკუთრებით კი, რილკეს ამბების გაგებით. და ასევე გამაბედნიერა, როცა მაცნობა, რომ „*Nouvelle Revue Française*“ (ახალი ფრანგული ჟურნალები)-დან რილკეს ყველა მეგობარი მისი ერთგული დარჩა და

რომ მათ ს

გაქრეს, დროის რაღაც მონაკვეთში მიწის წიაღშიაც აგრძელებს უჩინრად დინებას“.

განა მასვე არ ეკუთვნის სიტყვები: „თვით წარსულიც ზემოქმედების უნარს ინარჩუნებს მოვლენათა სიმრავლეში, თუკი მას ვაფასებთ არა შინაარსის, არამედ ინტენსიობის მიხედვით“.

ორთავენი გულის სიღრმემდე ვიყავით შეძრული, მაგრამ ბოლამდე რომ მიმაცილა, ვუთხარი: „წერილს აღარასოდეს მოგწერ“. — „როგორ, ნუთუ შეგიძლია ასე მოიქცე?“ — აღმოხდა. იოტისოდენა იმედი თუ გამაჩნდა მაშინ, რომ შესძლებდა აეტანა ყოველივე ეს? მაგრამ განშორების სიმძიმეს ვერ განსაზღვრავ იმ ადამიანთან, რომელიც მიდრეკილია, დაინახოს ბედისწერის გამოვლინება ყოველ მოვლენაში. ასე იყო თუ ისე, მე მისთვის წერილი აღარ მიმიწერია, ანუ აღარ გამიგზავნია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, ესოდენ ძნელი და გაუსაძლისი თუ იქნებოდა ამ გრძნობის დავიწყება. მე მეტისმეტად ვიყავი გამსჭვალული რილკეს პიროვნებითა და მისეული სიტყვის მაგიური ძალით. ცეცხლოვანი ასოებით იყო ჩემში ამოტვიფრული ლექსი „ეროსი“:

ოი, დავკარგე, დავკარგე მყისვე!
ღვთაებრიობა გულს მირქმას ჩქაროობს.
შობს ბედისწერას ცხოვრება ისევ
და სულის წიაღ ქვითინებს წყარო.

ყველაფერში იგრძნობა მისი არსებობა — ყველა ჩემს ნახატში, სურათების თემებშიაც კი. ჩემდა გასაოცრად, კარგა ხნის შემდეგ აღმოვაჩინე ლექსი, რომლის დასაწყისს ლამის ილუსტრაციად გამოადგებოდა, ჩემი სურათი „დასაფლავება პარიზში“:

ჰოი, აპრილის ყველა ამ ცხედარს,
როს გადაიყვანს ეტლი შავეთის
სხივაგზნებული, ბრდღვიალა შუქით:
თითქოს სიმძიმე კვლავ ექიშპება
ჭარბ სიმსუბუქეს, საგნებში მსუფევს
მზარდი ყვედრებით...

ბოლოს და ბოლოს ომი დასრულდა. მიუნხენში მინდოდა დაბრუნება, მაგრამ ესპანურმა გრიპმა დამრია ხელი და საკმაო დროით აღმოვჩნდი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ლოკარნოს ერთ-ერთ კლინიკაში. გზის გაგრძელება როცა შეეძელი, ბედმა ინება რომ რილკე სწორედ იმ დროს გამგზავრებულიყო შვეიცარიაში და ასე ავცდით ერთმანეთს. მე სურვილიც აღარ მქონდა მეცხოვრა ქალაქში, რომელთანაც უამრავი ბედნიერი და ნაღვლიანი მოგონებები მაკავშირებდა და სამუდამოდ გავერიდე იქაურობას.

უფრო და უფრო ღრმად ვიძირებოდი რილკეს შემოქმედებაში. მე უნდა მაშინვე მიმხვდარიყავი, რომ იგი ორმაგ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა, — სავსებით შეუთავსებლის შეთავსებას ესწრაფოდა: ერთის მხრივ, ცხოვრებასა და მეორეს მხრივ, შემოქმედებას შორის. შემოქმედება თავისთავად, სიცოცხლის დამკვიდრებას უმღერიდა, ამავე დროს კი ეს ცხოვრებისაკენ, რომელსაც პოეტმა თვითონ გარდასახა თავის ნაწარმოებებში.

ისევ და ისევ, თუნდ სიყვარულის შეგვეცნო ბალი
და საყდრის ეზო, მოვღალე ურვის სახელით
და შიშისმგვრელად მდუმარე ხრამი, რომელშიც სხვანი
აღსრულდებიან: ისევ და ისევ წყვილებად დავალთ;
შევეფარებით ბებერ ხეებს, მოვიკალათებთ ისევ და ისევ
ყვავილთა შორის, ზეცის პირისპირ.

მისი გრძნობების გამოთავისუფლებული სიმძაფრისა და მთელი მისი ბუნების მფლანგველური გულუხვობის გამო, ალბათ თავადვე გახდა შეუძლებელი, მისივე ოცნებების ხორცშესხმა, ანდა რას ვახდებოდა იმედები ამგვარ დაძაბულობასთან, ან თუნდაც უკეთესს რას შესთავაზებდა.

ხანდახან ზედმიწევნით აღფრთოვანებულ წერილებში, ნატიფ ხელოვნებას რომ ეხება მოულოდნელად, შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მას სურდეს იშვიათ წუთებში განცდილი სიხარული, რადაც არ უნდა დაუჯდეს, კიდევ ერთხელ განიცადოს და რომ ეს ქალის მოთხოვნითა და სურვილით მოხდება. და ეს მაშინ, როცა იგი თითქოსდა საამისო მტკიცებულებებს ეძიებს:

თქვენ, მიჯნურებო, ერთმანეთით გულნაჯერებნო,
თქვენ გეკითხებით, რას იტყვით ჩვენზე,
თუმც ერთმანეთით ხართ ხელდებულნი, რა საბუთი
მოგეძევებათ?

**შემდეგ ასე ეღერს:**

... და თუკი მაინც გაუძელით ძრწოლას პირველ შემოხედვათა, —
და გადალახეთ მონატრება, სარკმელით მზირნო,
და ორთა პირველ გასეირნებას
იმ **ერთხელ** ჩავლას ბალის წიაღით — გაართვით თავი:
შეყვარებულნო, არ **იცვლით** სახეს?..

**განა სიყვარულის მისეული აღქმა წინააღმდეგობას არ მოიცავს თავისავე თავში და თავადვე არ ხდება ამაღლებული გრძნობის მარცხის მიზეზი? ორფეოსისადმი მიძღვნილ III სონეტში რილკე თვითონ მიუთითებს ჩვენი არსისათვის დამახასიათებელ გახლეჩა-გაორებაზე.**

ღმერთმა შეიძლო. გადაკვეთა მილმური ზღვარი,
ადამიანიც თუ გააღწევს ბჭეს ვიწრო ქნარის?
მისი არსია — გულთა გაყრა, გახლეჩა, ბზარი.
გულთშესაყარზე აპოლონის არ დგას ტაძარი...

განუწყვეტლივ გრძნობს იგი, თუ როგორ უხმობს საკუთარი მოწოდება, აირიდოს ყოველნაირი ლტოლვა, სურვილი და აიძულებს კიდეც.

ჭეშმარიტების ამღერება სულ სხვა ქროფუოიენული
არარას ერეოლა, ღმერთში ქროლა, ნიჭიერ ჭარბ

ინტერესს არ იქნება მოკლებული, ამ თემის ირგვლივ რილკეს შემოქმედების ორი ინტერპრეტატორის კამათი რომ გავიხსენოთ: ენდრო მაზონი („მიუნხჰაუზენის ნაწნავი") და დიტერ ბასერმანი („გვიანი რილკე"). მაზონი შემდეგნაირად მსჯელობს: „ბასერმანი აღიარებს, რომ რილკემ ვერასოდეს მოახერხა, სიყვარულის მისეული წარმოდგენა რეალობად ექცია; მაგრამ იგი ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავს იმისა, რომ სიყვარულის ამგვარი აღქმა გამოგონილი, სინამდვილისგან გაუცხოებული, ანდა უნებურია. იგი ამ ფენომენს სულ სხვანაირ ახსნას უძებნის: ყველაფრის მიზეზი მხოლოდ იმ მანდილოსანთა არასრულყოფილებას უნდა მივაწეროთ, ვისაც საუბარი ეხებოდა; არც ერთი მათგანი არ იყო, ან არ სურდა ისეთი გამხდარიყო, როგორიც სინამდვილეში იყო საჭირო, რომ ყოფილიყო (ან, ისეთი, როგორიც რილკესათვის აღმოჩნდებოდა მისაღები). ბასერმანის აზრით კი: „ალბათ მართლაც ბედისწერად უნდა ჩაითვალოს, რილკე ცხოვრების მანძილზე ვერც ერთ ჭეშმარიტ ქალს რომ ვერ შეხვდა, ვინც შინაგანად საკმარისად ნიჭიერი აღმოჩნდებოდა, აზროვნების შრეთა სიღრმეებში წვდომისათვის, რაც საპასუხო ძალისხმევა იქნებოდა მისეულ გრძნობათა უზღვავი ხარჯვის სამაგიეროდ".

მეზონის აზრით: „აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რილკეს არასოდეს სურდა და არც შეეძლო გაეფლანგა საკუთარი გული რომელიმე ქალისათვის".

„...ერთ ლექსში, რომელიც გამომივიდა და სრულყოფილად მივიჩნევ, უფრო მეტი სინამდვილეა, ვიდრე ნებისმიერ ურთიერთობასა და ვინმესადმი ლტოლვაში, რომელსაც ვგრძნობ..." — ამბობს რილკე ჯერ კიდევ 1903 წელს და შემდეგ: „მე ჭეშმარიტად შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ, მე ეს გრძნობა მხოლოდ გარედან მეხება, ალბათ იმიტომ, რომ ვერავინ გამაოგნა სულითხორცამდე ალბათ იმიტომაც, რომ დედაჩემი არ მიყვარს", — წერს იგი 1913 წელს. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულს „ორი ადამიანის გამთლიანების უმაღლეს ამოცანად" წარმოგვიდგენს, „რომ ერთი მეორის მარტოობას დარაჯობდეს თითქოს". ან როცა ფალოსურ ღვთაებებზე გვაუწყებს რაიმეს, მუდამ იმ ადამიანივით გვეხმიანება, ვინც ეროტულობის მიმართ შინაგანადაც კი, თავს მარად „დაბნეულად" გრძნობდა, „სიყვარულის სწავლა შეუძლებელია", — ამბობს იგი ორფეოსისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სონეტში.

მე პირადად კი, მგონია, რომ რილკე დიდი სიამოვნებით გააჩუქებდა საკუთარ გულს მთლიანად; რადგან იცოდა, მხოლოდ გაცემა, გაჩუქება ამდიდრებს ადამიანს. მაგრამ მას ეს არ შეეძლო, ან მხოლოდ იშვიათად თუ ახერხებდა. იგი თითოეულ საგანში უნდა ჩაძირულიყო; თუმცა მისი სიტყვა და მთელი არსება ლამის მორჩილებამდე იყო მი-

სული, მიუხედავად ამისა, იგი მაინც აუწერელ მარტოობაში გამომწყვდეული რჩებოდა. თავის ამ მდგომარეობას ანგარიშგებასავით იმეორებდა საკმაოდ ხშირად წერილებსა და საუბრებში. ერთხელ ლუ ანდრეას-სალომეს მისწერა: თუკი ვინმე დამჭირდა ან მოვძებნე, ყოველთვის ცუდად მთავრდება ჩემთვის, ეს გარემოება უფრო [illegible] და ცოდვას მიმატებს. გულწრფელად რომ ვთქვა, ადამიანებმა [illegible] შეიძლება იცოდნენ, რა მცირედს გავცემ მე მათთვის, და რა გულგრილი შემიძლია ვიყო მათ მიმართ". არა, მათ ნამდვილად არ იცოდნენ ამის შესახებ არაფერი, რადგან არავისგან არ უგვრძნიათ ამდენი სითბო, ენთუზიაზმით სავსე მზადყოფნა და აღტაცება.

მოგვიანებით იგი საუბრობს ასევე იმ მტკივნეულ რეალობაზე, როცა ნებისმიერ ადამიანურ ურთიერთობაში ძალადობის გამოვლინება ფიქსირდება და რომ ამას უმეტესად ისევ გაქცევამდე და ისევ დამღუპველ მარტოობაში დაბრუნებამდე მივყავართ. მაგრამ ლუ სამართლიანად შენიშნავს, რომ რილკე სათანადოდ ვერ აფასებს იმას, რაც მან ადამიანთა ურთიერთობისას შეიძინა: რადგან, ამ შეხვედრებს კიდეც რომ გაეცდინათ ანდა გაეფანტათ მისი გონება, მაინც სწორედაც რომ დიდი მნიშვნელობისა იყვნენ მისთვისვე, რამეთუ საშუალებას აძლევდნენ რამდენადმე განმუხტულიყო მისი უკიდურესი დაძაბულობა, შინაგანი გამოფიტვის სანაცვლოდ. გარდა ამისა, როგორც ლუ აღნიშნავს, უწყვეტი მედიტაცია შემოქმედებითი აღმაფრენის მოლოდინს თუნდაც მუდმივად ფხიზელ მდგომარეობაში რომ ამყოფებდეს, ეს უკანასკნელი თავის განმუხტვას გარე სივრცეში მოახდენს, რომელსამე შთაბეჭდილებასა, შეხვედრასა თუ ერთგვარი შოკის სიტუაციაში, ან თუნდაც სრულიად მარტივად, ატმოსფეროში. საერთოდაც შემოქმედებითი მომენტი თავის თავში მხოლოდ ხანგრძლივ ჩაღრმავებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ რა ბიძგს მისცემს მას შესაბამისი შთაბეჭდილებანი. გარკვეულწილად შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ბოლოს და ბოლოს შემოქმედი მხოლოდ იმ ადამიანს ხვდება და მხოლოდ იმ პიროვნებას აჩენევს, რომელსაც ძალუძს სულში შემოქმედებითი იმპულსი აღუძრას.

მიუხედავად ყველაფრისა, მისი ცხოვრების ბოლოს თვალნათლივ ვხედავთ თუ როგორი ინტერესით ეძებს რილკე განსაზღვრულ სულიერსა თუ ელიტარულ კონტაქტებსაც კი. ამის მაგალითად გამოდგება წერილები, იგი რემი დე გერმონის სახელგანთქმულ „ამორძალს" ქალბატონ ნატალი კლიფორდ ბარნეის რომ უგზავნიდა, ამ უკანასკნელმა კი თავის „*Aventures de l'esprit*" (საიმედო თავგადასავლები)-ში რომ გამოაქვეყნა. ყოველ შემთხვევაში, საერთო შეხების წერტილების მქონე იმ ნიუანსებში, რილკემ მწერალი ქალის „ერთი ამორძალის წერილებში" რომ აღმოაჩინა, დაინახა ამ ავტორთან შინაგანი, სიღრმისეული ურთიერთკავშირების შესაძლებლობა; მაგრამ მათ შეხვედრათა ღვთაება არ სწყალობდათ. რილკე დასახულ მიზანს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, იმ პატარა დემონებმა განარიდეს, შემთხვევებს რომ ვუწოდებთ. მხოლოდ რილკეს გარდაცვალების შემდეგ „მალტეს" წაკითხვისას (მწერალმა ქალმა — ლ. დ.) ღრმა სინანულით აღიქვა, რა

მშვენიერი შესაძლებლობა დაკარგა მისთვის ესოდენ ახლობელ სულიერ ატმოსფეროში მოხვედრისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, როგორი წინააღმდეგობრივი და გაურკვეველიც არ უნდა მოგვეჩვენოს ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულება, — განსაკუთრებით კი იმ მანდილოსნებისადმი, მასთან დაახლოებულნი რომ გახლდნენ და მის იმპულსურობას მუდამ გამოცდის წინაშე აყენებდნენ, რომ მისი მთლიანი სიწმინდე შემოქმედებისათვის იყო განკუთვნილ-დაუნჯებული. აქ რილკეს არასოდეს შეხებია პატივმოყვარეობა. იგი თავს არიდებდა მკითხველის რეაქციის თვალის შევლებასაც კი, თავის ნაწარმოებებს რელიგიური გზნებით ემსახურებოდა, რაც მის პირადულ ცხოვრებას რამდენადმე აფერმკრთალებდა კიდეც. შემოქმედებაში პოულობდა იგი თავის სალოცავებს და მუხლს იყრიდა სხვათა შემოქმედების წინაშეც, თუკი ამას გული უკარნახებდა. ასე მოხდა პოლ ვალერის შემთხვევაში. მოუსყიდავმა სიმკაცრემ, კრისტალურმა გამჭვირვალებამ და დახვეწილმა მშვენიერებამ ღრმად შესძრა იგი, თუმცა პიროვნულად სრულიად განსხვავებული ტემპერამენტისა გახლდნენ, რაც მათი შემოქმედებითი თავისებურებებით იყო განპირობებული. რილკე ზეციურ შთაგონებას ელის მუდამ, სწირად დაეჭვებულიც კი, ვალერი — უკადრისობს რომანტიკოსთა „მუზა“ რომ იწამოს, მას სასაცილოდაც არ ყოფნის ის, რასაც შთაგონებას უწოდებენ და როგორც ჟიდი გადმოგვცემს: იგი სიამოვნებით გაითავისებდა ფლობერის სიტყვებს: — „შთაგონება? იცით, რაში მდგომარეობს: ყოველდღე ერთსა და იმავე დროს უნდა მიუჯდეთ საკუთარ საწერ მაგიდას“.

საქმე ეხება, — ამბობს იგი, — არა იმას, რომ აგამოძრაონ, არამედ თავად ამოძრავებას; მაგრამ ეს სიტყვა-სიტყვით არ უნდა გვესმოდეს ალბათ, რადგან ემოციას ვერაფრით გამოიწვევ, თუკი არ განგიცდია.

ის აღტაცება, რომლითაც რილკე სიცოცხლეს ადიდებს, მეტი მგრძნობიარობით გამოირჩევა, ვიდრე წარმავალობის შეგრძნება, მუდამ რომ ფხიზლობს მის არსებაში. ეს გრძნობა მალევე იჩენს თავს სულისშემძვრელ გოდებაში, რომელიც გვხვდება ლექსში „ანგელოსისადმი“:

. . . . . .

ო, ანგელოსო ვგოდებ, ვჩივი მე?
ან კი თუ ეთქმის გოდებას ჩემი?
ჰოი, მე ვყვირი, ზარებს ვარისხებ
და არ მგონია, ესმოდეს ვისმე.

ძახილი ჩემი, შენთვის ლიტონი
თუნდაც არ მგრძნობდე, სიცოცხლეს ვიკრებ
გამანათე და გამაცისკროვნე
მიცნან ვარსკვლავთა, გაქრები ვიდრე.

**მეორე ელეგიაში კი უკვე ბედს შერიგებული:**

...მხოლოდ და მხოლოდ
ჩვენ ჩავუვლით ყველაფერს ვვერდით
როგორც ჰაერის მიმოქცევა, როგორც ნიავი

და შეკრა პირი ყოველივემ ჩვენს მისაჩქმალად
ცალკერძ რიდითა და ცალკერძ ალბათ
გამოუთქმელი რაღაც იმედით...

იმისათვის, რომ ჩვენი არსებობის გაქრობას შევურიგდეთ, სიკვდილის ფაქტს უნდა შევურიგდეთ, დრო უნდა უარვყოთ, გავანადგურეთ, რათა ერთიანობას მივაღწიოთ. „ადამიანმა, თუ სურს [illegible] ჭეშმარიტების შეცნობა, უნდა იარსებოს წინარესა და მერმისის გარეშე", — ამბობს მაისტერ ეკჰარტი. ეს შემეცნება მეტია, ვიდრე მხოლოდ ინტელექტუალური ცოდნა, იგი წარმოადგენს ღვთაებრივ მარტოობასთან შენივთებას. დრო, ჟამი უარყოფილი უნდა იყოს:

მართლა არსებობს დრო და ჟამი დამანგრეველი?
გარინდულ მთაზე როდის დასცემს ციხე-სიმაგრეს?
გულია ისევ უსასრულოდ ღმერთთა მძევალი,
როდის გასწირავს გასათელად მას დემიურგი?..
(ოცდამეშვიდე სონეტი ორფეოსისადმი).

— შემდეგ კი ამატებს (რაც ჩვენში თავბრუდამხვევ გაოგნებას იწვევს): „სურვილები ის მოგონებებია, რომლებიც ჩვენი მომავლიდან მოედინებიან". ეს კი ნიშნავს, რომ აწმყო გარკვეულწილად მომავალსაც შეიცავს, თუმცა შენიღბულს, მაგრამ მაინც ზემოქმედების მქონეს. ის, რასაც ჩვენ მომავალს ვუწოდებთ, ისევ ახდენს გავლენას ჩვენზე, როგორც ის, რასაც წარსულს ვარქმევთ. ორთავენი კი ჩვენს წიაღში სრულ, მარადიულ აწმყოს ქმნიან. ინდოელმა შოაზროვნეებმა ძველთაგანვე იცოდნენ და აღნიშნავდნენ კიდეც ამ გარემოებას. ქრისტიანული თვალსაზრისი განსხვავებულია. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ რილკე მაშინაც კი, როცა ქრისტიანულ თემებს ეხებოდა, საკმაოდ თავისუფლად ეპყრობოდა წმინდა წერილსა და ქრისტიანულ აზროვნებას. ის გრძნობები, რომელსაც იგი „ლაზარეს აღდგინება"-ში ქრისტეს მიაწერს, მხოლოდ და მხოლოდ მასვე ეკუთვნის. როდესმე გაუგონია ვისმე, რომ ქრისტეს ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის ზღვარის წაშლა სურდა? ეს რილკეს აზრია, რომელიც ცდილობს წაშალოს ზღვარი ამ და იმ ქვეყნიურს შორის და „ორი საუფლო" არ გამიჯნოს ერთმანეთისაგან:

... მაგრამ უეცრად ცეცხლად აღენთო
საპირისპიროდ აღძრული გრძნობით,
უმართებულოდ რაცხდა სხვაობას
მიჩნეულს მათგან — სიკვდილ-სიცოცხლის,
ყოველი ნაკვთი აღევსო მტრობით,
როცა გამოსცრა: დასძარით ლოდი!

„ლაზარეს აღდგინებაში" მთელი წინააღმდეგობრივი ნებაა აღწერილი, რომელსაც ქრისტე განიცდის, ხდება სასწაულის აღსრულება „მშვიდი ბუნების ხელყოფა აკრძალული ქმედებით" როგორც სამხილი, სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ზღვარის არარსებობისა,

ვინაიდან სხვაგვარად ადამიანებისთვის ეს დაუჯერებელი რამ იყო. ასეთივე წინააღმდეგობას ვაწყდებით ქრისტეს მიერ პირველი სასწაულის მოხდენისას, ლექსში „ქორწილი კანაში", რათა იმათ, ვისაც არ ძალუძს დაინახოს, გაერკვეს ყველაფერში, დაუმტკიცოს იგივე თვალსაჩინოდ:

... მაგრამ როდესაც ქორწილის ნადიმს
დააკლდა ღვინო მოულოდნელად, —
მზერით ანიშნა, გაელო მადლი,
ვერ მიხვდა, რომ არ ენება შველა.

თუმც ალასრულა. ბედისწერის გზა
რომ მოუსწრაფა, გვიანლა მიხვდა:
ის ხომ სასწაულმოქმედად იქცა,
და საამსხვერპლოზე ტარიგი წმიდა
დაუყოვნებლივ ალევლინება...

შეიძლება ითქვას, რომ რილკე მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა სიკვდილზე ფიქრისა და წარუვალობის ძიების დამთრგუნველ ზემოქმედებას, ერთ-ერთ საოცარ ლექსში, გამოუცნობ სტუმარს გრაფ C. W.-ს რომ მიაწერს, (თუმც ეს ლექსი რილკესათვის უჩვეულო ელეგანტურობით გამოირჩევა, მაინც შეუცდომლად ამოიცნობთ, რომ მასვე ეკუთვნის), ეს შიში შემაძრწუნებელ ძახილში გადაიზრდება:

საოცარია სიტყვა დროის ხარჯვა, გაყვანა!
საქმე ის არის, **შეაჩერო** და დაახანო.
ვის არ აძრწუნებს: რომ არ ძალუძს არსად დარჩენა,
სად არის **ყოფნა** საბოლოო და გადარჩენა?

**ბოლო სტროფში კი ვკითხულობთ:**

მთანი, ვარსკვლავთა სხივდაკრულნი, გარინდებულან; —
თუმც მათ წიაღშიც ილანდება დრო ულმობელი.
ო, ჩემს შმაგ გულში ღამეს ათევს წარუვალობა
მიუსაფარი, უსახლ-კარო, განუზომელი.

**ეს ყვირილი თავის ძალისხმევით ესოდენ გადამდები „სიკვდილის შეულამაზებელ სიმკაცრეში" გარკვევას ცდილობს, მისი მარადიული გამოცანის ამოხსნას ლამობს:**

და რაც სიკვდილში გვამორიშორებს,
რჩება კვლ-ვაც შეუცნობელი.

„მაგრამ", იმეორებს იგი, „საფიქრებელია ისიც, რა იქნებოდა ადამიანის გული,მის მიღმა, გარეთ, სამყაროს რომელიღაც წერტილში გარკვეულობა (*Gewißheit*) რომ აღმოცენებულიყო: საბოლოო გარკვეულობა". ეს შიშები ენაცვლებიან სურვილს, ჰარმონიაში მოექცნენ ჩვენს ბედისწერასა და დიად მარადიულ კანონებთან და სრულ თანხმობას მიაღწიონ ბედისწერის ყველა, თვით შემზარავ ასპექტთანაც კი.

მთელი მისი ცხოვრების მისწრაფება გამოკვეთილად იყო გამოვლენილი სურვილში — აღმოეჩინა ყველაფერში ღმერთი.

ეს კი ნიშნავდა ღვთის შეცნობას ყველა იმ ღვთაებებსა და კულტებში, ადამიანები რომ ეთაყვანებოდნენ. „ღვთაებებს ჩვენ ~~ვერ~~ თამამ მონახაზებში წარმოვსახავთ, რომელთაც პირგამეხებული ბედისწერა გვინგრევს ისევ და ისევ". ასეთი იყო მის მიერვე შექმნილი რელიგიურობა, ყოველგვარი დაკანონებული დოგმებიდან თავისუფალი. მანვე შექმნა ზოგადი, კრებითი არსება ანგელოსი და უარყოფს მის ნათესაობას ქრისტიანულ ანგელოსთან. მან შეუქმნა იგი ჩვენზე აღმატებულ არსებას, გულგრილს, ჩვენი სიხარულისა და ტკივილისათვის მიუწვდომელ არსებას. შეუქმნა, რათა თავისი ტკივილი, თავისი აღფრთოვანება გამოეხატა. და რადგან მას, არც დახმარებისა და ნუგეშისცემის მიღება არ სურს მისგან, პოეტის ხმა გაუგონარ ძალას იკრებს, როგორც ეს მეშვიდე ელეგიის დაბოლოებაშია:

... ნუ გეგონება რომ ხმობა ვიწყე, თუნდ გიხმო კიდეც,
არ მოხვალ რადგან, ჩემი ხმობა სავსეა მუდამ წარმავალობით;
ასე ძლიერი მდინარების საპირისპიროდ შენ ვერ შესძლებ
წარსდგა ნაბიჯი.

გაწვდილ მკლავსა ჰგავს ძახილი ჩემი:

წასატანებლად გაშლილი ხელი
რჩება გაშლილი შენს წინაშე,
როგორც თავდაცვა და გაფრთხილება
მიუწვდომელო, დაუსაბამოდ.

ანგელოსი რილკესათვის წარმოადგენს მის მიერვე შეთხზულ ეტალონს, რათა მასთან მიმართებაში განსაზღვროს ჩვენი უკმარობა (ნაკლოვანება) და დაუმტკიცოს მას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი მიწიერი მუნმყოფობა თავის თავში ჭეშმარიტსა და მარადიულ ფასეულობას ატარებს. ანგელოსს სწირავს იგი მსხვერპლად ყველა განძსა და ტკივილებს, ჩვენეულთ, რომელნიც თავისთავადაც სიმდიდრეს წარმოადგენენ. ყოველივე არსებული გაღმერთებისა და ხოტბის საგნად სულში ქცევა, რომელსაც მარადიული დინებანი განწონიან. თანხმიერებაში ყოფნა იგივეა, რაც ნეტარების აურიდებლად ნაყოფიერებასა და უსაზღვრო სიხარულთან ერთობლიობაში მოაზრება.

„ერთსა და იმავე ღვთაებრივ თავზე ორი სახე, დიახ, ეს ერთადერთი სახეა, რომელიც ისე წარმოგვიდგება თვალწინ, თუ რა მანძილიდან ვუმზერთ, ანდა იმ სახით, როგორითაც ჩვენ აღვიქვამთ მას...", — ვკითხულობთ 1923 წელს დაწერილ წერილში.

ყოველივე არსებულისადმი სრული თანხმობა, რაც ურთიერთსაწინააღმდეგოდ გვეჩვენება და მაინც საბოლოო ერთიანობას ქმნის, ისევ ჭლერს ორფეოსისადმი მიძღვნილ 29-ე სონეტში. მაგრამ რილკე, რომელიც წინააღმდეგობათა გაუვალ ტყედ რჩება ისევ, ხშირად იძირება კაეშანსა და ნაღველში და ლამის სასოწარკვეთილებამდე მიდის, როგორც ეს „გოდებაში" ჩანს:

ვის გსურს შეხჩევლო გულო ჩემო? სულ უფრო
თავარიდებით მიემართება გზა შენეული, შეუცნობელ
ძეკაცთა შორის...

მიუხედავად ყველაფრისა, იგი ჯერ კიდევ არ [illegible] მიდწეული სრულყოფილ აშაღლებულ მდგომარეობამდე, აბსოლუტურ ჰარმონიამდე. მოგვიანებით, ინდოეთში ყოფნისას, ხშირად ვიგონებდი დანანებით, რილკე რომ არასოდეს ჩაღრმავებია შორეული აღმოსავლეთის სიბრძნეს; როგორი სიმწყობრე, რა საგანძური, რამდენი დასტური შეიძლებოდა მიეღო მას! მისი ყველა კონფლიქტი და პრობლემა იქ გადამწყვეტ დახმარებას მიაგნებდა. განა იგი განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანი არ იყო აღმოსავლური სიბრძნის მისაღებად? ინდურ შეხედულებებსა და მისეულ შეხედულებებს შორის უზარმაზარი ანალოგიები არსებობდა. ის რაც რუსეთის გაცნობამ შეჰმატა მას და ესოდენ შესძრა, მხოლოდ ოდნავი მინიშნება, პირველი განაცხადი იყო. სინამდვილეში ეს იყო ტყე უსიერი, ასათვისებლად გამზადებული სულის მონაკვეთს რომ აკრავს ირგვლივ.

მუდამ მებრძოლი და ყველაფრის საკუთარი ძალებით მკვლევარი, ხშირად იტანჯებოდა და სრულიად გამოფიტულად გრძნობდა თავს, იმ მედიუმივით, რომელმაც სწორედ ის საგნები უნდა განჭვრიტოს, მასვე რომ გასრესენ. ამიტომ მარცხიც არ იყო გამორიცხული. თავადის ქალის ფონ თურნ უნდ ტაქსისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „შემოქმედებითი მუშაობის პროცესში ძალასა და დიდებულებას წარმოვადგენ, მის გარეშე კი ნამცეცა ღონეც კი არ შემწევს“. — ისევ და ისევ ხაზს უსვამს იგი თავის შემოქმედებით არსებობასა და ადამიანურ ყოველდღიურობას შორის არსებულ შეუსაბამობას.

„ხშირად შემოქმედის მდგომარეობისათვის უცნაურად ჩანს, ცხოვრების შედარებით მჭლე დღეებში (რაც არცთუ იშვიათია!) საკუთარი მუნყოფიერების ამბვარ ესენციას, მთელი თავისი აუწერელი უპირატესობით რომ გრძნობდე შენს გვერდით. ასეთი ლექსის არსებობა ყოველდღიური ცხოვრების ბანალურობისა და მეორეხარისხოვნების ფონზე, თავისებურად გამოირჩევა, და მაინც (გაუგებარია როგორ) მისგან ამოიგება და გამოიყვანება, სწორედ ის უფრო დიადი და მნიშვნელოვანი...“.

ამგვარი გააზრების წყალობით ყველაფერი გასაგები ხდება, რასაც იგი კარნახსა და უსასრულოდ შიდა-გარე მიმოქცევაზე საუბრობს ელეგიებთან მიმართებაში. ეს არ ეხება მილმურ ხილვებსა თუ გამოცხადებებს, არა, ჩვენს უნივერსუმში ჩამოედინება იმქვეყნიური სამყაროს შინაგანობა, მისი ღვთისმოსაობა. რადგან ჩვენი სამყარო, როგორადაც მას რილკე აღიქვამს, შეიცავს ყველა იმ სასწაულს, რომელიც (როგორც იგი ამბობს) იმქვეყნიურ სამყაროს მივყიდეთ. და მართლაც, თუ ჩვენ აწმყოში მთელი სისრულით ვარსებობთ, მხოლოდ მაშინ გაიხსნება ჩვენთვის მარადისობის გამოცდილება. მაშინ თვით ბუნება აღიქმება და შეიცნობა, როგორც უფლის სხეული.

ის წლები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ექვსი უკანასკნელი ელეგიისა და „ორფეოსისადმი მიძღვნილი“ სონეტების ამოხეთქვას, რილ-

კესათვის მძიმე დათრგუნულობით გამოირჩეოდნენ ხშირად. იმ დღეებში „ცხოვრების შედარებით მჭლე დღეებს“ რომ უწოდებს, ლექსად მეტყველების მადლს მოკლებული უკმარისობით გამოწვეული ამედგაცრუება შეეძლო გამოეხატა გულისშემძვრელ ლექსში, თუ თავს მისთვის დამახასიათებელი ძლიერი აღმაფრენისაგან მიტოვებულად ჩათვლიდა:

ვიპოვი მოყვასს? თუ დავაყოვნო მხოლოდღა ისევ?
უფრო ხშირად კი ტირილი ჩემი ანადგურებს და
ღიმილი არის მსახვრალი.

მის აღმაფრენას ხშირად მოსდევდა სულიერი გამოფიტვის მდგომარეობა. მისეული სურვილები, რწმენა, ხილვები, მისი შემოქმედებითი გამოვლენის ძალა ასავათებდნენ მას და ჩვენ გვესმის სიტყვები, შემზარავ უფსკრულს რომ გვიხილვადებენ. სასოწარკვეთილების აჩრდილი გვეჩვენება თავისი ჯოჯოხეთური სახით და შემაძრწუნებელი სტრიქონები სწყდება მის კალამს:

ვაყუჩებთ ჩვენი არსებობით არარაობას
და ჩვენით ვფარავთ ყველა განაბზარს...

განა სწორედ სასოწარკვეთა და უპასუხო კითხვები არ ქცეულან დომინანტებად უცნაური ლექსისა „მოგზაური“?

რა მცირედ ჩანან ორივენი, ამ სანახებში,
ისინი ხომ ერთურთს იმავ სამოსით მოსვენ,
ნაზი, სათუთი ხელით რომ ქსოვენ;
მატარებელიც, დრო რომ არ რჩება განსხვავებისა
ცრუ ფიცის გრიგალს გადმოისვრის
ამ უსასრულო ცხოვრებათა თავანს ზეგარდმო.

**და ბოლოს:**

... რა ჰავას ველტვით
ჩვენ მოგზაურნი? ვინ გვაძლევს ნიშანს?
საიდან ვიცით, მარადი რომ გაჰქრა, წავიდა,
ვინ გვაიძულებს მიგვითითოს ისევ და ისევ საგნით საგნამდე?
ვინ გადმოგვიგდებს ჩვენივე გულს, ჩვენ რომ ვაძევებთ
გულს უძვირფასესს, ყრმობისას რომ ვიტანდით მხოლოდ,
მას აქეთ რომ თავად **გვიტვირთა**
(თუმცა მის ფრენას ვინ აჰყვებოდა?)
როგორ ხედავენ ამ სანახებს უსწრაფესი ზენა
გულები, აღმაფრენისას წინ რომ გვისწრებენ,
იმავ სანახებს, ხან მხიარული და ხან მწუხარი
მზერითა და ძილით ნაზავებს.
როგორი სახით სურს წარმოჩინდეს თავისუფალ
გულთა წინაშე, ჩვენეული მერყეობით
რომ იხლიჩება...
ვით ჭვრეტენ სახლებს,

როგორც საფლავებს, თუ მეტრფეების
ერთი ციდა ფიგურებივით, გარიყულად მყოფთ, —
ან წიგნებს როგორ — მონატრების ქართაგან შლილებს
მარტოსულების წიგნებს გადაშლილთ?

მიუხედავად იმ წლებისა, რომელთაც უკვე ჩავარეს, მეც მაინც რიოლკეს სამყაროში განვაგრძობდი ცხოვრებას, და ჩემს შემოქმედებაშიც სულ უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობდი მასთან. ხშირად ვფიქრობდი, დროის ის მონაკვეთი ერთმანეთს რომ გვაშორებდა, ან თუნდაც ნებისმიერი უცხო ზეგავლენა მაშინვე გაუჩინარდებოდნენ, მე რომ ჩემი ნამუშევარი მიმეტანა მასთან როდესმე, რომ არავითარი სიტყვა აღარ გახდებოდა საჭირო დიდი ურთიერთგაგების ხელახალი აღმოცენებისათვის. ეს მოხდა 1922 წლის გაზაფხულზე (ალბათ თუ ვიგრძენი მაშინ, მისთვის რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა, რაც მას უფრო თავისუფალსა და იოლად მისაღწევს გახდიდა — მართლაც ზუსტად იმ პერიოდში დაიბადა ელეგიებიცა და სონეტებიც), ვიგრძენი თუ არა ესოდენ ძლიერი იმპულსი, უცებ გადავწყვიტე წერილი მიმეწერა და თან ჩემი ნამუშევრების ზოგიერთი რეპროდუქცია და ლითოგრაფიები გამეგზავნა მისთვის. ლამის უკუგზავნილივით მალევე მივიღე შემდეგი სტრიქონები:

„19.11.1922. რა მოულოდნელი რამ მოხდა გუშინ, ლულუ! ბოლოს და ბოლოს, მაინც დაირღვა დუმილი, მრავალწლიანი ბეჭდით დალუქული — მე კი არ ძალმიძს წესიერად გიპასუხო: რადგან ამ წერილს პასუხი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთქმოდა, თუ დუმილის ვეება ნატეხების ზედაპირები გულმოდგინედ დაიხვეწებოდა, რისთვისაც ახლა მე გულგახსნილობა მაკლია — ხოლო ჩემს მუშაობით გადაღლილ კალამს კი ძალა არ შესწევს.

მაგრამ, ძვირფასო მეგობარო, გულითადი მადლობა მინდა შემოგწირო, შენი ყურადღებისა და ქმედითი სიმტკიცის ამ კოლოსალური გამოვლინებისათვის. მიუხედავად იმისა, ფოტოები რომ ბევრს რასმე მხოლოდ მიგვანიშნებენ, როგორც შენც აღნიშნავ, ნაწილობრივ შეცდომაშიც შეჰყავთ მნახველი, მაინც ბევრი რაიმეს აღქმა შეიძლება ამ სურათებიდან. და ეს სხვა არა არის რა, თუ არა შენი კომპოზიციების სიცოცხლით გაჯერებულობა, რაც განუწყვეტლივ დუღს შენში, მხოლოდ ამ გარემოების გამოც კი ისინი ფრიად საინტერესო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მე გუშინ საღამოსვე ვათვალიერებდი ყურადღებით მათ ისევ და ისევ, თან მიხარია ღღეანდელი კვირადღეც რომ შემიძლია მივუძღვნა შენი ნამუშევრების თუნდაც ერთი ნაწილის შემდგომ დათვალიერებას...

ამ ორივე მშვენიერ ლითოგრაფიას, რა თქმა უნდა, დავიტოვებ სამუდამო მფლობელობაში...

სრულიად გაუთვალისწინებელმა ხელსაყრელმა გარემოებებმა, მაშინ, როცა უკვე თითქმის ზღვრამდე ვიყავი მისული, საშუალება მომცა, ამ უწყინარი ქვეყნის კეთილმოსურნე სტუმართმოყვარეობით ცო-

ტა ხანს კიდევ მესარგებლა; თვიდან თვემდე არც კი ვიცი, „ეს ცოტა ხანი“ რა ხანგრძლივობისა აღმოჩნდება, — მაგრამ ამ დინების შუაგულში მყოფი ყოველწამიერ ვხარობ იმით, რასაც დროის ეს შინაკვეთი მანიჭებს და განმაცდევინებს და ჩემს თავს ყოველგვარი სიახლისაკენ ლტოლვას ვუკრძალავ, როგორც ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოვლინებას. ქალბატონი კიპენბერგი გიამბობდა უთუოდ, მე რომ ესოდენი ხელშემწყობი გარემოებების დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, რაღაცას მივაღწიე; ვალეს ერცელსა და დიდსულოვან ლანდშაფტზედაც მოდის ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი (და ბოლოს, ყოყმანის გამო ამდენი წლით გადადებული წარმატება ძნელად წარმოსადგენია); არა მხოლოდ იმიტომ არის ის ასეთი პროდუქტიული მოცულობისა, რომ გარკვეულწილად შემოქმედებითი აქტის შეცნობას ჯერაც საკუთარ აგებულებაში გულისხმობს: არამედ იმითაც, რომ ამ ლანდშაფტმა ესპანეთსა და პროვანსთან თავისებური სიახლოვით (ვალესთან ის ხომ რონეს მეოხებითაა სისხლით ნათესაობით კავშირში) მეც შეუმჩნევლად გამაერთიანა იმ ადგილებთან, სადაც სწორედ ეს ნაწარმოებები შეიქმნა, რომელთა ბოლომდე მიყვანა მთელი სულითა და გულით მეწადა!

ამ ჩემი წყნარი ბრძოლის ველიდან თავდასხნილს, ძვირფასო ლულუ, შენი მართალი და სიხარულით სავსე მზერა განა არ მაკლია, რომელსაც ასეთი დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, მაინც გააჩნია თავისი სიხარულიანი და გამარჯვებული წუთები! — 1922 წლის გასრულებამდე გერმანიაში ჩასვლა უთუოდ მომიხდება; მაშინ კი უფრო ახლო შეხვედრის დღეები თავად იზრუნებენ ალბათ დანარჩენზე.

მადლიერებით, რაინერი“.

ამ წერილმა თუმცა ბედნიერი გამოხმაურება ვერ ჰპოვა ჩემში, მაგრამ რამოდენიმე თბილი სიტყვით ისეთი სიცხადით წარმომისახა ვალეს საოცარი ლანდშაფტი, რომ მე მაშინვე შევუდექი მეხსიერებაში ჩარჩენილი წარმოდგენის მიხედვით პეიზაჟის ხატვას. ეს სურათი რილკესათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ საშუალება აღარ მომეცა, გადამეცა მისთვის.

ჩვენ რამდენიმეჯერ კიდევ გავცვალეთ წერილები, მაგრამ მას აღარ ეწერა გერმანიაში ჩამოსვლა მეტად, მეც მალე დავტოვე გერმანია, რათა საფრანგეთსა და იტალიაში გავმგზავრებულიყავი. ერთადერთხელ გზად გავლისას ვნახე იგი მიუნხოში 1923 წელს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სულ მცირე ხნით შევხვდი, მაინც დიდი სიხარული განვიცადე — საშუალება მომეცა ელეგიები და სონეტები მისი წაკითხვით მომესმინა, დიდხანს, გულწრფელი აღფრთოვანებით მესაუბრებოდა ვალერიზე. დამშვიდობებისას მისახსოვრა ელეგიებიცა და სონეტებიც, თუმცა უკვე მქონდა.

— უფრო მოგვიანებით კიდევ ერთი შეხვედრა პარიზის ჰოტელში „ფუაიო“-ში უნდა მქონოდა. სამწუხაროდ, ხელი შემიშალა გაუთვალისწინებელმა პირობებმა, დროულად ვყოფილიყავი ადგილზე. მეორე დღეს კი იძულებული გავხდი გავმგზავრებულიყავი და ვერ შევხვდი რილკეს. ო, რომ მცოდნოდა მაშინ, რომ მასთან შეხვედრის უკანასკ-

ნელი საშუალება მეძლეოდა, რა თქმა უნდა, ყოველნაირ წინააღმდეგობას ავირიდებდი და ჩემს გამგზავრებასაც შევაყოვნებდი.

ღიღხანს ვფიქრობდი და ვიხსენებდი რა ჩემს პირადულ გამოცდილებას, ვეცადე არაფერი შემელამაზებინა. რადგან ეს რილკეს დამცრობა იქნებოდა, ამ დიადი იერსახის თაფლივით ტკბილი ნაქსოვი გარსით დაფარვის მცდელობა. ჩვენთვის კი ეს იმდენად უფრო გასაგები ხდება, რამდენადაც მასში საკუთარი გამოაშკარავებული კოხფლიქტები იმ ზღვრამდე მისულად გვესახება, როცა ყველა წინააღმდეგობაში თავად უნდა გავერკვეთ. რილკემ უზენაესი ბრძოლა გამოიარა სინამდვილის უფრო ღრმა წვდომის მისაღწევად. მის უბის წიგნაკში ჩანიშნულია სიტყვები: „ჩემი ენერგია (ინტენსივობა) მე სიყვარულში კი არ ჩამიღვრია, არამედ წვდომაში...“

ქაოსს თუ რასმე წაართმევს გონი,
ხომ წაადგება ოდესმე სულდგმულს;
თუნდაც აზრები იყოს ეს მხოლოდ,
დიადი სისხლის შეერთვის გუგუნს,
მარადი ჩქროლვის...

და ვგრძნობ: ვინ უწყის, ეს რახანს გასტანს,
და წმინდა სივრცეს რა ხიბლი ახლავს,
სადაც მისხალით მძიმე ან მჩატე
ძრავს სამყაროებს, ანაცვლებს ვარსკვლავს.

აქ რილკე ანტიკურ გასაიდუმლოებულ მეცნიერებებს ეხმიანება, რომელთა უზენაესი კანონია გარეგანსა და შინაგანს შორის ყოველგვარი ზღვარის გაუქმება. „არსად იქნება, ძვირფასო ჩემო, სამყარო სხვაგან, თუ არ ჩვენს სულში“, აი, მეშვიდე ელეგიის ცნობილი სიტყვები, კარგი იქნებოდა, მთელი ელეგიის ციტირება, რომელიც ყველაფერს მიწიერს ღებულობს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თვით უმნიშვნელო რაიმეს გამოურიცხავად, გაითავისებს შეუდარებლად, მიისაკუთრებს, უერთდება ულრმესი კავშირით მას. გამსჭვალავს იმ დონემდე, რომ ინტენსიურ სპირიტუალურობას ანიჭებს. მაშინ აზრს კარგავს ისეთი საპირისპირო ცნებები, როგორიცაა სხეული — სული, ამქვეყნიური — მიღმური. რჩება მხოლოდ და მხოლოდ დიადი ერთიანობა, ერთიანობა აქამომდელისა და მერმისის, სისარულისა და ტკივილისა, ყველა ურთიერთსაპირისპირო პრინციპებისა. ასე დღესასწაულობს იგი ტანჯვას, როგორც ჩვენი არსებობის წარმოშობას, ფესვებს, ჩვენს გამოუცნობ საიდუმლოს — ჩვენს ყოფიერებას. მეათე ელეგიაში ვკითხულობთ:

... რომ სახე ჩემი ცრემლდამდინარი მეტ ნათელს მფენდეს;
რომ ჭეშმარიტი ცრემლი ჰყვაოდეს.
ოი, რარიგად მეყვარებოდით ღამენო მაშინ, სავსენო ნალვლით,
რომ მუხლთამოყრით უნუგეშოდ, შთენილი დანო, არ მოგეახლეთ,
რომ თქვენს გაშლილ თმებს
მისხალ-მისხალ არ მივეც თავი.

ჩვენ კი ტკივილთა გამფლანგველები, ვით ვეშვრეტთ წინასწარ,
მათს კაეშნიან მდინარეებაში, უჩანს თუ არა სატკივარს ბოლო.
ისინი ხომ არიან ჩვენთვის, ზამთრის საფარი ფოთლოვანი,
მარადმწვანე სიმუქე აზრის, იდუმალი წლის დროთაგან ერთი —...

და გოდებათა ქვეყნის ფანტასტიური, გრანდიოზული, ბანორამა გვეშლება თვალწინ. ბანალური სიტყვები, რომელთაც სურდათ შავი ძაგიისათვის მიეკუთვნებინათ ეს ტონები, მარცხით დამთავრდა. ელეგიების მოუხელთებელ დინებათა გახმეორებას, ანდა თუნდაც ახსნის ძცდელობას მათი არარაობად ქცევა შეიძლება მოჰყვეს. როგორი ლრმა აზრები აღარ გამოითქვა რილკეს მსოფლმხედველობის შესახებ; მაგრამ ვინ შეიძლებდა ზერელედ შეხებოდა ძრწოლათა ამ შემოტევების, ნეტარებათა ამ ზღვების, ბედნიერ ქროლვათა ქარაშოტების, მონატრებათა ამ უდაბნოების საოცარ სამყაროს, რომელთაც მისი მაგიური სიტყვები აცოცხლებდნენ. — თაობებს გადაეცემა შემკვიდრეობად ის გამოცდილება, რასაც მან დასაბამი მისცა, ხოლო რაც მის სულში წარმოიშვება, ხშირად კოსმიური განზომილებისა გახლავთ და ჩვენს აზროვნებას აღემატება. ჯერ კიდევ აღმოსაჩენია, რა შინაგანი ძალითაა განუყოფლად შესისხლხორცებული მის შემოქმედებაში ყოერადობა შინაარსთან, როგორი იდუმალებით მოედინება სიტყვა უშუალოდ ემოციიდან; რამეთე სიტყვათქმნადობაში იგი სიტყვას ძირისძირამდე მიჰყვება და საშუალებას აძლევს დასახული მიზნისდა მიხედვით აღმოცენდეს და იყვავილოს. სწორედ ამიტომ გააჩნიათ მათ განსაკუთრებული დამაჯერებელი ზემოქმედების უნარი, აღმოცენდებიან რა უშუალო განცდიდან, არასოდეს ექვემდებარებიან „ენის გარეგნულ ქცევას“ (როგორც იგი უწოდებს), გამონათქვამებსა და ცნებებს, რომლებიც სიტყვასთან არიან დაკავშირებულნი და შინაგანი დინამიკისათვის საბედისწერო ხდებიან. მისეული დინამიკა კი, მხოლოდ საკუთრივ მისივე მიუღწევადი დიდოსტატობიდან არ იღებს სათავეს, მან რომ ხანგრძლივ დისციპლინას დაქვემდებარებული შრომის შედეგად მოიპოვა და უკვე ქვეცნობიერ მემკვიდრეობად ექცა, შემდგომ კი, შინაგანი კარნახის მისადევნებლად ფლობდა მხოლოდ, როცა საამისო ჟამი დაუდგებოდა.

ელეგიებსა და „ორფეოსისადმი მიძღვნილ სონეტებშია“ თითქმის მთელი მისი ცხოვრებისეული გამოცდილება ჩაქსოვილ-თავმოყრილი. ისინი ნიაღვარივით დაატყდნენ თავს და სრული განადგურების საშიშროება შეუქმნეს მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში. ისინი წმინდა ექსტაზის სახით წარმოიშვნენ და ამავე ნიშნით არიან კიდეც აღბეჭდილნი, რადგან ყოველგვარი გადასვლისა და მონდომების გარეშე, რომ მოსმენილი, ან თუნდაც გაგებული ყოფილიყვნენ, გვაოცებენ მოულოდნელობებით, ყოერადობის მონაცვლეობით, როგორც სიზმარსა ან ბურანში მყოფნი შეიგრძნობენ მხოლოდ, სადაც სურათ-ხატები და იდეები ისეთ ტემპში ცვლიან ერთი მეორეს, რომ თავშეკავება გმართებს, შენც არ აღმოჩნდე თუნდ ოდნავ მაინც ამ მდგომარეობაში. ელეგიები მეტად აღარავის მიმართავენ, ბუნების სტრიქონებივით იშლებიან საკუთარი კანონებისდა მიხედვით.

ელეგიებისა და სონეტების დაბადება, ამაღლებული მოსავალი, მისი ხახგრძლივი მოლოდინის გვირგვინი, რილკესათვის გამომფიტავი, ტანჯველი აღმოჩნდა და მიუხედავად მადლიერი სიხარულისა, რითაც აღვსილი გახლდათ, ამ მოვლენამ დამამშვიდებლად მხოლოდ დროებით იმოქმედა მასზე.

კატარინა კიპენბერგის მეშვეობით მისი საქმიანობისა და ცხოვრების ძირითადი მიმართულებების შესახებ ყველაფერი ვიცოდი, ისიც კი რომ მისი მტანჯველი დეპრესიები პერიოდულად მეორდებოდა და სიყვარულთან დაკავშირებული კრიზისებიც ვერ გადაელახა. ისევ და ისევ თავიდან უნდა შესდგომოდა ძიებას, თავი დაეღწია შემბოჭველი ურთიერთობებისაგან, ესოდენ ანთებული თავდავიწყებით რომ შექმნა თავადვე, და მათგან საუკეთესონი კი უცვლელად რჩებოდნენ, სრულიად უცნობსა ანდა ისედაც წარმავალ გაელვებულ ურთიერთობებთან ერთად, ცხოვრების ბოლო წლებში რომ აღმოცენდა. „ცინცხალი, თბილი, მოუხელთები ტალღა გულისა...“

„ასე მგონია, იგი ინტუიციით გრძნობდა უკვე თავისი ცხოვრების ზენიტზე რომ იმყოფებოდა, იმდენად, რამდენადაც „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერების“ შემდგომ თავს თითქოსდა ვადარჩენილად გრძნობდა. საფიქრებელია, რომ მისი სიღრმისეული ანტენები ხორციელი სიცოცხლის დაღმასვლას აფიქსირებდნენ და აქედან გამომდინარე, სულიერი მოუსვენრობა ეზრდებოდა, რაც ამ პერიოდის სხვადასხვა ლექსებშიც იგრძნობა. ასე მაგალითად, რილკე სიცოცხლის ბოლოს უცნაურ ურთიერთობას ამყარებს ვენის მკვიდრ ახალგაზრდა ქალთან ერიკა მიტერერთან, მათი მიმოწერა ორივე მხრიდან ლექსებით მიმდინარეობდა და ახალგაზრდა ქალის ინიციატივით დაიწყო. როგორი განსაკუთრებული ნიუანსებით, ეთერულიდან თითქმის ზედმიწევნით რეალური სიყვარულის გრძნობამდე შემობრუნებით შესძლო რილკემ გახსნილიყო იმ ხატების წინაშე, რომელიც ამ ურთიერთლტოლვით გამძაფრებულ თამაშში გამორჩეული პარტნიორის, ახალგაზრდა გოგონას ნაზი და სიღრმისეული აქცენტებით იყო გაცოცხლებული. მაგრამ ყოყმანის გარეშე ეს ახალგაზრდა და გულწრფელი ძღვენიც კი არ მიუღია მას.

მე ვარ იგი, სხვისთვის შეუვალი
იმ სიმართლით, რითაც თავსაც ვიცავ.
შენს მკერდს იქნებ მძიმე ლოდად ვექცე,
ოღლი ვარ მხოლოდ შორი ალვით.

**წერს იგი — შემდეგ ისევ:**

მონდობილი ხარ? არა მარტო თვინიერება,
არსიც კი მითრთის ესოდენი ნდობის წინაშე,
იდუმალია ფუძე ჩემი ზედ ნაშენისთვის;
განსაცდელი ვარ, ვერ ვიქნები სხვაგვარ ბუნებად.

ზოგიერთ მის პასუხში, როგორც საერთოდ უკანასკნელ ლექსებში, ხშირად იშვიათი, ხანდახან კი ძვირფასი თვლები მოიპოვება. შედარებით გვიანი პერიოდის რილკესეული სახეების ორანჟერეაში რჩეული

სურათ-ხატები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, უცხო ფრინველები ფრენენ მისი ვოლიერიდან, მოციმციმე არაბესკებითა და ხან კი იეროგლიფებით სერავენ სივრცეს; ისევ და ისევ პოეტის სულის ულრმესი გამოცდილებით აღბეჭდილნი. მხოლოდ რამოდენიმე სპონტანურ სტრიქონს მოვიყვან:

ერეკენულები
ბიბლიოთეკა

... მოდექ, წყარო ვარ; მწყურვალს ვარწყულებ
წყლით, რომელიც მე ჯერ არ მიხმია,
ანარეკლებით როცა ვარსებობ, —
როგორ ვუწყოდე ამ წყალს რა ჰქვია...

უკანასკნელი წერილები აღასტურებენ მოახლოებული განსაცდელის წინათგრძნობას, შიში გამოსჭვივის იმ სტრიქონებში, რომლებშიაც იგი საკუთარ მდგომარეობას აშიშვლებს.

... დიახ, ავად ვარ, დროულია ეგ შენი კითხვა;
რადგან ვიცოდი უსასრულოდ, რომ ვარ სნეული;
თანდათანობით ჩავიძირე იმ ჭრილობაში,
ღიად რომ რჩება, რადგან არ ვიცი გზა ჩემეული,
შიგ ვდგავარ ისევ. საკუთარ სისხლის მხურვალე ტბაში,
ჩემივე სისხლის ოხშივარში, ტანჯვის ამარა,
ფხიზლად ქცეული მყისიერად, მტრულად ნასვენი,
უამრავი რამ იძვრის, ზიმზიმებს, ის რაც არა ვარ...
არ ვარ: და მაინც თან-ვარ, თან-ვიყავ, უთუოდ ხშირად
წინაღმდეგობებს შუა ქიშპით გამდიდრებული,
ახლა კი უცხო მომხდური მერჩის ამხედრებული
და მათი ნებით ბრმად მიღწეულ ადგილებს მართმევს.
მოდგმის ოდინდელ წარსულიდან მოედინება
კვლავ უძველესი მოთხრობები:
მათ წინააღმდეგ უამრავი რამ მოვიპოვე
მათივე ძალით... და მე ნებდება **უსახოვნებას.***

იგი თავად სცნობს იმ ულმობელ ბრძოლას, მისი სულის წიაღში რომ თამაშდება, უსახურ ძალებსა და სულიერ სიძლიერეს შორის. ავადმყოფობა, თვით ყველაზე უარყოფით მიდრეკილებებს, რომელთაც იგი მისივე უმაღლესი აღმაფრენის საფუძვლად მიიჩნევს, უფლებას აძლევს ძალადობა იხმარონ მასზე. რილკე ქვეცნობიერის სამყაროში დანთქმულად გრძნობს თავს და ქვეცნობიერსვე მიაწერს თავის შემოქმედებაში უმაღლეს მწერვალს რომ მიაღწია.

ესწრაფოდა რა სიკვდილთან შერიგებას კარგა ხნის მანძილზე, უმაღლესი სიბრძნე კარნახობდა, დაესწრო ყოველნაირი გამომშვიდობები-

---

* უპირო ნაცვალსახელი *es*-ი აქ შეესაბამება „უსახოვნებას" (მთარგმნელი).

სათვის; რასაც ბლეიკი მისთვის დამახასიათებელი სიმძაფრით შემდეგნაირად გამოხატავს: „იცოდე, შენ შენს სიკვდილზე ადრე უნდა მოკვდე, რადგან თუ სიკვდილს გაუნადგურებელი მიუახლოვდი, მაშინ საკუთარ „მე“-სთან მოგიწევს შეხვედრა და ეს „სასიამოვნო“ ნამდვილად არ იქნება“.

რილკე იგივეს ამბობს ორფეოსისადმი მიძღვნილ მეშვიდეურ სონეტში:

დამშვიდობებას ყოველნაირს, დაასწარ, თითქოს
ზამთარი უკან მოიტოვე, უკვეძლეული.
რადგან ზამთართა შორის ერთმა, იქნება გიმტროს,
თუ სძლიე ზამთარს, გული გრჩება დაუძლეველი.

მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა ქალს უნდა ეწვიოს პირველად, იგი ჰეროიკულად იცავს თავს:

გული კი გელის: ვშიშობ დაგტვირთო,
ჩემი კაეშნის ნედლი სიმძიმით;
შენც იცი: ცდება ვინც დაიღლება
სიცოცხლით, ანდა უფრო სიკვდილით.

მე კი, რომელმაც ორთავე ვიცან,
სნეულებასთან მაძრწუნებს ბრძოლა;
მოსალოდნელთან მიმტყუნა უცებ,
სივრცემ გულისა და, გონის ზომამ.

იგი კი მაინც მოვიდა, რათა ჯერ უცნობი, მაგრამ მაინც ახლობელი მეგობარი მოენახულებინა, რომელიც უკვე დიდი განსაცდელის ჩრდილქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად პოეტის სიბრძნისა, სიკვდილის ამოუხსნელი საიდუმლოს წინაშე შეძრწუნებული, ერთხელაც გამაოგნებელ გოდებად დაიღვარა:

ცრემლები, ცრემლი დენილი ჩემგან.
სიკვდილო ჩემო, მავრო ამზიდო
ჩემი გულისა, მატარე ცერად,
დამეხსნას ცრემლი. სიტყვა ვთქვა მინდა.

მეჭურჭლევ გულთა მიმწუხრისფერო.
თუნდ გითხრა რამე,
ნუთუ გგონია, რომ დუმილს ვარღვევ?
მწყურია ძილი, მარწიე, ბერო.

ეს არის მცდელობა მართლაც, სრულ თანხმიერებაში იმყოფებოდე სიკვდილის შეუნიღბავ სისასტიკესთან. ამაზე მეტად ჰეროიკულ ცდად ითვლება ის, რომ რილკეს სიცოცხლის ბოლო წუთამდე გულში არ შეუწყვეტია ქება-დიდების საგალობელი სიცოცხლისადმი. მას მოგზაურობის გეგმებიც კი ჰქონდა დასახული და არ უნდოდა დაეჯერებინა,

რომ ვერ გადაარჩენდნენ. ვინც მაშინ მასთან იმყოფებოდა, იხსენებენ, თუ რა აუტანელი იყო მისთვის აზრი — მომკვდარიყო ასე ადრე. ეს საოცრად ინტენსიური სიყვარული სიცოცხლისადმი იშლება უფრესი დიდებულებით ალსავსე ლექსში „ზამთრის სტანცები", მაღალი სიმწიფის ლექსში, თითქმის კლასიკურ ტონში რომ არის დაწერილი, რომელიც თავისივე მშვიდ ნეტარებაში რაღაც სიმტკიცეს მოიცავს, თითქოს სიცოცხლისა და ბუნების მთლიანობის დამაგვირგვინებელი ბეჭედი იყოს...

... ბუნება ღრმაა ღვთაებრივად, სავსეა, სრული;
და ვინ დაიტევს ბუნების ხატად, თუ არ ქმნის ღმერთი.
და ვინც იგრძნობდა სიღრმისეულ მის მბორგავ ღელვას,
მიენდობოდა მთელი არსით ღვთაებრივ ხელებს.

მიენდობოდა მთელი არსით, უზღვავი გრძნობით
იმედი არც კი აღეძვროდა ახლის შეცნობის,
მიენდობოდა მთელი არსით, უზღვავი გრძნობით
და არ ჩათვლიდა, დამისხლტაო რაღაც შეცდომით,
მიენდობოდა მთელი არსით, უზღვავი გრძნობით
განუზომელი აღუვსები სურვილით, ნდომით
და განცვიფრება შეიპყრობდა ოღონდაც, რომ ის
ამტანი იყო: მერყევ, ძალმოსილ საკმარისობის.

რილკე ახლა ამაღლებული გულგრილობის ფაზაში შევიდა, როცა ყოველი ძლიერი ლტოლვა დამარცხებული სჩანს. მისი სიმღერა სულ უფრო თავისუფლდება ყოველგვარი ვნებისაგან, იმისათვის, რომ ქართა ქროლვასა და ნაკადულთა მდინარებას შეუერთდეს. წმინდა ხმა იმ პიროვნებისა, რომელიც გვერდით ჩაუვლის საკუთარ მოწოდებასა და საკუთარ ბედისწერას აღასრულებს იმ სურვილების გარეშე, რომ აღიარონ და კაცობრიობის მეხსიერებაში სახელოვანი და დაუნჯებული დარჩეს, იგია ხმა ერთად აღებული ყველა ქმნილებისა, მარადიული ხმა, ყველა საგანს რომ მსჭვალავს, ხმა ორფეოსისა.

ძეგლს ნუ აღმართავ, ივარდოს ვარდმა
მისად საოხად ყოველ წელს, დამდეგს.
ორფეოსია იგი რადგანაც,
გარდასახული; ნუ ვიღწვით ამდენს
სხვა სახელისთვის, იგია მხოლოდ
ორფეოსი, თუკი ამღერდა...

ზუსტად მაშინ მძიმე ოპერაცია გადავიტანე პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში, როცა კატარინა კიპენბერგმა მომწერა, რილკემ საკუთარ ბაღში ვარდის ეკალზე ხელი დაიზიანა და აწუხებსო. ჩემი მდგომარეობის გამო ზედმეტ შეშფოთებას მოერიდა. მე მაინც მოუსვენრად ვიყავი, რადგან ელეგიების წაკითხვის შემდეგ ხშირად მიჩნდებოდა კითხვა, ელეგიების შემდეგ როგორ შეიძლებოდა ყოველდღიურობაში დაბრუნებულიყო და ჩვეულებრივად ეცხოვრა, როცა ასე გაუცხოებულად გრძნობდა თავს. იგი მეტისმეტად შორს წავიდა. დაძაბულობა დიდი

იყო. მან იმაზე მეტი თქვა, რისი თქმის უფლებაც ადამიანს ჰქონდა.

ნუთუ ეს ცხოვრების მიღმიერი ხმა იყო უკვე?

რამდენიმე კვირის შემდეგ ერთ-ერთ მეგობართან ყოფნისას, გაცხოველებული კამათი მქონდა რილკეს შესახებ კარლ კრაუსთან, რომელსაც მოხსენება ჰქონია სორბონაში. საუბრისას [illegible] გაკენწლა. ასე დილის 3 საათი იქნებოდა, გამეღვიძა და გამ[illegible] რილკეზე ვფიქრობდი და თან ისე ცოცხლად ვგრძნობდი მას, რომ ცრემლები ველარ შევიკავე. მაშინ, ჩემს პატარა ქალიშვილთან ერთად სასტუმროში ვიყავი დაბინავებული ვავენის ქუჩაზე. შვილმა შემომთავაზა, სმამაღლა წაგიკითხავ რაიმეს, იქნებ ჩაგეძინოსო, მაგრამ არაფრის ატანა არ შეშეძლო. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, რილკეს სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვტიროდი თურმე. დილის ბინდ-ბუნდში ძლივს ჩამეძინა ისევ. შუადღემდე ცოტა ხნით ადრე ქუჩაში ერთი ამხანაგი შემხვდა და მითხრა: „სამწუხარო ამბავი გავიგეო“ — მექანიკურად ვუპასუხე „ვიცი“-მეთქი, მაგრამ, ვიდრე ხმას ამოიღებდა ამოვიყვირე — „არა, არ არის მართალი“, — და გონება დავკარგე. ახლაც მიჭირს დაზუსტებით ამ მომენტიდან სიერაში ჩასვლამდე გასული დროის გახსენება. მახსოვს მხოლოდ კასუს სიტყვა, რომელიც მეორე დღეს გაზეთში წავიკითხე და ისე ძლიერად იმოქმედა ჩემზე, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე მისი მადლიერი ვრჩები.

*„Rilke est mort, que le monde reste seul!“* (რილკე მოკვდა, სამყარო დაობლდა).

ოჰ, ზამთრის ეს დილა, გრძელი გულის მომწყვლელი გზა სიერადან რარონამდე, თოვლში! გარეშემო მთების უცნაური ფორმები, თითქოს ნისლიდან რომ ამოზრდილან, მიწას მოწყვეტილები, ცაში ანარეკლივით ჩანან. მრუმე, დრამატული ღრუბლები ადგილ-ადგილ ამომავალ მზის სხივებით დაფლეთილი ნათელი ზოლებით, აქა-იქ ყვითელი და მწვანე, ფანფარების ტონებივით მძაფრი ელფერი დაჰკრავთ. ეს ყველაფერი ჯერ ისევ რილკე იყო. ბოლოს, სულ მაღლა კლდეზე გამოჩნდა პატარა სამლოცველო, როგორც ცადაღმართული ძახილის ნიშანი. მთების დიდებულ კალთებზე დაჩნეული უზარმაზარი ველი, ცის გუმბათი რომ დამხობია თავს თითქოს და ქვეყნიერების ქართა მიმოქცევაში ღებულობს მონაწილეობას. და უეცრად ღრუბლებს შორის აგორებული თავაწყვეტილი გრანდიოზული შეტაკება წარმოგვიდგა, როგორც ანარეკლი, ამ ყველაზე უფრო მგზნებარე სულთა შორის გამართული უკანასკნელი ასპარეზობისა.

*რომ მე ოდესმე ულმობელი ცოდნის მიწურულს,*
*ქება-დიდების საგალობელი ვუთხრა თანამგრძნობ ანგელოსებს,*
*რომ ჩემი გულის ხმა-ნათელი ჩაქუჩებიდან*
*არ მიღალატოს არცერთმა, როცა*
*ჩვილ, ეჭვით სნეულ, ან მწყდომარ სიმებს აახმიანებს...*

კლდეში განიერი საფეხურებით ძნელად ასაღწევი გზა იყო გაჭრილი, კატაფალკა ვერც კი მიუდგებოდა. სოფლის მკვიდრებმა კუბო ეკლესიამდე მიიტანეს. მოკლე რელიგიური ცერემონიის შემდეგ, გულს

ჩამრჩა ლამის არამიწიერი გოდების ხმა, იტალიიდან ჩამოსული რილკეს მეგობარი ქალის ვიოლინო რომ გამოსცემდა. სამგლოვიარო რიტუალის შემდეგ მეგობრებს მიჰქონდათ კუბო საცალფეხო ბილიკით, რომელიც კლდის გასწვრივ მიცოცავდა ზევით განმარტოებული ადგილისაკენ, თავად რომ აურჩევია რილკეს განსასვენებლად. ქარისაგან დაფერთხილ ლრუბელთა ფართო ჩრდილები პლატოს თავზე შეეყარნენ, ერთგული ადამიანების მდუმარესა და მრუმე გუნდს, ყოველი მხრიდან რომ მოეყარათ თავი, აქა-იქ აცოცხლებდა ყვავილების ფერადოვანი ლაქები და სოფლის გოგონები. ისმოდა გამოსათხოვარი სიტყვები. მე არაფერი მესმოდა და ვერავის ვხედავდი კატარინას გარდა, რომელიც გასეეებული იდგა ჩემს გვერდით, როგორც ტკივილის ქანდაკება.

არასოდეს განმიცდია ესოდენ თავზარდაცემულ, ამ ზომამდე გულნატკენ და გაოგნებულ ადამიანთა თავყრილობა, რომლებიც არა მარტო ადამიანის გარდაცვალებას გლოვობენენ, არამედ იმ გამორჩეული პიროვნებისა, თავისი სილრმით, სულიერებითა და მგზნებარებით აღსავსე უნივერსუმს რომ ემსგავსებოდა.

იგი ესვენა. სახე სრულქმნილი
იყო ფერმკრთალი, უარმყოფელი,
როცა სამყარო, წუთისოფელი
მის ხსოვნას, გრძნობებს აწ მოწყვეტილი,
კვლავ მიუბრუნდა წელიწადს გულგრილს.

ვინც მას იცნობდა, არც კი იცოდა
ბუნებას იყო ის განდობილი,
რადგან ყოველი: მდელო, დაბლობი,
წყარო თუ ღელე მის სახეს ფლობდა.

ო, სახე მისი ამ სივრცედ ქმნილი,
ახლაც მას ელტვის, მისკენ ისრება;
და ნიდაბი კი შემკრთალი კვდება,
იმ ნაყოფივით სათუთი, ჩვილი,
ჰაერის ქროლვით რომ ნადგურდება.

ადამიანური ნიღბის მიღმიერ მხარეს კი არის ის, რაც ხელუხლებელი რჩება. ეს პათეტიკური და ძლევამოსილი სამყარო, ისეთი როგორიც მას გააჩნდა, უკიდურესი თავშესაფარი ამდენი გზააბნეულისა და დათრგუნული სულისათვის.

იმ ადამიანებმა, მისი გონის ნიშნის ქვეშ რომ ცხოვრობენ, საიდუმლო ერთობა შეჰკრეს. რილკეა მათი სიმართლე და პური არსობისა, ისინი ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ადამიანურობის რღვევისა და გონის დაცემის გამო ლრტვინავენ. დაცემისა და გახრწნილების ამ სივრცეებს თავს აღგას მისი ჩაუმქრალი ნათლით მოსილი ზმანება. ჩვენს გულებში ისევ და ისევ ალიმართება იგი, ცეცხლოვანი სვეტი ღამის უკუნში!

ფლორას რეინალი (ჟურნალისტი)

ფრანგუდიდან

თარგმნა როზენა ყენიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟორჟ სანდი — მგზნებარე სულისა და მტკიცე მრწამსის მწერალი ქალი

საფრანგეთის მთავრობამ უდიდესი პატივი მიაგო მსოფლიოში აღიარებულ მწერალს, ცნობილს თავისი ლიტერატურული ქმნილებებით, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში მოღვაწეობით.

საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა 2004 — მწერლის დაბადებიდან 200 წელი — „ჟორჟ სანდის წლად“ გამოეცხადებინა.

კოლოსალური ენერგიითა და შრომისმოყვარეობით დაჯილდოებულ მწერალს, ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს ნიადაგ შეეძლო ხორცი შეესხა თავისი იდეებისთვის, მისი ცხოვრების კრედო იყო სიყვარული უპირველეს ყოვლისა, ყველგან და ყველაფერში. იშვიათი თვისებების, მაგრამ უდავოდ, რთული ბუნების ქალი დღემდე თავისუფალი აზროვნების სიმბოლოდაა აღიარებული.

ორორ დიუპენ დე ფრანკეინი დაიბადა 1804 წლის 5 ივლისს პარიზში. გარდაიცვალა 1876 წელს ნოანში, ბერის პროვინციაში. ამ ორ თარიღს შორის კი იყო გაუთავებელი ბრძოლა, ჭიდილი, ადგილიდან ადგილზე მიმოქცევა. შემოქმედებითი წვა. ბავშვობა ნოანში გააცარა, აღზარდა ბებიამ. გათხოვდა 18 წლისა, ცოლად გაჰყვა ბარონ კაზიმირ დიუდევანს, რომლისგანაც ორი შვილი შეეძინა. ცხრა წლის შემდეგ კი უეცრად ტოვებს ქმარს და პარიზში სახლდება რომანისტ ჟიულ სანდისთან ერთად. ორორ დიუპენი მალე გვარს იცვლის — დაესესხა თავის მეგობარ სანდოს და ფსევდონიმად ჟორჟ სანდი აირჩია. დიამეტრულად იცვლის ცხოვრებას, ეწევა სიგარეტს, მამაკაცის სამოსს ატარებს. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის როგორც ჟურნალისტი, შემდეგ იწყებს რომანების წერას. მისი პირველი რომანია „ინდიანა“ (1832 წ.), რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა, ამას მოჰყვა „ვალენტინა“, „ლელია“ (1833 წ.), „ჟაკი“ (1834 წ.), „მოპრა“ (1837 წ.). ყველა ამ ესოდენ ლირიულ და რომანტიულ ნაწარმოებში ნათლად ჩანს მწერლის ძეამბოხე სული.

ფრანგულ ლიტერატურულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: ჟორჟ სანდის ნაწარმოებები აღსავსეა დაუშრეტელი გრძნობიერებითა და ამაღლებული იდეების განდიდებით, მაგრამ ყოველივე ეს განწირული შეძახილია იმ ცრუმორწმუნე და მანკიერი საზოგადოების წინააღმდეგ, რომელშიც სიყვარული მხოლოდ ბრძოლითა და დიდი ძალისხმევით მოიპოვება.

ჟორჟ სანდი თავის სასიყვარულო რომანების გამო სწორად გამხდარა საზოგადოების განკითხვის საგანი — განსაკუთრებით რომანის გამო ალფრედ დე მიუსესთან, შემდგომ პოლონელ კომპოზიტორსა და პიანისტ ფრედერიკ შოპენთან, რომელთანაც 10 წელი გაატარა. არ ცხრებოდნენ იმის გამოც, რომ იგი არც არისტოკრატიულ, არც ბურჟუაზიულ კლასს არ ეკუთვნოდა: — სანდი უფრო სოციალური მეტისი იყო, — წერს მიშელ პერო. და თუმცა ძწერალი ამისათვის სწორად ირაგრებოდა, იგი მაინც პირნათლად და სიამაყით ასრულებდა ამ როლს. რესპუბლიკური სულისკვეთებით გამსჭვალული ჟორჟ სანდი მონარქისტულ საფრანგეთში ადამიანთა უფლებების, თავისუფლებისა და თანასწორობის აპოლოგეტად იყო აღიარებული.

1840 წლიდან მისტიკოს ფელიციტე დე ლამენეს, შემდგომ კი ფილოსოფოს პიერ ლეროს გავლენის ქვეშ ექცევა და აქვეყნებს სოციალისტური სულისკვეთებით გამსჭვალულ რომანებს: მისი აზრით, როგორც გული და გონებაა რელიგიის ქვაკუთხედი, სოციალური რევოლუცია პოლიტიკურის შემადგენელი ნაწილია და ორივე სათავეს მორალური რევოლუციიდან იღებს... ამ დროს შეიქმნა რომანები: „ორასი“ (1841 წ.), „ანჟიბოს მეწისქვილე“ (1845 წ.), „კონსუელო“ (1849 წ.), რომელშიც გამოიკვეთა მისი თაყვანისცემა ფილოსოფოს ჟან-ჟაკ რუსოსადმი.

1848 წელს ლუი-ფილიპის ძალაუფლების დამხობის შემდეგ სანდი აქვეყნებს პოლიტიკურ პამფლეტებს. იგი თანამშრომლობს რესპუბლიკური სულისკვეთებით გამსჭვალულ გაზეთებთან და თავადაც გამოსცემს ეფემერულ გაზეთს, სახელწოდებით — „ხალხის ხამსახურში“. რევოლუციის დამარცხების შემდეგ გულგატეხილი — მწერალი ოცნებებისა და სიმშვიდის გარემოცვას უბრუნდება და ამ დროს იქმნება მისი რომანი „პატარა ფადეტი“ (1849 წ.). ნოანში დაბრუნებული კვლავ გლეხების ცხოვრებით ინტერესდება. მწერლის განწყობა პროვინციული ცხოვრების მიმართ აისახა სოფლის თემაზე შექმნილ რომანებში: „ეშმაკის გუბე“ (1846 წ.), „ფრანსუა დე შამპი“ (1848 წ.), „მნათეები“ (1853 წ.) და სხვა, სადაც მწერალმა მისთვის ძვირფასი ადამიანები იდეალურ ფერებში დახატა. „ისინი ისეთებად აღვწერე, როგორადაც მესახებოდნენ, შესაძლოა, იმიტომ, რომ ცხოვრებაში ბევრი ლამაზი სულის ადამიანი შემხვედრია. მჯერა პატიოსნების, სამართლიანობის, მეგობრობის, უანგაროობის... ხელოვნება ჩემთვის მხოლოდ პოზიტიური რეალობის შესწავლა კი არაა, არამედ იდეალური სინამდვილის ძიება... ამბობს მწერალი.

ნაპოლეონ III-ის (1852-1870) მეორე იმპერიის დროს სანდი კვლავ აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება. 1854 წელს აქვეყნებს ვრცელ ავტობიოგრაფიულ ნაშრომს: „ჩემი ცხოვრების ისტორია“. ნოანი კვლავ შემოქმედთა თავშეყრის ადგილად იქცა. აქ იკრიბებოდნენ იმ დროისათვის ცნობილი პიროვნებები: ფრანც ლისტი, ეჟენ დელაკრუა, ონორე დე ბალზაკი, თეოფილ გოტიე. „ნოანის კეთილი ქალბატონი“, როგორც მას გლეხები უწოდებდნენ, კვლავ მათ სამსახურშია: ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლის, დახმარების ხელს უწვდის.

მწერლის ინტერესთა სფეროში კვლავ ხელოვნება და საზუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩება. იგი შეეცადა ტრადიციული მეცნიერებათა დარგები ერთმანეთთან დაეახლოებინა. სწავლობს და პრაქტიკულად იყენებს კიდეც მუსიკას, ხატვას, ბოტანიკას, მინერალოგიას, მედიცინას, ეთნოლოგიას, აგროვებს ხალხურ სიმღერებს და ნოანში მარიონეტების თეატრს ხსნის. ძალიან ბევრს სასარგებლო საქმიანობაში ეხმარება. გატაცებულია ჯირითით, სროლით. — ამბობს მწერლის ამ პერიოდის შესახებ რენეპრა. ორჯ სანდი სიკვდილამდე მართლაც რომ აქტიურად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. არ შეუწყვეტია სტატიების, რომანების, ესეებისა და პიესების წერა. ამ დროს გამოქვეყნდა „დარდიმანდი მამაკაცები" (1858 წ.), „მარკიზ დე ვილმერი" (1861 წ.), „მადმუაზელ დე ლა კენტინი" (1862 წ.). მან დაგვიტოვა შესანიშნავი კორესპონდენცია ფრანგულ ლიტერატურაზე (25 ტომი).

იშვიათი ნიჭის მწერალი განსაკუთრებული შემართებით იბრძოდა უსამართლობისა და სიღატაკის წინააღმდეგ, თავის მოვალეობად მიაჩნდა, რაღაც შეეცვალა უბრალო ხალხის ცხოვრებაში, — ამბობს მიშელ პერო. იგი გვესაუბრება მწერლის შემოქმედებაში [illegible] კონტრასტების [illegible], სადაც ერთმანეთს ენაცვლება საშური შემართება და გამბედაობა, ზოგჯერ სისუსტეც, უკან დახევა ქალთა უფლებების დაცვის საქმეში.

ქალთა უფლებების დამცველ მწერალს მამაკაცთა გადაჭარბებული უფლებების წინააღმდეგ ბრძოლა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. ცხოვრებაშიც უმთავრესი ადგილი (ისევე, როგორც მის რომანებში) ქალთა თავისუფლებას ეთმობა. ამან მრავალ ქალს მისცა სტიმული. მისი ხელოვნება დღესაც გავლენიანია იმ აზრით, რომ ხალხისათვის ემანსიპაციის ერთგვარი რეკომენდაციაა.

ჟორჟ სანდის შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ისეთ დიდ მწერლებზე, როგორებიც არიან: თეოდორე დოსტოევსკი, ანრი ჯეიმსი, მარგარეტ ფულერი, უოლტ უიტმენი, დები ბრონტეები და ჯორჯ ელიოტი.

n 845/2

ფასი 2 ლარი

# სოლომონ დოდაშვილი

## 1805 – 200 – 2005

ქვეყნის დაარსებითგან მამულისა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მეგობრობა, აქვნდა თვისნი სულიერნი, თვისი საოჯახეონიები, თვისი ენა და თვისი ზეგულები. ჰფენდა ყოველსა დროსა საკუთარნი თვისნი ხელოვნებანი და არათუოდეს არ იყო მოკლებული სხვისა ზედა და არცა ახლა, ეთარცა აწ არის ამაოდ ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპრისა ჩვენისა ეთვალოთეს ქმნილი და ალაესებულა მსოფლიოსა. მტერი მარადის მიწყლული იყო და დამხობილი ამაოდ.

ბოლო აწ ხელოვნთა დამხობისა და არარაობისა მამულისა ჩვენისასა? ეგრეთობა შეიწრეებასა ყოველსა კაცისასა?

რისათვის არს ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი, ჰაშა-ბაბაოთ ჩვენითანი?!

ნუ უკვე ჩვენ არა ძალუგვიმს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რათადცაც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა ეგოთ?!

მაში რისათვის ვკოცავლვართ?!

საქმეა მოწოდება. 1881 წ.